


ილია ჭავჭავაძის სახელობის
ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის

წელიწდეული

III



ილია ჭავჭავაძის სახელობის
ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა

Kutaisi Iliа Chavchavadze scientific library

წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი

III

ემდგენება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან
150 წლისთავს

Dedicated to 150 anniversary of

Vaja-Pshavela

ქუთაისი

2011

Kutaisi

“წელიწდეულში“ იბეჭდება ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები და რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

პროექტის დირექტორი
ნარგიზ ჩოგოვაძე

სარედაქციო საბჭო:

იოსებ ასათიანი, ნომადი ბართაია, მერაბ ბერიძე, მერაბ გვაზავა, ზურაბ თოდუა, რუსუდან კაშია, მერაბ კეზევაძე, მათა შიქაუტაძე (რედაქტორი), ტარიელ ფუტყარაძე (მთავარი რედაქტორი), ლეილა ქველიძე, რევაზ შეროზია, რიტა წაქაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ამირან ზვადაგიანი, სტივენ ჯონსი.

ინგლისური ტექსტი თარგმნა ნინო უგულავამ.

ISSN 1987 - 9288

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ლ.ნუცუბიძის ქ. №1
ელ-ფოსტა: Library_Kutaisi@posta.ge
Library_Kutaisi@gmail.com

ქუთაისის სამეცნიერო ცენტრი “ქუთაისი“, 2011
ილია ჭავჭავაძის სახელობის

Annual publishes the papers of the Kutaisi Ilia Chavchavadze scientific library III International Scientific Conference and other reviewed research papers in Kartvelology (linguistic, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc..).

Project Director
Nargiz Tchogovadze

EDITORIAL BOARD:

Ioseb Asatiani, Nomadi Bartaia, Merab Beridze, Merab Gvazava, Zurab Todua, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Maia Mikautadze (editor), Tariel Putkaradze (editor in chief), Leila Kvelidze, Revaz Sherozia, Rita Tsakadze (secretary responsible), Amiran Khvadagiani, Metropolitan Anania Japaridze, Stiven Jones.

English text was translated by Nino Ugulava

Address of the Editorial Office: L. Nutsubidze str. #1

e-mail: Library_Kutaisi@posta.ge

Library_Kutaisi@gmail.com

შინაარსი

ლია ახალაძე - ილორის ტაძრის „რესტავრაციის“ საკითხისათვის.....	9
Lia Akhaladze - On the question of restoration of the Ilori Cathedral.....	15
ქეთევან ბარბაქაძე - ერთი იშვიათი გამოცემის შესახებ.....	16
Ketavan Barbakadze - About One Rare Edition.....	19
ნომადი ბართაია - "შაჰ-ნამეს" ორი გმირის - როსტომისა და ზურაბის სახელთა ადაპტაციისათვის ქართულ ცნობიერებაში.....	20
Nomadi Bartaia - For adaptation of characters Rostom and Zurab from "Shah-Name" by Firdous in Georgian consciousness.....	26
დავით ბერძენიშვილი - წმინდა გიორგის გამოსახულებიანი კალიპტერის ანტიფიქსი ზედა მესხეთიდან.....	27
David Berdenishvili - Calipter Antefix with St. George Image from the Village Zeda Meskheti.....	35
ოთარ გოგოლიშვილი - ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნების საკითხები ბათუმურ პრესაში (XX საუკუნის დასაწყისი).....	38
Otar Gogolishvili - Analyses of national-politic questions in Batumi press (The beginning of XX century).....	42
თამარ გოგოლაძე - დავით თუმანიშვილისეული ნუსხის ისტორია.....	43
Tamar Gogoladze - The History of Inventory of David Tumanishvili.....	47
როზეტა გუჯეჯიანი - ქართულ ხალხურ დღეობათა ტრადიციული მენეჯმენტის ზოგიერთი ასპექტი.....	48
Rozeta Gujejiani - Some aspects of traditional management of Georgian folk celebrations.....	60
ეკა დადიანი - ფონეტიკური პროცესები ტაოურ დიალექტში - I (ბგერათა დაკარგვა).....	61
Eka Dadiani - Phonetic processes in Tao Dialect – I (The loss of sounds).....	71
თორნიკე ეპრემიძე - ნიკო მარი და პავლე ინგორიკვა ტაო-კლარჯეთის ისტორიული წარსულის შესახებ.....	72
Tornike Epremidze - Niko Marr and Pavle Ingorikva about the historical past of Tao-Klarjeti	89

გურამ თაყნიაშვილი - იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ნიკოლაძის პოლემიკის საგანი.....	90
Guram Takniashvili - The subject of polemics between Iakob Gogebashvili and Niko Nikoladze.....	97
ზურაბ თოდუა - მსახიობი - თოჯინისა და სათამაშო გარემოს ევოლუცია ქუთაისის თოჯინების თეატრში (XXს. 40-70-იან წლებში)....	98
Zurab Todua - Evolution of Dolls-Actor and game space thetre of dolls in Kutaisi.....	108
ეთერ ინჟკირველი - სოლომონ ბრძენთან დაპირისპირებული სახის გენეზისის საკითხი ფოლკლორში.....	109
Eter Intskirveli - The Question of the Origin of the Image Confronted with the Solomon the Wise in Folklore.....	114
რუსუდან კაშია - საეკლესიო საკუთრების შესახებ დასავლეთ საქართველოში (XVII-XVIIIსს. ქართული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით).....	116
Rusudan Kashia - On the issue of church property in east Georgia (About Georgian historical document of XVII-XVIII centuries).....	120
რუსუდან კაშია, დავით შავიანიძე - ხალხური სამედიცინო ტრადიციები. მკურნალი ზემო აჭარადან – არჩილ წულუკიძე (აჭარის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით).....	121
David Shavianidze, Rusudan Kashia - Folk medical traditions Curer from upper Ajara-Archil Tsulukidze (According to the materials of ethnography of Ajara).....	125
მერაბ კეზევაძე - ქუთაისის ღმრთისმშობლის მიძინების (ბაგრატის) ტაძრის საეკლესიო ნივთსამკაულთა 1826 წლის აღწერა.....	126
Merab Kezevadze - Description of church things and jewelry of Kutaisi St. Virgin Assumption (Bagrati) Cathedral in 1826.....	131
ირმა კვირკვია - თანამედროვე ტექნოლოგიები ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.....	132
Irma Kvirkvia - Modern technologies in the central library of Zugdidi.....	135
ვლადიმერ კიკილაშვილი - პირველი ნაბიჯები ღიდ გზაზე....	136
Vladimer Kikilashvili - First steps on hard way.....	143
მარიამ კობერიძე - ფერმ მცირის ერთი ავტოგრაფიული პოეტური თხზულების მორფოლოგიური თავისებურებანი.....	144
Mariam Koberidze - The Morphological Features of One of the Autographical Poetical Compositions of Ephraim the Small.....	150

მარიამ მარჯანიშვილი - წერილები არგენტინიდან.....	151
Mariam Marjanishvili - Letters from Argentina.....	158
ინესა მერაბიშვილი - თარგმანი, როგორც ლექსიკოგრაფიული გამოკვლევა.....	159
Innes Merabishvili - Translation as Lexicographical Research (based on one example).....	169
ანა მესხი - ფერსათის ღვთაების ანალიზისთვის.....	170
Anna Meskhi - Towards the Analysis of the Persati Divinity.....	178
მაია მიქაუტაძე - ზოგი თავისებური (ფუძემონაცვლე) ზმნის წარმოებისათვის ქართული ენის ტაოურ დიალექტში.....	179
Maia Mikautadze - The formation of some habitual (stem-changing) verbs in Tao dialect of the Georgian language.....	186
ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ფარნა-ბექა ჩილაშვილი (ფაჰრედინ ჩილოღლუ) – თურქეთში მოღვაწე ქართველი მწერალი და მამულიშვილი.....	187
Avtandil Nikoleishvili - Parna-Beka Tchilashvili (Pahredin Tchiloglu) – Georgian writer and Public man in Turkey.....	196
ნიკოლოზ ოთინაშვილი – იკორთის ჟამნ-გულანის ისტორიული ცნობები და ენობრივი თავისებურებანი	197
Nikoloz Otinashvili - Historical documents of Ikorta Cathedral and language peculiarities.....	200
რუსუდან საღინაძე - თემისნიშნიან ზმნათა ერთი ჯგუფის ნორმირებისათვის ქართულში.....	201
Rusudan Saghinadze - Standardizing a group of verbs with stem markers in Georgian language.....	204
ნათია სვინტრაძე - ხაკანი და საქართველო.....	205
Natia Svintradze - Khakan and Georgia.....	209
რუსუდან ფიფია - X საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის თეოლოგიური და მხატვრული ღირებულებები.....	210
Rusudan Pipia - Theological and Artistic Values of the Georgian Hymnographical Works of the 10 th century.....	213
ტარიელ ფუტყარაძე - 1790 წლის "ივერიელთა ერთობის ტრაქტატის" ტექსტის სემანტიკური ანალიზი.....	214

Tariel Putkaradze - Semantic analyses of the text “the unity of the people of Iveria” 1970 (All the people of Iveria; the countries of highland and lowland of Iveria; the owners of the same language; affection of mutual duties).....	219
ტარიელ ფუტყარაძე, მიხეილ ლაბაძე - თურქეთში მცხოვრებ ქართველთა იდენტობის საკითხები.....	221
Tariel Putkatadze, Mikheil Labadze - Materials on Turkish Georgians.....	238
პასაბერ ქებულაძე - ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიიდან.....	240
Kakhaber Kebuladze - From the History of Establishing Soviet Power in Kutaisi.....	248
ლეილა ქველიძე, ვახტანგ თევდორაძე - რაეათა შესახებ შუა საუკუნეების არაბულ ლიტერატურაში.....	249
Leila Qvelidze, Vaxtang Tevdoradze - About “rāwiyas” in the medieval Arabic literature.....	253
ლეილა ქველიძე - არაბი მწერალი ქალების ნოველების ქართული თარგმანები.....	254
Leila Kvelidze - Georgian translations of the novels of Arab female writers.....	258
გიორგი შაყულაშვილი - ერთხელ კიდევ ვახტანგ ორბელიანის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესახებ.....	259
Giorgi Shakulashvili - One More Attempt to Assess Vakhtang Orbeliani’s Social and Political World View.....	263
რევაზ შეროზია - კვლავ "განდევლის" შესახებ.....	264
Revaz Sherozia - Abaut ‘hermit~ Again	269
როლფ ცაილერი - ქ. ულმი და ულმის საქალაქო ბიბლიოთეკა.....	270
Rolf Zeiller -Ulm und die Ulmer Stadtbibliothek.....	271
Rolf Cailer - The subject matter of the article is the history of Ulm and its library.....	274
რიტა წაქაძე - ანტონ ლორთქიფანიძე.....	275
Rita Tsakadze - Anton Lortkipanidze.....	282

ემზარ ჭანტურიძე - ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ.....	283
Emzar Tchanuridze - Resources about the history of Georgia held in Kutaisi scientific library.....	305
ალექსანდრე აშულუხაძე - სიტყვა "ვეფხის" სემანტიკა და ეტიმოლოგია.....	306
Alexandre Tchulukhadze - The Semantics and Etymology of Georgian vepx-	331
შორენა ხაღური - ბიბლიოთეკების ისტორია საფრანგეთში.....	333
Shorena Khaduri - The history of libraries if France.....	336
მზია ხოსიტაშვილი - ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის (PR) როლი არტ-ბიზნესის განვითარებაში.....	338
Mzia Khositashvili - The role of PR service of library in art-business development.....	347
სტივენ ჯონსი - ოფიციალური გამოსვლის ტექსტი (სიტყვა წარმოთქმული თსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ღონისძიებაზე)..	348
PROF. STEPHEN JONES - THANK YOU NOTE.....	350

ლია ახალაძე

ილორის ტაძრის „რესტავრაციის“ საკითხისათვის

ოქაშირიდან 3 კმ. მანძილზე, სოფ. ილორში აღმართულია XI საუკუნის I მეოთხედის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ილორის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრსა და სალოცავს წარმოადგენს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ზღუკ კიდებდ, ...არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ...არს ეკლესია უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული. არამედ სილოვანებისა გამო, რათა არ შეირყეს ეკლესია, მოუღიათ ქვა დიდ ფრიადი, ფიქალი და მას ზედა შენი არს სრულიად ეკლესია“ (ვახუშტი, 1973, გვ. 779).

ილორის ეკლესიის შესახებ ცნობები დაცულია კათოლიკე მისიონერების, ჟან შარდენის, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს, მარი ბროსეს, ანდრეი პავლინოვის, დიმიტრი ბაქრაძის და სხვათა თხზულებებში. ყველა მათგანის აღწერილობით, ტაძარი წარმოადგენს უგუმბათო აფსიდით დასრულებულ ერთნაგიან ნაგებობას, რომელსაც ჩრდილოეთით, სამხრეთითა და დასავლეთით სხვადასხვა სახის მინაშენი აქვს.

XX საუკუნეში ილორის ეკლესიის ხუროთმოძღვრება შეისწავლა აფხაზმა მკვლევარმა ა. კაციაშვილმა, რომელმაც აღნიშნულ საკითხს ჯერ საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო მოგვიანებით მონოგრაფია მიუძღვნა. ნაშრომში ერთმნიშვნელოვნად არის ხაზგასმული, რომ ილორის ტაძარი XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, რომლის ანალოგი გვაქვს საქართველოს სხვა რეგიონებშიც. კერძოდ, პატარა ონის წმ. ნიკოლოზის ეკლესია რაჭაში, მერვეის წმ. გიორგის ეკლესია ქიათურაში და ა. შ. (ა. კაცია, 1963; ა. კაცია, 1968, გვ. 18-19).

2006-2011 წლებში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე — აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ილორის ტაძარზე განხორციელდა ე. წ. „სარესტავრაციო“ სამუშაოები. სამწუხაროდ, ამ „რესტავრაციის“ შედეგად მივიღეთ სრულიად სხვა არქიტექტურული ფორმის ეკლესია, რომელსაც თავზე „რუსული გუმბათი“ ადგას.

საერო და საეკლესიო დანიშნულების არქიტექტურული ძეგლების გადაკეთება-რესტავრაცია, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით. იმ ეტაპზე რუსეთი ორი მიმართულებით ცდილობდა ქართული კვალის წაშლას აფხაზეთში: ეს იყო საეკლესიო ხუროთმოძღვრება და წერილობითი კულტურა. რუსულმა იდეოლოგიურმა მანქანამ თავდაპირველად იმ საეკლესიო ძეგლების გადაკეთება-შეცვლა „მოახერხა“, ან სცადა, რომლებიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ მოსახლეობაში: ბიჭვინთა, ბეგია, მოჭივი, ილორი, დრანდა, ცანდრიფში, ლუშურიში, ჭუბურხინჯი და ა. შ.

იმ ეპოქის თანამედროვე თედო ჟორდანიას დიდი გულისტკივილით წერდა:

“აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის დროს განახლებულ, ან უკეთ რომ ვთქვათ გაფუჭებულ მოქვის ტაძარში უჩინონი გახდნენ ქართული წარწერანი. ბუკით და ნალარით გამოაცხადეს ვითომ მოქვის ტაძარი ქართული ხელოვნება არ იყოს... ამისთანა გვამნი ქართულ წარწერას თუ საღმრეთო მოიხელოებდნენ, ჰშლიდნენ, რყვნიდნენ და კედლებზე ჭლანდინდნენ ბერძნულ წარწერათა” (თ. უორდანი, 1902).

მსგავს ინფორმაციას გვაწვდის XIX საუკუნის, როგორც ქართული, ასევე უცხოენოვანი გამოცემები. მაგალითად, XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, ბიჭვინთის ტაძარი შეაკეთეს, შეიცვალა გუმბათის ფორმა, რუსულ ყაიდაზე შელესეს და შეათეთრეს ფასადები, რის შედეგად ნაგებობამ სახე იცვალა და ავთენტურობა დაკარგა. XX საუკუნის 60-იან წლებში ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა, რომელმაც აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის რეკომენდაციით შეძლო ტაძრის თავდაპირველი სახის აღდგენა.

ლიონის ტაძრის ე.წ. “რესტავრაციის” დროს, რუსულ ყაიდაზე შეეთერდა და შელესილობით დაიფარა ტაძრის ინტერიერი, რის შედეგად დაკარგა საღებავით შესრულებული ქართული ფრესკული წარწერები. XX საუკუნის 80-იან წლებში ლიონის რესტავრაციაზე მუშაობდა ქართული ექსპედიცია არქიტექტორ მერაბ ბუჩუკურის ხელმძღვანელობით, რომელმაც მოხსნა შელესილობა და თეთრი საღებავი. ტაძარში შელესილობის ფენის ჩამოხსნის შემდეგ, ინტერიერში გამოჩნდა ქართული წარწერები. მათ შორის 1066 წლის წარწერა კომეტის გამაჩენის შესახებ, წარწერა გიორგი II კურაპალატის, პატრიკისა და მწიგნობართუხუცესის წარწერები და ა.შ.

გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ილორის ტაძარი, იგი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გადაწვეს ოსმალებმა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, “მოვიდნენ ოსმალი ილორს. არამედ ხატნი, ჭურანი და სამარნი ეკლესიისანი დეხიზნათ. შეუღღეს ცეცხლი, მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრპენისა და მოსპეს დახატულობანი” (ვახუშტი, 1973, გვ. 886). 1835 წელს რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებული გამაჰმადიანებული სმაილა ჯაბუას პარტიზანული რაზმი თავს დაესხა ტაძარს. ილორის ეკლესიის კედლებს შიგნით გამაგრებულ რუს ჯარისკაცებთან შეტაკების შედეგად ტაძარი მნიშვნელოვნად დაზიანდა. XIX საუკუნის 40-იან წლებში ტაძარი კაპიტალურად შეკეთდა ოდიშის მთავრის დავით დადიანის (1846-1853 წწ.) მიერ, მაგრამ 1854 წელს, რუსეთ-თურქეთის შორის გამართული ყირიმის ომის დროს ტაძარი ოსმალო დამპყრობლების მიერ დაიწვა და დაზიანდა. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის ბრძანებით, 1860 წელს ილორის ტაძარი შეკეთდა. თუმცა ტაძრის თავდაპირველი სახის შენარჩუნება რამდენად მოხერხდა ძველი სათქმელია.

ამის შემდეგ მას რამდენჯერმე ჩაუტარდა “რესტავრაცია”, თითოეული “რესტავრაციის” შემდეგ ილორის ტაძარი ავთენტურობასა და ქართულ იერსახეს თანდათანობით კარგავდა.

აფხაზეთში ძველი არქიტექტურის თავდაპირველი სახის დამახინჯებისა და ავთენტურობის დაკარგვის პრობლემას თავის დროზე ყურადღება მიაქცია რუსმა სიძველეთმცოდნეობის და არქეოლოგმა ვრაფინია პრ. უვაროვამ. დრანდის ტაძრის ე. წ. “რესტავრაციის” ხილვის შემდეგ მან განაცხადა: *Собор в Драндах, возстановленный самым варварским (доступным, кажется, одним русским) образом, производит на нас самое ужасное впечатление: Все зачищено, выбелено, зашпакатурено и замезано так, что сердце ошивается. Не знаешь, что желать и что лучше: чтобы древности Кавказа оставались в виде, неизвестными ни для кого, или чтобы являлись радетели в роде драндских афонских монахов, образивших драгоценный памятник старины не то в казенный госпиталь, не то в цырк с безобразнейшими шпакатурными пилястрами и тягами. Не остановились они даже пред стеной и сводами, Вот знаешь, с какими целями посветили целый месяц на прогмку*

свода с западной стороны и заменили его новым с прибавкой хоров для братии, у которой места слишком много и внизу (პ. უვაროვა, 1891, გვ. 111-112).

რუსი არქეოლოგის ეს სამართლიანი გულისტკივილი სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული და ე. წ. „რესტავრაციები“ შემდეგშიც გაგრძელდა. მაგალითად, რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით მსგავსი სამუშაოები ჩატარდა ახალი ათონის წმ. სიმონ კანანელის ტაძარზე, რამაც ისევ პრ. უვაროვას სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა. მისი სიტყვებით, ტაძარმა დაკარგა თავდაპირველი სახე: реставрирован афонскими монахами так неумело и грубо, что потерял древности. (პ. უვაროვა, 1894, გვ. 9). რუსი ბერების საქმიანობის შედეგად В храме не сохранилось ни особих тят, ни архитектурных деталей, иконов или капителей. Все вышито, слезано, вставлено, зашпакатурено (პ. უვაროვა, 1891, გვ. 119). ბუნებრივია, ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო რუსი ბერების იდეა, ან მათ მიერ გამოიხეულად გაკეთებული „რესტავრაცია“, რა თქმა უნდა აქ რუსული იმპერიული სამსახურების (მათ შორის არ გამოვრიცხავთ რუსული ეკლესიის შოინისტურად განწყობილ წარმომადგენლებს) ხელი ერიო.

მიუხედავად იმისა, რომ პრასკოვია უვაროვამ, რომელიც მაშინდელ რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მკვლევარი იყო მკაცრი შეფასება მისცა და გააკრიტიკა აფხაზეთში ძველი არქიტექტურის ძეგლების გადაკეთება-რესტავრაცია, რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, ეს საქმე კვლავ გაგრძელდა. სწორედ ამის შემდეგ, მოხდა ილორის ტაძრის პირველი „გადაკეთება“ XX საუკუნის დასაწყისსა და 10-იან წლებში.

1902 წელს რუსმა ეგზარქოსებმა ილორის ტაძარი გადააკეთეს და დაამახინჯეს. მათ, ტაძრის ტევადობის გაზრდის მიზნით, გაანერეს ილორის ეკლესიის დასავლეთის კედელ - დაახლოებით 6-მკმ/მ, რასაც შეეწირა ეკლესიის დასავლეთის კარის ლიობი. დაშალეს დასავლეთი კედლის წინ მდგარი კარიბჭე და ამ მხრიდან ეკლესიას ახალი მოცულობა მიაშენეს, რომელიც ეკლესიის ძირითად კორპუსს თაღოვანი გასასვლელით დაუკავშირდა. დაშლილი კარიბჭე ახალი მინაშენის წინ გადმოიტანეს. სამხრეთის ფასადზე არსებული კარის ლიობი ეკლესიის სამხრეთ მინაშენის ინტერიერში მოექცა და შეიღესა. კარის თავსართის ნახევარწრიული ფორმა და ტიმპანის ქვა ამ პერიოდთან აღარ იკითხება.

ამავე პერიოდში მოხდა ეკლესიის სარკმელთა გადაკეთება¹ და ლიობების გაგანიერება². ეკლესიის მთელ პერიმეტრზე მთლიანად გამოიცივალა კარნიზი. შეიცვალა კარნიზის ფორმა - წრეთარგის ფორმა შეიცვალა სტალაქტიდური ფორმით.

ეკლესიის ინტერიერი და ფასადი შეიღესა და კირხნარით შეთეთრდა. კრამიტის სახურავი თუნუქმა შეცვალა. ამ დროს დაიდგა ილორის ტაძარზე მცირე ზომის ცრუ გუმბათი, რომელიც სრულიად მიუღებელი იყო ტაძრის არქიტექტურისათვის. ამგვარად, ქართულმა ტაძარმა სახე იცვალა და „უცხო სამოსელში“ აღმოჩნდა გახვეული.

1913-1915 წლებში, რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, რუსმა ეგზარქოსებმა სცადეს ილორის წმ. გიორგის ეკლესია რუსულ დედათა მონასტრად გადაეკეთებინათ. ამ ფაქტს წინ აღუდგნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ამბროსი ხელაია (იხილეთ, ჯ. გამახარია, 2006, გვ. 505-547), რომელმაც თავის წერილში "По поводу

¹ მოიხსნა ჩუქურთმები. ერთადერთი ჩუქურთმანი სარკმელი შემორჩენილია ეკლესიის დასავლეთ ფასადზე.

² თაღოვანი ფორმა შეიცვალა სწორკუთხე ფორმით.

превращения Илорского храма в Русский женский монастырь, არგუმენტირებული და საფუძვლიანი პასუხი გასცა ამ საქმის მოთავეებს და დასაბუთა ილორის ტაძრის რუსულ მონასტრად გადაკეთების შემთხვევაში რა საფრთხე ელოდა ტაძრის ძველ ხუროთმოძღვრებას. ილორის ტაძარი რუსულ ღვთათა მონასტრად ვერ აქციეს, მაგრამ რუსმა მოხელეებმა მისი გადაკეთება მაინც შეძლეს: ეკლესია მთლიანად შელესეს და შეათეთრეს, როგორც ინტერიერში, ისე გარედან, რამაც გამოიწვია ტაძარში არსებული ფრესკული მონატულობისა და მისი განმარტებითი წარწერების სრული განადგურება (აღნიშნული მონატულობა ეკუთვნოდა ლევან II დადიანისა (1611-1657 წწ.) და დავით დადიანის (1846-1853 წწ.) ეპოქას.

1986 წელს არქიტექტორ-რესტავრატორები მურთაზ ურიდია და რუსუდან ქართველიშვილი ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოდან მიავლინეს ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაზე აზომებითი სამუშაოების ჩასატარებლად. იმავე წელს მათ შეასრულეს ტაძრის აღდგენის პირველი რიგის სამუშაოების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ეკლესიის და სამრეკლოს სახურავის შეცვლას, ცრუ გუმბათის მოხსნას, ტაძრის ფასადებიდან ნაღესობისა და სარკმლის ჩუქურთმებიდან კირით შეთეთრების მოხსნას. სამრეკლოს ფასადების გაწმენდას მცენარეებისაგან. ზონდაფების მოწყობას კვლევის მიზნით, გაღვინის კედლის შეკეთებას, ეზოს კეთილმოწყობას (პროექტი ინახება ძველთა დაცვის არქივში)³. სამწუხაროდ, აღნიშნული პროექტი ვერ განხორციელდა ცნობილი მოვლენების გამო. 1993 წელს, რუსეთი მიერ აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში ქართულად წირვა-ლოცვა შეწყდა, რაც თავის დროზე კომუნისტებმაც კი ვერ მოახრხეს.

2005 წლიდან ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე კვლავ განახლდა ილორის ტაძრის ე. წ. "რესტავრაცია", რაც 2010 წელს დასრულდა. შედეგად მივიღეთ სრულიად სხვა ფორმის არქიტექტურული ძეგლი. დარღვეულია ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის ავთენტურობა: ეკლესიისა და სამრეკლოს ფასადი მთლიანად შეთეთრდა, სარკმლის დეკორატიული არშიები წითელი ფერით შეიღება, სამრეკლოზე მიდგმული ქვის ძველი, ტრადიციული საფეხურები მოარღვიეს და ლითონის კონსტრუქციით შეცვალეს, დარბაზულ ეკლესიას დაადგეს არატრადიციული - რუსული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ცრუ გუმბათი. ე. წ. რუსული "რესტავრაციის" შედეგად დაზიანდა ტაძრის შიდა ინტერიერი, წაშლილი და გათეთრებულია ფრესკული მონატულობის ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი.

და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წაშლილი და შელესილია ტაძრის ფასადებზე ამოკვეთილი ექვსი ქართული ლაიდარული წარწერა, რომლებშიც ქართული დამწერლობის სამივე ეტაბი იყო წარმოდგენილი: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული (ლ. ახალაძე, 2005, გვ. 103). რომელთაგან ერთი ჯერ კიდევ XX საუკუნეში გადაშალეს, თუმცა საფუძვლადგულად გადაშლილი წარწერის ნაკვალევი XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჯერ კიდევ ჩანდა. აღნიშნულ წარწერებში დასახელებული არიან ტაძრის მამულებელი საერო და საეკლესიო კტიტარები: ადგილობრივი ფეოდალი გიორგი გურგენისძე, მთავარეპისკოპოსი გიორგი, მღვდელი გიორგი ქიორღავა, გალატოზები გიორგი და მიქაელი, ადგილობრივი მოღვაწელები და ა. შ. (ვ. სილოგავა, 2004, გვ. 272-276; ოღნავ განსხვავებული წაკითხვით იხილეთ: ლ. ახალაძე, 2005, გვ. 96-108).

³ აღნიშნული ინფორმაცია ეკლესიის არქიტექტორის რუსულიდან თარგმანია.

აღნიშნული ეპიგრაფიკული მასალა და ისტორიული წყაროები ცხადყოფენ, რომ ილორის ტაძარი შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სალოცავი იყო.

ე. წ. „რესტავრაციის“ შედეგები:

1. გადაკეთებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი: ერთნავიანი ნაგებობის ნაცვლად მივიღეთ გაურკვეველი სახის ნაგებობა, რომელსაც ე. წ. რუსული გუმბათი ადგას. მსგავსი ტიპის ნაგებობა უცნობია კულტურის ისტორიისათვის.

2. წაშლილია ქართული დამწერლობით შესრულებული წარწერები, რომლებშიც უმნიშვნელოვანესი ცნობებია დაცული ილორის ტაძრის ისტორიისათვის: ტაძრის კტიტორების, მშენებლებისა და მლოცველების შესახებ. გარკვეულია ადგილობრივი ფეოდალის, საკლესიო პირებისა და მლოცველთა ვინაობა. წარწერებში დაფიქსირებულია ქართული დამწერლობის სამივე საფეხური: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული, რაც მნიშვნელოვანია ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიისა და პალეოგრაფიული მახასიათებლების შესწავლისათვის.

3. ტაძრის ინტერიერში წაშლილი და გათეთრებულია ფრესკული მონატულობის ის მცირე ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი.

ეს და სხვა ფაქტები არის ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობლივი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეების წაშლის უხეში მცდელობა, რათა მოხდეს ოკუპირებულ რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის იდენტურობის დაკარგვა და არსებულ ფაქტობრივ რეალობასთან იოლად ადაპტირება⁴.

გარდა ამისა, ჩატარებული სამუშაოები ეწინააღმდეგება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორის პრინციპებს. კერძოდ, საერთაშორისო ქარტიის ძველთა დაცვისა და რესტავრაციის შესახებ (ვენეციის ქარტია) და მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის (პარიზის კონვენცია)⁵.

ვენეციის ქარტიის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული და კულტურული ძეგლი ხელშეუხებელია და „ჩვენი ვალდებულებაა ეს მემკვიდრეობა მისი ავთენტურობის სიმდიდრით გადავცეთ მომავალ თაობებს“ (ბ. ფილდენი, ი. იოკილეთო, 2007, გვ. 187). ილორის ტაძრის ე. წ. „რესტავრაციის“ დროს დაიკარგა მათი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულება, წაიშალა წარსულსა და თანამედროვეობას შორის არსებული ერთიანობა. ვენეციის

⁴ უკანასკნელ ხანს მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM-ის) რუსეთის კომიტეტის აფხაზეთის მისიის მუშაობის ანგარიშის საფუძველზე ოფიციალურად დადასტურდა, რომ ბუღის ტაძრის ე. წ. „რესტავრაციის“ დროს ჩამოშლულს გაერთიანებული საქართველოს პირველი მფხველ ბავარტ III ბაგრატიონის უნიკალური ფრესკა, ავთენტურობა დაკარგა დრანდის ტაძარში, მინე მდგომარეობაშია ლიხნის ტაძარი, რომლის უნიკალური ფრესკებს აწვიმს, წმ. სიმონ კანანელის ტაძარში ჩატარდა უკანაში არქეოლოგიური გათხრები, რომელშიც პროფესიონალი არქეოლოგი აბ მონაწილეობდა?! და ა. შ. ეს არის ის მცირე ჩამონათვალი, რომელიც რუსეთის ICOM-ის ანგარიშში მოხვდა.

⁵ პარიზის კონვენცია მიღებული იქნა 1972 წლის ნოემბერში, პარიზში. UNESCO-ს მეთაქმნეტე გენერალურ კონფერენციაზე, ეს კონვენცია იუნესკოს ერთ-ერთი წარმატებათაგანია, რადგან მას 1998 წლის 150 ქვეყანა შეუერთდა და 500 ძეგლი იქნა შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. კონვენციის უკარდობა მთლიანად მამართულია ნუსხაში შესული ღირსეისანი მხვი ადგილებისადმი, მაგრამ ის სასარგებლოა მსოფლიოში არსებული მთელი კულტურული მემკვიდრეობისათვის - იქნება ის დღი თუ მოკრძალებული მნიშვნელობისა (სტოჯილი, 2007, გვ. 22). მოქალაქე ანა, პარიზის ქარტია ილორის ტაძრისა და აფხაზეთის არ ტერიტორიაზე არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრევენციის საკითხებს არ ვანხილავს.

ქართის თანახმად, “ძეგლი განუყოფელია იმ ისტორიისაგან, რომლის მოწმეცაა“ (ბ. ფილდენი, ი. იოკილეტო, 2007, გვ. 189) და შენარჩუნებულ უნდა იყოს იმ ტრადიციულ გარემოში რომელშიც იმყოფება.

ილორის ტაძარზე განხორციელებული სამუშაოები პირდაპირ არღვევენ ვენეციის ქართის რამდენიმე მუხლს. კერძოდ, მე-5 მუხლში ვკითხულობთ: “ძეგლთა კონსერვაციას მუდამ უწყობს ხელს მათი გამოყენება საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეში. ასეთი გამოყენება სასურველია, თუმცა დაუშვებელია ამ მიზნით შენობის გეგმარებითი სტრუქტურის ან დეკორის შეცვლა“ (ბ. ფილდენი, ი. იოკილეტო, 2007, გვ. 188). მე-6 მუხლის თანახმად, “ძეგლის კონსერვაცია გულისხმობს იმ გარემოს შენარჩუნებასაც, რომელიც არ არღვევს მასშტაბს. ყოველთვის, როცა არსებობს ტრადიციული გარემო, იგი შენარჩუნებულ უნდა იყოს. არ უნდა იქნეს დაშვებული იმგვარი ახალმშენებლობა, ნგრევა ან გადაკეთება, რომელიც შეცვლის მასისა და ფერის არსებულ ურთიერთმიმართებას“ (ბ. ფილდენი, ი. იოკილეტო, 2007, გვ. 189).

ვენეციის ქართია და საერთაშორისო სამართლის სხვა დოკუმენტები,⁶ რომლებიც უზრუნველყოფენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მოვლისა და ავთენტურობის შენარჩუნების მექანიზმებს, ცხადყოფენ რომ ოკუპირებულ რეგიონში მიზანმიმართულად მიმდინარეობს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობის ხელყოფა, რაც საქართველოს ხელისუფლების, სამეცნიერო საზოგადოებისა და უბრალო მოსახლეობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

ზემოაღნიშნული ფაქტები კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ, რომ აფხაზეთის აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მომხდარი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების იდენტობის მიზანმიმართული გადაკეთება მიზნად ისახავს ძტარის ფალსიფიკაციას და ძრძელო სოციალურ-კულტურული იქსპანსიის შეცვლას.

ლიტერატურა

- ლ. ახალაძე, 2005 - ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. თბ., 2005.
- ჯ. გამახარია, 2006 - ჯ. გამახარია, წმ. აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, თბ., 2006.
- ვახუშტი 1973 - ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წიგნში “ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.
- თ. ჟორდანიას, 1902 - თედო ჟორდანიას, მოქვის ეკლესიის ომოფორი ისტორიული წარწერებით, გაზ. “ივერია“, №№92. 1902.
- ვ. სილოგავას, 2004 - ვ. სილოგავას, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბ., 2004.
- ჰ. სტოველი, 2007 - ჰერბ სტოველი, რისკისთვის მზადყოფნა: მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სახელმძღვანელო, თბ., 2007.

⁶ ჰააგის კონვენცია (14 მაისი, 1954 წელი, კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ობიექტების დაცვის შესახებ), კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (16 ნოემბერი, 1972 წელი), კონვენცია კულტურული ობიექტების უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვის საშუალებების შესახებ (14 ნოემბერი, 1972) და ა. შ. გარდა ამისა, არსებობს რეკომენდაციები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (1956, 1960, 1962, 1964, 1968, 1972, 1976, 1978, 1980 წლების რეკომენდაციები). ასევე არსებობს ძეგლების, ანსამბლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციის სწავლებისა და წერტილის სახელმძღვანელო პრინციპები.

ბ. ფილდენი, ი. იოკილეტო, 2007 - ბერნარ მ. ფილდენი, იუკა იოკილეტო, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები. თბ. 2007.

ა. კაცია, 1963 - А. Кацья, Илори (памятник XI века), Сухуми. 1963.

ა. კაცია, 1968 - А. Кацья, Архитектурный памятник в Илори (Автореферат). Тб., 1968.

ბ. უვაროვა, 1891 - П. Уварова, Кавказ, Абхазия, Аджария, Шавшетия. Путевья заметки. ч. II. М. 1891.

ბ. უვაროვა, 1894 - Ё. Уварова, Христианские памятники Кавказа, Материалы по археологии Кавказа, вып. IV. М. 1894.

LIA AKHALADZE

ON THE QUESTION OF RESTORATION OF THE ILORI CATHEDRAL

One of the greatest examples of the XI century Georgian architecture - the Church of St. George of Ilori is asking for help. Recently “restoration works” were done to the church as a result of which instead of single-nave design we have received a nondescript building that has a Russian dome installed on it. According to words of XVIII century Georgian historian Vaskushti Bagrationi “Ilori Church is of St. George... The church is dome-less, small, rich and beautiful”. Information about the Ilori Church can be seen in works of Catholic missionaries, Jean Chardin, Marie Brosse, A. Pavlinov, D. Bakradze and others.

According to their description, the church was of a dome-less single-nave design that had annexes of various kinds on its northern, southern and western sides. In XX century architecture of the Ilori Church was studied by Abkhazian art historian A. Katsia who dedicated a dissertation and monograph to this issue. The works unequivocally stresses that the Ilori Church is a wonderful example of the XI century Georgian architecture.

As a result of “restoration works” carried out by Russia six Georgian lapidary inscriptions on the facades of the church were erased and plastered. One of them was erased back in XX century although in the eighties of XX century some traces were still left of the inscription. The mentioned inscriptions mentioned religious and civilian patrons, those that built the church such as local feudal Giorgi Gugenisdze, Archbishop Giorgi, priest Giorgi Kocholava, builders Giorgi and Mikael, local worshipers etc. The mentioned epigraphic materials and historical sources confirm that the Ilori Church was one of the most important places of worship in Georgia of middle ages.

In the XVII century patron of the church Levan II Dadiani (1611-1657) initiated its restoration and modification. Unfortunately, in 1736 the Ilori Church was burnt by Ottoman Turks. Presumably, it was then when a large part of frescoes were destroyed. The Church was eventually restored again by princes of Odishi in the XIX century. Today, as a result of Russian “restoration” interior of the church has been damaged, those parts of frescoes that were still left there have been erased and plastered.

Results of the “rstoration”:

1. Altered monument of Georgian architecture – instead of single-nave building it became a building of nondescript style that has a Russian dome installed on it (a building of such style is not known in the history of culture).

2. Georgian inscriptions that give very important information about the history of the Ilori Church, about patrons of the church, about builders and worshipers. It specifies identity of local feudal, clergy and worshipers. All three stages of Georgian script – Asomtavrui, Nuskhā-Khutsui and Mkhedruli are expressed in these inscriptions.

3. That small part of frescoes that were still left on the inner walls of the church is erased and plastered.

ქეთევან ბარბაქაძე

ერთი იშვიათი გამოცემის შესახებ

ფოლკლორის სწავლების საკითხი არაერთი მკვლევრის შესწავლის საგანი გამხდარა. მის საწყისებს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ვხვდებით (პ. უმიკაშვილი, "ქართული ანბანი", 1864, გოგებაშვილი ი., "დედა ენა", 1876წ, არხიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის "სიტყვიერების თეორია", ტფ., 1898წ, კელენჯერიძე მ., "სიტყვიერების თეორია", 1898, კელენჯერიძე მ., "ქართული ქრესტომატია ანუ კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებისა", ტ. I, წიგნი პირველი, 1907, გორგაძე ს., "ჩვენი ძველი მწერლობა და სახალხო პოეზია", ქუთ., 1915).

ზეპირსიტყვიერების სწავლება ახალ საფეხურზე აიყვანა ცნობილმა რომანისტმა და პედაგოგმა ვასილ ბარნოვმა, რომელიც "ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა ქართულ სკოლას, როგორც საუკეთესო მასწავლებელი, შეუდარებელი მეთოდისტი და გულისხმიერი აღმზრდელი" (სახ. განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, 1958, გვ. 238). იგი მუშაობდა მასწავლებლად ახალსენაკში (ცხაკაია), თელავში და, საბოლოოდ, თბილისში — სასულიერო სემინარიაში. 1918 წელს კი მიწვეულ იქნა სახალხო უნივერსიტეტის ლექტორად. ვ. ბარნოვის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი 1919 წელს გამოცემული შრომა "ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები", რვეული პირველი. გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის 1921-1923 წლებში გამოცემული ნარკვევები: "არსენა" (1921), "ამირანი" (1923), "აბესალომ და ეთერი" (1923). ამჭერად ყურადღებას შევამჩნევთ მის "გაკვეთილებზე".

ნაშრომი წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას. ის 1919 წლის შემდეგ ცალკე წიგნად აღარ გამოცემულა. 1964 წელს ის შეტანილ იქნა ვ. ბარნოვის თხზულებათა სრული კრებულის მეათე ტომში. ამდენად, მნიშვნელოვანია სწორედ 1919 წლის გამოცემის მიმოხილვა.

1919 წელს გამოცემული "ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები" შედგება წინასიტყვაობისა და 24 თავისაგან. ნაშრომი მოიცავს 94 გვერდს. წინასიტყვაობაში მწერალი და ცნობილი პედაგოგი შენიშნავს სკოლებში სახელმძღვანელოს არქონას: "დამხვდა ეს სიძნელე და იძულებულ მყო ამეცდინა დაბრკოლება: ვადგენდი გაკვეთილებს და ისე ვასწავლიდი; კლასში ვათვალისწინებდი გაკვეთილის ნაკლს და ვაუმჯობესებდი, საჭიროდ მიმაჩნია გამოიცეს პირველი რვეული ამ გაკვეთილებისა. თუ გამოსადეგი აღმოჩნდა, დანარჩენებიც მოჰყვება: მზად არის მთელი მასალა".

ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ "გაკვეთილების" II და III ტომის ხელნაწერს. ასევე "სიტყვიერების ისტორიის" I ნაწილს. შესაძლოა იმიტომ, რომ მხოლოდ შავი სახით არსებობდა და როგორც სარა ბარნაველი იგონებს: "ყველა ნაწარმოების შავები არა არის შენახული, რადგან, როგორც თვითონ უთქვამს. პირველ ხანებში ნაწარმოების დაბეჭდვისას ხვედა შავებს, შემდეგში, მეუღლის (ჩიკვითა, შავებს ინსაჯდა" (ლიტ. მუზეუმი, 13121-ს:3).

მრავალსაუკუნოვანი ზეპირსიტყვიერების შესწავლას იგი იწყებდა სიტყვიერების განმარტებით: "სიტყვიერება ეწოდება გონების საყურადღებო ნაწარმოებს, რომელიც გამოთქმულია სიტყვით." (ვ. ბარნოვი, 1919, გვ. 5).

დიდმა პედაგოგმა პერიოდებად დაჰყო ხალხური სიტყვიერება, გამოკვეთა ქართული მითოლოგიის საფუძვლები. ხალხურ ნაწარმოებთა შინაარსის გაცნობის შემდეგ გვაძლევს თითოეული გმირის დახასიათებას, იხილავს ქართულ საისტორიო თქმულებებს, "გაკვეთილების" დასასრულს კი გამოკვეთს "ეთერიანის" დედააზრს. "აი ეს დედააზრი: მაღალი წოდება და დაბალი წოდება თვით განგებისაგან არიან განსაზღვრულნი და იმათ ვერ შეაერთებს უძლიერესი ძალა სიყვარულისა ვერც ამქვეყნად, ვერც იმქვეყნად" (ვ. ბარნოვი, 1919, გვ. 91).

საინტერესოა, რამდენადაა დაცული 1919 წლის "გაკვეთილები" 1964 წლის თხზულებათა სრულ კრებულში. შედარებისას აღმოჩნდა გარკვეული მსგავსება-განსხვავებანი. 1964 წლის თხზულებათა სრული კრებულის მე-10 ტომს გაკვეთილების წინასიტყვაობა არ ერთვის. 1919 წლის გაკვეთილების თითოეულ თემას თან ერთვის კონსპექტი (რომელშიც, შესწავლილი მასალიდან გამომდინარე, გარკვეული კითხვებია ჩამოყალიბებული). მაგალითად: "1. რა არის სიტყვიერება? 2. რას იპყრობს თავისი შინაარსით სიტყვიერება? 3. სიტყვიერება ზეპირი და წერიითი ანუ ხალხური და ავტორისაგან თხზული. 4. როგორ ჩნდება ხალხური ნაწარმოები? 5. გარჩევა ხალხური ანუ უბირი ნაწარმოებისა და ხელოვნური ნაწარმოებს შორის? 6. რა აქვს საერთო უბირს და ხელოვნურ ნაწარმოებთ?" და თემა (საკითხი, რის შესახებ უნდა ემუშავათ სახლში დამოუკიდებლად, მაგალითად: 1. ჩასახვა და განვითარება ხალხური ნაწარმოებისა (მსჯელობა და მაგალითებით დასურათება მსჯელობისა, 2. კავშირი ხელოვნური ნაწარმოებისა ხალხის ცხოვრებასთან"), თუმცა ვერ ვხვდებით 1964 წლის ათტომეულში. 1919 წლის გამოცემაში თითოეულ საკითხს გააჩნია თავისი ნუმერაცია, რასაც ვერ ვხვდებით 1964 წლის გამოცემაში.

საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ 1964 წლის გამოცემაში ვხვდებით ადგილებს, რომელიც არაა 1919 წლის გამოცემისთვის დამახასიათებელი. მაგალითად, 1919 წლის გამოცემაში გვხვდება ასეთი თავი (მე-20) ზღაპარი ანუ არაკი, რომელიც მთავრდება კონსპექტითა (1. ზღაპარი და მისი მნიშვნელობა. 2. რას მოგვითხრობენ ზღაპრები საზოგადოდ. 3. ძირითადი ხასიათი ზღაპრული მოთხრობისა. 4. ზღაპრების განყოფა შინაარსისამებრ. 5. მითისმაგვარი ზღაპრები და მათი საზოგადო შინაარსი. 6. საზნეობო და სამოძღვრო ზღაპრები და მათი მნიშვნელობა. 7. არაკები პირუტყვთა შესახებ და რომელ დროს ეკუთვნიათ იგინი? 8. საგამოცანო ზღაპრები და მათი უმთავრესი დანიშნულება) და თემით (მსგავსება და განსხვავება პირუტყვთა შესახებ ზღაპრებისა და იგავ-არაკებს შორის). ანალოგიურ თავს 1964 წლის გამოცემაში დართული აქვს საზნეობო ზღაპარი "ჯომარდი და ნამარდი", ასევე ზღაპარი პირუტყვთა შესახებ "უქნარა" და საგამოცანო ზღაპარი "მეთევზე და სოლომონ ბრძენი". ჩვენი აზრით, ზემოხსენებული ხალხური ნაწარმოებები 1964 წლის გამოცემაში შეტანილია სარედაქციო კოლეგიის მიერ (გიორგი ლეონიძე, სოლომონ ყუბანეიშვილი, მიხეილ ჩიქოვანი). მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში (1964), ვფიქრობთ, ავტორის სიცოცხლეში გამოცემული წიგნი უნდა განთავსებულიყო და არა "გაკვეთილების" შეცვლილი ვარიანტი.

ვ. ბარნოვის ზემოხსენებული მეთოდიკური შენიშვნა, დღესაც დიდად საყურადღებოა. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის მეთოდიკური დამუშავების დონე ახლა არსებითად სხვაა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ “ბევრ შემთხვევაში” დიდი მოცულობის ნაწარმოებთა სწავლება ჯერჯერობდა ახლაც არ არის დამუშავებული. ძნელდება დიდი მოცულობის თხზულების სწავლებისას კლასში გასაცნობად რა შეირჩეს და დამოუკიდებელ მუშაობისათვის რა მიეცეთ მოსწავლეებს როგორც კლასში, ისე კლასგარეშედ. ყოველივე ამის გამო, ვ. ბარნოვის, როგორც პროგრესული პედაგოგის, ზრუნვა იმის შესახებ, რომ მოსწავლეთა მუშაობა რომელიმე შესასწავლი ნაწარმოების გასაცნობად “უბარაქოდ” არ დაიკარგოს, დღესაც უდავოდ გასათვალისწინებელია.

ვ. ბარნოვი ერთგვარ ნაკლად თვლის ყოველი გაკვეთილის ბოლოს კონსპექტებისა და თემების მითითებას, რადგან ასეთი მეთოდიკური რეკომენდაციებით თურმე ჭრელდებოდა გაკვეთილი.

“მთელ წიგნს რომ დავათავებ — წერს იგი — თემებისა და კონსპექტების კრებულს ბოლოში მოვაქცევ. იქნება ზოგი გაკვეთილი მოზრდილი აღმოჩნდეს: მასწავლებელი დაანაწილებს, მოსწავლეებს შეუფერებს” (ვ. ბარნოვი, 1919, გვ. 1).

როგორც ზემოთქმულიდან ირკვევა, ვასილ ბარნოვის “სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილების” 1919 წლის გამოცემა მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული თვალსაზრისით, ისე სადღეისოდაც, რამდენადაც ბარნოვისეული მიდგომა ფოლკლორის სწავლებისადმი სკოლაში საინტერესო მაგალითის მომცემი იქნებოდა როგორც დაწყებით, ისე საბაზო კლასებთან მომუშავე ქართული ლიტერატურის მასწავლებლებისათვის.

ლიტერატურა

ს. ბარნაველი - სარა ბარნაველი, ვ. ბარნოვის ნაწარმოებთა თემები, ლიტ. მუზეუმი, 13121-ბ.

ვ. ბარნოვი, 1919 - ვ. ბარნოვი, “ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“, ტფ., 1919.

სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, პედ. მეცნ. ინსტ. თბ., 1953.

KETAVAN BARBAKADZE**ABOUT ONE RARE EDITION**

Teaching Folklore has become a subject of study of a number of scientists. Its roots date back to the end of the XIX century though Vasil Barnov, a well known teacher and novelist, has done a great deal of mite in the popularization and teaching of folklore.

“The Lessons of the History of Georgian Folklore” published in 1919 is the representative of a bibliographical rarity.

The book published in the life of the author stands higher by its value than the book published after his death.

Each theme of “The Lessons” published in 1919 is enclosed by a synopsis (where a kind of questions concerning the studied material are formed) and the theme (the subject matter which was to be worked on independently at home) which is omitted in the publication of 1964.

Vasil Barnov by “The Lessons” brought an important mite in the Georgian pedagogical folklore study.

ნომადი ბართაია

"შაჰ-ნამეს" ორი ბმირის – როსტომისა და ზურაბის სახელთა აღმავლობისათვის ქართულ ცნობიერებაში

არც ერთი სხვა ქვეყნის საერო მწერლობა ისე არ გადამუშავებულა ქართულ ცნობიერებაში, როგორც სპარსული. სპარსული ძეგლებიდან კი არც ერთი სხვა ნაწარმოები ისე არ გაქართულებულა, როგორც "შაჰ-ნამე".

"შაჰ-ნამე" ორჯერ შემოვიდა ქართულ მწერლობაში, პირველად XII საუკუნეში და მეორედ – XVI-XVIII საუკუნეებში, სამწუხაროდ, "შაჰ-ნამეს" ქართულმა ვერსიებმა მხოლოდ XVI-XVIII საუკუნეებიდან მოაღწია ჩვენამდე.

აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ "შაჰ-ნამეს" ქართველები მანამ იცნობდნენ, სანამ ფირდოუსი შექმნიდა მას. იცნობდნენ მისი პირველწყარო – "ზვადაი-ნამაქიდან" ("მეფეთა წიგნი"). ამის დასტურია ამ პოემის გმირთა საშუალო სპარსული ფორმები, რომლებიც შემოგვინახა ქართულმა წყაროებმა.

ქართველი ხალხი "შაჰ-ნამედან" როსტომისა და მასთან დაკავშირებული საგმირო ამბებით უფრო დაინტერესებულა და ქართულად "შაჰ-ნამესთვის" "როსტომიანი" დაურქმევიათ.

"შაჰ-ნამეს" გმირთა სახელები: როსტომი (rostam), ზურაბი (←sohrb), გივი (←giv), თემურაზი (←tahmurāsb), ჯემშიდი (←jamshid), უშანგი (←hushang), მანუჩარი (←manuchehr), ბეჟანი (←bijan), მანიჟა (←manija) თამაზი (tahmāsb), გოდერძი (←godarz), ხოსრო (←xosro), ქაიხოსრო (←kaixosro), აფრასიონ (←afraśyāb), მერაბი (←mehrāb), ფრიდონი (←feridun), როდაბი (←rodabe), შიო (←siāu)... საქართველოში ოდითგანვე ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ ისინი ქართულ ეროვნულ სახელებად ქცეულან.

არც ერთ სხვა ქვეყანაში "შაჰ-ნამე" ისეთი პოპულარული არ ყოფილა, როგორც საქართველოში. თამაზად შეიძლება საქართველო "შაჰ-ნამეს" მეორე სამშობლოდ მივიჩნიოთ.

"შაჰ-ნამეს" გმირთა სახელები საქართველოში სამ ნაკადად არის შემოსული.

პირველი ნაკადი შემოვიდა ფალაურტიდან (IX ს. მდე), ფირდოუსის პირველწყარო "ზვადაი ნამაქიდან" ("შაჰ-ნამე").

მეორე და მესამე ნაკადი შემოვიდა ახალი სპარსულიდან ფირდოუსის "შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების მეშვეობით, პირველი – XII საუკუნეში, ხოლო მეორე – XV-XVIII საუკუნეებში.

"შაჰ-ნამეს" პირველი ტომი გამოაქვეყნა პროფესორმა იუსტინე აბულაძემ 1916 წელს. მასში სამი ნაწარმოებია შესული: ა) ზააქიანი მამუკა თავაქალაშვილისა (XVIII ს.) ბ) საამიანი ბარიმ ვაჩნაძისა (XVIII ს.) და ხოსრო თურმანიძის (XVI-XVII ს.).

შაჰ-ნამედან შემოსულია "ფრიდონიანი" და "როსტომიანი".

ქართულ ლიტერატურაში არსებობს “შაჰ-შანეს” მიბაძვანიც: “უთრუთიან-საამიანი”, “ზააქიანი”, “ზარზუნამე”, “საამნამე”, “ზაამიანი”, “სირინოზიანი”, “ყარამანიანი”.

არსებობს “შაჰ-ნამეს” როგორც პროზაული, ისე, ლექსითი ვერსიები. ამჟამად ჩვენი ყურადღება მიიპყრო როსტომისა და ზურაბის სახელების ადაპტაციამ ქართულ ცნობიერებაში.

როსტომის შესახებ:

“შაჰ-ნამეს“ და არა მხოლოდ “შაჰ-ნამეს“ მიხედვით როსტომი სიმბოლოა ფიზიკური სიძლიერისა.

ქართულ წყაროებსა და მხატვრულ ძეგლებშიც ასეთივე სურათია:

“ქართლის ცხოვრება“:

“ანუ ვისიმცა ნება მოხლომდა დავითის მოყმისა, ბაყათარისა და თარხნისა მსგავსისა, ეფრემიამისა და დიდებულთა ბუმბერაზთა და მოყმეთა, მსგავსთა როსტომისთა და გივისა“ (“ქართლის ცხოვრება“ 1959, გვ. 65).

“ვეფხისტყაოსანი“:

“ისრითა მოკლის ნადირი როსტომის მკლავთ უგრძესითა“ (რუსთველი 1966; 196,3).

“ვისრამიანი“:

“თუ რამინ სიგრძითა ნაძუსა ჰგავს და ჭაბუკობითა როსტომს უფროა, მე არად მომინდების“ (გორგანელი, 1962, გვ. 83).

“ნეტარძი, თუმცა ცხენსა ზედა მჯდომი მაშურალი ვნაზო, რომელ პირი ჩემკენ ექმნას და ზურგი მარავისკენ! ნეტარ ვერ ვნაზავ ჩემთუის მოსრულსა ჭაბუკად როსტომის საბატონისა“? (გორგანელი, 1962, გვ. 113).

საინტერესოა აღნიშვნა იმისა, რომ თვით ნათარგმნ ძეგლში “ვისრამიანშიც“ კი იხსენიება როსტომის სახელი, როცა იგი დედანში არ არის.

ქართულ ცნობიერებაში (ფოლკლორში) კი როსტომი, ფიზიკურთან ერთად, სიბრძნის სიმბოლოც არის.

ქართულ ხალხურ პოეზიაში როსტომის შეგონებებთან დაკავშირებული სტროფები ძირითადად იწყება ასე — როსტომ თქვა.

მოვიყვანთ მაგალითებს:

როსტომ თქვა

* * *

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ,

ჯირითი შემოვისრიე;

მეზობლის შაძულებასა,

ისევ დათმობა ვარჩიე.

* * *

როსტომ თქვა: დღეიმც კრულია
 დაბადებისა ჩემისა;
 რაც რო მე გამოვიზარდე,
 დღე ვერა ვნახე ლხენისა;
 სიყრმე სიბერედ ვაქციე,
 გაქრა სინათლე ჩინისა;
 ვერც გული გავალბინე-რა,
 უღელი მედგა რკინისა.

* * *

როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს,
 ამ ჩემსა მოგონებასა,
 ერთხელ სჯობია სიკვდილი
 სულ მუდამ დაღონებასა.

* * *

როსტომ თქვა: ესე სოფელი
 კაცს გულში გაუქანდება,
 ვინცა სთქვა: ახლა მე დამრჩა,
 არც იმას გაუთავდება.

* * *

როსტომ თქვა: იმ მთას, ამ მთასა,
 ხელს მოვკრავ, ერთად თავს უზამ,
 ათას ლიტრასა რკინასა
 კბილს მოუჭერ და ყლაპს უზამ.
 თავადებულსა დიაცსა
 გაუშვებ, ვეღარას უზამ.

* * *

როსტომ თქვა: მიწა გრილია,
 სიტყვას არ უნდა გრილობა,
 კაცი რომ საქმეში იყოს,
 გარჯა უნდა და ცილობა.

* * *

როსტომ თქვა: სამი ქართული
 ჩინეთის ქვაზე სწერის,
 ვიზეც დავთესე სიკეთე,

ის უფრო ჩემი მტერია.

* * *

როსტომ თქვა: სიბერეკაცითა
სიტყვას არ უნდა რბილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა.

* * *

როსტომ თქვა: სიბერეკაცითა
სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
წადით და ჰკითხეთ დიაკვანს,
როსტომის ხმალსა რა სჭირდა,
კურტნიან აქლემს ჩამოჰყრა,
ცხრა აღლ მიწასა სხვას სჭრიდა.

* * *

როსტომ თქვა: ჰკვა დიაცისა,
არც მომწონს, არც მეკეთება,
კაცსა დიაცის მჯერესა,
სამარემც დაეკეთება,
ჯერ ხომ შენია დიაცი,
მერე სხვას შეეკეთება.

* * *

სიბერე როსტომსაც მოერევა.

* * *

მშია, მშია, კატა მქვია,
რომ გავძლები — როსტომ მქვია.

ზურაბის შესახებ:

“შაჰ-ნამეს” ერთ-ერთი პერსონაჟის სახელი ზურაბი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელია. იგი წარმოადგენს სოჭრაბის ქართულ ფონეტიკურ ვარიანტს.

სოჭრაბის ანუ ზურაბის ტრავიკული ისტორია “შაჰ-ნამეს” მიხედვით ასეთია:

ირანის უძლეველი ლეგენდარული ფალავანი როსტომი დაქორწინდება თურანელი სამანგანის შაჰის ასულ თეჰმინეზე. სულ ერთი ღამე გაატარეს შეუღლებულებმა ერთად. დილით, გამომშვიდობებისას, როსტომმა თეჰმინეს მძივი დაუტოვა და უთხრა: თუ ქალიშვილი დაიბადება, ეს მძივი თმაში ჩაუწანი, თუ ვაჟიშვილი — მკლავზე გაუკეთო.

თეჰმინეს გაუჩნდება ვაჟი, რომელსაც ზურაბს დაარქმევს. ზურაბიც მამასავით უძლეველი მეომარია. მას უნდა ქეიყოფადი ტახტიდან ჩამოაგდოს და მის ნაცვლად ირანის ტახტზე როსტომი დასვას. ამ მიზნით იგი დაიძრება ირანისკენ.

როცა როსტომმა გაიგო თურანელთა ირანისკენ გამოლაშქრების შესახებ, შეკრებს ლაშქარს და თურანელთა ლაშქარს დახვდება. ბრძოლის ველზე ერთმანეთს შეერკინებიან ირანისა და თურანის უძლეველი მხედართმთავრები როსტომი და ზურაბი, სადაც მამა კლავს თავის უცნობ, შვილს, რომლის ვინაობასაც მას მერე გაიგებს, რაც მოკლულის მკლავზე ნახავს მისთვის საჩუქრად დანატოვარ მძივს.

ირანში არსებობს “შაჰნამეხანების” (“შაჰ-ნამეს” მკითხველების) ინსტიტუტი, რომელთა შორის ყველაზე პოპულარულია როსტომისა და ზურაბის ურთიერთშებრძოლების ეპიზოდი. ხშირია შემთხვევა, როცა შაჰნამეხანი მივა იმ მომენტამდე, რომ მამამ უნდა მოკლას შვილი, ხალხი დარბაზიდან გარბის, ან წინასწარ ქრთამს აძლევენ მას, რომ ის საზარელი ადგილი გამოტოვოს.

ისევე, როგორც ირანში, საქართველოშიც არის ტრავიზმით გამორჩეული სახე ბავშვისა, რომლის სახელია ზურაბი და რომელზედაც მოგვითხრობს სურამის ციხის ლეგენდა.

ლეგენდის მიხედვით, როცა სურამის ციხეს აშენებდნენ, კედლები სულ ინგრეოდა. გამოსავლის ძიების მიზნით, ხალხმა მკითხავს მიმართა, რომლის რჩევით ციხის კედელი მანამ არ გამაგრდებოდა და ციხე არ აშენდებოდა, სანამ ბავშვს მასში ცოცხლად არ ჩაატანდნენ და არ ჩააშენებდნენ.

მკითხავს დაუჯერეს, ციხის კედელში ცოცხლად ჩააშენეს ბავში, სახელად ზურაბი და ციხეც აშენდა.

ეს უშემზარავესი ამბავი ხდება დედის თვალწინ. დედა-შვილს შორის კი ასეთი ტრავიკული დიალოგი იმართება:

- შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე, დედი, მუხლამდის,
- შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე, დედი, წელამდის?
- ვაიმე, შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე, დედი, მკერდამდის?
- ვაიმე, შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე, დედი, ყელამდის?
- ვაიმე, შვილო, ზურაბ, სადამდის?
- ვაიმე, დედი, პირამდის?
- ვაიმე, შვილო, ზურაბ სადამდის?
- ვაიმე, დედი?..

ზურაბი ცოცხლად ჩააშენეს ციხის კედელში, რის შედეგადაც კედელიც გამაგრდა და ციხეც აშენდა.

იბადება კითხვა — რატომ ჰქვია ციხის კედელში ცოცხლად ჩატანებულ ბავშვს მაინცდამაინც **ზურაბი** და არა სხვა სახელი?

ბუნებრივია, საქართველოში რამდენადაც პოპულარული იყო “შაჰ-ნამე”, იმდენად პოპულარული იქნებოდა მისი ორი მთავარი გმირის — როსტომისა და **ზურაბის** სახელები.


როსტომის სახელთან დაკავშირებით გვქონდა საუბარი.

რაც შეეხება **ზურაბის** ტრაგიკულ სახელს, ჩვენი აზრით, იგი, ქართულ ცნობიერებაში, “შაჰ-ნამეს” პერსონაჟის სოჭრაბის, იგივე **ზურაბის**, ტრაგიკული სახელიდან უნდა იყოს მომდინარე.

სურამის ციხე, რომელიც ქართულ წყაროებში იხსენიება XVII საუკუნიდან, დღესაც მტკიცედ დგას საქართველოში, ხოლო ლეგენდა ციხის შესახებ, ისევე ტრაგიკულს ხდის **ზურაბის** სახეს, როგორც ეს “შაჰ-ნამეშია”.

ენათმეცნიერულად სურამი და **ზურაბი** სოჭრაბის ქართული ფონეტიკური ვარიანტებია:

sohrâb -> suhrâb -> surâb



ამგვარად, “შაჰ-ნამეს” ორი გმირის სახელიდან ერთმა განიცადა გარკვეული შინაარსობრივი ცვლილება — ფიზიკური სიძლიერის სიმბოლო — **როსტომი** ქართველთა წარმოდგენაში ბრძენის სიმბოლოდაც დამკვიდრდა, ხოლო **ზურაბის** ტრაგიკული სახე ისევე ტრაგიკულად დარჩა, როგორც ეს “შაჰ-ნამეშია”.

ლიტერატურა

ანდაზები, 1991 - ანდაზები, “ქართული ანდაზები და გამოცანები”, შეადგინა ჯ. სონღულაშვილმა, თბ., 1991.

ანდაზები, 1959 - ანდაზები, “ქართული ანდაზები”, შეადგინა ა. კანდელაკმა, თბ., 1959.

გორგანელი, 1962 - გორგანელი, ფაზრ ელ-დინ, “ვისრამიანი”, აღ., გვაზარიასა და მ. თოდუას რედაქციით, თბ., 1962.

შ. რუსთაველი, 1966 - შ. რუსთაველი, “ვეფხისტყაოსანი”, ა. შანიძისა და აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966.

“ქართლის ცხოვრება NOMADIBARTAI”-ის შესავალი ცხოვრება”, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, II, თბ., 1959.

FOR ADAPTATION OF CHARACTERS ROSTOM AND ZURAB FROM
“SHAH-NAME” BY FIRDOUS IN GEORGIAN CONSCIOUSNESS

“Shah-Name” by Firdous has always been very popular in Georgia, the names of its characters have become national, including the names of father and son – Rostom (rostm) and Zurab (sohrâb).

Rostom is described as a symbol of invincible hero in “Shah-Name”. According to Georgian Folk literature Rostom is the face of wise man as well.

According to the Georgian legend in order to prevent the destruction of the wall of Surami fort, due to the advice of fortuneteller a child was installed lively. The name of the child is Zurab.

Is it possible that the name of the child with tragic fate is Zurab is chosen accidentally?

I think that accident has nothing to do with this case. It is supposed to be the reflection a character from “Shah- Name”- Zurab, a person full with tragedy. (“In Shah-Name” a father kills his son, who is unknown for him)

According to linguistic viewpoint Zurabi and Surami are the Georgian phonetic versions of Sohrabi _ a character from “Shah-Name”.

sohrâb -> suhrâb -> surâb

↓ ↓
zurâb(i) surâm(i)

დავით ბერძენიშვილი

წმინდა გიორგის გამოსახულებიანი კალიკტერის
ანტიფიქსი გელა მესხეთიდან

ქართველ ტომებში სამშენებლო კერამიკის წარმოებას და გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და საქართველოში უძველესი ისტორია აქვს.

არქეოლოგიურ აღმოჩენათა შედეგად და ისტორიული ძეგლებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში მაღალ დონეზე იყო გავრცელებული სხვადასხვა მასალიდან აშენებული ნაგებობანი: ეკლესია-მონასტრები, სამეფო და დიდებულთა სასახლეები. არსებობდა კლდეებში გამოკვეთილი საცხოვრებელი სახლები და ქალაქებიც (კ. მელითაური, 1961). მოღწეული ძეგლები ამტკიცებდნენ ხუროთმოძღვრული ხელოვნების, სპეციალური სამშენებლო ცოდნისა და წესის არსებობას და ადასტურებდნენ გარკვეული ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციის არსებობას საქართველოში.

ჩვენში რომ არქიტექტურულ ნაგებობათა მხატვრულ გაფორმებას საგანგებო ყურადღება ექცეოდა, ეს კარგად ჩანს მცხეთაში აღმოჩენილი მეოთხე საუკუნის ეპიტაფიითაც, სადაც იხსენიება “შთავარი მხატვარი და არქიტექტორი ავრელი აქოლისი” (ს. ყაუხჩიშვილი, 1951, გვ. 253).

ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში საქართველოში მშენებლობისას ალიზის აგურთან ერთად ფართოდ არის გამოყენებული კრამიტი, რასაც ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა: “...მართლაც იბერია კარგადაა დასახლებული მეტწილად როგორც ქალაქებად, ისე დაბეებად; ისე, რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავები და ხუროთმოძღვრების წესით აგებული სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები” (ს. ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 127).

როგორც ფიქრობენ, სტრაბონის მიერ გადმოცემული ეს საინტერესო ცნობა ასახავს ძვ.წ. მეორე საუკუნის მდგომარეობას (ი. ჯავახიშვილი, 1946, გვ. 146).

არქეოლოგიურმა გათხრებმა არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოშიც მრავალ ადგილას დაადასტურა სამშენებლო კერამიკის — კერძოდ, ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის ფართოდ გამოყენება, რამაც ცხადყო სტრაბონის ცნობის სიმართლე.

საქართველოში აკეთებდნენ როგორც ბრტყელ, გვერდებაკეცილ, ისე ღარისებურ კრამიტსაც. ბრტყელი კრამიტი ტიპოლოგიურად სხვა ქვეყნებში გავრცელებული კრამიტისაგან არ განსხვავდება. რამდენადმე თავისებურია კრამიტი, რომელიც თავისი კონსტრუქციითა და დამზადების ტექნიკით შესამჩნევად განსხვავდება ანტიკურ სამყაროში გავრცელებული კალიკტერებისაგან.

ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ბრტყელი კრამიტი მოიხსენიება, როგორც “ბრტყელი კრამიტი”, “ბრტყელი გვერდებდაკეცილი კრამიტი”, “სოლენი”, ღარისებრი კი “ღარისებრი კრამიტი”, “ცერიაი კრამიტი”, “ღარიანი კრამიტი”, “კალიბტერი”. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად დამკვიდრდა “ბრტყელი კრამიტი” და “ღარიანი კრამიტი” ს.ს. ორბელიანთან “კრამიტი” არის “კეცის ლორფინი” (ს.ს. ორბელიანი, 1986, გვ. 420). როგორც ვხედავთ, კრამიტი და ლორფინი ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ მასალით. კრამიტი კეცისაა (თიხა), ლორფინი — ქვისა.

“ძველი ქართული ენის ლექსიკონში” კრამიტი და ლორფინი არ მოიხსენიება. მათ შესატყვისად გვევლინება “კეცი”, რომელიც განმარტებულია როგორც “თიხა, თიხის ჭურჭელი, გამომწვარი კრამიტი” (ილ. აბულაძე, 1973, გვ. 51).

თიხის ჭურჭლის მწარმოებელს ძველ ქართულში “მეკეცე” ეწოდებოდა. “მეკეცე” იმ ხელსაწნა ზოგადი სახელია, რომელიც თიხისაგან აკეთებდნენ ამა თუ იმ სახის ჭურჭელს თუ სხვა დანიშნულების საგანს, რომელშიც კრამიტის კეთებაც შედიოდა (მ. მესხია, 1982, გვ. 67, 68). საქართველოში კეცი რომ კრამიტი ყოფილა ამას ადასტურებს ახმეტის რაიონ სოფელ მატანში მოპოვებული XI საუკუნის კრამიტზე გაკეთებული ნუსხური წარწერა: “ესე კეცი რომელ სადარის ძე მიზის ამონის ვანისაი ამის მატანისაი” (ჯ. ჭღამაია, 1980, გვ. 52). მასში საუბარია კეცის, ამ შემთხვევაში კრამიტის კუთვნილების შესახებ.

საქართველოში კრამიტი გავრცელდა ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს შავიზღვისპირეთის ბერძნების ახალშენებიდან. კრამიტის ქართული სახელწოდებაც ძველი ბერძნულიდან მომდინარეობს. “კერამის”, “კერამიდოს” ნიშნავს, როგორც კრამიტს, ისე კეცს — თიხას და თიხის ჭურჭელს. იგი ქართულ ენაში შემოსულია გვიანსაშუალო საუკუნეების ხანაში (მ. ძნელაძე, 1987, გვ. 433).

ტერმინი კრამიტის ადრე არარსებობის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ საბა თავის ლექსიკონში კრამიტს “უხმარ სიტყვად” მოიხსენიებს (ს. ს. ორბელიანი, 1986, გვ. 385).

ქართული კრამიტის თანამედროვე სახე და მოყვანილობა მრავალი საუკუნის მანძილზე იქმნებოდა და მის საერთო წინაპართა შორის ჩვენში უძველესი ანტიკური ხანის ღარისებრი კრამიტებია.

ღარისებრი კრამიტი — ანუ, როგორც მას უწოდებენ “ქართული კრამიტი” — ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში და დიდი ხნის ისტორია აქვს. ამიტომ მიაკუთვნა ხალხმა ამ ტიპის კრამიტს ქართული კრამიტის სახელი. საკმაოდ დიდხანს და მრავალ კუთხეში ღარიანი კრამიტი წარმოადგენდა სახურავი კრამიტის ერთადერთ სახეს.

ვანში სწორკუთხა ქვათლილებით ნაგები საკულტო თუ საზოგადოებრივი შენობების გადახურვისას დადგენილია საკმაოდ ორიგინალური წესი: სწორკუთხა კრამიტები ზემოდან ასეთივე სწორკუთხა კრამიტით იფარებოდა, ხოლო ღარისებრი კრამიტი (კალიბტერი) გამოიყენებოდა შენობის ნაპირებზე, ამასთან ის ზურგით იდებოდა და თავისებურ წყალსადინარს წარმოადგენდა (ო. ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 279).

ანტიკურ ხანაში ცნობილი იყო კრამიტის მოჭრის ორი წესი: კრამიტის მოჭრა საგანგებო ყალიბებით და ასევე ჩარჩზე. როგორც ირკვევა, ბრტყელი

კრამიტი უკლებლივ დაზგაზე უყალიბოდ უკეთებიათ, ხოლო ღარისებრი კერამიკულ ჩარხზე (ჯ. ჭლამაია, 1968, გვ. 279).

კრამიტი იჭრებოდა ხისგან დამზადებულ სპეციალურ ფორმებში. დამლაისმებოდა ან იტვიფრებოდა ნედლ თიხაზე, კრამიტის ფორმიდან ამოღების შემდეგ, გამოწვამდე.

საკრამიტე მიწა განსაკუთრებული სიფრთხილით შერჩევას და მომზადებას მოითხოვდა. საქართველოში ძალიან სუფთა და კარგი თიხა გამოუყენებიათ საკრამიტედ. კარგად დამუშავებული ზედაპირი საღებავსაც კარგად იღებდა, ინახავდა და ლამაზად გამოჩნდებოდა. დაახლოებით ასეთია სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი კრამიტის დამზადების შესახებ (ლ. ბოჭორიშვილი, 1946, გვ. 356).

ანტიკური ხანის ქართული კრამიტი ბერძნული პროტოტიპებისაგან განსხვავდება კონსტრუქციის ცალკეული დეტალებით, ნაწილობრივ, დამზადების ტექნიკითაც. ანტიკური ხანის საქართველოში კრამიტი ხშირად წითლად იყო შეღებილი. უძველესი კრამიტი საქართველოში აღმოჩნდა ვანში (ო. ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 228), მცხეთაში (ა. აფაქიძე, 1963, გვ. 54), ეშერაში, დაბლაგომში (ბ. კუფტინი, 1949, გვ. 10), ურეკში (ო. ჯაფარიძე, 1949, გვ. 118) და სხვ.

გვიანანტიკურ და ადრესაშუალო საუკუნეებში კრამიტის წარმოება ფართოდ გავრცელდა მთელ საქართველოში. შუა საუკუნეებში კრამიტის ტიპი არ შეცვლილა, ოღონდ გავრცელდა კრამიტის ფერადი (მწვანე, ცისფერი, ღვიძლისფერი და სხვა) ჭიქურით დაფარვის წესი. განსაკუთრებით აღსანიშნავია რელიეფურგამოსახულებიანი და წარწერებიანი დეკორატიული სამშენებლო კრამიტები — ანტიფიქსები, რომლებიც ძირითადად გამოიყენებოდა ტაძრებისა და სამეფო სასახლეების შესამკობად. ჩვეულებრივი ღარიანი კრამიტისაგან განსხვავებით, შენობის ლამაზად და მოხდენილად გადმოსაცემად ანტიფიქსები სახურავის გამოსაჩენ ნაწილებში უნდა დაწყობილიყო. მნახველზე ეფექტური შთაბეჭდილების მოსახდენად "ანტიფიქსიანი კრამიტები ყოველთვის სახურავის ქვედა რიგზეა განლაგებული" (ჯ. ჭლამაია, 1969, გვ. 101).

დეკორატიული ხელოვნება წარმოიქმნა საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე. იგი საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა მხატვრული შემოქმედების მნიშვნელოვან დარგს. საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები: თრიალეთში, ვანში, მცხეთაში, ყაზბეგში და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს გრავირებული ცულები, ბალთები, ქანდაკებები, მინის ჭურჭელი, მოხატული კერამიკა, ჭედური სამკაულები, გლიბტიკური ძეგლები და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია დეკორატიული ანტიფიქსები, რომლებიც არა მარტო მაღალმხატვრული ღირებულებებით გამოირჩევა, არამედ მნიშვნელოვან მატერიალურ წყაროს წარმოადგენენ ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური ყოფისა და კულტურის შესასწავლად.

ანტიფიქსების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა აკროტერიონმა. რომელიც წარმოადგენდა ბერძნული ტაძრების სახურავზე მოთავსებულ ქანდაკებას ან რაიმე ნაძერწ ორნამენტს (ვ. ლინდერმანი, ბეკჰოფი, 1992, გვ. 9). თავდაპირველად ჩნდება ქვისგან დამზადებული ანტიფიქსები ღორიულ (პ.

ვიპერი, 1972, გვ. 85. სურ. 9) და იონურ ტაძრებზე (ბ. ვიპერი, 1972, გვ. 95. სურ. 12).

ვანის ნაქალაქარზე სამი სახის ტერაკოტული ანტიფიქსია მიკვლეული (ყიფიანი, 1993, გვ. 64, 68. ტაბ. X), რომლებიც ნაგებობის მხატვრული სახის შექმნაში მონაწილეობდა და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ანტიკური ხანის ვანის ხუროთმოძღვრულ დეკორზე.

ადრესამუალო საუკუნეებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ და მთელ საქართველოში გავრცელებამ დიდი როლი ითამაშა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ქრისტიანულ კულტურას. იგი ხელს უწყობდა ნაციონალური დამწერლობის და ხელოვნების განვითარებას. ამენდა ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ძეგლები. ფართოდ გაშლილმა საეკლესიო და საერო მშენებლობამ დიდი მოთხოვნილება წაუყენა კერამიკულ წარმოებასაც. ამ ეპოქის ყველა ანტიფიქსი თიხისაგანაა დამზადებული. ადრექრისტიანული ხანის ადრეული ეტაპის ძეგლებში ძირითადად აღმოჩენილია რელიეფური ჯვრის და, ასევე, ცხოველთა და მცენარეთა გამოსახულებიანი ანტიფიქსები. ვანტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ ქალაქ არტანუჯში მდებარე ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო ტაძარ აზიზიდან შემორჩენილია სამი ჯვრიანი ანტიფიქსი, რომლებიც ტაძრის თავდაპირველ მშენებლობას, ანუ V საუკუნის დასასრულს განეკუთვნება (გ. სილოგავა, კ. შენგელია, გვ. 2006, 18, სურ. 1,2,3). რუსთავში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ანტიფიქსი რელიეფურად გამოხატული ჯვრით, რომელიც თარიღდება V-VI საუკუნით (გ. ლომთათიძე, 1959, გვ. 349, ტაბ. XXX, 3). მრამბაში (წებელდიდან 5 კილომეტრის დაშორებით) 1981-1982 წლებში გამოვლინდა ადრექრისტიანული ხანის დარბაზული ეკლესია (VI-VII სს), რომელშიც აღმოჩნდა ანტიფიქსი ჯვრითა და სხვა სიმბოლოებით (ვარსკვლავი, მთვარე, ხე და ა.შ.) (ი. ბერძენიშვილი, 2006, გვ. 167,168 ტაბ. XVIII, 3). ურბნისის ნაქალაქარში აღმოჩენილია სამი ანტიფიქსი, ერთ მათგანზე დაბალი რელიეფით გამოყვანილია ჯვარი და სტილიზებული ირემი. მეორე ანტიფიქსზე ორი განედლებული ჯვარია გამოსახული, ხოლო მესამეზე — ერთი (ჯღამაია, 1980, გვ. 16). ურბნისის გარეუბანში, ქვაცხელაში აღმოჩენილი ანტიფიქსი წარმოადგენს წრიულ ჩარჩოში მოთავსებულ სტილიზებულ ირმის ფიგურას, ფეხებს შორის და ზურგზე თითო პატარა შვლით (ივ.ჭავჭავაძე, ალ. ლლონტი, 1962, გვ. 3), რომლის კომპოზიცია, ოღონდ სხვა მანერით, ემსგავსება გვიანანტიკური ხანის ბრინჯაოს ბალთებს (ზიდაშელი, 1972, გვ. 15). ათამდე ანტიფიქსია აღმოჩენილი ნოქალაქევში სამეფო სასახლისა და ორი ბაზილიკური ეკლესიის გათხრების დროს. ყველა მათგანზე ჯვარია გამოსახული და თარიღდება VI საუკუნის დასაწყისით (ბ. ზაქარაია, თ. კაპანიძე, 1991, გვ. 91, 92. სურ. 44, 2).

ქუთაისის სხელმწიფო ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციაში დაცულია ჯვრის გამოსახულებიანი ადრექრისტიანული ხანის ადრეული ეტაპის რვა ანტიფიქსი (სურ. 1). მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 2006 წელს ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელ-ლი პროფ. ო. ლანჩავა) მიერ ბაგრატის ტაძრის ინტერიერში გამოვლენილი ორი ანტიფიქსი. ერთი მათგანი ხელითაა ნაძერწი (ო. ლანჩავა, 2007, გვ. 113. სურ. 99), რომლის ზედაპირზე ჯვარია გამოყვანილი (ამოზიდული) (სურ. 2), გარდა ამ ანტიფიქსისა, ექსპოზიციაში

წარმოდგენილი ყველა სხვა დანარჩენი ყალიბშია დამზადებული. ეს კი ხელითაა ნაძერწი, რაც მის ადრეულობას ადასტურებს და V-VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ბაგრატის ტაძრის ქვედა ფენაში — VII-VIII საუკუნეების ბაზილიკაში აღმოჩენილი ოდნავ რელიეფურ ასომთავრულწარწერიანი და სწორი განივი ხაზის ქარაგმით ანტეფიქსის ფრაგმენტი (გაბრიელი) (ო. ლანჩავა, 2007. გვ. 151. სურ. 152). ესაა დასავლეთ საქართველოში ჭერჭერობით ყველაზე ადრინდელი ეპიგრაფიკული ასომთავრული წარწერა (სურ. 3).

ადრექრისტიანული ხანის ფინალური ეტაპის (VIII-X სს.) რელიეფურჭვრიანი და ასომთავრულწარწერიანი ანტეფიქსები შემორჩენილია შემდეგ ეკლესიებზე: გურჯაანის ყველაწმინდა, აკურის მამა-დავითი (ჯ. ჭლამია, 1968, გვ. 280), ვაჩნაძიანთ გუმბათიანი ტაძარი (ჭილაშვილი, 1990, გვ. 12, სურ. 14). 1962 წელს გუდაუთის რ-ის სოფ. პრიმორსკოეს მახლობელ მთაზე (მსიხგუა) ეკლესიის ნანგრევების გაწმენდისას აღმოჩნდა 46 ცალი ანტეფიქსი ასომთავრული წარწერით და ჭვრებით შემკული (ვ. სილოგავა, 1980, გვ. 30,31. სურ. 4, 5). 1980 წელს ნოქალაქევის ექსპედიციამ მარტილის რ-ის სოფ. ნაჯახოვოში გორაკის გათხრისას მიაკვლია მარტივი ტიპის "გუმბათოვანი დარბაზის" ეკლესიის ნაშთს, სადაც აღმოჩნდა რელიეფურჭვრიანი 8 ცალი ანტეფიქსი (ბ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, 1991, გვ. 260, სურ. 54).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქუთაისის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში დაცული კალიბტერის ანტეფიქსი (9571/A-765/1) წმინდა გიორგის გამოსახულებით, რომელიც მუზეუმს გადასცა ქუთაისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1986 წელს. იგი ნაპოვნია სოფ. ზედა მესხეთში (წყალტუბის რ.), სადგურ ბროწეულასთან (სურ. 4)

ანტეფიქსის კალიბტერის ძირითადი და ზედა გამოსახულების ნაწილი მოტეხილი აქვს (შემორჩენილი სიმაღლე — 11,5 სმ; მაქსიმალური სიგანე — 12,5 სმ.). იგი წინა მხარეს სამკუთხედის მოყვანილობის უნდა ყოფილიყო. თიხა წითლად გამომწვარია კვარცისა და თიხის მინარევებით.

ანტეფიქსზე გამოსახულება ჩარჩოში არ არის მოქცეული და მთელ ფონზეა მოცემული. მასზე გამოსახული მხედარი წმინდა გიორგია, რომელიც შუბით კლავს გველეშაპს. წმინდა გიორგის და ცხენის გამოსახულებანი დაზიანებულია. მოტეხილია მხედრის გამოსახულება წელს ზევით და ცხენის თავ-კისერი. მხედარს კარგად გამოკვეთილი მარცხენა ფეხი უჩანს გამოყვანილი ტერფით. სამოსი კაბა მუხლს ფარავს და შემკულია რომბისებური წვრილი რელიეფური ხაზებით. ამოზრტული ხაზები მიგვანიშნებს, რომ მხედარს ჯავშანი აცვია. გველეშაპს შუბი თავში აქვს გაყრილი და შუბისწვერი მეორე მხარეს გამოდის. გველეშაპს ტანი მრგვალად დახვეული აქვს. მისი თვალის ბუდის ფოსო ოდნავ ჩაღრმავებულია. ოსტატს უცდია ცხენი ყალყზე შემდგარი გადმოეცა. იგი მოცემულია მოძრაობაში, წინა ფეხები ზეაწეულია (უკანა ფეხები დაზიანებულია და მკრთალად შეიმჩნევა). ცხენის ტანზე რელიეფური წვრილი ხაზი გადასაფარებლის იმიტაციას წარმოადგენს.

გამოსახულებანი ანტეფიქსზე, მის გამოწვამდე, ნედლ თიხაზეა შესრულებული. წვეტიანი საფნის საშუალებით რელიეფი ყალიბზეა ამოკრილი

და ტვიფრის საშუალებითაა მოცემული. ეს გარკვეულ სიძნელესთან იყო დაკავშირებული და ამით აიხსნება, რომ წმ. გიორგის შუბი მარცხენა ხელში უპყრია და კომპოზიცია მარჯვენა მხარის ნაცვლად მარცხნიდანაა გადმოცემული.

გამოსახულებანი სქემატურადაა შესრულებული. ოსტატი ბოლომდე ვერ ჩასწვდა რელიეფური სკულპტურის საიდუმლოებას. მან ვერ მოახერხა შემოკმედებითად გადაემუშაებინა და ერთიანი მხატვრული ორგანიზმი შეექმნა. მიუხედავად ამისა, ცხენის დინამიკურ რაკურსში და მიწაზე გართხმული გველეშაპის იერში კარგად იგრძნობა პრიმიტიული ხალხური ექსპრესიულობა და სიახლოვეს ამჟღავნებს აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნებასთან.

საქართველოში მხოლოდ ერთი ანტიფიქსია დაფიქსირებულია წმ. გიორგის გამოსახულებით (დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხუროთმოძღვრების განყოფილების ფონდში) და ასევე ასომთავრული წარწერით. იგი თარიღდება X-XI საუკუნეებით (ჯ. ჭლამია, 1980, გვ. 49. ტაბ. XVI).

თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი განსაკუთრებით პოპულარულია საქართველოში. ამ მხრივ მას ვერც ერთი ქრისტიანული ქვეყანა ვერ შეედრება. არც ერთი წმინდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმ. გიორგის სახელზეა აშენებული. შემთხვევითი არ არის ცნობილი გეოგრაფოს-ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები, რომ "ამისთვის მიერ ქაშითიგან ნიშანი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამისა გიორგისანი ყოვლისა ივერიასა შინა, რამეთუ არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი (ე.ი. აშენებული) ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი" (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, გვ. 43). ვახუშტის ამ სიტყვების ფონზე აღარ გაგვიკვირდება ხალხში გავრცელებული მტკიცება, რომ საქართველოში წმ. გიორგის სახელზე წლის დღეების შესაბამისად 365 ტაძარია აშენებული. ქართულად თარგმნილია სხვადასხვა პერიოდში შექმნილი გიორგის ოთხი "წამება", სამი შესხმა, შვიდი საგალობელი და სასწაულების რამდენიმე ციკლი, გარდა ამისა, თვით ქართველებსაც შეუქმნიათ წმ. გიორგის შესახებ ორიგინალური პროზაული და პოეტური თხზულებები (ვახიძე-შვილი, 1991, გვ. 3). მიუხედავად იმისა წმ. გიორგის ამბავი საქართველოში პირველად X საუკუნეში ითარგმნა, მაგრამ, როგორც ჩანს, მის ცხოვრებას ლიტერატურულ გაფორმებამდე ზეპირსიტყვიერების სახით უფრო ადრე უნდა გასცნობოდნენ. ამას ადასტურებს ასევე ხელოვნების ის ძეგლები რომლებიც საქართველოში მოიპოვება — V საუკუნის ბრძანძორისა და ხოჯარნის ქვა-სვეტები (სტელები) და წებელდის კანკელის ფილა VI-VII საუკუნეების (ა. ჩხარტიშვილი, 1978, გვ. 61).


ქართულ ბეჭდურ ხელოვნებაში უკვე X საუკუნიდან წარმოდგენილია წმ. გიორგის თემაზე შექმნილი სხვადასხვა კომპოზიცია. მათგან ყველაზე პოპულარული ჩანს ცხენოსანი წმ. გიორგი, რომელსაც ხელში უჭირავს ჯვრით დაბოლოებული შუბი, რითაც კლავს თავის მსხვრეპლს — გველეშაპს ან ადამიანს (დიოკლეტიანეს). ამ დროს წმ. გიორგი გადმოცემულია, როგორც ტრიუმფატორი და გამარჯვებული. ასეთი ადრეული ცხენოსანი წმ. გიორგი არ იცის არც ბიზანტიურმა და არც დასავლეთის ხელოვნებამ (ა. ჩხარტიშვილი, 1978, გვ. 63).

ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ხელოვნებაში, გავრცელებული იყო დამარცხებული მოწინააღმდეგის გამოსახვა გამარჯვებული მხედრის ცხენის ქვეშ. დიოკლეტიანეს და გველეშაპის გამოსახულება წმ. გიორგის ცხენის ფეხქვეშ შეიძლება განვმარტოთ, როგორც სიმბოლო ქრისტიანობის გამარჯვებისა და წარმართობის დამარცხებისა, რომელიც ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით “პირველად შეიმუშავა ქართულმა ხელოვნებამ დამოუკიდებლად, აღმოსავლური ტრადიციის მიხედვით” (შ. ამირანაშვილი, 1971, გვ. 251).


ამრიგად, ზედა მესხეთში აღმოჩენილი ანტიფიქსი მრავალმხრივ საინტერესოა. იგი ქრონოლოგიით ჯერჯერობით პირველი ძეგლია, სადაც წმ. გიორგია გამოსახული. რელიეფური შესრულებით და დამზადების ტექნიკით სრული საფუძველი გვაქვს ანტიფიქსი IX საუკუნის დასასრულს და X საუკუნის დასაწყისს მივაკუთვნოთ.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

ლიტერატურა

ილ. აბულაძე, 1973 - ილ. აბულაძე, ძველი ქართული ლექსიკონი, თბ., 1973.
შ. ამირანაშვილი, 1971 - შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971,

ა. აფაქიძე, 1963 - ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.

ი. ბერძენიშვილი, 2006 - ი. ბერძენიშვილი, ქრისტიანობის გავრცელების საკითხი აფხაზეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით (IV-VIII სს.), თბ., 2006.

ლ. ბოჭორიშვილი, 1946 - ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, თბ., 1946.

ვახუშტი ბატონიშვილი, 1973 - ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.

ბ. ვიბერი, 1972 - Виппер В.В., Искусство древней Греции. Москва, 1972.

- პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, 1991 - პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი — არქეოლოგისი — ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991.
- ბ. კუფტინი, 1949 - Куфтин В. А., Материалы к археологии Колхиды. т. I. Тбилиси, 1949 .
- ო. ლანჩავა, 2007 - ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი, 2007.
- გ. ლინდერმანი, ჰ. ბეკჭოფი, 1991 - გ. ლინდერმანი, ჰ. ბეკჭოფი, ხელოვნების ლექსიკონი. ბერძნული არქაიკიდან ბაროკომდე (გერმანულიდან თარგმნეს: ლ. ნაროუშვილმა, ლ. რამიშვილმა). ტ. I. თბ., 1991.
- ო. ლორთქიფანიძე, 2002 - ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.
- გ. ლომთათიძე, 1959 - გ. ლომთათიძე, ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები — საქართველოს არქეოლოგია. 330-393 = ა. აფაქიძე (რედ.), თბ., 1959.
- კ. მელითაური, 1961 - კ. მელითაური, ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები. თბ., 1961.
- შ. მესხია, 1982 - შ. მესხია, საისტორიო ძიებანი. ტ. I. თბ., 1982.
- ს.ს. ორბელიანი, 1986 - ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი I. თბ., 1986.
- ვ. სილოგავა, 1980 - ვ. სილოგავა, ლაპიდარული წარწერები II. დასავლეთ საქართველოს წარწერები ნარკ. I (IX-XIIIსს.) თბ., 1980.
- ვ. სილოგავა, კ. შენგელია, 2006 - ვ. სილოგავა, კ. შენგელია, ტოკლარჯეთი. თბ., 2006.
- თ. ყაუხჩიშვილი, 1951 - თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ., 1951.
- თ. ყაუხჩიშვილი, 1957 - თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის "გეოგრაფია". თბ., 1957.
- ა. ჩხარტიშვილი, 1978 - ა. ჩხარტიშვილი, მამნე ოქრომჭედელი. თბ., 1978.
- მ. ძნელაძე, 1987 - მ. ძნელაძე, ანტიკური ხანის ქართული კრამიტი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე №2, ტ. 127, 433-435 = ე. ხარაძე (მთავ. რედ.), თბ., 1987.
- მ. ხიდაშელი, 1972 - მ. ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. თბ., 1972.
- ალ. ჭავჭავიძე ალ., ლლონტი., 1962 - ალ. ჭავჭავიძე ალ., ლლონტი., ურბნისი, ნაკვ. I. ქვაცხელების (ტვლებია-ქოხის) ნამოსახლარზე 1954-1961 წწ. ჩატარებული გათხრები. თბ., 1962.
- ივ. ჭავჭავიძე, 1946 - ივ. ჭავჭავიძე, მასალები ქართული კულტურის ისტორიისათვის, ტ. I. შშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. თბ., 1946.
- ო. ჭაფარიძე, 1950 - ო. ჭაფარიძე, დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია გურიაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ტ. XVI-B. 115-127 = ა. აფაქიძე (რედ.). თბ., 1950.
- ჯ. ჭლამაია, 1968 - ჯ. ჭლამაია, სამშენებლო კერამიკის წარმოება ადრეფეოდალური ხანის საქართველოში — საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. 278-291 = ე. მენაბდე (მთავ. რედ.). თბ., 1968.
- ჯ. ჭლამაია, 1969 - ჯ. ჭლამაია, სამშენებლო კერამიკის წარმოება ადრეფეოდალური ხანის საქართველოში — ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. I. 94-105 = გ. ლომთათიძე (რედ.). თბ., 1969.
- ჯ. ჭლამაია, 1980 - ჯ. ჭლამაია, სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბ., 1980.

DAVID BERDZENISHVILI

CALIPTER ANTEFIX WITH ST. GEORGE IMAGE FROM THE VILLAGE ZEDA MESKHETI

Georgian Tribes used ceramics for building purposes since ancient times. Georgian churches, monasteries, royal palaces and the houses of noblemen show that Georgians used various building materials, that they had excellent knowledge in building culture. Archaeologists prove the existence of special building traditions in Georgia. It can be confirmed by the IV century epitaph unearthed in Mtskheta, where “the leading artist and architect Avreli Akholis” is mentioned.

As the well-known Greek geographer Strabostates, ceramical tiles were widely used on the territory of Georgia from the II half of the I millennium. Archeological excavations in the western and eastern parts of Georgia proved Strabo’s sayings.

In Georgian scientific literature two kinds of tiles are mentioned: a first one, which is called „Solen” and tranced tiles, which are called „Lorfin”. Both are made of baked clay. According to S.S. Orbeliani Dictionary „Lorfin” is a tile made of stone or baked clay. But the Dictionary of old Georgian Language doesn’t mention any of them. It speaks about the „baked clay” or „ketsi”. A person, who did items made of clay was called „meketse”. These craftsmen made not only utensils but different kinds of tiles too. “Ketsi” and “tiles” are seemed to be similar terms in Georgia. For example: the tile discovered in the vill. Matani (Akhmeta region) with the inscription of the XI century gives information about the „owner of this ketsi”.

It is noteworthy that in Georgia tiles were spread from Greek Polises existing on the East coast of the Black Sea in the IV century BC.

Trenched tiles or as it is called the „Georgian tiles” were used as a material for the roofs. For example, in Vani where religious and public buildings were built with massive stones craftsmen used square-shaped tiles for covering the roofs, but on their edges they placed trenched tiles or calipters with its back up for the water to be leaked.

In antiquity there were two ways of producing tiles: First _ it was made on a special machine and second on a gauge. From the archaeological point of view flat tiles are made with the help of the gauge, as for the trenched tiles they are made on the special machine. Wooden gauges were used for making tiles. When the raw material was put into the gauge it was stamped and then baked.

Archaeologists indicate that Georgian clay was of a high quality and the surface of the tiles were so smooth that it was easy to put a paint on it.

In early medieval centuries ceramic industry refined. Although the types of tiles remained the same, they became colourfull and many of them were covered with glaze. But Antefixes _ tiles with inscriptions and carved with decore were special. As we mentioned above they were put on the edges of the roofs to have a great effect on people.

Models of decorated art like engraved bronze axes, buckles, glassware, utensiliis, forged jewelery can be found in different parts of Georgia: in Trialeti, Vani, Mtsketa, Kazbegi and etc. Among them Antefixes have its significant role

The term “Antefix” comes from the Greek work „akroterion” – animal sculptures placed on the roofs of Greek temples.

In Vani 3 antefixes were found which seem to be the architectural decoration of buildings.

From the early medieval centuries, Christianity became the state religion in Georgia. New Christian culture, national writing language and Christian art were formed and became dominant throughout the country.

We can see antefixes on the early Christian churches. There are images of crosses, animals and plants stamped on them. 3 antefixes with the image of a cross were found in Artanuji /the end of V century/, in Rustavi (V-VI c.c.). In 1981-1982, in Mramba (near Tsebelda) was excavated the early christian church (VI-VII c.c.) where archaeologists found antefixes covered with crosses and other symbols, like stars, moon, trees and etc. In Urbnisi 3 antefixes show the image of a cross and a stylized deer. Near Urbnisi, in the village Kvatskhela was found the antefix with the image of a deer placed in the circle. It has fawns on the back and among legs. This composition is the similar of those found on the bronze buckles in the late antique. 10 antefixes were excavated in Nokalakevi with the images of crosses (the beginning of the VI century).

8 antefixes of early Christianity are preserved in Kutaisi State Museum, all with the image of crosses on them. There is Capitol Letters (Asomtavruli) writing in allegory on one of them (Gabriel). This is the earliest epigraphic Asomtavruli writing in West Georgia so far. 2 similar antefixes were found during the excavations in the interior of Bagrat’s Cathedral in 2006.

Early christian antefixes with the image of crosses and Asomtavruli writings were found on the churches in Gurjaani, Akuri, Vachnadziani. In 1962, near the village Primorskoe (Gudauta region) on the hill Msikhgua archaeologist unearthed early christian church where 46 antefixes were found with crosses and Asomtavruli writings on them. In 1980, in vill. Najakhovo (Martvili region) 8 antefixes were found in the ruins of the early christian church. All of them were decorated with crosses.

Our special interest attracts one antefix from Kutaisi State Museum. It is decorated with St. George’s image /was found in 1986 in the village Zeda Meskheti, Tskhaltubo region/. The upper part is broken. St. Georgia is mounted on the horseback killing a dragon with his lance, but the picture is damaged. The upper part of the Saint and the head and the neck of the horse are broken, but the left leg and his dress are well-shown. The dress is covered with a diamond shaped lines in raised relief. His lance is in the dragon’s head. The dragon’s body is circled. The horse is shown in motion. It’s front legs are up the lines in relief on its back shows that the back of the animal was covered by cloth.

It is obvious that the image was stamped on a raw clay before baking, by a panted thing. The relief is carved on the gauge. Maybe this is the reason why the Saint has the lance in his left hand and why the composition is directed from the left to the right.

The artwork is mediocre. It seems that the craftsman isn't highly skilled. This carving shows the relationship with the art of the Eastern Christian countries.

Another antefix with St. George image and Asomtavruli writing is kept in the State Museum in Georgia in Tbilisi and belongs to the X-XI centuries.

St. George on the white horse is the most popular Saint in Georgia. Majority of churches here are erected in his honour. The Georgians created original works about St. George, they translated 7 hymns, the cycle of his words and 4 tortures. However, St. George's life was first translated in the X century, it seems that the Saint was very popular before that in Georgian folk. St. George's images were found in Braddzori and Khojarny (V c.) and on the stone iconostasis in Tsebelda.

In Georgian folk art there are numerous compositions depicting St. George. He is on the horseback killing the dragon. With his lance (sometimes instead of dragon there is king Diocletian). These compositions show St. George as a triumphator. This kind of composition was used in Georgia much more earlier than in the art of Byzantine or in Europe.

It is known that in the art of the western in front of the feet of the image of dragon or Diocletian shows the victory of Christianity upon Paganism. I consider that this composition style was first worked out in Georgia on the basis of the western tradition.

From my point of view, the antefix found in Zeda Meskheta is very valuable as it appears to be the first one with the image of St. George. The shape of the relief and its technique shows that this antefix is related to the end of the IX and to the beginning of the X centuries.

ოთარ გოგოლიშვილი

ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნების საკითხები
ბათუმის პრესაში (XX საუკუნის დასაწყისი)

XX ს.-ის დამდეგიდან რუსეთის იმპერიაში სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლამ დიდი გაქანება მიიღო. რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ მასში მონაწილე ყველა ქართულმა პოლიტიკურმა ძალამ (ეროვნულ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა, სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთამ) გადასინჯა საკუთარი სამოქმედო პროგრამა და ადრინდელთან შედარებით წინა პლანზე წამოსწია ეროვნული საკითხი. "სწორედ ეროვნული პროგრამა და პოლიტიკა საერთო დემოკრატიული ფრონტის შექმნის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო დემოკრატიულ რევოლუციასთან შერწყმის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა იყო".

მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების, საერთოდ ეროვნული საკითხის პრობლემის საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ქართულ პუბლიცისტიკას უნდა ეთქვა. განსაკუთრების საშუარო საქმე იყო გასაკეთებელი ბათუმის ოლქში, ოსმალის ბატონობაგამოვლილ მხარეში, რომელსაც უცხო ქვეყნების "ფიზიკური ყურადღება" არც XX ს.-ის დასაწყისში აკლდა.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რა როლი შეასრულა ამ თვალსაზრისით "ბათუმის გაზეთმა (პირველმა ქართულმა გაზეთმა აჭარაში – ო.გ.), რომელიც გამოდიოდა ქ. ბათუმში 1911 წლის 15 ივლისიდან 1914 წლის 13 ივლისამდე (სულ გამოიცა 429 ნომერი). "ბათუმის გაზეთმა" შემდეგნაირად განსაზღვრა საკუთარი სამოქმედო პროგრამა: "ბათუმის გაზეთი განსხვავებულ პირობებში იწყებს გამოსვლას საზოგადო ასპარეზზედ. პროვინციალურ მკითხველთა ფართე სამსახურის, საზოგადო მოვლენათა მიუღვამლად დაფასება, კაცობრიობის წინმსვლელობის თვალთახედვის ისრით და წმინდა იდეური სამსახური ყოველგვარ საზოგადო დაწესებულებათა, აი მიზანი, რომელიც დაუსახავს "ბათუმის გაზეთს".

გაზეთი თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა ქვეყნის ყველა გულშემატკივარს: "ჩვენი რედაქციის კარი ღია იქნება ყველასათვის, ვისაც გული უძებრს თავისი ქვეყნის, მშრომელი ხალხისა და მთელი კაცობრიობის სიყვარულით, ვინც მიიღტვის საუკეთესო მომავლისკენ და მცირე წვლილი მაინც შეაქვს საკაცობრიო საღაროში კულტურისა და ცივილიზაციის გზაზე".

"ბათუმის გაზეთს" აუცილებლად მიაჩნდა საერთოდ საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზაციული მოწესრიგება, რომელიც ხელს შეუწყობდა არა მხოლოდ მწერალთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ ბექდურნი პროდუქციის მხატვრული დონის ამაღლებას. ყოველი ასეთი მანკიერი მოვლენა გაზეთს სამზეოზე გამოჰქონდა - "რიგიანი წიგნების გამოცემა-გავრცელების მოუწესრიგებლობას უნდა მიეწეროს ის მტრად სამწუხარო მოვლენა, რომ ქართული წიგნების ბაზარი ივსება ყოველად უხეირო ულაზათო, უშინაარსო და დამახინჯებული ნებით დაწერილი წიგნებითა და ბრაოშურებით, რომელნიც გამრყენელ გავლენას ახდენენ..."

ეროვნული აღორძინების საქმეში გადამწყვეტი სიტყვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს და კერძოდ სკოლას უნდა ეთქვა. გაზეთი მიიჩნევდა, რომ “სკოლა უდიდესი და უმტკიცესი საფუძველია თანამედროვე საზოგადოების სულიერი კულტურის, თანამედროვე სკოლა ის კულტურული გრდემლია, რომელზედაც იკვებება და ყალიბდება მათი სული და გული, მათი გრძობა-გონება და საზოგადო მსოფლმხედველობა – ის უძლიერესი იარაღია ხალხის კულტურული წინსვლელობისა”... “ბათუმის გაზეთი” მოითხოვდა, რომ სწავლება მშობლიურ ენაზე წარმართულიყო. მაშინ როცა, ცარიზმი ყოველნაირად ავიწროვებდა ადგილობრივ ერებსა და მათს ენას. 1912 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ დაამტკიცა სახელმწიფოს სათათბიროს მოწონებული კანონი “გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებელთა მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ”. ამ კანონმა მართალია, გააუმჯობესა პედაგოგთა მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ იგი არ ვრცელდებოდა ეროვნული ენების მასწავლებლებზე. ამასთან დაკავშირებით “ბათუმის გაზეთი” წერდა: “ეროვნული ენები უწინდებურად ითვლებიან მოწაფეთათვის არასავალდებულო საგნებად. ამ საგნების მასწავლებელთათვის საჭირო არაა უმაღლესი განათლების ცენზი, რაც სხვა საგანთა მასწავლებელთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამ ენათა მასწავლებელთათვის არაა არც შტატის ჯამაგირი, არც პენსიის იმედი”. ეს ფაქტიც ცხადყოფდა მეფის ხელისუფლების კოლონიურ დამოკიდებულებას სხვა ერებისადმი. ამ კანონის შეზღუდულობა განსაკუთრებით სახიფათო იყო ბათუმის ოლქისათვის, კერძოდ აჭარისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ 40 წელი იყო გასული, აჭარაში, განსაკუთრებით სოფლებში ჯერ კიდევ ძლიერი იყო მაჰმადიანურ საკულტო დაწესებულებებთან - ჯამეებთან — გახსნილი მედრესების გავლენა, რომლებშიც სწავლება თურქულ ენაზე მიმდინარეობდა. ასეთი ვითარების გამოსწორება მხოლოდ ქართული სკოლების ქსელის გაფართოებით და მშობლიური ენის მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით იყო შესაძლებელი, ზემოთ ხსენებული კანონი კი, პირიქით, ეროვნული ენების მასწავლებლებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ “ბათუმის გაზეთი” სახელმწიფოს სათათბიროს ქართველი დეპუტატებისაგან მოითხოვდა მიეღწიათ დაშვებული შეცდომის გამოსწორებისათვის: “ამით ჩვენი დეპუტატები დაუვიწყარ სამსახურს გაუწევენ როგორც ქართველ ერს, ისე მის მშობლიურ ენას”.

“ბათუმის გაზეთი” საგანგებო ყურადღებას უთმობდა საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხს, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა სრულყოფილი სასწავლო პროცესის ორგანიზაცია. “სკოლის შენობის სიღამაზე, კლასების სისუფთავე და მორთულ-მოწყობილება, იქაური რიგიანობა და კარ-მიდამოს სიფაქიზე ბავშვებში უნებლიედ უნდა იწვევდეს მათდამი პატივისცემას და მორიდება-გაფრთხილებას...”

“ბათუმის გაზეთი” ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა მშობლიური ისტორიის სწავლებას.

1913 წლის 22 ოქტომბერს გაზეთი მოწინავეში წერდა: “ყოველი ერი მაშინ მიდის წინ და ვითარდება, როცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას... თავისი წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო გემს, რომელიც უთავბოლოდ დაბორილობს ზღვის ტალოებში. სწორედ წარსულის

შესწავლა, თავის საკუთარ ისტორიას, იგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის, რომ განათლებული ერები ღიძი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ საკუთარ ისტორიას. მათ სკოლებში უმთავრეს და უსაყვარლეს საგნებს შეადგენენ სამშობლოს ისტორია, ენა და ლიტერატურა... ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებულნი ერები... ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც“.

რუსიფიკატორული ხელისუფლება ითვალისწინებდა არარუსი ხალხების ასიმილაციას. ამ მიზნით ხდებოდა ეროვნული ენის, ისტორიის დევნა-შევიწროება და სხვათა ენისა და ისტორიის გაძლიერებული სწავლება. ხელისუფლების ასეთ მოქმედებას “ბათუმის გაზეთი” დაუნდობლად ხდიდა ფარდას: “ჩვენმა ახალგაზრდებმა გაცილებით უკეთ იციან ივანე კალტას, ან ვარააგების ისტორია, ვინემ იცნობენ საქართველოს გამოჩენილ გმირებს და სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებულ პირებს (“ბათ. გაზ.“, 22).

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია “ბათუმის გაზეთთან” ცნობილი მაჰმადიანი ეროვნული მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის თანამშრომლობა. იგი ყურადღების გარეშე არ ტოვებდა არც ერთ საჭირბოროტო საკითხს, რომელიც ჩვენს კუთხეს შეეხებოდა. XX ს-ის დასაწყისშიც თვით საქართველოში მაჰმადიან ქართველებს არაერთგვაროვნად უყურებდნენ, წერილში “ნუ იქნება ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი”, ჰ. აბაშიძე წერდა: “მაჰმადიანები რომ ვართ, განა ქართველები აღარ ვართ? მამ სადაურია ჩვენი დედა ენა, ჩვენი გვარი, რა არის ეს ისტორიული ნაშთები, რომელნიც ჰლაღადებენ ჩვენს ვინაობას. თვით ქვანიც კი ჰლაღადებენ თუ ვინ ვართ ჩვენ და მამ ჩვეულება ნუ იქნება რჯულზე უმტკიცესი... სჯული სჯულად იყოს და ეროვნება ეროვნებად”...

სხვა ადგილას ჰ. აბაშიძე წერდა: “ბევრჯერ გაგიგონიათ და კიდევ გაგიმეორებთ, ჩვენ ძმები ვართ, რა ვუყოთ მერე, რომ სხვადასხვა რჯულის ვართ, მე შემიძლია ხვალე ფრანგის რჯული მივიღო, მაგრამ ამიტომ ფრანცუზი კი არ ვიქნები, არამედ ისევ ქართველად დავრჩები. ჩვენ ერთი გვაქვს სამშობლო, ენა და გვარი, შენ შენი რჯული დაიცავი და მე ჩემსას დავიცავ, მაგრამ ორივე ვეცადოთ ძმები ვიყო. შენ პირი დასავლეთისკენ დაიჭირე და ისე ილოცე, მე აღმოსავლეთისკენ დავიჭერ და ამრიგად აღმოსავლეთიც და დასავლეთიც ჩვენი ორი ძმების - ქართველ მუსლიმანის და ქართველ ქრისტიანის იქნება”.

ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ აჭარაში მძიმე კვალი დატოვა. სწორედ ამ მძიმე მემკვიდრეობის დაძლევის საქმეში მხარდაჭერას გულისხმობდა ჰ. აბაშიძე, როცა წერილში “ხმა ქრისტიან მოძმეებს” მოუწოდებდა: “მოგვეპყარით როგორც ძმებს, წაგვიძებით წინ. ამოვიყენეთ თქვენ გვერდით. ჩვენი ჩამორჩენა თქვენთვისაც მავნებელია..., რადგან ჩვენ ერთნი ვართ”.

ჰაიდარ აბაშიძე მკაცრი პასუხის გარეშე არ ტოვებდა იმათ, ვინც ცდილობდა ესარგებლა ჩვენი ბედუქულმართობით და კვლავ დაემორჩებინა ამდენი ხნის შემდეგ კვლავ შეერთებული მოძმეები. ამ მხრივ საყურადღებოა პასუხი ბაქოს გაზეთ “იყბალაში” ვასფი ეფენდის გამოქვეყნებულ წერილზე, რომელშიც ავტორი აპარლებს თათრებად მოიხსენიებს და “ურჩევს” მათ შექმნან “ეროვნული” – თათრული თეატრი და სასწავლებლები. ჰაიდარ აბაშიძე პასუხად წერს: “ვასფი ეფენდიმ უნდა იცოდეს, რომ ერთია სარწმუნოება და მეორე ეროვნება. სარწმუნოებრივ ნიადაგზე ერის განახლება ფიქციაა. წარმოუდგენელი იქნებოდა

მკვდრებით აღდგომა ახალი საბერძნეთისა, ბულგარეთისა და რუმინეთისა დედა ენის, მშობლიური კულტურისა და ევროპული ცივილიზაციის გარეშე. მათ უნდა მიჰბაძოს ყველამ” (“ბათ. გაზ.", 10).

XX ს.-ის .10-იან წლებში დევნა-შევიწროების გამო “ბათუმის გაზეთში” თანამშრომლობა ვერ შეძლო ასევე ცნობილმა მაჰმადიანმა მოღვაწემ მემედ-ბეგ აბაშიძემ. ჩვენ მოგვეპოვება მემედ აბაშიძის შევიწროების დამადასტურებლად ცნობა “ბათუმის გაზეთში”, რომელსაც ადასტურებს აჭარის ცენტრალურ არქივში დაცული ცნობებიც. ჯერ კიდევ 1908 წელს მთავრობამ მემედ აბაშიძის დაპატიმრებისა და ოჯახთან და უახლოეს ნათესავებთან ერთად რუსეთში გადასახლების მითითება გასცა. მემედ ბეგი იძულებული გახდა ზია, რიზა და ფეხლი აბაშიძეებთან ერთად ოსმალეთში გაქცეულიყო. თუმცა საზღვარზე გადასული, როგორც რევოლუციონერი, ოსმალებმა დააპატიმრეს და ჯერ ზოფას ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი ათინას ციხეში გადაიყვანეს. ერთი წლის შემდეგ “ახალგაზრდა თურქების” გადატრიალების შემდეგ მემედ აბაშიძე სხვა პოლიტიკურ დამნაშავეებთან ერთად გაათავისუფლეს, მაგრამ 1913 წლამდე მაინც ოსმალეთში დატოვეს – სწორედ აქ დაეღუპა მას ორი ვაჟი – ქემალი და ბექირი. 1913 წელს ბათუმში დაბრუნებული მემედ ბეგი მეფის ჯანდარმერამ შეიპყრო პოლიტიკური არაკეთილსამიერობის გამო და ნოვოჩერკასკში გადაასახლა; აქედან დაბრუნებული, 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, კვლავ დაატუსაღეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, ერთი წლის შემდეგ კი ენისეის გუბერნიაში გადაასახლეს. დიდი წვალებით მიადგნა მან თბილისში – მეტეხის ციხეში გადმოყვანას.

ცხადია, ასეთ პირობებში მყოფს ფიზიკურად არ შეეძლო სიტყვა ხშირად მიეწვინა თავისი მოძმეებისადმი, რომლებიც მემედ ბეგს უდავოდ ლიდერად აღიარებდნენ.

1914 წელს “ბათუმის გაზეთი” მოწინავეში ეხებოდა რა ისტორიულ თემაზე გამოსაცემი ლიტერატურის სიას, მოითხოვდა განსაკუთრებით ფრთხილად მოპყრობოდნენ მაჰმადიან ქართველთა საკითხს; “ასეთ წიგნებს დიდი სიფრთხილით უნდა გამოცემა, არც ერთი სიტყვა არ უნდა იქნას შეურაცხყოფილი მაჰმადიან ქართველთა სჯულზე, ზნე-ჩვეულება და ადათი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სარგებლობის მაგიერ ვნებას მოიტანს. საჭიროა შესდგეს სარედაქციო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ხსენებული ხელნაწერები. საჭიროა ხსენებულ კომისიაში მონაწილეობა მიიღონ ისეთმა მაჰმადიანმა ქართველებმა, საეურო და სასულიერო პირებმა, როგორც არიან ბატონი მემედ ბეგ აბაშიძე, შედერისი ჰაფიზ ეფენდი ცივაძე და ხაჯა ახმედ ეფენდი ქათამაძე” (“ბათ. გაზ.", 10).

“ბათუმის გაზეთში” ყურადღების გარეშე არ ტოვებდა აჭარასთან (ბათუმის რლქთან) დაკავშირებულ არც ერთ მნიშვნელოვან საკითხს. როგორც დავინახეთ, განსაკუთრებით ფართოდ ეხებოდა ეროვნულ პრობლემებს. გაზეთის ობიექტური, ხშირად კრიტიკული პოზიცია ეჭირა როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შეფასების თვალსაზრისით. ასეთი პოზიციის გამო, გაზეთის ხელისუფლება არ სწყალობდა – ხშირად აჩერებდა დასაბეჭდად მომზადებულ ნომრებს. ჩხრეკას აწყობდა რედაქციაში, საბოლოოდ 1914 წლის 13 ივლისს გაზეთი “ბათუმის გაზეთი” დახურეს. “სახალხო ფურცელი” იუწყებოდა “ბათუმში შეაჩერეს” ბათუმის გაზეთის” გამოცემა და აკრძალეს...” (“სახ. ფურც.", 13).

არსებობის ხანმოკლე პერიოდის მიუხედავად, “ბათუმის გაზეთმა” დიდი როლი შეასრულა აჭარისა და საერთოდ ბათუმის ოლქის მცხოვრებთა ეროვნული აღორძინების საქმეში.

ლიტერატურა

- “ბათუმის გაზეთი,” 22, X. 1913 წ.
 “ბათუმის გაზეთი,” 10, IV. 1913 წ.
 “ბათუმის გაზეთი”, 16, VIII. 1914 წ.
 “სახალხო ფურცელი,” 13, VII. 1914 წ.

OTAR GOGOLISHVILI

ANALYSES OF NATIONAL-POLITIC QUESTIONS IN BATUMI PRESS
(THE BEGINNING OF XX CENTURY)

In the beginning of 20th century struggle for social and national liberty started in Russia. After the defeat of the first bourgeois-democratic revolution of Russia, all Georgian political forces, which took part in the revolution (national-democrats, social-federalists, both wings of social-democrats) reexamined their action program and unlike earlier comparisons they made national question much more important. “National program and policy precisely were one of the main conditions of joining with revolution”.

In propaganda of the national self-consciousness of people, deciding word had to say by Georgian publicists. Region of Batumi had to do very important work. Batumi became the focus point of mass attention of number of foreign countries in XX.

At this point of view “Batumi Newspaper” played the leading role. It was the first newspaper in Adjara, which was being published in Batumi from July 15, 1911 till July 13, 1914. (About 429 issues were published).

In “Batumi Newspaper” were printed all important facts about Adjara. As we saw “Batumi Newspaper” paid attention to the national problems. The newspaper was objective, but sometimes it was critical about estimation of power and public-political occurrences. Because of this position newspaper was under oppression - it often had to stop to publish some issues, which were ready for printing, search was often conducted in the editorial office. Finally the newspaper “Batumi Newspaperi” has been closed on July 13, 1914.

Despite a short period of publishing “Batumi Newspaper” played a big role in national revive for the population of Adjara and Batumi.

თამარ გოგოლაძე

ღაპით თუმანიშვილისაული ნუსხის ისტორია

საგამომცემლო საქმის დაწყებამდე XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან და მის პარალელურადაც გრძელდება გადამწერლობის ტრადიცია. მზადდება როგორც ხელნაწერთა, არაიშვიათად დაბეჭდილი წიგნების, ჟურნალების გადანაწერი ნუსხები. ამ ტრადიციას ძირითადად ქართველი დიდგვაროვანი ქალბატონები ეწევიან, მათ პარალელურად კი — ქართველ კალიგრაფთა რამდენიმე თაობის წარმომადგენელი მამაკაცებიც. ასეთებს მიეკუთვნება დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილი [(1780[?]-?) პოეტი, კალიგრაფი, სახელმწიფო მოხელე, 1832 წლის შეთქმულთათვის კარგად ნაცნობი პიროვნება.

დავით თუმანიშვილის შესახებ ცნობები ნაკლებადაა შემონახული, თუმცა არსებული გულისგულ მოუძიებია და ერთ გამოკვლევაში მოუთავსებია ასევე კალიგრაფთა შთამომავალს, საოცარ სკურპულოზ მეცნიერს, გივი მექაძეს (იხ. თავი მისი მონოგრაფიიდან "მწერალ-მწიგნობარი თუმანიშვილები", "ლიტერატურული ძიებანი", ტ. XIV, 1962).

სწორედ, დავით თუმანიშვილს 1814-1816 წლებში "კარანტინში, სადაც მას ეკავა "კარანტინის ინსპექტორის ამხანაგის" თანამდებობა" (გ. მიქაძე, 1962, გვ. 176), გადაუწერია რომანტიკოსი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) მიერ თარგმნილი ცნობილი ფრანგი განმანათლებლის, ვოლტერის, ტრაგედია "ალზირას" თარგმანი, რომელიც ხელნაწერი ნუსხებით ვრცელდებოდა მკითხველთა (და ძირითადად 1832 წლის შეთქმულებისათვის მზადების პროცესში ჩართულ ადამიანებს) შორის.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის საცავში, პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის ცნობით /ჟურნალი "მოამბე", 1898 წ. №1/, ინახება "12 პროზად ნათარგმნი ვოლტერის ტრაგედია "ალზირა" თავად ჭავჭავაძის მიერ. კაბადონი შექმნილი ლეტელიესაგან" (ა. ხახანაშვილი, 1898 გვ. 2). ამას და სხვა ქართულ ხელნაწერებს ახლავს მინაწერი, რომ "წიგნი ესე ეკუთვნის ვიქტორ ლეტელიეს". ვოლტერის ტრაგედია "ალზირას" კიდევ ერთი ხელნაწერი ნუსხა არსებობს პეტერბურგის (ლენინგრადის) აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერ ფონდებში: აკაკი კენჭოშვილის ცნობით, E43, B141, მინიშნებით "ლეტელიეს ფონდი №401" (ა. კენჭოშვილი, 1969, გვ. 75). "ალზირას" თარგმანის ორი ნუსხა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშია — H389, H567. კიდევ ერთი ხელნაწერი ნუსხა გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის საცავშია - №12927, ზოლო დედანი კი ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში — 1108/24308.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ვოლტერის ეს ტრაგედია საკმაოდ დიდია თავისი მოცულობით /3 ნაწერ გვერდამდე/, ყველა ნუსხა ყურადღებითაა შესრულებული და გადამწერის ინტერესით აღბეჭდილი, ზოგი დასურათებულიც

კია (H389), ხოლო ზოგს ახლავს მფლობელთა თუ წამკითხველთა შენიშვნა – მინაწერები (იხ. №12927).

რამ გამოიწვია ვოლტერის ტრაგედიის "ალზირას" თარგმანის ასეთი პოპულარობა არამეტუ ქართველ, არამედ ფრანგ მკითხველში? ამან და კიდევ ერთი ნუსხის (№12927) თავფურცელზე გაკეთებულმა ერთმა შენიშვნამ ("შინც წაიკითხოს და ვერ ბაიბოს, დიანას ჰკითხოს") აღძრა ჩვენი ცნობისმოყვარეობა, რის კვლევასაც ეძღვნება წინამდებარე წერილიც.

ვოლტერისანობა ანუ ვოლტერით გატაცება საქართველოში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს დაწყებულა. თუმცა მათ გვერდით ვხვდებით ანტივოლტერიანელებსაც (ლევან ასათიანი "ვოლტერიანობა საქართველოში"). ფრანგი განმანათლებლის ნაწარმოებები უთარგმნიათ ალექსანდრე ამილახვარს, დავით ესტატეს ძე ციციშვილს, იესე გარსევანიშვილსა და რომანტიკოს პოეტს ალექსანდრე ჭავჭავაძეს. "ქართულად უთარგმნიათ ვოლტერის შედარებით უფრო ცნობილი ტრაგედიები. "ელიპი" ის ტრაგედიაა, რომელმაც 1718 წელს პირველი დადგმისთანავე მოუპოვა ახალგაზრდა ავტორს პოპულარობა და მატერიალური კეთილდღეობა" (ლ. ასათიანი, 1958, გვ. 102) – წერდა ლევან ასათიანი და, სწორედ რომ "ოიდიპოსი", "მეროპა", "ზაირა", "მაჰმადი" და "ალზირა" უთარგმნია ალექსანდრე ჭავჭავაძეს ქართულ ენაზე. ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის (1940 წ.) გამოცემის ავტორის პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის ცნობით, აქედან შემონახულია "ზაირასა" და "ელიპის" დეფექტიანი ხელნაწერები, ხოლო "მეროპასა" და "მაჰმადის" თარგმნის შესახებ იგი ეყრდნობა ზაქარია ჭიჭინაძეს (ა. ჭავჭავაძე, 1940, გვ. 342).

ჩვენი აზრით, ერთადერთი სრული თარგმანი და დედანი თუ ნუსხები ტრაგედია "ალზირა ანუ ამერიკელის" სახითაა წარმოდგენილი, რომლის მხოლოდ ნაწყვეტები დაიბეჭდა როგორც 1940 წლის, ისე საიუბილეო ჩრაკლი კენჭოშვილის/1986 წლის გამოცემებში.

ზუგდიდის მუზეუმში დაცული დედანი "ალზირასი" თვით პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერაა ჩასწორებული, ხოლო შესწავლილია მუზეუმის პირველი დირექტორის, ილია გოგიას, ხელნაწერ გამოკვლევაში; ჩვენთვის საყურადღებოა ამჯერად ის ნუსხა, რომელიც ინახება გ. ლენინის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში - №12927. აღნიშნული ხელნაწერი კარგადაა შემონახული. მინაწერის თანახმად, იგი ეკუთვნოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ცოლისდას, ელისაბედ ორბელიანს: "ორბელიანის სარდრის იოვანეს ასულის ელისაბედისა ვარ". ბოლო ფურცელზე კი მიწერილია ხელნაწერის წამკითხველთა და შემდგომ მემკვიდრეთა გალექსილი კომენტარები. ხელნაწერის ბოლო მფლობელი ყოფილა ელისაბედის ვაჟი ალექსანდრე ჯავახოვი (ჯავახიშვილი).

მკითხველი სოლომონ ციციანოვი (ციციშვილი) წერს:

"უგვარო წიგნის წაკითხვა, რა საამოარს ვისთვისა – ა
რას არგებს ცუდნი შრომანი, ანუ რომელმა ითვისა – ა"

ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში დაცულმა ხელნაწერმა მიიქცია ჩვენი ყურადღება და დავიწყეთ მისი სხვა ნუსხების ძიებაც ხელნაწერთა ეროვნულ ფონდშიც. აქ კი ერთი მოულოდნელობის წინაშე აღმოვჩნდით: es გახლდათ H389 ხელნაწერი, რომელიც გადაწერილი ყოფილა თავად დავით თუმანიშვილის მიერ. ხელნაწერი არათუ ლამაზი კალიგრაფითაა შესრულებული,

არამედ გაფორმებულიცაა ილუსტრაციებით. ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ხელნაწერის ისტორიის ცალკე ამ წერილის ავტორმა და შემდგომ თანაავტორთან პროფესორ გიორგი ჭავჭავაძისთან ერთად, რამდენიმე გამოკვლევა ვუძღვევით. ამჯერად ჩვენი წერილი შეეხება დავით თუმანიშვილის მიერ გადაწერილ ნუსხას. ხელნაწერში ორი თარგმანია მოთავსებული ალექსანდრე ჭავჭავაძისა: "ალზირა ანუ ამერიკელი" და "ევიონია":

ხელნაწერის დასაწყისში ასეთი შენიშვნაა გაკეთებული: "ესე სასურველი და საყურელი საკითხავი წიგნი ეკუთვნის ეგნატე იასეს ძეს, კნიაზ თუმანოვი. 18IX/2 44" (H389:1). როგორც ცნობილია, დავითის მამა, ეგნატე, იყო ძველი კალიგრაფი, ჯერ ერეკლე II-ის, შემდეგ გიორგი II-ის მდივანი, მაგრამ იგი ბაინდურის ძედაა მოხსენიებული გივი მიქაძის გამოკვლევაში. ამიტომ ეგნატე იასეს ძე სხვა უნდა იყოს, იქნებ ნათესავიც დავით თუმანიშვილისა. ამრიგად, წარწერა მიგვანიშნებს ზემოდასახელებული ხელნაწერის მფლობელზეც – ეგნატე იასეს ძეზე, რომლისთვისაც სასურველი საკითხავი უნდა ყოფილიყო სწორედ თავად ვოლტერის ტრაგედია "ალზირას" შინაარსი, რომელიც აღწერს ესპანელი კონკისტადორების მიერ ინდიელთა კოლონიზაციის პროცესს და დაპყრობილი ხალხის შედგარ წინააღმდეგობას მჩავერელთა მიმართ: მოქმედება ვითარდება ესპანელ ალვარსა და ინდიელ შეყვარებულთა, ალზირასა და ზამორის სასიყვარულო ინტრიგის გარშემო. ალვარის მამა გუსმანი, მოუწოდებს შვილს ქრისტიანული მიმტევებლობით აჩვენოს დაპყრობილ ხალხს მათი რელიგიის უპირატესობა. ალვარის პოზიცია თავდაპირველად მტრულია: გარეულნი ესე ამერიკულნი ველურნი მხეცნი არიან. რომელნი გონებისა აღვირსა ჰღრღნიან განსაწყვეტლად. ოდესცა შვერისხავეთ მათ, გემორჩილებენ, ოდასცა მივუტევებთ ამპარტავნებენ (ლიტ. მუზეუმის ფონდები ხ 12927:2). დაპყრობილი ქვეყნის ინდიელის, ზამორის რეპლიკებში მთელი ძალით გაისმის საბრძოლო მოწოდება, მკითხველისათვის თანდათან ნათელი ხდება, თუ როგორ ჰგავს დაპყრობილ ინდიელთა ტანჯვა ქართველი ერის მიმე ყოფას რუსეთის თვითმპყრობელობის უღელქვეშ. ამავედროულად ეს ხელნაწერი წარმოადგენს ერთგვარ სულიერ წყაროს 1832 წლის შეთქმულების მზადების პროცესში, რაზედაც მიგვანიშნებს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერ ნუსხაზე გაკეთებული მინიშნება (რომლის გაშიფრის მცდელობაც მოხდა ჩვენ მიერ), რომლითაც "დიანა" უნდა იყოს შეთქმულების ერთი მთავარი წევრი, "დიანა უნდა იყოს გარკვეული უფლებამოსილი პირი, რომელსაც შეუძლია განუმარტოს "ალზირას" მკითხველს მისი დაშიფრული მნიშვნელობა: მოამზადოს სულიერად, საბრძოლო განწყობილებით თავისუფლებისათვის; ერის ღირსეული მამულიშვილი, ამავე დროს დიანა უნდა იყოს ქალწული, მითოლოგიის თანახმად, ზევსისა და ლეტოს ქალიშვილი, აპოლონის და. ასეთი შეიძლება ყოფილიყო თამარ იულონის ასული ბაგრატიონი (ბატონიშვილი)... (1791-1857), უმშვენიერესი სულის ქალბატონი, რომელიც ერთ-ერთი გამონაკლისი იყო მეფის შთამომავალთაგან, იგი დარჩა საქართველოში, მას სცოდნია უცხო ენები, ფორტეპიანოზე დაკვრა". (თ. გოგოლაძე, 2008, გვ. 37).

დ. თუმანიშვილის მიერ გადაწერილ ამ ნუსხას მოიხსენიებს გივი მიქაძე თავის გამოკვლევაშიც, მაგრამ დაწერილებითი ცნობები ხელნაწერის აღწერილობაზე არაა იქ მოხმობილი, რაც ვცადეთ კიდევ წარმოგვედგინა წინამდებარე ნაშრომში.

ნუსხის 47-ე გვერდზე გადაწერის მინიშნებაა: "ალიწერა ესე ტრაგედია თავადის დავით თუმანოვისგანა (თუესა 2 სექტემბერსა 30/წელსა 1814" (H389:47). "ეფიონიას" დასასრულს კი გადაწერს მიუწერია: "ორივე ტრაგედია ესე აღვსწერე ესმს მას ოდეს ვიყავ შემწყვდეული კარანტინში ჭირის მიზეზით. მკითხველნო, თუ ჰპოოთ შეცთომილება, ნუ დამგომობთ მისთვის. დედანშიც ესეც წერია: ალიწერა და სრულიქმნა ქალაქს ტფილისს თუ ესა ნოემბერს 6-სა, წელსა ესრე 1834-ს ჯელით. კარანტინის ინსპექტორის ამხანაგის თავადის დავით ეგნატეს ძის თუმანოვისგან" (H389:73).

აშკარაა, ორივე ტრაგედია გადაწერილი და დასურათებული იქნა ორი თვის განმავლობაში.

ხელნაწერის ბოლოს დახატულია კუბიდონი ისრით ხელში და მარჯვნივ – გული. ესეც ეკუთვნის დავით თუმანიშვილის კალამს.

დავით თუმანიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ხელნაწერს, რომელიც უნდა გადაეწერა, რათა შეცდომა არ გაპარულიყო, ზოგჯერ შენიშვნებსაც ურთავდა ანდერძ-მინაწერებში. ეს შენიშვნება გადაწერილ ნუსხაშიც.

დ. თუმანიშვილის გაფორმების მანერაც ძალიან საინტერესოა. როგორც გ. მიქაძე აღნიშნავს, "საამისოდ მას საგანგებოდ შეუდგენია ხელნაწერის მოკაზმვის ნიმუშიც (H107). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წმინდა სამხატვრო მუშაობა. მთელი რიგი ხელნაწერებისათვის დავითს ფერებში დაუხატავს სურათები. როგორც ანდერძში ამბობს, აღნიშნული სამუშაოები შეუსრულებია "წამკითხველთათვის სასიამოვნოდ" და "შექცევისათვის" და, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ ილუსტრაციები "მკითხველთა" წარმოუდგენს ჰაზრსა და მოქმედებათა მათთა" (გ. მიქაძე, 1962, გვ. 180). აღნიშნულ ხელნაწერს (H107) ახლავს დავითის მინაწერიც: "შვედრებელი შენი ქრისტე, აწ შემიწყალე დავით", "შეოზ მიქმენ ცოდვილსა თავადს დავით თუმანოვს (H107:1). ხელნაწერთა ეროვნულ ფონდში დაცულია 23-ზე მეტი ხელნაწერი ნუსხა, შესრულებული დავით თუმანიშვილის მიერ, რომლებიც თავისი მინაწერებით, გაფორმებებით უფრო სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს, რისი მცდელობაც არის წინამდებარე წერილიც, რომელიც გადაგვიშლის ერთ საინტერესო ფურცელს ქართული კალიგრაფიისა და მინიატურისტის ისტორიიდან.

ლიტერატურა

ლ. ასათიანი, 1958 – ლ. ასათიანი ვოლტერიანობა საქართველოში, კრებული "რჩეული ნაწერები", ტ. I, თბ., 1958.

თ. გოგოლაძე, 2008 - თ. გოგოლაძე ვოლტერის "აღზიარას" ქართული თარგმანის "საიდუმლო მისია", "ძიებანი და ეტიუდები", თბ., 2008.

ა. კენჭოშვილი, 1969 – ა. კენჭოშვილი. ალექსანდრე ჭავჭავაძე კრებული "ქართული ლიტერატურის ისტორია", ტ. III, თბ., 1969.

ლიტ. მუზ. ფონდები 12927 - ვოლტერი, აღზიარა ანუ ამერიკელნი, თარგმანი ალ. ჭავჭავაძისა, ხ. 12927.

გ. მიქაძე, 1962 - გ. მიქაძე, დავით თუმანიშვილი კრებულში
 “ლიტერატურული ძიებანი”, XIV, 1962.

ა. ჭავჭავაძე, 1940 - ა. ჭავჭავაძე თხზულებანი თბ., 1940

ა. ხახანაშვილი, 1898 - ა. ხახანაშვილი, პარიზის ნაციონალური
 ბიბლიოთეკის ხელნაწერები, უ. “მოამბე”, 1898, №1.

H 389 - ხელნაწერთა ეროვნული ფონდი, H389.

TAMAR GOGOLADZE

THE HISTORY OF INVENTORY OF DAVID TUMANISHVILI

In the beginning of XIX century and after that before the development of publication affairs in Georgia the tradition of scribes was being continued. One of such scribes was prince Davit Tumanishvili, a poet, calligraphist, the representative of the generation of traditional scribes.

In the national fund of manuscripts several inventories scribed by Gavit Tumanishvili are kept. These manuscripts are made with beautiful Georgian calligraphy. Among them is the manuscript of the translation of “Alzira” by Walter which was made by a romantic poet Aleksandre Chavchavdze. A lot of inventories of this manuscript exist which proves its popularity among the Georgian readers, especially among the conspirators of 1832 for whom it was a kind of “codified” text.

The inventory of Davit Tumanishvili H389 is done with the most beautiful calligraphy and what is more it is painted with miniatures and also with interesting postscripts.

The inventory of manuscripts H389 represents a kind of pattern of the tradition of scribes and it is significant not only from the historical point but from its valuable meaning even nowadays.

როზეტა გუჯეჯიანი

ქართულ ხალხურ ღღეობათა ტრადიციული მენეჯმენტის გობიერთი ასპექტი

ცნობილია, ეთნიკური კულტურა ხასიათდება როგორც უნივერსალური მახასიათებლებით, ასევე, მკვეთრად თვითმყოფადი ნიშნებით, რომლებიც განაპირობებს კულტურის შემდგომ განვითარებას. ყოველი ეთნოსი ისტორიული განვითარების დინამიკურ ჭრილში სხვადასხვა ეპოქისათვის დამახასიათებელ ეთნიკურ კულტურას ქმნის. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში, კულტურის ესა თუ ის ელემენტი ცვალებადობას განიცდის, რაც ისტორიული რეალობით, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული. ეთნიკური კულტურის უმრავლესი ელემენტი კი განსაკუთრებულ მდგრადობას და დროში გამძლე ხასიათს ავლენს. კულტურის ასეთ მდგრად ელემენტთა შორისაა ქართულ ხალხურ ღღესასწაულთა სისტემა, რომელიც ეთნიკური კულტურის ერთ-ერთ მთავარ ფასეულობას წარმოადგენს და ხანგრძლივი ისტორიის მქონეა.

საქართველოს ტრადიციულ ყოფაში მრავალი ხალხური ღღეობაა დაფიქსირებული. ღღეობათა ერთი ნაწილი — არქაული ფენა, რასაკვირველია, მხოლოდ უძველესი წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მასალით არის ცნობილი, ღღეობათა უდიდესი ნაწილი კი თვით მეოცე საუკუნის განმავლობაშიც მოქმედებდა და ზოგიერთი დღესასწაული დღესაც აღინიშნება.

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად მიღების შემდეგ საქართველოში ამოქმედდა სრული კანონიკური საღღესასწაულო კალენდარი. მრავალი საუკუნის განმავლობაში საეკლესიო ღღესასწაულები ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ადგილობრივი, ლოკალური თვისებებით ივსებოდა და ხალხური ელფერით იმოსებოდა. აღსანიშნავია, რომ უძველესი კანონიკური ტრადიციიდან მომდინარე ღღეობათა დიდი ნაწილი საქართველოს ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, მაგალითად, სვანეთში, ამჟამადაც მოქმედია. ოფიციალური საეკლესიო კალენდრის მრავალი საინტერესო ხალხური ნაირსახეობა დღესაც ცოცხალია საქართველოს მთიანეთში და, ნაწილობრივ, ბარშიც. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა, დანარჩენ საქართველოში გამქრალი და მხოლოდ აღმოსავლეთ ქართველ მთიელთა მიერ შემონახული წმიდა ათინოგენისა და მისი მოწაფეებისადმი მიძღვნილი საეკლესიო ღღეობა. ამ ღღეობის აღნიშვნის ტრადიციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ტრადიციულ ყოფაში. წმიდა ათინოგენესა და მისი მოწაფეების ხსენების საეკლესიო ღღეობის ხალხური ნაირსახეობა “ათინგენობა”||“ათინგენობა” ამჟამადაც თუშეთის, ხევსურეთის, ზევის, ფშავის მოსახლეობის უმთავრეს და ყველაზე მასშტაბურ ღღესასწაულს წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ ამ დღეობის აღნიშვნის ტრადიცია დაიკარგა საქართველოს სხვა მხარეებში.

კანონიკური ღვთისმსახურების (ლოცვა, წირვა, ამა თუ იმ რელიგიური სიწმინდის, წმინდანის ხსენების დღე, სატაძრო დღეობა და სხვა) სადღესასწაულო პრაქტიკის ის ელემენტები, რომლებიც ოფიციალური ღვთისმსახურების შემდეგ აღსრულდებოდა მოსახლეობის მიერ (სადღესასწაულო ტრაპეზი, ხალხური საგალობლები, ფერხულები...), ბუნებრივია, ადგილობრივი კულტურული ინფრასტრუქტურისა და ეთნოგრაფიული თავისებურებების შედეგი იყო. ქვეყნის ერთიანობის დაშლით გამოწვეული ობიექტური პრობლემების შედეგად, საქართველოს ერთი ნაწილი მოკლებული აღმოჩნდა კანონიკური სწავლების პერმანენტულობას, ხოლო შემდეგ ამგვარი სწავლების სრული წყვეტის პირობებში (გვიანშუასაუკუნეებში) საქართველოს ზოგიერთ მხარეში ჩამოყალიბდა ღვთისმსახურების საინტერესო, ლოკალური ფორმები (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ნაწილობრივ, სვანეთი), რომლებიც ქრისტიანული ღვთისმსახურების ხალხურ ლოკალურ ვარიაციებს წარმოადგენდა. ამ მხარეებში ჩამოყალიბებული რელიგიური სისტემა, რასაკვირველია, ქრისტიანული სწავლების შემონახული ცოდნის კონსერვაციისა და დროთა ვითარებაში ამ ცოდნის ხალხური ელფერი შემოსვის შედეგი იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ხევსურეთის ტრადიციული ყოფის მახასიათებელი სასულიერო ტექსტების მეცნიერული ანალიზი — ვერა ბარდაველიძის შენიშვნით, “ხევსურულ კურთხევათა ტექსტებს აშკარად ატყვია ქრისტიანული რელიგიის ბეჭედი. ისინი უნდა წარმოადგენდნენ დროთა ვითარების გამო ხევსურეთში ზეპირგადმოცემით შერყვნულ ქრისტიანულ ტექსტებს” (ვ. ბარდაველიძე, 1938, გვ. 5).

საეკლესიო დღეობების პარალელურად, საქართველოში აღინიშნებოდა სხვა ხალხური დღესასწაულებიც: საგმირო-საბრძოლო ისტორიასთან დაკავშირებული დღეობები, წლიურ სამეურნეო ციკლთან დაკავშირებული დღეობები, დარ-ავდრის “გამომწვევი” დღეობები, საკარნავალო ტიპის დღეობები (“შურვამობა”, “კეისარობა”, “აღბა-ლიღრალი”, ყვენობა, ბერიკაობა და სხვ.) და ა. შ. რასაკვირველია, ყოველი ხალხური დღეობის დაგეგმვა, მომზადება, წარმართვა და შემდგომი სამოქმედო პროგრამის შემუშავება, ისევე როგორც საეკლესიო დღეობათა აღნიშვნის ტრადიცია, მთელ რიგ სერიოზულ სამუშაოებთან იყო დაკავშირებული.

ბუნებრივია, დღეობათა დაგეგმვისა და განხორციელების გზები ყოველ ეთნოსში, საზოგადოებასა თუ სოციალურ ჯგუფში გარკვეული თავისებურებითა და თვითმყოფადი ნიუანსებით ხასიათდება. ქართულ ხალხურ დღეობათა საინტერესო მარკერს მათი მრავალფეროვნება, დროში გამძლე ნასიათი, თემატურად დატვირთული და ხატოვანი სასულიერო ტექსტების არსებობა, მკვეთრად ჩამოქნლილი და სტანდარტიზებული, მკაცრად რეგლამენტირებული მსახურეული აპარატი (ხუცეხი, დეკანოზი, ხევისბერი, დასტური, შულტა, მოკილი, მულზონი... და სხვ.), შესაწირავების სახეობები და მდიდარი ეთნომუსიკალური ფონი ქმნის.

ქართული ხალხური დღეობების შესახებ პირველი ადგილობრივი — ქართული ინფორმაცია წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ამსახველ სიუჟეტშია დაცული (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 87-92). წყაროს თანახმად, გაქრისტიანების წინა პერიოდისათვის საქართველოს მთავარ რელიგიურ დღეობას არმაზისადმი მიძღვნილი დღესასწაული წარმოადგენდა და მასში მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა აქტიურად მონაწილეობდა. დღესასწაულის კულმინაციად იკვეთება მეფე-დედოფლის მობრძანება და ღვთაება არმაზისადმი მსხვერპლის შეწირვა: “მაშინ დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით², წარმავალნი დიდად ქალაქად სამეფოდ, მცხეთად... ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა... და აჰა ესერა, ზვალისა დღე იყო ჳმა ოხრისა და საყურისა; გამოვიდა ერი ურიცხვ, ვითარცა ყუავილნი ველისანი, და ზარი საშინელი გამოვიდოდა, და ჭრეთ მეფე არადა გამოსრულ იყო. და ვითარ მოიწია ჟამი, იწყო სივლტოლა და მიდამომალვა ყოვლისა კაცისა შიშითა საფარველსა თჳსსა შეივლტოდა. და აჰა, მყის გამოვიდა დედოფალი ნანა, და ნელიად მოვიდოდა ერი. და შეამკუნეს ყოველნი ფოლცნი თუოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა. მაშინ გამოვიდა მირიან მეფე საზარელითა და თვალ-მეუდგამითა ხილვითა...” (ქართლის ცხოვრება 1955, გვ. 87-92).

წინარექრისტიანული ქართული დღესასწაულის ამსახველი ეს აღწერილობა ავლენს რამდენიმე საინტერესო ელემენტის არსებობას უძველესი დროიდანვე: 1. დღესასწაულის საერთო-სახალხო ხასიათსა და მასში მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის ჩართულობას; 2. დღეობის უმთავრეს პერსონაჟებად მეფე-დედოფლის მიჩნევას; 3. დღეობის აუცილებელი ატრიბუტების: მუსიკალური საკრავების (“ჳმა ოხრისა და საყურისა”) სახეობებს და სადღესასწაულო სამოსლის არსებობას, ასევე, ღვთაების გამოსახულების ყვავილებით შემკობის ტრადიციას და სხვ.

ქართული ტრადიციული სულიერი კულტურის ესა თუ ის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც მუდმივად ფიგურირებს შემდგომი დროის ქართულ კულტურაშიც, მომდინარეა არქაული ხანის ქართული სააზროვნო სისტემიდან. ქართველთა არქაული სულიერი ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი აღდგენილია მკვლევართა მიერ (მ. ზიდაშელი, 2011). ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია ხალხურ დღეობათა სისტემა და მისი ცალკეული დეტალები: 1. არქეოლოგიური არტეფაქტები — ქრისტიანობამდელი საკურთხევლები, საკრალიზებული მატერიალური შესაწირავები: საზედაშე ქვევრები, სარიტუალო პურების საბეჭდავები და სხვა; 2. საისტორიო წერილობით წყაროებში დაცული ინფორმაცია; 3. სულიერ კულტურაში ფიქსირებულ სიმბოლოთა სისტემა; 4. დღეობათა ეთნომუსიკალური ფონი; 5. დღემდე არსებულ დღეობათა ცალკეული პასაჟების რეკონსტრუირების მეთოდით აღდგენილი არქაული სისტემები... **ისტორიულ-ეთნოგრაფიული მახალა ავლენს ქართველთა ერთიანი რელიგიური ხისტემის და ერთიანი ეთნიკური კულტურის არსებობის ფაქტს არქაულ ხანაშივე და მის განფენილობას საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში.**

² იგულისხმება ქალაქი ურბნისი.

უძველესი დროიდან მოყოლებული, შემონახულია მრავალფეროვანი მასალა ქართულ ხალხურ დღეობათა მართვის ფორმებისა და ზოგადი ტიპოლოგიის შესახებ.

ცნობილია, ქართული ეთნიკური კულტურა, როგორც ცოცხალი და განვითარებადი ორგანიზმი, დიდი მდგრადობით და, ამავდროულად, მობილლობითაც გამოირჩეული ფენომენია. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში იგი ქმნის მხოლოდ ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ კულტურულ ფასეულობებს. რომელთა უმრავლესი ნაწილიც იმ დროის მრავალი ხალხის კულტურის ნაწილიცაა და, აგრეთვე, ლოკალურ-ეროვნულ ძეგლებსაც, რომლებიც მხოლოდ ქართული კულტურის მონაბოვარია და მსოფლიო საგანძურშია შეტანილი. ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ქართულ კულტურაში ჩენილი ცვლილებების მიზეზები ზოგადსაკაცობრიო სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ მოვლენებთანაცაა დაკავშირებული და შიდაეთნიკური განვითარების ეტაპებთანაც. ამ ორი პროცესის ურთიერთგავლენა — საკაცობრიო საზოგადოებრივ-ისტორიული ფორმაციის ცვალებადობა და ეთნიკური სოციალურ-კულტურული ყოფის დინამიკურობა — ადგეკატურად აისახებოდა ქართულ ეთნიკურ კულტურაზე და ამის თვალსაჩინო მაგალითია უკვე ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე დაწყებული ახალი ქართული კულტურის — ქრისტიანული კულტურის შექმნა და განვითარება.

საქართველოს ყოფა და კულტურა სრულიად ახლებური გზით ვითარდება IV საუკუნიდან: ახალ რელიგიასა და ქრისტიანობასთან დაკავშირებულ კულტურას, ადგილობრივი დიდი კულტურის ტრადიციები ხვდება და ჯერ კიდევ უძველეს ქართულ (დიაოხი//ტაოხი, კოლხა, ქართლი, ეგრისი, ფარნავაზ მეფის დროინდელი ერთიანი საქართველო ძველი წ. ა. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე) კულტურაზე დამყარებული ტრადიციები ბუნებრივად ერწყმის ახალი — ქრისტიანული რომულ-ბიზანტიური, სირიული — კულტურის ელემენტებს: რის შედეგადაც იქმნება ორიგინალური ქართული ქრისტიანული კულტურა. რომელიც, ბუნებრივია, არსით განსხვავებულია ქრისტიანობამდელი ქართული სულიერი კულტურისაგან. ამ დროიდან თვისობრივად იცვლება ყოფისა და კულტურის ყოველი ელემენტი და მათი გადააზრება და განვითარება ხდება ახალი რელიგიის შესაბამისად.

რასაკვირველია, საქართველოს ტრადიციულ ყოფაში, ჩვენი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე დღესასწაულთა მართვის ერთმანეთისაგან განსხვავებული სისტემები არსებობდა. ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების არსებობის პირობებში დღეობათა მართვა ქართული ოფიციალური კანონმდებლობით ხორციელდებოდა. თანაარსებობდა საერო და კანონიკური სამართალი, რომლის მიხედვითაც ყოველი ეკლესია-მონასტერი, სადაც, ბუნებრივია, აღინიშნებოდა რელიგიური დღესასწაულები, ეკუთვნოდა სამეფო ხელისუფალს, რომელიმე საერო ხელისუფალს ან მხოლოდ საეკლესიო იერარქს. ბუნებრივია, დღესასწაულთა მართვა ასეთ შემთხვევებში კანონმდებლობის შესაბამისად, მფლობელის ხელმძღვანელობითა და მითითებებით ხდებოდა და პროცესში ჩართული იყო ყველა მონაწილე, დაწყებული მაღალი იერარქიის სასულიერო და საერო პირებით, დამთავრებული მებეგრე მეკომურებითა და სტუმრებით. ყოველ მონაწილეს კანონით დარეგულირებული უფლება-მოვალეობა გააჩნდა (ბ. ლომინაძე, 1966).

ქვეყნის ერთიანობის დაშლისა და ცალკეული სამეფო-სამთავროების წარმოქმნის შემდეგ, ისევე როგორც ყოფის ყველა სფეროს, დღეობათა მართვის პროცესსაც ცვლილებები შეეხო. **ცვლილებათა ფორმატი მკვეთრად გაიზარდა გვიან შუასაუკუნეებში, როდენაც ქვეყნის მთიანეთის მოსახლეობა, ფაქტობრივად, მხოლოდ საკუთარი ძალის ამარა ინარჩუნებდა ტრადიციულ ცხოვრების წესსა და ადათს. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში საქართველოს მთიანეთში აქტუალიზირდა ტერიტორიული თემისა და მთავარი სათემო ეკლესიის (ჭვარჩატის) ხულიერი და ხოციალური ფუნქციები.** საეკლესიო და ხალხურ დღეობათა მართვა სწორედ სათემო გადაწყვეტილებებით ხორციელდებოდა და იგი ლეგიტიმურობას იძენდა სათემო ეკლესიის ერთგვარი ვიზირებით. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მასალა სვანეთის წერილობით ძეგლებშია შემონახული (სწმ, 1986).

საქართველოს მთიანეთის ხალხურ დღეობათა მართვის ფორმები და სახეები მომდინარეა ძველი ქართული საერო და კანონიკური სამართლის ძირითადი პოსტულატებიდან და ნორმებიდან.

ცნობილია, შუასაუკუნეებში დროის მართვა ეკლესიის ხელში იყო. **ტრადიციულ საზოგადოებებში დრო არა რიცხვებით, არამედ საეკლესიო დღეობებით, წმინდანების ხსენების დღეებითა და წირვა-ლოცვის საათებით განისაზღვრებოდა.** ამ მხრივ ქართულ მასალასთან დიდ მსგავსებას ავლენს ევროპის ტრადიციული ყოფის ამსახველი ინფორმაცია (ე. გოფი, 2005; ა. გურვეიჩი, 1989; მ. ელიადე, 2000). ეკლესიის პრეოგატივის წარმოადგენდა საზოგადოების ყოველდღიურობის დაგეგმვა საეკლესიო კალენდრის მიხედვით. ეკლესია განსაზღვრავდა მოსახლეობის სულევი ცხოვრებას და, ამავე დროს, აკონტროლებდა სოციალური ურთიერთობების ამა თუ იმ სეგმენტსაც (ქორწინება, ნათესაური ურთიერთობების ეგზოგამიურობის მასშტაბების განსაზღვრა, დაკრძალვის წესები...). წლიური სამეურნეო კალენდარიც კი კანონიკური სწავლების მიხედვით იგეგმებოდა. წლიურ კალენდარში, ცხადია, ყველაზე დიდი ადგილი რელიგიურ დღესასწაულებს ეჭირა. მაგალითად, მხოლოდ სვანეთის ერთი ნაწილის ეთნოგრაფიული მასალით (ზემო სვანეთი), XX საუკუნის 30-იან წლებშიც კი აქ 160-მდე რელიგიური დღეობა აღინიშნებოდა. ეს კულტურული ფაქტი მკვლევარ ვერა ვარდაველიძის მართებული დაკვირვებით “თავისთავად ამჟღავნებს, თუ რაოდენ დიდი ადგილი ეჭირა ძველად სვანის ცხოვრებაში სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებებს” (ვ. ბარდაველიძე, 1939, გვ. X). XIX საუკუნის მიწურულის უცხოელ მოგზაურთა დაკვირვებითაც, სვანეთის მოსახლეობისათვის მთავარ სულიერ და სოციალურ მუხტს რელიგიური დღეობები ქმნიდა (დ.ვ. ფრემფილი, 1896).

დღეობების მართვა, ბუნებრივია, ხალხური/ემპირიული კოდნის ბაზაზე ხორციელდებოდა. მენეჯმენტის პროცესების დინამიკა და სტრუქტურების ჩამოყალიბება საინტერესოდ ვლინდება ქართულ ხალხურ დღეობათა დაგეგმვისა და მიმდინარეობის ამა თუ იმ ეტაპზე. ქართულ ხალხურ დღეობათა ანალიზი ისტორიულ ჭრილში წარმოაჩენს მენეჯმენტის ჩამოყალიბებისა და ზოგადი კრიტერიუმების გააზრების ეტაპებს. ქივი, ასევე, გვაწვდის საყურადღებო მასალას ზოგადად როგორც ქართული რელიგიური სისტემის, ასევე ისტორიულ-ეთნოგრაფიული, მხარეებში არსებული ლოკალური ნაირსახეობების შესახებ; ამასთანავე, ავლენს ტრადიციულ დღეობათა მიმდინარეობის პროცესში ნოვაციური

ელემენტების გაჩენისა და დანერგვის, ხოლო შემდეგ ნოვაციების ტრადიციებად ქცევის ეტაპებს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა არა მხოლოდ სულიერი კულტურის დინამიკის სურათის წარმოჩენა, არამედ ტრადიციული ქართული ხალხური დღესასწაულების ანალიზი კულტურის მენეჯმენტთან კავშირში. შესაბამისად, კვლევა ითვალისწინებს ქართული სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი კომპონენტის — ხალხური დღეობების — ძირითადი ტრადიციების შესწავლას და წარმოადგენს ამ ელემენტის ანალიზს კულტურის მენეჯმენტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ცნობილია, ხალხურ დღეობებში დაუნჯებულია მისი აღმნიშვნელი მოსახლეობის რელიგიური მსოფლხედვა, ზოგადად, რელიგიური სისტემა; ამასთანავე, დღეობა თავისთავად გულისხმობს სოციალურ ურთიერთობათა (სოციალური ფენები, ასაკობრივი ჯგუფები, გენდერული ბალანსი...) მთელ სპექტრსაც და აქვე ვლინდება კულტურის სხვა უმნიშვნელოვანესი კომპონენტებიც: წინასაღებობა სამზადისი (მარხვის სისტემები, შესაწირავების მომზადების ეტაპები, დღეობის წესისა და რიგის დაგეგმვა, სადღესასწაულო ადგილის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შრომის განაწილება, განბანვის ტრადიცია...), ლოცვითი რიტუალის ინვარიანტები, ტრადიციული საეკლესიო და საერო არქიტექტურა, სარიტუალო ეთნომუსიკალური შემოქმედება, შესაწირავის სახეობები, სარიტუალო კვებითი სისტემა, საწესო-სარიტუალო სუფრის ლოკალური ფორმები, სადღესასწაულო შესამოსელი და სხვ.

აღსანიშნავია ქართულ ხალხურ დღეობათა სანახაობითი ასპექტიც. ქართველი ერი, მისი არსებობის ყველა ეტაპზე, მდიდარი სანახაობითი ტრადიციებით გამოირჩეოდა და ხალხურ დღეობათა აუცილებელი ატრიბუტები იყო ხალხური საგალობლები, მუსიკალური საკრავები, ფერხულები. ზოგიერთი დღეობა მკვეთრად თეატრალიზებულიც იყო და მათში ჭარბობდა საკარნავალო ელემენტები, თეატრალური ნიღბები და ატრიბუტები (მაგალითად, ასეთია ადრესაგაზაფხულო ციკლის დღეობები საქართველოს ყველა მხარეში). ბევრი დღეობის დასასრული ან მისი მიმდინარეობის რომელიმე ეტაპი საწესო-სამხედრო რაინდული ასპარეზობებითაც იყო დატვირთული (დოლი, მარულა, ისრის სროლა, ჭიდაობა, საჩილდაო ქვის აწევა, კრივი...). ბუნებრივია, ამდენი ასპექტის მქონე კულტურის ფაქტს (დღესასწაულს) სერიოზული მომზადება და მართვა ესაჭიროებოდა.

ტრადიციულ ქართულ ყოფაში, მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში დღეობათა მენეჯმენტი საერთო-სათემო მნიშვნელობისა იყო. ცხადია, ტერმინი თემი ტრადიციულ ქართულ კულტურასთან მიმართებით არ შეიძლება განხილულ იქნეს ევოლუციონისტური მოძღვრებიდან მომდინარე ე. წ. პირველყოფილ თემურ წყობილებასთან მიმართებით, როგორც ეს ხდებოდა ცარიზმისა და საბჭოთა ეპოქის განმავლობაში³. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროებით

³ ეს ტერმინი ქართულ წერილობით ძეგლებში XI საუკუნიდან ჩნდება, იხსენიება პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკანში და ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელია. დასავლურ-ქართულ საისტორიო დოკუმენტებში კი XIII საუკუნიდან იხსენიება ამავე მნიშვნელობით (თ. ბერაძე 1976, გვ. 225). ქართული "თემი" მომდინარეა ბერძნული Thema-დან. ქართულ წყაროებში ამ ტერმინით გამოიხატება ქვეყნის ესა თუ ის ნაწილი, მაგალითად, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, ქართლი, ჭავჭავთი, სვანეთი, კახეთი და სხვა; გარდა ამისა, "თემი" ერთი რომელიმე ხეობის აღმნიშვნელიცაა (მაგალითად, "ქებალიანთ თემი ერთი"); შემდეგ, "თემის" მნიშვნელობა უფრო ვიწროვდება და სოფელთა ჯგუფის ან სულაც ერთი სოფლის გამომატველი ხდება. საქართველოს ტრადიციულ ყოფაში იგი ჭვარ ხატის საკვოსაც აღნიშნავს და ა. შ. სულხან-საბას განმარტებით "თემი ქვეყანის ერთი ნაწილია" (ორბილიანი, 1991, გვ. 303).

ხელმისაწვდომი საკვლევი პერიოდიდან საქართველოში “თემი“ მხოლოდ ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინია (რ. თოფჩიშვილი, 2006, გვ. 110). იგი სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატის დამატებას წარმოადგენდა, ხოლო ქვეყნის დაშლის შემდეგ საქართველოს მთიანეთში ხალხური თვითმმართველობის ფუნქციასაც ითავსებდა. თემი ტერიტორიულ ერთეულად მოჩანს, მაგალითად, გვიანშუასაუკუნეების იმერეთის სამეფოში. ამ დროის იმერეთის სამეფოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების ძირითად რგოლს სასოფლო-სამეზობლო თემი ქმნიდა. თემი, ჩვეულებრივ, იურიდიული პირის სტატუსით სარგებლობდა და მას კოლექტიური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა გარკვეული სამეფო თუ საეკლესიო ვალდებულებების შესრულების საქმეში. “თემი ორგანიზაციულად ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. ყველა თემს თავისი საკუთარი “თემის ხატი“ გააჩნდა, რომლის სახელობის საყდარი ამ თემის წევრების ერთგვარ პატრონს წარმოადგენდა. თემი ჩვეულებრივ, საეკლესიო დღეობაზე იყრიდა თავს. თემის ხატის დღეობა კი ამ თემის მთავარ დღეობას წარმოადგენდა“ (თ. ბერაძე, 1976, გვ. 225-227).

ტერიტორიული, სამეზობლო და სასოფლო თემები შემონახულია საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ტრადიციულ ყოფაში.

სვანეთში XIX საუკუნის ბოლოდან იკვეთება შემდეგი ტერიტორიული თემები: ზემო სვანეთში: უშგული, კალა, წვირმი, მულახ/მუჟალი, მესტია, ლენჯერი, ლატალი, ცხუმარი, ბეჩო, ეცერი, ფარი (ჩუბხევეი), ლახამულა, ნაკრა, ქუბერი, ხაიში. ქვემო სვანეთში: ლაშხეთი, ჩოლური, ლენტეხი.

ფშავში თერთმეტი ტერიტორიული თემი ფიქსირდება. ქისტაურთ თემი, უძილაურთ თემი, გოგოჭურთ თემი, გოგოლაურთ თემი, წოწკოლაურთ თემი, ზურაბაულთ თემი, ჭიჩოულთ თემი, გოდერძაულთ თემი, წითელაურთ თემი, უკანაფშაველთ თემი. ფშავის ყველა თემი თავმოყრილი იყო მთავარი სალოცავის ლაშარის ჯვრის გარშემო (რ. თოფჩიშვილი, 2006, გვ. 111-112). ჯვარი თემის ერთობის სიმბოლოს წარმოადგენდა (მ. კანდელაკი, 1995, გვ. 238-260). ჯვრის საკუთრება იყო მიწების დიდი ნაწილიც.

ხევსურული თემი თითოეულ ცალკე სოფელსაც გულისხმობდა და უფრო დიდ ტერიტორიულ თემსაც. პირაქეთ ანუ ბუდე ხევსურეთში შედიოდა: 1. არაგვის ხეობა, 2. ლიჭკის ხეობა, 3. ბისო, 4. გორშედლის ხეობა, 5. წყალსიქითის ხეობა; პირიქით ხევსურეთში კი: 1. გურო-შატილი, 2. მიღმახვეი, 3. არხოტის ხეობა (რ. თოფჩიშვილი, 2006, გვ. 113-114).

ისტორიულ თუშეთში რვა ტერიტორიული თემი არსებობდა: ქანჭახოვანი, ჩაღმა, ხეცურთა, ივანაურთა, გომეწარი, პირიქითი (აღმა), სამციხი და წოვათა.

სათემო-ადმინისტრაციული დაყოფა შენარჩუნებულია საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა მოქცეულ ისტორიული ტოპოკლარაქეთის ქართულ მხარეებში, მაგალითად, ზემო მაჭახელში ექვსი ტერიტორიული თემია: აკრია, მინდიეთი, ხერთვისი, ზედვაკე, ეფრათი. ყოველი თემი რამდენიმე სოფელს (მაჰალე) აერთიანებს. სამი დიდი თემია ისტორიულ ტაოს ერთ ნაწილში — პარხლისწყლის ხეობის ზემო წელში, მდინარე ქობაისწყლის აუოლებით: ხევაი, ბალხი, ქობაი. ყოველი თემი რამდენიმე სოფლისაგან შედგება და სხვ

მთავარი ნიშანი, რომელიც საქართველოს ტრადიციულ ყოფაში დაფიქსირებულია ყველა ქართული სასოფლო-ტერიტორიული თემის მიმართ, არის **თემის მჭიდრო კავშირი სათემო ეკლესიასთან (ჯვართან, ხატთან). ეკლესია (ჯვარი, ხატი) ყოველი თემის სულიერ და სოციალურ ცენტრს წარმოადგენდა.** აქედან გამომდინარე, მთელი თემის მთავარი საეკლესიო დღეობა სათემო (ანუ ცენტრალური, მთავარი) ეკლესიის (ჯვარ-ხატის) დღეობა იყო. მაგალითად, ხევსურეთში “თითოეული თემის ცენტრში მოთავსებული იყო ჯვარი, სათემო ღვთაების საკულტო და სამეურნეო ნაგებობათა სახით, რომელიც საერო და სასულიერო ხელისუფლებების თავყრილობის ადგილს შეადგენდა“ (ვ. ბარდაველიძე, 1952-ა, გვ. 497); სვანეთშიც ყოველ თემში აღმართულია ერთი მთავარი საყდარი, რომელიც მთელი თემის სასულიერო ცენტრია. გარდა ამისა, თემში შემაჯავლ ყოველ სოფელში არის რამდენიმე სხვა ეკლესიაც. ყოველ თემსა და თემში გაერთიანებულ სოფლებში ხაზგასმული მასშტაბურობით აღინიშნება სათემო და სასოფლო დღეობები.

მუსლიმ ქართველთა სათემო ცენტრებს რელიგიური სიტუაციის შეცვლის შემდეგ “ჯამიკარი” წარმოადგენს. ჯამეები (მეჩეთები), უმრავლეს შემთხვევაში, ნაეკლესიართა ადგილებზეა აგებული. ეკლესიები კი, ცნობილია, ძირითადად სოფლის შუაგულში იყო აღმართული და მათ გარშემო სასოფლო მოედნები მდებარეობდა. ამდენად, რელიგიის არსის შეცვლის მიუხედავად, მუსლიმ ქართველთათვისაც ძველ, ტრადიციულ სასოფლო-რელიგიურ ცენტრში ჩამოყალიბდა გამუსლიმების შემდგომი თავშეყრისა და სოფლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების ადგილი. ამ ადგილებში, ზოგიერთ ეთნიკურად ქართულ დასახლებაში დღემდე აღინიშნება მარიობისა და შუამთობის დღესასწაულები.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში არსებულ ისტორიულ (სამეზობლო-ტერიტორიულ) თემებს საერთო სარგებლობაში ჰქონდათ ტყე, საძოვრები და სახვნელი მიწის ნაწილი (რ. თოფჩიშვილი, 2006, გვ. 110). ცალკე არსებობდა სათემო **ჯვრის მიწები** – ჯვარის მამულები. ჯვარის მამულები გაცემული იყო ცალკეულ “მამებზე“, რომლებიც მიწას კომპლობრივად ამუშავებდნენ და ჯვარს ღალას უზღდიდნენ. შედარებით დიდი და დაუნაწევრებული ფართობის სათემო ჯვარის მიწებს კი ხევსურეთში კოლექტიურად განკარგავდნენ. ასეთ ნაკვეთებს “სალუდეებს“, “საულავოებს“ და “ზოდებურებს“ უწოდებდნენ (ვ. ბარდაველიძე, 1952). სახატო მამულების მთელი მოსავალი სახატო დანიშნულებისა იყო და მისი დიდი ნაწილი დღესასწაულებზე იხარჯებოდა.

სათემო მიწათმფლობელობასთან დაკავშირებით უფრო განსხვავებული მდგომარეობა შეინიშნება გვიანშუასაუკუნეების სვანეთში, სადაც მიწა კვლავაც კერძო საკუთრებაში რჩებოდა და **სათემო განკარგვა მხოლოდ საეკლესიო მიწებს შეეხებოდა.** ყოველ თემში, თვით დღევანდელ ყოფაშიც კი შემონახულია საეკლესიო სახელებული მიწებისა და ტყეების ნაწილი, რომლის მოვლა-პატრონობისა და განკარგვის ფუნქცია მთელი თემის გადასაწყვეტია. **საეკლესიო მიწაზე მოწეულ მოსავალს ამ ეკლესიის სატაძრო დღეობებზე ხარჯავენ, ტყესაც მხოლოდ ეკლესიის საქაროებისთვის იყენებენ.**

საეკლესიო (სახატო) მიწათსარგებლობის მექანიზმი თითქმის ერთგვაროვანია საქართველოს მთიანეთის ყველა მხარეში. საეკლესიო (სახატო) მიწა-წყლისა და ქონების მართვის საკითხებს თემი გჯუფურად განიხილავდა და წყვეტდა.

ხალხური დღეობები საეკლესიო კალენდრით გამოითვლებოდა. ბუნებრივია, ყველა თემში აღინიშნებოდა საუფლო დღესასწაულები, მათ ემატებოდა ადგილობრივ აღმართული ეკლესიების სატაძრო დღეობები და ჭვარჩატა დღესასწაულები. სათემო და უფრო მცირემასშტაბიანი სასოფლო ან საგვარეულო დღეობები, ცხადია, განმეორებადი იყო და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოქნილი გონივრული მენეჯმენტით იმართებოდა.

მაგალითად, სვანეთის წმიდა კვირიკეს მონასტრის მცველთა შეცვლის, სამონასტრო მიწათა განკარგვისა და მთელი შემდგომი სარიტუალო ქმედების პროგრამა აღდგომის წინა კვირას იგეგმებოდა. ამ დღეს იკრიბებოდა კალის თემი და მთელი შემდგომი წლის უფლება-მოვლევებს გადაინაწილებდა.

სვანეთში საწესო-სარიტუალო პრაქტიკის წარმმართველები, ანუ ყველაზე გამორჩეული პიროვნებები ეკლესიათა მცველები (მოკილ), მომვლევები (მულზონი) იყვნენ. ისინი იცავდნენ საეკლესიო საგანძურს და აწესრიგებდნენ მთელ სადღეობო ინფრასტრუქტურას, წარმოადგენდნენ დღეობის მთავარ მლოცველებს, დამლოცავებს და მასპინძლებს. მათ მხარში ედგა თემის მიერ ერთი წლით არჩეული სოფელი, საგვარეულო ან კომლი, რომელსაც საეკლესიო მიწის დამუშავება და მოწეული მოსავლის ეკლესიისთვის მიძღვნა ევალებოდა. ამავე პირთა მოვალეობა იყო ეკლესიის გალავნის გამაგრება, იქაურობის დასუფთავება, გადმოთოვლა, შეშის მოჭრა და მოტანა. ეკლესიაში შესვლისა და ჭვარჩატებთან მიკარების უფლება კი მხოლოდ ეკლესიის მცველებს გააჩნდათ. დღეობის მოახლოებისთანავე მორიგე პირები, რომელთაც ასევე, თემი გამოარჩევდა მორიგეობით, დივილიდნენ სოფელს და საეკლესიო შესაწირავს (ბეგარჩიბარ) შეკრებდნენ (ფული შესაწირავი ზვარაკის საყილად, წმიდად გამოხდილი და შენახული ზედაშე, ყველი, ფქვილი) და დღეობის ამ წლის მასპინძელთან დაბინავებდნენ; აცნობებდნენ მოსახლეობას დღეობაზე შეკრების დროს. ლოცვის დაწყების წინ მორიგე მამაკაცები ზარს შემოჰკრავდნენ, ხოლო ზოგან ძველებური ბუკები-საყვირებიც იყო ეკლესიებში დაცული და მათი ახმიანებაც შეკრების ნიშანს წარმოადგენდა. მლოცველები ხმამაღლა ილოცებდნენ, სასულიერო პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, საზოგადოებაში განსაკუთრებული სახელისა და დამსახურების მქონე მამაკაცი ადავლენდა ლოცვას (ლიმზირ). ხატს გამომსვენებდნენ ეკლესიიდან და დალოცავდნენ მთელ თემს. ლოცვის დასასრულს ეკლესიის ეზოში საერთო-საზეიმო ტრაპეზი იმართებოდა. აღველინებოდა ხალხური საწესო საგალობლები (კვირია, დიდაბ, ჭგირაგ...).

საწესო საკვები იქვე აგებულ სპეციალურ მინაშენებშიც მზადდებოდა. ლოცვისათვის გადანახული შესაწირავი, ცხადია, საკრალური იყო და მისი მომზადებაც გარკვეულ წესების დაცვას გულისხმობდა: ეკლესიისათვის შესაწირი ხორბლეული გამორჩეულ მიწის ნაკვეთში ითესებოდა, მოწეულ მარცვლეულს ცალკე კიღობანში ინახავდნენ და მასთან მიკარება მხოლოდ შუახნის ასაკს გადაცილებულ მანილილოსანს შეეძლო; ოჯახის უფროსი დიასახლისი აცნობდა სარიტუალო პურებს – სეფისკვერებს, რომელთაც სპეციფიკური ფორმები და მოხატულობა აქვობდა. ეს პურები, ასევე, საგულდაგულად მოწეული ხორბლის სპეციალურად გადანახული ფქვილისაგან ცხვებოდა; საზედაშე არყის გამოხდაც მთელი რიტუალი იყო, არყის გამოზდელი მეზირის მთავარანგელოზის სახელზე ლოცულობდა და გამოხდილ სასმელს სპეციალურ საზედაშე ჭურჭელში ინახავდა. ოჯახებშივე მზადდებოდა სანთლებიც და სხვ. ამგვარი გონივრული მენეჯმენტით იმართებოდა დღეობები სვანეთში.

ადმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უფრო მეტად იყო აქტუალიზებული ჯვარ-ხატთა ფუნქცია და ასევე, მკვეთრად სტანდარტიზებული იყო ყველა მონაწილის ადგილი და როლი. აქ ხატის მსახურების სპეციალური ინსტიტუტებიც არსებობდა: ხუცესის, ხევისბერის, წლის ბერის (დასტურის), დეკანოზის, ნათის, ქადაგის, შულტის...

მაგალითად, ხევსურეთის ათენგენობას ასეთი სახე ჰქონდა: “ათენგენა იციან ხუთ დღეს. ათენგენის ქვაბებს (ლუდს) ადუღებენ მეთენგენე დასტურნი. ათენგენა მთელ ჯვესურეთის სალოცავებში ყველაზე დიდ დღეობად ითვლებს. ამას ეძახიან “ვარდის დღეობას”, იმით რო მაშინ აყვავებული ას მთაბარი ვარდივით. ამ დღეობაში ყველენით მიდან სალოცავად, სადაც ვინ მამა-პაპით წასული ას ჯვესურეთით — ერწოს, კახეთ, ან სხვაკან. დღეობა პირაქით ჯვესურეთ ექვსში, შვიდში იწყობის მკათათვეში. პირიქით ჯვესურეთ მაგალითად არხოტ, მკათათვის ცამეტში ას მთავარ დღეობა... დღეობა ერთ კვირამდინ გძელდებისად-დ ესახნელებისად ხთიშვილთ ეს დღეობა... დასტურები ამ დღეობისად ორმოცამდე ჩხუტე ლუდს ამზადებენ, რაკი ბევრ მეძღვნე მათუად-ბევრ ხარჯ დაშვირდების ლუდისა... დასტურები ერთი კვირათი წინ შაუღდებთან ქვაბ-სადუღროვას... სადუღროვა რო გათავდებისად უკენობის ქვაბს ადუღებენ, სწორად ამ წუხრას დგების ათენგენას წინა წუხრაიც. მაგანძურ მათს, გაინათლებისად-დ მაიტანს განძს, ჯელოსნებიც მაშინ დაინათლებიან, როსაც დროშები უნდა ააბძანან. დროშას ააბძანებენ ის ჯელოსნები, რომნებიც ამ წელს მიებარნეს, ჯელოსნად მივიდეს ჯვარნი... აქ ხუთ დროშაი-ას ასამბელი. განათლულ ჯელოსან მივე, დაიწერს პირჯვარსად-დ მასთოვს მადლს ჯვარს”. შემდეგ ამოაბრძანებს ტარეულიდან სიწმიდებს, ლოცულობს, ეამბორება, დროშის ტარს შეაბამს ჯვარს, ბაღდადებს და დააბრძანებს თათის ადგოლზე, შემდეგ ამავე რიგით აღმართავს სხვა დროშებსაც. ხუცესი გამოიტანს ერთ სახუცო თასით ლუდს და დროშა-ბორაყთან ილოცებს. გრძელდება ხუცობა-კურთხევა ტრადიციულად. ხუცობის დასასრულს ხუცესი ახალ ჯელოსანს დაამწყალობებს. დალოცავს სხვებსაც. თასიდან მოსვამს და სხვებსაც გადასცემს. მედროშები მოიყრიან მუხლს და ლოცულობენ. შევლენ ბედელში. ხუცესი კოდს გახსნის. იდგმება ტაბლები. მეორე დღეს, ათენგენა დიღას ბევრი მლოცველი მოდის, “ზოგი ზღვენს მაიყვანს, ზოგი სანათლავს, ზოგი მისამბარეოს, ზოგი საწირს... ხუცელები აქ სამნი არიან და ერთმანეთს ეცვლებიან”. შესაწირავის შეწირვის და ლუდით დალოცვის შემდეგ საერთო ტრაპეზი იმართება, “თან იმღერენ ფანდურზე”. “როსაც ზღვენებს დაუწყებენ ჯოცას, კაცი-დ დიაცი მაშინ ყველა ფეჭე დგებიან, იწერენ პირჯვარსად-დ ამწყალობებენ, ვისაც საკლავ იკვლის. სანათლავებს ერთბაშად წააყენებენ. გაივლის ასეთ წესით სამ დღე: დამისთვეა, ჟამისწირვა, საკლავების ხორცაი-დ... მეოთხე დღეს იციან”: ჭიდაობა, ფანდურზე დაკვრა, დოლი... სოფლებში ამ დროს მარტო ქალები რჩებიან, კაცები ჯვარში არიან. აქაც ახალგაზრდებს სჩვევიათ საღამომობით შეყრა და მხიარულება. “მეოთხე დღეს რო დაღამდების, ჯვარიონნი დამეს უთვევენ, ყველა წესებს შაასრულებენ. მეხუთე დღეს სტუმარი გაემართებისად გამაისტუმრებენ ჯერ ჯვარჩით, გამაყოლებენ საწლით ლუდს, ასმევენ, თან უმღერიან”. სტუმრებს მთელი სოფელი აცილებს. დასასრულს ჯვარში იმართება ხუცობის დასკენითი ნაწილი და მთავრდება ათენგენობა” (აღ. ოჩიაური, 2005, გვ. 106-111). რასაკვირველია, უკვე ამავე საღამოს დაწერილებითაა დაგეგმილი მომდევნო წლის ათენგენობის ყველა დეტალი.

თუმცაში საშობაოდ დღეობისათვის ლუდს ნათე და მაქალთეები ხარშავდენ, სოფელს შემოვიცილი აშულტა და სადღეობო შესაწირავს აგროვებდა და ა. შ. ფშავის ერთი თემის — ხოშარელების სადღეობო წეს-განრიგი ამგვარი ყოფილა: “ხოშარელები რომ აიყარნენ, მათი მამულები დარჩა სანადოდ. სანადოდ მამულებს ხალხი ხნავდა (ფშაურად სანადოდ, ხევისურულად ხოდაბური), თავ-თავისთვის ჰქონდათ სრელებად დაყოფილი. ყველა კომლი თავის ხვედრ მამულზე მოყვანილ ძნას იქვე ხატის კალოზე მიიტანდა და დასტურები გაღეწავდნენ. პური ინახებოდა იქვე სახატო ბეღელში, ჩალას დასტურები იყოფდნენ. აქვე იყვნენ ხევისბერებიც და წლის ბერებიც (ე. ი. დასტურები). აქ იყო ექვსი დასტური წლობით; ორი დასტური იყო სოფელ ჭიხოდან, ორი დასტური სოფელ ახადიდან და ორი დასტური გაბილოურებიდან, ე. ი. ხოშარიდან. სახატო სამსახურში ყველანი ეხმარებოდნენ ერთიმეორეს. მათ დღეობები დაყოფილი ჰქონდათ ლუდის სვეფორის დასამზადებლად; დანარჩენ შემთხვევაში კი ერთიმეორეს ეხმარებოდნენ. აქ იყო საბერო, დარბაზი, სადასტუროები სამ ადგილას: საზარე, ხატის ბეღელი და ხატის კალო. სადასტუროები შორ-შორს იყო... აქ ქალები ისევ ვერ გაივლიდნენ და მრევლი ქალებისაგან ხომ ეს მხარე სულ დაეცულო იყო” (ალ. ოჩიაური 1991, გვ. 12-13).

ქართული ხალხური დღეობების მართვის ტიპი მსგავსია დასავლეთევროპული ხალხური მენეჯმენტისა. ცნობილია, დასავლეთ ევროპაშიც სასოფლო თემს მრავალგვარი ფუნქცია გააჩნდა: სამეურნეო, ადმინისტრაციული თუ სოციალურ-კულტურული. თემს ფეოდალისათვის წინააღმდეგობის გაწევა და საკუთარი ტყე-ველის დაცვა შეეძლო, ისევე როგორც რენტის ტრადიციული ზომისა... სასოფლო თემი არა მარტო აგრარულ ტრადიციებს იცავდა, არამედ გლეხურ ადამ-წესებსაც, დღესასწაულებსა და თამაშობებსაც (ა. იასტრებიცკაია, 1981, გვ. 114-115).

გვიანშუასაუკუნეებში აქტუალიზებული ამგვარი მართვა დღეობებისა თანდათანობით ტრადიციული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. დღესასწაულები კალენდარული თანმიმდევრობით სრულდებოდა, მიჰყვებოდა საეკლესიო კალენდარს. ამავე დროს, არსებობდა სხვა ხალხური დღეობებიც, რომლებიც ადგილობრივი ეკლესიებისა და ჯვარ-ხატების სატაძრო დღესასწაულები იყო და ან რომელიმე ლოკალურ საგმარო სიუჟეტს მიაგებდა პატივს, ან სასოფლო-სამეურნეო ციკლთან იყო დაკავშირებული.

ხალხური დღეობები დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით საეკლესიო კალენდართან თანმიმდევრულად არსებობდა და ნაწილდებოდა სეზონისა თუ პერიოდების მიხედვით. ტრადიციულ საზოგადოებას გააჩნდა მეტად გონივრული, ჩამოქნილი საღესასწაულო-სანახაობითი კულტურის მენეჯმენტი: დღესასწაულის დამგეგმავი და შემსრულებელი სოციუმში მუხლსაუბრელებად შრომობდა მთელი წლის განმავლობაში, იმარაგებდა სარჩო-საბადებელს, უძღვებოდა მეურნობას, მართავდა ოჯახს, იგერიებდა გარეშე მტრების თავდასხმებს და უწყვეტად ლოცულობდა: წელიწადის ნახევარზე მეტი დრო ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში სწორედ ლოცვას — რელიგიურ დღეობათა აღნიშვნას ეთმობოდა. შრომა, შენება, ბრძოლა, ლოცვა და სანახაობა ენაცვლებოდა ერთმანეთს და ქმნიდა შარმონიული ტრადიციული ცხოვრების ყოველდღიურობას. თემში ყველა ასაკის, სქესისა და სოციალური წრის წარმომადგენელს თავისი მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია ენიჭებოდა, რაც ნებისმიერ ადამიანს დიდ წონას ჰმატებდა საზოგადოებაში და სოციალური პრესტიჟის ატრიბუციას უქმნიდა, უფუნქციოდ არავინ რჩებოდა და არც დისჰარმონია იქმნებოდა.

ქართული ხალხური დღესასწაულების მდინარება ასახავს ხალხური მენეჯმენტის საინტერესო ვარიანტს: იკვეთება მართვის ცოდნა, საორგანიზაციო ჩვეულების (ამ შემთხვევაში მონაწილე თემები ან სოფლები) ფუნქციური დაყოფა და შესაბამისი როლით აღჭურვა, დღეობის ეტაპები და სხვ.

ლიტერატურა

- ვ. ბარდაველიძე, 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფ., 1939.
- ვ. ბარდაველიძე, 1952 – ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი. სტრუქტურა და ჯგერისებობის ინსტიტუტი, – სმამ, ტ. 13, №8, თბ., 1952, გვ. 495-502.
- თ. ბერაძე, 1976 – თ. ბერაძე, სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში, მეცნიერებათა აკადემიის შრომებზე, ტ. 81, №1, თბ., 1976.
- ი. ბესმერტნი, 1991 – Бессмертный Ю. Л., Жизнь и смерть в средние века, Очерки демографической истории Франции, «Наука», М., 1991.
- ლ. ბოძაშვილი, 1988 – ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, თბ., 1988.
- ქ. გოგი, 2005 – Жак Ле Гофф, Цивилизация средневекового запада. У-Фактория, Екатеринбург, 2005.
- ა. გურვეიჩი, 1981 – Гуревич А Я., Проблема средневековой культуры, «Искусство», М., 1981.
- ა. გურვეიჩი, 1989 – Гуревич А. Я., Проблема ментальностей в современной историографии; Все-общая История: Дис-ку-сии, Новые подходы, вып. I, Академия наук СССР, «Нау-ка», М., 1989, стр. 75-88.
- მ. ელიადე, 2000 – Элиаде М., Священное и мирское, миф о веч-ном возвращении, «Ладомир», М., 2000.
- რ. თოფჩიშვილი, 2005 – თოფჩიშვილი რ. ეთნოისტორიული ეტიუდები, I, თბ., 2005.
- რ. თოფჩიშვილი, 2006 – რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია/ ეთნოლოგია, თბ., 2006.
- ა. იასტრებიცკაია, 1981 – ა. იასტრებიცკაია, XI-XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპა, თბ., 1981.
- მ. კანდელაკი, 1995 – მ. კანდელაკი, სოციალური სიმბოლიკა ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში, – სადოქტორო დისერტაცია, თბ. 1995.
- ბ. ლომინაძე, 1966 – ბ. ლომინაძე, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, I, თბ., 1966.
- სს. ორბელიანი, 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.
- აღ. ოჩიაური, 1991 – აღ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი), თბ., 1991.
- აღ. ოჩიაური, 2005 – აღ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი II), თბ., 2005.
- სწმ – სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986.
- დ. ფრეშფილდი, 1896 – The Exploration of the Caucasus by Douglas W. Freshfield. V. I, London and New York, 1896.

ქართლის ცხოვრება, 1955 — ლეონტი მროველი, მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჭუნისა ნინო მოციქულისა მიერ, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითად ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. სახელგამი, თბ., 1955.
 მ. ხიდაშელი, 2011 — მ. ხიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, თბ., 2005.

ROZETA GUJEJANI

SOME ASPECTS OF TRADITIONAL MANAGEMENT OF GEORGIAN FOLK CELEBRATIONS

The subject matter of an article is the strong element of Georgian culture – the system of Georgian folk celebrations, which is one of the main values of ethnical culture and has long history.

On the bases of historical-ethnographic materials, the fact of united religion system and ethnical culture of Georgians is detected in archaic period and its extension in all the historical-ethnographic parts of Georgia.

The article analyses the part of Georgian Christian culture after revelation Christianity as a state religion of Georgia –church calendar and its folk versions in different territories of Georgia.

An important segment of Georgian ethnical culture -folk traditions-are reviewed as alive and developing organism, a phenomenon with great sustainability and mobility.

An article states different systems of celebration management on the different stage of the history of Georgia. The focus is on the management of birthday parties formed later in medieval centuries, which has close contact with community-administrative management.

You'll meet interesting markers of folk celebrations: their variety, character resisting time, rich with themes, figurative theological text, vividly distinguished service apparatus (khutsesis, decents, foreman, dasturi, shulta, mokili, mulzoni... etc), the types of donations and rich ethno musical background. The focus is on the fact that folk celebration management means the whole range of social relations (social classes, age groups, gender balance...) and other most important components of culture: pre celebration preparation(systems of lend, arranging the infrastructure of the celebration place, delegating work),inversions of praying ritual, traditional clerical and secular architecture, ritual ethno musical creations, the types of donation, ritual food system, local forms of ritual party table, celebration clothes, show aspects (musical background, carnival elements, theatre masks and attributions, ritual-military tournaments and so on).

Further is stated that the forms and types of folk celebrations of mountainous Georgia comes from the primary postulates and norms of old Georgian secular and canonical justice.

Main sign which is fixed in the traditional everyday life towards all the Georgian communities, is close contact with community church (cross, icon) which is represents spiritual and social centre of every community.

The church mechanism of using the land is almost the same in every parts of mountainous Georgia. The church land and property issues were discussed and solved by community.

Georgian folk celebration management types are compared to west European folk management and the existenc of the same forms are proved.

ეკა დადიანი

ფონეტიკური პრობლემები ტაოურ დიალექტში - I
(ბგერათა დაკარგვა)

უცხო ენობრივ გარემოში არსებული ქართული დიალექტების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დიალექტებში მიმდინარე ენობრივი ცვლილებების წარმოსაჩენად, ენის განვითარების შინაგანი კანონების მოქმედების გამოსავლენად, საერთოქართული და განსხვავებული ტენდენციების დასადგენად. ტაოური მეტყველება ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ტაოური დიალექტისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი ფონეტიკური პროცესები. ფონეტიკურ ცვლილებებს უმთავრესად დიალექტის შინაგანი, იმანენტური კანონები წარმართავს.

ტაოურში ხშირია ბგერათა დაკარგვის შემთხვევები. იკარგება როგორც თანხმოვნები, ისე ხმოვნები.

I. თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები

ტაოურში ძირითადად იკარგება ს, ვ, რ, მ, ნ თანხმოვნები, იშვიათად უჩინარდება სხვა თანხმოვნები (ლ, თ, დ, ღ). იკარგება სხვადასხვა პოზიციაში: სიტყვის თავიდან, შუაში, ბოლოკიდურად; თანხმოვანთშეჯღუფებისას და ხმოვნებს შორის; როგორც ფუძეში, ისე მორფემათა ზღვარზე... თანხმოვანთა დაკარგვის ფაქტები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია სხვადასხვა პოზიციაში.

1. ხშირად იკარგება ს თანხმოვანი, რომელიც სხვადასხვა მორფოლოგიური ფუნქციისაა:

ა) -ს არის მიცემითი ბრუნვის სუფიქსი; როგორც წესი, უჩინარდება თანხმოვანფუძიან სახელებთან როგორც მხოლოდობითში, ისე მრავლობითში:

სახლ ვაკეთეფ, **ოთელ** ვაკეთეფ; **მარქვალ** (კარტოფილს) მიეყვანებენ; ჩემი ღარჭი შენ **ღარჭ** (ბიჭს) გემეიდეფს; **წყალ** ვასვამთ; **ხალს** ფული არ აქვან; **ტიკ** ღუკრავთ; **მალე** (ძროხებს) წავასხამთ; **ძროხებ** ქალები შეხედვენ; კაცი **ქონებ** აშენეფს; **ფათათისებ** (პამიდორს) ჭამენ...

მიცემითის -ს ნიშნის გარეშე წარმოდგენილია პრეპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი:

მე **ჩემ ჩადირში** (კარავში) დავჯდები; **ჩემ გურჯებ** არ უყვარან აქა; **ჩემ ფურ** ჩემი ქალი მოსწველავს...

ემფატიკური ა-ს დართვისას ბრუნვის ნიშანი დაცულია. მაგალითად: შოთა, არჩილ, ისე ვათამაშებ მე **ბურთსა**; აწმოფთ **ყველსა**? ვერ გააღებენ ქი **კარსა**; ერთ **კაცსა** ათი თანე ფური ყუანდა; ჩვენ კდევ დავფაქეფთ (დავასუფავებთ) **ზოსელსა**; ჩავდევთ **ქართოლსა**; ცნობულობენ მათ **საწლსა**; სხვა **საჭმელსაც** ვიქამთ; **მარილსაც** ჩუაყრით...

შენიშვნა: თანხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითის -ს სუფიქსი იკარგება იმ დიალექტებში, სადაც ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან დაჩნდება **მ//ჰ<ს**; მაგალითად, ქართლურში, კახურში (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 551). მიცემითის **ს>მ/ჰ** ტაოურისთვის დამახასიათებელი არ არის.

არცთუ იშვიათად მიცემითის -ს ფორმანტის გარეშე გვხვდება ნაცვალსახელებიც. მაგალითად:

III პირის ნაცვალსახელი: **იმა** დავაბოფთ; **იმა** მოხარშავ; **ამა** სთეროფს (ითხოვს); **ამა** ამევიღეფთ, ჩუაგღეფთ შიგან... შდრ.: თირფანით მოვთიბავთ, გუახმოფთ **იმასა**; ჩვენ თირფან ვებნეთ **იმასა**.

გარკვეულ შემთხვევებში ხმოვანფუძიანი სახელები მოსალოდნელი მიცემითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითად:

შეშა დავაბოფთ, დავჯოხავთ; **ფარა** გვიღებენ; **მიწა** ვყრითა ზედან ჯვალზე; დღე აჰა იქ **თივა** გვიან; **ჩაფა** (თოხი) არ ვხმაროფთ; **სანდალიე** (სკამი) იტყვიან; **ჩენა** (სასჯელი) მოქცემენ; **მალეზ** გავზავნით; მალეზიც **მეცხვერე** მოჰყავდა; მუამთილი **დედე** უშენებია...

შდრ.: მიცემითის -ს სუფიქსი უცვლელადაა წარმოდგენილი ემფატიკური ა ხმოვნის დართვისას:

ერთი ფური ბააზე იქ არ აგზავნის ფურ, **ძროხასა**; მასუკა **ყაზა** (მარცხი) ვიქამთ, **ყაზასა**; **ძროხასაც** ვამბოფთ; **სალათასაც** ვიქამთ...

განხილული შემთხვევები ტაოურში სინტაქსური ფაქტორით, თურქული ენის გავლენით შეიძლება აიხსნას. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მსგავს კონსტრუქციებში სახელობითის ფორმით გვხვდება თანხმოვანფუძიანი სახელებიც: იქსაც **ცერცვი** დათესვენ; **ყოლაძვერი** ვაკეთებდი ბოსტანში...

ამასთან, არ გამოირიცხება ფონეტიკური ფაქტორიც, კერძოდ, სახელის ბოლოკიდურად **ს** თანხმოვნის დაკარგვის ძლიერი ტენდენცია, რაც სხვა შემთხვევებშიც დასტურდება ტაოურში. მაგალითად:

მოვა დამადი (სიძე), იმ **ვალა** (თავსაფარი) მოხდის (შდრ.: სახელობითი: ის ვალა).

მიცემითის -ს იკარგება ადგილისა და დროის გარემოების ფუნქციით გამოყენებულ სიტყვებთან (უთანდებულო მიცემითის ფორმებთან) როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებთან. მაგალითად:

არიან **გურჯისტან** ბეჭურ მალეზი? ჩემ მოზობლემ არიან **ცერეკარ**; **ობლეკარ** ვღებები; **სარიკელ** ჩაის დაგალეწენიფთ; **ქუაბაგ** ვახველით? **წალიკვან** გახველით? ჩიმიყვანეს **ბასლეკარ**; დეგბადე აქ **ჭელთანკარ**; ერთი მეთში არი ჯამე, ერთიც **ელიასხნე** არი, **ქონობან** არი...

მასუკან წაველ **ბურსა**; ორ წელწაიდი **ხოფა** ვარ ახლა; **ჭევა** დეგბადე; **ჭევა**-ნა ჩივტანოთ; ათდახუთი წელიწად **ჭაფისიხანა** ვიყავ... (შ. ფუტყარაძე, 1995)... სულ ბუქსა **სალამობირა**; **ძადღე** არ ილოცეთ?

ამდენად, ტაოურში **ს** სპირანტი სახელთა აბსოლუტურ ბოლოში უმთავრესად ფონეტიკურ ნიადაგზე იკარგება. ემფატიკური ხმოვნის დართვისას -ს შენარჩუნებულია. გარკვეულ შემთხვევებში მიცემითის

ნაცვლად სახელობითი ბრუნვის ფორმები სინტაქსური ფაქტორით ჩანს განპირობებული.

ბ) -ს არის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმობითი ნაწილი; მარტივდება პრეპოზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელის დაბოლოება: - ის>-ო:

იგზაც არაბი გზა არი; ფქვილი ჯვლები გჟაქ; ესეისაც ქონი წინნალი; ყურისწვერი ძირიდან ქონებ არი; მარტო მაქვლი ძოვა (წვნიანი) ვიჯებით; მაშინ თესვისან მოდი; ლებუოს მეიყვანებენ ზამთრი საქმელი ბააზე; ჩაჲ წაბრეიკები არი...

ანალოგიური ფაქტები ცნობილია ქართული ენის დიალექტებში.

ნათესაობითის -ის სუფიქსი ი, ა ხმოვნების დართვის შემთხვევაში უცვლელადაა წარმოდგენილი, მაგ.:

ველისთაი არი, მეთისი მაძლა, ჩვენი მაძლა; ბიჭისი ანარაბა (ნათესავი), ბგანოსი ანარაბა ბითთაო ემეიჯებთან; მაწლისი დენჭები (ვაჟები) იქ არიან; ყოლ კაცისი კარნალი ღია არი აქ; 'ბექმეზი' ყურწენისაც იქნება (შ. ფუტკ., 1993, გვ. 180).

გ) ხშირად უჩინარდება არის ზმნის ბოლოკიდური -ს — III სუბიექტური პირის სუფიქსი, რაც ასევე საერთოქართული მოვლენაა. მაგალითად:

სამი ჯამე არი აქა; ერთი მეთში არი ჯამე, ერთიც ელიასხვე არი, ქონობან არი; თა არი დუგური; ბალ არი აქა; თაქთორ არი ქომო; მანგალი აგზე არი...

არის ზმნა -ს სუფიქსთან ერთად იშვიათად ძირისეულ რ თანხმობანსაც კარგავს: ბალი აი დაწითლებული; ყაბები (ჭურჭელი) აქ აი; ვაშლი-მაშლი არ აი; თქვენი გურჯიჯა და ჩვენი გურჯიჯა ერთი სოჲ (ერთნაირი) არ აი...

მსგავს ცვლილებას განიცდის ორენ "არის" ზმნა მეგრულში: (*ორენ>ორე>ოე>ოი/ოჲ (ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, 2006, გვ. 51).

ასევე, შეიძლება ერთდროულად დაიკარგოს არის ზმნის თავკიდური და ბოლოკიდური ბგერები: არის>რი. ფონეტიკურად გამარტივებული რი ვარიანტი ენკლიტიკურად მიერთვის წინამავალ სიტყვას. მაგ.:

პაცხა საქმერი, იქ წავალთ; სახლი თავაჲ სათივრერი; ილიასხეისი მაძლა მაჭალერი ჩვენი; ჩვენ კოფო ვეტყვით, ჩვენიც კოფორი სახელი, ბორჩხული ისერი...

მსგავსი ვითარება გვაქვს ფერეიდნულში, სადაც არის ზმნის ვარიანტად (ძირითადად ე, ო ხმოვნების მეზობლად) დასტურდება რი, მაგ.: კაცობის დღერი (=დღე არის), იქით ვაკერი (=ვაკე არის), საჭირორი (=საჭირო არის), ეგ საუზმორი (=საუზმო არის) (არნ. ჩიქობავა, 1927, გვ. 201); ანალოგიური ფაქტები გვხვდება: რაქულში: დღე-არის>დღე-რი, საქმე-არის>საქმე-რი (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 129); მეგრულ-ჭანურში (ორენ>რე): საჭირო რე "საჭირო არის", ხანტლი რე "დახატული არის"... (ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, 2006, გვ. 50).

ღ) -ს არის ჩვენებითი/პირის ნაცვალსახელის თანხმონითი ნაწილი: **ის>ი, ეს>ე**;

გალმი ჩანსა **ი** ბალხი; **ი** დათვები ჭამენ ბლებ; **ი** თარაჭი ღუჭემ მალე რი, **ე** ადგილი აგარა არი...

შენ ხელი არ დადო, **ი** ჩუმ არ მოქცემს; **ი-ნა** დამალო; რად-და ვთქვა, **ი** ვერ მიმივგვრია; **ი** მე სახელ დიმიძახეფს; **ე** ძალუზ (კარგი) ხვარათ არ არიო? **ე** აბლი შექნილა...

2. თვალში საცემია **ვ** თანხმონის გაუჩინარების ფაქტები. **ვ** თანხმონი შეიძლება იყოს როგორც აფიქსი/აფიქსისეული, ისე ფუძისეული: ა) **ვ** არის I სუბიექტური პირის პრეფიქსი. იკარგება შემდეგ შემთხვევებში:

უ ხმონის წინ როგორც თავილურა პოზიციაში, ისე ზმნისწინისეული ხმონის მომდევნოდ, რაც ზოგადად ქართული მეტყველებისთვის დამახასიათებელია. მაგ.:

ჯედრან უძახივართ ჩვენა ელეთრიქსა; ჩვენ **ბოტოტ უძახივართ** გველს; ნარცხ **უჯებით**, ვაჭმევთ... ინგრ, **ღუძახეფთ**; იმა **გურეფთ-გუმურეფთ**; ა იმა **მუხარშავთ**; **მუჭირეფთ**...

ბ) ზმნისწინისეულ **ო** ხმონსა და ა/ე ზმნურ პრეფიქსებს შორის მოქცეული **ვ**, ჩვეულებრივ, იკარგება, რასაც თან ახლავს ხმონანთკომპლექსის ფონეტიკური ცვლილება (დისიმილაცია). კერძოდ: **ოვა>ოა>უა**; **ოვე>ოე>უე**. **ოვა>ოა>უა**: დავჯახეთ, ღელეში **გომოავორეფთ**; მალე იქ **მუაძეფეთ**; აღარ **მუასხამთ** ვეთენერეს; **გამუაყოლიებ** მასაც; იმას **მუაკოქეფთ** ემეზე, **ამუათრეფთ**...

შდრ. ინგ.: **შუმუავლო** “შემოვავლო“, **უმუაზრო** “ამოვადრო“ (გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 56); ფერ.: **გამუართვით** “გამოვართვით“, **ამუავსეთ** “ამოვავსეთ“ (არნ. ჩიქობავა, 1927, გვ. 201); დასტურდება სხვა კილოებშიც (გურ., იმერ., აჭარ).

ხშირად **ოვა < ავა** (ასიმილაციით): **ავა>ოვა>ოა>უა**:

დომეგ **ღუავსეფთ**; მოხრაკული **გუაკეთეფთ** ლამაზი; ნეღლი ვყრით, **გუახმოფთ**; ჯვლებიანად **ჩუაწყოფთ**; ეთანე სამი წლისაა, ეხლა **გუაგდე**; ძალუზ იქნებიან, **გუაყოლიეფთ**; **ჩუასხამთ** აქა; **ჩუაგდეფთ** შიგან, კარვა მოტხარშავთ; იმხან მოღალა არ იყო, **გუათენებდით**; ჩვენ სათიბად არ გუაქ, **გუათაეთ**...

შდრ. ინგ.: **ჩუაგდით**, **გუაქეთებ** (<გავაკეთებ), **გუაპირით** (<გავაპირეთ) (გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 57); მეგრ.: **გუაკეთენქ** (<გავაკეთენქ) “გავაკეთებ“, **გუათე** (<გავათე) “გავათავე“, **ღუაპირი** (<ღავაპირი) “ღავაპირე“...

ოვე>ოე>უე: იქილამ აქ **გომოეთხუე** (გამოვეთხოვე > გამოეთხოვე > გომოეთხუე)...

ანალოგიური პროცესი დასტურდება სახელებთანაც: **ყუელ** (<ყოველ) დღე თუალი ზებნის გურჯისტანიდამ მოსულეხსა (შ. ფუტყარაძე, 1993, გვ. 170).

ინგ.: **აგრუებდა**, **გუმუელ** (გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 28).

მსგავს პოზიციაში (**ო** და ა/ე ხმონებს შორის) იკარგება (მო)ვალ ზმნის ძირისეული **ვ** თანხმონი:

ქომო სოფელში **ჩომოალთ**; მეც **წამოალ** თქვენს უკან; წავალთ, **მუალთ**; მაისში კილო **გუმუალთ** აქა სამუშაებლათ; **გომოალთ**, დევსხამთ, შიგვამთ; ახლა **გამოელთ**; ბურსადან **მოელ...**

მოა ზამთრი; სხვა რად **მოა** აქ? **ამოა**, ნა მოთხარო თოხითა; ჯერ ჭუტია და მას უკან **გამუა** ღიდრუანი; აქ ვინ **გომოა**? აქ აღარავინ **მუა...**

გ) ხმოვნებს შორის პოზიციაში იკარგება -**ოვ** სუფიქსისეული **ვ**: რაცხა **იპოება**; მერე დამჩალებ **ძოენ** და მალეები; ერთს მოვითბავთ, მეორეზე **ვაძოფთ** ფურებს; ემექნა-ნა, **გომოსწოთ** შითა; დაქორწინებინან გურჯინა **იოხუო** (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 178).

ღ) იკარგება -**ევ** სუფიქსისეული **ვ** წყვეტილის ფორმებში:

ევი>ეი/ეა:

ღუგუნი **ვექნეით** და; ვახშამი მალე **შიგვამეით**; არ **ვილოცეით**; დღე **გევგვენეით**; დილა **მუაძუემთ**; იქსაც თივა **მოვითბემთ** გუშინ; ელეთრიქი **ვანთემთ...**

შდრ.: სრული ფორმები: მუთვადი (სამზარეულო) **გუარიგვეით**; მაღუზი (კარგი) სიზმარი **დევნახვეით**; ქათამი **შევკამეით**; თივა **მოვითბევითო**, ვეტყვიო...

ევი>ეი/ეა დასტურდება: იმერხელში, ლივანურში, მაჭახლურში, ტაოურში (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 20, 27, 34; ე. დადიანი, 2010, გვ. 196); გვხვდება აგრეთვე ქართლურში, კახურში, იმერულში, აჭარულში, სამცხურ-ჯავახურში (ბ. ჯორბენაძე, 1989); დაცულია მეგრულში (ზუგდი-სამურზ. კილოკავში) (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ. 136; გ. როგავა, 1945, გვ. 648; ე. დადიანი, მ. არჯვანიძე, 2007, გვ. 160-161).

ე) **ვ** ინტერვოკალურ პოზიციაში იკარგება სახელებთანაც:

ბალი ერთანე წითელია, ერთანე თეთრია, **შაია**; ჯინსი არი თეთრი, აბლი **მოშაო**; ყვავები ჭამენ; მაღლა-მაღლა რომ ფრინავს, **ყვაია** თუ ყართალი; ერთი ცხვარი, ესეც თხადა, ვაცი, ვერძი, **კრაი**; **ვარდყვაილი** ჩუყრია; იქ ჩემი **თაი**-ნა დეეკლეს; დავჯოხავთ სათივრეში, სახში, **თაილაქ**; **ველისთაი** არი; აქ ეთი **ფიშნარავეი** არი; **ელიასხეისი** მაღლა მაპალე რი ჩვენნი...

ვ) **ვ** იკარგება ბოლოკიდურ პოზიციაში:

კედე წავალთ ქოძსკე.

ვ) თანხმოვნებს შორის პოზიციაში:

ექსი სთერი, ათი სთერი არ გეყოფის; ერთ კაცსა აქაც აქვა **ექსი** თითი (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 172); ლეხტი **კდარიაო** (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 178).

საინტერესოა **თქლიმავს** “თვლემს“ ზნა. ამ შემთხვევაში ფუძისეული **ვ** თანხმოვნის გაუჩინარებას წინ უძღვის ქ თანხმოვნის განვითარება: **თვლიმავს>თქვლიმავს>თქლიმავს**.

მსგავსი ტიპის მაგალითები დასტურდება ქართული ენის დიალექტებში (იმერ., ლეჩხ.): **ბავშვი>ბოქვში>ბოქში>ბოქში**, **ავტო>აქეტო>აქტო** (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 505).

3. ტაოურში **სონორ** თანხმოვანთაგან ყველაზე ხშირად იკარგება **რ**.

ა) **რ** ფუძისეული თანხმოვანია, უჩინარდება ხმოვნებს შორის პოზიციაში:

ზმნები: ჩვენებურა ვინგაათეფთ (ვილაპარაკებთ); იქა ვინგაათოფთ, ვიენოფთ (ვილაპარაკობთ); საკითხავა ვიებოლით; რაზე მამოქნებინეფს... მოვთიბედთ და მეე (მერე) დამჩალებ ძოენ; ჯერ აა, ონ ბემ იქნება; აქ აავინ არ იქნება; ალაავინ მუა...

შდრ. იმერ.: ააფერი<არაფერი (კ. კუბლაშვილი, 1985, გვ. 87).

ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში ხმოვნის მომდევნოდ, რასაც ზოგჯერ თან სდევს წინა ხმოვნის დაგრძელება, მაგ.:

ალა მოლამისა; ახლა ალა წევილოფთ, ალა; ა მეძინება; თქვე ა იჯებით? ჯე ა შექნილა; ჯე ა გინგვიყრია; აგე გზა არი; მე ი ბრმიან ბგანო ვა...

შდრ.: აჭარ.: აღწ წამოხვიდე; ნულწ დუცილი (შ. ნიყარაძე, 1961, გვ. 52); კახ.: ველა<ველარ (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 525).

გ) თავკიდურა პოზიციაში ხმოვნის წინ: ატომ არ გათხოულხარ?

შდრ.: აჭარ.: უმ<რუმ (ჯ. ნოლაიდელი, 1960, გვ. 21); ინგ.: შენუმ<შენ რომ (გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 58).

თანხმოვნის წინ: აქ გომოელ ზალი...

დ) თანხმოვანთშეჯგუფებისას:

გეიზღება ბევრი; იქ გეგზღდე; გამთელღებიან; დაღამობამღი იქ ვიჭებით; იმათღამ არ ფთზღებიან (შ. ფუტკარაძე, გვ. 175).

4. შ თანხმოვანი იკარგება:

ა) თავკიდურა პოზიციაში თანხმოვანთშეჯგუფებისას (ფუძისეულია):

იმ თასა ბალხითად ქვია; ამ თებზე ქვაბად არი; თაში გუაყოლით; იმათ გელი-მელი ვერ მეეწევა (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 175); ლეხტი კლარიაო (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 178).

ბ) ბოლოკიდურა პოზიციაში ხმოვნის მომდევნოდ:

აქ რო გომოვლოდით; თეთრ არაბა რო იყო; იქ ხო ხვაათობენ გურჯიჯასა...

5. ნ თანხმოვანი იკარგება:

ა) ბოლოკიდურა პოზიციაში ხმოვნის მომდევნოდ:

თქვე არ იბურავთ; თქვე არ ილოცავთ; ჩვე ვიბურავთ, ჩვე დახურული ვართა; შე მკითხე; შარშა უშენებთან ის...

შდრ.: მოხ.: თქვე < თქვენ (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 525).

თანდებული კენ > კე; წავალთ ვევაისკე; კედე წავალთ ქომაკე... პარხლის წყალი აქეთკე მოვა (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 170).

ნაცვალსახელი იმან > იმა; იცის იმა...

ბ) ხმოვნებს შორის პოზიციაში:

მწვაე, მწვაე პიპილ, წითელი პიპილა; თურქული სასწავლებელი იჯება ამასა, ავიწყებებეს გურჯიჯასა (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 170);

გ) თანხმოვანთშეჯგუფებისას:

კაცები თირფით თიბენ; გომოჩღება ყარამანლები (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 174).

6. ლ თანხმოვანი იკარგება ფუძეში თანხმოვანთშეჯგუფებისას:

სანში არ ჩადეფ; სანში რა იქნება?

7. იკარგება ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული -დ:

გურჯულა ვხვაათოფთ; **ჩვენებურა** ვიხვაათეფთ; მისიში კილო გუმუალთ აქა სამუშაებლათ, **საკერჩხავა**, **დათხრავა**, ნეხე **საზიდავა**; ამათ **ამოფაქებლა**, **ამოღებლა** წყალი არ მოვა (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 176).

შღრ.: ინგ.: **საზებნელა**, **მატყუებელა**, **დააზინებლა...** (გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ.54). იშვიათად დასტურდება გურ., იმერ. დიალექტებში.

წამოდი ზმნის ფუძისეული **დ: წომოი** აქეთეკე (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 172); **ჩამოით** მეორე წელიწადში (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 181).

შღრ.: ინგ.: **მოფ**, **შაფ** (გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 55); იმერ: **ჩევეი**, **წევეი**, **წაით** (ქ. ძოწენიძე, 1973, 41); აჭარ.: **მოფ**, **წაფ** (შ. ნიჟარაძე, 1961, გვ. 54); გურ.: **მოი**, **წაი...** (ს. ჟღენტბი)

8. იკარგება თ (ზმნისსართებთან):

ხუთი ხანე (კომლი) **ქომო** დგასა; სობაში **შიგნი** შურთებ; **გაღმი** არი, **გაღმი** ჩანსა ი ბალხი; **გიღაღმი** ქოდა ასე...

9. უჩინარდება ღ თანხმოვანი:

აარ ვიქნებით, **ქალებ** აპობენ; თუ ზეირმა (შხამმა) ემე გიყო, **აარ** გამთელდებ; **მერთმა** კამ პურადი მოქცეს...

როგორც ჩანს, თანხმოვნები უმთავრესად იკარგება ხმოვნებს შორის პოზიციაში, თანხმოვანთშეჯგუფებისას, სიტყვის ბოლოკიდურად, რომლის ანალოგები სხვა ქართულ კილოებშიც დასტურდება მეტ-ნაკლებად.

თანხმოვანთა დაკარგვის მიზეზები სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია; კერძოდ, ხმოვნებს შორის მოქცეულ თანხმოვანთა დაკარგვა მიჩნეულია ასეთ პოზიციაში მყოფი თანხმოვნების არტიკულაციის შესუსტებით (ივ. ქავთარაძე). თანხმოვანთა დაკარგვა თანხმოვანთშეჯგუფებისას თანხმოვანთკომპლექსის გამარტივებისაკენ მიდრეკილებით არის ახსნილი (თ. უთურგაიძე).

II. ხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები

1. ხშირად იკარგება სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსი თანხმოვანფუძიან სახელებთან (მხოლოდითა და მრავლობითში), უმთავრესად კონსტრუქციის თავკიდურა პოზიციაში, ზმნა-შემასმენლის წინ:

ერთ დღე გიიარა; **თაქთორ** არი ქომო; აგზე **ბებერ** ახვაათე; ამაზე **ღოხთორ-მოხთორ** არ გინდა; **დერმან-მერმან** (წამალი) არ გინდა; **კალმან** არ .აი აქა; **ჯეღრან** (შუქი) არ იყო წუხელი; **ზეირ** (შხამი) აქვა იმას; **თვალე** ასხია იმათა; **ქალებ** აქ არიან; **ღორებ** არიან მა, ღორ არ ახსენებენ; **ღენჭებ** (ბიჭები) იკითხვენ; აარ ვიქნებით, **ქალებ** აპობენ; **ბასლეკარ** არი ზეით; **ფიშნაახევ** არი იქდამ; **ხიზარ** (ხერხი) მექნება; **ჩემ მოზობლებ** არიან ცერეკარ...

ამ პოზიციაში სახელობითის -ი არცთუ იშვიათად სახეზეა: **ღარკები** იქ არიან, **თორუნები** იქ არიან; **მაზლი** იქ არი, **მაზლისი ღენჭები** იქ არიან...

კონსტრუქციის ბოლოკიდურა პოზიციაში (ზმნა-შემასმენლის მომდევნოდ) სახელობითის ნიშანი უმეტესწილად დაცულია:

არიან გურჯისტან ბეურ **მალები**? მოფლა **ჯეღრანი**? მას უკან გამუა **დიღრუანი**; მერე დამალებ ძონე და **მალები**; მუა **დათვი**, მალე გომოჰყრის...

შდრ.: ხმოვანდუძიანი სახელები ძირითადად უნიშნოდაა, ზოგჯერ კი **მ/ი**-ს დაირთავენ:

ჩუენი **გზა** მივა იქა; კაი **შეშა** ნაძვია; სათივრეში **თივა** გუაქუა დაჯობილი...

ახლა **გზა** გველა; ი **ქვაბა** **ხევა**; ზემო **სათივრე**, ბეღელი გუაქა; ჩემი **ანამც** მოკვდა, **აღამც** მოკვდა...

2. იკარგება I სუბიექტური **ვ**- ნიშნის მომდევნო ზმნური პრეფიქსი **ი**-:

მაწონ **ჩემეცტანთ**; ოთხ ხორომ დავდევთ, **ევკიდავთ**, **მეცტანთ**; ჩადირეფ **წვეღეფთ**; თევზებ **ღვეჭირავთ**; აქ **ღვებადე**, კევა **ღვებადე**, იქ **გვეზადე**; თველზე კემელში **შვენახავთ**; **ამეღვეფთ**; ყაზალებ (სვიტერს) **ჩეცცამთ**; ახლა აღარ **წვეკიღოფთ**...

იკარგება **ვიდ** ზმნური ფუძისეული **ი** ხმოვანიც:

გზა ახლა **გველა**; კატა **მოვლა**; მიწა დაბურო, **ამოვდეს**; **მოჟდა** ჯედრანი? რო **მოვდეს**, რა გუაქვა ზათი. მეიპარონ; აქ რო **გომოვდოლით**...

ანალოგიური მაგალითები გვხვდება აჭარულში, იმერხელში.

3. იკარგება **-ავ/-ამ** თემისნიშნისეული **ა** ხმოვანი აწმყო-მყოფადის მრ. რიცხვის ფორმებში:

ღარჭი პაწინა არიან, მექთეფში **იკითხვენ**; სახლ **ღეიჭირვენ**; ლონჯას **თესვენ** და სამყურსაც **თესვენ**; კაცებისაც **ზიდვენ**...

თაში **მიასხმენ**, აძობენ სირაღ (რიგით); **უსკმენ** ერთმანეთ კაცები; ფასაფორთისაც ემეღ **გიზმენ**; იმათ ნარცხ **უზმენ**...

მსგავსი ფაქტები გვხვდება ძველ ქართულში; დასტურდება აგრეთვე დიალექტებში (ხევს., თუშ., მთ.-გულ., ინგ., ფერ., რაჭ., იმერ., აჭარ., გურ.).

4. **სახელთა კუმშვის** ნიმუშები:

ოცდაერთი **წელი(ი)წაღია** გათხოული ვარ; **პირ(უ)ტყვი** გუყავან ოთხი; **ზამთ(ა)რი** დიდი ღამეწარი არი; იმაზე ვტყუებავთ **თირფ(ა)ნეფთა**, ჩაქუჩითა; **ღუშ(მა)ნები** (მტრები) ემეიქნებიან...

III. გარკვეულ შემთხვევებში იკარგება **მარცვალი** ან **თანხმოვანთკომპლექსი**:

ა) რიცხვით სახელთან ხშირად წარმოდგენილია სპარსული წარმომავლობის სიტყვა **თანე** "ცალი", რომელიც არსებითის უშუალო მსაზღვრელია. მაგ., შესიტყვება **ერთი თანე** ფონეტიკურად მარტივდება, რიცხვითი სახელი კარგავს ბოლოკიდურ მარცვალს და ერწყმის მომდევნო სიტყვას:

ეთანე/ერთანე/ერთთანე/ერთი თანე; **ერთანე** გავყიდე; ერთი ქილო გომოვა **ერთანე**; **ეთანე** სამი წლისაა...

ბააზე<ბარობაზე: ლებუს მეიყვანებენ ზამთრი საჭმელ **ბააზე**; ერთი ფური **ბააზე** იქ აღარ აგზავნის **ფურ**, ძროხასა; იმათ გავხარო, **იმბააზე**...

ნა/და<უნდა: ი-ნა დამალო; მერე-ნა დაბურო; უნა მოვთიბო, ნა მეცტანო; ამოა, ნა მოთხარო თოხითა; ამ დღეში **და გაათაო**... (აჭარულის მსგავსად).

დეკაცები<დედაკაცები: დეკაცები არ უსკმენ ერთმანეთ.

ყოლდღე<ყოველდღე: ვთხრითა, **ყოლდღე** არა, ერთ კვირეში ერთხელ; ბარში **ყოლი** ხე არი, **ყოლი** მედვა (ხილი) არი; **ყოლ** კაცისი კარნალი ღია არი აქ; შღრ., გურ. **ყოლთვინ** (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 529).

კვირთავზედ<კვირისთავზედ: კვირთავზედ ასე ღუართავთ.

წავჟე<წავჟევი: ელჩები გომოგზავნა, **წავჟე**... საერთოქართული მოვლენაა.

ბ) თანხმომანთკომპლექსი იკარგება სიტყვაში **კარგი>კაი:**

კაი შეშა ნაძვია, კატარი... დამახასიათებელია ქართული ზეპირი მეტყველებისათვის

ამგვარად, ბევრათა დაკარგვის თვალსაზრისით ტაოური დიალექტი უმთავრესად იმ ტენდენციებს წარმოაჩენს, რაც, ზოგადად, ქართული ენის კილოებს ახასიათებს და საერთოქართული ხასიათისაა. ტაოურში თავმოყრილია ის ფაქტები, რაც სხვა დიალექტებში მეტ-ნაკლებად გვხვდება. არსებითად განსხვავებული, სპეციფიკური ფაქტები იშვიათია.

ლიტერატურა

ე. დადიანი, 2010 - ე. დადიანი, წყვეტილის ფორმათა წარმოებისათვის იმერხეულ დიალექტში, კრებული დიდაქარობა"; 2010.

ე. დადიანი, მ. არჯევანიძე, 2007 - ე. დადიანი, მ. არჯევანიძე, იოტი ბგერა მეგრულში (გალის რ-ის სოფელ პირველი გალის მეტყველების მიხედვით), ქართველური მექვიდრეობა, XI; ქუთაისი, 2007.

ე. დადიანი, ტ. ფუტყარაძე, 2006 - ე. დადიანი, ტ. ფუტყარაძე, არის" მეშველი ზმნის ფონეტიკურ-სემანტიკური ტრანსფორმაციისათვის ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში (აბაშის რ-ის სოფ. ძველი აბაშის მასალის მიხედვით), ქართველოლოგიური კრებული, V; თბ., 2006.

კ. კუბლაშვილი, 1985 - კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.

შ. ნიჟარაძე, 1961 - შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.

ჯ. ნოლაიდელი, 1960 - ჯ. ნოლაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი, 1960.

ს. ჟღენტი, 1936 - ს. ჟღენტი, გურული კილო, თბ., 1936.

გ. როგავა, 1945 - გ. როგავა, აორისტიისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში; საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 8, 1945.

თ. უთურგაძე, 1976 - თ. უთურგაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

შ. ფუტყარაძე, 1993 - შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბიოჟმი, 1993.

შ. ფუტყარაძე, 1995 - შ. ფუტყარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჭაჭირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1995.

ოვ. ჭავთარაძე, 1964 - ივ. ჭავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964.

არნ. ჩიქობავა, 1927 - არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, ტფ., 1927.

არნ. ჩიქობავა, 1936 - არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.

არნ. ჩიქობავა, 1937 - არნ. ჩიქობავა, ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში, ენიმკის შრომები, I, თბ., 1937.

ქ. ძაწენიძე, 1973 - ქ. ძაწენიძე, ზემომერული კილოკავი, თბ., 1973.

ბ. ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ბ. ჯორბენაძე, 1998 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

2009-2011 წლებში ტაოში ჩაწერილი დიალექტური მასალა (დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში).

EKA DADIANI

PHONETIC PROCESSES IN TAO DIALECT – I
(THE LOSS OF SOUNDS)

The diverse phonetic processes are characteristic to Tao dialect. The loss of sounds is often met. The following consonants: *s, v, r, m, n* are often lost, but other consonants (*l, t, d, rh*) – seldom disappear in different positions: at the beginning of the word, in the middle, at the end; in consonant grouping and between vowels; in roots, at the edge of morphemes.... The loss of consonants is more or less diverse in different positions.

The purpose of the loss of consonants in scientific literature is defined as: the weakening of articulation, tendency towards simplification of consonant.

The following vowels are often lost: a) suffix *-i* of the nominative case: *kalmakh ari; tvaleb askhia...* b) marker *v*-of the first person followed by verb prefix *i-*: *tsev(i)rhe, dev(i)bade...* c) vowel *a* of the *-av/am* suffixes expressing the plural forms in present and future tenses: *tes(a)ven, miaskh(a)men...*

There are also the cases of elimination: *tse(l)i'tsadi, pir(u)tkvi, zamt(a)ri....*

Sometimes syllables or consonants are lost: *baaze<barobaze; na'da<unda; dekacebi<dedakacebi... kargi<kai...*

According to the loss of sounds Tao dialect has the same characteristic features that are typical to Georgian dialects and Georgian language in general. Substantially different and specific cases are rare.

თორნიკე ევრემიძე

ნიკო მარი და პავლე ინგოროყვა ტაო-კლარჯეთის ისტორიული წარსულის შესახებ

ტაო-კლარჯეთის ისტორიულ მხარედ ითვლება სამხრეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც XII–XV სს.-ში იწოდებოდა სამცხე-საათაბაგოდ და 1918-21 წლების შემდეგ მოიცავს მესხეთის ტერიტორიებს (ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ნინოწმინდის გამოკლებით): ბორჩხა, ართვინი, შავშეთი, ოლთისი, ფოცხოვი, ჩილდირი, არტაანი, კოლა, თორთუმი, ედემი, ისპირი, ბაიბურთი და გურჯი ბოლაზი.

საქართველოს რესპუბლიკის 1918-1921 წწ. გამოკვეყნებულ რუკაზე, რომელიც შედგენილია გეოდეზიის და კარტოგრაფიის მსოფლიო სპეციალისტის, პეტერბურგის და 1918 წლიდან თბილისის უნივერსიტეტის პროფესორისა და გენერალ-ლეიტენანტ ანდრია ბენაშვილის (1868-1941) მიერ, დიდი ისტორიკოსების – ივანე ჯავახიშვილისა (1876-1940) და პავლე ინგოროყვას (1893-1983) კონსულტაციით, ეს მხარე ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია (რუკა). ეს ტერიტორია მოიცავს შემდეგ ერთეულებს:

I. რიზეს მხარე ანუ საკუთრივ ლაზია – 5,834 კვ. კმ.

II. ტრაპიზონის მხარე ანუ ხალდია – 8,791 კვ.კმ.

III. კერასუნ-ფარნაკიის მხარე ანუ ხალიბია-ტიბარენია – 9,980 კვ. კმ.

IV. მესხეთის მხარეები – 27,115 კვ. კმ.

რაც ჯამურად შეადგენს 51,700 კვადრატულ კმ ფართობს. თუ მას დაეუმატებთ რუსეთის მიერ წინათ მიტაცებულ, ასევე აზერბაიჯან-სომხეთისთვის გადაცემულ მხარეებს, ეს = 70 ათას კვ. კმ.

საკუთრივ სოჭის და დვალეთის, ასევე ტაო-კლარჯეთის მხარეებად VIII–X სს.-ში მოიხსენება, დაახლოებით 50 ათასი კმ² ტერიტორია და შემდეგ ოლქებს შეიცავდა: აღმოსავლეთ ჭანეთ-ლაზეთს, ზემო-შუა-ქვემო სპერს (ნიგალი), ტაონის (იმიერ ანუ სამხრეთ და ამიერ ანუ ჩრდილო ტაო), კლარჯეთს, შავშეთს, არტაანს, აჭარას, სამცხეს, ჯავახეთს, თორს (პ. ინგოროყვა, 1954, გვ.301).

საკუთრივ, ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე განთავსებულ სამონასტრო კომპლექსებს, რომელთა შორის რამდენიმე ათეული დიდი ეკლესია-მონასტერია, სია მოტანილია ქვემოთ, ემატება XI ს.-დან დაწყებული და XII ს.-ში შემოურთებული ბასიანის (კარნიფორი, კარი-ხორცევიან-ზარიშტიანი) მხარეში დაახლოებით 7 ათასი კმ² ფართობის ტერიტორიაზე განთავსებული ძეგლები.

საქართველოს ძლიერებისა და ლიტერატურულ-კულტურული აღმავლობის XI-XV საუკუნეებში, იმ დროსაც კი, როცა მონგოლთა მძიმე პოლიტიკური, მაგრამ რელიგიურად შემწყნარებლური ბატონობის საუკუნოვანი ხანა იდგა საქართველოში, დაპყრობილი საქართველოს ცენტრალური ხელისუფალნი –

მეფე და დიდი ფეოდალები, პატრონობდნენ არა მარტო სამცხე-ჯავახეთის, ტაო-კლარჯეთ-ბასიან-ლაზისტან-ჭანეთის (კაპადოკიის) მხარის ეკლესია-მონასტრების მშენებლობა-აღდგენასა და მათში მიმდინარე ლიტერატურულ-მწიგნობრულ-კულტურულ საქმიანობას ისე, როგორც საქართველოს ცენტრალურ ნაწილებში (აფხაზეთი, სამეგრელო, სვანეთი, იმერეთი, აჭარა, გურია, ლეჩხუმი, რაჭა, ზემო ქართლი (სამცხე-საათაბაგო), შიდა ქართლი (ცხინვალის რეგიონი), ქვემო ქართლი, კახეთი, ჰერეთი) და საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრებშიც (სირია-პალესტინა, საბერძნეთი – ათონის მთა, შავი მთა, კვიპროსი, რომანია-ბიზანტია და სხვ.).

ცხადია, ძალზედ მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა, თუ ვინ და რა პირობებში შექმნა ტაო-კლარჯეთის და სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონების საეკლესიო-სამონასტრო აღმშენებლობის პირობები, მშენებელთა უსაზღვროდ დიდი რწმენა რელიგიურ-ასკეტური ცხოვრების ხასიათისადმი შეზავებული დაუშრეტელი სურვილი, მწიგნობრული და შემოქმედებითი მოღვაწეობის მიმართ. კუთხის მეფე-ხელისუფალი გონივრულად იცავდა ეკლესია-მონასტრების მშენებელთა შრომასა და ამ მონასტრების ბინადარ ღვთისმსახურთა დაუწყებულ შემოქმედებით საქმიანობას, მიმართულს “ქართლის ცხოვრების”, “ზიზლიის” სხვადასხვა ნუსხებისა და სხვა რელიგიურ-ასკეტური ჟანრის წიგნების შექმნა-გადაწერა-გამრავლების დაუზარელი და სულიერი საქმიანობისადმი.

ძირითადი წყარო, რომელიც იძლევა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო-სააღმშენებლო და იქ გაჩაღებული მწიგნობრული საქმიანობის შესახებ უტყუარ ისტორიულ-დოკუმენტური ხასიათის ცნობებს, არის ამ სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის თავკაცის, ეპისკოპოს გრიგოლ ხანძთელის (758-860) ცხოვრება-მოღვაწეობის აღმწერი, Xს. დიდი მწერლისა და ისტორიკოსის გიორგი მერჩულეს ძეგლი “ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა”.

როგორც “გრიგოლ ხანძთელის” ტექსტის ნ. მარისეული 1911 წ. გამოცემის წინასიტყვაში იკითხება, გრიგოლ ხანძთელს უცოცხლია და უმოღვაწია 102 წელი; გიორგი მერჩულეს მასზედ წიგნი: “ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა” დაუწერია ხანძთელის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, ე.ი. $860+90=950$ წ. აღსანიშნავია, რომ გიორგი მერჩულეს ამ წიგნში გამოყენებულია ქრონოლოგიური თარიღის დადასტურების მრავალჯერადი წესი: წიგნის დაწერა მოხდაო: “დასაბამითგან გარდასრულთა წელთან 554 წელსა”, “იერუსალემის პატრიარქობასა აგათონისსა”, “მცხეთის კათალიკოსობასა მიქაელისსა”, “ქართველთა ზედა მთავრობისა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნასე ქართველთა მეფისა”, “აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კონსტანტი მეფისა”, ერისთავთ-ერისთაობასა სუმბატისსა, ძისა ადარნასე მეფისა”, “მაგისტროსობასა ადარნერსეხისსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა”, “ერისთაობასა სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისასა”, ხოლო ჟამს მას იყო ეპისკოპოსი მაკარი, და ნეტარისა მამისა გრიგოლის შენებულთა მთ მონასტერთა იყვნეს მამასახლისნი, ნათესავით დიდთა აზნაურთა შვილნი: “ხანძთისა მამაი თევდორე, დისწული “მცხედადესაჲ”, და შატბერთს, მამაი გრიგოლ ძეი ლიპარიტისი” (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 7-8).

გიორგი მერჩულეს “ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა” ბეჭდურად პირველად აკადემიკოსმა ნიკო მარმა გამოსცა 1911 წ., ტექსტის რუსული თარგმანიოა და

გამოკვლევით. მეორე კრიტიკული გამოცემა გიორგი მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა” (1949 წ.) ეკუთვნის პავლე ინგოროყვას, საიდანაც დაიწყო ამ ორ დიდ მოღვაწეს შორის უთანხმოება, როგორც ტექსტის გაგების, ასევე მისი ინტერპრეტაციის საკითხებზე. და, თუ რა ინტელექტური ნამოღვაწარია შესრულებული ქართველ წინაპართაგან კლარჯეთის სავანეებში, ეს შეჯამებულად ასე აქვს მოტანილი პ. ინგოროყვას: “კლარჯეთის სალიტერატურურო სკოლის წარმომადგენლები იყვნენ **გრიგოლ ხანძთელი**, მეთაური ქართული განათლებისა მე-8-10 საუკუნეებში, **არხენი დიდი კათალიკოხი**, **ხოფრონ შატბერთელი**, **იოანე ზოხიძე შატბერთელი** **ხინელი**, **ილარიონ ბარეხელი**, ქართველი ჰიმნოგრაფების პლეადა და სხვანი. ამ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის კერძოდ **გიორგი მერჩულე**, რომელიც კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის უდიდესი წარმომადგენელია მე-10 საუკუნეში და რომლის ძეგლი “ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა” აქ, კლარჯეთში, ხანძთაში არის დაწერილი” (იქვე, გვ. 304).

კლარჯეთის სავანეთა შორის, როგორც პ. ინგოროყვას დეტალური გამოკვლევით ირკვევა, ისტორიულ წყაროებში: 1. პირველად ოპიზის მონასტერია მოხსენიებული, მე-5 საუკუნეში ვახტანგ გორგასალის (457-502) დროს, 2. შემდეგ მოდის ხანძთა (782 წ. აშენებულია გრიგოლ ხანძთელის მიერ), 3. შატბერდი (გრიგოლ ხანძთელის მიერ), 4. მიძაძორაჲ (დავით მიძაძორელის მიერ), 5. წყაროსთავი (ილარიონ წყაროსთაველის მიერ), 6. ბარელთა (ზაქარია ბარეთელთელის მიერ), 7. მერე (დაარსებულია მე-5 ს.ში და განახლებულა IX ს.-ში ილუმენ ფებრონიას მიერ); 8. დაბა, 9. ჯმერკი, 10. ბერთა, 11. პარეხნი და 12. დოლისყანა. უმეტესი ძეგლი-მონასტრებისა VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე იქნა დაარსებულ-განახლებული.

ტაო-კლარჯეთის ისე, როგორც სამხრეთ საქართველოს მთელი რეგიონების თურქთაგან მიტაცების შემდეგ, სავანის ეკლესია-მონასტრები უყურადღებობით და ბუნებრივ-მეტეოროლოგიურ-სტიქიური პირობებით ზიანდებოდა და ინგრეოდა. მაშინ, როცა ჯერ კიდევ ეს მხარე თურქთაგან გათავისუფლებული (1878 წ.) არ იყო, 1874 წ. გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ყაზბეგს (1839-1921) მოუწახულებია ის და აღუწერია. 1879 წ. არქეოლოგ-ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს (1826-1890) უმოგზაურია კლარჯეთის მხარეში და აღუწერია ოპიზის და დოლისყანის სავანეები. 1888 წ. აკად. ა. პავლინოვს აღუწერია ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით ოპიზის, დოლისყანის, ფორთის და ბერთის სავანეები. 1890 წ. ე. თაყაიშვილის მიერ ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესწავლის და მათზე პუბლიკაციის შემდეგ, კვლავ გაიზარდა კლარჯეთის სავანეთა ადგილმდებარეობის გარკვევის საკითხისადმი ინტერესი, რასაც აძლიერებდა პროფ. ნ. მარის მიერ 1902 წ. კვლავ აღმოჩენილი, მანამ ნ. ჩუბინაშვილის მიკვლევული და დაკარგულად მიჩნეული გიორგი მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” ჯვრის მონასტრისეული სრული ხელნაწერის ნუსხა. ხელნაწერში მოტანილი 12 სავანის ადგილმდებარეობის დაზუსტების და მათი აღწერის მიზნით, პროფ. ნ. მარმა იმოგზაურა კლარჯეთში, დაადგინა 10 სავანის ადგილმდებარეობა, მაგრამ 2 სავანის, კერძოდ ხანძთისა და შატბერდის შესახებ ეს ინფორმაცია ვერ მოიპოვა (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 311).

შატბერდის და ხანძთის სავანეების ადგილმდებარეობის გარკვევა, ისტორიული დოკუმენტების შეგვრების და რაც მთავარია, გიორგი მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” მარისეული (1911 წ.) და ინგოროყვასეული (1949 წ.) გამოცემების გულდასმითი შესწავლა-შეგვრების საფუძველზე, ძეგლთა მოუნახლებლად შეძლო პავლე ინგოროყვამ.

უპირველეს ყოვლისა, გიორგი მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” მარისეული გამოცემის შესახებ. ეს “აღმოჩენა”, ლამის ყველაზე დიდ ლიტერატურათმცოდნეობით მიღწევადაა მიჩნეული ნ. მარის მრავალრიცხოვან გამოკვლევა-პუბლიკაციათა შორის. როგორც ირკვევა: “იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სიძველეთა აღწერილობა, სადაც წარმოდგენილია ცნობა გიორგი მერჩულეს თხზულების შემცველი ხელნაწერის შესახებ (ვრცელი ამონაწერით გიორგი მერჩულის თხზულების ტექსტიდან), და რომელიც დაიბეჭდა გაზეთ “ივერიაში” 1889 წ. №№70, 72, 73 (“საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი”), ნიკოლოზ ჩუბინაშვილს ეკუთვნის (იგი შეუდგენია ნ. ჩუბინაშვილს იერუსალიმში მოგზაურობის დროს 1845 წელს). იგივე აღწერილობა ნ. ჩუბინაშვილის ავტოგრაფული ხელნაწერის მიხედვით დაბეჭდა 1894 წელს პროფ. ალ. ცაგარელმა “Сведения о памятниках грузинской письменности, т. III. გვ. 44-52” (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 307). მეორეც, პროფ. ნ. მარის მცდელობა, იდენტიფიკაცია მოეხდინა ხანძთის მონასტრის და განესაზღვრა მისი ადგილმდებარეობა, 1904 წ. კლარჯეთში მოგზაურობის დროს, მარცხით დამთავრდა, რაც ირკვევა პ. ინგოროყვას მიერ ჩატარებული მერჩულეს თხზულების ტექსტის დეტალური ანალიზით და, რომ ნ. მარის მიერ ფიქსირებული ქვემო ფორთის “უსახელო სავანე”, საძიებელი ხანძთის მონასტერია (პ. ინგოროყვა, გიროგი მერჩულე, 1954, გვ. 311). უფრო მეტიც, ხანძთის სავანის ნაშთებიდან. რომლებიც მე-20 საუკუნის შუახანებამდე იყო მოღწეული, პ. ინგოროყვა შემდეგ არქიტექტურულ ძეგლებს ასახელებს”:

1. სავანის მთავარი ტაძარი, რომელიც აგებული ჩანს მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში;

2. მეორე მცირე ტაძარი, რომელიც, ჩანს, არის ის “ძველი” ტაძარი, რომელიც გიორგი მერჩულეს ცნობით, აგებული იყო მე-9 საუკუნის დასაწყისში;

3. დიდი არქიტექტურული ნაგებობა - “საოსტიგენდ” წოდებული, რომელიც განკუთვნილი უნდა ყოფილიყო სემინარია-სასწავლებლად.

4. მეორე დიდი არქიტექტურული ნაგებობა, გრძელი დარბაზი, რომლის დანიშნულება გაურკვეველია და შესაძლოა იგი ბიბლიოთეკას წარმოადგენდოდ” - ასკენის პ. ინგოროყვა (გვ. 319).

აქვე შევნიშნავთ, რომ ხანძთის სავანის დღევანდელ მნახველს დახვდება, ჩამოქცეულ გუმბათიანი მთავარი ტაძარი, მცირე ტაძრის ჩრდილო კედელი და ხანძთის წყალუხვი წყარო, რომელიც გამოედინება ფერდობის ჩრდილო ნაგებობიდან. თავად ნ. მარს, 1904 წ. მოგზაურობის დროს უნახავს ეს ტაძარი, და მისი ნაგებობანი და წერს: “Назначение зала, был ли синод, библиотека или что другое, пока трудно сказать” (I. ĩãðð. Āĩããĩãĩã ĩĩããĩãã ĩ Īãããĩãĩãĩã ĩ Ēããðãããĩãĩãĩã, ŌÐ, VII, 1911, ñð. 154).

მესამე და “მთავარი”. რაც აკად. ნ. მარმა ტაო-კლარჯეთის და ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიული კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით

გააკეთა “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” ტექსტის მისეული წაკითხვიდან ისაა, რომ ირწმუნა მხითარისტ სომეხ ისტორიკოსთა ადრეული მტკიცება, რომ სადავო ტერიტორია მტკერისა და ჭოროხის სათავეებისა (არტაანი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაონი, სპერი) ვითომ მე-5 საუკუნემდე “დიდი სომხეთის” საკუთრება იყო და მან ეს კუთვნილება მე-7-9 საუკუნეებამდე გადმოიტანა.

ჯერ კიდევ პროფესორ, ნ. მარის მიერ მომზადებულ გიორგი მერაჩულეს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” 1911 წ. რუსულენოვან გამოცემაში, დამატების სახით დაბეჭდილია მისივე 1905 წ. გამოქვეყნებული გამოკვლევა: “Аркаул, монголское название христиан...”, სადაც ის ამტკიცებდა, რომ

1. კლარჯეთი ანტიკურ ხანაში, უძველეს პერიოდში დასახლებული იყო თუბალ-კაინური (მეგრულ-ქანური) ტომებით.

2. შემდეგ მეორე პერიოდში, კლარჯეთი ვითომც შედის სომხეთის ფარგლებში და მოსახლეობაც აქ სომხური ხდება.

3. კლარჯეთის ისტორიის მესამე პერიოდში, რომელიც დაიწყო მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან (ახ. წელთ.) კლარჯეთი, ვითომ მოექცა ქართული გავლენის ზონაში და შემდეგ მე-9-11 საუკუნეთა მანძილზე წარმოებს კლარჯეთის სომხური მოსახლეობის თანდათან გაქართველება.

4. უკანასკნელ მეოთხე პერიოდში (მე-16 საუკ.) მოხდა კლარჯეთის მოსახლეობის გათურქება (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 405-405).

ამრიგად, ნ. მარის ლოგიკით, პრეისტორიული კლარჯეთის და ტაოს მეგრულ-ქანური მოსახლეობა, გადაგვარებულა სომხურად, სომხურიდან-ქართველებად (იაფეტიდებად), ქართველებიდან-თურქებად.

ტაო-კლარჯეთის ქართველების გათურქების და არა გამუსულმანების “თეორიის” დაცვას რომ თავი დავანებოთ, რაც რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას ედო საფუძვლად კავკასიაში, რომლის მიხედვით ჯავახეთის (1828 წ.) და ტაო-კლარჯეთის (1878 წ.) ვითომ გათავისუფლებულ ტერიტორიებიდან ეთნიკური ქართველების გასახლება მოჰყვა და გრიგორიანელი სომხების ჩასახლება, აქ ცხადად მარისეული იმპერიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებული იმის შესახებ, რომ კაინ-თუბალები (მეგრულ-ქანები) და ქართველები (მესხები) მონათესავე, მაგრამ ერთმანეთში გადაგვარების გზითაა წარმოშობილი, როგორც სვანები და სომხები. გადაგვარებათა ამ ისტორიულ ჯაჭვში, ვითომ “Из яфетических племен тубал-каинской (мингрело-чанской) группы перерождается в армян, из армян, перерождается опять в яфетидов, но грузин, из грузин перерождается в турок” (Н. Марр. Аркаул..., ст. II-III).

აქ წამოკრილ საკითხთან დაკავშირებით ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს შორის უთანხმოების ქვაკუთხედი კარგად ჩანს, ამ უკანასკნელის “ქართველი ერის ისტორიის” I ტომის მესამე (1928 წ.) გამოცემის §15-ის (I გამოცემა – 1908 წ.) “ქართული წარმართული პანთეონისათვის” შენიშვნიდან, რომელსაც ჩვენ მთლიანად მოვიტანთ აქ, მისი სადღეისო დიდი მნიშვნელობის გამო:

“უნდა აღვნიშნო, რომ აკად. ნ. მარი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ და პონტისა და ფრიგიის ერები თითქოს ქართველებადაც კი მიქცევიან (იქვე 121). აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ. რაც შეეხება მეგრელებსა

და სვანებს და, დაუშვებელ ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ, თუ ამაზე უწინარეს არა, XI ს.-დან მოყოლებული, “ქართველი” შემკრებლობითი მნიშვნელობით იხმარება ყველა ქართველთა მნიშვნელობის მქონებელი ტერმინის (ქართლ-კახელ-იმერელ-გურულ-მეგრელ-ჭან-სვანთა ენისა, ზნეჩვეულებისა და სარწმუნეობის საერთო თვისების დასახასიათებლად (ხაზგასმა ჩვენია, თ.ე.), საჭიროების უარყოფაც არავის შეუძლია. წინათ ამას ნ. მარიც არ უარყოფდა. თავისთავად ცხადია, რომ რომელიმე მკვლევარის აზრის შეცვლის გამო, ამ მრავალსაუკუნოვანი მონაპოვრისა და შეგნების გაქარწყლება და მოსპობა არ შეიძლება” (ი.ჯავახიშვილი, 1979. გვ. 152). და იქვე. დიდი ივანე ბრძანებს: “არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართული ტომისათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია” (ხაზგასმა ივ. ჯავახიშვილისა) (იქვე, გვ. 156).

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი 1937 წ. გამოქვეყნებულ თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში “ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა”, იძლევა რა აკად. ნ. მარის საენათმეცნიერო თეორიების პირუთვნელ და ობიექტურ კრიტიკას, აღნიშნავს: “იმ დროს (ე.ი. 1908 წ.) როდესაც თავისი თეორიის (იგულისხმება იაფეტურ ენათა შტოდ ქართულის და მასთან ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავების (наречий) ე.ი. ქართულის, იბერიულის (იგულისხმება მეგრულ-ჭანური) და სვანურის შექმნას ცდილობდა თ.ე.) ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, ნ. მარისათვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის “ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები”, დიალექტები იყო მხოლოდ” (ხაზგასმა, ი. ჯ.-სა). იქვე დიდი ივანე იძლევა აკადემიკოსობის ტიტულის მომლოდინე პროფ. ნ. მარის შეხედულებათა მეტამორფოზულ ცვლილებათა საყურადღებო სურათს და წერს: “ქართულის შესახებ, 1910 წელს პროფ. ნ. მარი ამტკიცებდა: “ქართულში, როგორც ცნობილია ორი ურთიერთის ახლო მონათესავე ენაა შედუღებული ქართებისა და მესხთა”-ო (Грамм. чанск. яз. XXI). 1912 წ.-ს კი, მას ნათქვამი აქვს, რომ “ქართულს, ვითარცა სამწერლობო ენას და საზოგადოდ კულტურული წრეების ენას შეთვისებული აქვს ქართების ენასთან ერთად, აგრეთვე თუბალ-კაინური (ე.ი. მეგრულ-ჭანური), ამასთანავე სვანური და სხვა ელემენტებიც”-ო. პროფ. ნ. მარის ზემოთ მოყვანილი დებულებების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად გაცეხებული იქნება, როდესაც მისსავე 1912 წ. საჩაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში “კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები” (“Кавказ и памятники духовой культуры”) იმავე ავტორის ამგვარ მსჯელობას შეჰხვდება: “ქართველთამცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებებზე დაყრდნობილნი, უგულვებელს ჰყოფდნენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ. სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულს

“დამახინჯებულ თქმად, ანუ დიალექტებად სთვლიდნენ”-ა (ი.ჭავჭავაძის მიხედვით, 1992, გვ. 53).

აქ, ბატონი ივანე “ნაციონალურ” და არა “ნაციონალისტურ” (националистический) შეხედულებებზე ლაპარაკობს და არბილებს უკვე აკადემიკოსად აღზევებული ნიკო მარის საპრეზენტაციო სიტყვაში ქართველი მეცნიერების მისამართით გამოთქმულ ბრალდებას, როგორ თუ მეგრულ-ქართულსა და სვანურს ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეების ენებს, დიალექტურ ენებად აღიარებენ და ვინ იყვნენ ეს “ქართველმცოდნენი”, რომელთაც პირველმა ნიკო მარმა უწოდა “ნაციონალისტები”, ესენი არიან: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ჩიბუნაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, წმ. კირიონ (გიორგი სიძეგლიშვილი), პეტრე უმიკაშვილი, თედო სახოცია, თედო ყორღანია, დიმიტრი ბაქრაძე, ზაქარია ქიქინაძე, მოსე ჭანაშვილი, თავად ივანე ჭავჭავაძის დიალექტები.

ილია ჭავჭავაძის “ქვათა ღაღადის” (1899 წ.) (მიმართულს პატრიარქის წინააღმდეგ) და “აი ისტორიის” (1889 წ.) (მიმართულს ჯაბადარის წინააღმდეგ). თაობაზე ნიკო მარს ცალკე ნაშრომი არ აქვს, მაგრამ პეტერბურგის უნივერსიტეტში კონსტანტინე გამსახურდიას სწავლის დროს XX ს. 10-იან წლებში “აღმოსავლური ენების ფაკულტეტის” დეკან აკად. ნ. მარსა და სტუდენტ კ. გამსახურდიას შორის წარმოქმნილი კონფლიქტი, რომლის გამო სტუდენტმა ფაკულტეტი დატოვა, სწორედ ნ. მარის მიერ ილია ჭავჭავაძის უდიერად მოხსენიებამ გამოიწვია (იხ. კ. გამსახურდია, 1967, გვ. 86). ცნობილია, აგრეთვე აკაკის გამოხმაურება, მცირე რამ პროფესორ მარის უკანასკნელის თხზულების გამო” (“ივერია”, 1902, თხზულებები, 1961, გვ. 129-134) კრიტიკული შენიშვნები შავთელის ხოტბის ადრესატის შესახებ. განსაკუთრებით კი, დიდი პოლემიკა გაიმართა იაკობ გომიგებაშვილსა და ნიკო მარს შორის, რაც პირველის მიერ ქართულ ენის სწავლებაზე ნაშრომის, “ზურჯი ეროვნებისა” (1903 წ.) გამოქვეყნებამ და ამ ნაშრომში გამოთქმულმა შემდეგმა აზრმა გამოიწვია: “ევროპაში, მეტადრე ბოლო ხანებში, ყველა პატარა ერი, დიდ სახელმწიფოებთან შეერთებული, ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია დაცულ იქნას თავისი ენით, ლიტერატურით, ხალხსწობით. საუკუთესო დომინიციებზე და ამ წადილის მისაღწევად მათ შიშინათ გამოკრეკვა და გამოაშკარავება თავისი წარსულის ცხოვრების ღირსებისა, ღვაწლისა, თავისებურობისა. **ხშირად ამ გამოკრეკვას აქვს ადგოკატური, გამოსარჩლებითი ხასიათი (ხაზგასმა ჩვენია, თ.ე..)** ღირსებანი დიდდებიან, ნაკლოვანებანი მცირდებიან, მაგრამ მას სარჩულად უძევს უწმინდესი გრძნობა-შამულის სიყვარული და უზენაესი მიზანი – დაცვა თავისი ერის სიცოცხლისა... ჩვენ რაღასა ვებდავთ? ხშირად სრულიად საწინააღმდეგოსა”.

ნ. მარის ღირსებისა და ღვაწლის თავისებურ, **ადგოკატური და გამოსარჩლებითი** დაცვის საკმაოდ უნაყოფო ცდადაა შეფასებული დღესდღეობით, ერთდროს აკად. ნ. მარის ერთგული და მისი შეხედულებების უკრიტიკოდ დამცველი, მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრეზენტ-დოცენტი ივანე ჭავჭავაძის მიხედვით, რომელმაც 1904 წ. გაზ. “ცნობის ფურცელის” 6 ნომერში დაბეჭდა ვრცელი სტატია “მამულისწილობა და მეცნიერება” (ი.ჭავჭავაძის მიხედვით,

1998, გვ. 64-87). ამ ნაშრომის შესახებ თავად ი.ჯავახიშვილი 1937 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, რომელიც ზემოთ დავასახელებთ, მრავალი მარსიეული დებულება, როგორცა სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) “სიბრძნე სიტრუსისა” იგავები ვითომ სომეხი იგავმწერლის ვარდანიდან (X ს.) მოდის, “ვეფხისტყაოსნის” სიუჟეტის ორიგინალი ვითომ ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული, რომ სახარების ძველქართული თარგმანები შესრულებულია სომხურიდან და სხვა, მცდარად მიიჩნევა.

მაგრამ, საეჭვო გულგრილობას იჩენს ბატონი ივანე, ეპისკოპოს კირიონ II-ის (გიორგი საძაგლიშვილის (1855-1918)) და ნიკო მარსის პოლემიკის მიმართ, რომელიც იმავე XX ს. დასაწყისში მიმდინარეობდა. და საერთოდ, წმ. კირიონ II-ის, როგორც დიდი სასულიერო მოღვაწის და ისტორიკოსის ღვაწლისა და შემოქმედების მიმართ ივანე ჯავახიშვილის დუმილი, აუხსნელია და გაუგებრობის ბურუსითაა მოცული. ჩვენის აზრით, ეპისკოპოს კირიონ II-ის მიერ ნიკო მარსის ზოგიერთი ნაშრომის კრიტიკული შეფასების სიმძაფრემ და ობიექტურობამ, შექმნა ასეთი პირობები. საკითხი, სწორედ, ნიკო მარსის მიერ ძველი სომეხი მწერლობის და მათი ხელნაწერების “ადვოკატურ დაცვასა და გამოსარჩლბას” ეხება, რამაც დიდი მასშტაბის ფილოლოგსა და ქართველოლოგ-არმენოლოგს, დიდ 60-იანელებში “სომხოფილობის” თიკუნი დაუმკვიდრა.

აკადემიკოს ნიკო მარსის კონცეფციის მიხედვით, საქართველოს გაქრისტიანებისა და პირველი საეკლესიო-სასულიერო წიგნების შექმნის ისტორია IV-VI სს.-ში უნდა დაწყებულიყო, ერთ-ერთი პირველი ქრისტიანულ-სემიტური ქვეყნის – სირიიდან და იქედან სომხეთის გამოვლით. არსებობდა მეორე გზაც: პალესტინა – კაპადოკია-ჟანეთი-ტაო-კლარჯეთი, რომელი გზითაც ქრისტიანობის საქადაგებლად შემოვიდნენ პირველწოდებულნი ანდრია, მატათა, სიმონ კანანელი (I ს.), ხოლო შემდეგ წმ. ნინო (III ს. დასაწყისი). VI ს.-ში საქართველოში დიოფიზიტობის საქადაგებლად მოსულ 13 კაპადოკიელ მოღვაწეს, რატომღაც სირიელი მამების სახელი ეწოდათ და ამაში, ნიკო მარსს ლომის წილი უდევს.

შესაძლოა, ეს იყოს მიზეზი, აკად. ნ. მარსის დაუსრულებელი ძიებისა, ძველ ქართულ სასულიერო თუ საერო ლიტერატურულ ძეგლებში და ისტორიულ ქრონიკებში სომხურიდან ნათარგმნობის კვალის ძიებისა, რომელსაც შემდგომ მავანნი, ნებისთ თუ უნებლიედ ქართველი ერის საწინააღმდეგო მიზნით იყენებდნენ. ამასთან, პასუხგაუცემელი რჩება კითხვებზე პასუხიც, პროფ. ნ. მარსისა და ახალგაზრდა ი.ჯავახიშვილის მხრიდან, 90-იან წლებში რუს და სომეხ ისტორიკოსებთან კამათში ჩაბმულმა ეპისკოპოსმა კირიონ II-მ რომ დასვა: კერძოდ, რუსული თავდაპირველი მატთანე “გარდასულ წელთა აშბავი” და სომხური “Chronique Armenique” (XII ს.), მართლაც ქართული მატთანის “ქართლის ცხოვრების” თარგზეა შექმნილი თუ არა?

აღსანიშნავია ისიც, რომ წმ. იპოლიტე რომაელის “ქაბათა-ქების” ქართული თარგმანი, რომელიც 1901 წ. გამოუცია IX-X სს. ხელნაწერების მიხედვით პროფ. ნ. მარსს, ჯერ ასომთავრულიდან-მხედრულით უთარგმნია ის და ამით კი სიტყვათა მართლწერაც შეუცვლია (კირიონ II), შემდეგ კი იგი სომხურიდან გადმოთარგმნია და ჩაუთვლია. ასე უთარგმნია იგი რუსულად და მიუწოდებია მსოფლიოსათვის. ამასთან, პროფ. ნ. მარსს, თარგმანში ნახმარი ხატოვანი გამოთქმა “სიმართლის მზიური თვალი”, სომხურიდან ქართულ მხატვრულ მეტყველებაში გადმოტანილად მიაჩნდა. რომლის საწინააღმდეგოდ კირიონ II-

ს, ათეულობით მაგალითი მოჰყავდა ქართული ხალხური სიტყვიერების და ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან.

ასეთივე, სიკერაემდე მისული თვითდაჯერებულობით ცდილობდა ნ. მარი, VIII-IX საუკუნეებში ქართულად ნათარგმნი ძეგლი “ფიზიოლოგი” სირიულიდან სომხურად და შემდეგ XII საუკუნეში სომხურიდან ნათარგმნად ჩაეთვალა, რაზედაც ცნობილი ისტორიკოსის მ. ჯანაშვილის კრიტიკულ შენიშვნებს ქედმაღლურად უგულველყოფდა. და, რა ავტორიტეტი იყო მისთვის ი. გოგებაშვილი ან, თუნდაც გ. საძაგლიშვილი და მ.ჯანაშვილი, როცა დიდი გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) შეგონებას - “თუმცა - ჩვენ თავიდანვე გვექონდა წმიდა წერილები, ასევე ჭეშმარიტი და მართმადიდებლური რწმენა, მაგრამ ჩვენი სამშობლო შორს იყო საბერძნეთიდან, და მართლაც, რაღაც ღვარძლი და გაუქუდმართებული და მზაკვრული ბოროტი თესლი იყო სომეხთა მიერ ჩვენს მიწაზე დათესილი და ჩვენ ამისაგან ძალზე ვიტანჯებოდით, რამეთუ ჩვენი ხალხი იყო გულწრფელი და გულუბრყვილო, ხოლო ისინი ვითომ წესრიგის საბაბით ჩვენს როგორმე ცდუნებას ცდილობდნენ, და ცოტაოდენი წიგნები ჩვენთან მათ მიერ იყო გადათარგმნილი (კირიონ II. “ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში”.. ქართული მწერლობა, 23. “ნაკადული”, თბილისი, 529), პროფესორი ნ. მარი ზღაპრად მიიჩნევდა.

პროფ. ნ. მარის უცნაური ქცევით გაცოცხლებული ეპისკოპოსი კირიონ II, 1910 წ., რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ზემოთ მოტანილ წიგნში წერდა: “რა დამართა პროფესორ მარს? ივერიას (ქართლს) იგი ხან ესპანეთად გადააქცევს, ხან მოღვაწე ბერ ევასის - ადგილ ევაზად, ხან ილირიელ ბერს წმ. გრიგოლ პაპში ურევს, ხან ჯურიზანიას (გირკანიას) საქართველოდ ასაღებს, კუბას - აფხაზეთად, ხან სომეხებს აკუთვნებს წმიდა წყლის ქართულ პროვინციებს - კლარჯეთს და ჰერეთს, რომლებიც ქართულად მიაჩნია სომეხ ისტორიკოს მოგხეს ზორენაცს, კონსტანტინე პორფიროგენეტს, სამცხე-კლარჯეთში VII-VIII ს. ახლად აღმოჩენილ ძეგლის აღმშენებელ სერაპიონ ზარზმელზე ისტორიკოს პროკოფის იმორწმებს, ხან იერუსალიმის საბას მონასტრის ძეგლისწერას თვენად (გულანად) გადააქცევს, ხან მამას გადააქცევს შვილად, ხან გრიგოლ ბაკურიანს, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ ქართველია, სომხურ წარმომავლობას მიაწერს და ა.შ. და ა.შ. (იქვე, გვ. 528, ხაზგასმა ჩვენია).

ათეული წლები, აკად. ნ. მარის მიმართ დასმულ ამ კითხვებზე პასუხები არ ჩანდა; უფრო სწორად პასუხის გაცემისაგან თავს იკავებდნენ იმ მოტივით, რომ დიდი ერუდიციის ფილოლოგი და ენათმეცნიერი, რომელიც თავისივე გაბედულ და შორს მიმავალ ჰიპოტეზურ მოსაზრებებს თავადვე უარყოფდა ხოლმე, ეგონათ ამ შემთხვევაშიც ასევე მოიქცეოდა, მაგრამ ამაოდ. XX ს. 20-იან წლებში, როცა საქართველომ პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობა მოიპოვა, რომლის ერთ-ერთი უპირველესი შენაძენი იყო თბილისის ქართულენოვანი უნივერსიტეტის დაარსება დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრე ქართველ მეცნიერთა მიერ, აკად. ნ. მარმა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ოფიციალურად, ბექდურად და საპროტესტო მიმართვებით გამოხატა. ამ ფაქტებზე, დაუფარავად მოგვითხრობს თბილისის უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ი.ჯავახიშვილის წერილი, დათარიღებული

1923 წ. 11 დეკემბრით, რომელიც დიდხანს საიდუმლოდ ინახებოდა და პირველად ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას “ოქროს საწმისის” მეორე ნომერში დაიჭებდა 1975 წ. ივლისში, ხოლო შემდეგ თ.კვაჭანტირაძემ გამოაქვეყნა 1968 წ. (№2-3) ჟურნალში “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში”. უფრო გვიან, ეს წერილი ნ. მარისა და ი.ჯავახიშვილის სხვა მიმოწერასთან ერთად გამოცა ი. ჯავახიშვილის ქალიშვილმა ნათელა ჯავახიშვილ-გერსამიამ და შეილიშვილმა დალი გერსამიამ: “ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა” (თსუ გამ. “ნეკერი”, 1996, 47 გვ.).

ახალი საარქივო მასალები გამოაქვეყნეს პროფ. ტ. ფუტყარაძემ და დოქ. ი. ვაშაიძემ წიგნში “ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმა 1917-1935 წლებში” (2011), რომელშიც მოტანილია უტყუარი ფაქტები იმისა, რომ ნიკო მარი, რუსული შოვინისტური იდეოლოგიის ერთგული დამწერგავი იყო ივანე ჯავახიშვილისა და ქართველოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს წერილი დაიწერა აკად. ნ. მარის 1923 წ. 14 ოქტომბრის წერილის საპასუხოდ, რომელშიც ნ. მარი ეკითხება ი.ჯავახიშვილს იაფეტური ენათმეცნიერების დარგში ქართულად ლექციათა ციკლის ჩატარების შესაძლებლობის შესახებ თბილისის უნივერსიტეტში, თან მოზოდიშებით წერილს ასე ამთავრებს: “თუმცა სხვაფრივ მოაზრე, სულ იგივე და იმასვე მსურველი, რასაც თქვენ მიეღებთ” (მიმოწერა, გვ. 28).

უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის სახელით, ი. ჯავახიშვილი უარს უთვლის რა ნ. მარს, თბილისის, უნივერსიტეტში ლექციის მოწყობასა და ორგანიზებაში, სწერს: “ჩვენი უნივერსიტეტის დაარსების განზრახვას მთელ რუსეთში არავინ არ შეხვედრია ისე მტრულად, როგორც თქვენ, 1917 წლიდან მოყოლებული არავის თქვენებრ თავგამოდებით არ უწერია და უბრძოლია სათანადო წრეებში ამ წმინდა კულტურული საქმის პოლიტიკურ საკითხად გადასაქცევად, მისი სახელის გასატეხად და ჩასახშობად”.

ბატონი ივანე, უკვე დაუფარავად ჩამოთვლის ნ. მარის “ცოდვეს” და სწერს: “განსაიფრებელი და ბევრი ჩვენგანისათვის ფრიად სამწუხარო გარემოება იყო, რომ ასეთი წმინდა და უნაგარო საქმე თქვენთვის გაუგებარი გამოდგა, რომ როგორც საქართველოს, ისევე სომხეთის კულტურულმა აღორძინებამ და განახლების კერებისადმი საძირკვლის ჩაყრამ, საქართველოს და სომხეთის უნივერსიტეტის დაარსებამ, თქვენს, იაფეტური ენათმეცნიერების წარმომშობელის გულში სიხარულის მაგიერ განუსაზღვრელი სიძულვილი აღძრა და სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის გუნებაზე დაგაყენათ” (იქვე, გვ. 38). შემდეგ, პროფ. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ გარკვეულ დრომდე, ამას ნ. მარის “ზასიათის სიფიცხის დროებით, წარმავალ შედეგად მიიჩნევდა”, მაგრამ რაც, საბჭოთა საქართველოს მოთხოვნით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (სიძველეთა) საქართველოში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით მას წერილობით გამოუხატავს, ყოველგვარ საზღვარს სცილდება; ჩვენის მხრივ კი ვიტყვით, რომ ეს მისთვის ჩვეულებრივ სტილშია ნათქვამი. აღშფოთებული ი. ჯავახიშვილი სწერს: “განცხადებებში ჩვენი უნივერსიტეტის, ქართველ მეცნიერთა და თვით საქართველოს შესახებ, მრავალგზის სრულებით შეუწყნარებელი, შეურაცხყოფელი სიტყვები, გამონათქვამები გიხმარიათ. რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მდივნისადმი მიმართულს თქვენს უკანასკნელ

განცხადებაში ისეთ თავდავიწყებადღე მისულხართ კიდევ, რომ თავისთვის უფლება მიგიციათ და თანამედროვე საქართველო სამეცნიერო მოღვაწეობისათვის გაუნაყოფიერებელ ქვეყნად გამოგიცხადებიათ, რომელშიაც თურმე დაბალი ზოლოლოგიური ნაციონალისტური გრძნობები ბატონობენ, იმ დროს, როდესაც პეტერბურგში ისეთი ბედნიერება ყოფილა, რომლის მსგავსი ხელსაყრელი პირობები დღეის სამეცნიერო შემოქმედებისათვის მთელს, დედამიწის ზურგზე, ცისა და მთვარე-ვარსკვლავების ქვეშე არსად სხვაგან და თქვენი პიროვნების გარემოს გარდა არავისთან სხვასთან არ ყოფილა” (ხაზგასმა ჩვენია, თსუ) (იქვე, გვ. 38).

აქ. შესაძლოა. ზოგიერთმა მარისტმა სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოუწახსოვს ნ. მარის მტკიცებულებას, ვითომ 20-იანი წლების საბჭოთა საქართველოში მეცნიერების განვითარებას ეხება მისი სიტყვებით და მოთმინებით უნდა მივიღოთ ისო. მაგრამ, ბატონი ივანე განაგრძობს: “ყოველ მოთმინებასაც თავის საზღვარი აქვს და. რაც შეეხება საქართველოს, გინდათ აწინდელს, უნდა კარგად გცოდნოდეთ, რომ მისი შეურაცხყოფის უფლებას თქვენ არც ერთი ქართველი, მიმართულების და მიუხედავად, არასდროს და არავითარ პირობებში არ მოგცემდათ” (ხაზი ჩვენია, თ.ე.) (იქვე, გვ. 39).

წერილის ამ ნაწილის ლაიტმოტივიდან აშკარად ჩანს, მასწავლებლის (ნ. მარის) და მოწაფის (ი. ჯავახიშვილის) დაპირისპირების უკიდურესობა, რაც წლებით დაგროვილი უკმაყოფილებათა საბოლოო გამოვლენად იქცა. აქედან დაწყებული. მათი პირადი ურთიერთობა ცივდება, ხოლო ი. ჯავახიშვილს კრიტიკული თვალსაზრისი ნ. მარის ნაღვაწისადმი მძაფრდება, რაც წიგნზე “ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა” 1923 წ. მუშაობის დაწყებაში გამოიხატა, სადაც სისტემური სახით მოცემულია ნ. მარის საენათმეცნიერო (ქართული ენის სემიტიზმის, სემიტურ-იაფეტური განშტოების, იაფეტური ოჯახის, პალეონტოლოგიურ-ტოტემური ოთხ ელემენტოვანი: სალ, ბერ, ღონ, რომ) თეორიების კრიტიკა, თუმცა იმ დამსახურების ობიექტური აღნიშვნით, რაც მას ქართულ და სომხურ ფილოლოგიასა და ენათმეცნიერებაში აქვს შეტანილი. თუმცა, ამ წიგნზე მუშაობის დაწყებისას (1923 წ.) და დამთავრების (1937 წ.) თარიღებს, შორის კალეიდოსკოპურად იცვლებოდა პეტროგრადსა (ლენინგრადსა) და თბილისში მდგომარეობა, რომლის მიხედვით აკად. ნ. მარი სსრკ მ/ა ვიცე-პრეზიდენტი ხდება, მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების ბელადი, კომუნისტური პარტიის წევრი და საბჭოთა კავშირში ყველა საენათმეცნიერო ინსტიტუტისა და გამოცემის ხელმძღვანელ-რედაქტორი, ხოლო პროფ. ი. ჯავახიშვილი ქართველ ისტორიკოს-ნაციონალისტობისთვის დასჯილი, უნივერსიტეტიდან გაძევებული “კონდრატოვშინელის” იარლიყით.

მიუხედავად იმისა, რომ 30-იან წლებში თბილისში საქართველოს აკადემიის მარისეული, მოსკოვეური პროექტი ვერ განხორციელდა, მაგრამ 1933 წ. საკ. მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი მაინც შეიქმნა აკად. ნ. მარის თავმჯდომარეობით, რომლის მთავარ დაწესებულებაში “ენის ისტორიის

და მატერიალური კულტურის” ინსტიტუტში, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წ. შეიქმნა მარისავე ინიციატივით და ე. თაყაიშვილის თაოსნობით, უნივერსიტეტიდან გაძევებული დიდი ივანესათვის ადგილი არ აღმოჩნდა.

თბილისში დაარსებული “კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის ინსტიტუტის” ბაზაზე, პროფ. ი. ჯავახიშვილისათვის სამუშაო ადგილიც ვერ მოინახა. უნივერსიტეტიდან წამოსვლიდან (1926 წ.) 1938 წლამდე აკადემიურ ინსტიტუტში და განსაკუთრებით უნივერსიტეტში რექტორ კ. ორაგველიძის თაოსნობით ეწყობოდა “ბურჯუაზიული იდეოლოგიის მატარებელი” ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ყველა ნაწერების და განსაკუთრებით “ქართველი ერის ისტორიის” განქიქება, რომელსაც საფუძვლად ედო სტალინური “პარტიტორიის მოკლე კურსი” და, რომლის მიხედვით, ვითომ ქართველი ერი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა და მას არავითარი ისტორია არ აქვსო.

აკად. ნ. მარი 1934 წ. გარდაიცვალა, მაგრამ მისი შეცდომების კრიტიკა ენათმეცნიერების დარგში 1950 წელს, სტალინის საენათმეცნიერო შრომის გამოქვეყნების შემდეგ გაბედეს; განსაკუთრებით აკად. ა. ჩიქობავამ გააღრმავა და განავტრო ი. ჯავახიშვილის მიერ დაწყებული კრიტიკა ნ. მარის საენათმეცნიერო ნაშრომებისა, თუმცა სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ამ კრიტიკის პათოსი, გასაგები მიზეზებით, ჩაცხრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ XX ს. 60-იანი წლებში, და შემდეგ გამოქვეყნებულ საენათმეცნიერო ნაშრომებში (მაგალითად, აკად. შ. ძიძიგურის მონოგრაფიები: “ნიკო მარი” (ქართული ენის მკვლევარი), “ნაკადული”, თბილისი (1965 წ.) და “საენათმეცნიერო საუბრები” (1975)), მოხდა ერთგვარი ნიველირება აკად. ნ. მარის მცდარი შეხედულებებისა, რამაც გარკვეულად ხელი შეუწყო ქართული ენის და მისი დიალექტების (მეგრულის, სვანურის, ჰანურის...) თუ ქართულისა და ქართველური ენების (მეგრულ-ლაზური, სვანური), როგორც დამოუკიდებელი ენების ურთიერთობის საკითხის მეცნიერულ შესწავლას (იხ. ტ. ფუტყარაძე. “ქართველები”, I (2005)) და მის დებოლიტიზირებას.

ასეთივე ტრანსფორმაცია განიცადა აკად. ნ. მარის ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის გადაცდომების შეფასებამ მას შემდეგ, რაც პავლე ინგოროყვამ თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში “გიორგი მერჩულე” (ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა)” (1954), ამხილა მისი დიდი და მცირე შეცდომები აფხაზეთისა და განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხებზე. ის, რომ პავლე ინგოროყვას აღნიშნული 1000 გვერდიანი წიგნი ჩრდილოელი მეზობლის პოლიტიკური დაკვეთა-წაქეზებით აბზაზმა, სომეხმა და ოსმა სეპარატისტებმა საჯაროდ ცეცხლს მისცეს, ნიშანი იყო იმისა, რომ ნიკო მარის “შეცდომები” ისტორიული საქართველოს ღვიძლი ტერიტორიების ტაო-კლარჯეთის და აფხაზეთის კუთვნილების საკითხში, შემთხვევითი და უნებლიე არ იყო და არც ამ წიგნზე მედროვე ქართველ ისტორიკოსთა წაჭექ-უკუჭექური შეფასებები.

კიდევ უფრო შორს მიდის აკად. ნიკო მარის ზოგიერთი მოწაფის განზრახვა. მაგალითად, პროფ. ი. მეფერელიძე, რომელიც წიგნში “ექვთიმე თაყაიშვილი” (1989, გვ. 245), იმოწმებს რა. აკადემიკოსს და წმ. ექვთიმეს (თაყაიშვილის) (შრომები. ტ.1, 1968, გვ. 250-251), რომელსაც 1952 წ. გ. ლომთათიძისადმი კარნახით ჩაწერილ მოგონებაში. ილიაზე აქვს ნათქვამი, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მას

კარგად არ ესმოდაო და, რომ 1907 წ. (ფაქტიურად, 1906 წ. თ. ე.) გამართულ ე.წ. “Предсоборная комиссия”-ში მონაწილე ქართველ წევრთა: “ეპისკოპოსებს ლეონიდესა და კირიონს, პროფესორებს: ალექსანდრე ცაგარელსა და ნიკო მარს შორის, მხოლოდ ნიკო მარი იყო ამ საქმის სპეციალისტიო.

როგორც ჩანს, მოგონების ჩანაწერი სრულად არ ითვალისწინებს ისტორიულ ამბებს, რაზედაც მიუთითებს დიდი საეკლესიო მოღვაწის, მამინ ეპისკოპოსის და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის თავდადებული მებრძოლის წმ. კირიონ II-ის ამ კომისიაში უბრალოდ მოხსენიება, რომელიც თითქოს 1918 წ. კათალიკოსად არჩევის შემდეგ “მალე გარდაიცვალაო...” (სინამდვილეში მოკლეს!..) და კათალიკოსად მის შემდეგ მოსული ლეონიდე (ოქროპირიძე) ჰყავს განდიდებული (ი. მეგრელიძე, გვ. 244).

უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე შემდეგი გარემოება, რასაც აკად. შ. ძიძიგური შეფარულად აცხადებს. მისი აზრით, აკად. ნ. მარი დარწმუნებული იყო, რომ სომხური ენა ინდოევროპული და იაფეტური ენებით წარმოქმნილ შერეულ (ნარეკ) ენას წარმოადგენსო (შ. ძიძიგური, 1965, გვ. 99). აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, მისთვის გამოცანას წარმოადგენდა არა ქართველურიდან (იაფეტურიდან) სომხურში სიტყვების და გამოთქმების დამკვიდრება, არამედ პირიქით – ქართულ-ქართველურ დიალექტებში სომხური სიტყვისა და გამოთქმის ძირის ძიება, საიდანაც ზოგჯერ მცდარი და ხშირად გაუაზრებელი დასკვნები გამოჰქონდა მას.

ტაო-კლარჯეთ-შავშეთის მხარის შესახებ აკად. ნ. მარის ძირითადი თეზისი მტკიცებისა, თითქოს ეს მხარე ისტორიამდელ პერიოდში თუბალ-კაინური (მეგრულ-ქანურ) ტომებს ეჭირათ და შემდეგ მოხდა მათი სომხურად გადაგვარება, VIII – IX საუკუნიდან სომხები გადაგვარდნენ იაფეტიან ქართველებად, ხოლო ისინი გადაგვარდნენ თურქებადო, - ჩვენ ზემოთაც მოვიტანეთ. ამასთან, ნ. მარი თვითონვე წერს გიორგი მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის” რუსული თარგმანის მის მიერ 1911 წ. გამოცემული ტექსტის შესავალ წერილში, რომ ამ მხარის თუბალ-კაინური მოსახლეობის სომხურად გადაგვარების დასამტკიცებლად: “ის ფლობს იმდენად უმნიშვნელო მონაცემებს, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფაქტის დადასტურება შეგვიძლია”-ო (ნ. მარი, დასახელებული გამოკვლევა, გვ. II-III). ასეთივე დაუსაბუთებელია ნ. მარის მტკიცებულება, რომელსაც თანმიმდევრული დოკუმენტური და ლოგიკური მსჯელობით ასაბუთებს პავლე ინგოროყვა, ვითომ მე-7-მსს.-ში გასომხებულმა კლარჯეთის მხარემ, მე-9-10 საუკუნეებში გაიარა გაქართულების სამი ფაზა: პოლიტიკური, რელიგიური და ლინგვისტური.

ამ უცნაური მსჯელობით და ნიკო მარისეული მტკიცებით, განთქმული ქართული სავანეები კლარჯეთში, ვითომც არაა ქართული წარმოშობისა, ეს სავანეები ადრეულ ხანაში ვითომც სომხების მიერ იყო დაარსებული. ქართველები კლარჯეთში მისვლის დროს, გვიან ხანაში (მე-8-9 საუკუნეში), მხოლოდ დამკვიდრდნენო სომხების მიერ აშენებულს ამ მონასტერ-სავანეებში, რომლებიც სომხების მიერ მიტოვებულ იქნენო არაბების შემოსევის შედეგად” (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 407).

აქედან გამომდინარე “ნ. მარის დასკვნით გამოდის, რომ ვითომც სომხური წარმოშობის ყოფილა საქართველოს სინაის ყველა განთქმული ქართული სავანეები.

როგორც ოპიზა, ისე ხანძთა, შატბერთი, მერე, დაბა, მიძნაძორი, ბარათელთა. წყაროსთავი, ბერთა, ჯმერკი, პარეხნი, დოლისყანა..." (იქვე, გვ. 408).

ისტორიული ჭეშმარიტების ასეთი აშკარა დამახინჯების შთაბეჭდილებით აღმოფთვებული მკითხველი იკითხავს, თუ რა საბუთებს ემყარება ნიკო მარის მტკიცება? და, პავლე ინგოროყვა პასუხობს "არავითარს"!

ნიკო მარის კონცეფცია, სამხრეთ საქართველოს მთელი ტერიტორიის და ისტორიულ-კულტურული ცხოვრების ტრანსფორმაციის შესახებ, რომელიც პ. ინგოროყვას მტკიცებით, ჰ. ჰიუმშმანისა და ნ. აღონციის შეხედულებათა უკრიტიკოდ გაზიარებიდან მოდის, ასევე უკრიტიკოდ გაიზიარეს და განაგრცეს ქართველმა მეცნიერებმა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. კ. კეკელიძე და აკად. წერ-კორ. ი. აბულაძე. კერძოდ, აი რას წერს აკად. კ. კეკელიძე მისი კაპიტალური წიგნის "ქართული ლიტერატურის ისტორიის" I ტ. 1941 წ. პირველ გამოცემაში:

"ტაო-კლარჯეთის მხარეში... სომხებს გაუშენებიათ მონასტრები, როგორცაა ოპიზა, ხანძთა, იშხანი, მიძნაძორი, შატბერდი და სხვა, სადაც კულტურულ-შემოქმედებითი და ლიტერატურული მოღვაწეობა დულდა და გადმოდულდა. მერვე საუკუნის ნახევარში, მურვან-ყრუს შემოსევით, ეს მხარე სულ ერთიან აოხრდა, ამას თან დაერთო ხოლერობა, რომელმაც მუსრი გაავლო მცხოვრებლებს. ამ უბედურების და აოხრების დროს დაცემულა და დაშრეტილა სომხთა მონასტრები. როდესაც გრიგოლი (ხანძთელი) მოსულა აქ, მხოლოდ ერთადერთი მონასტერი ყოფილა, ოპიზა. ეს მონასტერიც ქალკედონიტ სომხებს სჭერიათ, მაგრამ აღნიშნული უბედურების შემდეგ, სხვებთან ერთად, ისიც მიუტოვებიათ..., **მერვე საუკუნის ოცდაათიან წლებში აქ დამკვიდრებულან ქართველები...** (ხაზგასმა ჩვენია, თ.ე.) ოპიზა შეიქმნა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების კერად..." (კ. კეკელიძე. 1941, გვ. 84-85).

როგორც ვხედავთ, აქ უკრიტიკოდააა გადმოტანილი ნ. მარის ჰიპოთეზა, მერვე საუკუნის 30-იან წლებში ტაო-კლარჯეთში ქართველების მოსვლისა და სომხების წასვლის, თუ გაქართველების შესახებ. მაგრამ, ნ. მარის მიხედვით იგულისხმება, რომ თუ თავიდან, ამ კუთხის სომეხი მწიგნობარნი და სწავლულნი თავიანთი საჭიროებისთვის თარგმნიდნენ ბერძნულიდან და სირიულიდან, მე-8-9 საუკუნის შემდეგ სომხურად თარგმნილი ძეგლების ქართულ ენაზე გადმოთარგმნა, ისევ ქალკედონიტმა სომხებმა გააგრძელეს, ისეთებმა, როგორც გრიგოლ ბაკურიანი იყო.

აკად. კ. კეკელიძის "ქართული ლიტერატურის ისტორიის" I ტომის 1980 წლის (მე-4 გამოცემაში) ზემოთ მოყვანილი ადგილი ტაო-კლარჯეთის შესახებ ასე იკითხება:

"ტაო-კლარჯეთის მხარეში სამონასტრო ცხოვრების მეთაურად შეიქმნა გრიგოლ ხანძთელი თავისი მოწაფეებით, რომელთაც უკაცური და უდაბური ჭვეყანა გადააქციეს აყვავებულ კუთხედ. ეს მხარე დასახლებული ყოფილა ძველიდანვე ქართველთა მოდგმის ხალხით: ქანებითა და მეგრელებით. VI-VII საუკუნეებში აქ, როგორც ქალკედონიტურ ჭვეყანაში, თავი შეუფარებიათ სამშობლოდან დევნილ ქალკედონიტ-სომხებს, რომელთაც გაუშენებიათ აქ რიგი მონასტრები, სადაც კულტურულ-შემოქმედებითსა და ლიტერატურულ

მოღვაწეობას ჰქონდა ადგილი. მეგრე საუკუნის პირველ ნახევარში მურვან-ყრუს შემოსევით, ეს მხარე სულ ერთიანად აოხრდა, ამას თან დაერთო ხოლერობა, რომელმაც მუსრი გაავლო მცხოვრებლებს. ამ უბედურებისა და აოხრების დროს დაცემულა და დაშრეტილა აქ არსებული მონასტრები. **როდესაც გრიგოლი მოხულა აქ, მხოლოდ ერთადერთი მონასტერი ყოფილა, ოპიზა. აღნიშნული უბედურების შემდეგ, სხვებთან ერთად ეს მონასტერიც მიუტოვებიათ** (ხაზგასმა ჩვენია, თ.ე.), დარჩენილა აქ ერთი პატარა ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა. **მეგრე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აქ დამკვიდრებულან ქართველები და მონასტერი იოანე ნათლისმცემლის სახელზე განუანლებიათ** (თ.ე.), სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ “აღიშენა წმიდად და დიდი უდაბნოდ ოპიზად მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარიო”... ოპიზა იქცა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების კერად” (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 93).

როგორც ვხედავთ, პავლე ინგოროყვას მიერ ნიკო მარის თვალსაზრისის ობიექტური კრიტიკა, საფუძვლიანად ცნო დიდმა ფილოლოგმა აკად. კ.კეკელიძემ და “ქართული ლიტერატურის ისტორიის” ამ და სხვა ადგილების გაშუქება შეცვალა და დააზუსტა. ამასთან, განმარტებას და გაანალიზებას მოითხოვს, ჩვენ მიერ ხაზგასმული ადგილები. ცხადია, აკად. კ. კეკელიძე არ გულისხმობს აკად. ნ. მარისაგან განსხვავებით, რომ ოპიზა და სხვა ჩამოთვლილი მონასტრებიც ქალკედონიტი სომხების აშენებული იყო, იქ გრიგოლ ხანძთელის მისვლამდე. ბუნებრივია, რომ არაბთაგან ლტოლვილ სომხებს, ჰქონოდათ მონასტრებიც, ვთქვათ იშხნისა, მაგრამ იგი არ გულისხმობს გამოთქმაში: **“მონასტრები მიუტოვებიათ”**, მხოლოდ სომხებს; არაბები და შავი ჭირი ქალკედონიტ სომხებსაც და მართლმადიდებელ ქართველებსაც ერეკებოდა აღნიშნული ადგილებიდან და “აქ დამკვიდრებულან ქართველები” არ ნიშნავს, რომ ქართველებამდე აქ მკვიდრობდნენ მხოლოდ სომხები.

ძველი ბერძენი, სომეხი და ქართველი ისტორიკოსების ცნობების დეტალური ანალიზითა და თანამედროვე ევროპელი არმენისტების და უპირველეს ყოვლისა ნ. მარის შეფასებათა კრიტიკით, მდინარეების მტკვრის, არაქსისა და ჭოროხის ხეობების პროვინციების სახელწოდებათა შედარებისა და ტოპონიმების ანალიზის საფუძველზე, პავლე ინგოროყვამ დაადგინა, რომ შემცდარია ან ტენდენციურია იმ ევროპელ მეცნიერთა და არმენისტთა შეხედულებანი, მათ შორის აკად. ნ. მარისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, ვითომც კლარჯეთსა და ტაოში მე-4-5 და მით უფრო მე-7-8 საუკუნეებში (ქ.შ.) ემიგრანტი ქალკედონიტი სომხები იმდენად დამკვიდრებული ყოფილიყვნენ, რომ მათ ეკლესია-მონასტრები ეშენებინათ და ამ მონასტრებში ლიტერატურულ-მწიგნობრული საქმიანობა წარემართათ. პავლე ინგოროყვამ აჩვენა, აგრეთვე, რომ არა მთლიანად ტაოს მხარე, არამედ ამიერ ტაო, მეორე საუკუნის მეორე ნახევრიდან IV საუკუნის პირველ ნახევრამდე (დაახლოებით 170-200 წელი) პოლიტიკურად დაკავშირებული იყო სომხეთთან. იმავდროულად, ლაზიკა-ჭანეთიც, იბერიისა და კოლხეთის სამეფოებისგან დამოუკიდებელი სამეფოა, რომელიც ჰანელ (ქართველ) მამიკონიანთა სამფლობელოს წარმოადგენდა, მიერთებული ჰქონდა სომხთა სამეფოს (ბ. ინგოროყვა, 1954, გვ. 482; ტ. ფუტკარიძე, I-IV სს.-ში

ქართული სამეფოს დასავლური ნაწილი, 2010 წ.). იმავე დროს, IV-IX სს.-ში, “ლაზიკის” ქორონიმი ძველი კოლხეთის სინონიმი ხდებდა ევროპულ ისტორიოგრაფიაში, მისი საზღვრები შავი ზღვის აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით მიიწვეს და იბერიასთან ერთად დამოუკიდებელ სახელმწიფოებადაა წარმოდგენილი, მაშინ როცა უგულებელყოფილია “ქართლის ცხოვრებაში” მრავალჯგუფის ფიქსირებული ფაქტი, ერთიანი (დასავლეთ-აღმოსავლეთ) საქართველოს არსებობის შესახებ, როგორც ფარნავაზის (III ს. ქ.წ.) და ვახტანგ გორგასლის (V ს. ქ.წ.) დროს არსებობდა (ტ. ფუტყარაძე, იქვე, გვ. 7-9).

ერთიანი საქართველოს შესახებ ახალი თვალთახედვიდან გამომდინარე, IX-XI საუკუნეებში საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, აბხაზი (გიორგი ქართველთა მეფე), ტაო-კლარჯეთელი (დავით ბაგრატიონ-კუროპალატი) და ქართლელი (იოანე მარუშისძე) მეფე-დიდებულების შეთანხმებული მოქმედებით, ბაგრატ III-ის (1001-1014) გაერთიანებული საქართველოს ტახტზე დასმა მშვიდობიანად დასრულდა იმიტომაც, რომ ამ გაერთიანების არა მარტო პოლიტიკური განზრახულობა, არამედ ფაქტობრივი ვითარებაც არსებობდა X ს. მიწურულში.

XIX-XXI საუკუნეების რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის პოლიტიკური და იდეოლოგიური სამსახურის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო და არის ისტორიული დოკუმენტების გაყალბებით დაამტკიცოს, რომ ანტიკური ეპოქიდან საქართველო ისეთივე დაშლილ-დანაწევრებული იყო, როგორც ის “ზაიბარეს” მე-19 საუკუნის დასაწყისში.

სამწუხაროა, რომ საქართველოს წარსულის გაქარწყლების მტრული საქმიანობის იდეოლოგიურ სამსახურში, ბევრი ისეთი ქართველი და ქართული წარმომოხობის, მაგრამ უტყუარი გვარის მატარებელი დიდი პიროვნება ჩამდგარა, როგორც აკად. ნიკო მარი იყო. დიდი ერთდღიის მქონე ენათმეცნიერსა და პოლიგლოტის, რომლის ფენომენალური გონებრივი შესაძლებლობა მოხმარდა, ერთის მხრივ, იმის ჩვენებას, რომ ქართული ენა და ლიტერატურა საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ფენომენია, ხოლო, მეორის მხრივ, იმის მტკიცებას, ვითომ “ქართლის ცხოვრებისა” და “ზიბლიის” თარგმანების ავტორები და V-VIII სს.-ში ტაო-კლარჯეთში მონასტრების აღმშენებლები და სამონასტრო ცხოვრების დამწყებნი ქალკედონიტი სომხები იყვნენ, ცხადია, ხელმრუდობით აქვს შექმნილი აფხაზეთის ისტორიის შესახებ კონცეფცია, რომელიც “განავითარეს” და დღევანდელ კონდიციამდე მიიყვანეს შავრაზმელმა რუსმა და სებასტიანოვმა აფსუა ისტორიკოსებმა და რომელიც გაბედულად ამზილა 70 წლის წინ დიდმა ქართველმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა და ფილოლოგმა, პავლე ინგოროყვამ. ნიკო მარის “დამსახურებაა”,

საბჭოთა პოლიტიკური იდეოლოგიის წინების ქვეშ მყოფი ქართველი ისტორიკოსებისა და ფილოლოგების ნაწილს, დღესაც რომ არ უნდათ აღიარონ 60 წლის წინანდელი საკუთარი შეცდომები, რომ მათ პავლე ინგოროყვას “გვარცმის” აქტში წილის დაღებით, მეცნიერისათვის შეუწყნარებელი ცოდვა ჩაიდინეს.

ლიტერატურა

- აკაკი, 1962 – ა. წერეთელი, თხზულებები 15 ტომად, ტ. XIV, თბ., 1961.
- კ. გამსახურდია 1967 – კ. გამსახურდია, თხზულებანი 8 ტომად, ტ. VIII, თბ., 1967.
- ე. თაყაიშვილი, 1952 – ე. თაყაიშვილი, შრომები, ტ. I, თბ., 1952.
- იაკობი, 1903 – ი. გოგებაშვილი, თხზულებანი 10 ტომად, ტ. XX, თბ., 1965. (ბურჯი ეროვნებისა (1892), ბიბლიოგრაფია გვ. 64-65).
- პ. ინგოროყვა, 1954 – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
- კ. კეკელიძე, 1941 – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I, თბ., 1941 (I გამოცემა); გამოცემა მე-4, 1980.
- ი. მეგრელიძე, 1989 – ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989.
- მარი და ჭავჭავიძე 1996 – ნიკო მარისა და ივანე ჭავჭავიძელის მიმოწერა, გამოცემა თამარ ჭავჭავიძელ-გერსამიასი, 1996.
- “ოქროს საწმისი”, 1975 – ი. ჭავჭავიძელის წერილი ნიკო მარისადმი 1923 წ.: ჟურნალი “ოქროს საწმისი” 1975, №2, ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას გამოცემა; იგივე. “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში”. 1968 წ. №2-3.
- ტ. ფუტყარაძე, 2005 – ტ. ფუტყარაძე, “ქართველები”, ტ. I, თბ., 2005.
- ტ. ფუტყარაძე, 2010 – ტ. ფუტყარაძე, I-VI საუკუნეების ქართლის სამეფოს დასავლეთ ნაწილი. ხელნაწერი, 2010.
- ტ. ფუტყარაძე, ი. ვაშაყიძე 2011 – ტ. ფუტყარაძე, ი. ვაშაყიძე, ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლები. თბ., 2011.
- შ. ძიძიგური, 1965, 1975 – შ. ძიძიგური, ნიკო მარი (ქართული ენის მკვლევარი), თბ., 1965; საენათმეცნიერო საუბრები, “მეცნიერება”, თბ., 1975.
- წმ. კირიონ II – კირიონ II (გ.სამაგლიშვილი), ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში - ქართული მწერლობა, ტ. 23, თბ., 2009.
- ი. ჭავჭავაძე, “აი ისტორია”, 1889 – ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი 10 ტომად, ტ. IV, თბ., 1955.
- ი. ჭავჭავაძე, 1899 – ი. ჭავჭავაძე, ქვათა ღალადი“, თხზულებანი 10 ტომად, ტ. VIII, თბ., 1957.
- ი. ჭავჭავიძე, 1973 – ი. ჭავჭავიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I., თბ., 1979.
- ი. ჭავჭავიძე, 1992 – ი. ჭავჭავიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. X, თბ., 1992.
- ი. ჭავჭავიძე 1998 – ი. ჭავჭავიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. XII, თბ., 1998.

TORNIKE EPREMIÐZE

NIKO MARR AND PAVLE INGORIKVA ABOUT THE HISTORICAL
PAST OF TAO-KLARJETI

VIII-X history of Tao-klarjeti is connected with the material and spiritual renaissance of ancient Georgia, which reached its summit in the epoch of Kings of David the Builder(1089-1125) and Tamar (1184-1213). That's the reason that the domestic enemies had and still have the ideologycal struggle with the authentic history of this past and try to folsify that. The scientist-phylogologist who did the great deal to folsify the real history of this part is considered to be Georgian origin Niko Marr (1866-1934) who worked out the hypotesis at the beginning of XX century as if the people who provided the revival of the region were Kalkedonit Armenians. This point of view was strongly opposed by the great historican-philologist Pavle Ingorokva (1893-1983), previous student of Niko Marr, who basically rejected this hypothesis in his book "Giorgi Merchule", which had its basics in Russian chauvinism and Armenian ideology. Pavle Ingoroyva proved that Klarjeti, entire Tao, Basiani, Lazeti and the important part of Abkhazia which were populated by Meskhis, megrel-tchans, Abazgs and svani ethnoses, was the integral part of Georgia in the period of its unity and strength.

The subject matter of the article is the struggle of principle of the Georgian public men: Iia Tchavtchavadze (1837-1907), Iakob Gogebashvili (1840-1912), St Kirion II (1855-1918), Ivane Javakhishvili (1886-1940), Ekvtime Takaishvili (1863-1952), Pavle Ingorokva against wrong historical, philological and linguistic theories of Niko Marr and particularly against his activities based on Russian-chauvinist, Armenian and Soviet ideologies and doctrines, which had the obvious reflection in the 20s of XX century in his unprecedented pathos of fight against founding the university in Georgia, returning Georgian manuscripts from Russia and participation of American archaeologists in archaeological explorations held in Mtskheta-Nokalakevi region.

Ideologycal pressure on Georgian historical-philological science caused the death of Iliia Tchavtchavadze (1907) and St Kirion II (1918). Ivane Javakhishvili and Pavle Ingorokva suffered from constant repressions, which was caused by academician Niko Marr, together with Russian-soviet political and ideologycal figures as well.

გურამ თაყნიაშვილი

იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ნიკოლაძის პოლემიკის საბანი

იაკობ გოგებაშვილის უკვდავი სახელმძღვანელოების “ბუნების კარისა” და “ღედა ენის” პირველ გამოცემებს (1868, 1876 წწ.) ცხოველი გამომხატურება მოჰყვა იმდროინდელ ქართულ პრესაში. გაზეთები: “დროება”, “ივერია”, “ОБЗОР”, “ТИФЛИССКИЙ ВЕСТНИК”, “КАВКАЗ” და სხვა გამოცემები სისტემატურად ბეჭდადნენ როგორც დადებით, ასევე უარყოფით რეცენზიებს ორივე სახელმძღვანელოზე. როგორც ცნობილია, “ღედა ენა” სახელმძღვანელოდ დაამტკიცა კავკასიის საწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭომ 1876 წლის დეკემბერში. ზუსტად 135 წლის წინათ, გიორგი იოსელიანის დადებითი რეცენზიის შემდეგ. “ღედა ენის” პირველი გამოცემა აღინიშნა სტეფანე ზარაფიშვილის პრემიით (200 მან.) მისი ბეჭდვის ღირებულებაც გაიღო იგივე ზარაფიშვილმა (600 მან.) ცხადია, ი. გოგებაშვილს კარგად ესმოდა “ღედა ენის” პირველი გამოცემის ნაკლოვანი მხარეების შესახებ, მაგრამ იქვე აცხადებდა, რომ ეს ნაკლოვანი მხარეები არ უნდა ქვეულოყო საყვედურის საგნად. პირველი გამომხატურებები “ღედა ენის” შესახებ გამოაქვეყნეს: ე. მარჯანიძემ (ქუთაისელი პედაგოგი), მ. კურდღელაშვილმა, ა. წერეთელმა, ალ. მირიანაშვილმა, გ. გაბიჭაძემ, კ. აბაშიძემ, უ. ნათიევმა, გ. წერეთელმა, კ. დოდაშვილმა და სხვებმა. გამომხატურებებსა და რეცენზიებს, ღრმად პედაგოგიური მიდგომებითა და ქართული ენის სიწმინდის დაცვის პოზიციებიდან, დასაბუთებული პასუხები გასცა ი. გოგებაშვილმა თავის პედაგოგიური ხასიათის წერილებში “უმეცრების ამყობა”, “წიპურტების ნიმუში”, “სამწუხარო მოვლენა პედაგოგიაში” და სხვ. წერილებში, სადაც მტკიცედ დაიცვა სახელმძღვანელოების შინაარსი, სტრუქტურა, მიზანდასახულობა და ის ამოცანები, რასაც ემსახურებოდა ორივე წიგნი. ორივე წიგნის შესახებ თავისი შეხედულებები გამოაქვეყნა ცნობილმა მწერალმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ, რეცენზიები დაბეჭდა “დროებაში”, “ОБЗОР”-ში, “ТИФЛИССКИЙ ВЕСТНИК”-ში. პირველი გამომხატურება მან გამოაქვეყნა “ბუნების კარის” შესახებ მისი გამოქვეყნებისთანავე გაზეთ დროებაში” (“დროება”, 1888), “ჩვენი გულითადი მადლობა უნდა მოექცეს გოგებაშვილისადმი.— წერს ნ. ნიკოლაძე, რომელმაც გვაჩუქა ყოვლად შესანიშნავი საკითხავი წიგნი ქართველი ახალგაზრდობის დამყენებელი სწავლის გზაზე, მაგრამ ვიდრე საბოლოოდ წარმოვადგენდეთ ჩვენს აზრს ამ ძვირფას წიგნზე, სჯობია ამოვკრიბოთ ზოგიერთი ალაგი თვითონ ავტორის წინასიტყვაობიდან”; შემდეგ რეცენზენტი ვრცლად მიმოიხილავს “ბუნების კარის” პირველი გამოცემის წინასიტყვაობას, გზადაგზა იმოწმებს რა ი. გოგებაშვილის მოსაზრებებს ქართული ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ, “ბუნების კარის” შესავალში ი. გოგებაშვილი წერს, “პედაგოგიური აქსიომაა, რომ ზავშემა პირველად თავისი ენა უნდა ისწავლოს”, ჩვენი საზოგადოება სრულად ამის წინააღმდეგ ღალატებს,

ყმაწვილი ქართული ენის სწავლას მერეც მოასწრებდსო, ეს სწორედ იმას ჰგავს. რომ სახლის შენება ვინმემ ბანიდგან დაიწყოს და ამბობდეს: საძირკველის ჩადება მერმეც შეიძლებაო. ჩვენს საზოგადოებას მოუთმენლად უნდა, რომ ყმაწვილებმა მალე შეისწავლონ რუსული ენა, მაგრამ ეს მოუთმენლობა საქმეს ბევრად აფუჭებს; “თუ ყმაწვილის გონება — აგრძელებს წინასიტყვაობაში ი. გოგებაშვილი, თავის ენაზედ გახსნილი არა აქვს უცხო ენის სწავლაში ბევრს ეწვალება, დროსაც ბევრს დაჰკარგავს და გვარიანადაც ვერ შეისწავლის”.

ნ. ნიკოლაძის ეს პირველი წერილი არ არის კრიტიკული ხასიათისა, იგი შესავალშივე ქებით მოიხსენიებს წიგნის ავტორს; როგორც შემდეგში ი. გოგებაშვილი წერს, ნ. ნიკოლაძე ურჩევდა მას სხვა ყველაფრისათვის თავი დაენებებინა და მხოლოდ სახელმძღვანელოებზე ემუშავა. ეს ფაქტი იყო 1869 წელს, როდესაც ნიკოლაძე დაბრუნდა საზღვარგარეთიდან, მაშინ იგი ძალზე დადებითად ალაპარაკდა “ბუნების კარის” შესახებ მეორე რეცენზია ნ. ნიკოლაძემ “ბუნების კარის” შესახებ. გამოაქვეყნა მისი მეორე გამოცემის გამო ნ. სკანელის ფსევდონიმით. წერილში, რომელიც იმავე “დროებაში” დაბეჭდა 1873 წელს (“დროება“, 1873) ნ. ნიკოლაძე წერს: “როცა ეს ახირებული წიგნი პირველჯერ გამოიცა, ჩვენ სრული თანაგრძობით ვუსურვეთ მისი გავრცელება და წარმატება, მაშინ ეს ჩვენი საზოგადოებისათვის ხეირიან მოვლენას წარმოადგენდა: მაშინ ჩვენ მის ნაკლოვანებებზე ხმა არ ამოგვიღია იმიტომ. რომ ის პირველი ცდა იყო ჩვენს მწერლობაში”. მიმოიხილავს რა “ბუნების კარის” მეორე გამოცემას, ნ. ნიკოლაძე წერს. “ეს წიგნი სიტყვა-სიტყვით იგივეა, რაც პირველი, მთელი ხუთი წლის განმავლობაში ერთი ასოც არ შეუცვლია. ეს წიგნი — განაგრძობს რეცენზენტი, — თავიდან დაწყებული ბოლომდე ძველი სხოლასტიკური სისტემით არის შედგენილი,“ მთელი წიგნი, წერს ნიკოლაძე, მძინარე ვით უხალისოდ, უმაგალითოდ, უსულოდ არის დაწერილი, ისე, რომ ყმაწვილს კი არა, ნასწავლსაც გაუჭირდება მისი გაგება და შეთვისება; კაცს ჰგონია სახელმძღვანელოს ნაცვლად, დაუჭლომელს კითხულობდესო; არც ერთ ადგილზე არ არის მოყვანილი არც სურათი, ან ჩვენებით სისტემაზე დაფუძნებული აღწერილობანი ხალისიანი მოთხრობა, ყველგან უძელო და უსულო, უმარლო აღქმას ისეთი ცნობებებისა, *romel Tagan naxevar i gaugebar i ymawvil TaT vis*“. ასეთი მკაცრი შეფასების შემდეგ, ნ. ნიკოლაძე იმორწმუნებს უცხოეთში სახელმძღვანელოების შედგენის დონეს და წერს: “რუსეთში და უცხოეთში ამ ხუთი წლის განმავლობაში (იგულისხმება 1868-1873 წწ.) ისეთი სახელმძღვანელოები დაიბეჭდა, რომლებმაც ერთნაირად შეცვალეს სამოსწავლო მეცნიერების სისტემები. ი. გოგებაშვილს არ მიუქცევია ყურადღება ასეთი სიახლეებისათვის და არც სმენით გაუგია მათი ვარგისობა!” ამავე რეცენზიაში ნ. ნიკოლაძე ლიტერატურული ეთიკის შესახებ ავითარებს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ “ჩვენში ერთი სჯულზე უმტიკიცესი ჩვეულებაა: რის ვაი-ვაგლაზით მოახერხებს კაცი ერთი წიგნის გამოცემას, გაკეთდება, გაჩერდება და დარწმუნდება, მართლაც დიდი რამ შევასრულეო; მერე დაარწმუნეთ ეს კაცი, რომ გულზე ხელის დაკრეფა ადრეა. რომ მისი შრომა მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა არ არის; ყმაწვილებს სხვა წიგნების უქონლობის გამო უხეირო და ადამის წლის სახელმძღვანელო უნდა ეკავოთ ხელში?”

იმავე 1878 წელს გაზეთებში "ТИФАССИЙ ВЕСТНИК" და "ОБЗОР"-ში იმართება პოლემიკა ნ. ნიკოლაძესა და ი. გოგებაშვილს შორის. ("Тиф. вест."), ი. გოგებაშვილი კვლავ უბრუნდება ნ. ნიკოლაძის აღრიხედელ შეხედულებებს სახელმძღვანელოების შესახებ და აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ (იგულისხმება 1870-იანი წლები) ნ. ნიკოლაძემ ისარგებლა ჩემი ავადმყოფობით, უძღურებით და ჩემზე პასკვილი დაწერა საკვირაო ფელეტონში, მაგრამ ამგვარ მხილებებს მე არ ვლებულობ, რადგან პირადული ხასიათისაა; ნ. ნიკოლაძეს, — წერს ი. გოგებაშვილი, მე იმიტომ გბულვარ, რომ მე უარი ვთქვი "ОБЗОР"-ში თანამშრომლობაზე. როგორც ცნობილია "ОБЗОР"— გამოდიოდა ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით 1878-1883 წლებში. ნ. ნიკოლაძე უარყოფდა კამათის პიროვნულ მიზეზს და საყვედურობს ი. გოგებაშვილს: "განა თქვენი ცილისწამების, ინტრიგებისა და უყიარათობის გამო არ დაეხმო გზა სემინარიისაკენ ქართულ ახალგაზრდობას?" და უჩვენებს ი. გოგებაშვილის დაუბრუნდეს ამ საკითხს: "წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გისხნით იმ კაცისტალური ბრალდებებისაგან, რაც ბ-ნ ნიკოლაძის სიტყვების შემდეგ კისრად გაწეული" (ნ. ნიკოლაძე, 1970, გვ. 559). აქ ლაპარაკია თბილისის სასულიერო სემინარიაში 1873 წელს კერსკის მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგების შესახებ. "საკვირაო საუბრებში" ("ОБЗОР", 1878) ნ. ნიკოლაძე კვლავ უცენზუროდ მოიხსენიებს ი. გოგებაშვილს; აღნიშნავს, რომ სემინარიაში 1873 წელს ჩატარებული რევიზიის საანგარიშო მოხსენება უცნაურ აზრებს იწვევს ჩემში, ბატონი გოგებაშვილი და მათი მსგავსი ბრიყვები, წერს ნ. ნიკოლაძე — ყოველთვის ასეთ შედეგებს აღწევენ: ზოგი ქართველი ახალგაზრდა დარწმუნებულია ტურიევისა (სემინარიის პედაგოგი) და გოგებაშვილის სიბრიყვეში. კერსკი თავის საანგარიშო მოხსენებაში წერს: "გოგებაშვილი ნორმალური ადამიანი არაა, ხოლო ტურიევი მხოლოდ უბადრუკი მატყუარაა". წერილში "კვალი ი. გოგებაშვილის შესახებ": (ნ. ნიკოლაძე, 1970, გვ.559) ნ. ნიკოლაძე კვლავ უცენზუროდ მიმართავს ი. გოგებაშვილს: "ი.გოგებაშვილი ცილისწამებისათვის ძალზე ნაყოფიერი ფანტაზიის მქონეა, მისი წრთობის ადამიანები მრავალთავიანი ურჩხულის ყველა თვისებით ხასიათდებიან". უბრუნდება რა სასულიერო სემინარიაში 1873 წელს ჩატარებული რევიზიის შედეგებს ნ. ნიკოლაძე წერს: "სემინარიაში მასწავლებლად მოხვდა რამდენიმე ზერეულ და ნასწავლი და ჭკუათხელი ადამიანი, რომლებიც ერთიმეორეს ასმენდნენ, რათა სემინარიის მასწავლებლის ადგილი დაეკავებინათ. ამგვარი შეხლა-შემოხლა რომ არ ვანმეორებულყო, გარკვეს ერთიც და მეორეც (ტურიევი და გოგებაშვილი), აქვე ჩაწერეს, რომ არ დაუშვებენ სემინარიაში ქართველებს მასწავლებლებად: მაგრამ რა დააშავეს პატიოსანმა ქართველებმა? — კითხულობს ნ. ნიკოლაძე, რომლებსაც სურთ ბნელი აზრების გარეშე ემსახურონ საეუთარ ქვეყანას?" საქირო იყო კერსკისათვის ეთქვათ, რომ ასეთი ცილისწამება არ არის ქართველთათვის დამახასიათებელი, რომელიც პატიოსნება და ერთგულება ქვეყნისადმი საუკუნობით არის ნაცადი" (ნ. ნიკოლაძე, 1970, გვ. 440); როგორც ცნობილია, თბილისის სასულიერო სემინარიაში ი. გოგებაშვილი ზედამხედველად მუშაობდა 1868-1873 წლებში. კერსკიმ შემოწმება ჩაატარა ი. გოგებაშვილის ავადმყოფობის დროს. სემინარიაში მუშაობისა და ამ დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შესახებ ი. გოგებაშვილმა დაწერა რამდენიმე წერილი, სადაც იგი ფაქტობრივად ამტკიცებდა მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებას მისი ზედამხედველობის პერიოდში. ნ. ნიკოლაძე ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხს შეეხო ცოტა მოგვიანებით წერილში

“ქართული აბათია” (პროზაული ელეგია) (ნ. ნიკოლაძე, 1985, გვ. 447-448): შეიტყო რა იმის შესახებ, რომ წ. კ. გ. საზოგადოებამ გამოყო თანხები ი. გოგებაშვილის წიგნების გამოსაცემად, ნ. ნიკოლაძე წერს: “ვერ წარმოიდგენთ რარიგ გულსაკლავია ამაზე წერა, გულსაკლავია იმიტომაც, რომ აქ ვერ შეამჩნევ რაიმე უბრალო ნიშანწყალს, ან თუნდაც ცალკეულ და უმნიშვნელო მოვლენასაც კი, რომელსაც შეიძლება ხელი ჩაჭიდოს კაცმა, იმ იმედით, რომ სულ მალე უკეთესი ტაროსი დაგვიდგება”. შემდეგ ნ. ნიკოლაძე სინანულით წერს, რომ ის ადამიანები, ვინც ამ საზოგადოების სათავეში დგანან, ყოველივე ამას შეშუყურებენ ყოველგვარი აღმოფხობებისა და წყენის გარეშე; ვითომ მათ თვალწინ ხდებოდეს უტყუარი და ჭეშმარიტი საქმე, ჩვენებთი ინტელიგენცია ამგვარი აბათიით ეკიდება საქმეს, ყოველთვის, როცა მათ გარეშე პირი მიუთითებს შეცდომებზე, კრიტიკულად განიხილავენ მათს მოღვაწეობას და ხელაღებით აბრალებენ მათ პატრიოტიზმსა და სამშობლოს სიყვარულს; როგორ უნდა აპყვეს კაცი ელეგიურ ტონს და არ ვთქვათ, რომ საქმის ამგვარი ხელშეწყობა სამშობლოს ხსნა კი არა, მისი მოსპობაა”. “დედაენის” მეორე გამოცემის შემდეგ (1878) ნ. ნიკოლაძე “ОБЗОР”-ში გამოქვეყნებულ წერილებში კვლავ უარყოფითად აფასებს ორივე სახელმძღვანელოს აკადემიურ და სასწავლო დონეს და აღნიშნავს, რომ “დედა ენა” შედგენილია კ. დ. უშინსკის “РОДНОЕ СЛОВО”-ს მიხედვით, ხოლო “ბუნების კარი” იმავე ავტორის “ДЕТСКИЙ МИР”-ის მიხედვით, უშინსკის “РОДНОЕ СЛОВО”-ს პირველი გამოცემა გამოვიდა 1864 წელს, “დედა ენის” პირველი გამოცემა 1876 წელს, ე. ი. ამ გამოცემიდან 12 წლის შემდეგ, ხოლო “ДЕТСКИЙ МИР” პირველად გამოიცა 1861 წელს; ე. ი. შეიდი წლის შემდეგ გამოიცა “ბუნების კარის” პირველი გამოცემა. ი. გოგებაშვილი არ უარყოფს უშინსკის აქ დასახელებული სახელმძღვანელოების გავლენას მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებზე და დიდი პატივისცემით მოიხსენიებს მის ავტორს, როგორც რუსული აკადემიის კლასიკოსს. ი. გოგებაშვილი “ბუნების კარის” შესავალში წერს: “ჩვენი გეგმა ამ წიგნის შედგენისა, ნახევრადაც ვერ ავასრულეთ, იმიტომ, რომ წიგნის შედგენაში მუყაითი შრომა ვერ გავწიეთ, წიგნი თან იწერებოდა, თან იბეჭდებოდა. სტატია ნათარგმნია რუსულიდან, უმეტესი ნაწილი კი ჩვენგან არის შედგენილი, ხოლო უმეტესი ნაკლოვანება ცხოველების სურათების უქონლობაა”. როგორც დროების 1873 წლის ერთ-ერთი ნომერი იუწყება (400) სახელმძღვანელოებისათვის სურათების ხარისხს ნ. ნიკოლაძე კისრულობდა. საერთოდ ამ პერიოდის ქართული პედაგოგიური საზოგადოებრიობა ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ ი. გოგებაშვილის ორივე სახელმძღვანელო კ. უშინსკის სახელმძღვანელოების გადმოკეთებასა და მიბაძვას კი არ წარმოადგენდა, არამედ მათს ანალოგიას და ძირითადად იმავე პრინციპებზე შედგენილი ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელოებია. ამის შესახებ თვითონ ი. გოგებაშვილი წერს “სახელმძღვანელოების შედგენაში მე საკუთარ გზას ვადეკი და ვადგავარ, მეტადრე ჩემი მოღვაწეობის მეორე ნახევარში!”

პოლემიკაში ნ. ნიკოლაძე, შეიძლება ითქვას პირდაპირი და დაუხდობელი იყო, თავის სტატიაში “კვლავ ლიტერატურული ზრდილობის გაკვეთილები” (ნ. ნიკოლაძე, 1970, გვ. 559) იგი ილაშქრებს “ТИФЛИССКИЙ ВЕСНИК”-ის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ მისი მესვეურები არასაკმარისად იჩენენ ლიტერატურულ ეთიკას. ამის გამო თვითონ ნ. ნიკოლაძე უფრთხილდებოდა

კალამს და არ უნდოდა პირად საქმეებზე ეწერა. ბოლოს იგი მუქარის ტონით აფრთხილებს გაზეთის რედაქციას: "ჩვენ მოვიცლით და ერთი ორჯერ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჩვენოთ ასეთი ანგარიშსწორების მაგალითი. ვინ გახდება ამ სამწუხარო წერილის მსხვერპლი ბებუთოვი, ერისთავი, გოგებაშვილი თუ ზაგურსკი (ყურანლისტი) ჩვენ ყველაფერს თავის სახელს ვუწოდებთ". ამ წერილში ნ. ნიკოლაძემ "ТИФЛИССКИЙ ВЕДОМСТЪ"-ს უწოდა უმეცართა და ხელმოცარულთა ორგანო. სწორედ ამ გაზეთის საშუალებით გასცა რამოდენიმეჯერ პასუხი ნ. ნიკოლაძეს ი. გოგებაშვილმა. გოგებაშვილი აცხადებს, რომ ნ. ნიკოლაძე ყოველმხრივ ცდილობდა გაეხადა "ОБЗОР"-ის მუდმივ თანამშრომლად. რაზედაც ი. გოგებაშვილმა უარი განაცხადა, იმის გამო, რომ არ მოეწონა ამ გაზეთში გამოქვეყნებული ხ. ფრენკელის სტატია, და საერთოდ. არ უნდოდა ნ. ნიკოლაძესთან თანამშრომლობა. წერს, რომ ი. ნიკოლაძე დიდი ხანია მემუქრება, მე არასოდეს არ ვენდობოდი ნ. ნიკოლაძეს და ეს მალეც გამართლდა, წერს იაკობი. "თუ ერთი წლის წინათ მე იგი მთვლიდა ყოველმხრივ შემოკობილ პიროვნებად, ახლა კი თავის გაზეთში მე მთვლის გონებრივად და ზნეობრივად ჩამორჩენილ პიროვნებად" (ТИФЛИССКИЙ ВЕСТНИК, 1878, 247, 1-2.) ამით იგი ეწინააღმდეგება თავის თავს. თბილისის სასულიერო სასწავლებლის შემოწმების შედეგების მიხედვით, ნ. ნიკოლაძე ი. გოგებაშვილს მოიხსენიებს, როგორც პედაგოგს; სინამდვილეში ი. გოგებაშვილი იყო ამ სასწავლებლის ზედამხედველი; შემოწმების შედეგებში კერსკის არ ჰქონდა მიზეზები, წერს ი. გოგებაშვილი, მე დავედანაშაულებინე ცალმხრივ პატრიოტიზმში, რაზედაც ასე ხელალებით მიუთითებს ნ. ნიკოლაძე. საერთოდ, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების რეცენზენტები ბევრად სცოდავდნენ, როცა წერდნენ: "ი. გოგებაშვილი კაბინეტის კაცია. მას ბავშვები თვალთ არ უნახავს". იაკობი პასუხობს, რომ იგი 11 წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, კარგად იცნობს რუსი და სხვა საზღვარგარეთელი პედაგოგიკის კლასიკოსების ნაშრომებს და ცდილობს გაითვალისწინოს მთელს თავის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში.

თავის მხრივ ნ. ნიკოლაძე ყოველთვის იდგა ქართული ენის სადარაჯოზე, ცდილობდა დაეცვა იგი და ატარებდა იმ აზრს, რომ მშობლიურ ენაზე სწავლება არის მოზარდის აღზრდისა და ინტელექტუალური ზრდის აუცილებელი ფაქტორი. 1889 წელს იგი მოხსენებით გამოვიდა თბილისის საქალაქო საბჭოს სხდომაზე და განაცხადა: "ადგილობრივი ენების სწავლება კავკასიის სასწავლო უწყებაში ბოლო ხანებში უკანა პლანზე მოექცა და მათ არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. თავის აღრინდელ ნაშრომში "ახალი ახალგაზრდობა", ნ. ნიკოლაძე წერს: "გონება გახსნილი, და დაწინაურებული კაცის უმთავრესი ვალია თავისი ხალხის და საზოგადოების დახმარება და ბედის გაუმჯობესება" (ნ. ნიკოლაძე, 1932, გვ. 56). გაზეთში "დროება", "ТИФЛИССКИЙ ВЕСТНИК" ნ. ნიკოლაძე სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს აღზრდის, განათლებისა და მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის საკითხებზე; იმავე პრობლემების გათვალისწინებით ეკამათებოდა იგი ი. გოგებაშვილს (და არამარტო მას). ცხადია, ორივე მამულშვილს ამოძრავებდა ქართველი ხალხის განათლების, ქართული ენის დაცვის საკითხები. მათი კამათი დასრულდა ი. გოგებაშვილის წერილით "უკანასკნელი პასუხი ი. ნიკოლაძეს" (ი. გოგებაშვილი, 1989, გვ. 449-453). ამ წერილით ი. გოგებაშვილმა

საბოლოოდ გასცა პასუხი ნ. ნიკოლაძის მიერ 1878-1879 წწ. გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც ავტორმა დაბეჭდა სათაურებით "საკვირაო საუბრები", "კლავ ი. გოგებაშვილის შესახებ", და "კლავ ლიტერატურული ზრდილობის გავეთილები". სტატები გამოქვეყნდა "ОБЗОР"-ში. წერილებში ი. გოგებაშვილი ცდილობს, გააბათილოს მის წინააღმდეგ ნ. ნიკოლაძის მიერ წაყენებული ყველა ბრალდება. როგორც ცნობილია, მათ შორის დაიკუსია დაიწყო მას შემდეგ, რაც ნ. ნიკოლაძე გაეცნო თბილისის სასულიერო სემინარიაში 1873 წელს კერსკის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგებს. კერსკის შეფასება სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ უარყოფითი იყო. ი. გოგებაშვილი განმარტავს, რომ შემოწმების პროცესში იგი ავად იყო. ნ. ნიკოლაძის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა 1868 წლიდან, როდესაც მან წერილი გამოაქვეყნა "ბუნების კარის" შესახებ (1868). "მაგრამ ჩვენს შორის — წერს ი. გოგებაშვილი, პირადი შეჯახებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ, მან ისარგებლა ჩემი ავადმყოფობით და ჩემზე დაწერა პასკვილი". ნ. ნიკოლაძე ფაქტობრივად უარყოფს თავის პირვანდელ შეფასებას "ბუნების კარზე" და შემდგომი პერიოდის წერილში ("დროება", 1888) იგი აკრიტიკებს "ბუნების კარს". ამ წერილში ი. გოგებაშვილი უარყოფს ნ. ნიკოლაძის ბრალდებას თითქოს სახალხო მასწავლებელთა ყრილობას დაეწუნოს "ბუნების კარი". სინამდვილეში წიგნი მოწონებული იქნა და მხოლოდ ერთი მონაწილე წავიდა წინააღმდეგი, რომელიც არ იცნობდა "ბუნების კარის" შესწორებულ გამოცემას. შემდეგ ი. გოგებაშვილი ეხება თავის წერილებს, რომლებიც მან გამოაქვეყნა სახალხო განათლებასა და მშობლიური ენის საკითხებზე. წერილები დაიბეჭდა "დროებაში", ამის თაობაზე იაკობი წერს: "განა სიბრძნევე არ არის უსაყვედურო კაცს იმისათვის, რომ მისი მოქმედება, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლოა, თვითონ მას ვნებს? სხვა საქმე იქნებოდა, რომ მე პირადი ეგოისტური მიზნებისათვის მენაცვალდებინა საზოგადოებრივი ინტერესები. არც ერთი სტრიქონი არ დამიწერია რიგიანი პედაგოგიური და ლიტერატურული გამოცემის წინააღმდეგ და არც არასდროს დავწერ, რაგინდ პირადი ღვაწლი და სიძულვილი უნდა მაპოძრაებდეს მისი ავტორის წინააღმდეგ", შემდეგ ი. გოგებაშვილი მსჯელობს იმის თაობაზე, რომ ნ. ნიკოლაძე მხარს უჭერდა ჩემს პედაგოგიურ შეხედულებებს, რომლებიც მე დავბეჭდე "ТИФЛИССКИЙ ВЕСТНИК"-ში 1864 წ. ეს იმ დროს, როცა ნიკოლაძემ მე შემიყვანა "ТИФЛИССКИЙ ВЕСТНИК"-ის რედაქციაში. წინააღმდეგ ბეჭუთოვის სურვილისა, რომელმაც არ იცოდა, თუ როგორ მოეშორებინა თავიდან; ამის შემდეგ ნ. ნიკოლაძემ დაარსა "ОБЗОР" და მოინდომა იაკობის გადაყვანა რედაქციაში. აქვე იაკობი წერს: "სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ნიკოლაძე ყოველთვის იღდა სახალხო სკოლებში მშობლიური ენის უფლებების მხარეზე. ეს უკანასკნელი პოლემიკაა და მე არ დავბრალვევ დუმილს და მას პასუხს არ გავცემ; ამას მავომდრავებდეს მკითხველი საზოგადოება". მართლაც ი. გოგებაშვილი აღარ გამომხაყურებია ნ. ნიკოლაძის წერილებს; თვლიდა, რომ ისინი პირადული იყო; აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ ორივე მოკამათე ენის სიწმინდის დაცვაში ერთი აზრისა იყო. ნ. ნიკოლაძე თვითონ წერდა და იბრძოდა ამის შესახებ. მისი აზრით, ქართული ენა დამყარებულია ანტონ კათალიკოსისა და ვეფხისტყაოსნის "ენაზე". ნ. ნიკოლაძე შეუპოვარი და პირდაპირ იყო წერილში "კლავ ლიტერატურული ზრდილობის გავეთილები" ფი პირდაპირ მიუთითებს: "როგორც კი ენზე ჩვენში ლიტერატურულ ზრდილობას დაარწმუნეს, მე მაშინვე დაიწინაურებ მას მისი საქციელის უაზრობას; ვიტყვირთუ რა ლიტერატურულად

ჯალათის როლი. მე მას ბოლომდე გავყვები და მის ეფექტურობას თანდათანობით გავაძლიერებ, მე მართლაც "მრისხანე ნიკოლაძე" გავზღვები. ჩემს ცხოვრებაში 1500-მდე სტატია მაქვს დაწერილი და ერთი ლიტერატურული კრიტიკა მაინც მაჩვენეთ სტატიების შესახებ". ცხადია, ორივე ავტორი ერთი საფეხკრალითა და ერთი მიზანდასახულობით იღვწოდა და მოქმედებდა. ნ. ნიკოლაძეს, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდა ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის ადგილი და როლი სახალხო განათლებისა და ქართული ენის დაცვის სფეროში; მან პირველმა გახსნა ცეცხლი კამათისა და ი. გოგებაშვილმა შეწყვიტა, დარწმუნებულმა იმაში, რომ ორივე ცდებოდა და კამათი პირადული ინტერესებით იყო განპირობებული. ნ. ნიკოლაძე გარდაიცვალა 1928 წელს, მაშინ, როდესაც ი. გოგებაშვილის ორივე სახელმძღვანელო პირნათლად ასრულებდა თავის საპატიო მისიას ქართველი მოზარდების აღზრდის, სწავლების განათლებისა და ქართული ენის დაცვის კეთილშობილურ საქმეში. ორივე წიგნის შესახებ დადებითი აზრია გამოთქმული ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებაში ამ წიგნების შესახებ საინტერესო აზრი გამოთქვა შემდეგში პერსონოლოგიური პრობლემების ცნობილმა მეკლევარმა ა. ზურაბიშვილმა: "დღეა ენა" და "ბუნების კარი" მიზანდასახულობის მხრივ ერთი მთლიანი სახელმძღვანელოა, რომელიც ბავშვს არა მარტო ამდიდრებს ცოდნით, არამედ უქმნის მას მტკიცე მორალურ ხერხემალს" (ა. ზურაბიშვილი, 1973, გვ. 200). დღეს, "დღეა ენის" პირველი გამოცემიდან 135 წლის შემდეგ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ ეს წიგნი დარაჯად ედგა ქართულ ენას. ქართულ კულტურასა და, ამდენად, ჩვენი ეროვნული აღორძინებისა და განვითარების ერთ-ერთ საიმედო ბურჯს წარმოადგენდა.

ლიტერატურა

- ი. გოგებაშვილი, 1989 - ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1989.
- "დროება" - 1873, № 400, გვ. 1-2.
- "დროება" - 1888, გვ. 1-2.
- ა. ზურაბიშვილი, 1973 - პერსონოლოგიური პრობლემები ქართულ მწერლობაში, თბ., 1973.
- ნ. ნიკოლაძე, 1932 - ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, თბ., 1932.
- ნიკოლაძე, 1970 - ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 6, თბ., 1970.
- ნ. ნიკოლაძე, 1985 - ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი., ტ. 7, თბ., 1985.
- "ОБЗОР", 1878, №254, с. 3; №291, с. 1-2.
- "ОБЗОР", 1879, "ОБЗОР", №399, с. 1-2
- "ТИФЛИССКИЙ ВЕСТНИК", 1878: №244, с. 1; 247, с. 1-2; 256, с. 3.

GURAM TAKNIASHVILI

THE SUBJECT OF POLEMICS BETWEEN IAKOB GOGEBASHVILI AND NIKO NIKOLADZE

The first publications of Iakob Gogebashvili “Bunebis kari” (the door of nature) and “Deda Ena” (Mother Tongue) caused the reviews and letters of criticism by teachers, philologists, and the public people struggling for protection for the clarity of Georgian language. Niko Nikoladze – the famous journalist, writer and active supporter of Georgian culture was among them. He published his first letter about “Bunebis Kari” in the newspaper “Droeba” in 1868. Niko Nikoladze positively evaluated the teaching career of Iakob Gogebashvili initially and supported him to work only on forming guide-books. Gradually some resisting issues were emerged between them, and they found out that their point of views weren’t the same. Particularly Iakob Gogebashvili refused Niko Nikoladze to collaborate in “*ᲒᲑᲠ*” newspaper and published letter describing his teaching experience in “*ᲒᲑᲠ*”-newspaper in 1878-1879. Niko Nikoladze said some complaints to Iakob Gogebashvili about “deda Ena”, claiming that the idea of the book was based on “*ᲒᲑᲠ*”-by K.D Ushinski. Apart from that, the subject of polemics was the checking results done by Kerski in theological seminary of Tbilisi in 1873. As it is known Kerski uses insulting words towards Gogebashvili in those materials, not to mention the words of criticism said by Niko Nikoladze after studying the same material. Niko Nikoladze published his letters of critic in “*ᲒᲑᲠ*” newspaper in 1878-1879, when both of guide books were strongly widespread in Public schools of Georgia and were evaluated positively. Iakob Gogebashvili considered that the claims of Niko Nikoladze had private root and decided that stooping discussion with him would be reasonable, as he thought public interests. Both of patriots strongly protected the rights of Georgian Language and their polemic mainly referred to personal matters.

ზურაბ თოდუა

მსახიობი - თოჯინისა და სათამაშო ბარემოს ევოლუცია ქუთაისის თოჯინების თეატრში (XXს. 40-70-იან წლებში)

ინგლისურ ენაში არსებობს თოჯინის აღმნიშვნელი ორი სიტყვა — "doll" და "puppet". "Doll" ყოფილი, სათამაშო, ხოლო "puppet" — თეატრალური თოჯინაა. ქართულ ენაში კი ყველა თოჯინას ძირითადად ერთნაირად — უბრალოდ თოჯინას — ვუწოდებთ.

გასული საუკუნის მანძილზე არ იყო სრულიად ნათელი, სახელდობრ რით განსხვავდება თეატრალური თოჯინა არათეატრალურისგან. ძალიან ხშირად ისინი ცვლიდნენ ერთმანეთს და აქედან გამომდინარეობდა, რომ მათ შორის არ არსებობდა არც პრინციპული სხვაობა, არც რაიმე საზღვრები.

სინამდვილეში განსხვავებები და საზღვრები მაინც არსებობს, რაც განპირობებულია იმ საზოგადოებრივი ფუნქციებით, რომლებიც მათ ენიჭებათ მკაფიოდ მოცემულ პირობებსა და სიტუაციებში. მაგალითად, რეალურ ცხოვრებაში თოჯინების უმეტესობას აქვს ყოფილი, სათამაშო ფუნქცია, ვაჭრობაში ისინი ასრულებენ მანეკენი-თოჯინების ფუნქციებს, არსებობს სარეკლამო ან სუვენირული თოჯინები, არის ისეთებიც, რომლებიც, ამ სიტყვის სრული გაგებით, წარმოადგენენ მხატვრულ ნაწარმოებებს, რადგანაც გააჩნიათ მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქციები. ცალკეულ შემთხვევებში ამ ფუნქციებს ისინი ასრულებენ დამოუკიდებლად (ე.წ. საგამოფენო თოჯინები), სხვა შემთხვევებში — სხვადასხვა მხატვრული კომპოზიციების შემადგენლობაში.

განსაკუთრებული პოზიციები ამ სახის თოჯინებს შორის უჭირავთ "მსახიობ-თოჯინებს" როგორც მათ უწოდებენ. ეს დასახელება იქვე მიგვანიშნებს, რომ მსახიობი-თოჯინები აქტიურულ ხელოვნებას მიეკუთვნებიან. ასეთი თოჯინების საშუალებით იქმნება სპექტაკლების პერსონაჟების სივრცით-დროებითი მხატვრული სახეები. მსახიობი თოჯინა შეიძლება იყოს ან არ იყოს მხატვრული ნაწარმოები. ნებისმიერი უბრალო საგანი წარმოდგენაში გამოყენებული (ქოლგა, ბურთი, საათი თუ ასანთი და ა. შ.), თავისი ფორმის ყოველივე შეცვლის გარეშე, სპექტაკლის სისტემაში ხდება მსახიობ-თოჯინად, თუ, რა თქმა უნდა, იგი ასრულებს მსახიობი-თოჯინებისათვის განკუთვნილ ფუნქციებს, გამოსახავს პერსონაჟის არა მარტო ვარგებობას, არამედ მის ფიზიკურ მოქმედებას. მაგრამ თუ მსახიობი-თოჯინა კარგავს თავის თვითმყოფად ფუნქციებს, იგი გადადის დეკორატიული, სათამაშო თოჯინების ან სრულიადაც ჩვეულებრივი ხელოვნური თუ ბუნებრივი საგნების რანგში. ხშირად ეს თოჯინები მოძრაობაში მოწყყავთ ავტომატური მექანიკური ან მექანიკურ-ელექტრონული მოწყობილობებით, მაგრამ ჩვეულებრივად მათი "გაცოცხლების" მთავარი ძალა — სკისი აღამიანსი.

მამასადამე, თოჯინების თეატრის სინკრეტულ ხელოვნებაში წამყვანია ორი ძირითადი კომპონენტი: მსახობი თოჯინა და მეთოჯინე მსახობი. ანუ, თეჯირზე ერთმანეთს ხედება ორი შემოქმედლი: მსახობი და მხატვარი, თეატრალური და სახვითი ხელოვნების წარმომადგენელი. შემოქმედებით პროცესში ისინი შედიან ერთმანეთთან რთულ ურთიერთობაში, რომელიც წარმოშობს თოჯინური ხელოვნების განსაკუთრებულ იმანენტურ თავისებურებას და რომელიც თავის თავში მოიცავს კონტრასტულ წინააღმდეგობებს, როგორცაა: მსახობის ცხოველყოფილი ხელოვნება და თოჯინის უსულო ბუნება; მსახობის ხელოვნების დინამიკა და სახვითი ხელოვნების სტატიკა; არსება, რომელსაც არ შეუძლია გამოამჟღავნოს თავისი თავი დროის გარეშე (მსახობი) და არსება, რომელზეც დრო მოკლებულია ბატონობას (თოჯინა); ცოცხალი ბუნება და ხელოვნურობა. ეს წინააღმდეგობები გამსჭვალავენ თოჯინების თეატრის შემოქმედების ყველა მხარეს და განსაზღვრავენ მის სპეციფიკას.

ამიტომ სპექტაკლის წარმატება თუ წარუმატებლობა დაკავშირებულია იმაზე, თუ რამდენად ხელს უწყობს ერთმანეთის შარბონიულ თვითგამოვლინებას. სამწუხაროდ, სპექტაკლების განხილვები გვიჩვენებს, რომ რეცენზენტები ამხვილბენ რა მთელ ყურადღებას დრამატურგიული მასალის თავისებურებებზე (სიუჟეტი, ფაბულა, იდეა) და, უმთავრესად მსახობთა ოსტატობაზე, მეტწილად იგნორირებენ სპექტაკლის მეორე ძირითადი კომპონენტის მნიშვნელობას. იჩენენ რა დაუდევრობას მხატვრის შემოქმედების მიმართ, ისინი ბევრ შემთხვევაში ამჟღავნებენ არაკომპენტენტურობას თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების საკითხებში. პრაქტიკულად არ გვხვდება მხატვრის შემოქმედების სერიოზული ანალიზი. უკეთეს შემთხვევაში, იგი იცვლება დეკორაციების აღწერით, მათი მოკლე ზოგადი შეფასებით ("შეტყველი" ან "არამეტყველი" დეკორაციები). არის შემთხვევები, როდესაც სპექტაკლების რეცენზიებში მხატვრის გვარი საერთოდ არ მოიხსენიება.

ჩვენი მოკრძალებული ამოცანაა ისტორიულ ასპექტში განვიხილოთ ქუთაისის ი. გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მხატვართა მოღვაწეობა თეატრის ფორმირების პირველი ათწლეულების მანძილზე. უნდა აღინიშნოს საკვლევი მასალის სიმწირე. 40-50-იანი წლების სპექტაკლების არც ესკიზები, მითუმეტეს თოჯინები და დეკორაციები, თეატრში არ შემოინახა, ხოლო იმას, რაც შემორჩა 60-70-იანი წლებიდან, აქვს საკმაოდ დაცალკევებული, შემთხვევითი ხასიათი. ეს კი ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა იმ წლების სპექტაკლების მხატვრული სახის აღდგენისა და თეატრში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების მკაფიო წარმოჩენისათვის. ასეთ ვითარებაში ფასეული ხდება წარმოდგენების თვითმხილველთა შთაბეჭდილებები, სპექტაკლებისა და მათი გმირების მცირერიცხოვანი ფოტოები, მხატვართა შემორჩენილი არქივები და სპექტაკლების რეცენზიები, თუმცა ისინი, ბუნებრივია, მხოლოდ ზოგად სხივს ჰყვენს ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

თავისი არსებობის რეალურ ისტორიას ჩვენი ქალაქის თოჯინების თეატრი იწყებს 1946 წლის 31 დეკემბერს სპექტაკლით "თეთრი ფინია", რომლის თოჯინები და მუსიკალური პარტიტურა დახმარების ნიშნად ქუთაისელი კოლეგებისათვის თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრს გამოუგზავნია. თეჯირი და დეკორაციები შექმნილი იყო ვ. კიკვიძის მიერ, რომელიც 1946-1954 წლებში თეატრის მთავარ მხატვრად მოღვაწეობდა.

არსებობის პირველი ხუთი წლის მანძილზე ს. ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით თეატრმა წარმოადგინა 23 პიესა, რომლებიც ზნეობრივ საკითხებს, ისტორიულ თემებს, კლასიკური ნაწარმოებებისა და ზღაპრების ინსცენირებას ეხებოდა. ამ სპექტაკლების მხატვრული გაფორმება ძირითადად ვ. კიკვიძეს (“თეთრი ფინია”, “კურდღელი”, “ბაღნარში”, “ვერცხლის ჩლიქი” და ა.შ.) და ს. ცაგარეიშვილს (“ჩემებიანი კატა”, “ალმასების საბაღები”, “ყვავი, ბუ და მელაკულა” და სხვ.) ეკუთვნოდა. თითო-თითო სპექტაკლი ამ დროის მანძლზე გააფორმეს ვ. ცომაიამ (“კაცია-ადამიანი?”), ს. მესხოვმა (“თეთრა”), ვ. ოქროპირიძემ (“გაქვავებული ქალაქი”). ამ ნამუშევართა ესკიზები არ შემორჩა. ვ. კიკვიძის ერთადერთი შემონახული ესკიზი სპექტაკლისათვის “ნანა ტყეში” სუსტია ტექნიკური თვალსაზრისით და, რა თქმა უნდა, არ ვეაძლევს წარმოდგენას სპექტაკლზე მთლიანობაში, მაგრამ გვიჩვენებს მხატვრის მცდელობას შექმნას ლაკონური სათამაშო სივრცე, თუმცა თავის მხატვრულ შინაარსში რამდენადმე გაუბრალებული.

პრესაში დადებითი გამოხმაურება მიიღო სპექტაკლმა “ჩემებიანი კატა”, (1949, ვ. ვლადიჩინას პიესა, შ. პიეროს ზღაპრის მიხედვით), რომლის დამდგმელი რეჟისორი და მხატვარი იყო ს. ცაგარეიშვილი. შესანიშნავი პედაგოგი და ხელმძღვანელი, რეჟისორი და მსახიობი, ქართული თოჯინების თეატრის თეორიისა და ისტორიის მცოდნე, თოჯინების ნაციონალური თეატრის მკვლევარი ს. ცაგარეიშვილი ქართულ სათოჯინო სცენაზე ცდილობდა დაენერგა სპექტაკლების დადგმისა და გაფორმების ის პრინციპები, რომლებიც გაბატონებული იყო ლენინგრადის (ა. დემენის) და მოსკოვის (ს. ობრაზცოვის) თოჯინების სახელმწიფო თეატრებში.

მხატვრის მიერ შესრულებული თოჯინები და დეკორაციები იყო ფერადოვანი და მეტყველი, იმ დროის თოჯინების თეატრში არსებული ესთეტიკური შეხედულებების ფარგლებში. ამავედროულად, ისინი მოიცავდნენ იმ სახასიათო თავისებურებებს, რომლებიც ბატონობდნენ თოჯინების თეატრის სცენოგრაფიაში 40-50-იან წლებში. ამ დროის სპექტაკლების გაფორმებაში უნდა აღენიშნოთ მცდარი, თუმცა ტიპური მიდგომა თოჯინების სპექტაკლის სახვითი განსახიერებისადმი, რაც გამოიხატებოდა დრამატული თეატრის ფორმალური პრინციპების, ზერხებისა და საშუალებების მექანიკურ გამოყენებაში. ასეთი იყო ზოგადი ტენდენცია და ქუთაისის თოჯინების თეატრი არ იყო მოკლებული მის გავლენას. მეტწილად დეკორაციები ხასიათდებოდა მოსაწყენი დოკუმენტალობით, ეთნოგრაფიული დეტალებით გადატვირთვით, რაც, საბოლოო ჯამში, წარმოადგენდა მოქმედების ადგილის მხოლოდ უსახო მონიშვნას. მიჰყვებოდნენ რა აუცილებელ “რეალისტურ მანერას”, მხატვრები აგებდნენ თოჯინურ ინტერიერებს არქიტექტურული კანონების მთელი დაცვით, ხოლო ღია ცის ქვეშ მიმდინარე სცენებისათვის წერდნენ “რეალისტურ” პეიზაჟებს, რომლებიც ივსებოდა მოცულობითი დეტალებით.

არანაკლებ სახასიათო იყო დეკორაციების ბრტყელი გადაწყვეტა. მხატვარი თუ რეჟისორი იშვიათად იყენებდა სამგანზომილებიან სივრცეს, რაც აიხსნებოდა იმით, რომ თეატრი არ აძლევდა მსახიობს საშუალებას შესულიყო სცენის სიღრმეში. ყოველ მოქმედებას ჰქონდა თავისი გაფორმება, ცალკე დეკორაცია, რაშიც ასევე გამოიხატა იმდროინდელი დრამატული თეატრისადმი მიბაძვა.

40-50-იანი წლების სპექტაკლებში მდღევანდებოდა თოჯინების თეატრის ბუნებისა და ამოცანების ჯერ კიდევ აშკარად ჩამოუყალიბებელი გაგება.

აღნიშნული თავისებურებები თავს იჩენდა ს. ცაგარეიშვილის სპექტაკლებშიც. ასე, მაგალითად, დეკორაციებში “ზექმებიანი კატისათვის” რეცენზენტი აღნიშნავდა არქიტექტურის სიბრტყით ხასიათს, სადაც “სახლის ჩამოუფარებელ ფანჯრებში ჩანდა უკანა დეკორაციების ფარები”, რაც აქვეითებდა შთაბეჭდილებას და არასასურველ ეფექტს ქმნიდა. იგივე ავტორი მიუთითებდა ცალკეული თოჯინების არასაკმარის მხატვრულობასა და გამომეტყველებაზე.

საერთოდ, 40-50-იანი წლების თოჯინებშიც პრაქტიკულად ნაკლები იყო ხატოვნება. არსებითად, ეს იყო ადამიანებისა თუ ცხოველების პატარა ნატურალისტური ასლები თავისი სტანდარტიზირებული “სახეობრივი” თვისებებით. თოჯინების მულაჟური დამაჯერებლობა აცლიდა მათ მხატვრულობას. ხშირად ერთი და იგივე თოჯინები, სხვა ტანსაცმელში შემოსილნი, სხვადასხვა პიესებში გამოიყენებოდა.

თოჯინა — შეზღუდული შესაძლებლობის “მსახობია”. მას არ გააჩნია მიმიკა, ლაპარაკობს “სხვისი ხმით”, ყოველთვის პირობითი და ნაკლებად ბუნებრივია. მეტყველების მთელი ძალა მასში კონცენტრირებულია მის სახესა და მოძრაობაში — ყესტში, თავისა თუ კორპუსის მობრუნებაში და ა. შ. ამიტომ თოჯინის ტიპურობა, დამაჯერებლობა, ცხოველმყოფელობა, მასში ხასიათის არსებობა — დამოკიდებულია მხატვარ-მოქანდაკის ოსტატობაზე, ხოლო მისი ყესტის მეტყველება და მოძრაობის უნარი პირდაპირ კავშირშია თოჯინის ტექნიკურ მოწყობას და დამზადების გათვლის სიზუსტესთან. აქ მნიშვნელობა აქვს თოჯინის მასალასაც და კოსტიუმსაც კი. თოჯინების დამზადების ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს მის მხატვრულ შესაძლებლობებს.

40-50-იან წლებში თოჯინების თეატრში მხატვარ-მოქანდაკედ მოღვაწეობდა ახალგაზრდა ვ. მიზანდარი (შემდგომში — საქართველოს სახალხო მხატვარი). თუმცა “ნატურალისტების ავადმყოფობამ” იჩინა თავი მხატვრის თოჯინებშიც. საუკეთესო ნაწარმოებებში იგი ცდილობდა მოშორებოდა ანატომიურად ზუსტ პროპორციებს, ზედმეტ დაწვრილმანებასა და ფაქტურულ იმიტაციებს. ვ. მიზანდარი ყურადღებას ამახვილებდა არა მარტო პერსონაჟების გარეგნულ-პლასტიკურ მხარეზე, არამედ მათი სახასიათო თავისებურებების გამოვლინებაზე. პრესა დადებითად აფასებდა მის თოჯინებს სპექტაკლებისათვის “სამანიშვილის დედინაცვალი” (1953, რეჟისორი თ. ლორთქიფანიძე, მხატვარი გ. ბერეჟიკიძე), რომელშიც ფორმების მოცულობა და მეტყველი სილუეტები ეხმარებოდა აზნაურთა ტიპური და ამავე დროს ცოცხალი სახეების შექმნას. “დათუნის სამართალში” (1954, რეჟისორი ლ. შენგელია, მხატვარი გ. ბერეჟიკიძე) მოქანდაკემ წარმოადგინა ცხოველთა სახასიათო სახეები, რომლებიც შემოსილნი იყვნენ ადამიანთა სამოსებში. ქუთაისის თოჯინების თეატრში ეს პირველად გამოყენებული ანთროპომორფიზმი აძლიერებდა ხილვადი შთაბეჭდილებების ნაკადს და პერსონაჟების მაყურებელზე ზემოქმედების დონეს. სპექტაკლში “შარახანო” (1959, რეჟისორი ლ. შენგელია, მხატვარი გ. ბერეჟიკიძე) განსაკუთრებით კარგი იყო ბოშათა ფიგურები, რომლებიც საოცრად ზუსტად ამჟღავნებდნენ მათ ტიპურ თავისებურებებს. მათში მკაფიოდ იგრძნობოდა პროფესიონალი

მოქანდაკის ხელი. ვ. მიზანდარის მოღვაწეობა ეხმარებოდა 1950-იანი წლების თოჯინების უსახო ნატურალიზმის გადალახვას და იმ პრინციპების განმტკიცებას, რომლებიც ორგანული იყო თოჯინების თეატრისათვის.

დაარსებიდანვე ქუთაისის თოჯინების თეატრში მოქმედებდნენ იავური; ანუ ჯონით სატარებელი თოჯინები, რომლებიც ცალკეულ სპექტაკლებში ივსებოდნენ თითებზე ჩამოსაცემლი “პეტრუშკებით”. მათ მთავარ ღირსებას შეადგენდა მოძრაობის უნარი, რაც, საბოლოო ჯამში, განისაზღვრებოდა თოჯინების ტექნიკური შესაძლებლობებით და დამოკიდებული იყო თოჯინების მექანიზატორის ოსტატობაზე. 50-იან წლებში თეატრში მოღვაწეობდა მხატვარი-მექანიზატორი მ. ჩიქვილაძე, რომელიც ისწრაფვოდა არა მარტო ექსტრის მეტყველების გაძლიერებისა და ჯონით სატარებელი თოჯინის მოძრაობის თავისუფლებისაკენ, არამედ მისი ნიღბის აბსტრაჰირებულიობის გადალახვისა და მიმოქური შესაძლებლობების გაფართოებისაკენ. “დროთა განმავლობაში ჩვენი თეატრის თოჯინები ხდებიან უფრო მოძრავი და ელასტიური, სულ უფრო უახლოვდებიან რეალობას — ეს მექანიზატორ მ. ჩიქვილაძის დამსახურებაა”, — წერდა 50-იანი წლების ბოლოს კ. კვეციანი. სპექტაკლში “შარახანო” მ. ჩიქვილაძემ შეძლო გაცოცხლებინა თოჯინების მოძრაობა ჯონების გამოუყენებლად, რაც იყო სიახლე თეატრის ცხოვრებაში და იძლეოდა საშუალებას სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაში მეტყველი საშუალებების უფრო ფართო სპექტრის გამოყენებისათვის.

ყველაფერი ეს, ბუნებრივია, ხელს უწყობდა თოჯინისა და თოჯინური სცენოგრაფიის განვითარებას. მაგრამ, მიუხედავად ცალკეული მიღწევებისა, მეთოჯინე-მხატვრები 40-50-იან წლებში იმყოფებოდნენ დრამატული თეატრის გამოცდილების დიდი ზეგავლენის ქვეშ. ბევრ შემთხვევაში უსახო ნატურალიზმი, მოღუწებული, ამორფული თეატრალური დეკორაცია, პრიმიტიული თოჯინები აბსტრაჰირებული მიმოქით — კიდევ ბატონობდა თოჯინურ სცენაზე. უთუოდ, ეს ასევე დაკავშირებული იყო თეატრის მწირ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, ჭეშმარიტად თოჯინური დრამატურგიის უქონლობასთან, თოჯინების თეატრში რეალიზმის არასწორ გაგებასთან, რომელიც სრულიად არ არის ადეკვატური დრამატული თეატრის რეალიზმისა და რომელიც თოჯინების თეატრში უფრო ამაღლებული და პირობითია, მოითხოვს უფრო მეტად გროტესკულ, ექსპრესიულ სტილს. სწორედ ამ ტენდენციების გადალახვისაკენ იყო მიმართული თოჯინების მხატვრების ძალისხმევა 1960-იან წლებში.

აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მთელ საბჭოთა ხელოვნებაში, მათ შორის თეატრალურშიც. თანდათან ყალიბდებოდა წინაპირობები, რომლებმაც შემდგომში უზრუნველყვეს თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ტრანსფორმაცია, როგორც დრამატულ, ასევე თოჯინურ თეატრში. უფრო აქტიურად გამოიყენებოდა ახალი მასალები, მუშავდებოდა ახლი ტექნოლოგიები, ყალიბდებოდა თოჯინური დრამატურგია, რომელშიც მოქმედება იგებოდა სახელდობრ თოჯინების თეატრის სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს იყო მნიშვნელოვანი, თუმცა განახლების მხოლოდ გარეგან ნიშნებს წარმოადგენდა. მთავარი კი იყო ის, რომ თანამედროვეობა იჭრებოდა მხატვრის შემოქმედების სულში, შინაგან არსსა და ესთეტიკურ პრინციპებში

ბუნებრივია, ეს არ იყო პროცესი გათვლილი სწრაფ შედეგებზე. ახალ ეტაპზე თოჯინების თეატრის გამფორმებელი ხელოვნება გადადიოდა შედარებით ნელა; ჭერ კიდევ ხშირად შეიმჩნეოდა ძველი, დრომოკმული ფორმების რეციდივები. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ის, რომ 60-იან წლებში იმსხვრეოდა უწინდელი, არასწორი წარმოდგენა თოჯინების თეატრზე, როგორც დრამატული თეატრის “ჯიბის” ვარიანტზე. თოჯინების თეატრი იპყრობდა თავის იმანენტურ თავისებურებებს.

50-იანი წლების მანძილზე თეატრმა 43 დადგმა წარუდგინა მყურებელს. რამდენიმე სპექტაკლის გასაფორმებლად მოწვეული იყო მხატვარი დ. თაყაიშვილი (“გაზაფხულის ყვავილი”, 1952, “რობერტის სიმღერა”, 1953) და ი. პეტრაიტისი (“რაც არ გერგება, არ შეგერგება”, 1959), ერთი სპექტაკლი გააფორმა მოქანდაკე ვ. მიზანდარმა (“ქოჩორა”, 1953), ხოლო დანარჩენი სპექტაკლების დამდგმელი მხატვარი გახდა გ. ბერეგიკიძე, რომელმაც 1951 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია “მხატვარ-დეკორატორის” სპეციალობით და იმ დღიდან მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრს დაუკავშირა.

გ. ბერეგიკიძის სპექტაკლების სახეები, შექმნილი 50-იანი წლების დასაწყისში, გამოდიოდა იმ დროში გავრცელებული მსჯელობიდან, რომ თოჯინების ხასიათი უნდა იყოს ცალსახა, სტატიკური, რომ მისი დინამიკის გადმოცემა თეატრალურ თოჯინას არ შეუძლია. ამიტომ ცალმხრივობა, სწორხაზოვნება, სტერეოტიპულობა ახასიათებდა იმ დროის “მსახიობ-თოჯინებს”, მათ შორის ახალგაზრდა გ. ბერეგიკიძის ნამუშევრებსაც. რადგანაც თოჯინის ნიშნად მიჩნეული იყო მისი გარეგანი სახე, მორთვა ან თვით თოჯინის სახელი. ეს არსებითად აქვეითებდა ინტერესს მისი ხასიათის მიმართ. მთელი ყურადღება გადატანილი იყო სიუჟეტის განვითარებაზე დრამატურგიაში და მოქმედებაზე სპექტაკლში. სიუჟეტზე ყურადღების გამახვილებას კი შედეგად თოჯინის ხასიათის დავიწყება მოჰქონდა.

აღნიშნული ტენდენციები შეიმჩნეოდა გ. ბერეგიკიძის 50-იანი წლების ნამუშევრებშიც (“ბალტი”, “ჩუკი და გეკი”, “წიკა” და სხვ.). სპექტაკლში “წითელქულა” (1952, ე. შვარცის ზღაპრის მიხედვით, რეჟისორი ლ. შენგელია) გაფორმება ნაკლებად შეესაბამებოდა პიესის ზღაპრულ შინაარსს. პეიზაჟურ დეკორაციებს არ ჰყოფნიდა მთლიანობა, დეკორაციების სიბრტყითობა აუბრალეობდა ეფექტს, არასაკმარისად იყო გამოვლენილი გმირების სხასიათო ნიშნები, მაგალითად, მგლის ეშმაკი, ბოროტი და ვერავი ხასიათი, ისევე, როგორც სხვა პერსონაჟებისა. ამაზე მიუთითებდა დ. მანდარია თავის რეცენზიაში ამ სპექტაკლზე.

მაგრამ, გაბატონებული ტენდენციების პირობებშიც, ახალგაზრდა მხატვარი ცდილობდა შეექმნა მეტყველი და დამაჯერებელი სახეები. იგი მიზანმიმართულად ითვისებდა თეატრალური თოჯინის ყველა შესაძლებლობას: თვითონ ძერწავდა მათ, მექანიზატორთა ერთად მუშაობდა თოჯინის მექანიკაზე, სცენის კონსტრუქტორს ეხმარებოდა დეკორაციების შექმნაში. დადებითი გამოძახილი პრესაში მოიპოვა მისმა სპექტაკლებმა “დათუნას სამართალი” (1954), “გიქორი” (1954, ო. თუმანიანის მოთხრობის მიხედვით, რეჟისორი ლ. შენგელია), “არშინ-მალალან” (1956, უ. ხაჯიბეგოვის ოპერეტა, რეჟისორი ლ. შენგელია), “ოქროს ზელები” (1956, დ. ზურაბის პიესა, რეჟისორი ლ. შენგელია), “ნიკა” (1957, თ. ფერაძის ნაწარმოების მიხედვით), “დიდი ჯაღოქარი” (1957) და სხვ.

50-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი იყო “სამანიშვილის დედინაცვალი” დ. კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით (1953, რეჟისორი თ. ლორთქიფანიძე). გ. ბერეჟიკიძემ შექმნა 4 მოქმედებიანი პიესის ყოველი სურათის გაფორმება, რომელშიც აჩვენა XIX საუკუნის დასასრულის იმერული ყოფიერებისა და პეიზაჟის ბრწყინვალე ცოდნა. თოჯინებშიც, რომლებიც გაკოტრებულ აზნაურთა სახეებს წარმოადგენდნენ, მხატვარმა მოახერხა ქართველი მკითხველისა და მაყურებლის წარმოდგენაში კარგად ჩამოყალიბებული ამ სოციალური ფენის წარმომადგენელთა ტიპური ნიშნების გადმოცემა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპექტაკლის წარმატებას ხელი შეუწყო მოქანდაკე ვ. მიზანდარის ოსტატობამ, რომელმაც სიცოცხლე შთაბერა გ. ბერეჟიკიდის წარმოსახვაში შექმნილ პერსონაჟთა სახეებს. აღნიშნულ გაფორმებაში ეს სპექტაკლი 200-ჯერ დაიდგა ქუთაისის თოჯინების თეატრის სცენაზე.

თეატრის დიდ შემოქმედებით მიღწევად პრესა და პუბლიკა ერთსულოვნად აღიარებდა ზ. კუხიანიძის ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლს “შარახანო” (1958). ეს წარმატება თანაბარწილად განისაზღვრებოდა რეჟისორ ლ. შენგელიას, მხატვარ გ. ბერეჟიკიდის, მოქანდაკე ვ. მიზანდარისა და მექანიზატორ მ. ჩიქვილაძის ურთიერთგაგებითა და პასუხისმგებლობით, რომლებმაც შექმნეს ხასიათებითა და ეროვნული თავისებურებებით, მოძრაობის თავისუფლებით, ფორმის მეტყველებითა და ფერადოვნებით დამაჯერებელი თოჯინური პერსონაჟების სახეები. ისინი მოგვითხრობდნენ ბოშა ბიჭის შარახანოს დრამატულ ბედზე. სპექტაკლში გ. ბერეჟიკიძემ ორგანულად გამოიყენა ჩრდილების თეატრის შესაძლებლობები, რამაც მთლიანობაში დადებითად იმუშავა სპექტაკლის ხატოვნების გაძლიერებაზე. ამ სპექტაკლის გაფორმებისათვის გ. ბერეჟიკიძე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა (1959).

დროით ნაკარნახევი განახლების აუცილებლობა აშკარად იგრძნობოდა ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრში. ეს პროცესი იყო მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო, თუმცა ყოველთვის როდი იყო თანმიმდევრული. ხშირად წარმოდგენაში ცვლილებები გამოიხატებოდა მხოლოდ გაფორმების ახალ მასალებში, საშუალებებსა და ტექნიკაში. გ. ბერეჟიკიდის 60-იანი წლების შემორჩენილი ესკიზები გვიჩვენებენ მხატვრის თანდათან განთავისუფლებას გაფორმების ძველი პრინციპებიდან, მაგრამ ეს არ შეიძლება ყოფილიყო განხილული როგორც უცილობელი წარმატების გარანტი.

1960-იანი წლების გ. ბერეჟიკიდის ნაწარმოებები უფრო ლაკონური გახდა. დეკორაცია იშორებდა სახვით მრავალსიტყვაობას, თუმცა ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა დრამატული ხელოვნებიდან დამოუკიდებელი არსებობის ფორმა. ლაკონურობას, როგორც თვითმიზანს, არ შეეძლო მოეტანა ჭეშმარიტი მხატვრული შედეგი. ზოგჯერ, პირიქით, მას მოჰქონდა დეკორაციების შინაარსობრივი დახასიათების გაღარბებაც კი. 60-იან წლებში დასახული ტენდენცია დეკორაციებისა და თოჯინების მეტი განზოგადებისა, იყო საყურადღებო ნიშანი, თუმცა პირველ ხანებში თეატრი ჯერ კიდევ არ აღმოჩნდა მზად ბოლომდე მიეღო პირობითობის გარკვეული დონე.

60-იან წლებში გ. ბერეჟიკიდის მიერ გაფორმებულ მრავალრიცხოვან სპექტაკლებს შორის მოწონება დაიმსახურა სპექტაკლებმა “რევისორი-ყეფხაყა”

(1962), “ბიჭები ეძებენ გაზაფხულს” (1962), “დაიყვილე მამალო” (1963), “გულივერის მოგზაურობა” (1963) და სხვ. ამ სპექტაკლების მხატვრობა გამოირჩეოდა ფერადობით, სანახაობრიობით, ლაკონურობით, თოჯინების პლასტიკურობითა და დინამიკით. წარმოდგენების ემოციური ზემოქმედების გაძლიერების მიზნით, მხატვარი იყენებდა სხვადასხვა მეტყველ საშუალებებსა და ხერხებს. ედმონდო და ამიჩის პიესა “მარკო” (“ღედა”) გადაწყვეტილი იყო ჩრდილების სპექტაკლის სტილში. მოძრავი ჩრდილების, ფერა და ჰარმონიული შენაერთების, მოხერხებულად დამუშავებული ეპიზოდების ჩართვით (ოკეანითა და გემით, რეკლამების შუქით გასხვივსნებული კაფეთი და სხვ.), მექანიკოს მ. ჩიქვილაძისა და სცენის კონსტრუქტორის მ. თორაძის კარგად გააზრებულ ნამუშევართან ერთად, მყოფრებელს წარუდგენდა ამოღვევებელ, დასამახსოვრებელ სპექტაკლს. თუმცა რეცენზენტ კ. კვეიძის დაკვირვებული თვალი ამჩნევდა ზოგიერთი სცენის ხელოვნურობასა და ნაკლებ დამაჯერებლობასაც (მაგალითად. სცენა ტყეში, ვეფხვზე დაღვენების სცენა და სხვ.).

60-იანი წლების მანძილზე თოჯინების დეკორაციულ ხელოვნებაში გამოვლინდა ტენდენცია, როდესაც “დეკორაციის” ნაცვლად დაიწყეს ცნება “სასცენო გარემოს” გამოყენება. ამის ქვეშ იგულისხმებოდა არა მარტო მოქმედების ადგილის შექმნა, არამედ პლასტიკური საშუალებებით დრამატურგიული მასალისა და რეჟისორის ჩანაფიქრის ხატოვანი სტრუქტურის გამოვლინება. ეს აძლევდა მხატვარს მეტ თავისუფლებას პერსონაჟების სახეების დამუშავებაში, “ცოცხალი ბუნების” აუცილებელი იმიტაციურობის დაძლევისა და სპექტაკლის ხატოვნების გაძლიერებაში. გაჩნდა მხატვრული სახის არსებობის ერთიანი ფორმის მოპოვების მცდელობა, ყველა მოქმედებისა თუ სურათის სივრცობრივი ორგანიზაციის ერთიანი პრინციპის, პირობითობის საერთო დონის გამოყენებით.

პირველ ყოვლისა, ეს ტენდენცია აისახა თვით თოჯინებში. მათ გაუჩნდათ უფრო სახასიათო პლასტიკური გარეგნობა, მახასიათებელი ნიშნების უფრო დამაჯერებელი გამოვლინება, ზოგჯერ მკაფიოდ შარჟირებულ ფორმაში, რაც ადვილად მისაწვდომია ბავშვის აღქმისათვის. განსაკუთრებით კარგად ეს იგრძნობოდა უარყოფით პერსონაჟებში, რაც, ალბათ, აიხსნებოდა იმით, რომ აქ მხატვარი მეტად თავისუფალია გროტესკული ფორმების გამოყენებაში. დადებითმა გმირებმა კი, თუმცა ისინი არ იყვნენ ისეთი უსახო, როგორც უწინ, ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ამავე დონის გამომეტყველებას.

ამ წლებში შექმნილ თოჯინებში გ. ბერეჟიკიძე გამოდიოდა იმ ფუნქციიდან, რომლებსაც ისინი ასრულებდნენ სპექტაკლში. ხშირად თოჯინის დამახასიათებლობა განისაზღვრებოდა მისი რაიმე ერთი ნიშნის უტირირებით (გაქიმული ყელი, უჩვეულო ფორმის ცხვირი, არაჩვეულებრივად ჩასმული თვალები, გრძელი ხელები და ა.შ.), რაც ჯობით სატარებელი თუ “პეტრუსკის” ტიპის თოჯინების სხვადასხვა ტექნიკოლოგიებთან, მათ კონსტრუქციულ სისადავსა და დეკორატიულობასთან შეერთებაში, განსაზღვრავდა მხატვრის მიერ შექმნილი პერსონაჟების მრავალსახეობას. თოჯინებმა შეწყვიტეს ადამიანებისა და ცხოველების კოპირება, ისინი იძენდნენ თავის თოჯინურ სახეს, აშკარად ბუტაფორულ ხელებსა და ფეხებს... იცვლებოდა თოჯინისადმი დამოკიდებულება. იგი სპექტაკლში პროტაგონისტის ადგილს იკავებდა. შეიძლება ითქვას რომ, თუნდაც ძალიან ნელა, მაგრამ შინც შესამჩნევად, თოჯინა “Doll” თოჯინა “Puppet”-ის ნიშნებს ითვისებდა...

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ იყო გამართული, უზადო პროცესი. ტექნიკური მხარე ჯერ კიდევ მოითხოვდა სრულყოფას, დროის მოთხოვნებამდე ამაღლებას. ამაზე გვაუწყებდა 60-იანი წლების ბოლოს ერთ-ერთ სტატიაში კ. კვეიძის მიერ გამოთქმული აზრი: “სპექტაკლიდან სპექტაკლამდე სრულყოფის ნაცვლად, თანამედროვე დონეს დიდად ჩამორჩება დადგმის ტექნიკური მხარე... სპექტაკლიდან სპექტაკლამდე ვერ გვიპოვნია თოჯინა, ჭეშმარიტად ხელოვნების ნიმუში, ვერ გვიპოვნია ავტორი, რომლის ხელიდანაც მზადდება ესოდენ უსიცოცხლო თოჯინები... ბავშვები ვერ შეიგუებებიან თავროკა, უსიცოცხლო და უმოძრაო თოჯინებს”. იმავე სტატიაში ავტორი გამოთქვამს შენიშვნებს გ. ბერეჟიკიძის ზოგიერთი თოჯინების მიმართაც: “იქმნება შთაბეჭდილება, რომ თუ გ. ბერეჟიკიძე მონიღომებს, მას არ ელევა ფანტაზია, გააჩნია ძიების უნარი, თუ არა და გატყეპნილი ფორმები სად გაექცევა? ვინ დაიჯერებს, რომ “წითელქუდას” და “გულივერის მოგზაურობის” დეკორაციები ერთსა და იმავე მხატვარს ეკუთვნის? “წითელქუდაში” — პრიმიტივიზმი, “გულივერში” — გაბედული ნაბიჯი, სიახლე, უსაზღვრო ფანტაზია... ლილიპუტების გასაოცარი ფანტაზიით, გემოვნებით. დიდი ალღოთი, იუმორით შესრულებული თოჯინების გვერდით უეცრად საფრთხობელას მსგავსი გულივერის უსიცოცხლო, უმეტყველო თოჯინა!”... კ. კვეიძის ამ ემოციურ გამოთქმაში ბევრი რამ იყო სახასიათო. ალბათ, ასეთი იყო დროის დანახარჯები, როდესაც თოჯინების თეატრი — ყველაზე თეატრალური თეატრი — ჭეშმარიტად თავისი ხელოვნების თეატრალიზაციის გზაზე დგებოდა.

1969 წელს გ. ბერეჟიკიძეს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა.

70-იანი წლები გ. ბერეჟიკიძის აქტიური და უკანასკნელი შემოქმედებითი პერიოდი აღმოჩნდა. 1981 წელს მხატვარი გარდაიცვალა. ბოლო დროში მის მიერ გაფორმებულ 30-მდე სპექტაკლს შორის წარმატება ხვდა სპექტაკლებს “ტანია” (1971), “გოგონა” (1973), “ვარსკვლავბიჭუნა” (1973), “ოქროს თევზი და მებაღური” (1974), “მზიურას სალამური” (1975), “ვეფხვის ბოკვერი” (1978) და სხვ., რომლებშიც სასცენო გარემოს მიზიდველობა, სპექტაკლების საერთო ტონალობის სახალისო ფერადოვნება, თოჯინებსა და დეკორაციებს შორის შესაბამისობის მოპოვება მეტყველ და დასამახსოვრებელ სანახაობას ქმნიდა. გ. ბერეჟიკიძემ საკუთარ შემოქმედებაში აირეკლა თავისი დროის თოჯინური ხელოვნების ყველა პერიპეტია. საუკეთესო ნაწარმოებებში იგი რეალისტურ საფუძვლებზე მდგომ მხატვრად დარჩა, რომელიც კარგად გრძნობდა თოჯინების თეატრის, ზღაპრის პირობითობას, სადაც რეალობა სრულიად ბუნებრივად გადაიხლართება მოგონილთან, ფანტაზიასთან, და რომელსაც ჰქონდა უნარი წარმოედგინა ეს ყველაფერი დეკორაციებისა და თოჯინების ერთ მთლიან ზემოქმედებაში.

70-80-იან წლებში თოჯინების თეატრის სცენოგრაფიაში გრძელდებოდა სახვითი გადაწყვეტების ახალი ხერხების, საშუალებებისა და პრინციპების დამკვიდრება. იზრდებოდა სასცენო გარემოს აზრობრივი და ემოციური დატვირთვა, რომელიც სცილდებოდა მხოლოდ მოქმედების პასიური ფონის მნიშვნელობას. სპექტაკლებში ჰარბობდა სამგანზომილებიანი სათამაშო სივრცე, მაშინ, როდესაც, როგორც აღვნიშნეთ, წინა პერიოდის სპექტაკლებისთვის

დამახასიათებელი იყო დეკორაციების სიბრტყითი გადაწყვეტა. ზოგ შემთხვევაში მხატვარი იყენებდა ერთიან ტრანსფორმირებად სასცენო დანადგარს, რომელიც მოქმედების სხვადასხვა ადგილის ძირითად დახასიათებას მოიცავდა და მათ მთლიან ხილვად სახეში აერთიანებდა. მყარდებოდა უფრო მჭიდრო კავშირები სასცენო გარემოსა და თოჯინებს შორის. თუ 40-50-იანი წლების მეთოჯინე-მხატვრები დიდ დამოკიდებულებაში იყვნენ დრამატული თეატრის გამოცდილებასთან, 60-იან, და განსაკუთრებით 70-იან, წლებში, თოჯინების თეატრის სპექტაკლებში შეიმჩნევა მხატვრების თვითგამოკვლევის მზარდი ტენდენცია.

70-იანი წლების დადგმების მთავარი ხარვეზები, როგორც ამას აღნიშნავდა იმ პერიოდის მცირერიცხოვანი კრიტიკა, ბევრ შემთხვევაში ჯერ კიდევ შედგებოდა თოჯინების უსიცოცხლობაში, მათი გარეგანი სახის ნაკლებ ესთეტიკურობაში, სასცენო გარემოს და მასში მიმდინარე მოქმედებების არასაკმარის შესატყვისობაში, თოჯინურ პერსონაჟებში, ზოგ შემთხვევაში, ტიპური ნიშნების გამოვლენის ზედმეტ სწორხაზოვნებაში (მაგალითად, ბოროტი ხასიათის გამოსახვისას თოჯინის ნიღბის გაუმართლებელი დეფორმაცია და დამახინჯება) და ა. შ. ეს შემოქმედებითი ხარვეზები თავს იჩენდა მომდევნო პერიოდებშიც.

ეს პრინციპები, ზოგადად დამახასიათებელი 70-80-იანი წლების თოჯინური ხელოვნებისათვის, ამა თუ იმ ფორმით პოულობდა ასახვას ქართველი მეთოჯინეების, მათ შორის ქუთაისის თოჯინების თეატრის მხატვართა შემოქმედებაში, თუმცა არსებული სხვადასხვა ობიექტური მიზეზები გავლენას ახდენდა მათი გამოვლინების ვადებსა და ღონეზე.

ლიტერატურა

- გ. ბუხნიკაშვილი, 1976 - გ. ბუხნიკაშვილი, თეატრალური ქუთაისი. ქუთ., 1976.
- ა. კარანოვიჩი, 1971. - Каранович А., Мои друзья куклы. М., 1971.
- კ. კვეციე, 2007 - ნ. კვეციე, თოჯინები არ ბერდებიან, ქუთ., 2007.
- მ. კოროლიოვი, 1973 - Королёв М., Искусство театра кукол. Л., 1973.
- ს. ჭეიშვილი, 2007 - ს. ჭეიშვილი, თეატრალური შტუდიები. ქუთ., 2007. Что и как в театре кукол, сб. М., 1969.
- ს. ცაგარეიშვილი, 1972 - ს. ცაგარეიშვილი, ქუთაისის თოჯინების თეატრის ისტორიისათვის. თბ., 1972.

ZURAB TODUA**EVOLUTION OF DOLLS-ACTOR AND GAME SPACE
THEATRE OF DOLLS IN KUTAISI**

Summary: The article touches upon less discussed question of evolution of puppet type and playing surrounding in Kutaisi State Puppet Theater named after I. Gogebashvili (40-70 years). There is observed insufficiency of researching materials. In the article are given tendencies which characterized Kutaisi Puppets Art in 40-50 years when Puppet theatre was under the influence of formal principles and methods of dramatic theatre. There is observed those changes that were going in the puppet theatre in 50 years directed to new conception of the nature of puppet and playing space. In the article is displayed some problems standing before the Puppet Theater in 70 years. There given names of the main artists, sculptors, puppet constructors which worked in different years in the theatre. In the article is given an attempt of general systematization of accumulated experience that requires serious studying in the future.

ეთერ ინჟირველი

სოლომონ ბრძენთან დაპირისპირებული სახის ბანეზისის საკითხი ფოლკლორში

სოლომონ ბრძენთან დაპირისპირებული ძალა – კუნძულელი – ქართულ ფოლკლორში “ემშაკთა ხელმწიფეა”. მისი სახის გააზრებისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ბოროტი სულის დატყვევების ტრადიციული მოტივი. ქართული ხალხური ლექსის - „სოლომონ ბრძენი და კუნძულელის“ (პოეზია, 1973, გვ. 117) მიხედვით, სოლომონი კოკაში ჩამწყვედევს მასთან დაპირისპირებულ ბოროტ ძალას და მთელ მის საყმოს, როცა გაიგებს, რომ კუნძულელი მისი ცოლის საყვარელია. კუნძულელის კოკაში ჩამწყვედევა დედამიწაზე მშვიდობის და ბედნიერების სუფევით აღინიშნა. ხალხური ლექსის მიხედვით, ალგვის რა ბოროტებას, სოლომონი მიწიურ სამოთხეს ამყარებს და ეს აქტი სამყაროს განახლების ტოლფასია.

სოლომონისა და კუნძულელის ბრძოლა სოლომონის ცოლის საწოლში იწყება, როდესაც ის ხედავს, როგორ მოდის ღამდამობით უცხო მამაკაცი მის ცოლთან და ეალერსება. ეს ხალხური მოტივი სოლომონთან დაკავშირებით არც სხვა ხალხის ფოლკლორისთვის არის უცხო.

ებრაული ტრადიციით, ღემონთა მთავარი ასმოდევსია. ის სოლომონ ბრძენთან დაპირისპირებული სახეა, რომელიც სოლომონის ბეჭდის დაპატრონებისთვის იბრძვის და მრავალი თვისებით ემსგავსება კუნძულელს. ებრაულ ასმოდევს ხშირად ადარებენ ირანულ აეშმადევას. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ებრაული რელიგია ერთი ღმერთის იდეას ქადაგებს და არ აღიარებს ინდივიდუალიზებული ბოროტი სულის ცნებას, რაც ირანული დუალიზმისთვის ძალზე ბუნებრივი და შინაგანია, ცხადია, რომ ებრაული “ასმოდევსი” ირანული “აეშმადევას” პირდაპირი ფორმაა, ისევე, როგორც ქართული “ემშაკი” (მ. ანდრონიკაშვილი 1966, გვ. 37).

კუნძულელი - ემშაკთა ხელმწიფის - მსგავსება ებრაულ და სპარსულ ღემონთა მთავრებთან აშკარაა, როგორც ლინგვისტური, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ქართულ ხალხურ ტრადიციაში ემშაკების ხელმწიფეს პირადი სახელიც კი არ გააჩნია, რადგან საკუთარი სახელი “კუნძულელი” “სადღურობის სუფიქსით არის ნაწარმოები. კუნძული ხალხურ ცნობიერებაში მოიაზრება უცხო, “სხვა” სამეფოდ. ამიტომაც ვერ ვეთანხმებით პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ შემდგენელ ფილიპე გოციჩაიშვილს, რომელიც ამ სახელწოდებას ვარიანტების სიმრავლის მაჩვენებლით არჩევს: „დედანში კუნძულელი სწერია, მაგრამ რადგან ვარიანტებში თითქმის ყველგან კუნწულელი სწერია, - კუნწულელი დაწვერე“ (პ. უმიკაშვილი, 1937, გვ. 570). ჩვენს მოსაზრებას, რომ მართებული ფორმაა “კუნძულელი” და არა “კუნწულელი”, ადასტურებს ისიც, რომ ქართულ ხალხურ ლექსში აქტუალურია ზღვის. მებაღურებისა და თევზაობის თემა.

ზღვის მეპატრონეა ინდურ ტრადიციაში სოლომონის ბუდისტურ პარალელურ სახესთან – ვიკრამთან დაპირისპირებული სამუდრა-პალა, რომელიც ბოროტი ძალის – შიმნუსის ორეულია. შიმნუსი ებრძვის და საწყის ეტაპზე იმარჯვებს ვიკრამზე. იგი ვიკრამ-სოლომონის ძალაუფლებაში იჭრება – იპატრონებს მის ტახტს, ცოლს... თუმცა, საბოლოოდ, ის ისევე მოტყუებით ჩადის კოკაში, როგორც ეს კუნძულების შემთხვევაშია. შიმნუსი ამგვარად გასცემს თავის თავს. კოკაში ჩაძვრომის უნარი ინდურ წყაროში ბოროტ ძალას მიეწერება. ასევე ბოროტ ძალასთან არის დაკავშირებული ქართულ ფოლკლორში კოკის ვერ ავსების მომენტიც - "ეშმაკს ბარაქა ვინ მისცა, კოკას ყელში დააკლდესა". ხალხური ლექსის ამ ვარიანტში ხაზგასმულია ეშმაკი, როგორც ქაჯი, არამატერიალური, უსხეულო და შესაბამისად, უხვავო, უბარაქო, უნაყოფობის ნიშნით აღბეჭდილი.

შეიძლება ითქვას, რომ ტახტის დაპატრონება – სახელმწიფოებრივ პლანში, ცოლის დაპატრონება-საყვარლობა – პირადულ პლანში იდენტური ფუნქციებია. ბოროტი ძალა ყველა საშუალებით ცდილობს, დაიკავოს გმირის ადგილი.

სოლომონთან დაპირისპირებული სლავური სახე – კიტოვრასი - კენტავრად არის წარმოდგენილი და, ტრადიციის თანახმად, სოლომონის ძმაა. ისევე, როგორც ძმები არიან სოლომონი და მოროლფი გერმანულ ტრადიციაში. კიტოვრასი დღისით ადამიანებზე მეფობს, ზოლოდამით იქცევა კენტავრად და ცხოველთა მეფეა. თავის ძმას ის ცოლს მოსტაცებს. ბილინურ თხრობაში კიტოვრასს ვასილ ოკულევიჩი ენაცვლება, რომელსაც სოლომონის ცოლი ქმრის – სოლომონის – მოკვლას აიძულებს. კუნძულები, კიტოვრასი, ვასილ ოკულევიჩი ერთმანეთის პარალელური სახეები, ერთმანეთის კორელატებია. თითოეულ მთავანს რომანი აქვს სოლომონის ცოლთან. ეს მოტივი უცხოა სოლომონის თალმედური თქმულებისთვის. მისი ძირები აღმოსავლურ მითოლოგებში მოიძებნა, საიდანაც ჯერ ბიზანტიურ ტრადიციაში გადავიდა და აქედან გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპაში.

კიტოვრასის კენტავრის სახით წარმოდგენას, ვფიქრობთ, აღმოსავლური საფუძველი უნდა ჰქონდეს: განდარვა (შდრ., Kantavr-kentavr) ავესტური ბოროტი დემონია, ზოლო ინდურ მითოლოგიაში მიწიერ ქალბატონთა მაცდუნებელი არსებები. ინდოეთში სასიყვარულო კავშირს ქორწინების გარეშე ეწოდება განდარვების ქორწილი.

ქართულ ფოლკლორში კუნძულები ეტრფის სოლომონის ცოლს - „პირად-მზე“, „პირად-მთვარე“, რომლის არქეტიპული სახე, ისევე როგორც მზეთუნახავისა, არის მარად მომაკვდავი და აღმდგომი ქალღვთაება, რომელიც ორივე სამყაროში ცხოვრობს და მოგზაურობს. კუნძულები – ქაჯთა ქვეყნის, სიმბოლურად, მკვდართა სამეფოს მთავარი – ამ ქვეყანას უკავშირდება სოლომონის ცოლის საშუალებით. ის მონაცვლეობს ორ სამყაროს შორის და ამით იმეორებს მომაკვდავი და აღმდგარი ღვთაების არქეტიპს. სოლომონის ცოლის საყვარლობით, კუნძულები ცდილობს, დაიკავოს სოლომონის ადგილი, ანუ ის, რასთანაც კუნძულები გენეტიკურად არის დაკავშირებული. მათი გენეტიკური კავშირი კარგად ჩანს რუსულ ტრადიციაშიც, სადაც კიტოვრასი სოლომონის ძმაა. დაპირისპირებულობა ძმებს შორის ირანული დუალიზმის

ფორმას იღებს. სოლომონი და კიტოვრას-კუნძულები სიკეთისა და ბოროტების, ორი განსხვავებული სამყაროს წარმომადგენლები არიან. თუმცა, ეს დაპირისპირება მხოლოდ ფორმალურია და საბოლოო ჯამში ორივე ერთი და იმავე არსების ორ მეტამორფოზულ სახესხვაობას წარმოადგენს. ასევე ქართულ ზღაპრებში გველეშაპი და მზეჭაბუკი გენეტიკურად რომ ერთი წარმოშობისანი არიან, ამაზე ისიც მეტყველებს რომ იმ ზღაპრებში, სადაც მთავარ გმირს გველეშაპი ან დევი არ უპირისპირდება, ამ როლში მისი ძმები გამოდიან. როდესაც უკლავენ საცოლეს, ან სხვა რაიმე ბოროტებას შეამთხვევენ მას (მ. ჩოლოყაშვილი, 2004, გვ. 57).

კუნძულები სოლომონს ცოლის საშუალებით ებრძვის. შესაბამისად, სოლომონიც ცოლის საშუალებით ამარცხებს კუნძულებს. კუნძულების ფუნქცია განსაზღვრულია: მან უნდა გაუყოს საჩეცელი სოლომონს, რომ სოლომონმა შეიმეცნოს ის, გახდეს მასთან ზიარი, რომ შემდეგ ადვილად დაამარცხოს. ზღაპრებში გველეშაპის მკვლეელი მზის ღვთაება გველეშაპისგანვე არის შობილი. პრობის აზრით, „გველს გველისგანვე შობილი კლავს, სწორედ ის, რომელსაც აქვს ძალა და ბუნება გველისა“ (პრობი, 1946, გვ. 255). გმირი იბადება მხოლოდ მაშინ, როცა კვდება გველეშაპი, რადგან სიცოცხლე თავის საწყისს სხვა სიცოცხლისგან იღებს.

როდესაც სოლომონს ცოლი დალატობს და ის დუმს, ეს მის სიკვდილს ნიშნავს, რადგან დუმილი სიკვდილის ნიშნით არის აღბეჭდილი. ზოლო სიტყვა, რომელსაც სოლომონი გაიღებს, მის დაბადებას აღნიშნავს. სოლომონი მაშინ არის ცოცხალი, როცა კუნძულები თავის სამეფოშია. ისინი ერთდროულად. პარალელურად ვერ არსებობენ. მათი შეხვედრა ყოველთვის ბრძოლით და ერთ-ერთის საბოლოო გამარჯვებით მთავრდება. ნოველისტურ ზღაპრებშიც ხშირად ცოლი მოლაღატაა. სოლომონის ციკლის ზღაპრებში გმირის ცოლი ხან ვაჟარს ეტრფის, ხან სოვდაგარს... თუ გავითვალისწინებთ, რომ ნოველისტური ზღაპრის გმირი გენეტიკურად ჯადოსნური ზღაპრის გმირია, ანუ მომკვდავი და აღმდგარი ღვთაება, ამიტომ ცოლის დალატიც არის აუცილებელი, რომ სამყაროს განახლებას ხელი არ შეეშალოს.

სოლომონის ან ნოველისტური ზღაპრის გმირის ცოლის, ერთი შეხედვით, ამორალურ ქცევას მითოსური საფუძველი აქვს და უკავშირდება ქალღვთაების უნარს - იყოს ხან იქაური ღვთაების ცოლი, ხან აქაურისა. ის არის შუალედური რგოლი ქმარსა და საყვარელს, ე.ი. „ამ“ და „იმ“ სამყაროს შორის. კუნძულები ესწრაფვის თავის წინარე ყოფას - სოლომონს, მისი ცოლის საშუალებით, რადგან ეს ერთადერთი გზაა, იყოს მისაღები ამ ქვეყნისთვის. მაგრამ საბოლოოდ, როცა კუნძულები დამარცხებულია და ცოლი სოლომონს უბრუნდება, ეს აქტი იღებს კოსმოგონიურ მნიშვნელობას, რადგან ქართული ხალხური ტექსტის მიხედვით, დედაშიწაზე ნაყოფიერებით აღნიშნული მიწიერი სამოთხე ღებდა, რაც სამყაროს განახლების აუცილებლობით არის გამოწვეული.

ქართულ ფოლკლორში კუნძულები მთვარისეული ეპითეტებით არის აღჭურვილი. მთვარე არის მნათობი, რომელიც მუდმივად ჩნდება და უჩინარდება. მისი ციკლურობა დროის უნივერსალური საზომია. სამყაროს განახლება მთვარის სიმბოლიკას უკავშირდება. მთვარე ყველაზე ზუსტად გამოხატავს ყოველი ცოცხალი ორგანიზმის და, რაც მთავარია, ადამიანის ცხოვრებას - დაბადებას

და სიკვდილს. მირჩა ელიადე აღნიშნავს, რომ მთვარეს არასოდეს სცემდნენ თაყვანს მხოლოდ იმიტომ, რომ მთვარე იყო. ამ მნათობის თაყვანისცემა მისი ბუნებით - კვდომა და კვლავ დაბადება - აიხსნება (მ. ელიადე, 1999, გვ. 300). მთვარე ყველაზე ნათლად გამოხატავს სამყაროს კანონზომიერებას, რაც მის მუდმივ განახლებას გულისხმობს.

რაც შეეხება კუნძულელს, ის მოდის ღამით და მოჰყვება მთვარის შუქს, სხვა შემთხვევაში თვითონ ანათებს ღამეს, ამასთან, კუნძულელს აქვს ოქროს ბურთი, რომელიც ნაქადაგარ ტექსტებში წმ. გიორგის სიმბოლოა. ეპითეტი "მაბურთალი", რომელიც წმინდა გიორგის ეკუთვნის, მოიაზრება არა ბირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ტერმინით გამოხატულია წმინდა გიორგის, როგორც მზის კულტის განსახიერების, ბუნება (ვ. ბარდაველიძე, 1932, გვ. 45-46). ნიკო მარი მზისა და მთვარის ურთიერთობის უძველეს საფეხურს წარმოგვიდგენს, როცა მზე და მთვარე წარმოიდგინებოდა ერთი მოვლენის ორ სახესხვაობად - ზეცის დღის და ღამის თვალუბად, ამიტომ ავტორი დასაშვებად მიიჩნევს ორივე მნათობის ერთი და იმავე სახელწოდებით და ფუნქციით შეხვედრას (ნ. მარი, 1933, გვ. 112). წმინდა გიორგი გვხვდება როგორც მზის, ასევე მთვარის კულტის გაგრძელებად, ისევე, როგორც ოქროს ბურთი ფიგურირებს ორივე მნათობთან დაკავშირებით და ზეცის ან ამაღლებული ადგილის სიმბოლოა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უძველეს ქართულ რწმენა-წარმოდგენებში მთვარე მამრობითი ღვთაებაა, ხოლო მზე — მდედრობითი ("ბუა დია ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი"), ხშირად, მზე და მთვარე გაიგებოდა ერთი მოვლენის ორ სახესხვაობად, ძმად (მთვარე) და დად (მზე). შემდეგ ეტაპზე მზისა და მთვარის ფუნქციები შეიცვალა და მზემ შეიძინა მამაკაცური მნიშვნელობა, შესაბამისად, მთვარე გახდა ქალი. ვ. კოტეტიშვილის აზრით, ქართულ ზღაპარში გავრცელებული სახე — ქალი კოშკში — მთვარის სიმბოლოა (ვ. კოტეტიშვილი 1961, გვ. 333). ინდოევროპული მითოლოგიებისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მთვარე იქ იმთავითვე მდედრობითი სქესისაა — luna, selene... მთვარის დღეობები მხოლოდ ქალებისთვის იმართებოდა, ისევე, როგორც მზის — მამაკაცებისთვის. ვფიქრობ, ქართული ფოლკლორი სწორედ იმ უძველეს შრეს წარმოგვიდგენს, როცა მთვარე მოიაზრებოდა მამაკაცად. კუნძულელი, რომელიც მთვარის ნიშნით არის აღბეჭდილი, ეტრფის სოლომონის ცოლს. მიწიერ ქალებთან კავშირის დამყარება მთვარის ღვთაების კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია. მირჩა ელიადე აღნიშნავს, რომ პერსონიფიცირებული მთვარე ხდება "ქალთა მპყრობელი". მისივე ცნობით, მრავალ ხალხს სწამდა და ზოგს დღესაც სწამს, რომ მთვარე მამაკაცის ან გველის სახით უერთდება მათ ქალებს. ამიტომ, მაგალითად, ესკიმოსების ქალიშვილები არ უყურებენ მთვარეს, რომ არ დაფუნძიმდნენ. ავსტრალიელები მიიჩნევენ, რომ მთვარე ჩამოდის დედამიწაზე, ეტრფის მიწიერ ქალებს, აფუნძიმებს მათ და შემდეგ ტოვებს (მ. ელიადე, 1999, გვ. 310). ამ თვალსაზრისითაც, კუნძულელი მთვარის კულტის სახესხვაობად შეიძლება ჩაითვალოს. ამგვარად, "სოლომონისა და კუნძულელის ლექსს" უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან მიყვავართ და შესაძლოა, წარმოშობით ის მართლაც უძველეს ეპოქასთან იყოს დაკავშირებული.

დანამდვილებით არ შეგვიძლია ვთქვათ, არის თუ არა კუნძულელი გენეტიკურად მთვარის დეოაბა, ერთი რამ კი ფაქტია, რომ ხალხურ ლექსში

მას საკულტო ფუნქცია არა აქვს. აქ კუნძულების მთვარესთან და წმ. გიორგისთან კავშირი მხოლოდ მეტაფორების საშუალებით შეიძლება აიხსნას. ჩვენი აზრით, მინიშნება კუნძულების ასტრალურ ბუნებაზე და მის მიერ მაგიური ოქროს ბურთის ფლობა, ხალხურ ცნობიერებაში აღიქმებოდა, როგორც მთვარის ღვთაების მეტამორფოზული სახესხვაობის გამოვლენა, რითიც ხალხურ ლექსში წინასწარ შეფარვით არის მინიშნებული, რომ კუნძულები უნდა დაიმარბოს ჭურჭელში, კოკა კი, რომელშიც კუნძულებია, აუცილებლად უნდა გატყდეს, ანუ კუნძულები უნდა მოკვდეს და შემდეგ კვლავ აღდგეს. ისევე, როგორც მთვარე ყოველთვის ურად განიცდის სიკვდილ-სიცოცხლეს. მისი ბუნება მუდმივად აღდგენაშია. კუნძულების მთვარისეული ბუნებით და მეტაფორებით წარმოდგენა მიანიშნებს კოკაში გამომწყვდევის დროებითობაზე. სოლომონი აჩერებს დროს და ათასხუთასი წელიწადი, რომელიც ქვეყნიერი სამოთხის დროდ აღინიშნება ხალხურ ტექსტში, სიმბოლურად სამყაროს განახლებას ნიშნავს, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს ლექსში წყევლით აღნიშნული კოკის გატება. იქნება შთაბეჭდილება, რომ კოკის გატება მსმენლისთვის მოულოდნელი არ არის, ზედმეტ კითხვებს არ ბადებს, პირიქით, ყოველივე დაფარული უნდა გაიხსნას. ეს ის კანონზომიერებაა, რომელსაც ემორჩილება მთელი კოსმოსი. ხალხურ ლექსში კუნძულების მთვარის მეტაფორებით წარმოდგენა უზრუნველყოფს მის კვლავ აღდგენას სიკვდილის შემდეგ.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვარიანტების უმრავლესობაში კოკა, რომელშიც კუნძულებს ამწყვედვენ, სპილენძისაა. ყვითელ სპილენძს, საბას განმარტებით, თითბერი ეწოდებოდა. სხვა თვალსაზრისით, თითბერის ძველი ფორმაა თუთფერი და ადრე გაიგებოდა, როგორც მთვარის ფერი (მეგრ. თუთა = მთვარეს). ნიკო მარი კი ბასკური სასაუბრო ენის საშუალებით ამტკიცებს, რომ ფერ-ბერ შვილს, ძეს აღნიშნავს და სახელწოდება "თითბერი" აიხსნება, როგორც "მთვარის შვილი ან ძე". ჩვენი აზრით, აქ საქმე უნდა გვექონდეს გარკვეული ტომის წარმოდგენასთან, რომლის ასტრალური გამოვლინება იყო მთვარე, ხოლო მის წმინდა მეტალად მიიჩნეოდა სპილენძი. კუნძულების სპილენძის კოკაში გამომწყვდევა, ვფიქრობ, კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ კუნძულები მთვარის ღვთაების მეტამორფოზულ სახეს, მის გაგრძელებას წარმოადგენს.

ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში, მეტაფორების თანმიმდევრული გააზრებისა და სხვა ხალხის ფოლკლორში არსებული პარალელური მასალის ანალიზის საფუძველზე, მოცემულია კუნძულების გენეზისისა და ფუნქციის საკითხი. მისი დაპირისპირება სოლომონთან იღებს კოსმიური თამაშის სახეს, როცა დაპირისპირება თვითონ ქმნის მთლიანობას: სოლომონი და კუნძულები ერთი საწყისის ორი კორელატია - ყოფიერების ორი ფორმა. კუნძულების არსებობა აუცილებელია, რადგან სწორედ მისი საშუალებით აღასრულებს სოლომონი თავის ნამდვილ ფუნქციას, რაც დემიურგობით არის აღბეჭდილი ქართულ ხალხურ ტექსტში.

ლიტერატურა

- მ. ანდრონიკაშვილი, 1966 - ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I. თბ., "თსუ გამომცემლობა", 1966.
- ვ. ბარდაველიძე, 1932 - Бардавелидзе В. В., Опыт социологического изучения хевсурских верований, Тифлис: изд., Закавказского филиала Академии наук СССР, 1932.
- მ. ელიაძე, 1999 - Элиаде М., Трактат по истории религии. С – ПБ., "Алетейя", 1999.
- ა. ვესელოვსკი 1872 - Веселовский А. С., Славянские сказания о Соломоне и Китоврасе и западные легенды о Морольфе и Мерлине. СПб.: Изд. Института истории Литературного общения Востока и Запада, 1872.
- ვ. კოტეტიშვილი, 1961 - კოტეტიშვილი ვ., ექსკურსები, ხალხური პოეზია, თბ., "საბჭოთა მწერალი", 1961.
- ბ. მარი 1933 - Марр, 112 Марр. Н. Я., Этапы развития яфетической теории. Л.: изд. ГАИМК, 1933.
- პოეზია, 1973 - ქართული ხალხური პოეზია II. "მეცნიერება", თბ., 1973.
- ვ. პროპი 1946 - Пропп В. Я., Исторические корни волшебной сказки. Л., Изд – во ЛГУ, 1946.
- ბ. უმიკაშვილი, 1937, - უმიკაშვილი ბ., ხალხური სიტყვიერება. ფ. გოგიჩაიშვილის რედ. თბ., "ფედერაცია", 1937.
- რ. ჩოლოყაშვილი, 2004 - ჩოლოყაშვილი რ., უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში. თბ., "ნეკერი", 2004.

ETER INTSKIRVELI

THE QUESTION OF THE ORIGIN OF THE IMAGE CONFRONTED WITH THE SOLOMON THE WISE IN FOLKLORE

In the Georgian Folklore the image of Kundzuleli confronted with Solomon the Wise is a king of devils.

The struggle between Solomon and Kundzuleli begins in Solomon's bed, when he finds out that a stranger visits his wife by night. Solomon's silence is his death, while his word uttered when he discloses this matter, is his birth. Solomon is alive when Kundzuleli is in his kingdom (symbolically in the kingdom of the dead). Solomon and Kundzuleli, by analogy with the Russian legend, where Solomon and Kitovras are brothers, is shown as two correlates of one origin, like the fairy tale, they cannot exist simultaneously. Their meeting always ends with the death of one of them as a result of fighting.

Kundzuleli fights against Solomon by means of his wife, whose, at first sight, amoral behavior, has mythical basis and is associated with the ability of the female Deity to be the wife of now this world, now that world. She is a connecting link between her husband and lover, i.e. between "this" and "that" worlds. Kundzuleli strives for his former being – Solomon through his wife, because this is the only way for him to be acceptable for this world. But in the end, when Kundzuleli is defeated and Solomon's wife returns to her husband, this act acquires the cosmogonical significance, i.e. earthly paradise comes, and one who is unworthy of marriage is destroyed that also is caused by the necessity of regeneration of the universe.

In Georgian folklore, the epithets associated with the moon are used with respect to the evil force – Kundzuleli. In our opinion, the astral nature of Kundzuleli and possession of the magic golden ball by him is perceived as metamorphic variety of the Deity of Moon. To all appearances, the moon epithets used with regard to the evil force indicates that the copper ("*titberi*" is for Georgian brass, the same as "*tutberi*" - "*tuta*"-moon) jug, in which Kundzuleli is confined, must be broken, i.e. Kundzuleli must die and then must be brought to life afresh, he must be resurrected just like the moon that dies and returns to life every month. In our opinion, the lunar nature of Kundzuleli, as well as the epithets associated with the moon indicates that his life in the jug is a temporary act. The moon metaphor secures the resurrection after his death.

საეკლესიო საკუთრების შესახებ დასავლეთ
საქართველოში
(XVII–XVIII სს. ქართული ისტორიული
დოკუმენტების მიხედვით)

გვიანფეოდალური ხანის ქართული ისტორიული დოკუმენტური მასალა უხვად გვაწვდის ცნობებს საეკლესიო საკუთრებაში მყოფი დუქნებისა და ყმა-ვაჭრების საქმიანობისა და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

ეპარქიისათვის შემოსავლის მომტანი სავაჭრო-სახელოსნოები და ყმა-ვაჭრები საეკლესიო კუთვნილებაში შეწირულების ან ნასყიდობის გზით ექცეოდა. ტაძარი ცდილობდა გაეზარდა თავისი ქონება და დუქნები, ქარვასლები და ყმა-ვაჭრები შეემატებინა.

სამეფო ხელისუფლება, ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდა საეკლესიო ქონების დაცვას: “ვცან შენი ტაძარი მომსახურე ვაჭართაგან მოკლებულიყო და არას ადგილიდან საკმეველი არ მიერთმეოდა და შევწირე... მოსახლე ურია ვაჭრები” — ვკითხულობთ 1792წ. შეწირულების წიგნში სარდალ გიორგი წულუკიძისა ნიკორწმინდისადმი (ს. კაკაბაძე, I, 1921, გვ. 100).

ანალოგიური შინაარსისაა იოსებ მროველის შეწირულება ხონის ეკლესიისადმი: “ეკლესიის შემოსავალს დაკლებოდა და სანთელ-საკმეველითა და იარაღით მოკლებულიყო. ახლა მეფე სოლომონ... ეს სამთავრო ეპისკოპოსის ეკლესია და მამული და ნახევარი ბაჟი მიბოძა” (ცენტრალური საისტორიო არქივი, 1448, ფონდი 1515).

სხვა საბუთით, სარდალი გიორგი წულუკიძე ცდილობს დაიცვას საეკლესიო ქონება — XVIII ს. II ნახევრით დათარიღებულ გიორგი წულუკიძის გაფრთხილების წიგნში ვაჭრებისადმი, ვკითხულობთ: “მონასტრის ადგილში ქუთათურმა ვაჭარმა სომეხი იყოს თუ ურია, ან სხვა რჯული ვინმე ვაჭარი, უკითხავად არ დაეცილოს მონასტრის მიწა-წყალსა, როგორც ეს საფიცარში სწერია, ისე ემსახუროს მონასტერს” (ებრაელთა მუზეუმის შრომები, I, 1940, გვ. 216).

ეკლესიებისადმი ყმა-ვაჭართა პირველი შემწირველი მეფე, მისი ოჯახი და ფეოდალური არისტოკრატია იყო. გავეცნოთ ისტორიულ საბუთებს იმერეთის სამეფოს მაგალითზე: ხულის (დუქნის) ქირას სწირავს იმერეთის მეფე ალექსანდრე V გელათს (ს. კაკაბაძე, I, 1921, გვ. 119); 1789წ. შეწირულების წიგნში იმერეთის მეფე სოლომონ II-მ გელათს შესწირა ქუთაისში მდებარე “ურია” და სომეხი ვაჭრები (ს. კაკაბაძე, I, 1921, გვ. 95); 1782წ. დათარიღებული საბუთით, გულქან დედოფალი სწირავს მიძინების ტაძარს ხულების ქირას (ცენტრალური საისტორიო არქივი, 1448, ფონდი 1057).

აქვე საქტიროდ მივიჩნევთ ტერმინ — ხულის განმარტება. აღნიშნული ბერძენის დასავლეთ საქართველოში ხულა დუქნის მნიშვნელობით ინმარებოდა.

ხულას უწოდებდნენ ერთი მხრივ საკუჩნაოს, პროდუქტის შესანახ ადგილს, ასევე სავაჭროს, ღუქანს, „სახლი სავაჭროს სადები“ — განმარტებულია სულხან საბას ლექსიკონში.

თბილისსა და გორში არსებული ღუქნების სტრუქტურისა და აგებულების შესახებ ისტორიული საბუთები ვრცელ მასალას გვაწვდიან. ცნობილია დაახლოებით მათი მოცულობა, ღუქნების სიგრძე საშუალოდ 17 – 20-დან 10 – 4 აღღამდე მერყეობს (შ. მესხია, II, 1983, გვ. 50; ცენტრალური საისტორიო არქივი, 1450, ფონდი 18, საქმე 17).

ამდენად, ამ პერიოდის ქალაქის ღუქნები მცირე ზომის სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობებს წარმოადგენდა.

მსგავსი ცნობები დასავლეთ საქართველოში არსებული ხულების სტრუქტურული აგებულების შესახებ საბუთებში არ მოიპოვება, მაგრამ ნათელია, რომ განსახილველი ხანის ქუთაისური ხულებიც ასევე მცირე ზომის სავაჭრო-სახელოსნოები იყო.

დოკუმენტების მიხედვით, თბილისში გაყიდული ღუქნების საშუალო ფასი დაახლოებით 25 თუმნიდან 40 – 60 თუმნამდე, ხოლო მაქსიმალური ფასი 200 თუმანს აღწევდა.

დასავლურქართული დოკუმენტების მიხედვით, ხულების გასაყიდი თანხის საშუალო ფასი 200-300 მარჩილია [მარჩილი — 3 აბაზი. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984].

ღუქნის მფლობელი ან ღუქანზე მოვაჭრე ხელოსანი დაბეგრული იყო სხვადასხვა გადასახადით.

ყმა ვაჭარი ან ხელოსანი მონასტერს თავისი ხელობით კი არ ემსახურებოდა, არამედ ხელობიდან ან ნავაჭრიდან მიღებული შემოსავლით (შ. მესხია, II, 1983, გვ. 345); განსხვავებით სამეფო და საბატონო მეღუქნეებისაგან, საეკლესიო ყმებს გადასახადად სანთელ-საკმეველი ეღო.

XVIII ს. დასავლეთ საქართველოში ხულის ქირა თვეში მარჩილის ტოლია. ასეა მითითებული შეწირულების წიგნში გელათისადმი, სადაც ვკითხულობთ: “შეგვიწირავს ერთი ხულის ქირა თვის თავზედ, თითოს ქირას მარჩილს წინამძღვარი აიღებდეს”. იმავე საბუთზე გვიანი მინაწერია: გულქან წულუკიძე სწირავს ანდრია მოციქულის ეკვდერს თითო მარჩილს ხულის ქირას (ს. კაკაბაძე, I, 1921, გვ. 125)

ხულის ქირის იგივე ოდენობაა დასახელებული გულქან დედოფლის შეწირულების წიგნში მიძინების ეკლესიისადმი: “შემოგწირეთ ჩვენი მოსართმევი თვეში ერთი მარჩილი სანთლისა და საკმეველის ფასად” — ვკითხულობთ 1782წ. დათარიღებულ საბუთში (ცენტრალური საისტორიო არქივი, 1448, ფონდი 1050).

სავაჭრო საქმიანობას აბრკოლებდა საქართველოში არსებულ საბაჟოთა სიმრავლე. ცალკეულ სათავადოებსა და საეკლესიო ცენტრებში არსებული შიდა საბაჟო სისტემა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელი იყო.

დოკუმენტურ მასალაში ხშირად ვხვდებით ბაჟის შეწირულობებს. ეკლესია-მონასტრების კუთვნილებად იქცეოდა საბაჟოების ან საბაჟო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

XVIII ს. შავიზღვისპირეთის საბაჟო შემოსავლის გარკვეული წილი კათალიკოსს ეკუთვნოდა. ხორგას საბაჟოზე ბაჟს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი აწესებდა (ე. ოაყაიშვილი, I, 1889, გვ. 43).

1628 წ. ლევან დადიანს შეუწირავს ბიჭვინთის საბაჟოდან გადასახადი კათალიკოსისათვის (ს. კაკაბაძე, I, 1921, გვ. 45-47); “რიონზედა, ქალაღიდის ბაჟი” კი დადიანს ზოფის ღვთისმშობლის ტაძრისათვის გადაუცია (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-2921). ოდიშის საბაჟო და წელიწადში 50 ქილა მარხილი, ასევე ზუთხის ათისთავი, შესწირა კაცია დადიანმა საირმის ეკლესიას (ს. კაკაბაძე, II, 1921, გვ. 29). მონასტრის მფლობელობაში გადადის პალასტომის შემოსავლის ათისთავი და ფოთის ბაჟის ნაწილი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-5056) და ა. შ.

XVIII ს. საქართველოში დაწინაურდა სამღებრო საწარმოები. ნ. ბერძენიშვილმა ნაწარმოში “სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში” შეისწავლა სამღებროების როლი და მნიშვნელობა ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. სამღებროებიდან შემოსავალი სამეფო ხაზინისათვის მნიშვნელოვან წილს წარმოადგენდა. იმერეთის სამეფოში სამღებროები იჯარით გაიკემოდა. 1810წ. ქუთაისის სამღებრო 850 მანეთად გაიცა იჯარით. შემოსავალი სხვა წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

შემოსავლის მომტანი საწარმოებით ეკლესია დანტერესებული იყო და ზოგჯერ, შეწირულების სახით, სამღებრო შემოსავალი ეკლესიების კუთვნილება ხდებოდა.

XVIII ს. ეკლესია ყმა ხელოსნისაგან და ვაჭრისაგან უშუალოდ ფულის მიღებას ჯერ კიდევ ამჯობინებდა სანთელი და საკმეველი მიეღო (შ. მესხია, 1983, გვ. 346). ვალდებულება, ძირითადად, ხელობიდან და ნავაჭრიდან მიღებული პროდუქციითა და სათანადო რაოდენობის სანთლის მიტანაში გამოიხატებოდა.

1789წ. საბუთში (შეწირულების წიგნი სოლომონ II გელათისადმი) ჩამოთვლილია მეფის მიერ გელათის მონასტრის შეწირული “სამი მოსახლე კოკიასვილები” და “ერთი მოსახლე სომეხი”, შემდეგ განმარტებულია: “ამ ვაჭრებს დავადევით ბეგრად.... ურიას კოკიასვილს თუთხბეტი მარჩილი თეთრი, ლიტრა სამთელი, მეორეს მოსახლე კოკიასვილს დანილას დავადევით თუთხბეტი მარჩილი თეთრი და ერთი ლიტრა სამთელი”, მესამე მოსახლე კოკიასვილი იხდის: “დავადევით იოსებას რვა მარჩილი თეთრი და ნახევარი ლიტრა სამთელი”. ვაჭრების ბეგარა რომ ქონებრივი ცნხით, სავაჭრო საქმის მომგებიანობით განისაზღვრებოდა, ამის დასტურს თვით საბუთი იძლევა, სადაც ვკითხულობთ: “გენათელმა ვაჭრების საქმე გასინჯოს და თუმც შეიმატონ, ბეგარასაც მომატოს, წირვის საქმე მომატებულის მსგავსათ განუწესოს, თუ დაიკლოს, ბეგარასაც ისე შეზავებით ააღებინოს” (ს. კაკაბაძე, II, 1921, გვ. 95).

განსახილველი ხანის საქართველოს ქალაქებში პერიოდულად იმართებოდა დიდი ბაზრობები. იმერეთში, დაბა ზონის ცნობილ ბაზრობაზე, “ყოველ პარასკევს ეკლესიის ვჯრდით დიდ მოედანზე” თავს იყრიდა მყიდველი და გამყიდველი (გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, 1962, გვ. 153-5.). აქ მოსულ ვაჭარს ზონელი ეპისკოპოსისათვის უნდა გადაეხადა ბაჟი ერთი აბაზის ოდენობით (ს. კაკაბაძე, II, გვ. 37-8).

ყმა ვაჭარი დაბეგრული იყო, ძირითადად, იმ პროდუქციით, რითაც ვაჭრობდა; ასე მაგალითად, სომეხი ვაჭარი გელათს უხდის: “ორიოლი ჩარეკი ბამბა სანთლის გულათ” (ს. კაკაბაძე, II, გვ. 65).

ამდენად, საეკლესიო ყმა ვაჭრებს ეკლესიის მიმართ სანთელ-საკმეველი ვეალებოდა, ეკლესიის შემოსავალი იყო კუთვნილი საბაჟო გადასახადი. საეკლესიო

ვაჭარი და ხელოსანი უხდიდა ტაძარს ნავაჭრი პროდუქციიდან განსაზღვრულ ნაწილს. XVIIIს. II ნახევრის ისტორიულ დოკუმენტებში ჩანს ფულადი საეკლესიო გადასახადი და მისი მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ლიტერატურა

ნ. ბერძენიშვილი, 1973 - ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIIIს. საქართველოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, ტფ., 1937.

გიულდენშტედტი, 1962 - გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, 1962, ებრაელთა მუზეუმის შრომები, I, 1940.

ე. თაყაიშვილი, 1899 - ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, ტფ., 1899.

ს. კაკაბაძე, 1921 - ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I-II, თბ., 1921.

შ. მესხია, 1983 - შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983.

მ. სამსონაძე, 1980 - მ. სამსონაძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIXს. I მესამედის საქართველოში, თბ., 1980.

RUSUDAN KASHIA**ON THE ISSUE OF CHURCH PROPERTY IN EAST GEORGIA**
(About Georgian historical document of XVII-XVIII centuries)

In late feudal period church property combined serf traders and trading-working houses. Cathedral tried to enlarge its property and gain small shops, serf traders and larger trading places. Number of materials noting about small shops and traders' work and their rights and duties are given by Georgian historical documents of XVII-XVIII.

The first donator of serf-traders to churches was the king, his family and feudal aristocracy. There are number of historical documents that king's government tried to protect church property and donated serfs, traders, small shops and workshops to church if it was needed.

The article gives the explanations of the term- khula (small shop). In that period khula had a meaning of small shop. Khula was the name of pantry, a place where products were stored and trading place, small shop as well.

Historical documents give us the notes about the structures and architecture of trading-workshops in Tbilisi and Gori. The documents say nothing about khulas in the west of Georgia, but analyzing small shops in Tbilisi gives the clear picture that khulas of Kutaisi of that period were the small trading-workshop buildings.

Historical materials give the full information about the prices of khulas on sale.

Traders working in khulas had different taxations. Serf trader or a workman served the church not by his handwork, but by the income taken from it, unlike king and feudal shop owners, the taxation of church serfs was candles and incense.

Church share was the income taken from customs taxations. We often meet customs donations towards churches and monks.

In XVII-XVIII church serf traders and workmen traded in khulas had shares given form traded production and candles and incense towards churches. In the historical documents of II half of XVIII century we can see the tendency of growing payment and its volume.

რუსუდან კაშია,
დავით შავიანიძე

**ხალხური სამედიცინო ტრადიციები. მკურნალი გემო
აჭარილან – არჩილ ნულუქიძე
(აჭარის ეთნობრაფიული მასალის მიხედვით)**

ეთნოგრაფიული მასალის, ხალხური სამკურნალო საშუალებების მოძიება-შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ხალხური მედიცინის საამაყო მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები კვლავაც გრძელდება და ხალხურმა მეხსიერებამ დღემდე შემოინახა წინაპართა ცოდნა-გამოცდილება.

ნაშრომი ეყრდნობა იმ ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც ჩავიწერეთ ზემო აჭარის ეთნოისტორიული, ყოფითი კულტურის გაცნობის დროს.

სამედიცინო კულტურული ტრადიციები, ხალხური მკურნალობის მეთოდები და საშუალებები ადასტურებს ქართველთა ყოფით ერთობლიობას, კუთხურ-ეთნოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით.

შინაური წამლის დამზადების რეცეპტები, საოჯახო სამედიცინო პრაქტიკა მეტწილად მემკვიდრეობით გადაეცემოდა. საქართველოში საგვარეულო-სამედიცინო ცოდნა ტრადიციულად დაცული იყო. გვარი ცდილობდა წამლის დამზადების წესები, გათხოვილი ქალიშვილის გზით, სხვა გვარში არ გასულიყო.

ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ დღესაც მრავლად არიან ხალხური მედიცინის მცოდნე პირები. იმ ოჯახებიდან, რომლებიც საგვარეულო ცოდნაში ანაზღაურებას იღებენ, წამლის დამზადების რეცეპტის მიღება თითქმის შეუძლებელია.

იშვიათად შეხვდებით მკურნალს, რომელიც უანგაროდ გაგაცნობთ სამკურნალო რეცეპტებს, მათ შორის განსაკუთრებული გულღიობით გამოირჩევა ხალხური მედიცინის მცოდნე, ხულოს რაიონის სოფ. დიდაჭარაში მცხოვრები არჩილ წულუქიძე, რომელსაც ფართო სამკურნალო პრაქტიკა აქვს და როგორც თავად აღნიშნავს, მასთან სამკურნალოდ მიდიან ავადმყოფები არა მარტო ხულოს რაიონის სოფლებიდან, არამედ სარფიდანაც კი.

სამკურნალო რეცეპტების ნაწილი არჩილ წულუქიძეს ოჯახიდან, წინაპრებიდან აქვს მემკვიდრეობით მიღებული, ნაწილი სამკურნალო საშუალებებისა თვითონ აქვს მოძიებული და შესწავლილი. ასეთი შემთხვევების შესახებ მკვლევარი ნ. მინდაძე აღნიშნავს: “არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ქართული ოფიციალური მედიცინის გავლენით დამკვიდრდა ხალხურ მედიცინაში ზოგიერთი სამკურნალო საშუალება” (ნ. მინდაძე, 2005, გვ. 53)

ტრადიციულად საქართველოში ხალხური მედიცინის მცოდნე მამაკაცებს დასტაჰრებს უწოდებდნენ, ისინი ძირითადად ტრავმების მკურნალობაში იყვნენ დაოსტატებული, ქალებს, რომლებიც მალამოებს ამზადებდნენ, უწოდებდნენ მკურნალებს (ნ. მინდაძე, ნ. ჩიჩუაძე, 2005, გვ. 13) ჩვენს დაყარადივით ტრადიცია

და ბატონ არჩილს მკურნალი ვუწოდეთ, რადგან იგი ძირითადად მცენარეული კომპონენტებით ამზადებს შინაურ წამლებს. განსაკუთრებული ინტენსივობით იყენებს კრაზანას, მოცვს, ასკილს, ნეგოს, დვალურას და სხვ. მკურნალობს: დამწვრობას, თირკმელსა და ღვიძლს, სოკოვან სნეულებებს და ა. შ.

კუჭ-ნაწლავის დაავადებების, **მთავიანობის** დროს იყენებს კრაზანის ნაყენს, ასევე ანწლის, მოცვისა და ასკილის ნარევეს.

აჭარაში კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ ძირითადად გამოიყენება ნეგოს, კრაზანის, თიას, დვალურას, ღინდგელის სპირტიანი ნაყენი (ნ. ჩირვაძე, 2008 გვ.306, 307)

ქუთაისის აკ. წერეთლის უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ იმერეთსა და სამეგრელოში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს იყენებენ კრაზანის ნაყენს; კუჭის წყლულს სპირტზე დაყენებული ღინდგელით მკურნალობენ. ოკრიბაში იცნობენ ასევე ვეკალიბტის ნაყენს (დ. შავიანიძე, 2005 გვ.78)

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში კუჭის ტკივილის სამკურნალოდ გამოიყენება მელისკულა, მრავალძარღვა, კულმუხი, თავშავა და აბზინდა (ნ. მინდაძე, 1981, გვ. 30) **კუჭ-შეკრულობის** დროს არჩილ წულუკიძე ურჩევს ჭარხლის ძირის, ასევე ხეშავას ნახარშს. ბუასილის სამკურნალოდ – დათვის ქონისაგან ამზადებს მალამოს. მსგავსი რეცეპტით მკურნალობენ ბუასილს იმერეთში: იყენებენ დათვის ქონის მალამოს ან ავადმყოფს ასმევენ წალიკას (წყლის წიწკა) ნახარშს. ოკრიბაში ასეთ ავადმყოფს აძლევენ ლედვის ფოთლის, ჭინჭრის, ბუშმალისა და ვეკალიბტის ნახარშს.

ქრონიკული **კუჭ-აშლილობის**ას მკურნალი გვთავაზობს თხმელის ანუ მურყანის გირჩებს, გველის დვარულას ფესვებისა და მოცვისაგან დამზადებულ ნახარშს.

რეცეპტი შევუდარეთ იმერულ მასალას, სადაც გამოიყენება: 1) ბროწეულისა და მუხის ქერქის ნახარში 2) კამის თესლის ნახარში (რ. კაშია, ქართველური

მემკვიდრეობა, X, 2006) აღმოსავლეთ საქართველოში ხმარობენ ტყის პანტას, კატაბალახას, შავბალახას, ცირცელის ნაყენს (ნ. მინდაძე, 1981, გვ. 50)

ღვიძლისა და ნღველის სამკურნალოდ არჩილ წულუკიძე გამოიყენებს ნეგოს ანუ უკვდავას, ასევე ორკილასა და მრავალძარღვას ნახარშს. მრავალძარღვას იმერეთშიც გამოიყენებენ ნღველის სამკურნალოდ. გაგაცნეს ასევე განსხვავებული რეცეპტი — თაფლში არეული გატარებული ოხრაბუში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ნღველისა და ღვიძლის სამკურნალოდ ხმარობენ პიტნის, თავშავას, ვარდკაქაქას, მრავალძარღვას. ღვიძლის სამკურნალოდ მრავალძარღვა დასახელებულია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის “სამკურნალო წიგნში” (ზ. ფანასკერტელ-ციციშვილი, II, 1988, გვ.279)

თირკმლისა და პროსტატის დაავადებების სამკურნალოდ აჭარელი მკურნალი გამოცდილ, ეფექტულ სამკურნალო საშუალებას იყენებს: შვიტას, ნეგოს ყვავილისა და გვირილას ნახარშს.

იმერეთში (სოფ. მათხოჯი) “ეკიმბაშმა” შურა ხეინგიამ თირკმლების სამკურნალოდ მატიტელასა და მავკლის ძირის ნახარში გვირჩია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში თირკმლის ტკივილის დროს ასკილის ნაყენს სვამდნენ. შეტევის დროს ხმარობდნენ წყალში გახსნილ დათვის, ზღარბისა და კალმანის ნღველს (ნ. მინდაძე, 1981, გვ.55)

“იადიგარ-დაუდი” თირკმლის სამკურნალოდ ნიახურს, ცერეცოს და თაფლს ასახელებს (დავით ბატონიშვილი, 1985, გვ. 446)

ჭიის წამლად მკურნალი კვახის თესლს იყენებს. კვახის თესლის მიღება ჭიების დროს მთელ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. **ალერგიულ გამონაყარს** მკურნალობს კალენდულას ნაყენით.

სოკოვანი დაავადების ე. წ. **ფუკულას** დროს, რომელიც ძირითადად ბავშვებს უჩნდებათ თავზე, მკურნალი ამზადებს მალამოს, რომელიც შედგება ორკბილას, ორავანდისა და ღორის ქონისაგან.

დამწვრობის დროს არჩილ წულუკიძე კრაზანას დიდხანს ადუღებს შესქელებამდე, უმატებს გადადუღებულ ზეთს, მიღებულ მალამოს მარლაზე წასმულს აფენს დამწვარ ადგილზე.

დამწვრობის წამლად ქვემო იმერეთში, ოკრიბასა და სამეგრელოში ჩაწერილი რეცეპტებით გამოიყენება გადამდნარი უმარალო ღორის ქონი, თაფლის სანთელი, ზეთუნის ზეთი. იმერელი მკურნალი შუარა ზვინგია გაუტკივარების მიზნით, მოდღებულ მასას პენიცილინსა და ანალგინს უმატებს.

მთიანეთში დამწვრობის მოსაშუშებლად იყენებდნენ: დათვის ქონს, ფიჭვის ზეთს, თაფლის სანთელსა და ა. შ. (ნ. მინდაძე, 1981, გვ.37)

მკურნალი ამზადებს შინაურ წამლებს გაციების, ბრონქების, ყურის ტკივილის სამკურნალოდ. **გაციების** დროს გვთავაზობს კაკლის ფოთლის ნახარშს ყელში სავლებად, ასევე რძეში გახსნილ თხის ქონს.

დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ იმერეთში ჩაწერილი მასალის მიხედვით, ყელის ტკივილის დროს ყველაზე ხშირად კვარარახს, ტყემლის ტყლაპსა და რძეში ჩაგდებულ თხის ქონს ხმარობენ. სამეგრელოში — ასკილისა და პიტნის ნაყენში გარეულ თაფლს.

კახეთში ანგინიან ავადმყოფს ყელში მარილიან თბილ წყალს ავლებენ. ყელს უხვევენ ტყემლის ტყლაპით (ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, 2005, გვ. 22)

გაციებისა და გრიპის თანმხლები პროცესია **ხველა**, ხოლო გართულების შემთხვევაში — **ბრონქების ანთება**. აჭარელი მკურნალი ასეთ დროს ვირისტერფას (აჭარაში გულბამბას, პირბამბას ეძახიან) ნაყენს ამზადებს.

ქვემო იმერეთში, ოკრიბასა და სვანეთში ჩაწერილი რეცეპტებია: 1) თბილ რძეში გახსნილი თხის ქონი, 2) თაფლში გარეული სტაფილოს წვენი, 3) შავი ბოლოვის წვენი, 4) ბრონქიტის სამკურნალოდ გამოიყენება მცენარეები: ვირისტერფა, თავშავა, გვირილა, ალოე, მათიტელა, დიდგულა და ა. შ.

აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში ხველების სამკურნალოს იყენებენ ძირტკბილას ფესვების, კომშის, ცაცხვის ყვავილის, ტუბტის, ლელვის ჩირის ნახარშს; უებარ წამლად ითვლება თხის ქონის დაღვევა ცხელი რძით. ასევე თხის ქონით გულმკერდის დაზელა (ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, 2005, გვ. 24)

ყურის ტკივილის უებარ სამკურნალო საშუალებად არჩილ წულუკიძე მიიჩნევს ზეთუნის ზეთში გახსნილ კრაზანის ნახარშს ან ქაფურს. ყურის ტკივილის დასაამებლად იმერეთსა და სამეგრელოში იციან მარლაში გამოკრული გახურებული მარილის დაღება, აწვეთებენ გამთბარ ქაფურს, იყენებენ ყურის გამორეცხვის მეთოდებს, რისთვისაც იხმარება თბილ რძეში არეული ზეთი. (რ. კაშია, ქართველური მედიკვიდრება, X, ქ., 2006) კახეთში ყურში აწვეთებენ არაყს, შემთბარ ზეთს ან ანწლის ნახარშის წვეთებს, ადებენ ცხელ მარილს (ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, 2005, გვ. 25) ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის “სამკურნალო წიგნში” თითქმის მსგავსი რეცეპტია მოცემული: “აიღე საბრი და ზაფრანა,

ქალის დედისა რძე შიგან გაუტრიე და მერმე წვეთ-წვეთი ყურშიგა ჩაუშვი“ (ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, 1988, გვ. 357)

შაკიკს არჩილ წულუკიძე იის ფესვების ნახარშით, ხმელი ქინძითა და მუავე მაწვნით მკურნალობს.

ოკრიბაში შაკიკის დროს წამლად გამოიყენება ტყემლის ტყლაპი და დაჩეჩქვილი ხმელი ქინძი.

ძველი ქართული მედიცინა იცნობს ხმელ ქინძს, როგორც თავის ტკივილის დასაყუჩებელ საშუალებას. “იადიგარ-დაუდ“-ში კვითხულობთ: “თავის ტკივილის წამალი ეს არის, ქინძის წვენი გალესილი თავზედა შემოსცხონ“ (დ. ბაგრატიონი, 1985, გვ. 243) XVIII ს. კარაბადინში შაკიკის დროს მუავე მაწვნის საფენებია დასახელებული (ბელნაწერთა ეროვნული ცენტრი H - 304)

არჩილ წულუკიძემ გაგვაცნო **თვალის ტკივილის** სამკურნალო საინტერესო მეთოდი: “უებარია მრავალძარღვას კენკრა, როცა აღამიანი დაქორდება ანუ დაბრმავდება, თეთრად გადაეკვრება, მაშინ იყენებენ წვრილად დაფქვილს, ამით უნდა ამოიბანოს თვალი” — გვითხრა მკურნალმა.

ზესტაფონის რაიონის სოფ. სვირში, თვალზე გადაკრული ლიბრის მოსარჩენად იყენებენ დაფქვილ წვრილ ლოკოკინას

არჩილ წულუკიძე იცნობს შინაურ ცხოველთა სამკურნალო საშუალებებს: **თურქულით** დაავადებულ საქონელს ასმევს და ბანს კრაზანის ნახარშში. **ქათმის ქირის** პრევენციულ საშუალებად მიიჩნევს სიმინდის ფქვილში არეულ კრაზანას. **ცხოველის მუნს** კურნავს ღორის ქონში გარეული ორავანდისა და ორკბილას მალამოთი.

საქართველოს ყველა კუთხეში მოწმდება დასტაქართა საგვარეულოები. აჭარაში ცნობილი მკურნალები იყვნენ: გორგილაძეები, ხაბაზები, მიქელაძეები, გვიძიძეები, დუაძეები და ა. შ. (ნ. ჩირგაძე, 2008, გვ. 306)

ამკერად ფართო საზოგადოებას გავაცანით ქართველ დასტაქართა საუკუნოვანი ტრადიციების გამგრძელებელი, ს. დიდაქარის მცხოვრები — არჩილ წულუკიძე.

მოსახლეობა დღესდღეობით ძირითადად პროფესიულ სამედიცინო დახმარებას მიმართავს, მაგრამ ხალხურ მედიცინასა და ვეტერინარიის არ დაუკარგავს თავისი ღირებულება.

ლიტერატურა

დ. ბაგრატიონი, 1985 - დავით ბაგრატიონი, იადიგარ-დაუდი, თბ., 1985. ფანასკერტელ-ციციშვილი ზაზა, 1988 - ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, II, თბ., 1988.

რ. კაშია, 2006 - რ. კაშია, ხალხური სამედიცინო ტრადიციები, ქართველური მეცკვიდრობა, X, ქ., 2006.

ნ. მინდაძე, 1981 - ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981.

ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, 2005 - ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები (კახეთი) თბ., 2005.

დ. შავიანიძე, 2005 - დ. შავიანიძე, ოკრიბა, ქ., 2005.

დ. შავიანიძე, რ. კაშია, რ. ხაჭაპურიძე, 2009 — დ. შავიანიძე, რ. კაშია, რ. ხაჭაპურიძე, ეთნოისტორიული კვლევები, ქ., 2009.

ნ. ჩირგაძე, 2008 - ნ. ჩირგაძე, მკურნალობის ხალხური საშუალებები აჭარაში, ტბელობა, სხალთა, 2008.

DAVID SHAVIANIDZE RUSUDAN KASHIA**FOLK MEDICAL TRADITIONS
CURER FROM UPPER AJARA-ARCHIL TSULUKIDZE
(According to the materials of ethnography of Ajara)**

Our work is defined by the materials of ethnography we recorded while introducing everyday culture and ethnography of Ajara.

Searching and studying of the materials of ethnography and public curing facilities ensured us, that the traditions of folk medicine still goes on and folk memory stored the experience and knowledge of the ancestors until today.

Observing the ethnographic materials showed us that people owning the knowledge of folk medicine still largely exist even today. In the article you'll meet Archil Tsulukidze professional of folk medicine from Khulo region, village – didajara, who has great curing experience.

The recipes of the medicines made at home, family practice was given by inheritance in most cases. Part of curing recipes are give from ancestors as inheritance to Archil Tsulukidze, part of curing facilities are searched and studied by him.

Men professionals of folk medicine were called “dastakar”, they were mainly aware of fixing wounds. Women mainly made ointments, they were called curers. We broke the tradition and called Archil Tsulukidze as curer, as he mainly uses plants in his medicines, curing burnings, kidneys, liver, etc

In the article folk curing materials and curing methods of Ajara is compared to materials recorded in other regions (Imereti, samegrelo, Svaneti), which is searched and studied by the representatives scientific-researching institute of dialectology of Ak. Tsereteli state University.

Thus, nowadays population mainly uses professional medical means, but folk medicine and veterinary haven't lost their value.

მერაბ კეზევაძე

ქუთაისის ღმრთისმშობლის მიძინების
(ბაგრატის) ტაძრის
საეკლესიო ნივთსამკაულთა 1826 წლის აღწერა *

ქუთაისის ღმრთისმშობლის მიძინების (ბაგრატის) ტაძარი, კურთხევის შემდეგ (1003 წ.), დანგრევამდე (1691 წ.), ყოველთვის იყო ქუთათელი მღვდელმთავრების კათედრალი. დანგრევიდან მალე, იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის დროს (1720 – 1752 წ.წ.) ტაძრის სამხრეთ კარიბჭეს, აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებზე, მინაშენები გაუკეთდა და ეკლესიად ეკურთხა. სწორედ ეს ეკლესია გახდა 1759 წელს აღდგენილი საქუთათლოს საკათედრო ტაძარი, რომელიც შემდეგ, 1820 წლიდან 1871 წლამდე, სანამ ქუთაისში ახალი საკათედრო ტაძარი აიგებოდა, იმერეთის ეპისკოპოსთა კათედრალი იყო. 1871 წლიდან 1917 წლამდე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ეკლესიას, ხოლო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ - 1917 - 1923 წლებში ქუთათელ მიტროპოლიტთა კარის ეკლესიას წარმოადგენდა.

ერთ დროს საეკლესიო ნივთსამკაულით უმდიდრესი ბაგრატის ტაძრიდან ცოტა რამ გადაურჩა განადგურებას და აღმოჩნდა აღდგენილი საკათედრო ტაძრის საკუთრებაში. საკმაოდ ბევრი ნივთი დაიკარგა 1820 წელს იმერეთის საეკლესიო აჯანყების დროს, ქუთათელი მიტროპოლიტის დოსითეოსის დაპატიმრების შემდეგ.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში ინახება 1826 წლის იანვარში შედგენილი, აღდგენილ საკათედრო ტაძარში დაცული, საეკლესიო ნივთსამკაულთა ნუსხა (სია), რომელსაც აქვე წარმოვადგენთ (ფონდი № 21, საქმე № 263ა - მართლწერა და სტილი დაცულია). დოკუმენტი ქვეყნდება პირველად და ის აღნიშნული ტაძრის ქონების ჩვენამდე მოღწეული უძველესი აღწერაა.

**სია ქუთაისის საკათედრო ეკლესიის სობოროს
სამკაულისა თანასწორადვე ხატებისა, რ-ლიცა ამის ქვემოთ
დაინიშნების:**

1. ხატი მღვთის მშობლისა სიგრძით მქონებელი ერთის ადლისა ხ-სიგრძით ნაკლები, შემკული გვირგვინი, ვა დედისა მღვთისა, ვგრეთვე ძისა სხ-ვა და სხ-ვა თვლებითა, და საკუთრად არის რიცხვით ას ოცდაათი ; გარდა ამისსა საშუალ გვირგვინისა უზის თვალი დიდი ზურმუხტისა, და მას ზედ დამოკიდებული ცხრა თანასწორი მარგარიტი, თავზედ გვარი აღმასისა აქუს, ორი წყვილი საყურეები დამოკიდებული

* წინამდებარე სტატია ნაწილია კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებისა - ქუთაისის საკათედრო (ბაგრატის) ტაძრის ნივთსამკაული XIX საუკუნეში

გვირგინსა ზ-და მ-ღთის მშობლისასა შემეკული სხ-ვა და სხ-ვა თვლებითა; ხ-რიცხვით ოცი. გვირგინი მისა ს-ღ ოქროსა არს და დამოკიდებული მას ზე-ღ, ორი ნახევარ-ნახევარი იბერიის ოქრო, ყელზედ მოვლებული მ-ღთის მშობელზედ მარგარიტი სამ ძაფზედ ასმული, რომელშიაც ექუსი მათგანი დიდრონია ერთის იაგუნდით და ს-ღ მარგარიტი მას სამძაფზედ არს ას სამოცდა ცხრა გარეშემო სერაფიმის თავებზედ მარჯნები უსხია.

2. ერთი ვეცხლის კანდელი სამშანდლიანი თავის ჯაჭვით და მღ-ვთის მშობლის ფარდითურთ.

3. ანკელი ს-ღ.

4. ხუთი ვერცხლის კანდლები სამ შანდლიანები თავის ჯაჭვებით და ორსა მათგანსა არა აქ-უს ჯაჭვი.

5. ერთი დიდი ჯვარი ვეცხლისა ფეხიანი რ-ლსაც აქ-უს ოთხი ბუშტი მათგანი ერთი დიდი და გამოყვანილი მას ზედ სახეები და თავზედ ჯვარცმა ოქროდ დაფერილი, რ-საცა აქუს რვა თვალი და ხუთი ვეცხლის ფოლაქი.

6. ერთი მაცხოვრის ხატი.

7. ერთის წყლის ხატი სურათებისა თორმეტი ფურცელი.

8. მ.ერთი შანდანი ხისა თითბრის ვარაყით გაკეთებული.

ს ა კ უ რ თ ხ ე ვ ე ლ ი ს ა

9. ჯვარის სახედ დასვენებულნი ხატნი, ერთი მაცხოვრისა, მეორე მღ-თისმშობლისა, მესამე ვნების და მეოთხე ნათლისმცემლისა.

10. ორი წყვილი ბარძიმ ფეშხუმი კამარით და კოვზითურთ ერთი მათგანი დაფერილია, ოქროთი, ბუშტები სევადისა აქ-უს, ორი ვეცხლის თეფშები რომელნიცა დაფერილ არიან ოქროთი, ხ- სიძველის გამო არღა ეტყობა კარგად, ერთი მოდიდო ვეცხლის თეფში და ორი ლახვარი.

11. სამი ხელი დაფარნები ერთი შტოფისა, თავის ფუნჯებით და ორი დაბალი ერთი ბარძიმის დაფარნა კიდევ დაბალი ფარჩისა ჯვარის სახიანი.

12. ერთი ვეცხლის განსაზავებელი.

13. ორი ვეცხლის სურა საზედაშედ.

14. ორი შანდანი ტრაპეზისა, ერთი დაფერილი ვეცხლითა.

15. ჯვარი ტრაპეზისა მოოქროვილი ვეცხლისა და სევადითა აღმოყვანილი მას ზედ სახე.

16. მეორე ჯვარი ხეზედ მოჭრილი მოჭედილი ვეცხლით და დასევალებული რომელიცა სიძველისაგან დაზიანებულ არს.

17. მესამე ჯვარი ხისა დახატული.

18. სახარება დიდი რუსული ფინიკტებით გაწყოფილი.

19. სახარება პატარა ვეცხლის ბუდესა შ-ა შთადებული სევადითა.

20. სახარება ქართულის სტამბისა ერთი.

21. მეორე დაბადების ტანისა.

22. საეცხლური ერთი დიდი ვეცხლისა თავს ჯაჭვითაწყობილი.

23. მეორე მაზედ უმცროსი ვეცხლისა.

24. თხუთმეტი ვნების სახარება.

25. ტრაპეზის საფარებელი, რ-ლსაცა აქუს სამი კალთა რუსული ყვითლიანი დიბა, ერთი წითელი სტოფისა შუაგული წითელი ზაფერდისა.

26. მეორე ცისფერი სტოფისა.
27. მესამე დაძველებული შავი მითნისა.
28. ტრაპეზის ზემოთ გარდასაფარებელი ნარმა.
29. სამი კონდაკი ერთი მათგანი ვაზტაგისა და ორი ირაკლისა მეუთხე ახალი.
30. ორი სამკვეთლოს გარდასაფარებელი მდაბალი.
31. სელის სკამი რკინისა ვეცხლის სევალით გაწყოფილი.
32. ორი სკამის ჩასაცმელი წითელი რუსული შტოფისა.
33. ფილონი თეთრი შტოფისა სარჩული აქუს ცისფერი გილანის დარაია ორი ბუზმენტის არშიით და ოთხის მცირის ვეცხლით ღილით ერთი მათგანი წამხდარი არს.
34. სტიხარი ცისფერი გრიზეთის სარჩული აქუს ცისფერი ხადაგი.
35. ოლარი თეთრი შტოფისა არშიით ენქერი თეთრის დიბისა— არშიით და საშუალ ოქროს კოპლებით ქერუვიმი გამოსახული.
36. ბენდენიკი თეთრის შტოფითა არშიით.
37. საბუხრები სირმით ნაკერი ვეცხლის გვრგოლებით და მათხედ ჯვარი მარგარტისა ადგილადგილ აცვენლია.
38. ფილონი ძველის დიბისა, არშიით გაწყობილი სამ წყებად სარჩული ცისფერი ხადაგისა.
39. სტიხარი ცისფერი ჩიჩაგლუხარის დაბლის არშიით. სარტყელი ვეცხლის თავებიანი ცალი თავი წამხდარი აქუს.
40. ენქერი შავხავედზედ ნაკერი სამის ფუნჯებით.
41. საბუხრები ნაკერი სირმისა.
42. ოლარი ჩიჩაგლუხარისა ძველი.
43. ფილონი მწვანე მატერიაზედ, ნაკერი სირმით და წვრილის არშიებით სარჩულად უდევს წითელი შილა.
44. სტიხარი წითელი გრიზეთისა მოძველო არშიით.
45. ორარი ჩიჩაგლისა ჯვარებით წყობილი, სარტყელი ძველი და საბუხრები დიბისა.
46. ენქერი მატერიისა ფოჩვებითურთ.
47. ფილონი წითელი ბამბის ხავერდისა არშიებით გაწყობილი სარჩული ცისფერი ხადაგისა.
48. სტიხარი უსირმო სტოფი თეთრი არშიით სარჩული თეთრი ნარმისა.
49. ოლარი მოძველო და ვერეთვე სარტყელიც.
50. საბუხრები მწვანე გრიზეთისა გვრგოლებით.
51. ენქერი თეთრი შტოფისა არშიით გაწყობილი ფუნჯებითურთ.
52. ფილონი შავი გრიზეთისა იწროს არშიებით სარჩული მწვანე ხატგის.
53. ოლარი მისვე ფარჩისა არშიით.
54. სტიხარი მოძველო უსირმო შტოფი სარჩული შავი სადაგისა.
55. საბუხრები ატლასზედ ძაფით ნაკერი სარტყელი არა აქუს.
56. ფილონი უსირმო თეთრის ფარჩისა ძველის აშიით სარჩული ლურჯის ხადაგისა
57. სტიხარი თეთრი ატლასისა ფოთლებიანი სარჩული თეთრი ნარმისა.
58. ორარი ძველი ნაკერი საბუხრები დიბის უსარტყლო.

59. ფილონი უსირამო ფარჩისა ლურჯის შტოებითა კისერზედ ყვითლის შტოფისა აქუს ჩადგებული არშით მდაბლით სარჩული ცისფერი ზადაგითა.
60. სტიხარი ცისფერის ატლასისა თეთრის ფარჩის ქობითა არშით.
61. ორარი მოძველო და თანასწორადვე სარტყელი ვგრეთვე საბუხრებიც მის თანავე.
62. საღიაკვნო სტიხარი თეთრი სირმიანის ფარჩისა ქობა ლურჯის ზავერდისა სარჩული ლურჯი ზადაგისა.
63. საბუხრე ნაკერი სირმისა გინგილა ნაკერი სირმითვე და წითლის ადგილით.
64. მეორე სტიხარი წითელი დარაიბაფთისა თეთრის ფარჩისა ქობით სარჩული ლურჯი ზადაგისა.
65. საბუხრეები წითელი ბამბის ზავერდისა გინგილა ძველი წითელის გრიზეთისა.
66. გარდამოხსნა რუსული ტილოზედ დაზატული ახალი.

წ ი გ ნ ე ბ ი

67. ორი დიდი დაბადება.
68. ორი ჟამნი.
69. ორი დავითნი.
70. ორი სამოციქულო რუსული სტამბისა.
71. ერთი მარხვანი.
72. სამი თვისთვენი.
73. სვინაკსარი.
74. მეტაფრასი ერთი მარხვისა მეორე სხვისა.
75. ორი ზადიკი ერთი ბატონს ახლავს.
76. ერთი პარაკლიტონი.
77. დიდი საღღესასწაულო სტამბისა.
78. დიდი გულანი წლისა.
79. ერთი კურთხევანი.
80. მამა მაკარის სწავლა ეტრატზედ დაწერილი.
81. წიგნი სამართლმადიდებლო კითხვა მიგებისა.
82. ერთი სამღვდელმთავრო ტიპიკონი.
83. ვეცხლის ბუზუმეტის აშია ხუთი ალაბი.
84. დავთრები სოფოროსი რიცხვით ოცდათვრამეტი ერთი ამათგანი ყ-დ სამღვდელოსთან არის და ერთი მან თქუა თვისის სიტყვით და ნიკოლოზ გაბაონს აქუს.
85. ერთი ძველი დავთარი შვერული სობოროსი რ-ლიცა არის წარდგენილ სასამართლოსა შ-ა დასამოწმებლად.
86. ერთი ძველი საეცხური ვეცხლისა რ-ლიცა აქუს გასაკეთებლად სანაწილისა ოქრომჭედელს მამაჯანას ხ- სანაწილე გააკეთა და აქ არის.
87. სანთლის ჩამოსასხმელი თეფში სფილენძისა თავისი ჩამიჩით.
88. ერთი სპილენძის აგვარდანი ცეცხლისათვის თავის კოვზით.
89. სააიაზმე რკინისა თავის უსუპითურას ყ-დ სამღვდელოსთან არს.
90. ტრაპეზის წინ გასაშლელი წითელი შალისა.

91. ერთი დიდი სჯულის კანონი დიდი.

ხ ~ ჩ ვ ე ნ ს ხ ე ლ შ ი შ ე მ ო ს რ უ ლ ი

92. ერთი ახალი დიდი ხომლი თოთხმეტშანდლიანი.

93. ერთი ახალი სააიაზმე რუსული.

94. ერთი კურთხევანი.

95. ერთი ლოცვანი.

ამ სიით ზემორე დანიშნულნი სამკაულები ჩავაბარე იღუმენს ნიკოლოზს და კანდელაკს დავითს მე დეკანოზმა სიმეონ კანდელაკოვიმ.

ამ სიით მივიღეთ ესენი სიმეონ კანდელაკოვისაგან იღუმენმა ნიკოლოზ კანდელაკი დავით.

იანერის ლა

ჩყკვ წელთა

საკითხის შესწავლით დასტურდება, რომ აღნიშნული სია ბევრად ღარიბია ქუთაისის საკათედრო ტაძრის საეკლესიო ნივთსამკაულთა 1878 წლის აღწერილობასთან შედარებით, რაც განპირობებულია იმით, რომ ბევრი დაკარგული ნივთი მოძიებული იქნა აღნიშნულ პერიოდში (1820 - 1878 წ.წ.), ბევრი - კიდევ შექმნილი.

MERAB KEZEVADZE**DESCRIPTION OF CHURCH THINGS AND JEWELRY OF KUTAISI ST. VIRGIN ASSUMPTION (BAGRATI) CATHEDRAL IN 1826**

Kutaisi St. Virgin Assumption (Bagrati) Cathedral has always been the cathedral of bishops of Kutaisi after the blessing (1003) until its destruction (1691). Soon after the destruction during the reign of King Alexandre V of Imereti (1720-1752) the south gate of cathedral was added some parts on the east and west sides and was blessed as a church. This church became the cathedral church of restored Sakutatlo in 1759, which was later the cathedral church of the bishops of Imereti during the years of 1820-1871, until building the new cathedral church in Kutaisi.

From 1871 to 1917 it was the church of the theological school, after restoring the autocephaly in the years of 1917-1923 it became the residence church of the bishops of Kutaisi.

Few things were rescued from the ruins of Bagrati Cathedral which was the richest with church things and jewelry in the past, now they belong to the restored cathedral. Lots of things were lost during the church riot of Imereti in 1820, after imprisonment of Dositeos, the Bishop of Kutaisi.

The central archive of Kutaisi keeps the list of church things and jewelry made in 1826, January, protected in restored cathedral church., which is presented here (fund # 21, affair # 263a – spelling and style are authentic. It's the first time the document has been published and it's the oldest description of the church property, which reached our period.

After studying the case, it's confirmed that the list is much more poor than the list made in 1878, which is defined by the fact that lots of lost things were found in the period of 1820-1878 and lots of them were bought.

ირმა კვიციანი

თანამედროვე ტექნოლოგიები გუბიძის
სენტიმენტურ ბიბლიოთეკაში

წიგნი არის ინფორმაციის გავრცელებისა და გადაცემის მნიშვნელოვანი საშუალება. ცოდნის გადაცემის პირველი მეთოდი, რა თქმა უნდა ზეპირი გადაცემა იყო, თუმცა ძველი ცივილიზებული სახელმწიფოები ცდილობდნენ ინფორმაციის სისტემური მეთოდებით გადაცემას, რის შედეგადაც ნელ-ნელა დამკვიდრდა ინფორმაციის გადაცემის წერილობითი საშუალება, რომელიც გაცილებით მოსახერხებელი და უფრო სავსე იყო, რადგანაც ამ შემთხვევაში ინფორმაცია მნიშვნელოვნადაა დაცული დამახინჯებისაგან. თანამედროვე წიგნები, რა თქმა უნდა, მრავალინფორმაციულია, მაგრამ თანამედროვეობა მეტს მოითხოვს!

XX საუკუნეში ელექტრონიკის დარგში გაკეთებულმა აღმოჩენებმა ტექნიკურ რევოლუციამდე მიგვიყვანა, შეგვიცვალა ცხოვრების წესი. ქალაქებში — წიგნებში, ურბანულსა თუ გაზრდილში შენახული ინფორმაციისათვის საჭირო იყო დიდი სისტემები და ბიბლიოთეკები.

ელექტრონიკის დარგში წარმოებულმა აღმოჩენებმა საბოლოოდ კომპიუტერის გამოგონებას მიადგინა. თანამედროვე კომპიუტერს ანგარიშის გარდა, ინფორმაციის სწრაფი მოძებნა და დამახსოვრება შეუძლია. კომპიუტერი ერთ წამში გადაათვალიერებს ელექტრონული ხერხით დამახსოვრებულ მთელ ბიბლიოთეკას და ნებისმიერი წიგნის საჭირო გვერდს გიჩვენებთ.

დღეს, როცა ჩვენი საზოგადოება ინფორმაციაზეა ორიენტირებული, ბიბლიოთეკას, როგორც ცოდნისა და ინფორმაციის საცავს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ის არა მარტო საცავი უნდა იყოს, არამედ აკადემიურ გარემოში გახდეს ცოდნის გაფართოების სტიმულატორი. ბუნებრივია, ჩნდება მიზანი, რომ შესაძლებელი იყოს თანამედროვე სერვისების შეთავაზება, მრავალმხრივი და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების შექმნა, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგია.

ალბათ, ჭერ ისევ ცოცხალია უფერული, უსიამოვნო ან სევდისა და მოწყენილობის გამომწვევი განცდები მაშინ, როცა მუზეუმს ან ბიბლიოთეკას ვახსენებთ.

შეიცვალა თუ არა ვითარება საქართველოს ამ ტიპის დაწესებულებებში ძნელი სათქმელია. გააუქმბესო მხოლოდ ინფრასტრუქტურული სისტემა, განაახლო ინტერიერი, შეცვალა მომსახურე პერსონალი, არაა მსგავსი განცდების მოსპობის საშუალება, საქმეს მხოლოდ ეს არ შეეძლება. საჭიროა თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ მომენტს სიახლის ელემენტები ახლდეს თან. სწორედ სიახლეების დანერგვა ახალი ტექნოლოგიებით განსაზღვრავს თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკების ჩამოყალიბებას.

სიახლეების დანერგვის მცდელობები მთელ რიგ ბიბლიოთეკებში ნამდვილად არის. მათ რიგებში შეიძლება თამამად დავასახელოთ ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც თბილისის, ბათუმის, ქუთაისის ბიბლიოთეკებთან ერთად აქტიურად ჩაება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, მათი გამოყენებისა და ბიბლიოთეკის მოდერნიზაციის პროცესში.

ბიბლიოთეკაში 2000 წლიდან შემოტანილია კომპიუტერები. ამ დროს გაიხსნა ავტომატიზაციის განყოფილება, რომლის მიზანიც იყო გადაწყვეტი როლი ეთამაშა ბიბლიოთეკის მოდერნიზაციაში. მისი მოვალეობაა კომპიუტერული სისტემის დანერგვა და განხორციელება, ელექტრონული კატალოგის ბაზის შექმნა.

ბიბლიოთეკას აქვს ვებ-საიტი, რომლის მისამართია www.zugdidilib.ge. მთავარში წარმოდგენილია ზოგადად ჩვენი ბიბლიოთეკის შესახებ, აქვე შესაძლებელია ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული რამდენიმე ღონისძიების ვიდეო კადრების ნახვა. გვერდზე ჩვენ შესახებ მომხმარებელი გაეცნობა ამ ინფორმაციას უფრო ვრცლად, გვაქვს გვერდები, სადაც გაეცნობით ბიბლიოთეკის ისტორიას, სტრუქტურას, ბიბლიოთეკა-ფილიალებს. არის ასევე ბიბლიოთეკის ცხოვრების ამსახველი ფოტო გალერეა და საკონტაქტო ინფორმაცია. და ყველაზე მთავარი, მომხმარებელი იხილავს მკითხველის ელექტრონულ კატალოგს, (OPAC), რომლის მეშვეობითაც სახლიდან გაუსვლელად მიიღებს ინფორმაციას მისთვის საჭირო წიგნის არსებობაზე ბიბლიოთეკაში.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დანერგა ირაკლი ლარიბაშვილის ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა — (OpenBiblio ლია ბიბლიოთეკა), რომლითაც იქმნება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკარებს ჩაუტარდათ ორდღიანი ტრენინგები ამ პროგრამის ათვისებასთან დაკავშირებით. მალე დაიწყო კატალოგების შექმნის პროცესი და დღეს იგი აქტიურ ფაზაშია. მიმდინარეობს მომსახურების განყოფილებების (აბონემენტის, სამკითხველო დარბაზის, საბავშვო განყოფილებისა და ბავშვთა ოთახის) წიგნადი ფონდის კატალოგიზაცია. შეყვანილია 12 000-მდე წიგნი. დასრულდა ბიბლიოთეკის ამერიკული კუთხის წიგნადი ფონდის კატალოგიზაცია. ის, ძირითადად, გადმოწერილი იქნა სხვა ბიბლიოთეკიდან. მონაცემთა ბაზიდან, კერძოდ, აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის სერვერიდან, რომელიც მოცემულია კატალოგიზაციის მოდულის ნავიგაციის მენიუში და მარტივი დიალოგური ფორმა საშუალებას გვაძლევს სათაურით, ავტორით ან ISBN-ით ვიპოვოთ კონგრესის ბიბლიოთეკის სერვერზე სასურველი წიგნი და გადმოვიწეროთ, მხოლოდ მცირედენი შესწორება დაგვჭირდება (ჩვენი შენახვის შიფრები და კლასიფიკაცია). შესაბამისად, რადგან დამთავრებულია კატალოგიზაცია, მიმდინარეობს ცირკულაცია—მკითხველების აღრიცხვა (მათი საკონტაქტო ცნობები, ბიბლიოთეკის ლიტერატურის გამოყენების „ქრონიკა“, ასევე დოკუმენტების ანუ წიგნების გაცემის, დაბრუნების და დაჯავშნის აღრიცხვა.

ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილებაში კომპიუტერზე დაყენდა ქართული ტექსტების გამახმოვანებელი პროგრამა „ბუ2“ და „ინტერბუ“. ეს პროგრამები ეხმარება უსინათლო მკითხველებს ქართული ტექსტების წაკითხვაში, ინტერნეტით სარგებლობაში. აგრეთვე, შეიძლება, გამოყენებულ იქნას ტექსტის წასაკითხად, ასაკრეფად და ტექსტურ ფაილებთან სამუშაოდ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა შეგიძლიათ იხილოთ Facebook-ზე ასე - ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკა. გვყავს 422 მეგობარი. ძირითადად მკითხველები, დანტერესებული პირები. გვერდზე

რომ ამ მხრივ ქართული, და მთლიანად საბჭოთა პრესა საკმაოდ ჩამორჩა, რომ ჩვენში გვიან და მძიმედ შემოდის კომპიუტერიზაციის სიკეთე, რომ არა გვაქვს პერსონალური კომპიუტერები, არ არის საჭირო პროგრამები, ტექნოლოგიები, არ არის ლაზერული პრინტერი, რის გამოც ეს სტატია მატრიცულ პრინტერზე დაიბეჭდა და ასოები ამიტომ არის ცოტა მოუხეშავი. ამ ყველაფრის მიუხედავად, რედაქცია იმედოვნებს, რომ დღევანდელი ექსპერიმენტი თანდათან დაიხვეწება, ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცევა და მალე, ძალიან მალე, „სამშობლო“, მისი გამოშვების პროცესი მთლიანად იქნება კომპიუტერიზებული.

საყოველთაოდ ცნობილია კომპიუტერიზაციის უდიდესი როლი და მნიშვნელობა უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში. ეს მოვლენა უშუალო კავშირშია ენების განვითარების პროცესთან. მისი წინსვლა შეუძლებელია ერის თვითმყოფადობის გამომხატველი და ერთ-ერთი ძირითადი ნიშნის — ენის სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. და რაკი ენა ერის სულიერი სამყაროს, მისი სიმდიდრის გამომხატველი და მატიაწეა, ამიტომ უწინარესად მას უნდა გაეწიოს ანგარიში. კომპიუტერიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ენის სამსახურში უნდა ჩაღვდეს და მისი გამონატულების მძლავრ იარაღად იქცეს. მისი საზრდიანი გამოყენება მოგვეძღვოს საშუალებას, აღვადგინოთ ქართული ენის შერყეული პოზიციები, პირველ ყოვლისა, ქართულ ეროვნულ მეცნიერებაში, შემდგომ კი ქართული ენის ფუნქციონირების ყველა სფეროში.

ეს საკითხი უფრო დიდი სიმწვავეთ დგება დღევანდელ პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის განხილვა და რაკი პროგრამის მოქმედების ჩარჩოები უახლოეს ათწლეულს მოიცავს, ის ფუნდამენტურ ამოცანებს უნდა ითვალისწინებდეს. და ამ ამოცანების დღის წესრიგში დაყენება და გადაჭრა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ საკითხის ხელახლა წამოჭრა აღარ იყოს საჭირო.

დღეს მსოფლიოს ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებში, და თუნდაც ჩვენში, ენების კომპიუტერიზაციის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, ან ის მდგომარეობა, რომელიც ხუთ-ათ წელიწადში იქნება მიღწეული, შეიძლება დავახასიათოთ როგორც ენის ტოტალური, საყოველთაო კომპიუტერიზაცია. ეს კი, პირველ ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ ენის მთელი დოკუმენტირებული სფერო კომპიუტერის მეშვეობით ფუნქციონირებს. ეს ეხება როგორც საგამომცემლო საქმეს, ასევე მეცნიერული კვლევისა და სწავლების პროცესს, მთარგმნელობით საქმიანობასა და სხვ. კომპიუტერებში ჩადებულია უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია - ტექსტური მასალა, ლექსიკონები, ტექნოლოგია, ცნობარები და ა.შ. ამასთანავე, მთელი ეს ინფორმაციულ-პროგრამული პროდუქტი მოქმედებს როგორც ერთიანი ინტეგრალური სისტემა, რითაც მისი ძლიერება და ეფექტურობა კიდევ უფრო მატულობს. უახლოეს პერიოდში ფართო გაქანება მიეცემა ეგრეთ წოდებული ხელოვნური ინტელექტის სისტემებს და სხვა.

მართალია, ჩვენს ქვეყანაში მიღწეული პრაქტიკული შედეგები ასეთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური არ არის, მაგრამ პრობლემის ტექნოლოგიური და მეცნიერული კვლევისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების თემატიკა და მოცულობა არცთუ ხელწამოსაკრავია. თუმცა კი მნიშვნელოვან გაფართოებას მოითხოვს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების კომპიუტერიზაციის პრობლემებს გასული 5 წლის განმავლობაში მიეძღვნა ორი საკავშირო კონფერენცია, რომლებშიც მონაწილეობდა რამდენიმე ათეული მეცნიერული კოლექტივის ასობით წარმომადგენელი. ჩატარდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების კომპიუტერიზაციისადმი მიძღვნილი ორი საკავშირო თათბირი. მათ შორის პირველი თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბაზაზე (თათბირის მასალები გამოქვეყნებულია). ამ ფორუმზე შემუშავებულია ეროვნული ენების კომპიუტერიზაციის ვრცელი გეგმა. მათ შორის ქართული ენის კომპიუტერიზაციის პროგრამა, რომელიც მისი სრული ზომით და დროულად განხორციელების შემთხვევაში საშუალებას მოგვცემს, მნიშვნელოვნად შევამციროთ ჩვენი ჩამორჩენა ამ სფეროში. ამასთანავე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციის ცენტრი, ენათმეცნიერებისა და ხელნაწერთა ინსტიტუტებთან ერთად, დაგვემოძიოს იბერიულ-კავკასიური ენების კომპიუტერული ფონდების შექმნის წამყვან დაწესებულებად. ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე დამყარებულია კონტაქტები ჩრდილოეთ კავკასიის სათანადო რეგიონულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და დასავლეთ ევროპის რიგ უნივერსიტეტებთან.

ახლა კი მოკლედ იმ უმთავრეს სამუშაოთა შესახებ, რომლებიც შესრულდა, მიმდინარეობს ან დაგეგმილია ქართული ენის კომპიუტერიზაციის მიმართულებით. ასეთი სამუშაოები უკვე ამ ათწლეულის პირველ ნახევარში დაიწყო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვა. კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრში შეიქმნა “ვეფხისტყაოსნის” ტექსტის ბანკი; მართვის სისტემების ინსტიტუტში შექმნილია ქართულ-რუსული თარგმნითი პროცესორი და ტექსტური ინფორმაციის ლინგვისტატისტიკური სისტემა (ი. ორლოვი, ი. ნადარეიშვილი).

გასული სამი-ოთხი წლის განმავლობაში მუშაობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა:

მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციის ცენტრმა, ხელნაწერთა, ენათმეცნიერებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებმა ერთობლივად შეიმუშავეს “ქართული ენის კომპიუტერული ფონდის” კონცეფცია. ამ კონცეფციის ფარგლებში იქმნება კომპიუტერული, პროგრამული და ინფორმაციული კომპლექსი, რომელსაც შეეძლება ფართო მასშტაბის სამეცნიერო, საინფორმაციო, სასწავლო და საერთოდ კულტურული ფუნქციების შესრულება და უმთავრესად ორიენტირებულია მასობრივი პერსონალური კომპიუტერების გამოყენებაზე. ამასთანავე, ქართული ენის კომპიუტერული ფონდი სისტემატურად დაკავშირებული და გადაჭაჭვულია ისეთ საინფორმაციო სისტემებთან, როგორცაა ბიბლიოგრაფიული, რეფერატული, ისტორიული ფაქტოგრაფიის, არქეოლოგიური, დემოგრაფიული, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა სისტემები, რითაც იქმნება ერის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი უნიკალური კომპიუტერული კომპლექსი.

დღესთვის უკვე შექმნილია იაკობ ხუცესის “მუშანიკის წამების” (თ. მარგინი, ნ. ვნუქიძე, თ. ზალდასტანიშვილი) და ილია ჭავჭავაძის “ოთარაანთ ქვრივის” (ლ. ბინიაშვილი, მ. აშაძე, ქ. დათუაშვილი) სრული ტექსტების ბანკი; აგრეთვე, გენერალური კომპიუტერული ლექსიკონის ფრაგმენტი ამ

ტექსტებისათვის. ეს ლექსიკონი მნიშვნელოვნად განსხვავდება ყველა სხვა ტრადიციული ლექსიკონისაგან, მასში მოცემულია ყველაზე დაწვრილებითი ცნობები არა მარტო სიტყვის შესახებ, არამედ სიტყვის შემადგენელ ერთეულთა შესახებაც, და უფრო მეტიც: “მორფოლოგიური პროცესორის” (ნ. ველიაშვილი) მეშვეობით მას აქვს თვითშევისების შესაძლებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპიუტერი თვითონ ცდილობს ლექსიკონში შემოსული ყოველი ახალი სიტყვის ანალიზს, მისი შემადგენელი ნაწილების დადგენასა და ბოლოს მათ კლასიფიცირებას. ამ სამუშაოს ერთ-ერთი ინიციატორია აკადემიკოსი ელენე მეტრეველი.

პარალელურად მიმდინარეობს, მუშაობა ქართული ენის “სინტაქსური პროცესორის” შექმნაზე (ლ. ენუქიძე). “სინტაქსური პროცესორის” ამოცანაა ტექსტის სინტაქსური ანალიზი, წინადადების წვერთათვის სინტაქსური მახასიათებლის ავტომატური მიწერა და მათი ლექსიკონში გადატანა.

ამას გარდა, მუშავდება “ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონის” კომპიუტერული ვერსია და მრავალდარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონი (თ. მღებრიშვილი, ნ. ბურჭულაძე), აგრეთვე ტექსტებისა და ლექსიკური მასალის ლინგვისტატიკური პროცესორი. მიმდინარეობს მუშაობა მეგრული ტექსტების ანალიზზე (კ. გაბუნია). უკვე შექმნილია ფრაგმენტი იბერიული-კავკასიურ ენათა ენციკლოპედიური აღწერისთვის. ეს სისტემა მჭიდრო კავშირშია ყველა სხვა საინფორმაციო სისტემასთან, რომელიც მოქმედებს “ქართული ენის კომპიუტერული ფონდის” ფარგლებში.

ქართული ენის კომპიუტერული ფონდის ზემოჩამოთვლილი ქვესისტემები გარკვეულ ნაბიჯს წარმოადგენენ აგრეთვე ქართულიდან და ქართულად კომპიუტერული თარგმნის სისტემების შექმნის გზაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე იქმნება ქართული ენის მანქანური ფონდი რიგი ლექსიკონის შემცველობით.

რა თქმა უნდა, ყველა ეს სამუშაო ერთბაშად არ შესრულებულა. ამ სამუშაოთა ასეთი ფართო მასშტაბით გაშლის წინაპირობას წარმოადგენს რამდენიმე სისტემა, რომლებიც შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციის ცენტრში.

პირველი კომპიუტერული საინფორმაციო სისტემა, რომელიც ქართული მეცნიერული აზრის საგანძურად შეიძლება მივიჩნიოთ, გახდა დოკუმენტური, ანუ ბიბლიოგრაფიული ბანკი. ამ ბანკის შექმნა დაიწყო ჯერ კიდევ 1979 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის მიერ (თ. გოგიშვილი, ნ. ოქრუაშვილი). აქ თავმოყრილია საქართველოში საზოგადოებრივი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში ქართულ, აფხაზურ, ოსურ, რუსულ და სხვა ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, რეფერატები ან ანოტაციები და საძიებო ტერმინები თუ კოდები.

მომზადებისთვის უფრო ხელმისაწვდომი რომ გამხდარიყო, ინფორმაცია პარალელურად ქართულ და რუსულ ენებზე, ამიტომ მისი გამოყენება შეუძლიათ საქართველოს ფარგლებს გარეთაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ინფორმაციის სტრუქტურა და ფორმატი შეესაბამება საბჭოურსა და საერთაშორისო სტანდარტებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში შექმნილია ამ სისტემის მიკროკომპიუტერული ვერსიაც და მისი ინფორმაციით შევსებას შეუდგა ხალხთა მეგობრობის მუზეუმი (რ. მირიანაშვილი).

ამჟამად დაწყებულია მუშაობა, აგრეთვე, ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მრავალი ათასი ხელნაწერის აღწერილობის კომპიუტერული კატალოგის შექმნისათვის. კატალოგში იქნება ცნობები ხელნაწერის ავტორის, შინაარსის, შექმნის თარიღის, მისი ისტორიის, მასალის, დაცულობის, ილუსტრაციებისა და სხვათა შესახებ. ამას გარდა, ხელნაწერთა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტები ინფორმაციის ცენტრთან ერთად მუშაობენ ქართული სამართლის ძეგლების შინაარსობრივი აღწერილობის ბანკის შექმნაზე (მ. სურგულაძე, თ. აბაშიძე, გ. ბერაძე, გ. ჟორჯოლიანი).

საქართველოში გამოცემული მეცნიერული ლიტერატურის შესახებ არსებული ინფორმაცია და აგრეთვე ინფორმაცია საქართველოს გარეთ არსებული იმ დოკუმენტებისა, რომლებშიც ასახულია საქართველოსა თუ ამიერკავკასიის საკითხები, თავმოყრილია მოსკოვშიც, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტში. ამ მასალის შევსება და მოხმარება ხდება ტელეკომუნიკაციური ქსელის მეშვეობით.

ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა მრავალფეროვან არქეოლოგიურ მასალაშიც აისახა. მისი სიმრავლე სირთულეებს უქმნის არქეოლოგებს მასალის დამუშავებისა და სისტემატიზაციის პროცესში. სწორედ ამიტომ, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ინიციატივით, 1981 წლიდან ინფორმაციისა და არქეოლოგიის ცენტრებმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან ერთად დაიწყეს არქეოლოგიური და სამუზეუმო ინფორმაციის კომპიუტერიზებული ბანკის შექმნა. ამჟამად უკვე მუშავდება ინფორმაცია ჭურჭლის, ნუმიზმატიკური მასალისა და პალეოლითური იარაღის შესახებ (ი. გაგაშიძე). დამყარებულია მჭიდრო თანამშრომლობა უმსხვილეს საბჭოთა არქეოლოგიურ ცენტრებსა და მუზეუმებთან.

არქეოლოგიური და სამუზეუმო ინფორმაციის კომპიუტერიზებულ ბანკში ყოველი საგნის შესახებ აღწერილია ცნობები მისი დაცვის აღმოჩენის ადგილისა და თარიღის, ზომების, დეკორის, მასალისა და სხვა მახასიათებელთა მიხედვით. ეს კი საფუძველია მრავალასპექტიანი მუშაობისათვის.

თუ არქეოლოგიური და სამუზეუმო ინფორმაციის ბანკში დაცული მასალა ნივთიერ კულტურასთანა დაკავშირებული, ისტორიული ფაქტოგრაფიის ბანკში დაცულია ის ცნობები, რომლებიც უპირატესად მრავალსაუკუნოვან ქართულ ხელნაწერებშია მოხსენებული. აქ აისახება ინფორმაცია პირთა, მოვლენათა, ადგილთა, საგანთა, არქიტექტურულ ძეგლთა, სახელმწიფოთა და ეთნოსთა შესახებ. ამ ბანკის შექმნაში მონაწილეობენ ისტორიისა და ხელნაწერთა ინსტიტუტები, ხალხთა მეგობრობის მუზეუმი და ინფორმაციის ცენტრი (მ. დუმბაძე).

მსგავს სისტემას ქმნის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიც, მაგრამ მხოლოდ არქიტექტურული ძეგლებისას. ყოველი ძეგლის შესახებ კომპიუტერებში დაცული იქნება არა მარტო ფაქტოგრაფიული ხასიათის აღწერები, არამედ ძეგლის ვიდეოგამოსახულებაც;—ფაქტობრივად შეიქმნება ქართულ ზღოროთმოდგერულ ძეგლთა სრული ვიდეოგა. ამ სისტემის ბაზაზე

აიგება ქართული კულტურის კომპიუტერული სასკოლო სასწავლო კურსიც (თ. დევიშვილი, თ. დვალი).

ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა, რომელიც უახლოეს ხანში უნდა გადაიჭრას, ესაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობისა და სტამბის აღჭურვა უახლესი კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი პროგრამულ-ინფორმაციული სისტემებით, რომლებსაც ეწევათ მრავალფეროვანი, ლაბაზი და ეკონომიური ქართული შრიფტი. ეს, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად გააძვირებს და დააჩქარებს ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვებას, მეორე მხრივ კი, შეავსებს სრული ტექსტის ბანკებს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ გზით გამარტივდება ხელახალი თუ შესწორებულ-შეესებული გამოცემების განხორციელება.

ამ პრობლემის გადასაჭრელად უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო საბჭოს თანამშრომლები და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბის დირექტორი რევაზ გრიგოლია მუშაობენ კომპიუტერით ტექსტის სწრაფი მოშადებისა და მისი საბეჭდ მანქანაზე გადატანის საკითხებზე.

ყველა ის საინფორმაციო ბანკი, რაც გაერთიანებული იქნება ზემოხსენებულ სისტემაში, იძლევა საშუალებას ერთი რომელიმე საკითხის შესახებ არსებული ინფორმაცია შევავსოთ სხვადასხვა ბანკიდან. ვთქვათ, თუ ტექსტში შეგვხვდა "სვეტიცხოველი", ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ სრული ინფორმაცია მისი არქიტექტურის, ისტორიის, აღმშენებლის, დღევანდელი ფუნქციონირების, გეოგრაფიის, მასთან დაკავშირებულ პირთა, თარიღთა, ამ სიტყვის შემცველ ტექსტთა ყოველმხრივი ანალიზის შესახებ. ვნახავთ ვიდეოინფორმაციასა და სხვა. ამ ცნობების ამოკრება მოხდება სხვადასხვა საინფორმაციო ბანკიდან ავტომატურად საძიებო ოპრაციების ჩატარებით.

მნიშვნელოვანია და ამიტომ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაო სრულდება საკუთრივ საზოგადოებათმცოდნეთა და ჰუმანიტართა მიერ, რომლებმაც უმოკლეს ვადაში შეისწავლეს და შემოქმედებითად იყენებენ კონპიუტერულ ტექნიკასა და პროგრამულ სისტემებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ათზე მეტი სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელთაგან შეიქმნა ერთუზიასტ კონსტრუქტორთა ჯგუფი, რომლის წევრები უმთავრესად საზოგადოებრივ საწყისებზე ასრულებენ დიდი მოცულობის რთულ სამუშაოს.

"ქართული კულტურის კომპლექსური კომპიუტერული ბანკის" შექმნაში მრავალი დაწესებულება და სპეციალისტი მონაწილეობს. ამ სამუშაოს სათავეში უდგას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ალბერტ თაყაიშვილი. მისი მითითებით შეიქმნა გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი. საბჭო მოწოდებულია კოორდინაცია გაუწიოს ყველა შესაბამის სამუშაოს.

ბოლოს, გვინდა მადლობა მოვახსენოთ გაზეთ "სამშობლოს" რედაქციას, რომელმაც მოგვცა საშუალება ჩვენი ზოგიერთი ჩანაფიქრი პრაქტიკულად განგვეხორციელებინა მის ფურცლებზე ექსპერიმენტის სახით.

აქვე გვინდა "სამშობლოს" მეშვეობით მივმართოთ უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსა და ქართველოლოგებს, მონაწილეობა მიიღონ "ქართული კულტურის კომპიუტერული საგანძურის" (თეზაურუსის) შექმნასა და განვიითარებაში.

ლიტერატურა

კავკასიურ ენათა ხმოვანთა სიგემის კომპიუტერული ბანკი, სტაგია, თსუ axalcixis filialis შრომები, 2000 წ., ახალციხე, ქართულ ენაზე, 41 - 44.

Абхазский язык, Отдельное издание, 2001, Тбилиси, На русском языке, 1 - 14.

Компьютерное описание Иберийско – кавказских языков, Монография, Компакт – диск (тиражирование НПБ), Грузии, 2001, Тбилиси, На русском, английском и грузинском языках, 300 Мб.

Компьютерная Энциклопедия Иберийско – Кавказских языков (Рабочая модель), Тезисы Международная конференция по библиотековедению, 2000 г., Крым, На русском языке, 468 – 469.

Некоторые вопросы диалектологического деления сванского языка, Тезисы, Конференция посвященная 110 летию Н. Трубецкого, 2000 г., Москва, На русском языке, совместно с И. Чантладзе, 83.

Некоторые аспекты развития компьютерной энциклопедии по кавказоведению, Тезисы, Конференция посвященная 110 летию Н. Трубецкого 2000 г., Москва, На русском языке, совместно с И. Рахмаковой, 47.

Новелла Г. Робакидзе о Шамиле – реальность и фантазия, Статья, Чвени мцერლობა, № (еженедельное литературное обозрение), 2001, Тбилиси, ქართულ ენაზე, 10, (0,3 п.л.).

Поисковая компьютерная система административных единиц Кавказа (База данных), Статья, Кавказский вестник, № 1, 2001, Тбилиси, На русском языке, 216 – 228.

Поисковая компьютерная система административных единиц Кавказа (Расширенный проект Базы данных), Расширенный проект Базы данных, Компакт – диск (тиражирование НПБ) Грузии, 2001, Тбилиси, На русском и английском языках, 2 Мб.

Проект создания базы данных грамматического описания картвельских и кавказских языков, Тезисы, Конференция посвященная 110 летию Н. Трубецкого, 2000 г., Москва, На русском языке, 47 – 48.

Проект создания Базы Данных по статистике и картографии Кавказа, Статья, Кавказский вестник, № 2, 2001, Тбилиси, На русском языке, 275 – 277.

Россия – Кавказ: Новые издания – взгляды (анализ изданий Фонда им. А. Сахарова), Статья, Чвени мцერლობა, № (еженедельное литературное обозрение), 2001, Тбилиси, ШАТИЦლ Дნაჟდ, 10(0,2 п.л.).

Система гласных Иберийско – кавказских языков (компьютерное описание), Статья, Кавказский вестник, № 3, 2001, Тбилиси, На русском языке.

Статистические данные кавказа в российских периодических изданиях XIX и начала XX века, Тезисы, Международная конференция по библиотековедению, На русском языке

Computer Encyclopedia for Caucasian Studies (Ibero – Caucasian Languages), Тезисы, X Международный коллоквиум Кавказоведов Европы, 2000 г., Мюнхен, На русском языке.

Computing Thesaurus of the Ibero-Caucasian Languages Тезисы Конференция: Иберийско – Кавказские языки с типологической точки зрения, 1988 г., Тбилиси На английском языке, совместно с В. Гутушвили, 93 – 94.

VLADIMER KIKILASHVILI

FIRST STEPS ON HARD WAY

Computerization program of humanitarian and social sciences was made in 80s of XX century, by the informational centre of the academy of sciences. The chairman of computerizing board was Dr. N. Amaglobeli the former rector of Tbilisi State University.

Computerizing has a significant role in the circumstances of new scientific-technical progress. This occasion is in direct contact with the process of the language development. Computerizing should do the favor to languages and become the strong weapon of its expression. The reasonable usage of it, is the supporting facility of developing Georgian national science.

In the period of Soviet Union two inter union conferences were dedicated to the problems of computerization. The informational centre of the scientific academy of Georgia formed the large plan of computerization of Georgian language. Also, forming the computerized funds of the languages of Iberia and Caucasus is planned.

In this direction the text banks of “Vepkhis Tkhaosani” (tiger skinned), “Shushanikis Tsameba” (torture of Shushanik), “Otarant Kvrivi” (Otarant widow), and Georgian-Russian translating processor.

During last years the work became significantly wider – informational centre of scientific academy, institutes of manuscripts, linguistics oriental studies made the general conception of “computerized fund of Georgian language”, which supports to create computer, programming and informational complex, which will be able to have the scientific, studying and cultural functions in a large scale. Working on “Syntactic processor of Georgian language” and “Georgian-Russian dictionary of phrases” is in a process.

Computerized system-documental or bibliographic bank is considered to be the treasure of Georgian scientific idea.

One of the actual problems, which should be solved is equipment the print house of scientific academy with new computer technology and appropriate informational systems.

მარიამ კობერიძე

უზრემ მცირის ერთი ავტობიოგრაფიული ანოტირებული თხზულების მორფოლოგიური თავისებურებანი

როგორც ცნობილია, ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს XI საუკუნის გამოჩენილ ქართველ გამომეტყველს, მეცნიერს, საეკლესიო მოძღვარსა და ქართული სიტყვის დიდოსტატს გიორგი მთაწმინდელს. მან დიდი ამაგი დასდო ჩვენი მწერლობის თითქმის ყველა დარგს: სამი ათეული წელი სათავეში ედგა შავი მთისა და ათონის ივერიის მონასტერთა ლიტერატურულ სკოლებს, ხუთი წელი ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოში მეფე ბაგრატ მეოთხის მზრუნველობით. გიორგი მთაწმინდელის სახელი უფრო განდიდდა მისი სიკვდილის შემდეგ: ბიბლიურ წიგნთა მისიერი ქართული თარგმანები, აგრეთვე დიდი "სვინაქსარი", "პარაკლიტონი" და "თუენი" აღიარებულ იქნა კანონიკურად და საფუძვლად დაედო ქართული ეკლესიის საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით დაიწერა საგალობლები, რომლებიც სრულდებოდა ეკლესიებში მისი ხსენების დღეს - 30 ივნისს (ივ. ლოლაშვილი, 1982, გვ. 28).

ათონურ ხელნაწერებში აღმოჩნდა თექვსმეტმარცვლიანი სახობო ლექსი, რომელიც თან ერთვის გიორგი მთაწმინდელის მიერ 1057-1060 წლებში შავ მთაზე სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში ნუსხახუცურად გადაწერილი "პარაკლიტონის" №45 ნუსხას. დაწერილია ხელნაწერის უკანასკნელი ფურცლის ერთ გვერდზე ორ სვეტად, წვრილი ნუსხახუცურით (კიდურწერილობა მრგვლოვანია), სულ 72 ტაეპია (თითო სვეტი შეიცავს 36 ტაეპს) და ორივეს აქვს საკუთარი კიდურწერილობა; ფურცელი დაზიანებულია, თითქმის არ იკითხება, მის მარჯვენა და მარცხენა კიდეებზე მოთავსებულია ასოები, ზოგჯერ სიტყვებიც. ტექსტი მიკროფილმებზე მოჩანს მკრთალად და მისი გაშიფრვა ძლიერ ჭირს. არ აქვს ზედაწერილი (სათაური). ხოლოდ შინაარსისა და კიდურწერილობის მიხედვით შეიძლება გავარკვიოთ, რომ თხზულებაში შექმნილია გიორგი მთაწმინდელი, მთარგნელი "პარაკლიტონისა" (ივ. ლოლაშვილი, 1982, გვ. 31).

ხელნაწერის ისტორიულ-ლიტერატურული და პალეოგრაფიული ანალიზიდან ირკვევა, რომ თხზულების ავტორია გიორგი მთაწმინდელის მოწაფე ეფრემ მცირე, რომელიც მოღვაწეობდა შავ მთაზე, სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში, სადაც ეს "პარაკლიტონი" არის თარგმნილი და გადაწერილი. "შესხმა" ჩვენამდე მოღწეულია ავტოგრაფის სახით (ე. მეტრეველი, 1959, გვ. 115-125). თხზულება დაწერილია გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების შემდეგ (არაუადრესი თარიღი 1065 წელი). ეს ირკვევა შემდეგი გამოთქმებიდან: "აღმკვდრდი შენ ეტლთა თანა ელიასებრ სიწმინდითა". აქ იგულისხმება ელია წინასწარმეტყველის ზეცად ასვლა (IV, მეფთა 2,8-15), რასთანაც შედარებულია გიორგის გარდაცვალება (ელიასებრ ზეცაში ამხელრება). მეორეგან ეფრემი ამბობს: "ბუნებით მიწისაგათა ახვალ ზეცად და

გვწოდებ” ე. ი. შენ, ბუნებით მიწა, ზეცაში ადინარ და ჩვენც გვიზმოზო (ივ. ლოლაშვილი, 1982, გვ. 31).

როგორც ირკვევა, ეფრემ მციერს ტექსტი თავისი ხელით ჩაუწერია “პარაკლიტონის” იმ ავტოგრაფიულ ნუსხაში, რომელიც ინახებოდა სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში. ეს ნაწარმოები შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილს თავსა და ბოლოში აქვს: “ნეტარებით იქები შენ ნათესავთა ყოველთაგან”, მეორე ნაწილს – თავსა და ბოლოში: “იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან, გეორგი”. პირველი ნაწილის ტაეპებს შინაარსობრივად ავსებენ მეორე ნაწილის რიგითი შესატყვისი ტაეპები:

“ნეტარებით იქები შენ ნათესავთა ყოველთაგან -
 იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან, გეორგი!
 ენაჲ შენი ბრწყინვალე არს, ვითარცა რაჲ მზე ელვარე,
 ოხრის გული შენი ზღუეებრ, შენ ახალ ოქროპირო”.

“შესხმა გეორგი მთაწმინდელისა” (დასათაურება ეკუთვნის ივ. ლოლაშვილს) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ მომზადდა ნიადაგი ძველი ქართული სალიტერატურო ენიდან ახალ ქართულ სალიტერატურო ენამდე.

საანალიზო მასალად ვიყენებთ ეფრემ მციერის ავტოგრაფიული პოეტური თხზულების ტექსტს, რომელიც გამოქვეყნდა ივანე ლოლაშვილის მიერ ათონის სამწერლობო ცენტრის დაარსებიდან 1000 წლისთავთან დაკავშირებით. მას წინ უძღოდა იმავე ავტორის მნათობში დაბეჭდილი წერილი “მე-11 საუკუნის უცნობი პოეტური თხზულებანი. ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციიდან” (№4-№5, 1982).

ა-ზე გათავებულ სახელებსა და საწყისებს შენარჩუნებული აქვთ სახელობითი ბრუნვაში ბრუნვის ნიშანი: “ენაჲ შენი” (29); “ვითარცა რაჲ ელემი ხარ” (29); “ძალი დამასკისაჲ” (29); “მისვლაჲ” (29); “ნუგუშისცემაჲ” (29).

ო-ზე გათავებულ ფუძეებთან არ გვხვდება სახელობითი ბრუნვის ნიშანი, აქ **ა** უკვე დაკარგულია: “ღვნი ურწყულ” (29); “წყარო ქმნილ ხარ” (30); “ყავ წყარო ტკბილ” (29). თუ შევუდარებთ ამ შემთხვევას “გეორგი მთაწმინდელის ენას”, **ა** მკვიდრია ო-ს შემდეგ (ა. შანიძე, 1946, გვ. 72).

თანმშობანფუძიანი სახელები სახელობითი ბრუნვაში ფუძის სახით დასტურდებიან: “ტაძარ ღმრთისა დამტევენლად იქმენ მართალ და ჭეშმარიტ” (29); “მტერისათა კარ ექმენი” (29); “გუყვენ შვილ ნათლის და თანა ნერგ” (29). აღნიშნულ მოვლენას კვეცად მიიჩნევს ა. შანიძე და თვლის, რომ “ეს გაგრძელებაა უფრო ადრინდელი ძეგლების ჩვენებისა” (ა. შანიძე, 1946, გვ. 69).

მთლიანად შენახულია მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -**მან**: “ხიმრავლემან ტლანტამან” (30); “ლიბანისა დიდებამან” (30); “მახვლწუდილმან მოძღურებითა” (30).

ძველ ქართულში ჩვეულებრივია სიტყვის შეკუმშვა, რაც ხმოვნის ამოღების ვაგო ხდება. “ხმოვანთაგან შეიძლება ამოღებული იქნეს **ა** და **ე** და სიტყვა ერთი მარცვლით შემტკიცდეს (სინკოპე): მართალი – მართლისა; სოფელი –

სოფლ-ისა; სენ-ი – სნე-ულ-ი და მისთ” (ა. შანიძე, 1976, გვ. 27). თხზულებაში დასტურდება კუმშვის შემდეგი შემთხვევები: “ტაძარ **ღმრთისა** და მტევნელად” (29); “ერთა თანა **ნათლისათა** გიგალობენ” (29); “შენ წინაშე **ღმრთისა** მისისა” (29); “**ნათლად** კაცთაგან გაჩინა” (30).

ეფრემ მცირე იყენებს როგორც სავრცობიან, ისე უსავრცობო ფორმებს. ემფატიკური ხმოვნის ხმარება ჩვეულებრივია მხოლოდითი რიცხვის **მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით** ბრუნვებში და **თანთან** მრავლობითში: “**ხიმაღლითა ფინიკსა ენგადისახა**” (29); “**მიწინადათა** ახუალ ზეცად” (29); “**აღსთობილი სიმაღულისადათა**” (29); “თავთა თანა **მოწაფეთა**” (29); “**შენ მრავალთა მტერისათა**” (29); “**აღესწორე სიმაღლითა ფინიკსა ენგადისახა**” (29); “**თულთა შენთა**” (29); “**ნათესავთა** ყოველთაგან” (29).

უსავრცობო ფორმების არსებობა ეფრემ მცირესთან მკაფიოდ არის გამოხატული: “**ძლიერებით** აღსდექ” (30); “**ნეფხით თხხით** მოეგებნეს” (29); “**მომრწყველი ხარ თარგმანებით**” (29); “**ნეტარებით** იქებები” (29).

სამეცნიერო ლიტერატურაში უსავრცობო ფორმების არსებობას უფრო ადრინდელ მოვლენად მიიჩნევენ (ა. შანიძე, 1946, გვ. 40). ეს პროცესი მიუთითებს იმაზე, რომ “თა დაბოლოებიანი სახელი მკვეთრად ვერ გამოხატავს მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციას, ამიტომ ძველ ქართულში დაწყებულია, რომ –ით დაბოლოება დართოდა მას გამოსვლითი ფუნქციის გამოსახატავად” (ა. შანიძე, 1976, გვ. 40). ეს მოვლენა ცოცხალი მეტყველების ამსახველია (ზ. სარჯველაძე, 1993, გვ. 33).

როგორც ცნობილია, “ძველ ქართულში ნარ-თანინი მრავლობითი რიცხვი ჩვეულებრივია და ფრიად გავრცელებული, ებ-იანი კი უფრო იშვიათია” (ა. შანიძე, 1976, გვ. 31). ეფრემ მცირე უფრო იყენებს ნარ-თანინი მრავლობითი რიცხვის ფორმებს: “**მომეგებნეს ჰირგეულნი**” (29); “**ჩჩულნი ყრმანი**” (29); “**დაამხუენი ზღუდენი**” (30); “**იქმენ ქვათა** მეძიებელ” (29); “**თვალთა შენთა მდინარენი ზღუდენია** მოსწავებით” (29).

ებ-იანი მრავლობითის გამოყენების მხოლოდ ორი შემთხვევა შეინიშნება: “**აღმამაღლე ფრთეებითა** განცდისადათა” (29); “**მოწაფეთა** მომრწყველი ხარ **თარგმანებით**” (29).

ძველ ქართულ ენას ახალი ქართული ენისაგან განსხვავებით მოეპოვებოდა ნაწევარი. “ნაწევრად ძველ ქართულში იხმარებოდა სამი სიტყვა, წარმოშობით სამივე ჩვენებითი ნაცვალსახელი: ესე, ეგე, იგი” (ა. შანიძე, 1976, გვ. 30). დასტურდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ნაწევარი მოსდევს სახელს: “**კაცი ეგე** განღმრთობადი” (29); “**ორთქლი იგი** დანაწრედი” (29); “**ქებაჲ ეგე** ნათესავთაჲ იწოდები ღმრთისა” (30); “**დაამხუენი ზღუდენი იგ**” (30).

ეფრემ მცირე სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების ხმარებისას მისდევს ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს. თუმცა, არის შემთხვევები მათი დაკლების ან ზედმეტად ხმარების. არ შეინიშნება **ხ – ჰ** პრეფიქსები ხმოვნების წინ: “**ახუალ ზეცად**” (29); “**ინიშნე** შენ პირველითგან თუთ მნათობი სახილველი” (29); “**გულსა ჩემსა მოეც**” (30).

დაკარგულია მეორე სუბიექტური პირის ნიშანი **ჰ**: “**ჩჩულნი ყრმანი** მოსრნე” (29). აკლია III სუბიექტური პირის ნიშანი **ხ**: “**მადლი შენი გარე მოადგ**” (30). სრულად არის დაკლებული III სუბიექტური პირის ნიშანი **ა** და II

ირიზობიექტური პირის ნიშანი გ: “ნელსაცხებლად **შეგიომოა** ლიბანისა დიდებამან” (30). ასევე სრულად არის დაცული მრავლობით რიცხვში III სუბიექტური პირის ნიშანი **ენ** და II პირდაპირიბიექტური პირის ნიშანი **გუ**: “რომელმანცა **განგუათოვლენ**” (30).

როგორც საენამოცენიერო ლიტერატურაში აღნიშნული, “პირდაპირი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვი ასახულია იმ შემთხვევაში, თუ ზმნა II სერიის მწკრივში დგას და მასთან შეწყობილი პირდაპირი ობიექტი ნაჩიან მრავლობითშია: მისი ნიშანია **ენ** ან **ნ**, მიღებული ე ხმოვნის ამოღებით” (ა. შანიძე, 1976, გვ. 66). ხელნაწერში დასტურდება პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ასახვის შემთხვევები ზმნის ფორმაში: “თანადგომით **დაამხუნენი ზღუდენი** იგი” (30); “აჰა, ძალი დამასკისა **მენ წინაშე მომიათნა**” (30); “**გუაკურთხენ** ჩუენ სიხარულით, **გუყვენ** შვილ ნათლის” (29); ეკლესიან შეამკენი“ (30).

პარალელურად გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა არ არის ასახული ზმნის ფორმაში: “გლახაკისა შვილისაგან **მიითვალე**” (30).

თხზულებაში შეინიშნება ტმესის ერთი შემთხვევა, როდესაც ზმნისწინა და ზმნას შორის ჩასმულია **ლა** ნაწილაკი: “შენ მრავალთა მტერისათა კარ ექმენი და **ლა-ლა-ჯარშ**” (29). ტმესის შემთხვევა უპირო ფორმებთან არ დასტურდება.

ავტორი იყენებს როგორც ძველი (გან, აღ, აღმა...), ისე ახალი ქართულისათვის დამახასიათებელ ზმნისწინიან (გა, შე, და, მი, მო) ფორმებს: “**აღმგედრდი** შენ ეტლთა” (29); “ეგვპტისა ბილწსა ბნელსა **განაქარებე**” (29); “**აღესწორე** სიმაღლითა ფინიკსა ენგადისასა” (29); “**აღმაფრინე, აღმამალღე** ფრთებითა განცდისაათა” (29); “**ნუ დაჰფარავ** რწმუნებულსა” (29); “სიბრძნით ძალი გარე **შეპარტყ**” (29); “**მიახლებამ** ხედავად ღმრთისად” (30); “**ნუ გეშინინ** **მისვლამ** შენი მთით სიონით” (29); “**გაჩინა** იწროებით ცხოვრებამან” (30).

ვერემ მცირე თავისი აზრის გადმოსაცემად ხშირად იყენებს მოქმედებითი გვარის ზმნებს წყვეტილის მწკრივის ფორმით: “გლახაკისა **მიითვალე** და **დამადგე**” (29); “**აღმაფრინე, აღმამალღე**” (29); “**დამახუნენი**” (29) I თურმეობითის ფორმით იხმარება ზმნა — “**მიმაწიე**” (29), სადაც **-იე** I თურმეობითის ნიშანი უნდა იყოს.

ხელნაწერში დასტურდება პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები. ი პრეფიქსიანი ვნებითი: “იქები შენ ყოველთავე” (29). ენ სუფიქსიანი ვნებითი: “შორს **იქმენი**” (29); დონიანი ვნებითი: “ერთგულებით **განძლიერდი**” (29). საინტერესოა ვნებითი გვარის ზმნები: “**დიდებულ ხარ**” (29); “**მომრწველი ხარ**” (29).

როგორც ცნობილია, ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლის ნიშნულები Xs-ის ძეგლებში იშვიათად გვხვდება. გ. მთაწმინდელის თხზულებაში ეს მოვლენა უფრო წინ არის წაწეული: “ნათლად ჩანს, რომ დაწყებულია ზმნისწინის მიერ მოპოვებული მაპერფექტულებელი ძალისა და ამ ნიადაგზე I სერიის სამი ძველი მწკრივისაგან ახალი მწკრივების გამოყოფა: ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის წრის მწკრივებად მიდის, უზმნისწინო კი აწყმოს წრისად” (ა. შანიძე, 1946, გვ. 75). ეს პროცესი საყოველთაო მოვლენაა XI საუკუნეში და ეფრემ

მცირესთან კიდევ უფრო მკვეთრად არის გამოხატული: “ამას **მევსწერ** სურვილი შენ წინაშე ღმრთისა მნისა” (29); “ეგვიპტისა ბილწსა ბნელსა **განაქარებ** პირველებრვე” (29).

მონაცვლეობას განიცდის “ქმნა-ზმნა, “რომელიც საარვისო ქცევით იღვლება II სერიაში, I-ში კი “სათავისოთი“ (ა. შანიძე, 1976, გვ. 134). **“ღამტევნელად იქმენ“** (29); “**შრომა“** შენი **სრულ-ქმენ“**.

ავტორი ხშირად იყენებს **არს** მეშველ მეშველ ზმნას: “**გული შენი განუცდელ არს**“ (29); “**აღსახე არს** პირი შენი ცეცხლისაგან“ (30). შეინიშნება **არს** მეშველი ზმნის გამარტივება და შერწყმა წინამავალ სიტყვასთან. აღნიშნული მოვლენა შენიშნული აქვს დ. მელიქიშვილს იოანე პეტრიწის ენაში (დ. მელიქიშვილი, 2009, გვ.28).

საყურადღებოა ა ქცევის ნიშნით წარმოდგენილი საარვისო ქცევის ფორმები: “თანადგომით **დაამხუენი** ზღუდენი იგ” (30); “**მადლი შენი გარე მოადგ**” (30); “**ბნელსა განაქარებ**” (29). სათავისო ქცევის ი ნიშნიანი ფორმები: “**გლახაქისა შვილისაგან მიითვალე**” (30); “**იძიებდი** გონებითა” (29). სასხვისო ქცევის ფორმები: “ერთა თანა ნათლისათა **გივალობენ**” (29); “**სისრულე რაა შეუდეგ**” (30); “**ნელსაცხლებლად შეგიმოსა** ღიბანისა ღიდებემან” (30).

ეგრემ მცირესთან არ დასტურდება შუალობითი კონტაქტის ფორმები.

საწყისის ნიშანი აწყმოს თემას დაერთვის: “**ნუგეშის-ცემაა**” (29); “**ხილვად**” (29); “**შიახლებაა**” (29); “**მოსღვაა**” (30). აქ ვ -ავ-იან ზმნათა ანალოგიით უნდა იყოს გადასმული. ილ-იანი ფორმა: “**კმოზილო**” (30); სი-ულ: “**სიხარულით**” (29).

მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფორმები მ—ელ პრეფიქს-სუფიქსითაა ნაწარმოები: “**ღამტევნელად იქმენ**” (29); “**იქმენ** კვათა **მეძიებელ**” (29); “**მომპრწყველი**” (29); “**ადმუვანებელი**” (30). წარსულ-დროიანი -ულ სუფიქსიანი ვნებითი გვარის მიმღეობა: “**განსრული**” (30). მომდევნო დროის წართქმითი და უკუთქმითი ფორმები: “**სახილველი**” (29); “**საგლოველი**” (30); “**უნილავი**” (29); საშუალი გვარის მიმღეობის ფორმა: “**მოწყალე**” (29).

სახელზმნას (საწყისსა და მიმღეობას) ზოგჯერ შენახული აქვს ზმნური ძალა პირდაპირი და ირიბი ობიექტის მოთხოვნისა: “**ორთქლი** იგი დანაწრედი **სათრობელად** მე მიწლიო” (29); “**ექმენ** ნისლად **ღამფარველად სულსა ჩემსა**” (30). “ასეთ შემთხვევაში ხშირია პირდაპირი ობიექტის ნაცვლად უბრალო დამატების შეწყობაც ნათესაობითის ფორმით” (ა. შანიძე, 1986, გვ. 135). ზოგჯერ სახელზმნა შეიწყობს უბრალო დამატებასაც: “**ტაძარ ღმრთისა ღამტევნელად**” (29); “**შიახლებაა ხედვად ღმრთისად**” (30).

ზმნიზედათაგან ყურადღებას იქცევს ადგილის ზმნიზედები: “**წინა**” (30); “**გარე**” (30). დროის ზმნიზედები: “**აწცა**” (29); “**აწ**” (29); “**რაფჟას**” (30). ვითარების ზმნიზედები: “**ახლად**” (30); “**ესრეთ**” (30); “**ვითარცა**” (30).

წრფელობით ბრუნვასთან ძირითადად დასტურდება -ებრ თანდებული: “**თრთის სული შენი წყალებრ**” (30); “**განაქარებ** პირველებრვე” (29). ზოგჯერ -ებრ თანდებულის დართვა იწვევს წინამავალი ხმოვნის მოკვეცავს: “**ობრის გული შენი ზღუებრ**” (29).

მიცემითის ბრუნვასთან გვხვდება თანდებულები: **-ებრ, -თანა, -წინაშე**: “აღმწედრდი შენ ეტლთა თანა ელიასებრ სიწმიდითა” (29); “მის თანავე დიდებულ ხარ” (29); “შენ წინაშე ღმრთისა მნისა” (29). ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან დასტურდება **-გან** თანდებული: “იუცხოთცა წარმართაგან” (30); “შენ ცოდვილისა სულისაგან” (30); “იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან” (30). მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან დასტურდება **-გან, -ურთ** თანდებულები: “ინიშნე შენ პირველითგან” (29); “ლერწმოიანი მწყურნებითურთ განაჴმე” (29). ვითარებით ბრუნვაში გამარტივებული სახით გვხვდება **-მდე (-ადმდე)** თანდებული: “სულსა ჩემსა მაღალთამდე” (30).

მაერთებელი კავშირებიდან დასტურდება და კავშირი: “წინამძღუარი და მწედარი” (30); “მახარებელ და მოწყალე” (30). მაქვემდებარებელი კავშირებიდან დასტურდება **რათა**: “ერთგულებით განძლიერდი, რათა ჩჩაღნი ყრმანი მოსრნე” (29); “ო, თრთის სული შენი წყალებრ, რათა მყუროებით იყო” (30).

ცა ნაწილაკი მნიშვნელობით უახლოვდება “აგრეთვეს”. იგი იხმარება ყოველგვარ სიტყვასთან: “აწცა” (29); “ვითარცა” (29). გვხვდება სხვა ნაწილაკების გამოყენების შემთხვევებიც: “აჴა, ძალი დამასკისად” (29); “ნუ გეშინინ” (29); და ნაწილაკი მნიშვნელობით უახლოვდება “კიდევს-“ და ჩართულია ტმესად: “და-და-მარშ” (29).

ეფრემ მცირის განუმეორებლობას ქმნის სიტყვაწარმოების საინტერესო ფორმები: “ნათლიერად”, “შუენიერად”, “უმცველო”, “ბესელიელი”, “მეუფე”, “სისრულე”, “სათრობელად, “საგლოველი”, “სურვიელი”, “დანაწრედი”...

ამრიგად, ეფრემ მცირის ერთი ავტოგრაფიული პოეტური თხზულების მორფოლოგიურ თავისებურებებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დაწყებულია ძველი ქართული სალიტერატურო ენიდან ახალ ქართულზე გადასვლის პროცესი, რასაც ადასტურებს საშუალი ქართულისათვის დამახასიათებელი მოვლენების არსებობა სახელთა ბრუნვაში, ზმნის უღვლილებასა და სიტყვაწარმოებაში.... ავტორი იცავს ძველი ქართული სალიტერატურო ენის უკანასკნელი პერიოდის (IX—X სს.) ნორმებს, მაგრამ ცოცხალი სასაუბრო ენის გავლენით, პარალელურად იყენებს საშუალი ქართულისათვის დამახასიათებელ ფორმებს. ეფრემ მცირის ავტოგრაფიული პოეტური თხზულება საშუალი ქართულის დასაწყისი პერიოდის ნიშნებს ატარებს.

ლიტერატურა

- ი. ლოლაშვილი, 1982 - ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982.
- ი. ლოლაშვილი, 1982 - ი. ლოლაშვილი, მე-11 საუკუნის უცნობი პოეტური თხზულებანი. ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციიდან, მნათობი №4№5, თბ., 1982.
- დ. მელიქიშვილი, 2009 - დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ენის თავისებურების ზოგიერთი საკითხი: ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2009.
- ე. მეტრეველი, 1959 - ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959.
- ზ. სარჯველაძე, 1957 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
- ა. შანიძე, 1946 - ა. შანიძე, გიორგი მთაწმინდელის ენა, იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით, თბ., 1946.
- ა. შანიძე, 1976 - ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
- ა. შანიძე, 1986 - ა. შანიძე, ქართული მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თხზ. ტ. IX, თბ., 1986.

MARIAM KOBERIDZE

THE MORPHOLOGICAL FEATURES OF ONE OF THE
 AUTOGRAPHICAL POETICAL COMPOSITIONS OF EPHRAIM
 THE SMALL

The morphological features of autographical poetical composition of Ephraim the Small (Ephrem Mtsire) indicate the process of transformation from the Old Georgian to the Modern one. This fact of transformation is confirmed by the characteristics existing in noun declination, verb conjugation and word derivation in the Middle Georgian.

The author keeps the literary language standards (IX-X centuries), though at the same time he uses the Middle Georgian forms under the influence of the spoken language. The affix of the nominative case is not used with the vowel-rooted names with “Ō” and “Ÿ” while “ბ“is dead with the nouns finished with”Ի”. Person affixes before vowels are lost; ”ი” and ”ბ” are not used overly as person affixes. The new and old forms of adverbs are used simultaneously. An attributive word often precedes the attributed one and a substantive word follows the attributive one.

Particular attention is attracted to the interesting forms of word derivation, such as: “natlierad”, “shuenierad”, “umtsvelo”, “beselieli”, “meuphe”, “sisrule”, “satobelad”, “sagloveli”, “survieli”, “danatsredi”.

მარიამ მარჯანიშვილი

წერილები არხენტიონიდან

XX საუკუნის გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა, საზოგადო და შემოქმედებით მოღვაწე პოლიტიკურ ემიგრანტთა ჩრდილქვეშ დიდხანს არ ჩანდა არგენტინაში მცხოვრები ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილი. არადა, ქართული მწერლობის ეს უპრეტენზიო წარმომადგენელი სრულ მივიწყებას არ იმსახურებს. მან 70-მდე ლექსი და მრავალი სამეცნიერო ნაშრომი დაგვიტოვა.

ლეო ჭეიშვილი 1905 წელს დაიბადა სოფელ კულაშში. ბათუმში დაამთავრა არნოლდის ფრანგული გიმნაზია და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. პარალელურად ფერწერით გატაცებული ყმაწვილი ცნობილ მხატვართან — ილიუშინთან — ეწაფებოდა სახვითი ხელოვნების საიდუმლოებას.

მამის რჩევით, 1926 წელს ლეო ჭეიშვილი სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრა.

— “იარე სწორი გზით, ჩემო შვილო! — ასე დააირიგა პორფილე ჭეიშვილმა, უცხოეთში გამგზავრებისას, თავისი შვილი.

ამ დროიდან მოყოლებული, უცხოეთის ცის ქვეშ გაატარა ლ. ჭეიშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე, როგორც თავად აღნიშნავდა, “შრომით, ხშირად მძიმე შრომით, სუფთად და შეუბილწავად გავიარე ჩემი ცხოვრების გზა”. ათი წლის მანძილზე მან ჯერ მაქს პლანკის ინსტიტუტი დაამთავრა, შემდეგ კი დოქტორიც გახდა.

იმ დროს საქართველოში “ბოლშევიკების ბატონობა შეუწყვეტელ სისხლის წვიმების ხანად გადაიქცა. კომუნისტურმა ტერორმა მილიონები შეიწირა. ათასობით ადამიანი დაღლია სული კომუნისტური ჩეკის სარდაფებსა თუ შორეულ გადასახლებაში და იძულებით სამუშაოებზე. ამიტომ ხალხის მასა მინებდა ტირანისა” (დამ.საქ., გვ. 3).

ასე რომ, ბოლშევიკურ სამშობლოში დაბრუნებას ლეო ჭეიშვილმა ისევ ემიგრანტობა არჩია და 1938 წელს ცნობილი ემიგრანტი მწერლების აკაკი და თამარ პაპაშვილების ქალიშვილზე ჯვარი დაიწერა.

“ყველა ჩემს მდგომარეობაში ბედნიერად ჩათვლიდა თავის თავს, — წერდა თბილისში თავის დას — ეთერ ჭეიშვილი-ყიფიანისას. — “ქართველი მეუღლე, ხუთი ჯანმრთელი შვილი, ორი უსაყვარლესი შვილიშვილი. ყოველთვის მაღალი “პოსტები” ქარხნებში, უნივერსიტეტსა თუ სამეცნიერო ინსტიტუტებში, მაგრამ მერწმუნე, ჩემო გულის ნაწილო დაო, რომ არ ვარ ბედნიერი, ვარ წამებული და ეს, მითუმეტეს, აუტანელია, რადგან ვერავისთვის მითქვამს, რათა არ მიინდა ვინმე დავტვირთო ჩემის გრძობებით და მასაც გაეუფმწარო ეს ხანმოკლე ყოფნა — ამქვეყნიური. ამიტომ ვარ მარტო. დავრჩი მარტო და მაქვს უფრო მძიმე ჯვარი, ვიდრე ქრისტე ნაზარეველს. ამიტომ არის, რომ ჩემი ბარათები თქვენდამი სახსება მწუხრით და სევდით. მტკივა გული, ასე მძიმე შინაარსის ბარათებს რომ გწერთ, მაგრამ ამით ცოტათი თავისუფლდებით სულა” (პირ.წერ., 12.7.71. ლომას-დე-სამორა).

ლეო ჭეიშვილი აღიარებული სპეციალისტი გახლდათ სილიკატური ქიმიის დარგში, ლექციებს კითხულობდა, როგორც სამხრეთ ამერიკაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჯერ პორცელანის ქარხნის დირექტორი იყო, მერე დიდ ქიმიურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა არგენტინაში. ათეული წლების განმავლობაში მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. მაგრამ ოჯახსა და სამსახურში პირადმა წარმატებებმა ვერ იხსნეს იგი მძიმე სენისაგან...

ეს იყო სამშობლოს სევდა, სევდა, გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო, რომელსაც ბერძნებმა ნოსტალგია (nostos - შინ დაბრუნება და algos - ტანჯვა, ტკივილი) უწოდეს.

მსგავს ემოციაზე დიდი ქართული ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე წერდა: “ადამიანის ყოველი ფსიქიკური განცდა: ინტელექტუალური, ემოციური თუ ნებელობითი აუცილებლად სევდის ან სიხარულის, სიამოვნებისა ან უსიამოვნების განუხსნლერელ ნიუანსების გავლენას აღიბეჭდავს” (ყურნ. “კავკასიონი“, 1968, გვ. 115-116)

აქედან ჩვენთვის ცხადი გახდა ლეო ჭეიშვილის სულის სამარხში ჩაბუდეებული სევდის მიზეზი, რომელიც მოგონებათა აკვიტებიდან გამომდინარეობდა.

“დაო ეთერ! შენ იცოდე, შენ იცოდე მარტო, თუ როგორ ვარ ჯვარცმული – ვცოცხლობ და არ ვკვდები.. გული ტირის საყვარელი მიწისათვის. ყველა ჩემი წარმატება კულაშის ქუჩის მტვერში და იქაური ძმა-ბიჭების, მეგობრების ურიაშულში ნიავდება.. რა ვქნა, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა — ცრემლი, მწუხრი, ტანჯვა და წამება. ჩემი ერთი ლექსი ასე მთავრდება.

“ბევრი ვიარე მწუხრით დაღლილმა
მტირალ ტირიფთან ჩამოვჯექე ქვაზე,
თვალდახუჭულმა ნიავს შევჩვივე:
ვარ წამებული, გაკრული ჯვარზე...”

როდესაც ჩამოხვალ, გაგატან ჩემს ლექსებს. კარგია თუ ცუდია, ერთი რამ ახასიათებს: გადაკარგულის დაუსრულებელი გულის ტკივილი თავისი მიწის მიმართ და გაუთავებელი ცრემლების ღვრა, თავიანთი სისხლისა და ხორცის დაშორებით გამოწვეული. ვინ იცის, იქნებ ერთხელ დაიბეჭდოს, რათა ყველამ იცოდეს, რომ მიწის ღალატი მას სიკვდილამდე ჯვარცმულად გახდის. ვერავითარი რამ ვერ შეცვლის დაკარგულ მიწას. იცოცხლებს დამყლნარი, სანამ საბოლოოდ არ გახმება და წაიქცევა ფესვებდაჭირლი, რომელიც საყვარელ მიწაში დატოვა” (პირ/წერ., 26. 2.73. ლომას-ღე-სამორა).

სამშობლოდან დაშორების წლები სულ უფრო და უფრო აწყვეტდა ნერვებს ლეო ჭეიშვილს, სულს უფლეთდა და უფორიაქებდა. მან შინაგანი ტკივილების გარეთ გამოტანა, მათი ხატვა, მწვავე განცდების სახეებად გოშლა, შვება და განკურნება, დამძიმებული სულის შემსუბუქება პოეტურსა და ფრთიან სტრაქონებს მიანდო. ლექსში “ცხოვრების ფურცლები” იგი წერდა:

“გადავშლი ჩემი ცხოვრების ფურცლებს,
აწ გაცვეთილებს და გაყვითლებულს.
სევდამორევით დაეხუჭავ თვალებს
და მოვიგონებ იმ წლებს დაკარგულს.
ვით დილის ნისლი პირველ სხივებზე, ---

ისე გამიქრნენ ჩემი დღეები —
 გულგატეხილი, ცხოვრების გზაზე
 ჩაფიქრებული მივეშურები“.

ეს ლექსი 1976 წელს დაიბეჭდა პარიზში გამოშვებულ ჟურნალ “კავკასიონის” XVIII ნომერში და მასში ერთი უმთავრესი აზრი დევს: ესაა ემიგრანტებისათვის დამახასიათებელი ბედნიერი მოგონებები გარდასულ დღეთა შესახებ და შეუფუებელი რეალობა.

საერთოდ, ემიგრანტები არა მარტო ცხადში, არამედ სიზმარშიაც მწვავედ განიცდიდნენ სამშობლოსთან დაშორებას, რაც ჩვენს თანამემამულეთა სულიერ ტრაგიზმსა და ეროვნულ-პატრიოტულ თვალთახედვას წარმოადგენდა.

“აი! ამ სიზმარს ამაოდ ველი —
 ჟამი მიკითხავს ბედის განაჩენს!
 დრომ უღმობელმა, მწარე და ცინივით,
 მძლავრად მომხვია თვისი მკლავები
 და ვერც კი ვამჩნევ, თუ რა სისწრაფით
 აღსასრულისკენ მივექანები”...

“სიზმრებში ცხოვრობენ... ლექსებით ცხოვრობენ... თუმცა თავის ყოფნას მხოლოდ არსებობას ეძახიან... და ვინ იცის, ამ მზისქვეშეთში ასეთი ტკივილებით სიცოცხლეს ეგებ მართლა გაძლება-ლა ჰქვია?!” — შენიშნავს პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე ქართულ ემიგრანტულ პოეზიაზე მსჯელობისას.

“ჩემო ეთერიკო! მე როგორც გწერდი, ყოველ წერილში თითო ლექსს გამოგიგზავნი. შენ მანდ მოაგროვე და შეინახე. მხოლოდ მიბასუხე, თუ რა ლექსს მიიღებ. ბევრი არ არის, მაგრამ იქნება დაახლოებით 70-მდე. აგერ უკვე ერთ წელზე მეტი იქნება, რაც არაფერი დამიწერია — ჩავიქნიე ხელი და ვთქვი: ან რა აზრი აქვს, ან რა ფასი. ეს მხოლოდ უნიჭო განტვირთვა არის დაგროვილ ბოღმათა განუზომელი ტვირთის.

“თუ სხვა ხითხითებს, რომ ხელთა აქვს ძალა და ფული —
 ვარ ბედნიერი, რომ ცრემლებით მაქვს საესე სული” (პირ.წერ., 11.2.76. ლომას-დე-სამორა).

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ლეო ჭეიშვილი და პაპაევების მთელი ნაგრაში თავისი ოჯახებით არგენტინაში გადასახლდნენ. მაშინ ყველაზე მეტი ლტოლვილი არგენტინამ მიიღო, რადგან მისი პრეზიდენტი ხუან პერონი ნაციონალისტებს თანაუგრძნობდა. ქართველების დიდი ნაწილი ბუენოს-აირესის გარეუბანში — ლომას-დე-სამორაში დასახლდა. მათ შორის იყო პაპაევი-ჭეიშვილების მრავალსულიანი ოჯახიც. 1950-იან წლებში აქ 100 კაციანი ქართული დიასპორა არსებობდა, რის გამოც 1951 წელს ქართული სათვისტომოც დაარსდა. აქვე 1951-53 წლებში გამოდიოდა ამერიკის კონტინენტზე პირველი ქართული ბეჭდული ორგანო, ჟურნალი “მამული”, რომლის ხელმძღვანელი იყო ცნობილი მეცნიერი, მკვლევარი, რუსთველოლოგი და ჟურნალისტ-გამომცემელი ვიქტორ ნოზაძე, საპატიო თავმჯდომარე კი აკაკი პაპაევა. ერთი წლის შემდეგ სათვისტომოს თავმჯდომარედ კვლავ ვ. ნოზაძე აირჩიეს. გამგეობის წევრთა შორის გახლდათ ლეო ჭეიშვილიც, რომელიც ჟურნალის ყოველ ნომერს სოლიდური თანხით აფინანსებდა. არგენტინის ქართული სათვისტომოს გამგეობა ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. მათ შორის ჩართული იყო ჭიმიკოსი და მეცნიერი ლეო ჭეიშვილიც, რომლის მოხსენებები — “მატერია და მისი შინაგანი სტრუქტურა” — თუ სხვა დიდ ინტერესს იწვევდა.

საერთოდ, პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოქმედება იმთავითვე ფართოდ შექცდებოდა პარიზში გამოძვალ ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე. მის XIII ნომერში დაბეჭდილი იყო ლეო ჭეიშვილის ორი ლექსი, რომლებშიც კარბობდა მელანქოლიური განწყობილება.

“ფიქრი შებინდებისას” (“ჩემს კულაშს”) დაწერილია 1962 წლის დეკემბერში სტატ-კოლექ პენსილვანიაში.

“მიყვარს სოფელი შეღამებისას —
მიღამოს ბინდი მოეფინება,
მთვარე გადმოღვრის ვერცხლის ნაკადებს, —
დაღლილ ბუნებას მიეძინება.
საღლაც, შორს, ისმის ჭოტის ძახილი,
სიო შეარხვეს ალვის ხის ტოტებს —
და ჩემი გულიც, სევდით დაღლილი,
ფოთოლთ შრიალში სიმშვიდეს პოვებს”.

ქართველ რომანტიკოსთა მსგავსად, ლ. ჭეიშვილიც აბობოქრებულ გრძნობათა სავანედ და სევდა—ნაღველის განსაქარვებლად სიმშვიდეს ბუნების წიაღში ეძებდა და პოულობდა. მას და ბუნებას თითქოს საერთო ენაც ჰქონდათ გამონახული, რაც ნათლად ჩანდა ამავე ლექსის შემდეგ სტრიქონებში:

“ოდეს შეჩერდეს ძგერა ამ გულის,
მაშინ ცამ მედგრად დაიგრაილოს,
რომ ამცნოს წასვლა სულით ეულის,
წვიმამ ცრემლებით გამომიტიროს.
მაშინ დაბერავს ნიავი ჩემთვის,
საყვარელ ფოთლებს ამიმეტყველებს,
ჩუმი ზუზუნით “მშვიდობას” მეტყვის
და უკანასკნელ “ნანას” მიმღერებს”.

პოეტს სწამდა, რომ საღლაც, შორს, გადაკარგულისათვის, სულით ობოლისა და მიუსაფარისათვის იმქვეყნად წასვლის ჟამს თანამგრძნობი და დამტირებელი მხოლოდ ბუნებალა იქნებოდა.

ჭაბუკობიდან ბუნებით რომანტიკოსი ლეო ჭეიშვილი არგენტინიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ უცხოეთში მყოფი “წარამარა იმეორებდა მისი სათაყვანებელი პოეტის — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის მუსიკას.

“ნუ დავიმარხო ჩემსა მაშულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამტიროს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ცრემლი მჟუზხარის”...

“ეს მიყვარდა და ეს შეიქმნა ჩემი ბედით”. (ბირ.წერ., 15.3.73 ლომას-დესამორა).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებას მიუძღვნა ლეო ჭეიშვილმა ლექსი “უიმედო ცრემლები”, რომელშიც იგი პოეტს ყოფიერების არარაობასა და ამაოებაზე ეკამათება.

“დიდო ქართველო, წავიდა ის დრო,
როცა იმედი კიდევ სუფევდა,
როცა შენს გულში, აკვნესებულში
მომავლის ცეცხლი მაინც ღვიოდა!...

“სული ობოლი” დარჩა მარტოცა,
 დიდ სამყაროში არარად ქმნილი —
 რის მაქნისია თვით ეს სამყარო,
 ან რისთვისა ვართ ჩვენ გაჩენილი?!”...

(პირ.წერ., 25.7.61 სტატ კოლეჯ)

სინამდვილის მიერ მოგვრილი მელანქოლია და დეპრესიის პოეტიზირება
 ლეო ჭეიშვილის სულსა და პოეტურ სტრიქონებში გვიან გამოვლინდა, ალბათ,
 მაშინ, როცა დარწმუნდა, რომ ოცნებად ქცეული სამშობლოს ხილვას ვეღარ
 მოესწრებოდა. ეს ტკივილი ნათლადაა გამოხატული მის ლექსში “განშორებისას”,
 რომელიც ჟურნალ “კავკასიონის” XIII ნომერში დაიბეჭდა:

“შიშვე ფიქრებში გახვეული მწუხარე გულით,
 დავდივარ სოფლად, თავდახრილი, მარტოდ, უმიზნოდ,
 ჩემთვის დასრულდა აწ ზღაპარი ოდეს ნათხრობი
 და ვუტედი ჩემს დღეს განკითხვისას, ჩუმიდ, უსიტყვოდ“...

ამჟამად, რომ ლეო ჭეიშვილს ეპოქის დრამატიზმი საკუთარ ტრაგედიად
 ჰქონდა აღქმული, რადგან იგი სამყაროს ჭერტდა არა თავისთავად არსებულს,
 არამედ როგორც სულის სიღრმეში მოქცეულს. ამავე ლექსში ვკითხულობთ:

“როგორ დავწყევლო დღე გაჩენის — სინათლის ხილვა?
 როგორ დავწყევლო გზა ცხოვრების ჩემგან გავლილი?!
 მაგრამ თუ მკვდარსაც არ მეღირსოს მშობელი მიწა,
 ჩემი გაჩენა, ჩემი ბედი იყოს წყველილი!”

ეს სტრიქონები ერთგვარი კონსტატაციაა ემიგრანტი პოეტის — სიმონ
 ბერეჟიანის ერთი ლექსისა, რომელიც საქართველოში დიდხანს ნოე ჟორდანიას
 დაწერილად და მისი საფლავის ქვის ეპიტაფიად მიიჩნეოდა.

“ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
 ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო.
 თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
 დე, მტკრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!”

ნოსტალგიის დაუძლეველი გრძნობები, უცხოობაში გადახვეწილისა და
 სამშობლოს სამუდამოდ დაშორებული ემიგრანტის განცდებია გადმოცემული
 ლეო ჭეიშვილის ლექსში “დედას”.

“ვუძღვნი ჩემს დედას მარიამს (შვიდი შვილის დედას)
 ჩემს გულის მეგობარს ტურფას (ხუთი შვილის დედას)
 და ყველა დედას, განურჩევლად რასისა და ეროვნებისა.
 “დედაო ჩვენო! უსაყვარლესო, ყოველი არსის!
 დედაო ჩვენო! ჩვენთვის ტანჯულო და შინაარსო ამ წუთისოფლის!
 შენი ტკივილი აბა ვის ესმის? აბა! ვის ესმის მწუხრი მაგ გულის?
 გაჩენის დღიდან შვილზედ ფიქრებში განაწამების და დაქანცულის”.

სამშობლოში დატოვებული მოხუცი დედის უსაშველო მონატრებას
 გულისშემძვრელად გამოხატავს ლექსის ბოლო სტრიქონები:

“შენს სახელს, დედა, თან დავატარებ,
 როგორც ხატებას ჩემს სიკვდილამდე,
 კურთხეულ იყოს სახელი “დედა”,
 უკუნითიდან უკუნიასმდე”.

(პირ.წერ., 12.60. სტატ კოლეჯ ბენსილვანია).

ლეო ქვიშვილს — უდიდეს მეცნიერს, მრავალი შრომის ავტორს, პოეტს, მხატვარს, საზოგადო მოღვაწესა და სულით ამაღლებულ პიროვნებას — თავი მაინც “უღირს შვილად” მიიჩნდა, რადგან იგი ყველაფერს სამშობლოს სახელით ზომავდა.

“ჩემი ცხოვრება სხვისთვის უგემურად ჩატარებულ შრომაში დაილია. ამიტომ აუწერელია ჩემი წამება. თქვენ დგებართ თქვენს მიწაზე, თქვენ გესმით ირგვლივ ქართული და თქვენს ირგვლივ ჩქეფს ქართული სისხლი და სული. თქვენ ზიხართ თქვენს ბუდეში და გათბობთ საქართველოს მზე. მე კი, ბუდიდან ამოვარდნილი, მოკლებული ვარ ყოველივე ამას.”

მშობლიურ ბუდესა და ტოლ მეგობრებთან განშორების მწვავე განცდები უდიდესი ტკივილითაა გაუღებელი ლექსში “საყვედური”.

“ტოტზე შემოჭდა ჩიტი ბელურა
და ჭიკჭიკს მოყვა მწარე გოდებით,
რად დაგვივიწყე?! — მისაყვედურა,
ამდენი ხანი მოგელოდებით.
შენ დაივიწყე დედის ცრემლები,
უკანასკნელი შეხედვა მისი,
გულდაკოდლი ჭიშკართან მდგომი
გრძნობდა, რომ შვილმა გასტეხა ფიცი”....

(პირ.წერ., 21.4.61. სტატ კოლეჯ პენსილვანია).

ლეო ქვიშვილის ოჯახში ყველა ნაბიჯი იზომებოდა ნაციონალური მომენტი. იგი არა მარტო ფიქრითა და წარსულით იყო შენივთებული სამშობლოს ხატებასთან, არამედ, სადაც კი ცხოვრობდა მოღვაწეობდა, ყოველთვის დიდი ქართული საქმისათვის ილწვოდა.

დიდი იყო ლეო ქვიშვილის დამსახურება პაპავების ოჯახში 39 წლის მანძილზე დასვენებული, 1773 წელს მოქსოვილი სიონის საკურთხეველის გადასაფარებლის სამშობლოში დაბრუნების საქმეში.. ასევე თამარ და აკაკი პაპავების პირადი არქივის საქართველოში ჩამოტანის საკითხის გადაწყვეტაშიც.

ლეო ქვიშვილი თავის მძიმე ცხოვრებას მარტო ფრთიან სტრიქონებს როდი ანდობდა. იგი ნოსტალგიით გამოწვეულ დიდ ტკივილს ფერთა გამაშიც გამოხატავდა. მან მრავალი გრაფიკული ნამუშევარი დაგვიტოვა.

ისეთი მაღალი ღირსებებისა და ღირებულებების მატარებელი მამულიშვილისათვის, როგორც პროფესორი და პოეტი ლეო ქვიშვილი გახლდათ, ნაციონალური დამოუკიდებლობის, მთლიანობისა და თავისთავადობის პრობლემა მუდამ აქტუალური და მტკივნეული იყო.

ცხადია, ძნელია სამშობლოს გარეშე ცხოვრება, მით უფრო სიკვდილი.

ჯერ კიდევ 1962 წლის 20 ივნისს დაწერა სამშობლოსათვის ჭვარცმულმა მამულიშვილმა თავისი ანდერძი

“მინდა შენ განდო, რაც დავიბადე,
მსურს, იქ ვიძინო უკანასკნელად,
გთხოვთ, მოაყაროთ ჩემს მშობელ მიწას
სხეული ჩემი, ქცეული ფერფლად!”

ვფიქრობთ, ლეო ქვიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თუნდაც ამ მცირე პოეტური ნაწილის წარმოდგენამ გარკვეული აზრი შეგვიქმნა

არა მარტო ერთი სამშობლოსგან დაშორებული პიროვნების ტრაგიკულ ადამიანურ ხვედრზე, არამედ, საზოგადოდ, მთელი ჩვენი პოლიტიკური ემიგრაციის ბედსა და მდგომარეობაზეც. ადამიანებზე, რომლებიც შორეულ უცხოეთში ათეული წლების მანძილზე ინახავდნენ და აცოცხლებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეასა და დიდ ეროვნულ მუხტს.

ლიტერატურა

რ. დაუშვილი, 2009 - რ. დაუშვილი, ქართველები არგენტინაში XX საუკუნის 50-იან წლებში, ჟურნალი "სამშობლო", თბ., 2009.

დარბაისელი, 1937 - დარბაისელი, სისხლის ახალი ტალღა, გაზეთი "დამოუკიდებელი საქართველო", №138, აგვისტო, პარიზი, 1937.

ჟურნალი "კავკასიონი", XIII, პარიზი, 1968.

პ. ნაცვლიშვილი, 2009 - პ. ნაცვლიშვილი, ახლობელი არგენტინა, ჟურნალი "სამშობლო", №1, თბ., 2009.

რ. ნიშნიანიძე, 2004 - მხატვრული სახისმეტყველების ერთი ასპექტი ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში, ამერიკის შესწავლის საკითხები, ტ. V, თბ., 2004.

ს. სიგუა, 2011 - ს. სიგუა, "მარტვილი და ალამდარი", ტ. I, თბ., 2011.

გ. შარაძე, 2001 - გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2001.

ლ. ჭეიშვილი, პირადი წერილები და ლექსები, ეთერ ჭეიშვილის პირადი არქივიდან.

MARIAM MARJANISHVILI**LETTERS FROM ARGENENTINA**

The distinguished Georgian scientist in the field of silicate chemistry, Doctor Leo Cheishvili, besides his scientific work was interested in poetry and fine arts. Like other creative people living abroad he made Georgian image talk through poetic lines and colourful gamma in long-distance Argentina. He also revealed his inner self.

L. Cheishvili left us about 70 poems, in which he emotionally describes the spiritual orphanhood of the man who was obliged to leave his roots and live without a home country. The poet suffered from this pain till his death and, heartbroken, he mourned over his homeless personality with constant sadness.

His only comfort was the following:

“Please, scatter my mother land

With my body, turned to ashes!”

Despite living far from his home country, Leo Cheishvili still lived a Georgian life. He wrote: “I lived for 20 years and here I have existed for 60 years”.

We hope that our generation will estimate the contribution the political emigrants made in the long-distance countries for decades, kept and revived the idea of Georgian independence.

ინესა მერაბიშვილი

თარგმანი, როგორც ლექსიკოგრაფიული გამოკვლევა (ერთი სიტყვის მაგალითზე)

წარმატებული თარგმანი, მით უმეტეს მხატვრული, პირველ ყოვლისა, ფილოლოგიური გამოკვლევაა, და შემდეგ არტისტული შესრულება.

ვიდრე მთარგმნელი ტექსტის ლინგვისტურ და ლიტერატურულ ანალიზს განახორციელებს, მას ესაჭიროება სანდო ლექსიკოგრაფიული ბაზა, როგორც მზა მოცემულობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მთარგმნელი ეყრდნობა მშობლიური და უცხოური ენის სათანადო ლექსიკონებს.

წინამდებარე სტატიის მიზანია, წარმოვადგინოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ლექსიკონი ვერ აკმაყოფილებს ტექსტის წვდომის მოთხოვნებს და მთარგმნელს უწევს თავად ჩაატაროს ლექსიკოგრაფიული გამოკვლევა.

შემოგთავაზებთ ერთ-ერთ მაგალითს საკუთარი გამოცდილებიდან, საკუთრივ, სიტყვა “დოლაბთან” წარმოქმნილ სირთულეებს ცნობილი ქართული ხალხური ლექსის “თავფარავნელი ჭაბუკის” ინგლისურ ენაზე თარგმნისას.

“თავფარავნელი ჭაბუკი” ქართული ხალხური პოეზიის შედევრია. ეს მშვენიერი ლექსი მრავალი პარალელთა აღინიშნება მსოფლიო ლიტერატურაში, რაც მომდინარეობს ცნობილი ბერძნული მითიდან ჰეროსა და ლეანდრის შესახებ.

ჰელესპონტი, იგივე დარდანელის სრუტე, ევროპასა და აზიას შუა მდებარეობს. მითის თანახმად აზიის ნაპირზე, პატარა ქალაქ აბიდოსში სიმამაცითა და სილამაზით განთქმული ჭაბუკი, სახელად ლეანდრი, ცხოვრობდა. ლეანდრს გატაცებით შეუყვარდა უმშვენიერესი ჰერო, რომელიც ჰელესპონტის მეორე ნაპირზე, ევროპის ქალაქ სესტოსში ცხოვრობდა.

ყოველი ღამით ლეანდრი აპობდა ჰელესპონტის ყინულივით ცივ ტალღებს, რათა მეორე ნაპირამდე მიედწია. იქ მას ჰერო ელოდა. ცივი დეკემბრის ერთ ავბედით ღამეს ლეანდრი სწრაფმა დინებამ შთანთქა. დილით მისი სხეული ტალღებმა სესტოსის ნაპირზე გამოიყა. მიჯნურის დაღუპვით სასოწარკვეთილმა ჰერომ თავი მოიკლა.

ჰელესპონტის გადაცურვა მხოლოდ მითოლოგიურ გმირობად რჩებოდა, მაგრამ ორი საუკუნის წინ ის რეალობად აქცია იქ სამოგზაუროდ ჩასულმა ლორდ ბაირონმა, რომელმაც სრუტე საათსა და ათ წუთში 1810 წლის 3 მაისს გადაცურა. ინგლისელმა პოეტმა საკუთარი გმირობა იუმორით აღსავსე ლექსით აღბეჭდა, მითუმეტეს, რომ წყლიდან ამოსულს ციებ-ცხელება დემარათა.

ბაირონის ამ ლექსის ჩემთვის ქართულ თარგმანთან ერთად გთავაზობთ:

Lord Byron

Written after Swimming from Sestos to Abydos

If, in the month of dark December,
Leander, who was nightly wont
(What maid will not the tale remember?)
To cross thy stream, broad Hellespont!

If, when the wintry tempest roar'd,
He sped to Hero, nothing loth,
And thus of old thy current pour'd,
Fair Venus! how I pity both!

For me, degenerate modern wretch,
Though in the genial month of May,
My dripping limbs I faintly stretch,
And think I've done a feat to-day.

But since he cross'd the rapid tide,
According to the doubtful story,
To woo, – and – Lord knows what beside,
And swam for Love, as I for Glory;

'Twere hard to say who fared the best:
Sad mortals! thus the Gods still plague you!
He lost his labour, I my jest;
For he was drown'd, and I've the ague.

სესტოსიდან აბიდოსამდე

ცივი დეკემბრის უკუნი ღამით
ლეანდრს ნაპირზე ჰერო ელოდა,
ქაბუკი ტალღებს აპობდა გზნებით,
და სიოც თითქოს მისთვის მღეროდა.

უცებ ავარდა მძიმე გრიგალი,
ტალღა აზვიროდა, სრუტე ღელავდა,
იყო მძვინვარე თქეში და ქარი,
და ჩირაღდანიც აღარ ელავდა.

მე უბადრუკი ამ დროის შვილი,
მხოლოდ უწყინარ მაისს მივენდე,
თხემით ტერფამდე ვარ გათოშილი,
და ამ ჯმირობით თავს ვიმიედებ.

თუ ჰელესპონტი მართლაც გაცურა,
 ლეანდრს ეწადა ქალის ტრფიალი,
 ვაგლახ, რომ უკვე სხვა დრო მოსულა —
 მხოლოდ დიდების ვარ მოტრფიალე.

არ ვიცი, ეს გზა ვისთვის რა იყო,
 ღმერთი არ გწყალობს, არ გეშველება,
 რადგან მიჯნური წყალში ჩაიხრჩო
 და მეც წარმიტანს ციებ-ციხელება.

პოეტის გმირობამ მრავალი სპორტსმენი შთააგონა და ბაირონს მიმდევრებიც გამოუჩნდა. მათ შორისაა ჩვენი თანამედროვე, ქართველი მეცნიერი და სპორტსმენი, ჰენრი კუპრაშვილი.

ფრიად საყურადღებო და საინტერესოა ამ მითის ქართული პარალელი — “თავფარავნელი ჭაბუკი“, როგორც ქართული ხალხური პოეზიის თვალმარგალიტი.

თავფარავნელი ჭაბუკი

თავფარავნელი ჭაბუკი
 ასფარას ქალსა ჰყვარობდა
 ზღვა ჰქონდა წინად სავალი
 გასვლას შიგ არა ზარობდა.
 ქალი ანთებდა სანთელსა,
 სანთელი კელაბტარობდა,
 ერთი ავსული ბებერი
 ვაჟისთვის ავსა ლამობდა,
 სარკმელზე ანთებულ სანთელს
 აჭრობდა, აბეზარობდა,
 თან ამას ეუბნებოდა
 წინათაც ვეა გყვარობდა.
 ვაჟი მიანგრევეს ტალღებსა
 გულმკერდი არა ჩქამობდა.
 ცალხელით დოლაბი მიაქვს,
 ცალხელით ნიავექარობდა,
 ზღვის გაღმა ერთი სანთელი
 გამომმა კელაბტარობდა.
 დამე ჩამოდგა წყვიდიანი,
 უკუნს რამესა ჰგვანობდა,
 ტალღა ტალღაზე ნაცემი
 ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა.
 დაჰკარგა ფონი, შესჭირდა,
 მორევი ბობოქარობდა.
 გათენდა დილა ლამაზი,

კეკლუცის თვალებს ჰგევნობდა,
 წყალსა დაეხრჩო ქაბუკი,
 ქორიხზე ეგდო, ქანობდა,
 წითელი მოვის პერანგი
 ზევიდან დაჰფარფარობდა.
 ლემს დასჯდომოდა ზედ ორბი,
 გულს უგლეჯავდა, ხარობდა.

წინამდებარე სტატიის მიხედვით ყურადღებას შეგნებულად არ გავამახვილებთ
 შედარებით ლიტერატურულ ანალიზზე, რომელსაც ეს ნაწარმოები იმსახურებს
 ამ თემაზე შექმნილ სხვა მაგალითებთან მიმართებაში.

როგორც ითქვა, ამჟერად ჩვენი მიზანია ერთი სიტყვის ლექსიკოგრაფიული
 ანალიზი ლექსის ფართო კონტექსტის ფონზე.

მოკლედ მოგახსენებთ ჩატარებული კვლევის წინაპირობას: ჩემი ერთ-
 ერთი დისერტანტი მუშაობდა ზემოთ წარმოდგენილი მითის ლიტერატურულ
 რეალიზაციებზე და ბრიტანეთში პუბლიკაციისათვის მას დაჭირდა “თავფარავნელი
 ქაბუკის” ინგლისური თარგმანი. როგორც გაირკვა, ამერიკელ ქართველოლოგსა
 და საქართველოს დიდ მეგობარს, კევინ ტუიტს შეუხსრულებია ამ ლექსის
 ინგლისური თარგმანი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

The Lad From Tavparavani

A lad from Tavparavani,
 Was loved by a maid of Aspidnza.
 He had a wide sea to cross,
 But in no wise was he daunted.
 The woman had lighted a candle;
 The candle sent forth its beam.
 A certain evil-souled crone
 Plotted the young man's destruction.
 The taper that gleamed in the window
 She snuffed out, to bring him to grief.
 And said to herself as she did so:
 “Did not this boy once love you?”
 The young man cut through the waves,
 His heart and lungs were not strained.
 With one hand he held a millstone,
 With the other he swam the sea.
 From over the water a candle
 Shed light to the other side;
 By now the night had fallen,
 A night dark as blackest pitch.
 Wave pounded on wave
 And strove to make the lad drown.

He lost his guide-beam, was confounded;
 Before him a whirlpool roared ...
 The morning dawned bright and cheery,
 Bright as a gay maiden's eyes.
 The waters had drowned the young man.
 He drifted ashore at Aspindza.
 His red shirt of finest silk
 Fluttered in the soft breeze;
 An eagle perched on his corpse,
 Tore at his heart and was sated.

(Translated by Kevin Tuit)

როგორც თარგმანი მოწმობს, კევინ ტუიტი დაეყრდნო ლექსის იმ ფართოდ გავრცელებულ ინტერპრეტაციას, რომელსაც ცნობილი ქართველი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი გთავაზობს, საკუთრივ შემდეგს: ეს ნაწარმოები ძველისძველი მითოსის ასახვა და იქ მაგიური და საკულტო ხასიათის ნიშნები მოიპოვება: თავი, დოლაბი და წითელი მოვის პერანგი. აქედან ვ. კოტეტიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დოლაბს, რომელიც ჭაბუკს ცურვის დროს ხელით მიაქვს (ვ. კოტეტიშვილი, 1961, გვ. 333-336):

ცალი ხელით დოლაბი მიაქვს,
 ცალი ხელით ნიავექარობდა.

ვ. კოტეტიშვილის მიხედვით “დოლაბი” წისქვილის ქვაა. აქედან გამოდინარე კევინ ტუიტის დოლაბის აღსანიშნავად ხმარობს სიტყვას “millstone”, რაც ინგლისურ ენაში წისქვილის ქვას ნიშნავს.

როგორც ჩანს, ვ. კოტეტიშვილის ვარიანტს სხვაც ბევრი იზიარებს. მათ შორისაა ჩვენი თანამედროვეობის ისეთი დიდი პროზაიკოსი, როგორც გახლავთ გურამ დოჩანაშვილი, რომელმაც ამ მითის მიხედვით შექმნა მოთხრობა “თავფარავნელი ჭაბუკი” (გ. დოჩანაშვილი, 1976, გვ. 379-408).

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული ენიდან გამოდინარე დედნისეულ ტექსტში სიტყვა “დოლაბის” ირგვლივ იქმნება გარკვეული სემანტიკური სივრცე, რომელიც პოლისემანტურობის სიღრმეს გთავაზობს და საშუალებას გვაძლევს არ შემოიფარგლო კოტეტიშვილისეული ინტერპრეტაციით. ამის პირველი ნიშანია ის, რომ ჭაბუკს ერთი ხელით “რალაც” მიაქვს, ხოლო მეორე ხელით ის ნიავექარობს. ამ ორ სტრიქონს შორის ჩვენ ვხედავთ არა კონტრასტს, რომელიც კოტეტიშვილმა შემოგვთავაზა, არამედ, პირიქით, ჰარმონიულ კავშირს.

რაც შეეხება ტუიტისეულ ინგლისურ ვარიანტს, იქ ჩვენ ვაწყდებით ერთმნიშვნელოვან სიტყვას “millstone”, როგორც წისქვილის ქვას, რომელიც არსებულ კონტექსტში პოლისემანტურობის სიღრმის განვითარებას გამოიწვევს და ქმნის მხოლოდ შემდეგ შინაარსს: თავფარავნულ ჭაბუკს ერთი ხელით წისქვილის ქვა მიჰქონდა (With one hand he held a millstone), ხოლო მეორეთი მიცურავდა ზღვაში (With the other he swam the sea). ზმნას „ნიავექარობდა“ კევინ ტუიტი სათანადო ცნებით ან თარგმნის ინგლისურად.

აი, სწორედ ეს დამოკიდებულება გახლდათ ის მამოძრავებელი ძალა, რომელმაც კოტეტიშვილისეული შეფასების გადასინჯვის აუცილებლობა შთაგვაგონა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში “დოლაბის” გასწვრივ ორი სტატიაა:

დოლაბი¹ (დოლაბისა) 1. წისქვილის ქვა. წისქვილი მოქუხს, დოლაბი ბრუნავს და ბრუნავს მალადა (რ. ერისთ.). [გვადი] წყალმიშვებულ დოლაბივით დატრიალდა (ლ. ქიაჩ.). **დოლაბის რკალი** წისქვილის ზედა ქვას შემოდებული რკალი. 2. კუთხ. (იმერ. გურ.) წისქვილი.

დოლაბი² (დოლაბისა) 1. ბანიანი სახლის სათვალე, სანათური, საიდანაც სინათლე ჩადის და კვამლი ამოდის. უცხო მგზავრი თუ დაიბნა დამეში, შეხედოს და დოლაბის შუქს ენდოს (შ. ჩიქოვ.). 2. ქვიტიკარის კედელში დატანებული უკარო განჯინა (ქვეშაგების შესანახად). სცენის სიღრმეში დოლაბივით კარაპანია (გ. ყიფში. თარგმ.). (ქველ. ტ. III გვ., 1207)

ლექსიკონში არსებული სტატიების მიხედვით “დოლაბის” ტექსტუალური მნიშვნელობის დადგენა შეუძლებელია, თუ, რასაკვირველია, არ მიენდობი კოტეტიშვილის ინტერპრეტაციას. ეს უკანასკნელი კი, მოგვხსენებთ, იმდენად უზრუნველ ხატის წარმოქმნას იწვევს, რომ თავად მითოლოგიურ სივრცეში არსებულ ფანტაზიასაც სცილდება.

შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ვერ ასახავს სიტყვა “დოლაბის” შინაარსობრივ პოტენციას “თავფარავნელ ჭაბუკში”. ამდენად, საჭირო შეიქმნა ლექსიკოგრაფიული გამოკვლევის ჩატარება. საკონსულტაციოდ მივმართეთ არაერთ ქართველ ფილოლოგს. საკითხის გადაწყვეტაში განსაკუთრებული დახმარება აღმოგვიჩინეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა ზურაბ ჭუმბურიძემ და თემურ ქურდოვანიძემ. მათ მიგვანიშნეს, რომ ამ საკითხთან კავშირში საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა წინა საუკუნის 60-იან წლებში ილია მაისურაძემ.

ბატონი ილია მაისურაძე დღეს ცოცხალი არ ბრძანდება, რომ პირადად გადაეუხადოთ მადლობა უაღრესად საინტერესო ნაშრომისათვის “თავფარავნელი ჭაბუკის” ზოგი სიტყვის განმარტებისათვის“ (ი. მაისურაძე, 1969, გვ. 207-214), რომელიც მან 1969 წელს გამოაქვეყნა.

ილია მაისურაძე წარმოშობით ჯავახეთიდან ყოფილა და, როგორც ჩანს, უკეთ მიუწვდებოდა ხელი “თავფარავნელ ჭაბუკში” ტომონიმებისა თუ სხვა სიტყვათა ხმარების დადგენაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მეცნიერულ ალღოსა და პასუხისმგებლობაზე.

აი, რას წერს ი. მაისურაძე:

“დოლაბი” ლექსის კომენტატორებს მხოლოდ ერთი მნიშვნელობით ესმით — როგორც წისქვილის ქვა. ამის გამო საკვირველი არ უნდა იყოს, რომ კაცი,

¹ ასფარა თითქოს იმ კაცის ზედმეტი სახელი იყო, რომელიც ას ფარა ცხვარს ფლობდა. ამ მდიდარი კაცის სახელი შემდეგ თურმე მის სოფელსაც დაერქვა, — გამოკვლევს ხალხური თქმულება. სამწუხაროა, რომ დღეს ამ ქართულ სახელს დამახინჯებული სახით ასპარად წარმოთქვამენ და წერენ კიდეც (იხ. ვაზ. “ასპინძა” №28, S. 111, შ. ზურაბიშვილის სტატია “ოტა რამ ხალხური ბალადის შესახებ” და სხვ.).

² A village in Georgia on one of the shores of lake Paravani.

რომელიც ცურავს და თან ცალი ხელით წისქვილის ქვა მიაქვს, რაღაც ბუმბერაზ, ზღაპრულ არსებად წარმოვიდგინოთ. მისი უნარი ხომ ბევრად აჭარბებს ჩვენი ზღაპრების იმ გოლიათების სასწაულებრივ თვისებებსაც კი, რომელთაც სირბილის დროს ფეხებზე წისქვილის ქვები აბიათ.

მაგრამ საქმე ის არის, რომ დოლაბი მარტოოდენ წისქვილის ქვას როდი ნიშნავს. ქართულში მას სხვადასხვა მნიშვნელობა უკავშირდება, რის გათვალისწინებაც აუცილებელია ზემოხსენებული გამოთქმის სწორად გაგებისათვის.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წისქვილის ქვის გარდა დადასტურებულია დოლაბის კიდევ რამდენიმე მნიშვნელობა. იგი აღნიშნავს თვით წისქვილს (იმერული და გურული კილოების მიხედვით), ბანიანი სახლის სათვალეს, სანათურს და კედელში დატანებულ განჯინას. ამითაც არ ამოიწურება ამ სიტყვის სემანტიკა. ჯავახეთში დოლაბად იწოდება კორკოტის საფქვავე, შუაში გახვრეტილი, ღერძაყრილი ქვის დიდი ბორბალი, რომელიც წყლის ძალით ძელის გარშემო გორავდა და ქვეშ დაყრილ ხორბალს კანს აცლიდა. ეს იყო ზეთსახდელი ქვის (გელაზის) მსგავსი ბორბალი, რომლის ნაშთებს მესხეთის მიწა-წყალზე ბევრგან ვხვდებით, თვით გელაზიც აქ დოლაბის სახელით არის ცნობილი. ისიც საყურადღებოა, რომ ჯავახეთში უწინ დოლაბიანი ურმებიც სცოდნიათ. ეს სახელწოდება ურემს დოლაბებად წოდებული ერთნაირი ბორბლების გამო მიუღია. დოლაბი-ბორბალი ბორბლის უძველესი, პრიმიტიული სახე იყო და ჩვეულებრივი ბორბლისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ერთიანი ხისაგან იყო გამოჭრილი და ღერძის გასაყრელად შუაში გამოხვრეტილი.

დოლაბის სახელით ყოფილა ცნობილი აგრეთვე გვერდი-გვერდ მდებარე მიწურ სახლებს შორის მოსაზღვრე კედელში დატანებული ხვრელი, ანუ სარკმელიც, რომელიც დანიშნული იყო მტრის თავდასხმის ან რაიმე გაჭირვების ჟამს ხმის მისაცემად, ამბის შესატყობინებლად. მოხუცთა გადმოცემით, ციხის სათოფურებსაც აქ თურმე დოლაბებს ეძახდნენ. საძიებელი სიტყვის ამგვარი სემანტიკური მიმოქცევა გვაფიქრებინებს: ხომ არ იყო დოლაბი ისეთი საგნების აღმნიშვნელი საზოგადო ტერმინი, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო ამოთხრით, ამოკვეთით, ამოღრმავებით ან გახვრეტით მიღებული გარკვეული ფორმა (წისქვილის ქვა, სარკმელი, სანათური, განჯინა, გელაზი, ურმის ბორბალი და .მისთ.).

ირკვევა, რომ სიტყვა დოლაბი სპარსულიდან მომდინარეობს, სადაც დულაბად გამოითქმება. ახალ სპარსულში დულაბი ბორბალსაც აღნიშნავს (ჰიდრავლიკური ბორბალი) და კარადასაც (კარადა, რასაკვირველია მოდერნიზებული გაგებაა განჯინის აღმნიშვნელი ამ სიტყვისა) (ბ. მილერი). ქართულსა და სომხურს გარდა, დოლაბი როგორც ჩანს, რუსულშიც შესულა და იქ ზმნის ფორმით დამკვიდრებულა, ეს არის Долбить, ს. ოყეგოვის მიხედვით, მისი განმარტება ასეთია: Долбить 1. ударами делать углубление: долбить дерево, долбить лед. 2. изготовлять, делая ударами, углубление: долбить улей (ს. ოყეგოვი, 1960) . ეს განმარტება კარგად ეხამება ვარაუდს დოლაბის ზემოხსენებული ზოგადი მნიშვნელობის შესაძლებლობის შესახებ. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ დოლაბი როგორც ამოკვეთილ-ამოღრმავებული ან გახვრეტილი საგანი, ნივთი თუ ნაგებობა შეიძლება ქვისაც ყოფილიყო, ხისაც და სხვა მასალისაც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავფარავნელი ჭაბუკის ბალადაში მოხსენებული დოლაბი წისქვილის ქვას კი არ უნდა აღნიშნავდეს, არამედ ურმის თვალს, დოლაბ-ბორბალს, ცურვაში ხელის შესაწყობად გამოყენებულს, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, დოლაბად წოდებულ სპეციალურად დამზადებულ, მკლავის გასაყრელად გამოხერხებულ მრგვალ ფიცარს, რომელიც ძველად მიღებული უნდა ყოფილიყო ბანაობისა და ცურვის დროს დამხმარე საშუალებად. ამგვარი საცურაო დოლაბი დღეს ჭავჭავთში აღარ გვხვდება, მაგრამ მის არსებობაზე ხალხის მეხსიერებაში შემონახული ცნობები მიგვიბრუნებს“ (ი. მაისურაძე, 1969, გვ. 211-213).

ზემოხსენებულ სტატიაში ი. მაისურაძე იშველიებს ჭავჭავთის ყოფილი მკვიდრის, ვინმე სოფრომ დავითის ძე ყავრელიშვილის გამოუქვეყნებელ მოთხრობას, სადაც აღწერილია დოლაბის დამზადების წესი:

“დოლაბს გამოყვანა უნდა. ეს უბრალო გახვერტილი ფიცარი არ არის. ამას აკეთებენ ფისიანი (მკვრიანი) ხისაგან, ახმობენ ორ წელიწადს, მერე უსმევენ ცხელ თხის ქონს და თავლის სანთელს გარშემო. აი, მაშინ არც წყალში იელინთება, არც მზეზე ხმება, გინდა წლობით ეგდოს“ (იქვე, გვ. 213).

მაისურაძის გამოკვლევა ჩვენთვის საყურადღებოა აგრეთვე მიჯნური ქალის საცხოვრისის დადგენის თვალსაზრისითაც, რადგან ეს ხალხური ლექსი სხვადასხვა ვარიანტებით ვრცელდებოდა იმის მიხედვით, თუ ვის ჰყვარობდა თავფარავნელი ჭაბუკი: ასპანას ქალსა, ასპინძის ქალსა, ზღვის გაღმა ქალსა, თუ სხვას.

ტოპონიმის დადგენა ჩვენთვის აუცილებელი იყო, რადგან ეს ლექსი თავად გვსურდა გვეთარგმნა, მითუმეტეს, რომ კვიენ ტუიტისეულ ინგლისურ თარგმანში მიჯნური ქალი ასპინძელია:

A lad from Tavparavani,
Was loved by a maid of Aspindza.

აი, რას ვკითხულობთ ი. მაისურაძესთან:

“რაკი ბალადის მთავარი გმირის საცხოვრისი ნაწარმოებში ზედმიწევნით არის ლოკალიზებული (იგი თავფარავნელი ჭაბუკია), ცხადია, რომ მისი სატრფოს ადგილსამყოფელიც თავიდანვე გარკვეული იქნებოდა. ის ვერ იქნებოდა ვერც უცნობი აშკარეთი, ვერც ასპანა და, მით უმეტეს, ვერც ასპინძი, რომელიც უდიდესი მანძილით არის დაშორებული თავფარავანს. ეს პუნქტი უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ასფანა, ის მცირე სოფელი, რომელიც თავფარავნის პირდაპირ, ტბის ჩრდილო ნაპირზე მდებარეობს და დღემდე ამავე სახელს ატარებს. ამ ფაქტზე სათანადოდ მიუთითა პროფ. ს. ჯიქიამ, რომელმაც ჭავჭავთის ტოპონომიკური რეალიების გაცნობის შედეგად ასფანა აღიარა ლექსში მოხსენებულ სწორ გეოგრაფიულ პუნქტად (ს. ჯიქია, 1958, გვ. 351-352)“, (ი. მაისურაძე, 1969, გვ. 210).

როგორც მაისურაძე ასკვნის, დოლაბით მოცურავეს, რომელსაც მარჯვენა ხელი დაკავებული ჰქონდა, მარცხენა მთლიანად თავისუფალი ექნებოდა, ცურვისას მარჯვენა მხრით იგი მძლავრად იქნებოდა გადაწოლილი დოლაბზე, მეორე თავისუფალი ხელი კი აქტიურად უნდა ემოძრაებინა, ექანავებინა, ისე, რომ მხარულთ წინ წაწეულიყო. მარცხენა ხელის სწორედ ასეთი სწრაფი ქნევა და ჰაერის ამოძრავება თავფარავნელის ლექსში ნიავეპრობად არის დასახული, რაც მეტად მარჯვე პოეტური თქმაა: “ცალ ხელით დოლაბი მიაქვს, ცალ ხელით ნიავეპრობდა“. (იქვე, გვ. 314).

აი, ასე გაამართლა მაისურაძისეულმა კვლევამ ჩვენი რწმენა იმასთან კავშირში, რომ დოლაბი “თავფარავნელ ჭაბუკში” ნახმარი იყო ისეთი მნიშვნელობით, რომელიც არ იყო აღწერილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, და რომ სტრიქონებს შორის “ცალ ხელით დოლაბი მიაქვს, ცალ ხელით ნიაქარობდა” შინაარსობრივად იკვეთებოდა არა კონტრასტი, არამედ თანხვედრა.

ასეთი გამოკვლევის შედეგად, რომელიც პრაქტიკულად გამოკვლეულის გამოვლენაა, ჩვენ შევასრულეთ “თავფარავნელი ჭაბუკის” ინგლისური თარგმანი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, და სადაც “დოლაბი” წარმოვადგინეთ, როგორც “lifebelt” — საშველი რგოლი, თუმც კომენტარში ავხსენით ამ ცნების ქართული წარმომავლობა:

A Handsome Lad of Paravani

A handsome lad of Paravani³
 In love'th a maid of vil Aspara⁴
 Was never daunted to cut huge waves
 Across the sea to meet his lover.
 The maid was used to lit a candle,
 The candle lightened as a marvel.
 An ugly crone of wicked soul
 Intended evil for the couple.
 She, when in fury, reached the casement,
 Snuffed out the light to harm, to humble,
 The wicked crone to her oft murmured:
 “You ever had the same lover”.
 By then the lad met billows high,
 His breast heaved smoothly, had no troubles,
 With one hand carried he a lifebelt
 And wafted air with the other.
 A single candle on one seaside
 Could well throw light far on the other.
 But moonless night came over the lake
 With total darkness all to cover.
 And wave on wave did pound him strongly
 To swallow up, devour the lover.
 He lost the ford, the storm went higher,
 The toil for him became thus harder.

³ A village in Georgia on one of the shores of lake Paravani.

⁴ A village on the opposite shore of the lake.

The morning broke so full of beauty
 Like eyes of damsel fairs that sparkle.
 The lad was drowned, his lifeless body
 Over the waters floated upper.
 And near the shore of vil Aspara
 In breeze his crimson silk shirt fluttered.
 His loving heart, his poor body
 Were torn up gaily by a vulture.⁵

(Translated by Innes Merabishvili)

ჩემულ ინგლისურ თარგმანში “თავფარავნელის“ აღსანიშნავად ვხმარობ “of Paravani”, რაც ნიშნავს ფარავანელს, რადგან კარგად ცნობილია, რომ ტობონიმი “ფარავანი“ იგივეა, რაც ტობონიმი “თავფარავანი“, მითუმეტეს, რომ ეს უკანასკნელი უცნობია ვახუშტი ბატონიშვილისათვის (ვახუშტი, 1941, გვ. 24, 41), რომელიც ტბის სახელად ძველ წყაროებში ცნობილ ფარავანს იხსენიებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ წინამდებარე პუბლიკაცია შემდგომში დახმარებას გაუწევს სათანადო ლექსიკოგრაფებს, ხოლო ჩვენი დაკვირვება და სიტყვის ლექსიკოგრაფიული გამოკვლევის გამოცდილება თარგმნის პროცესში ამ ერთი მაგალითით არ ამოიწურება.

ლიტერატურა

ი. ადამია, 2009 - Adamia I., A Poem by Byron against the Backdrop of Georgian-Greek Mythology, In: The Newstead Byron Society Review, Nottingham, January, 2009, p. 26-30.

გ. დოჩანაშვილი, 1976 - გ. დოჩანაშვილი, “თავფარავნელი ჭაბუკი“, მოთხრობები, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო“, თბ., 1976.

ვახუშტი, 1941 - ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.

ვ. კოტეტიშვილი, 1961 - ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961.

ი. მაისურაძე, 1969 - ი. მაისურაძე, “თავფარავნელი ჭაბუკის“ ზოგი სიტყვის განმარტებისათვის, ქართული ფოლკლორი, ტ. 3, თბ., 1969.

ბ. მილერი, Миллер Б., Персидско – русский словарь.

ს. ოჯეგოვი, 1960 - Ожегов С. И., Словарь русского языка, Москва, 1960 г.

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი III, დ-ე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1953.

ს. ჭიჭია, 1958 - ს. ჭიჭია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, თბ., 1958.

⁵ “თავფარავნელი ჭაბუკის“ აქ წარმოდგენილი ჩემული ინგლისური თარგმანი პირველად გამოქვეყნდა ბრიტანიკაში ინგა ადამიას სტატეისთან ერთად (!).

INNES MERABISHVILI

TRANSLATION AS LEXICOGRAPHICAL RESEARCH
(BASED ON ONE EXAMPLE)

A successful literary translation is a philological investigation of a given text plus its artistic realization.

Any linguistic analysis of a text implies lexicographical assistance when the translator consults dictionaries.

The author argues that there are special cases when even the most complete dictionary cannot give all the real meanings of a word enclosed in a text and the translator has to disclose them.

The present article is devoted to one such case, namely to the study of a Georgian word “დოლაბი” [dɔlɑbɔ] presented in a Georgian folklore masterpiece – “The Lad of Paravani”.

This poem is based on a legend that is in fact similar to the famous myth of Hero and Leander.

The mythological Hellespont, the present Dardanelles, is especially known for the myth of brave Leander crossing the strait to reach his beloved Hero.

Leander was a youth of Abydos, a town on the Asian side of the strait which separates Asia and Europe. On the opposite shore, in the town of Sestos, lived the maiden Hero, a priestess of Venus. Leander used to swim the strait nightly to enjoy the company of his mistress. But one night a tempest arose and he was drowned. Hero became aware of his death, and in her despair cast herself down from the tower into the sea and perished.

In the Georgian poem a handsome lad from the village of Paravani (English translations of the poem are enclosed in the Georgian article) crossed Lake Paravani cutting waves with one hand but carrying a definite object in the other. This definite object is presented in the Georgian poem by the word “დოლაბი” [dɔlɑbɔ] meaning “a millstone”. It was probably an incorrect interpretation of a word used by a distinguished Georgian scholar, Vakhtang Kotetishvili, that led the American translator Kevin Tuit to interpret the word as a millstone. Eventually we obtained a picture difficult to imagine of a lover crossing the waves with “a millstone” around his arm, especially when the Georgian text speaks of his light and skilful movements.

A special study of the word “დოლაბი” permits us to define that one of its meanings never mentioned in dictionaries, is also “a lifebelt”, used by swimmers in the region of Lake Paravani and designed as a wooden disk with a hole in the centre to put an arm in it. Therefore we translated the word “დოლაბი” as “a lifebelt”.

ანა მესხი

წერსათის ღვთაების ანალიზისთვის¹

“ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია სამი ანთროპომორფული ქანდაკება, რომლებიც ორგანულადაა დაკავშირებული წარმართული ხანის ქართულ მითოლოგიასთან” (დ. ბერძენიშვილი, 1988, გვ. 62). ასე იწყება დ. ბერძენიშვილის სტატია “სამი ანთროპომორფული ქანდაკება ქუთაისის მუზეუმიდან”. პირველი და მესამე ქანდაკება ქალის მცირე ზომის ფიგურებია, ხოლო მეორე – ბრინჯაოსგან ჩამოსხმული მამაკაცის ითიფალური გამოსახულება, რომელიც წინამდებარე სტატიის განხილვის ძირითად საკითხს წარმოადგენს. იგი 1914 წელს იმერეთის სოფ. ზეკარში (ბაღდათის რაიონი), ფერსათის მთის ძირას, მდინარის პირას აღმოაჩინეს.

ქანდაკება მაღალი არ არის ($h = 32$ სმ), “დგას კვარცხლბეგზე ($5 \times 7,5$ სმ). მისთვის დამახასიათებელია ვიწრო, მოგრძო ტორსი (სიგანე – 2,5 სმ), მეტად განიერი მხრები (სიგანე 9,5 სმ) და სხეულის ზედა ნაწილთან შედარებით მოკლე ფეხები. ფიგურის სახე მოგრძო და ბრტყელია. ფართო თვალები და პირი ღრმა ფოსოებშია ჩამჭდარი. აქვს კეზიანი ცხვირი, ოდნავ წინწამოწეული ნიკაპი და ხშირი თმა. სახის ნაკვეთები საკმაოდ მკაცრია და მნახველზე ეფექტური შთაბეჭდილების მოსახდენად უნდა იყოს შექმნილი. ორივე ხელი იდაყვიში მოხრილია და წინ გაწვდილი თითები მოკუმშული. ფალოსი აღზნებულია და ნატურალურადაა გადმოცემული. ქანდაკებას უკანა მხარეს გრძელი თმა კისერზე აქვს დამაგრებული” (დ. ბერძენიშვილი, 1988, გვ. 64-66; ილ. 1ა, ბ)².

აღნიშნულმა ფიგურამ ყურადღება აღმოჩენისთანავე მიიპყრო და მისდამი ეს ინტერესი დღესაც არ განელებულა (ს. მაკალათია, 1926, მ. ივანეიკო, 1941, შ. ამირანაშვილი, 1971, გ. ჭავჭავიძე, 1984, დ. ბერძენიშვილი, 1988), რაც ქანდაკების შინაარსობრივ ბუნების სირთულით არის განპირობებული. აზრთა სხვადასხვაობას მისი აშკარად გამოხატული ორბუნებოვნება იწვევს. ს. მაკალათიას აზრით, რომელსაც ფერსათის ქანდაკების პირველი სემანტიკური დეფინიცია ეკუთვნის, აღნიშნული ითიფალური ფიგურა წარმართული ეპოქის კულტია. თავის 1926 წლის ნაშრომში, ავტორი მის ორსქესიანობაზე პირდაპირ მიუთითებს: “ქანდაკება წარმოადგენს ორსქესოვან არსებას, რომელსაც ტანი ქალის აქვს და ამასთანავე აქტიურ მდგომარეობაში მამაკაცის ასო. ... მისი ყელი და მკლავი მრუდე ხაზებითაა მოხატული, სახე, უწყვეტლევანო, მაგრამ მამაკაცის გამომეტყველებით, თმა კი ქალურად უკან დახვეული აქვს. ერთი სიტყვით, ზეკარში აღმოჩენილი ქანდაკება ყველა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით *da gamo xat ul ebiT fal o sis RvT aebaa*” (ს. მაკალათია, 1926, გვ. 27-28).

¹ ნაშრომი იბეჭდება შემოკლებით, რის გამოც აუცილებელი გახდა კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენების სრული სათაურის – ერთი პარალელი ქართველურ-გვიპტური ქანდაკების ისტორიიდან – შეცვლა.

² მაღლივების გრძობით აღვნიშნავ, რომ ილუსტრაციები იბეჭდება ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექციის თანხმობით.

ქანდაკების ამ პირველ და, ჩვენი აზრით, სწორ შეფასებაში, ნათლად მოჩანს მეცნიერის ობიექტური დამოკიდებულება ქანდაკების მახასიათებლების მიმართ; მის მღედრულ ბუნებას ავტორი **სხეულის მოხაზულობასა და თმის ვარცხნილობაში** ხედავს, ხოლო მამრულს – ქანდაკების განიერ მხრებსა და აღგზნებულ ფალოსში. ვინაიდან ეს უკანასკნელი, გარკვეულწილად ჩრდილავს მეორე (მღედრულ) საწყისს, ს. მაკალათია, სავსებით სამართლიანად, უპირატესობას მამრულ იმოსტასს ანიჭებს: “ერთი სიტყვით, ზეკარში აღმოჩენილი ქანდაკება ... ფალოსის ღვთაებაა” (ს. მაკალათია, 1926, გვ. 128). ანალოგიურ აზრს იზიარებს მ. ივაშჩენკოც და ამბობს, რომ ფალოსის კულტი გავრცელებული იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, საერთოდ, სამხრეთ (სომხეთი, აზერბაიჯანი) და ჩრდილო კავკასიაშიც (ინგუშეთი, ბალყარეთი; მ. ივაშჩენკო, 1941, გვ. 44).

შ. ამირანაშვილი არ იზიარებს ქანდაკების მაკალათიასეულ შეფასებას. მეცნიერი წერს: “ზეკარის ძეგლის პირველი მკვლევარი ს. მაკალათია, ამტკიცებს, რომ ეს ფიგურა წარმოადგენს ორსქესოვან არსებას. მისი აზრით, ფიგურას სხეული ქალისა აქვს, სქესობრივი ნიშნები კი მამაკაცისა. თავის დასკვნას ს. მაკალათია იმაზე ამყარებს, რომ ფიგურას სახე უღელვაშო აქვს, წელი წვრილი, გრძელი თმა კისერზე აქვს დამაგრებული. მაგრამ **გულმკერდის ფორმა ამ ფიგურას ქალური არა აქვს**, რაც უარყოფს აღნიშნულ მოსაზრებას. გრძელი თმები კი მამაკაცის ფიგურებზე გვხვდება არა მხოლოდ ამიერკავკასიის უძველეს ხელოვნებაში, არამედ ხეთურშიც, სადაც ეს ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს” (შ. ამირანაშვილი, 1961, გვ. 48; ხაზგასმა ჩვენია, ა. მ.).

1988 წელს ზეკარის ქანდაკების ბუნებას დ. ბერძენიშვილიც შეეხო. “ჩვენი აზრით”, ამბობს მკვლევარი, “სკულპტურა ყველა თავისი დამახასიათებელი ნიშნით წარმოადგენს წარმართულ ღვთაებას კვირიას, რომელიც “ყველა საქმეს ზმელეთზე განაგებს და შესთხოვენ კარგად ყოფნას, ადამიანისა და საქონლის გამრავლებას” “ (დ. ბერძენიშვილი, 1988, გვ. 66).

ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია ბარალელის გავლება “ყაზბეგის განძის” პირველი ჯგუფის ფიგურებთან არა მხოლოდ გარეგნული და შინაარსობრივი მსგავსებით, არამედ იდენტიფიკაციის კუთხითაც, ვინაიდან ს. მაკალათიამ სტეფანწმინდის რქებზე ამხედრებული ითიფალური ფიგურა ნაყოფიერების ღვთაებად – **კვირიად** გამოაცხადა, ხოლო ქანდაკების ცხვრის რქებისგან გაკეთებული პედესტალი ცხვრის კულტის მაჩვენებლად მიიჩნია (ს. მაკალათია, 1935, გვ. 517).

განსხვავებული შეხედულებების განხილვამ აჩვენა, რომ ს. მაკალათიას გარდა, ყველა მეცნიერმა, ვინც კი ქანდაკებას შეეხო, წინა პლანზე მისი მამრული ბუნება წამოწია, რასაც ქანდაკების მკვეთრად გამოხატული ითიფალობა უწყობს ხელს. მიუხედავად ამისა, აზრთა სხვადასხვაობა სწორედ იმის დასტურია, რომ ფერსათის ღვთაების მამრული ბუნება მღედრული საწყისის მეტ-ნაკლები “შინარევებით” არის წარმოდგენილი. იმასაც დავეძნოთ, რომ ზეკარის ქანდაკების ფალოსის კულტთან, თუ რომელიმე კერძო ღვთაებასთან ფუნქციურად გაიგივება, მაგ., კვირიასთან, **სწორია, მაგრამ არასაკმარისი**. როგორც ეს მოგვიანებით იქნება ნაჩვენები, აღნიშნული თვისებები ამ **მრავალბუნებოვნების** მხოლოდ მცირე ნაწილია, რის გამოც მისი ორბუნებოვნების საკითხი კვლავ მეცნიერულად

კვლევის დღის წესრიგში დგება. წარმოდგენილ ნაშრომში, შესასწავლ ფიგურას უბრალოდ ღვთაებად მოვიხსენიებთ, ხოლო, ვინაიდან ღმერთების საბრძანისი ოდითგან მთაა, ზეკარში აღმოჩენილ ქანდაკებას **ფერსათის ღვთაებას** ვუწოდებთ. აღნიშნული სახელი იმითაც არის გამართლებული, რომ მისი ღვთაებრიობა ექვეყნე ჯერ არავის დაუყენებია.

ფერსათის ღვთაების მღვდარული მახასიათებლები

ქანდაკების რამდენიმე მღვდარული თვისება ს. მაკალათიამ თავის ნაშრომში “ფალოსის კულტი საქართველოში” (1926) უკვე გამოყო. ეს არის ქალისთვის დამახასიათებელი **სხეული**, რომელშიც, ვფიქრობ, მეცნიერი არა მხოლოდ **განიერ თეძოებს**, არამედ მის **მკერდაც** გულისხმობდა. პირველი, განიერი თეძოები, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო და, შესაძლოა, საკამათო დეტალიც კი იყოს, მაგრამ სხვა ანთროპომორფულ ფიგურებთან შედარებისას, ეს შტრიხი ფერსათის ღვთაების ქალური ასპექტის დასტურად გადაიქცევა.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება ქალღვთაების მცირე მდგომარე ქანდაკება, რომლის შედარებაც ფერსათის ღვთაებასთან მისთვის დამახასიათებელ ქალის მომრგვალებულ თეძოებს ნათლად წარმოაჩენს (ილ. 2). ფერსათის ღვთაების “მღვდარი” სხეული რომ გამოჩნდეს არ არის, დასტურდება ყადორის ციხესთან ნაპოვნი მამაკაცის ბრინჯაოს ფიგურით, რომელსაც ქალის ტანშესხმა გააჩნია (ილ. 3).

ფერსათის ღვთაებისთვის დამახასიათებელი ქალის ფიზიოლოგიური აღნაგობა უფრო მკვეთრად სხვა მამრ ფიგურებთან შედარებისას იკვეთება; მაგალითად, მელაანის მეომარ ფიგურებს სწორი, მამრული თეძოები აქვთ (ილ. 4ა, ბ). ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ფერსათის ღვთაების შექმნის შემოთავაზებული თარიღი (ძვ.წ. VIII-VII სს.; დ. ბერძენიშვილი, 1988, გვ. 66) ადრერკინის ხანას (ძვ. წ. IX-VII სს.) ემთხვევა. ეს ასეც რომ არ იყოს და ფიგურებს შორის დიდი ქრონოლოგიური განსხვავება არსებობდეს, საქართველოში, ანთროპომორფული პლასტიკის ძირითადი ფორმების გადმოცემის ათასწლოვანი ტრადიცია ჩვენ მიერ გაკეთებულ დასკვნას მხოლოდ საფუძველს უმაგრებს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გ. ჭავჭავიშვილის აზრი ფერსათის ღვთაების პოზის, გამომეტყველების და ა.შ. მსგავსების შესახებ მელაანის მეომარ ღმერთთან (განსაკუთრებით, ილ. 4ა) და (გ. ჭავჭავიშვილი, 1984, გვ. 553). აღნიშნული ფიგურების მსგავსება იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის, რომ მათ განსხვავებული ტანშესხმა გააჩნიათ. მსგავსი ნიმუშების მოძიება ყაზბეგის განძის ფიგურებშიც არის შესაძლებელი, მაგრამ, ვფიქრობთ, მოყვანილი მასალა საკვებით საკმარისია შემოთავაზებული თეზის მხარდასაჭერად.

კიდევ უფრო საინტერესოა **პირუკუ** შემთხვევები, როდესაც ქალი მამაკაცური ტანით, ანუ “ჩამოსწორებული” თეძოებითაა გამოსახული. ნიმუშად შეგვიძლია მოვიყვანოთ ქალის მცირე ზომის ორი ქანდაკება (ილ. 5ა, ბ), რომელთაგან პირველი (ილ. 5ა) გორის რაიონშია ნაპოვნი, ხოლო მეორე (ილ. 5ბ) – ლეჩხუმში, საირამში.

როგორც ვხედავთ, წარმართული საქართველოს ანთროპომორფული ქანდაკების მამაკაცური და ქალური სხეულისთვის დამახასიათებელი თვისებების შენაცვლება ჩვეული მოვლენა ყოფილა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზღებოლა ერთ-ერთის – მამრი თუ მღვდარი ბუნების მახასიათებლებს

აქცენტირება მეორე იპოსტასისთვის დამახასიათებელი თვისებების **უფულებელყოფის** ხარჯზე. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ თვისებათა ამგვარი შერწყმა ღვთაებებში გვხვდება, მაშინ, როდესაც ღვთაებრიობის ცნება და მასთან დაკავშირებული ყოველი დეტალი ქურუმების ცოდნის ნაწილს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ფერსათის ღვთაების თითოეული შტრიხი **მიზანმიმართული** ქმედების შედეგია და გარკვეული ინფორმაციის გადმოცემას ემსახურება.

რამდენად სარწმუნოა ფერსათის ღვთაების ორსქესიანობის ამგვარი გაგება?

ბასუხის ძიებაში დიდად გვეხმარება გ. ჯავახიშვილის ნაშრომი “ანთროპომორფული პლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში”, რომელშიც გაანალიზებულია ძვ. წ. VI ათასწლეულიდან მოყოლებული (გვიანი ნეოლითი) გვიანანტიკური ხანის ჩათვლით (ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანები) დათარიღებული ანთროპომორფული ფიგურები. მასალის განხილვის საფუძველზე, ავტორი ოთხ ძირითად ეტაპს გამოყოფს:

I. ნეოლითის (ძვ. წ. VI-IV ათასწლეულები) ანთროპომორფულ პლასტიკაში დომინირებს **მდედრი ღვთაების** მცირე ზომის ქანდაკებები, რომელთა განმსაზღვრელი თვისება – **პირობითობა** – სქესობრივი ნაწილების ხაზგასმასთან არის შეხამებული. მათთვის უცხოა ყოველგვარი ინდივიდუალობა, სახის ნაკეთები “წაშლილია”, მხოლოდ მცირედი წარზიდულობა გამოყოფს ცხვირს, ზოგჯერ კი თავის ნაცვლად მოგრძო ნაქვრია დამაგრებული; იშვიათად, ქალის სხეულზე შემორტყმული სარტყლის მსგავსი რელიეფური ფორმა ან ყელის სამკაულის ამსახველი გამოსახულება (წერტილები ყელის გარშემო) აღინიშნება (ილ. 6);

II. მეორე ეტაპი ძვ.წ. IV-I ათასწლეულებს მოიცავს. იგი **მამრობითი სქესის ნაყოფიერების ღვთაების** გამოჩენით ხასიათდება. მიაჩნიათ, რომ ეს ხანა პატრიარქალური გვარის დამკვიდრებით ხასიათდება, რასაც, ბუნებრივია, მამრობითი ღვთაების წინა პლანზე წამოწევა მოსდევს. ამ დროს, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, მამაკაცის ფიგურა მარტივია – გეომეტრიზებული; სასქესო ორგანო (ფალოსი) აღზნებულ მდგომარეობაში აქვს; საინტერესოა, რომ მის სხეულსაც სარტყლის მაგვარი საგანი ამშვენებს; ყელის გარშემო ვხვდებით აგრეთვე რგოლს, ხელში კი ხშირად რაიმე ნივთი უჭირავს. ამ პერიოდის ანთროპომორფული ფიგურები მცირე აზიის ხელოვნებასთან ამჟღავნებენ მსგავსებას.

III. მესამე ეტაპზე, რომელიც რკინის ხანის დადგომას უკავშირდება, ვხედავთ **ნაყოფიერების ღვთაებას, მეომარს**. სქესის მაჩვენებელი ნიშანი კვლავ ითიფალურია, შენარჩუნებული აქვს ძველი სქემატიზაცია და განზოგადება, თუმცა მეტია სტილიზაცია. ფიგურების ყელს კვლავ საკისრე რკალი, ტანს – სარტყელი, ხელს კი ყანწი, ფარი, ან კვერთხი ამშვენებს; სტატუეტები გამოხატულნი არიან თავდასხმის პოზაში (ოდნავ ჩამუხლულნი, სახე აწეულნი, წინხელებგაწვდილნი). ამგვარი ანთროპომორფული ფიგურების ტიპიური წარმომადგენელია მელანის დიდი ფალიკური ფიგურა (ილ. 4ა).

IV. მეოთხე პერიოდი რკინის ხანიდან ქრისტიანობის შემოღებამდე გრძელდება. ამ პერიოდში მამრობითი ღვთაება კარგავს მკაცრ გარეგნობას, ჩნდება **ქანრობრივი გამოსახულებები** (ყაზბეგის ვანძი). თუმცა

შენარჩუნებულია ყველა ის ძირითადი დამახასიათებელი თვისება, რაც ანთროპომორფულ ქანდაკებებს აღრეც ახასიათებდა.

წარმოდგენილ სქემაში, ფერსათის ღვთაება მე-4 ჯგუფში დგას, ვინაიდან ძვ. წ. VIII-VII სს. თარიღდება (დ. ბერძენიშვილი, 1988, გვ. 66), მაგრამ მასში ჩადებული ორსქესიანობის პრინციპით, იგი ძვ. წ. III ათასწლეულის ანთროპომორფულ ფიგურებს უკავშირდება. აღრებრინჯაოს (ძვ.წ. III ათასწლეული) პერიოდის ქვეცხელას ნამოსახლარში (ქარელის რაიონში, სოფ. ურბნისთან) აღმოჩნდა **კაბაში ჩაცმული მამაკაცის ანთროპომორფული ფიგურები** (ილ. 7). ქვეცხელას ნამოსახლარზე, რომელსაც სხვაგვარად ტელეპიას ქონსაც უწოდებენ (წინააზიური უძველესი ღვთაების, ტელეფისისა და სვანური საგალობლის ტელეფიას სახელი), აღმოჩნდა თიხის ოთხი, სრულიად მთელი ფიგურა და მეხუთე ფიგურის ორი ფრაგმენტი. “მცირე ზომის, 6-8 სმ-ის სიმაღლის ეს ფიგურები ერთი ტიპისაა და გამოხატავს **გრძელი კაბით შემოსილ მამაკაცს**” (გ. ჯავახიშვილი, 1984, გვ. 35; ხაზგასმა ჩვენია, ა. მ.). ზემოხსენებული ავტორის აზრით, “ისინი გამოხატავენ **მამაკაცური ბუნების ნაყოფიერებას**, რაც სავსებით ბუნებრივია პატრიარქალური წყობის პირობებში. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფიგურები ჯერ კიდევ წარმოადგენენ **ნაყოფიერების მშვიდობიან ღვთაებას**, რომლის **მამაკაცური ბუნება არაპირდაპირი ნიშნებით არის გადმოცემული**. დამახასიათებელია, რომ **ფიგურების გარდა იქვე ნაპოვნი იყო მამრობითი ნაყოფიერების კულტის პირდაპირი ნიშნები რიყის ქვისაგან გამოჩოროცილი ფალოსები**” (გ. ჯავახიშვილი, 1984, გვ. 37). აღნიშნული ფიგურები სახლის კერიაში აღმოჩნდა, რაც უდავოს ზღის მათ საკრალურ დანიშნულებასა და ღვთაებრივ ბუნებას. მოყვანილი მასალიდან ცხადდება, რომ კაბაში გამოწყობილი მამაკაცი და მასთან ერთ კონტექსტში (კერიაში) ნაპოვნი აღგზნებული ფალოსი, ამ ორი საწყისის – მამრულისა და მდედრულის – **ერთიანობა-განუყოფლობაზე** მიუთითებს. **სწორედ ეს არის მესამე ათასწლეულის კაბიანი მამრი ღვთაების წამყვანი პრინციპი**, რაც არ გამორიცხავს მის არც მშვიდობიან ბუნებასა და არც ნაყოფიერების ღმერთობას. ქვეცხელას კაბიანი მამრი ღვთაების უფრო დახვეწილი ანალოგი ფერსათის ღვთაებაა, რომელზეც ქალური მახასიათებლები უფრო სუსტად, მაგრამ მაინც არის გამოსახული. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფერსათის ქანდაკება ორსქესიანი ბუნების ღვთაებაა, რაც, სულ მცირე, 2500-წლიანი ტრადიციისადმი ერთგულების ნიშანია.

მიღებული დასკვნის ფონზე, სავსებით ბუნებრივად გამოიყურება ორსქესიანობის კიდევ ერთი ნიშანი; ეს ქანდაკების მხრებია – **განიერი, ძლიერი მხარ-ბეჭი**, როგორითაც მთელი რიგი მამრი ფიგურები ხასიათდებიან. ამიტომ, ქანდაკების სხეული არც მთლიანად ქალისაა და არც კაცის, იგი ორივე სქესის მახასიათებლებს “ითავსებს”: **ქალის თეძოებსა და ვაჟკაცურ მხარ-ბეჭს**. უნდა აღინიშნოს მკვეთრად გამოკვეთილი მკერდიც, რაშიც სხვა მამრ ანთროპომორფულ სკულპტურებთან შედარებისას იოლად დავრწმუნდებით. მეტრც, მიგვაჩნია, რომ ფერსათის ღვთაების მკერდი ახლგაზრდობით ჩქეფს, რაც სავსებით გამართლებულია როგორც ზელოვნების, ისე ესთეტიკური თვალსაზრისითაც.

დანარჩენი მახასიათებლები ორივე სქესს შეიძლება მიეწეროს. ეს უპირველეს ყოვლისა, ფიგურის სახესა და მის გამომეტყველებას ეხება. ღვთაების სახე უწყვეტია, რაც ქალის მახასიათებელი უფროა, მაგრამ არც მამაკაცის სახისთვისაა უცხო. იგივე ითქმის კეფაზე მოხდენილად დახვეულ და შეკრულ თმაზეც, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ქალის დომინანტური თვისებებია, მამაკაცებისთვისაც ხშირად მისაღები იყო (შ. ამირანაშვილი, 1971, გვ. 51). მამრულ-მდედრულ “ზიარ” თვისებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ქანდაკების პირქუში გამომეტყველებაც, რომელიც, მართალია მამაკაცურ სიმკაცრეს უფრო მეტი “დოზით” შეიცავს, მაგრამ სრულად არც მდედრულის გამორიცხვა იქნება გამართლებული. ეს მით უფრო საინტერესოა და, ამავე დროს, მნიშვნელოვანიც, რომ აღწერილ შენაცვლებებს **ღვთაებებზე** ეხვდებით. ყოველივე ღვთაებრივს კი ქურუმები განაგებდნენ და ამიტომ, ხელოვანის შეცდომა ან დაუდევრობა სრულიად გამორიცხულია. და თუ ეს ასეა, ორივე სქესისთვის დამახასიათებელი ნიშნების შეფარული და “ეშმაკური” შენაცვლება-აღრვევისა და სინთეზის შედეგად წარმოქმნილი სემანტიკური ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის მიღმა, შესაძლოა **საიდუმლო შეტყობინების გადმოცემის მცდელობაც კი იდგეს**. აქედან გამომდინარე, ფერსათის ღვთაების ორბუნებოვნობის არსში ჩაუწყვდომლობა, სულაც არ ნიშნავს ქანდაკების აღნიშნული მახასიათებლების არარსებობას. მეტიც, მისი შესწავლა გეოგრაფიულად და ტემპორალურად დაშორებული უძველესი ცივილიზაციების რელიგიების ფონზე, სრულიად განსხვავებულად წარმოაჩენს თვით ქანდაკებასაც და მისი შემქმნელის ცოდნისმიერ დიაპაზონსაც. ფერსათის ღვთაების აღიღებელი ნილოსისა და ეგვიპტური ნაყოფიერების ღვთაების მინ-ის ურთიერთობაზე კი ცალკე ნაშრომში გვექნება მსჯელობა.

ლიტერატურა

შ. ამირანაშვილი, 1961 - შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ხელოვნება, თბ., 1961.

დ. ბერძენიშვილი, 1988 - დ. ბერძენიშვილი, სამი ანთროპომორფული ქანდაკება ქუთაისის მუზეუმიდან, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალა, კრებული V, ქუთაისი, 1988.

ს. მაკალათია, 1926 - ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, მიმოხილველი, ტ. 1, თბ., 1926.

გ. ჯავახიშვილი, 1984 - გ. ჯავახიშვილი, ანთროპომორფული ბლასტიკა წარმართული ხანის საქართველოში, (ნეოლითი - გვიანანტიკური ხანა), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984.

М. Иващенко, 1941 — М. Иващенко, Материалы к изучению культуры колхов, Материалы по истории Грузии и Кавказа, Выпуск II, Академия наук Грузинской ССР, Институт языка, истории и материальной культуры им. акад. Мара, Тб., 1941.

С. Макалатия, 1935 — С. Макалатия, Культурные места и связанные с ними ритуальные обряды у грузин — мохенцев, Академия Наук академику Н. Я. Марру, 1935.



ილ-1ა
ფერსათის ღვთაება.
ნიკო ბერძენიშვილის
სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო
ისტორიული მუზეუმი.



ილ-2-ქალი-ქუთაისი
ქალღვთაება. ნიკო
ბერძენიშვილის
სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო
ისტორიული მუზეუმი.




ილ-1ბ
ფერსათის ღვთაება. ნიკო
ბერძენიშვილის სახელობის
ქუთაისის სახელმწიფო
ისტორიული მუზეუმი.



ილ-3 ყადორი
ყადორის ციხესთან
ნაპოენი მამაკაცის
ბრინჯაოს ფიგურა (გ.
ჯავახიშვილი, 1984, ტაბ.
XIII, სურ. 38)



ილ-5ა-გორი
ქალის ფიგურები მამაკაცის
ტანსაცმლით (გ. ჯავახიშვილი,
1984, ტაბ. XI, სურ. 27, 28)




ილ-4ა-მელაანი
მელაანის მეომარი
ფიგურები (გ. ჯავახიშვილი,
ტაბ. IX, სურ. 24; ტაბ. 10,
სურ. 25)



ილ-4ბ-მეომარი
მელაანის მეომარი
ფიგურები (გ. ჯავახიშვილი,
ტაბ. IX, სურ. 24; ტაბ. 10,
სურ. 25)



ილ-6-თავეები მძივით
ქალღვთაებები ყელის სამკაულით (გ.
ჯავახიშვილი, 1984, ტაბ. VI, სურ. 18)



ილ-5ბ-საირმე
ქალის ფიგურები
მამაკაცის ტანშესხმით (გ.
ჯავახიშვილი, 1984, ტაბ. XI,
სურ. 27, 28)



ილ-7-კაცი-კაბაში
კაბით შემოსილი
მამრი ღვთაება (გ.
ჯავახიშვილი, 1984, ტაბ.
VI, სურ. 19)

ANNA MESKHI

TOWARDS THE ANALYSIS OF THE PERSATI DIVINITY¹

The article discusses a small ithyphallic bronze statue whose bi-sexual nature has been the subject of discussion since its discovery in 1914 in the village of Zekari, Imereti (S. Makalatia, 1926, M. Ivaschenko, 1941, Sh. Amiranashvili, 1971, G. Javakhishvili, 1984, D. Berdzenishvili, 1988). The figurine whose divine features are unequivocally recognized has caused controversy regarding its sex characteristics. S. Makalatia, the author of the first semantico-functional definition of the Persati Divinity, considered it a pagan phallic fertility god with both sex attributes. His conclusion was mainly based on the figurine's female body, female hair style, and a face showing no traces of either a beard or moustache (S. Makalatia, 1926, pp. 27-28). This first, and in our opinion correct, evaluation of the statue is rejected by other scholars (Sh. Amiranashvili, 1961, p. 48; D. Berdzenishvili, 1988, p. 66) equating it with the pagan Kartvelian god Kviria, an astral deity (D. Berdzenishvili, 1988, p. 66), the phallus cult (Makalatia 1926: 128; M. Ivaschenko, 1941: 44), etc.

The existing controversy on the Divinity's sexual nature incurred its re-examination in comparison with other male and female figurines found on the territory of Georgia. The study demonstrated that the Persati figure is indeed sculptured with a female body, for its round womanly hips are found not only on female statuettes, but also on other male sculptures (e.g. a male statuette found at the Kadori Castle). The analysis exposed an even more interesting feature of pagan Kartvelian anthropomorphic plasticity – female figurines with male body aspects (the statuettes from Gori and Imereti).

A regular interchange of male and female characteristics typical of divine anthropomorphic figurines originates from a much earlier period, namely, from male divine figurines of IV-I millennia BC. This chronological span witnessed the emergence of an ithyphallic male fertility god dressed in female attire, and found in hearths together with phalluses cut in pebbles (figurines from the Neolithic settlement of Kvatskhela; III millennium BC). Hence, combining both sexual features with varying degrees of either male or female dominance had been at least a 2500-year-old tradition in Kartvelian sculpture before the Persati Divinity was created.

In this light, such secondary features as a beardless face, hair style, or broad male shoulders comply with the mentioned artistic guidelines. The latter re-confirm the bi-sexual nature of the Persati Divinity with dominant male, and subordinated female features. Moreover, mistakes or carelessness have to be excluded, for everything divine was controlled by priests, and any disobedience would have been severely punished. The mentioned factors lead to the conclusion that a cunning and skillful replacement, mixing or synthesis of the male-female attributes of the statue, which produce semantic vagueness and, therefore, breed controversy, are a **purposeful activity and may indicate an attempt of transmitting some secret information**. Indeed, studying the statue in conjunction with the geographically and chronologically removed ancient Egyptian religion qualifies the Persati Divinity as a highly complex creation linked with two great gods – Khapi, the Nile God, and Min, the fertility god *per se*.

¹. The article is abridged, which necessitated the change of the original title *One Parallel from the History of Kartvlo-Egyptian Statuettes*

მაია მიქაუტაძე

**გობი თავისებური (შუაქმონაცვლე)
ზმნის წარმოებისათვის ქართული ენის
ბაოურ ღიალქტში**

ქართული ენის ტაოური ღიალქტი არქაული ფორმებით გამოირჩევა. ამ კუთხით, ჩვენი ყურადღება ზოგი თავისებური, კერძოდ ფუძემონაცვლე, ზმნის წარმოებაში მიიქცია.

მწკრივებში შენაცვლება, როგორც ცნობილია, უფრო ფართო ხასიათისაა, ვიდრე რიცხვში შენაცვლება. აქ ერთმანეთს ენაცვლება ზოგჯერ სამ-სამი ფუძე. ამას გარდა, ერთსა და იმავე მწკრივში შეიძლება, ორი ან მეტი ფუძე იყოს შემუშავებული ისტორიულად (აქ. შანიძე, 1980, გვ. 505).

I. ყოფნა: ვარ - ექნები - ვიყავ: ტაოურში, როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, I სერიაში ორი ფუძე გამოყენებულია: არ და ქ[მ]ნ-. პირველი მართო აწმყოს მწკრივს აწარმოებს: ჩუენ სოფელში ორმოცი თანე **ვართ**, კარქა გურჯი; მუსტაფა შენი თანიში, ქუბაგიდამ **არი**...

მყოფადის მწკრივები “ქმნა” ზმნის ვნებითი გვარის ერთპირიან ფორმებს იყენებს: ჰევეგიც სოფელია, შიგან ორას ორმოზდაათი კუამლი **იქნება** (მყ.); ქკუები რომ ერთი **იქნება**, თივებზეც, შიშებზეც დეიწოლება (მყ.); დამწკროული **არ იქნებოდეს** გზა, მალე ჩავალთ იუსუფელ (მყ.კავშ.)...

II და III სერიის მწკრივები კი “ყოფა” ზმნის ვნებითისგანევა ნაწარმოები: პატიტუანი ღარქები **ვიყავით** (წყვ.), ის რა გემრიელ ხალხ **იყვენს** (წყვტ.); ორი სოფელი **იყო** - ახალი და ყაზახორა (წყვტ.); დღე რა **იყო?** ხვალნა **იყვენს** სამშაფათი (II კავშ.); აქნობაში ყუელა გურჯი **ყოფილა** (I თურმ.), ჰამა იციან, ჩუენ ქართველები **გყოფილვართო** (I თურმ.), თამარ დოლოფალი დმერთისა მოყუარული **ყოფილა** (I თურმ.)...

რაც ტაოურს განასხვავებს სალიტერატურო ქართულისა და დანარჩენი ღიალქტებისაგან, არის ის, რომ ზოგჯერ აქ **იქნება** ფორმა გამოყენებულია აწმყოს საწარმოებლად. მაგ.: წითლეკარ გემრელი ადგილია, იქ **იქნება** ბევრი ბირყიმი, ვაშლი, ბალი; ყურწიანი ზირი მუავეც **იქნება**, მოხარშევ - შეიქმევა; იქვერობაში ქილიავე, ტყიმალი, კაკალი, კაკლი ჰვენარი **იქნება**, არი; ზეწნი **იქნება** აქვერობაში... ყველა ზემომოყვანილ მაგალითში ფორმით მყოფალი **იქნება**, კონტექსტით აწმყოს გადმოსცემს.

II. ჭლობა - სხლობა; ვზივარ - ვიჭადი: ტაოურშიც ჭდ მხოლობითის ფუძეა, მრავლობითში მას ენაცვლება **სხედ-**; ამავე დროს, იგი მწკრივში მონაცვლეცაა: აწმყოში **ზი-** ენაცვლება.

რიცხვში შენაცვლება: ახლა მურღულის მერქეზში **ვზივარ** (მზ.); შენც აქა **ძიხარ?** (მზ.); ერმენებიც **ისხდეს** ჰვენგში, წევდეს (მრ.)...

შესაძლოა, რიცხვში შენაცვლება არ მოხდეს და **ჭდ-** ან **ზი-** ფუძე გამოიყენებოდეს მრავლობითშიც: ჩუენები წინ-წინ ჰვენგში **იუდეს**; ზუელათ აქა ერმენები **მჯდარან**; ამ ოდაში მართო დედუკეცები **ძიან**...

რაც შეეხება მწკრივში შენაცვლებას: როგორც აღვნიშნეთ, **ზი-** ფუძე გამოიყენება მხოლოდ აწმყოში; სავრცობიანი მწკრივები აკლია; მყოფადში, II და III სერიაში მას ენაცვლება **ჯღ-**: ახლა მურღულის მერქეზში **ვზივარ**; მათი ფაღიშაში **შემჯღარა** ცხენზე; შენც აქა **ძიხარ?** ზუელათ აქა ერმენები **მჯღარან...**

ზოგჯერ, აწმყოში **ზი-** ფუძეს შეიძლება შეენაცვლოს **ჯღ-**: მე ჭილათ (სოფლია-მ.მ.) **ვქდავარ**. ფესტილოლი ვარ, ჩირაძე...

III. **შრომა, ქმნა - ზმნა**.

დღევანდელი კეთება ძველად გამოიხატებოდა **ვჭყოფ-ვყავ** ზმნით. ამ ზმნას მეორე სინონიმური წყვილიც მოეპოვებოდა - აწმყოში: **ვიქმ, იქმ, იქმს, ვიქმთ, იქმთ, იქმან**, ხოლო წყვეტილში უნიშნო საარვისო ქცევით იხმარებოდა: **ვ-ქმენ, ჰ-ქმენ, ქმნა**-ა (ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996, გვ. 157).

მოგვიანებით, ქართულში **იქ-** ფუძე მხოლოდ აწმყოს აწარმოებდა და **იქმ-** — მყოფადს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ზმნა სრული ასპექტით არის ნახმარი (რაც ხშირი მოვლენაა): მერმე ბრძანა: **ვიქმ** საქმესა მამისაგან სწავლებულსა” (ვეფხ., 53)(იქვე).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში აწმყოს წრეში უფრო იხმარება **შრომა** (< **შვრომა** < **შურომა**).

“**ქმნა**” — ც იხმარება აწმყოს წრეში, მაგრამ სათავისო ქცევის ფორმით და გარკვეულ შემთხვევებში, მაგ.: რასა **იქ?** (= როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ?), რასა **იქთ?** ესენი აწმყოს ფორმებია, მაგრამ გაგება ახლანდელი დროისაც აქვთ და მომავლისაც. აქედან შემდეგ სხვა მწკრივები: **ვიქლი, ვიქლე**.

სრული ასპექტის მნიშვნელობით მყოფადის წრეში იხმარება (ესეც სათავისო ქცევის ფორმით): **ვიზამ, ვიზამდი, ვიზამდე**. სხვა მწკრივები ამ ფუძეს არ გააჩია. ვიქამ, იქამ და შემდგომი მყოფადის მნიშვნელობითვე იხმარება, მაგრამ დიალექტური ფორმებია.

II და III სერიის ფორმები **ქმნა** ზმნისგანაა (II სერიაში საარვისოს ფორმით): **ვქენ(ი), ვქნა; ქენ(ი); მიქნია, მექნა, მექნას**.

ზოგ შემთხვევაში “**შრომა**” ზმნის ნაცვლად “**ჩაღენა**” იხმარება: **ვჩაღი, ხჩაღი, ჩაღიხ**. რას ხჩაღი? (= რას შვრები?) და მისთ. (აქ. შანიძე, 1980, გვ. 508).

ტაურში აწმყოში “**შრომა**” ზმნა საერთოდ არ გამოიყენება; მას ენაცვლება “**გარჯა**”: ამა **ვიჯებით**; ბექმეზ თუთადამ **იჯებთან** ბარში; რა **იჯებით** მნიშვნელობით იგივეა, რაც რასა **იქთ**, რას **შვრებით**, როგორ **ხართ**, როგორ **ცხოვრობთ?**

რასა იქთ? - ეს გამოთქმა ტაურში არ დასტურდება, თუმცა **აწმყოში** “**ქმნა**” ზმნა ძალიან ხშირად იხმარება: ჯღსაქმარი ვიცით, კედ **ვიქთ**. ორყათ **ვიქთ**; ტოლმა **ვიქ** და ლაჰანადამ **ვიქ** და ფირინჯი **ვიქ** და ... და ... გუურევ და ... ქერი ჰორვა **ვიქ**...

მყოფადის წრეშიც დასტურდება ეს ფუძე: ფქუილში წყალ ჩავსხამთ, **იქმთ** და: ქალები ჯვივ **იქმენ**, წინდა **იქმენ**; ცომ **იქმენ**, ჯავე ბურის ცომ ურთებენ, გასუქდება; გათავდება, გომოცხოვა, დაშვრინ, დააწყარებენ თეფსებში,

იქმენ მაკინას; ფაფა **იქმენ** ლაზუთი ფქვილიდან შორვა **იქმენ**; ფაფა **იქმენ** ბექმეზით, ყაიმალით...

როგორც ვხედავთ, ტაოურში დღეს სახეზეა **იქ-**, **იქმ-** ფუძეების შენაცვლება/განაწილება მწკრივებისა და ასპექტის მიხედვით (აწმყო-მყოფადი, უსრული-სრული), თუმცა, ზოგჯერ შეიძლება, **ვიქმ-**, **იქმ-** ... ფუძეები ახლანდელი დროის გამოსახატავადაც იყოს გამოყენებული; მაგ.: ჰო, მარქუალ, იმაი იმე **იქმენ**,... მაიდანოზ იმე **იქმენ**, აყრიან; ფურუდამ ყაიმალ **ვიქ** და იალ **ვიქ** და ყველ **ვიქმ** და იალ **ვიქმ**, ერბო (ბოლო მაგალითში ერთი და იგივე რესპონდენტი ერთმანეთის გვერდიგვერდ გამოიყენებს **ვიქ** და **ვიქმ** ფორმებს აწმყოს წრეში).

ესე იგი, ქართული ენის ტაოურ დიალექტში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ის უძველესი ვითარება, როდესაც I სერიაში მოთავსებული ყველა ზმნა ახლანდელი დროის აღმნიშვნელი იყო.

ასევე, ერთისა და იმავე რესპონდენტის საუბარში ხშირად დასტურდება აწმყოში **ვიქმ** და **ვიჭებით** ფორმების პარალელურად გამოყენება: გოდორ **ვიქმ** და იშთა... და იმასა **ვიჭებით**... საილამ **ვიქმ**? თუთადამ **იჭებთან** ბექმეზ ბარში...

II და III სერიაში ტაოურშიც **ქქინა** ზმნისაგან ნაწარმოები ფორმები გამოიყენება: რა საქმე **ვექნი**, რატომ მოვკალ?; ერთ წელწად ვიყვენთ, დუგუნი მერე **ვექნით**; გოგო ბაბოი გაგულიანდა: მივეცი, აბა რა **ვექნიო**; თურქებ ემე **უქნიან**... გოლდენიან ერმენები აქედამა...

ერთადერთხელ (უიშვიათესად) შ. ფუტკარაძის ჩაწერილ ტექსტებში მყოფადში დასტურდება **“ზმა”** ფუძეც: მე ღმერთ შევებუეწევი, შენ ჰალალ არ **გოზამო**.

IV. **მბობა — თქმა: ვამბობ — ვიტყვი — ვთქვი.**

ვიტყვი, **იტყვი**, **იტყვის** ძველ ქართულში აწმყოს მწკრივის ფორმებია და დღევანდელი ქართულით იქნება: **ვამბობ**, **ამბობ**, **ამბობს**. დღეს **ვიტყვი**, **იტყვი**, **იტყვის** მყოფადის მწკრივებია და მომავალ დროს გამობნატავს. ძველ ქართულში ერთმანეთს ენაცვლებოდა **ვიტყვ** და **ვთქუ** (ივ. იმნაიშვი., 1996, II, გვ. 499).

“ვამბობ” სალიტერატურო ენის ფორმაა. ზოგ კილოში მის ნაცვლად სხვა ზმნა იხმარება: ვჩივი (გურ.), ვიძახი (ქართ.), (ვ)უქ[ხ]ნობ (იმერ.) (აკ. შანიძე, 1980, გვ. 509).

ტაოურში: აწმყოში გვხვდება როგორც **ვამბობ**, ასევე **ვიძახი** და **ვიტყვი** ფორმები. მაგ.: ჯული, გემიჯელი — **ვამბობთ** (აწმყო), ცოტა კიდე გახელდევო, თუ **ვიტყვი** (მყოფადი), ცოლის მოყუანა მინდაო, იმის მაჰანა იქნება; ფადიშაში **იტყვის** იქედამ: უდრო, უდრო ნავალ კაცსა რა უნდოდეს? უდრო, უდრო ნავალ კაცსა რა უნდოდეს? — **ამბობენ** ჭინ-ფერიები ერთაი (აწმყო); წყალზე “წკარი” **უზანთან**, მოსლაზე — “მოხდი” **უზანთან**, ჩომოსვლაზე “ქოგელახთი” **იტყვიან**; მაწონი დედა, დედეკაცი, დედეკაცი, მიდღეში იმა **ვიზანით**; ლეხტი კდარიაო, რომე მოკდება ინსანი, იმასა **უზანთანო**, - მითხრა; ლებო (მურღულში **იტყვიან** — ლობიო) (აწმყო); ართვინის იქეთაიკ სხუა სოფ ვიხვარათებთ, მურღულელები **იტყვიან** — ვილაპარაკებთ (აწმყო): მურღულელებმა “ცოლი” თქმა არ იციან, ქალი **იტყვიან**. ჩუენ **ვიტყვიო** დედეკაცები. ისინი **იტყვიან** “ქალგები” (აწმყო); ბევრ **იტყვიან-ქა** სატალახე

ზუელი დასახლება ყოფილა (აწმყო); “გომონინს” ჩუენ ვიტყვი-ია, მურღულულები იტყვიან გამოიდინენო (აწმყო); ტაბანი მოვჰკვეთეო, ვიტყვი (მყოფადი/აწმყო)...

იშვითად, ტაოურში აწმყოს წრეში ამბობს და იძახის ფუძეებიც დასტურდება: უგმან-უგმან ადგილებშინა დავმალეო, ამბობდა გუშინა (უწყვ.); ჰო, რა ვინახდით? თამარ დოდოფალზე, ვსწერით? (უწყვ.); ეს გურჯისტანის ენ დიდი კაციაო, ამბობდენ (უწყვ.)...

ვიტყვი - ვიძახი - ვამბობ ფუძეთა გამოყენების შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი არის დაახლოებით 81%-19,5%-9,5%-ზე; ესე იგი, ტაოურში ჭერ კიდევ შენარჩუნებულია არქაული ვითარება, როდესაც **ვიტყვი-ფუძე** აწმყოს წრის (ახლანდელი დროის) მაწარმოებელია.

ამასთან, ტაოურ დიალექტში **ვიტყვი** ზმნა მომავალი დროის გადმოსაცემადც გამოიყენება: გოგომ მოვაგონდება, იფი-იფ-ს **იტყვი**, რადა და ვამევე; ერთ თანე მამწონდა, ამა არ **ვიტყვი** (მყოფადი); ისე **იტყოდეს** ზუელები, დედაბრი წყევლამ უწიაო (მყ. კავშ.)...

წყვეტილში **თქმა**- ფორმა დასტურდება, ისევე როგორც I თურმეობითში: ბევრი გუელაპარიკეს, მარა მათი ნანდომი ვერ **თქუეს** (**წყვტ.**); **უთქუამს** თამარ დოდოფალს, ისინი გამაყიდნია ამ საქმემაო (I თურმ.); ეილა **უთქვია** თამარ დოდოფლისათვის; **უთქვია** თამარ ქალსა (I თურმ.); ენაში მიგორავეს და ვერ **მითქვია** (I თურმ.)...

V. უბნობა, თხრობა: ვეუბნები - ვიტყვი - ვუთხარ.

ძველ ქართულში ერთმანეთს ენაცვლებოდა **იტყვის** და **ჰრქუა** ფუძეები. ბირველი მათგანი აწმყოს მწკრივისაა და ახლანდელ დროს გამოხატავდა (ივ. იმნაიშვ., 1996, II, გვ. 500).

თანამედროვე ქართულში გვაქვს: **ვეუბნები - ვიტყვი - ვუთხარ** ფუძეთა შენაცვლება.

ტაოურში აწმყოში გვხვდება როგორც **ვეუბნები**, ასევე **ვიტყვი** ფორმა. მაგ.: გოგოს ბაბოს **ებნევა** — მიეცი თუ არა გოგოვო; გოგოს ბაბოსა კიდო **ებნევა**... იქ იქნება ბევრი ბირყიმი (მურღულუში **იტყვიან** — პანტა); ჩუენ ახლოს ლაზები არიან, - “ჰანი” **ვიტყვი**; საჩეჩელ **ვიტყვი**, ვჩეჩავ-ა და ვართავ; მარქულა **ვიტყვი** ჩუენ; დეფანი **ვიტყუით**, დეფანი; ამა დედეი **იტყუის**, მე არ ვიცი; ზღმარტლი არ ვიცი, “სკლიბუნტურ” **ვიტყვი** (აწმყო); ჩუენ ბგანები — ვიტყვი, ათღაორი წლისა რომ იქნება; გათხოვილსა “დედეკაციო” — **ვიტყვი**; რომ დაბერდება ქალი, ბებერიაო — ვიტყვი, კაცსა დაბერებულსა “ბერი” **ვიტყვი**...

ვებნევი-ვიტყვი ფუძეთა გამოყენების შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი ამ ეტაპზე არის დაახლოებით 18%-82%ზე; ესე იგი ტაოურში სახეზეა არქაული ვითარება, როდესაც **ვეტყვი-ფუძე** აწმყოს წრის (ახლანდელი დროის) მაწარმოებელია.

უწყვეტელში დაფიქსირდა **მებნევი**ოდა ფუძე: ლახტზე მისლამდი უნდა კაცსა სწავლაო, **მებნევი**ოა ჩემი ანაი...

მყოფადის მწკრივებში, ბუნებრივია, მხოლოდ **ვიტყვი** ფუძე დასტურდება: აქ მაქვა გულში და არ **ვიტყვი** (მყოფ.); ჩემი ანაი-აიში **მეტყვოდა**: - ოღულ მელილალო? მეც **ვიტყვოდი**: ჰოვ, მევლაღე (ზლომ.); ამხანაგები მყუანდეს, **მეტყვოდეს**, ბევრ რამეს **მეტყვოდეს**... (მყ. კავშ.)...

წყვეტილში დასტურდება **თხრობა** ფორმა: ჩუენ ზუელანდელებმა ისე **მითხრეს**, თამარ დოდოფალი ღმერთისა მოყვარული ყოფილა; **უთხრეს** ფადიშაჰსა ეს ბერი დევჭირევითო; მივეცი, აბა რა ვქენიო, მე **გიოთხარი** მივეციო; დევზარათენით მეთქი, **ვუთხარი** იმასა...

VI. ყვანა — სხმა

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იშვიათად ხდება ამ ფუძეთა შენაცვლება პირდ. ობიექტური პირების რიცხვის მიხედვით: შვილი ქალაქს **წაიყვანა**, ცოლ-შვილი ქალაქს **წაასხა**, **გამოასხა** ერი იგი“ (მათ. 9,25). ასეთი შენაცვლება თითქმის გადავარდა ხმარებიდან. **წაასხმა** ახლა შეიძლება მხოლოდ საქონელზე ითქვას: ხარი მინდორში **წაიყვანა**, ხარები მინდორში **წაასხა** (აკ. შანიძე, 1980, გვ. 505).

ტაოურში ჩვეულებრივია **ყვანა-სხმა** ფუძეთა შენაცვლება, ამასთან, სხმა ფუძე გვხვდება როგორც საქონელზე, ასევე ადამიანებზედაც. მაგ.: მე იმათ (მეზობლებს) დილაზე **წაყვანამ** იუსუფელში; მე აქ მიჩრეკებენ, მეც იმას ვურეკები, ის **მიასხამს** ხალღებსა

VII. გდება — ყრა

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ამ წყვილის ერთი ცალი მხოლოდითი იხმარება, მეორე — მრავლობითში. “ყრა” ითქმის არა მარტო მრავალ საგანზე, არამედ ერთზედაც, მაგრამ ისეთზე, რომელიც მთლიანი არ არის და ნაწილებად იშლება: ფქვილი, ზორბალი, მიწა, ნაცარი და სხვ.

ტაოურ მეტყველებაში რაიმე თავისებურება ამ წყვილის მონაცვლეობაში არ შეგვიჩინავს: იმ ხან ჩემი გოგოი ვიპოე, სხვები **გავყარე** მერე, გავაქორე (სხვა გოგოები — მ.მ.); ერთანგმა იტირა, ერთ კვირე იტირა, გომოვიდა და მე რატომ **გამაგდეო** მითხრა, აეთ გახდა; ი გოგოს ბაბამა მერე მე მეტალდა, შენ რაზე **გააგდეო** ...

VIII. გდება/დენა-რეკვა

ტაოურში, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მსგავსად, იშვიათად ხდება ამ ზმნურ ფუძეთა შენაცვლება პირდ. ობიექტური პირების რიცხვის მიხედვით: **გოვლდენიან** არმეზები აქედანა...

IX. სვლა: ვალ — ვედ (ვიდ) — დი. ვალ ფუძე ძველად

უზმნისწინოდაც იხმარებოდა (“ვიდრე ზუალ, უფალო” = სად მიდხარ, ბატონო?), მაგრამ ახალ ქართულში მას მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმები აქვს: **მოვალ**, **მივალ**. იგი ძველად უსრული ასპექტის ზმნა იყო, მაგრამ შემდეგ სრულისა გახდა და მომავალი დროის გაგება შეიძინა: ამით მან კავშირი გაწყვიტა აწმყოსთან და მყოფადში გადავიდა. დაცარიელებული ადგილი **დი** ფუძემ დაიკავა. II სერიის ფორმები **ვედ-ვიდ** ფუძეზეა დაყრდნობილი.

ფუძეები **ვალ** და **ვედ (ვიდ)** ყოველგვარი ზმნისწინის დართვით ენაცვლება ერთმანეთს: გავალ-გავედი; შევალ-შევედი...

რაც შეეხება **დი** ფუძეს, ისიც ყოველთვის ენაცვლება **ვალ** და **ვედ (ვიდ)** ფუძეს, გარდა იმ შემხვევებისა, როცა **დი-ს** ერთვის ზმნისწინი **და**, ნაწილობრივ აგრეთვე **მი** და **მო**:

და-ვდივარ. ამ ზმნას მონაცვლედ სხვა ფუძის ზმნები აქვს (**ვივლი**, **ვიარე**). მართალია ხალხურ ლექსში გვხვდება: “სახნისმა თქვა: ქვესკნელს **დავალ**, ვერვინ მნახავს მზეზედაო”, მაგრამ ეს ძველის გადმონაშთია.

მი-ვდივარ. ამ ზმნას ორი მონაცვლე აქვს (მნიშვნელობის განსხვავებით): **მივალ** და **წავალ**. **მი-ს** ბოლო ბუნქტი აქვს მხედველობაში და **წა-ს** დასაწყისი.

ქუთაისიდან წავალ და სვანეთში მივალ. წავალ-წავედი, მაგრამ “წავდივარ” არ ითქმის.

მო-ვდივარ. ამ ზმნასაც ორი მონაცვლე აქვს (აგრეთვე სხვადასხვა მნიშვნელობით): **მოვალ** და **წამოვალ**. **მო** ბოლო პუნქტს გულისხმობს, **წამო** – დასაწყისს: სვანეთიდან **წამოვალ** და ქუთაისში **მოვალ** (ასე ვამბობთ, როცა ქუთაისში ვართ) (აქ. შანიძე, 1980, გვ. 506-508).

ტაოურში აწმყოს წრეში თავისებურება ის არის, რომ აქ გამოიყენება როგორც **დი-** ფუძეზე დაფუძნებული **მოდის, მიდის, ჩადის, მოვდივარ, მოვდივართ, მოდიან,** ასევე **ვალ-** ფუძეზე დაყრდნობილი **მივალ, მოვალ, ჩავალ** ტიპის ფორმებიც:

მაგ.: პარხლის წყალი აქეთვე **მოდის**; მარჯვლივ გზა **მიდის** ქებაბისკე; შეხედა ქი, გზა **მოდიან** ჩინ-ფერები; აქვრელები მუჭაჯირათ **მიდიან** შიგანა თურქიეში; გომოჩდა ქუბაბაგი, ვიტყვი: — ქობასკე **მივალ**; აქა იწურვის წყალი, ქუემ **ჩავა** და აქედამ იუსუფელ **მივა** სასმელი წყალი; მე იქ ვერ წომოვალ, დღესა ჩანაზა არი, იქ **მივალ**; წყალი არ **მოვა**; საღამოითობა წუელავს ბებერი, **მოვა**; საღამოზე დიმირეკვენ, დილაზე **მოვდივართო**; ქართული კარნალი გეელო **მოხუალთ-მიხუალთ** ზოვლი დევეჩვიენით ამასა; იქილამ **ჩომოვლენ** (**ჩამოდიან**) გელები; პარხალში მანქანით **ავალთ** (**ავდივართ**); **მიხუალ** (**მიდიხარ**) წითლეკარი წყაროზე, წყალ შესუამ...

ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში, რომელშიც **ვალ-** ფუძეა გამოყენებული, კონტექსტით გვაქვს ახლანდელი დროის გაგება.

უწყვეტელში დადასტურდა **დი-** ფუძიანი ფორმები: ზემოითკე ქალები **მოდიოდენ**, დვენაზე თუალები ზედ დამრჩაო ...

მყოფადის წრეს **ვალ-** ფუძეზე დაყრდნობილი ფორმები აწარმოებს: საღამოპირაი იუსუფელიდან **წამუალთ** სახლისკე, დილაზე **ჩამუალთ**; მე იქ ვერ წომოვალ, დღესა ჩანაზა არი, იქ მივალ; ქილიონი სოფელ მარცხნივ **მივა**, იქა არ იციან ქართული; **მიხუალ** წითლეკარ წყაროზე, წყალ შესუამ; ზემოთკე **წახუალ** ხევეკარი გომოჩდება; ზოგნი წავლენ სახლისკე; ერთი საათი ჩავალ, ერთი საათი **გამოვალ**... ქომოთკე **წევდოდით**; გზვენარი ასე მოშლილი მგონებოდა, არ **წომოვდოდით** (ზოლმ)...

წყვეტილში **ვედ-/ვიდ-** და **ველ-** ფუძიანი ფორმები დადასტურდა: მერე ახრაბები ნახეს, ბათუმ **გადევედენ**; წერეულა ორ თანე გურჯი **მოიდეს**; მზეფნელი აღმანიადამ მოიდეს აქა გურჯები; აქიდან **ჩომოვლენ** ისენი; მეო თქუენსას **გადმოველი** და ბიჭ აქორწილებდენაო;

ქობაილამ **ჩომოველით**; მექთებში **წაველ**, თურქჩა არ ვიცოდი; ქუსლი მოკვეთვეით და ყელი ყელზე **გეველითო** – ვიტყვი (**ველ-** ფუძის გამოყენების შემთხვევები დასტურდება მაგ. ქართლურშიც და არქაული ვითარების ამსახველია;

II კავშირებითში **ვედ-/ვიდ-** ფუძეები გვხვდება: ღოზერი რომ **ჩომოვდეს**, გააკეთებს გზასა; პარხლისკე **წევდეთ**, დაო; ჰალადვენ იქ არი, **გახვიდე**, დენიანავ...

X. **ვლა: დავდივარ, ვიარები — ვივლი**

დღეს აწმყოს წრის მწყრივებში თანაბრად იხმარება “**დავდივარ**” და “**ვიარები**” (ან “**დავიარები**”): **დავდივარ, დავდიოდო, დავდიოდდე; (და)ვიარები, (და)ვიარებოდო, (და)ვიარებოდდე.** III სერიის ფორმებში

გამოყენებულია ვლ ფუძეა (ვალ ფუძის შეკუმშული სახე), რომელიც აგრეთვე მყოფადის წრის მწკრივებს აწარმოებს: ვივლი, ვივლიდი, ვივლიდე; მივლია, შევლო, შევლოს.

“ვიარები”-ს შეიძლება მარტო “და” ზმნისწინი დაერთოს აწმყოში (და-ვიარები), II სერიაში — სხვებიც: დავიარე, მოვიარე, შევიარე, გავიარე... ეს უკანასკნელები ყველა გარდამავალი ზმნებია, ისე როგორც მათი მონაცვლები: დავივლი, მოვივლი, შევივლი, გავივლი, გადავივლი და სხვ.

“ვივლი”-ს პარალელურად გვხვდება აგრეთვე “ვიარ” (აქ. შანიძე, 1980, 510).

ტაოურში აწმყო წრეში, სალიტერატურო ქართულისა და სხვა ქართული დიალექტების მსგავსად, დავდივარ ფორმას ენაცვლება ვიარები (დავიარები) ტიპის ფორმაც. მაგ.: ჩუენ ვიარებთ-ია (აწმყ.) ზამთრის უკან ი ალაგებში; ქართველებ უკან ერთი კვირა ვიარები (აწმყ.), ხვალ მიდიან, მეწყინება; მანქანით ვსაქმობ, სახლში ვიარები (აწმყ.), დილას და საღამე; ამ გზევენარმა ამართვა სული, გაჩენილ დღე ამ გზევენარზე ვიარები (აწმყ.); ზემოდან ფეჭდაფეჭ ალარვინა იარება (აწმყ.); ფადიშაჰმა ამას გაჰკითხა: დამეში რატომ იარებო? (აწმყ.); მეცხვარე ცხენით იარება (აწმყ.) ... იშთა იარებოდეს (უწყვეტ.) იქა და რად ქნეს არ ვიცი...

ტაოურ დიალექტში, სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, იარ-ფუძით შეიძლება იწარმოებოდეს მყოფადის წრის მწკრივებიც: საჩინოთიდან გედეიარ (აწმყ.) ზემოთვე წასლუხან, ქედ გედეიარ (აწმყ.), წითლეკარ გომოჩნდება; წითლეკარ შეიარ (აწმყ.), სატალახე გახუალ; აბლი შეიარ (‘გაივლი’) გომოჩნდება ყარამანდერი; იქედამ წყალი წომოა, ქორობლაქეთ ჩომოა, ჩამეიარს (აწმყ.) და სადგიყანა; მეტი მომდრელი, ცუდ არ გეიარს (აწმყ.), ადვილაი მაადრის... მაქინები ამ კიდიდამ გეიარდენ (ხოლმ.)...

ვივლი, ივლი, ივლის... ტიპის მაგალითები არ დავვიფიქსირებია.

წყვეტილში იარ- ფუძე დადასტურდა: გურჯისტანიდამ გადმეარა თამარ დოდოფალმა, ასკრებიც მის უკან გადმუანურია; სამ დღეზე გადეარა თუ როისა, დუშლამდა წითლეკარ, ჩევეა პარევე; შუიდ დღე-ღამეს ვიარეთო. იტყოდა...

I თურმეობითში ვალ- ფუძე შეგვხვდა: ჩემ ბაბოი გადმოვლილა თქუენსა...

როგორც გაანალიზებულმა მაგალითებმა აჩვენა, ქართული ენის ტაოურ დიალექტში ზოგიერთ ფუძემონაცვლე ზმნას წარმოების დროს არქაული ვითარება აქვს შენარჩუნებული.

ლიტერატურა

- ივ. იმნაიშვილი, 1996 — ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ტ. II, ფრანკფურტი, 1996.
- შ. ფუტყარაძე, 1993 — შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
- შ. ფუტყარაძე, 1995 — შ. ფუტყარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუშაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სალოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1995.
- აკ. შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბზულებანი, ტ. III, თბ., 1980.
- ბ. ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.
- ბ. ჯორბენაძე, 1998 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.
- 2009-2011 წლებში ტაოში ჩაწერილი დიალექტური მასალა (დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში).

MAIA MIKAUTADZE

THE FORMATION OF SOME HABITUAL (STEM-CHANGING) VERBS
IN TAO DIALECT OF THE GEORGIAN LANGUAGE

Tao dialect of the Georgian language is indicated with its archaic forms. From this point of view, the formation of the stem-changing verbs is interesting.

The interchange (alteration) of the rows, as it is known, is more characteristic than the interchange of number. Sometimes three forms of the root are interchanged. Besides, historically in one and the same row two or more roots can be used.

The work deals with the following stem-changing verbs: **I. to be (kopna): I'm (var) – I'll be (viknebi) – I was (vikav); II. Sitting (jdoma-skhdoma); I'm sitting-I was sitting (vzivar-vijeki). III. To work (shroma), to do (kmna). IV. To tell- to say (mboba-tkma): I'm telling-I'll tell-I told. V. I'm saying-I'll say-I said. VI. To take away (tsakvana-tsaskhma). VII. Exclude-divorce (gagdeba-gakra) VIII. Exclude/drive (gagdeba-gadena) IX. Walk (svla) X. I'm walking-I'll walk (davdivar-vivli).**

As the analyzed material reveals, some stem-changing verbs in Tao dialect of the Georgian language have maintained archaic form in the formation process. Some verbs have the characteristic features of the modern literary Georgian language and other Georgian dialects. But some verbs have the features typical only for the Tao speech.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ზარნა-ბექა გილაშვილი (ზაპრადინ გილოღლუ) –
თურქეთში მოღვაწე ქართველი მწერალი
და გამუღვივებელი

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილს (მათი ზუსტი რაოდენობის დადგენა დღესდღეობით შეუძლებელია) ეთნიკური ქართველები შეადგენენ, საკუთრივ ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში მათ მეტად უმნიშვნელო წვლილი აქვთ შეტანილი. მართალია, თურქეთის ყველაზე მეტად სახელგანთქმულ და წარმატებულ ადამიანთა შორის, როგორც წარსულში, ისე დღესაც, ეთნიკური წარმომავლობის ქართველებიც საკმაოდ გვხვდებიან, მაგრამ მემლექეთად წოდებული მათი ისტორიული სამშობლოსათვის არსებითად ფასეული და მნიშვნელოვანი ამ ადამიანებს ფაქტობრივად არაფერი გაუქვთებიათ.

პირველი მამულიშვილი, რომელმაც თურქეთელ ქართველთა ცნობიერებაში ამ თვალსაზრისით თვისებრივად სრულიად ახალი ეტაპის დადგომას დაუდო სათავე, თავად ჩვენებურების მიერ მათ ილია ქაეკავაძედ, ბელადად და ეროვნულ გმირად სახელდებული აჰმედ მელაშვილი (ოზქანი) იყო, კაცი, რომელიც, დიდ ქართულ საქმეთა კეთებისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამო, 1980 წლის 5 ივლისს ექსტრემისტმა ნაციონალისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

აჰმედ მელაშვილი თურქეთში მცხოვრებ ქართველთაგან ფაქტობრივად პირველი იყო, რომელმაც თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი და სხვა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მცხოვრები ჩვენებურების ცნობიერებაში ქართული თვითშეგნების გაღვივება და კიდევ უფრო მეტად განმტკიცება დაისახა.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თურქეთ-საქართველოს შორის დამკვიდრებულმა ახლო მეგობრულმა და კეთილმეზობლურმა ურთიერთობამ, რასაც შედეგად სარფის სასაზღვრო ჰიშკრის გახსნა და ჩვენს ქვეყნებს შორის მოსახლეობის თავისუფლად მიმოსვლის დაწესება მოჰყვა, ჩვენებურების ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების პროცესს განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შესძინა.

და მაინც, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, თურქეთში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი დღემდე რჩება ქართული რეალობისთვის მეტ-ნაკლებად გაუცხოებულ ნაწილად და საკუთრივ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და ქართული სულიერი კულტურის განვითარების პროცესში აქტიური ჩართვის სურვილს ჭერჭერობით მათი მხოლოდ მცირე ნაწილი გამოხატავს. ამ თვალსაზრისით გარკვეულ აქტიურობას დღესდღეობით მარტოოდენ ბიზნესმენთა ცალკეული წარმომადგენლები იჩენენ.

იმედი მაქვს, რომ ეს მოვლენა დიდხანს არ გაგრძელდება და თურქეთელ ქართველებსა და მათ ისტორიულ სამშობლოს შორის ოთხი საუკუნის განმავლობაში აღმართული გამიჯნავი ბარიერები თანდათანობით დაიძლევა და ჩვენებურები საკუთრივ ქართულ საქმეთა კეთების პროცესშიც მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, მკითხველს რამდენადმე მაინც დაანახოს ის წანამძღვრები, რომლებიც, ჩემის აზრით, ამგვარი მოსახზრების გამოთქმის საფუძველს იძლევიან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა პირველ ყოვლისა, ჩვენებურების მიერ საუკუნეთა განმავლობაში ქართულ ენაზე შექმნილ ფოლკლორულ ნიმუშებს უნდა მივანიჭოთ. მათ უდიდეს ნაწილს სასიმილო ტექსტები წარმოადგენს, მცირე ნაწილს კი სახალხო მთქმელების მიერ ზეპირსიტყვიერი ფორმით შექმნილი და თაობიდან თაობას ამგვარი სახით გადაცემული ლექსები, ლეგენდები, თქმულებები და მსგავსი სახის ტექსტები, რომლებიც სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენებსა და პიროვნებებთან არის დაკავშირებული. მართალია, ამ სულიერი მემკვიდრეობის დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში საშუალოდ დაიკარგა, მაგრამ მისი გადარჩენილი ნიმუშები მაინც იძლევა იმის შესაძლებლობას, გარკვეული წარმოდგენა რომ შეგვექმნეს ჩვენებურების ეროვნულ-ცხოვრებისეული თვალთახედვის არსზე.

რაც შეეხება პროფესიულ ქართულენოვან მწერლებს, ასეთები თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებს ფაქტობრივად დღემდე არ ჰყოლიათ. აღნიშნული მოვლენა იმით როდია განპირობებული, მათ შორის ლიტერატურულ-შემოქმედებითი ნიჭით მადლცხებული პიროვნებანი რომ არ გვხვდებიან. ეს რომ ასე არ არის, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, თურქული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შორის ქართული წარმომავლობის მწერლებიც რომ გვხვდებიან საკმაოდ მრავლად.

სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, ზემოთ აღნიშნული გარემოება იმ ფაქტმაც განაპირობა არსებითად, რაოდენობრივი სიმრავლის მიუხედავად, თურქეთელ ქართველთა უდიდესმა ნაწილმა საერთოდ რომ არ იცის ქართული წერა-კითხვა. ამის გამო თურქეთში მოღვაწე ქართულენოვანი მწერალი, თუკი ასეთი იქნებოდა, ბუნებრივია, მკითხველის გარეშე დარჩებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩვენი თურქეთელი თანამემამულეები ბოლო დრომდე ქართულენოვანი სამყაროსაგანაც იყვნენ იზოლირებული.

ასე რომ, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებისაგან განსხვავებით, ჩვენს თურქეთელ თანამემამულეებს არც ქართულენოვანი მხატვრული ლიტერატურა შეუქმნიათ და არც ბეჭდური გამოცემები ჰქონიათ მშობლიურ ენაზე. თვით აჰმედ მელაშვილსაც კი, რომელიც ჩვენებურების ეროვნულ ბელადსა და "ქართულებსთვის დამწვარ" დიდ მამულიშვილს წარმოადგენდა, ქართულად ფაქტობრივად თითქმის არაფერი დაუწერია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ჩვენებურებთან საუკუნეების განმავლობაში გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა და დაახლოება მოჰყვა, ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით ვითარება ჭკრჭკრობით მკვეთრად და რადიკალურად მაინც არ შეცვლილა. თუმცა იმედის მომცემი ნაბიჯები ნამდვილად რომ გადაიდგა,

ამის დასტურად ქვემოთ შევეცდებით კონკრეტულად გავამაზვილო ყურადღება თურქეთელ ქართველთა ისტორიაში პირველი ქართულენოვანი მწერლისა და რედაქტორ-გამომცემლის — ფარნაბეკა ჩილაშვილის (ჩილოღლუს; ზოგიერთები მას ჭილაძის გვარითაც მოიხსენიებენ ხოლმე), ქართულენოვან შემოქმედებასა და საქართველოსთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

ფ. ჩილაშვილის მიერ წარმატებით განხორციელებულ მრავალრიცხოვან ქართულ საქმეთაგან განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო იმ ფაქტს, რომ 2007 წლიდან, თურქეთის ისტორიაში პირველად, სტამბოლში იგი ორენოვან (თურქულ-ქართულ) ყოველკვარტალურ ჟურნალსაც სცემს “ფიროსმანის” სახელწოდებით. ქართველი მკითხველისათვის საქართველოშიც თავისუფლად ხელმისაწვდომი ამ მაღალპოლიგრაფიული პერიოდული ორგანოს მეშვეობით, სადაც ყველა მასალა ერთდროულად ქართულ და თურქულ ენებზეა დაბეჭდილი, ფ. ჩილაშვილი ქართველ და თურქ მკითხველებს მძაფრად გამოვლენილი პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული წერილებით მიზანსწრაფულად აწვდის უარესად საინტერესო ინფორმაციებს ჩვენი ქვეყნის როგორც ისტორიული ყოფიდან, ისე თანამედროვე ცხოვრებიდან.

თუმცა აქვე, როგორც ეს ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელთან პირადი შეხვედრებისა და მიმოწერის შედეგად ირკვევა, ფინანსური პრობლემების გამო “ფიროსმანის” სტაბილური ფორმით გამოცემას დღესდღეობით რეალურად ექმნება სერიოზული პრობლემა.

ამ სამწუხარო მოვლენის გამო აქ ორ გარემოებას მინდა მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება: პირველი იმას, რომ აღნიშნული პერიოდული ორგანოს გამოცემის ხელშესაწყობად საქართველოში ფაქტობრივად თითქმის არაფერი კეთდება და ქართული მხარე არა თუ ჟურნალის დასაფინანსებლად არ აკეთებს რაიმეს, არამედ “ფიროსმანის” არსებობაც კი ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით ძალზე ცოტა ვინმემ თუ იცის, რის გამოც საქართველოში მას მკითხველიც ძალზე ცოტა ჰყავს და მყიდველიც.

და მეორე, რაგინდ გულსატკენიც არ უნდა იყოს, აქვე იმ ინერტულობისა და დაუინტერესებლობის გამოც უნდა ითქვას ცხადად და გულაზილად, რასაც თავად თურქეთელი ქართველები იჩენენ თურქეთის ისტორიაში ამ პირველი ქართულენოვანი გამოცემის მიმართ. ვინაიდან “ფიროსმანში” ყველა მასალა ერთდროულად ქართულ და თურქულ ენებზეა გამოქვეყნებული, ახლა უკვე იმის თქმის საფუძველი აღარავის აქვს, ჟურნალს ქართული წერა-კითხვის უცოდინარობის გამო ვერ ვყიდულობო. ნუთუ ჩვენს თურქეთელ თანამემამულეთა შორის იმდენი კაცი არ მოიძებნება, ვინც ჟურნალის შეძენით (ნომრის ფასი ხომ ორ ლარს არ აჭარბებს!) ამ პერიოდული ორგანოს მესვეურებს მის გამოსაცემად საჭირო ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენს?! ნუთუ ბიზნესმენთა და ეკონომიკურად წელგამართულ ჩვენს თანამოძმეებს შორის, რომელთა რაოდენობა დღევანდელ თურქეთში საკმაოდ ბევრია, პატრიოტული სულისკვეთებით გულანთებული ისეთი ჩვენებურები აღარ არიან, რომლებიც ხსენებული ჟურნალის გამოსაცემად და სხვა ქართულ საქმეთა საკეთებლად აუცილებლად საჭირო თანხას უშურველად გაილეგენ და ამით მათ ისტორიულ სამშობლოსთან საუკუნეების განმავლობაში გაწყვეტილი კავშირ-ურთიერთობის აღდგენის კეთილშობილურ და საშურ საქმეში თავიანთ მამულიშვილურ წვლილს შეიტანენ?!

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ფ. ჩილაშვილი თურქეთში მცხოვრები პირველი ჩვენებურია, თანამედროვე თურქული ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენელი, რომელიც გარდა თურქული ენისა, მხატვრულ ნაწარმოებებს (ძირითადად ლექსებს) ქართულადაც წერს.

იგი თურქეთში, ორდუს ილის უნივერსიტეტში ილჩეს ქართულ სოფელ აქაბაბაში, დაიბადა 1955 წელს. წინაპართა ენა მან ოჯახში შეისწავლა. თავად მწერლის ინფორმაციით, მისი წინაპრები ზემო აჭარიდან, კერძოდ კი მაჭახლიდან, XIX საუკუნის ბოლო წლებში გადასახლებულან თურქეთში და შავი ზღვის სანაპიროზე, უნიეს რაიონის ერთ-ერთ სოფელში, დამკვიდრებულან. ჩილაშვილების გვარი XVIII საუკუნის ქართულ ქრონიკებშიცაა მოხსენიებული. იმის გამო, რომ მწერლის წინაპრები ჩვენი ქვეყნის იმ რეგიონის მკვიდრნი იყვნენ, რომელიც ოსმალეთს ჰქონდა დაპყრობილი, ისინი ჯერ კიდევ მანამდე გამაჰმადიანებულან, სანამ მუშაჯირობის გამო სამშობლოდან აყრა და თურქეთში გადახვეწა მოუხდებოდათ.

ფ. ჩილაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე 1980 წელს, სტამბოლის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, გამოვიდა და ამ დროიდან მოყოლებული, აქტიურ საქმიანობას ეწევა, როგორც მრავალმხრივი მოღვაწე და შემოქმედი.

მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად თავიდანვე იქცა ქართული საქმეებით აქტიური დაინტერესება, რაც მკვიდრი საფუძველი გახდა მის მიერ წარმატებით განხორციელებული არაერთი დიდმნიშვნელოვანი წამოწყებისა; მათგან, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ 2007 წლიდან მოყოლებული დღემდე ფ. ჩილაშვილი მის მიერვე დაარსებული და სტამბოლში გამოავალი პირველი ქართულენოვანი ჟურნალის — “ფიროსმანის” რედაქტორ-გამომცემელია.

გარდა ჟურნალ “ფიროსმანის” გამოცემისა, XIX საუკუნის დასასრულს ოსმალეთში გადახვეწილ ქართველ მუშაჯირთა ამ სახელოვანმა შთამომავალმა მეტად მნიშვნელოვანი სხვა ქართული საქმეებიც განახორციელა დიდის წარმატებით. კერძოდ:

— 1993 წელს მისივე რედაქტორობით აღადგინა გამოცემა ჟურნალ “ჩვენებურისა”, რომლის ბეჭდვაც ა. მელაშვილის მკვლევლობის დროიდან (1980 წ.) მოყოლებული 13 წლის განმავლობაში იყო შეწყვეტილი. ხსენებული ჟურნალის შეიდი ნომრის გამოცემის შემდეგ “ჩვენებურის” ხელმძღვანელობა მან ნური მერჯანს (ოთარ იმედაშვილს), ა. მელაშვილის ვაჟს — იბერიასა და გურამ ხიმშიაშვილს გადააბარა, თავად კი ახალი ქართული (თურქულენოვანი) ჟურნალის — “მამულის” გამოცემას დაუდო სათავე. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემის გამო, “მამული” ხანმოკლე პერიოდული გამოცემა გამოდგა და მან ხუთი ნომრის გამოცემის შემდეგ შეწყვიტა არსებობა;

— 1993 წელს სტამბოლში თურქულ ენაზე გამოსცა მის მიერ დაწერილი წიგნი — “ქართველთა ისტორია”, რომელიც თურქულენოვან მკითხველს “პოპულარული ფორმით აწვდის დიდძალ ინფორმაციას საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ“. ცნობილ თურქოლოგ ლია ჩლაიძის შეფასებით, ხსენებული წიგნის მნიშვნელობას არსებობისა და განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი “ქართველთა ისტორია (და არა საქართველოს

ისტორია) და იმ ქართველებსაც ენება, დიდი ხნის წინათ რომ მოსწყდნენ სამშობლოს და სხვა ქვეყნებში გადახვეწილებმა შეინარჩუნეს თავიანთი ქართველობის ხსოვნა და ქართული ენა. წიგნის იმ თავში, რომელსაც “თურქეთის ქართველები” ჰქვია, გამოყენებულია ქართველების თურქეთში მოხვედრის შეუღამაზებელი ისტორია. ფ. ჩილოღლი პირველია თურქეთის მეისტორიეთაგან, ვინც იქაურ გურჯებს სიმართლე უთხრა თავიანთი ვინაობის შესახებ“ (ფ. ჭილაძე (ჩილოღლი), 2006 წ. გვ. 11);

— მიაკვლია ისმეთ-ზადე მეჰმედ არიფის მიერ ოსმალურ ენაზე დაწერილ და 1893 წელს სტამბოლში გამოცემულ წიგნს — “ქართული სოფლები”, რომელშიც თურქეთში ქართველ მუჰაჯირთა დაპყვიდრებასთან დაკავშირებული ამბებია მოთხრობილი. ხსენებული წიგნი ფ. ჩილაშვილმა თანამედროვე თურქულ ენაზე თარგმნა და გამოსცა 2002 წელს;

— თურქულ ენაზე თარგმნა და სტამბოლში 1997 წელს ცალკე კრებულად გამოცა ქართული პოეზიის პატარა ანთოლოგია, რომელშიც თავი მოუყარა ჩვენი უახლესი პოეზიის რჩეულ ნიმუშთა ერთ ნაწილს. გარდა ამისა, თურქულ პრესაში სისტემატურად იბეჭდება მისი სხვა თარგმანებიცა და წერილებიც საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის პრობლემურ საკითხებზე. 2002 წელს კი სტამბოლში ცალკე კრებულად გამოვიდა შავშეთისა და ჭოროხის აუზის ქართულ სოფლებში არსებული მდგომარეობის ამსახველი ივანე ჭაიანის ის წერილები, რომლებიც XIX საუკუნის ბოლო წლებში გამოქვეყნდა “დროებასა” და “ივერიაში”;

— თურქულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგის — დევიდ ლანგის ნაშრომი — “ქართველები.”

ასეთია არასრული ინფორმაცია იმ დიდმნიშვნელოვან ქართულ საქმიანობასთან დაკავშირებით, რასაც ფ. ჩილაშვილი სამ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ეწევა მამულიშვილური შემართებითა და დაუცხრომელი აქტიურობით.

ფ. ჩილაშვილის ნაშრომებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მათი მეშვეობით იგი არა მარტო ჩვენი თურქეთელი თანამემამულეების ისტორიულ ყოფასთან დაკავშირებით გვაწვდის მეტად საინტერესო ინფორმაციებს, არამედ ეროვნული თვალსაზრისით დღესდღეობით რეალურად არსებულ უსთარებაზეც გვიქმნის ნათელ წარმოდგენას. მაგალითად, მწერალი გარკვევით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ჩვენებურების უდიდესი ნაწილი ქართულ მხოლოდ სასაუბროდ იყენებს და მათმა უმრავლესობამ წერა-კითხვა არც იცის. ფ. ჩილაშვილის აზრით, ის ფაქტი, რომ საუკუნეთა განმავლობაში მშობლიურ წილს მოწყვეტილი ჩვენებურები ეროვნულად არ გადაგვარდნენ და არ გათურქდნენ, პირველ ყოვლისა, იმ ფაქტმა განაპირობა არსებითად, რომ ისინი უმთავრესად სოფლებში ცხოვრობდნენ კომპაქტურად და უმთავრეს საკომუნიკაციო საშუალებად ქართულ ენას იყენებდნენ (რ. ბაქრაძე, 2003, გვ. 70).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოსთან ურთიერთობის განმტკიცება აშკარად კეთილისმყოფელ როლს ასრულებს ჩვენებურთა დიდი ნაწილის ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში, ისიც ფაქტია, რომ ქართულ რეალობასთან მათი ინტეგრირების პროცესი ჭვრეტრობით მაინც საკმაოდ რთულად და ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ფ. ჩილაშვილი ნაშრომებისადმი ინტერესს არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ მწერალი საკმაოდ უხვად და არგუმენტირებულად გვაწვდის ჩვენი თურქეთელი თანამემამულეების ისტორიასთან და თანადროულ ყოფასთან დაკავშირებულ მრავალმხრივ მნიშვნელოვან ინფორმაციებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი წიგნი “ქართველთა ისტორია”. მისი აზრით, თურქეთში დღესდღეობით მცხოვრებ ქართველთა სავარაუდო რაოდენობა დაახლოებით 1-1,5 მილიონს შეადგენს (როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ მოსახლეობის აღწერის დროს თურქეთში მოქალაქეთა ეროვნულ კუთვნილების განსაზღვრა არ ხდებოდა, ამ ქვეყანაში მცხოვრები ჩვენებურების ზუსტი ოდენობის განსაზღვრა ფაქტობრივად შეუძლებელია). ფ. ჩილოდლუს ინფორმაციით, თურქეთელ ქართველთა 22,4 პროცენტი ართვინში ცხოვრობს, 14 — ორდუში, 13,2 — საქარიაში, 8,5 — ბურსაში, 8 — კალეში, 6,8 — სამსუნში, 5,9 — გირესუნში, 4,5 — ბოლუში, 4 — ამასიაში, 3,7 ბალიქესირში, 3,3 — სინოპში, 2,4 — სტამბოლში, 1,2 — თოქათში (რ. ბაქრაძე, 2003, გვ. 71).

გარდა ამისა, ზემოთ ხსენებულ მის წიგნში ქართული სოფლების ზუსტი ოდენობაცაა დასახელებული ცალკეული ვილაიეთების მიხედვით. მაგალითად, ფ. ჩილაშვილის ინფორმაციით, ამასიის ვილაიეთში 6 ქართული სოფელია, ბალიქესირისაში — 7, ართვინისაში — 50, ბურსასა და ორდუში — 40-40 და ა.შ.

ფ. ჩილაშვილის ქართული ღვაწლის წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ იგი თანამედროვე თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია, ლიტერატურულ სამყაროში ფართოდ ცნობილი პროზაიკოსი, პოეტი და ესეისტი. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ჩვენთვის, ქართველებისთვის, მეტად მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ ქართულმა თემატიკამ ფარნა-ბექა ჩილაშვილის მხატვრულ შემოქმედებაშიც დაიმკვიდრა მეტად მნიშვნელოვანი ადგილი.

აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თავად მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში: “ჩემი ლექსების, მოთხრობებისა და ნოველების თემა ჩემს ოცნებებში წარმოდგენილი საქართველოა. უფრო ჩემი ხალხის წარსულს, საქართველოდან გადასახლებას, საზღვარს აქეთ და იქით დარჩენილ ადამიანთა განცდებს ასახავს. შემიძლია ვთქვა, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა შორის ამ თემაზე პირველმა მე დავწერე”.

გარდა ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებებისა, 2006 წელს გამოცემლობა “არტანუჯმა” ბუბა კულდავას ძალისხმევით ფარნა-ბექა ჩილაშვილის (აღნიშნულ გამოცემაში მწერლის ქართული გვარი ჭილაძის ფორმითაა ნახმარი) მოთხრობებისა და ლექსების პირველი (და ჭერჯერობით ერთადერთი) ქართულენოვანი კრებულიც გამოსცა. ხსენებული გამოცემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმის გამოც იძენს, რომ მასში, ფ. ჩილაშვილის თურქულენოვანი მოთხრობების ქართულ თარგმანებთან ერთად, ავტორის ქართული ლექსებიცაა დაბეჭდილი.

მართალია, თურქეთელ ქართველთაგან ქართულ ენაზე ლექსების შეთხზვის კანტი-კუნტ მცდელობას მანამდეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ფ. ჩილაშვილის ქართულენოვანი შემოქმედება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმპორტაც იძენს, რომ ჩვენებურთა მთელი ისტორიის მანძილზე იგი ფაქტობრივად პირველი პროფესიონალი ქართველი მწერალია, რომელმაც

მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა ცადა ქართულენოვანი ლიტერატურის შექმნის გზაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე დაწერილი მისი ლექსები მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანწილად ჩამორჩება მისივე შემოქმედების თურქულენოვან ნიმუშებს, როგორც ქვემოთ დამოწმებული მაგალითებითაც თვალნათლივ დავინახავთ, ფ. ჩილაშვილს ქართულენოვანი მხატვრული ტექსტების შექმნის უნარიც ნამდვილად აქვს დღეისგან ბოძებული.

თუმცა თავად ავტორს ქართულად დაწერილი მისი ლექსების მხატვრული დონე არ აკმაყოფილებს და ამის განმაპირობებელ უმთავრეს მიზეზად ქართული ენის არასაკმარისი სიღრმით ცოდნას ასახელებს. აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ინტერვიუში: "ეს დონე არ აკმაყოფილებს. სამწუხაროდ, ისე არ გამოდის, როგორც თურქულად. ძირითადი პრობლემა კი ის არის, რომ ქართულად წერა-კითხვას გვიან — უნივერსიტეტში სწავლისას დავეუფლე. მანამდე, საბჭოთა კავშირის დროს, არც კი ვიცოდი, ქართული ანბანი და დამწერლობა თუ არსებობდა".

პირველი და უმთავრესი, რითაც ფ. ჩილაშვილის ლექსებმა პირადად ჩემი ყურადღება მიიქცია, იმ ადამიანის პიროვნულ გრძობათა გამოხატვაა, რომელიც ისტორიულმა ავბედობამ არა მარტო ფიზიკურად მოსწყვიტა მშობლიურ წილს, არამედ სულიერ-რელიგიურადაც გააუცხოვა და დააშორა მას. მართალია, ახალმა რეალობამ მას კვლავაც მისცა ამ წილთან მობრუნებისა და მის სისხლბორცულ ნაწილად ქცევის შესაძლებლობა, მაგრამ ამის გაკეთება უკვე მრავალ ხილულ თუ უხილავ სირთულესთანა დაკავშირებული და მარტივად გადასაწყვეტ პრობლემას აღარ წარმოადგენს. ამიტომაც, პირველი და უმთავრესი კითხვა, რომელსაც ამ მოვლენის არსში ღრმად და საფუძვლიანად გარკვეული პოეტი მთელი სიმწვავეით სვამს, იმის გარკვევაა, ვინ არის იგი.

შენ, მეერთის დედაბოძო, შენ მითხარი:

ვინა ვარ მე? რომელი დედის შვილი,

თათარი თუ ქართველი?!

შენ, ეკლესიის დედაბოძო, შენ მითხარი:

ვინა ვარ მე? რომელი დედის შვილი,

ქართველი თუ თათარი?!

შენ, ხინაგოგის დედაბოძო, შენ მითხარი:

ვინა ვარ მე? რომელი დედის შვილი,

ებრაელი თუ ქართველი?!

შენ, ქართლის დედავ, შენ მითხარი:

ვინა ვარ მე? ქართველი, ებრაელი თუ თათარი?!

საკუთარი ეროვნული ვინაობის ამგვარად მაძიებელი პოეტის თვითმეგნებაში ყოველგვარი დაექვების გარეშე მტკიცდება რწმენა იმისა, რომ იგი პირველ ყოვლისა ქართველი კაცია, უღრმესი შინაგანი სიყვარულით შესისხლბორცებული მშობლიურ საქართველოს. ეს რწმენა მის ლექსებში ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანებისა და ყალბი სენტიმენტალიზმის გარეშეა გამოვლენილი. მაგალითად:

რა ლამაზად წვიმს, რა მშვენივრად!

მაგრამ აკლია რაღაც ამ მშვენიერ წვიმას.

შენ აკლიხარ, მზევ ჩემო, ხაქართველო!

საქართველოზე ამგვარად შეყვარებული კაცი კი, ბუნებრივია, სულიერი სიმშვიდით ვერ შეგეუბა იმ სამწუხარო მოვლენას, რის შედეგადაც საუკუნების განმავლობაში მშობლიურ ეროვნულ წილს იძულებით მოწყვეტილი ჩვენი თურქეთელი თანამემამულეების დიდი ნაწილის ცნობიერებაში რეალურად ეცლება (თუ უკვე არ გამოცლია) საფუძველი ადამიანის ეროვნული კუთვნილებისა და მენტალიტეტის განმსაზღვრელ ისეთ უმთავრეს ფენომენს, როგორც წინაპართა ენაა. ფ. ჩილაშვილის ერთ-ერთ პატარა ლექსში ეს ტრაგიკული მოვლენა ასეა წარმოსახული:

— დედა, შაქარი მინდა!

— წაუყრდი, ნუ ლაპარაკობ ჩვენებურად,

ქალაქში სირცხვილია.

— კარგი, მაშინ — “შექერ ისთიორუმ“.

ფ. ჩილაშვილის ქართულენოვან შემოქმედებაში ესოდენი სიმძაფრით გამოვლენილ სიყვარულს თავისი ისტორიული სამშობლოსადმი ავტორი მეტ მასშტაბებსა და შთამბეჭდაობას იმითაც სძენს, რომ იგი სიკვდილის შემდეგ უკვე ქართული მიწის ღვიძლ ნაწილად ქცევაზეც ოცნებობს, რათა მისი წილიდან აღმოცენებულ ყვავილად ხელმეორედ მოველინოს მშობელ ქვეყანას.

ვეღარ ვიცხოვრებ იმდენს, რამდენიც აქამდე ვიცხოვრე,

გადავიქცევი მიწად, აქაც, იქაც...

მაშინებს უცხოეთში სიკვდილის ფიქრი...

უცხო მიწა უფრო ცივი, უფრო ბნელი... უფრო დაღლილი...

ერთადერთი სურვილი — დავემატო მშობლიურ მიწას

— ამოვიდე ყვავილად... გავვრცელდე თესლად... ან ახალ

ყვავილად...

მიმართვან ახალგაზრდა გოგონებს სიყვარულის ნიშნად...

გავუღიმიე ყველას უფრო მშობლიურად და უფრო თბილად...

როგორც დამოწმებული მაგალითებითაც დაინახავს მკითხველი, ფ. ჩილოღლუს ქართულენოვანი ლექსები ტრადიციული ქართული კონვენციური პოეზიის კანონიკურ წესებს ნაკლებად ემორჩილებიან და უფრო ვერლიბრისაკენ იხრებიან. თუმცა მათი მხატვრული ღირსებების შეფასების დროს მთავარი და არსებითი იმის განსაზღვრა კი არაა, როგორი ვერსიფიკაციული ფორმით ახდენს ავტორი საკუთარი გულისთქმის გამოხატვას, არამედ მკითხველის გულშიც წარმოქმნილი ის მძაფრი და გულწრფელი ემოცია, რასაც იგი ორიგინალური პოეტური მიგნებებითა და ღრმად შთამბეჭდავი მეტაფორული აზროვნებით აღწევს. მაგალითად:

ლოკა, ნუ დაივიწყებ, რომ ჩემი ხელნაწერი

მტირალ მთაზე ჩამობმული ძაფებია,

უცბად იკარგება მტკვარში.

ჩემი ხელნაწერი წვეთებია ცრემლებისა

ქართლის დედაზე შეყვარებულ გორგასხალისა,

შრება მზიან ღამეებში.

ჩემი ხელნაწერი ნატვრის ხეზე ჩამობმული თმებია

ქაშვითში დაჩოქილი გოგონებისა.

**ჩემი ხელნაწერი კაშკაშია ვარსკვლავებისა,
დღისით რომ იკარგება,
ნუ დაივიწყებ!**

მართალია, საკუთარი ქართულენოვანი ლექსების შეფასების დროს ფ. ჩილაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით, ისინი თურქულ ენაზე დაწერილ მისსავე ლექსებს მნიშვნელოვანწილად ჩამოუვარდება, მაგრამ მას ქართულ ენაზეც რომ ნამდვილად შესწევს ძალა სათქმელის მხატვრული ფორმით ხორცშესხმისა, ამას ვფიქრობ. დამოწმებული მაგალითებიც თვალნათლივ ადასტურებს. ჩემი დიდი სურვილია, ფ. ჩილაშვილს მისი ქართულენოვანი ლექსების ღირსებათა წარმოსაჩენად ნათქვამმა ამ სიტყვებმა კიდევ უფრო მეტად გაუძლიეროს მომავალში ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელების სურვილი, რაც არა მარტო მის შემოქმედებით შესაძლებლობათა ახალ მხარეებს წარმოაჩენს უფრო ფართოდ, არამედ მწერალური ნიჭით მაღლცხებულ სხვა ჩვენებურებსაც შთააგონებს ამ გზით სიარულს.

ლიტერატურა

- რ. ბაქრაძე, 2003 - რ. ბაქრაძე, საქართველოს მიღმა, ბათუმი, 2003 წ.
ა. ნიკოლეიშვილი, 2009 - ა. ნიკოლეიშვილი, ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში, ქუთაისი, 2009 წ.
ა. ნიკოლეიშვილი, 2010 - ა. ნიკოლეიშვილი, თურქული დღიურები, ქუთაისი, 2010 წ.
ფ. ჭილაძე (ჩილოდლუ), 2006 - ფ. ჭილაძე (ჩილოდლუ), სასაზღვრო ვიქრები. მოთხრობები, ლექსები, თბ., 2006 წ.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

Parna-Beka Tchilashvili (Pahredin Tchiloglu) – Georgian writer and
Public man in Turkey

Georgians living in Turkey have never had writers working in Georgian language professionally. The fact that Georgian people living in Turkey though large quantity can't speak or write Georgian is significantly provided by this factor, along with other circumstances. In this case Georgian writer living in Turkey if there were any would be left without readers. The further problem was the isolation from Georgian language field our Turkish countrymen kept till the last period.

So, unlike Georgian emigrants living in Europe and America, our Turkish countrymen created neither fiction literature in the native language nor printed publications.

However, the occasion of hopeful steps are fixed in the article, which is focused on the creative and public works referring to Georgia by the first Georgian writer and editor in the history of Georgian emigrants living in Turkey – Parna – Beka Tchilashvili (Tchiloglu; some people mention him as Tchiladze).

Among the number of successful affairs implemented by P. Tchilashvili, the most famous is the fact of publishing bilingual (Turkish – Georgian) quarterly magazine called “Pirosmani” in Istanbul from the year of 2007, for the first time in the history of Turkey.

P. Tchilashvili began his public work in 1980 after graduating the faculty of journalism from the University of Istanbul and has remained active till present as a multilateral public person and creator.

The interest towards the works of P. Tchilashvili is determined by the fact, that it not only gives us the most interesting information about historical existence of our Turkish countrymen, but it helps us see the reality of present day situation from the national viewpoint.

While presenting the Georgian merit, special attention should be paid to the fact that he is one of the representatives of contemporary Turkish literature, widely known prose-writer, poet and essayist in the field of literature. Along with abovementioned things, for us, Georgians most significant thing is to emphasize that Georgian themes found the most important place in the creative works of Parna – Beka Tchilashvili.

It's right that while evaluating his own poems written in Georgian language, P. Tchilashvili emphasizes the fact that from the poetical point of view they are less sophisticated than the poems written in Turkish, but they are able to express the ideas in the fictional way.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

იკორთის ჟამნ-ბულანის ისტორიული ცნობები და ენობრივი თამისებურებაანი

იკორთის ტაძარი მდებარეობს ქართლში, მთისწინეთში, ისტორიულ გვერდისძირზე, ააგო მეფე გიორგი მესამემ (1156-1184) 1172 წელს. ვახუშტი ბაგრატიონი თავის "აღწერაში" აღნიშნავს: "ორბოძალას მთის სამხრით არს მთის კალთასა შინა იკორთას მონასტერი დიდი, გუნბათიანი, კეთილად ნაშენი, ზის არქიმანდრიტი"... (ვახუშტი, 1997, გვ. 72). ძეგლის ასომთავრული წარწერა გვამცნობს ქსნის ერისთავებს ვარდანს, არსენს, ჭიაბერსა და სხვებს. დასავლეთის კარის მხედრულ წარწერაში აღნიშნულია, რომ 1613 წელს ძეგლი შეაკეთა ქსნის ერისთავმა იასემ, რომელიც ვანდალების მიერ იყო აოხრებული.

იკორთა რამდენიმე ისტორიულ დოკუმენტშია მოხსენებული, მათ შორის აღსანიშნავია 1781 წლის "ქსნის საერისთაოს სტატისტიკური აღწერა", რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სოფელ იკორთისა და თვით ძეგლის შესახებ.

ასევე აღსანიშნავია "იკორთის ჟამნ-გულანი", ნუსხა-ხუცურით დაწერილი ხელნაწერი, რომელსაც არშიებზე მიწერილი აქვს სხვადასხვა ხასიათის ცნობები, რომლებიც ძვირფას მასალას წარმოადგენს ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებისათვის (ს. კაკაბაძე, 1912, გვ. 1-8).

ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა მღვდელ მახარებლის მიერ, რომელიც მინაწერზე აღნიშნავს: "მე ყ-დ ცოდვილმან და ყ-თა ცოდვილთაგან უნარჩევსმან უღირსებით მღვდელმან მახარებელმან აღვსწერე წიგნი ესე ჟამგულანი, რითაც ძ-ლ მედვა სიმართლესა ვეცადე და არცარა დაკლებამ მნდომებია" და სხვა.

ხელნაწერი ნაყიდი ყოფილა ქსნის ერისთავიშვილის ქრისტეფორეს მიერ, რაც მინაწერებიდანაც კარგად ჩანს. ბერი ქრისტეფორე იკორთის წინამძღვრად ყოფილა 1735 წელს. ხელნაწერი შედგენილი უნდა იყოს XVII საუკუნის დამლევს ან შეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში.

ხელნაწერის არშიებზე მიწერილია ქრონიკული ცნობები, რომლიდანაც ვეცნობით ისტორიულ პირებს. მათ შორის აღსანიშნავია მეფე გორგასალი და ბატონიშვილი გოჩა.

მხედრულ გრაფიკით მეფე გორგასალი არშიებზე წერს:

"ქ. იკორთის მთავარანგელოზს შევსწირე მეფემ გორგასალმან სულისა ჩემისა სამეოხოდ იკორთა, არცვი, ქვეში, ფლავსმანი, ფლავი".

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია მეფე გორგასალი შეიძლება იყოს გოჩაშვილი იორამის შვილი; ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილი გენეალოგიური სიის მიხედვით, ასეთია გორგასალ გოჩაშვილი (დ. ნინიძე, 1998, გვ. 23).

არსებებზე გოჩა ბატონიშვილის მინაწერი "შე გოჩა ბატონიშვილმა შეგწირე შენ, ჩემს სასოებას, იკორთის მთავარანგელოზსა, მთაში მამული შუა ცხვირსა, გვიდისისა"...

ისტორიული პროვინცია გვერდისძირის სოფელ კულბითანაა დაკავშირებული გოჩა ბაგრატიონ-გოჩაშვილის ცხოვრების ფურცლები. ვახუშტის ცნობით "მაშინ მოკლეს პაპისძმისწული მეფისა სპასპეტი მეწინავეისა გოჩა, რამეთუ იყო ესე გოჩა ძე გიორგისა, გიორგი ძე კონსტანტინესი, კონსტანტინე ძე ალექსანდრესი, ალექსანდრე ძე კონსტანტინე მეფისა და ამ გოჩათი ეწოდათ ამათ ძეთა გოჩაშვილად (ვახუშტი, 1973, გვ. 417).

გოჩა ბაგრატიონი ყოფილა მეფე სიმონის პაპის ძმისწული და ჯარის სპასპეტი. 1599 წელს სიმონ მეფე გორიჯვარს იდგა და მოინება მწვანელი. სპანი გვიდნენ გოჩას რათა მოიღონ მწვანელი, გოჩას ციხეში მყოფი ოსმალები შეეწინააღმდეგნენ და ამ ომში მოკლეს პაპის ძმისწული მეფისა გოჩა (ვახუშტი, გვ. 417).

ვახუშტი "ივერიაში" დაიბეჭდა სტატია სოფელ კულბითზე, სადაც ვკითხულობთ "კულბითში ხშირად უცხოვრიათ ქართველი მეფეების შვილებს. აქ ცხოვრობდა მეფის ძე გოჩა (გიორგი), მასვე აუშენებია გორაკზე თლილი ქვის ეკლესია და მისგან აშენებული ეკლესიის ჩრდილოეთის სვეტსა და სამკვეთლოს შუაში განისვენებს ("ივერია", №210).

იკორთა, კულბითი და ზემო ქართლის მთელი რიგი სოფლები თავისებური პანთეონებია, რომლებსაც გამოვლენა და შესწავლა სჭირდებათ.

ძველი პირველად გამოაქვეყნა ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ (ს. კაკაბაძე, 1912, გვ. 1-8).

თვით ჟამნ-გულანი ორი სიტყვისაგან შედგება – გულანი – კოდექსი, რომელშიც ყველა საღვთისმსახურთა წიგნია თავმოყრილი, ხოლო მის შემოკლებულ რედაქციას, რომელიც შეიცავს "ჟამნს" და მოკლე ისტორიულ ცნობებს წარმოადგენს ჟამნ-გულანი.

ძველში ფიქსირებულია ათობით იმდროინდელი ონომასტიკური მასალა, გეოგრაფიული სახელები, დიალექტური მოვლენები, რომლებიც ცოცხალ მეტყველებას ემყარება, ენობრივად მრავალფეროვანია და წარმოების სიუხვითაც გამოირჩევა.

გულანში ხშირად გვხვდება ქარაგმები, მაგალითად ყ-ღ – ყოვლად, ყ-თ – ყოველთა, ღ-ნ – ღმერთმან, მცხ-რო – მაცხოვარო, შე-ე – შეიწყალე, ღ-ო – ღმერთო, ჩ-თვის – ჩემთვის და სხვა. არის დაუქარაგმებელი ფორმებიც.

ძველი ქართული ენის ორთოგრაფია თავს იჩენს მთელ რიგ შემთხვევებში: ჟ- უბრალოდ გვხვდება სიტყვებში: ვეჯ ურისხევი – სოფელი მეჯვრისხევი, ჩუნთვის – ჩვენთვის; გვხვდება ახალი ფორმითაც ჩვენთვის.

მთის დიალექტებისათვის დამახასიათებელი ჳ- ხარი ბგერა გვხვდება სიტყვებში: ჳღური, ჳღურისა, მსაჯურონ, სამსაჯური და სხვა.

ხმოვანი ი-ს პარალელურად ძველში გვხვდება ა – იოტი ნახევარხმოვანი: დაკლება, განმთლებელი, რად, წმს, მყვით... გვხვდება თ – ეი გრაფემა, რომელიც რვა რიცხვს აღნიშნავს და ძველ ქართულში დამკვიდრებულია. ცაციაშვილს ჰმართებს თ – რვა კოდი ბური და ქერი.

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი მან ხშირ შემთხვევაში შეკვეცილი ფორმით გვხვდება: მე ცლოდვილმ, უნარჩევსმ, ძლდლმ, მახარებელმ და სხვა.

გულანში ჩამოთვლილია ის სოფლები და გვარსახელები, რომლებიც იკორთის მონასტერს მსახურებდნენ და ვეალებოდათ შეწირულობის გადახდა. ზოგიერთი გვარსახელი დღეს მხარეში აღარ გვხვდება. უცხოტომელების თავდასხმების გამო სოფლები დაიცალა, მოსახლეობა დაიფანტა ან სხვა ადგილებში გადასახლდა. აღარ არის საბოსლევო, ქოთლიანი, ბიბილანი და სხვა სოფლები.

მდინარეების დიდი და პატარა ლიხვის წყალგამყოფზე მდებარეობდა სოფელი ბეთი, სახელდებული იყო ბაივაშვილების გვარიდან. ეს სოფელი იკორთის მთავარანგელოზის საკუთრება იყო, მაგრამ ჟამთა სივლის გამო დაიცალა. გვარი გადაშენდა და დღეს ნასოფლარია. ასევე ამოწყვეტილ გვარებს მიეკუთვნება პატარა ლიხვის ხეობიდან ედიაშვილი, რომელიც სოფელ საცხენეთში მკვიდრობდა. ამავე ხეობიდან გვარი საური მკვიდრობდა სოფელ ფრისში, საიდანაც გორის ატენის ხეობაში ჩასახლდნენ. ტოლიაშვილები პატარა ლიხვის ხეობიდან სოფელ ქსუისში დამკვიდრდნენ და სხვა.

ძეგლში გვხვდება ნარიანი გეოგრაფიული სახელები გვარებისაგან: ქოთლოანი – ქოთლოაშვილი, ბესთავანი – ბესტავაშვილი, ბოლოთანი – ბოლოთაშვილი, ბიბილანი – ბიბილაშვილი, ვალიანი – ვალიშვილი, ასკილანი – ასკილაშვილი, ფუხანი – ფუხაშვილი.

აღსანიშნავია, რომ გვარით სახელდებული ეს მცირე დასახლებები დღეს აღარ არსებობს და მათი ლოკალიზაცია საშური საქმეა, რასაც ალბათ განვანხორციელებთ.

ზოგიერთ შემთხვევაში ჩამოთვლილ სოფლებს შენარჩუნებული აქვთ ს ელემენტი: შუა ცხვირს, გვიდსს, საბოსლევს, ქიწინის, აწერისხევს, არცევს, ქლიავანს.

ნაირგვაროვნებას ქმნის ზმნის ამა თუ იმ მწკრივის ფორმები: ძლ მედვა, ნუ დამწევთ, შენდობით მყვით, შენდობა უბძანეთ, ამას მიყობა, გყოსთ და სხვა.

მხარის ისტორიული საკითხებისა და ენობრივი ელემენტების გამოვლენა ხსენებული ძეგლის მიხედვით საშური საქმეა, რომელიც მეცნიერულ მიმოქცევაში უნდა ჩაირთოს.

ლიტერატურა

- ვ. ბაგრატიონი, 1997 - ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997.
 ს. კაკაბაძე, 1912 - ს. კაკაბაძე, ქრონიკა იკორთის ჟამ-გულანისა, ტფილისი, 1912.
 დ. ნინიძე, 1998 - დ. ნინიძე, გუარი მეფეთ ბაგრატიონთა-გოჩაშვილნი, თბ., 1998.
 ვახუშტი, 1973 - ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
 "ივერია", 1890 - "ივერია" №210, 1890.

NIKOLOZ OTINASHVILI**HISTORICAL DOCUMENTS OF IKORTA CATHEDRAL AND
LANGUAGE PECULIARITIES**

The Ikorta Cathedral is situated in Shida Kartli mountainous place. Ancient writings on it tell us that it was built by the King George III (1156-1184). It is known that the cathedral was restored by the Ksani Duke Iese in 1613. Some historical sources give us some interesting information about Ikorta and among them we can read about Vakhtang Bagrationi who describes the Cathedral and tells us about the map made by him.

Also we can find the important manuscript where there are different Kinds of information which are of great importance and has historical and scientific value.

The manuscript was written by the priest Makharebeli with great care. He writes important information about the life of that period. We get to know about some historical characters of those years such as the King Vakhtang Gorgasali and the prince Gocha. In special literature there are given some facts about the King Vakhtang Gorgasali who may be Gochashvili Ioramis shvili who is mentioned in the writings of the King Vakhtang VI and Gocha Bagrationi according to Vakhtang VI was the nephew of the King Simon, who as commander – in-chief fought against Turkish and was killed in the war in Gori.

In the manuscript we can find different historical information of the 17th-18th century language peculiarities such as the old Georgian words Kovlad, Gmertman or old letters e-oti, p-Khari, ზ-ei.

In the document we meet the names of the villages once belonged to the Ikorta but they no longer exist such as Beiti, BiBilaan, Kolotaan and others. We can also come across the geographical names ending in narian where the elements of possessive case are retained.

რუსუდან საღინაძე

თემისნიშნის მხნათა ერთი ჯგუფის
ნორმირებისათვის ქართულში

ქართული ენა მდიდარია აფიქსებით, რაც განაპირობებს ნაირგვარ სახელურ და ზმნურ ფორმათა წარმოების მრავალფეროვნებას. ზოგჯერ ერთი მორფემის ფარგლებში, ზოგჯერ კი მორფემათა შერწყმის შედეგად წერილისა და ზეპირ მეტყველებაში დაჩნდება ახალ-ახალი წარმოების მსგავსი ან განსხვავებული სემანტიკის ენობრივი ერთეულები.

თემის ნიშანი ქართული ენის მორფემათა შორის ზმნური ფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი განასხვავებს I სერიის რთულ თემის II სერიის მარტივი თემისაგან (ხატ-ავ-ს – ხატ-ა, აკეთ-ე-ს – აკეთ-ა, ათბ-ობ-ს – გა-ათბ-ო...). თემის ნიშანი მიჩნეულია აწმყოს ფუძის მაწარმოებელ აფიქსადაც (არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი...). ლექსიკური მნიშვნელობის განსხვავება თემის ნიშნებს არ ეკისრება (ბ. ჯორბენაძე, 1980, გვ. 159).

თემის ნიშნითაგან (-ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ...) ქართულში საკმაოდ არის გავრცელებული -ავ. გამოიყოფა -ავ თემისნიშნის პირველადი (ბაძავს, ზიდავს, ლოცავს, ნახავს...) და სახელთაგან ნაწარმოები (ბეჭდავს, ზღუდავს, ნათლავს, სახავს, ხატავს...) ზმნები (ა. შანიძე, 1980, გვ. 394). პირველად ზმნათაგან -ავ თემის ნიშანი დაერთვის ზმნებს, რომელთა ფუძე ა განმოვანების მქონეა: მოვკალ – ვკლავ, მოვხან – ვხნავ... ამგვარ ზმნათა ბევრი ფუძე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შეკუმშულია მთელ პარადიგმაში: ვთხზავ – შევთხზე, ვხშავ – დავხშე... ძველ ქართულში ამ ზმნებში II სერიაში აღდგება ა განმოვანება: შევთხაზ, დავგაშ...

სახელთაგან ნაწარმოები (ნასახელარი) -ავ თემისნიშნის ზმნები ძირითადად გამოხატავს ინსტრუმენტატივს (ქუერელობას): ბაძავს, ზღუდავს... -ავ თემის ნიშანი ზოგჯერ კუმშავს ნასახელარ ზმნებსაც. მაგალითად: წამლავს, ფურცლავს... (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988, გვ. 24).

სალიტერატურო ენაში, დიალექტებსა და ცოცხალ მეტყველებაში დასტურდება -ავ თემისნიშნის ზმნათა სხვადასხვა ჯგუფი. მათ შორის ნორმირების თვალსაზრისით საინტერესოა -ავ + -ებ სტრუქტურის ზმნები.

იშვითად, მაგრამ მაინც, -ავ სემანტიკურად უპირისპირდება -ებ თემის ნიშანს: ფარავს – აფარებს, ფიცავს – აფიცებს, ხედავს – ახედავს... (ბ. ჯორბენაძე... 1988, გვ. 25). ასეთი დაპირისპირება ზოგჯერ არ იქმნება -ობ თემის ნიშნის ზმნებთან: გორაობს – გორავს, ცურაობს – ცურავს, ხტუნაობს – ხტუნავს (ხტის)...

-ებ თემისნიშნის ზმნაც ბევრია ქართულში. "შეიძლება ითქვას, რომ ეს ჯგუფი ყველაზე მეტია რაოდენობით" (ა. შანიძე, 1980, გვ. 397). ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ ზმირად ხმარებულ მორფემათა კავშირი და

ურთიერთმიმართება, მონაცვლეობა, რასაც მოწმობს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემები: -ავ + -ებ სტრუქტურის ზმნათა პარალელურად ენაში დასტურდება ანალოგიური სემანტიკის 0 + -ებ სტრუქტურის ზმნები.

ნორმირების თვალსაზრისით აღნიშნული სტრუქტურის ზმნებთან ვითარება ერთგვაროვანი არ არის. გამოიყოფა სხვადასხვა შემთხვევა, კერძოდ, ზოგჯერ მართებულია -ავ + -ებ სტრუქტურის ზმნები, ზოგჯერ — 0 + -ებ სტრუქტურისა, ზოგჯერ ორივე მართებულია, დაშვებულია პარალელიზმი. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით იქმნება ასეთი სურათი:

1. ერთი სემანტიკის ფარგლებში:

მართებულია:

-ავ + -ებ

აბანავებს

0 + -ებ

აცეკვებს

უმართებულა:

0 + -ებ

აბანებს

-ავ + -ებ

აცეკვებს

2. განსხვავებული სემანტიკის ფარგლებში:

ორივე მართებულია:

-ავ + -ებ

ააქანავებს

აქანავებს

ახტუნავებს

0 + -ებ:

ააქანებს

აქანებს

ახტუნებს

-ავ + -ებ და 0 + -ებ სტრუქტურის ზოგიერთი ზმნის შესახებ სალექსიკონო მასალა არ არის ნათელი. მაგალითად, **აცურავენბს//აცურებს, აჭიდავენბს//აჭიდებს** ფორმათაგან ქველ-ში (ერთობელურში) არის მხოლოდ **აცურებს** და **აჭიდავენბს**, არ არის **აცურავენბს, აჭიდავენბს**. ქველ-ის ახალ გამოცემაში (2008წ.) არის **აცურავენბს** და **აცურებს** ზმნები, თანაც სემანტიკურად გამიჯნული: **აცურავენბს** (აცურავა, უცურავებია) გრძმ. ცურვით ატარებს. //ასრიალებს... (ქველ, 2008, გვ. 866); **აცურებს** (აცურა, უცურებია) გრძმ. 1. ცურვით მიაქვს, მიჰყავს. რიონზე... ტივებს აცურებდა (რ. გვეტ.)... 2. სრიალით ატარებს, ასრიალებს... (იქვე).

რაც შეეხება **აჭიდავენბს//აჭიდებს** ფორმებს, ისინი ქველ-ის მიხედვით ერთი სემანტიკის ზმნებია: **აჭიდავენბს** (აჭიდავა, უჭიდავებია) გრძმ. კილაობას დააწყებინებს, ერთმანეთთან საჭიდაოდ მიუშვებს... (ქველ, 2008, 896); **აჭიდებს** (დააჭიდა, დაუჭიდებია და შეაჭიდა, შეუჭიდებია) გრძმ. საშუალებას აძლევს შეებას, შეებრძოლოს, — იგეგვა, რაც აჭიდავენბს. განზე ყოჩებს აჭიდებენ, წითურსა და შავს (გ. რობაქ.) (იქვე).

ზოგ შემთხვევაში (ცვლისხმობთ პარალელურ მართებულ ფორმებს) ენაში არჩევანი გაკეთებულია, მეტწილად გავრცელებულია 0 + -ებ სტრუქტურის ზმნები. მაგალითად, **ამონავენბს//ამონებს** ფორმათაგან თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით უპირატესობა ენიჭება **ამონებს** ზმნას (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, 1998, გვ. 45); სხვა შემთხვევაში, პრიქით, მისაღებად მიჩნეულია -ავ + -ებ სტრუქტურის ზმნები. მაგალითად: **ამახხარავენბს** (// **ამახხარებს**) ფორმათაგან უპირატესია **ამახხარავენბს** (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, 1998, გვ. 39).

აღნიშნულ მართებულ და უმართებულ ფორმათა ნორმირების ასპექტით განხილვა გვიჩვენებს, რომ ერთგვაროვანი არ არის ერთი სტრუქტურის შქონე ზმნათა სალიტერატურო ენაში დამკვიდრების საფუძველიც.

-ავ თემის ნიშნის ცვლილებას ზოგჯერ მორფოლოგიური საფუძველი აქვს: -ავ გადაწყვება სათანადო მოქმედებითი გვარის ზმნას: **ციკვავს > აციკვავებს // აციკვებს, ცურავს > აცურავებს...**

სალიტერატურო ქართულში სემანტიკურად კარგად არის გამოიწველი აქტივის -ავ + -ებ სტრუქტურის **აგორავებს** და **0 + -ებ სტრუქტურის აგორებს** ზმნური ფორმები: 1. **აგორავებს** გრძმ. გორებით ადგილს უცვლის, აკორიალებს (ქეგლ, I, 1990, გვ. 27); 2. **აგორებს** (იხ. გააგორებს, დააგორებს) გრძმ. 1. გორებით (გორვით) გაატარებს. კამათლები გააგორა. 2. გადატ. (საუბ.) ძირს დასცემს (ქეგლ, I, 1990, გვ. 141). ამ ზმნათაგან განსხვავებით გამოიწველი არ არის იმავე სტრუქტურის **იგორავებს — იგორებს** ფორმები. ვ. თოფურისა და ივ. გიგინეიშვილის "ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში" **იგორებს** საერთოდ არ არის მითითებული, ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია: 1. **იგორავებს** — გრძმ. 1. ერთ ადგილზე იტრიალებს (მწოლიარე). 2. ივივია, რაც **იგორებს** (ქეგლ, I, 1990, გვ. 532).

რამდენიმე ზმნაში, როგორც არის: ა-გუნდავ-ებ-ს, ა-კობტავ-ებ-ს, ააყირავებს, ააშკარავებს, აღრმავებს, აბურთავებს, აგუნდავებს, ადამბლავებს, აზღვავებს, ათევზავებს, აკოკოლავებს, აკობტავებს, ამოიილიავებს (არა: ამოილიავებს), ამოისუფთავებს, ანისიავებს, აპატარავებს, ასუფთავებს, ასხვავებს, აგირავებს, აქირავებს, აწუმპავებს, აქალარავებს, აქორავებს, ახურდავებს... -ვ გაჩენილად ივარაუდება ხმოვნებს შორის: **გუნდა > * ა-გუნდა-ებ-ს > ა-გუნდა-ვ-ებ-ს...** (ა. შანიძე). ენაში არ არის აბურთებს, აგუნდებს, ათევზებს, აკობტებს, აქორებს და მსგავსი უვინო ვარიანტები.

-ავ თემის ნიშანი ზოგჯერ ახალ ზმნურ ფუძესაც აწარმოებს: **ა-ცურავ-ებ-ს — ცურავ-** ახალი ფუძეა, რომელიც წარმოდგენილია ყველა მწკრივში: ცურავს — აცურავებს, გაცურა — აცურავა... ამ რიგისაა: ა-გორავ-ებ-ს, ა-ქიდავ-ებ-ს, ა-ბანავ-ებ-ს... ზოგჯერ -ავ ახალი წარმოების ზმნებში შეკუმშულადა წარმოდგენილი (-ვ): ა-ღელავ-ებ-ს (შდრ.: ღელავ-ს), ა-ელავ-ებ-ს (შდრ.: ელავ-ს)...

რაც შეეხება ზეპირ მეტყველებაში დამოწმებულ **გორავ-ი, ქანავ-ი, ბანავ-ი, ხტუნავ-ი...** ტიპის ფორმებს, აქ -ავ ფუძის კუთვნილებად არის მიჩნეული. "ამ რიგის მასდარები მოუღის -ობ თემისნიშნის ზმნათა ერთ ნაწილს: გორავ(ვ)-ობ-ს, ქანავ(ვ)-ობ-ს, ბანავ(ვ)-ობ-ს (შდრ.: ა-გორავ-ებ-ს, ა-ქანავ-ებ-ს, ა-ბანავ-ებ-ს..." (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988, გვ. 25).

ქართულ ენაში -ავ + -ებ // 0 + -ებ სტრუქტურის ზმნათა პარალელური არსებობა შეიძლება ზოგჯერ სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის საფუძველიც იყოს. ამდენად, მათ შორის სემანტიკური სხვაობის დაზუსტება, დიფერენციაცია მნიშვნელოვანია სტანდარტული ენის დაცვისა და სრულყოფისათვის.

ვ. თოფურია, ი. გვიგინიშვილი, 1998 — ვ. თოფურია, ი. გვიგინიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1990.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 2008 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბ., 2008.

ა. შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.

ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

ბ. ჯორბენაძე, 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

RUSUDAN SAGHINADZE

STANDARDIZING A GROUP OF VERBS WITH STEM MARKERS IN GEORGIAN LANGUAGE

Verb stem marker is one of the main elements of the morphemes of the Georgian language. **-av** morpheme is common among other markers (**-i**, **-av**, **-am**, **eb**, **-ob...**) in Georgian.

There are different groups of verbs with **-av** stem marker in literary language, dialects and speech. Among them, from the standardizing point of view, verbs with **-av + -eb** structure is interesting.

Seldom, but still **-av** semantically contradicts **-eb** stem marker. There are a lot of verbs with **-eb** marker in Georgian language. The connection and interaction of the frequently used morphemes is not accidental that is evident in modern Georgian literary language and dialects: with the **-av + -eb** verb structure simultaneously exists **0+ -eb** verb structure with the same semantic meaning.

According to standardization, the situation is not same with the mentioned verb structure. There are different cases, sometimes the **-av + -eb** verb structure and sometimes **0+ -eb** verb structure is correct, but sometimes both forms can be used.

The parallel usage of **-av + -eb/0+ -eb** structure can be the violation of the literary language norms in Georgian language. Thus, determining the semantic difference between them is important in order to defend and improve the standard of the language.

ნათია სვინტრაძე

საყვანი და საქართველო

ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. კულტურული ურთიერთკავშირი საქართველოსა და ირანულ სამყაროს შორის განსაკუთრებით გაღრმავდა XI საუკუნიდან ორი პროვინციის შირვანისა და არანის მეშვეობით, რომლებიც ირანული კულტურისა და ლიტერატურის ცენტრები იყო. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა შირვანსა და საქართველოს შორის დავით აღმაშენებლის დროს, როდესაც შირვანი ქართული სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამასთან ერთად, შირვანშაჰებს ნათესაური კავშირიც ჰქონდათ საქართველოს სამეფო კართან. იმ დროისათვის შირვანში, ისევე, როგორც საქართველოში, განვითარების უმაღლეს მწვერვალს აღწევს ლიტერატურა. ირანში ჯერ კიდევ მაშინვე დაზნეულის დროიდან დამკვიდრდა ჩვეულება — შაჰის კარზე თავი მოეყარათ პოეტებისა და ლიტერატორებისათვის. ეს ჩვეულება გავრცელდა ირანის ყველა პროვინციაში. კერძოდ, შირვანსა და არანშიც. ყოველივე ამის შედეგად, შირვანის შაჰების კარზე ჩამოყალიბდა მძლავრი ლიტერატურული სკოლა, რომელიც შირვანის ლიტერატურული სკოლის სახელითაა ცნობილი. ამ სკოლის წარმომადგენლებმა შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვეს ხაყანის, ნიზამის, ფალექისა და სხვათა შემოქმედების სახით.

შირვანში ირანულ-არაბული კულტურის თვალწინდენ მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, ამ ერთგვარად მივარდნილ კუთხეში (კ. ჩაიკინის გამოთქმით — “დათვის ბუნაგში”), სულ რაღაც ერთი საუკუნის მანძილზე შეიქმნა პოეტური, პროზაული, მთარგმნელობითი, ლექსიკოგრაფიული და ისტორიოგრაფიული უნიკალური შედეგები. ვერავითარი გეოგრაფიული ჩარჩოები ვერ ზღუდავდა მათ სწრაფ გავრცელებას. ხაყანის ყასიდები (ხოტბები) დაუყოვნებლივ იწვევდა მიზაძეებს ირანსა თუ შუა აზიაში, ხოლო, ნიზამის პოემების პირველი გამგრძელბელი ინდოეთში მცხოვრები სპარსულენოვანი პოეტი ხოსროვ დეჰლევი (XIII ს.) იყო (ა. გვახარია, 2001, გვ. 133).

შირვან-საქართველოს ასეთი ისტორიულ კულტურული სიახლოვის ფონზე, უცხო აღარ უნდა იყოს საქართველოსა და ქართული გარემოს ამსახველი ფაქტების არსებობა შირვანის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელთა შემოქმედებაში. სამეცნიერო ლიტერატურაში თანდათან გროვდება მასალები, რომლითაც ქართველ და შირვანელ პოეტთა შორის გაგიბრებათა არსებობა დასტურდება (დ. კობიძე, 1983, გვ. 94). თამარ მეფის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ აღსართან II, რომელიც პოეტ ნიზამის მფარველი იყო, ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში და ამასთან, ერთხელ, საზეიმო მიღების დროს, გაუმართავთ საჯარო შეჯიბრება და ლიტერატურული ტურნირი ქართველ და ირანელ პოეტებს შორის (კ. კეკელიძე, 1971, გვ. 23). საუბრაულოა, რომ ხაყანი, ნიზამი და რუსთაველიც იყვნენ ამ პაექრობის მონაწილენი. ყოველად შეუძლებელია

ხაყანის იმდროინდელი ქართული ლიტერატურული შემოქმედების შესახებ არაფერია სცოდნოდა. ჩვენს დრომდე შემონახულია ცნობები იმის შესახებ, რომ რუსთველის სახელი მის სიცოცხლეშივე გამცდარა სამშობლოს საზღვრებს. ზოგიერთი უცხოელი მოღვაწე, თურმე, საქართველოში ჩამოდიოდა პოეტის სანახავად და მის ვასაცნობად. ასე, მაგალითად, ერაყიდან ჩამოსულა ერაყულ-ქართული პოეზიის დიდი წარმომადგენელი, XII საუკუნის პოეტი აჰმედ მალა ჯაზირი, გაუცვნია რუსთველი და ხაყანისთანაც ხანგრძლივი მეგობრობა ჰქონია (დ. კობიძე, 1975, გვ. 238).

თითქმის ნახევარ ათასწლეულზე მეტია დავობენ იმის შესახებ, თუ, რომელ ერს ეკუთვნის ხაყანი. სპარსელები მას თავისად თვლიან, რადგან ის სპარსულ ენაზე წერდა. აზერბაიჯანელები აზერბაიჯანულად მიიჩნევენ, რადგან იგი დაიბადა და ცხოვრობდა შირვანში, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. დღეა გამსულობებული ქრისტიანი ქალი ყოფილა, რომლის ეროვნება ჯერჯერობით დადგენილი არაა. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ის ქართველი იყო.

თახალუსი – პოეტური ფსევდონიმი – პოეტისა თავდაპირველად იყო სახელი ხაყანის (ის იხსენიებოდა მხოლოდ ორ ლექსში), მაგრამ, მას შემდეგ, რაც ის გახდა შირვანშაჰ (ხაყანი) მანუჩიზრის კარის პოეტი თახალუსად აირჩია ხაყან (მ. ოსმანოვი, 1986, გვ. 4). ხაყანის პოეზიის შესწავლიდან ჩანს, რომ იგი კარგად ერკვეოდა როგორც მუსლიმანური, ისე ქრისტიანული რელიგიის იდეებსა და მისწრაფებებში (დ. კობიძე, 1975, გვ. 237). პოეტი იმდენჯერ და ისეთი პატივისცემით ახსენებს ქრისტეს, წმინდა მარიამს, ქრისტიანებს, რომ იური მარი ამბობდა: ნიზამი და ხაყანი შეიძლება კაცს უფრო ქრისტიანებად მოეჩვენოს, ვიდრე რუსთველი, რუსთველი კი უფრო მუსლიმანად ვიდრე ნიზამი და ხაყანი (მ. თავდიშვილი, 2011, გვ. 55). არა მარტო ხაყანისთან, არამედ მთელ სპარსულ პოეზიაში იესო ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის ადვილი განსაკუთრებულია. ყურანის მიხედვით იესო არის “უფლის (ქეშმარიტის) სიტყვა“ **الله كلمه** (4, 169), “უფლის სული” (291 **الله روحه** 66, 12)... ხაყანი თავის ლირიკულ ლექსებში ქრისტეს სახეს მოწიწებით მიმართავს 202-ჯერ, ხოლო ღვთისმშობლისას – 47 ჯერ. მაშინ როდესაც მუჰამადი ნახსენები ჰყავს მხოლოდ 21-ჯერ (მ. თოდუა, 2002, გვ. 30-31). მაგრამ ამას სხვა მიზეზიც უნდა ჰქონდეს, როგორც აღვნიშნეთ, მაცხოვარი და ღვთისმშობელი, ყურანში მოწიწებით არიან მოხსენიებული. მუსლიმთა ამ საღმრთო წიგნმა კი ტონი მისცა არა მარტო სპარსულ, არამედ, მთელს ისლამურ ლიტერატურას.

ხაყანის ლექსები დამძიმებულია მეცნიერული, რელიგიური, ფილოსოფიური ტერმინებით და გასაგებად რთულია. მისი დივანი (ლექსების კრებული) სასეა სპეციფიკური ქრისტიანული სახეებითა და სიმბოლოებით, რომლებიც შერწყმულია მუსლიმობისთვის დამახასიათებელ სიმბოლოებთან და სახეებთან. არსად სხვა ადვილას, გარდა კავკასიისა – სადაც თანაარსებობდნენ ეს რელიგიები, არ შეიძლებოდა შექმნილიყო ასეთი დივანი (დ. ალიევი, 1989, გვ. 18).

გარდა დივანისა, რომელიც ყასიდების, ყაზალების, ნაკვესების, რომაიებისაგან შედგება, ხაყანის ეკუთვნის პოემაც (**قصيدة العراقة** - ორი ერაყის საჩუქარი), რომელიც ასახავს მის პირველ მოგზაურობას მექაში (ფ. შაჰიბა, 1998, გვ. 102), სადაც პოეტი გამგზავრებულია მომლოცველობის მიზნით. ხაყანის შემოქმედების უმეტეს ნაწილს ზოტებები წარმოადგენს, რომელიც შირვანელ, ქარაყულ, აზერბაიჯანელ, ირანელ მეფეებსა და ღიღებულებს ეძღვნება. მის შემოქმედებაზე შეინიშნება ქართული კულტურის გავლენა. პოეტი ხშირად

ჩამოდიოდა აფხაზეთში.¹ ხაყანის კარგად სცოდნია ქართული ენა და თავის ლექსებში ქართული სიტყვები და ტერმინები ხშირად შეჰქონდა. მას ასეთი რობაი დაუწერია:

از عشق صلح موج رومج روجج
 ابخاز نشجن گشتم و گرجج گوجج
 از بس بگفتشم که موج موجج

شد موج زبانم و زبان هم موج

ხუტუტომიანისა და ნათელსახიანის სიყვარულის გამო,
 აფხაზეთის მცხოვრები გავხდი და ქართულად მოლაპარაკე,
 იმდენჯერ ვუთხარი მე მას: “მოი, მოი”,

რომ ჩემი ენა თმებად გადაიქცა და თმები კი ენებად იქცნენ.

პირველი მკვლევარი, რომელმაც სწორად ამოიკითხა ეს სიტყვა და ნათელი გახადა მთელი რობაის შინაარსი, ი. მარი გახლდათ. აქ სარიტმო სიტყვებად აღებულია ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა; ერთია ქართული “მოი” (მოდი), ხოლო მეორე სპარსული “მოი” (თმა). “ზოგმა მკვლევარმა შეიძლება იფიქროს, რომ ხაყანის დიალექტური ფორმა აქვს გამოყენებული და ეს პოეტის მხრივ დასავლეთ საქართველოს ნაცნობობით აიხსნებოდეს, მაგრამ ასეთი ფიქრი უსარგებლო იქნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სპარსული “მოი” ხაყანის ეპოქაში წაიკითხებოდა არა როგორც მოი, არამედ, როგორც მოე (მოდის) მნიშვნელობით. აღნიშნული ფორმა დასტურდება ქართული ლიტერატურის კლასიკური ხანის ძეგლებში (“ვისრამიანი” და სხვა) (დ. კობიძე, 1983, გვ. 239). ე.ი. ხაყანის სპარსული სიტყვის “მოი”-ს სარიტმო სიტყვად გამოყენებია წმინდა ლიტერატურული ფორმა.

ხაყანის შემოქმედებიდან, ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ერთი ე.წ. „ქრისტიანული ყასიდა“. შესანიშნავ მეცნიერსა და მთარგმნელს მ. თოდუას ლექსის ქართული თარგმანი ასე დაუსათაურებია — “ციხის ელევია” (მ. თოდუა, 1992, გვ. 16). ხაყანის დივანის მიხედვით ლექსის სახელწოდება ასეთია: در شکایت از حبس و بند و مدح عظیم السروم عزالدوله قجصر და ტყვეობის გამო და რუმის დიდებული კეისრის ქებათა ქება“. ამ ყასიდაში შირვანშაჰების მიერ განაწყენებული პოეტი თავის გულისწყრომასა და უკმაყოფილებას გამოთქვამს და ამბობს, რომ თუ მაჰმადიანები არ დააფასებენ და ღირსეულ პატივს არ მიაგებენ მას და მის შემოქმედებას, მიატოვებს რჯულს და აფხაზეთისკენ გაემურება, სადაც ქრისტიანობას მიიღებს. პოეტი ახსენებს ქართველი მეფეების რეზიდენციებს: ნაქარმავეს, მუხრანს და ამბობს, რომ ბაგრატიონებს სთხოვს თავშესაფარს, რომელთა სასახლის კარი მუღამ ღიაა მისთვის:

کنم تفسیر سرجانج زانججل

بخوانم از خط عبرج معما را

من و ناچرمکج و دچر مخران

در بقراطجانم جا وملجا

مرا بچنند اندر کنج غارج

شاده مولوزن و پوشجده چوجا

ბიბლიის განმარტებების გავლენის ქვეშ ვიქნები.

¹ XI – XII საუკუნეების აღმოსავლური წყაროების მიხედვით აფხაზეთი ეწოდება მსაულ საქართველოს.

წავიკითხავ იუდეველთა ამოუხსნელ ხელნაწერს,
მე, ნაჭარმაგვეის და მუხრანის მონასტერი,
ბავრატონების კარი ჩემი სახლი და თავშესაფარია.

მე მნახავენ მღვიმის კუთხეში,
მონაზონად გამხდარს და ჩოხაში ჩაცემულს.

საყურადღებოა, რომ პოეტს, რომელიც, თავს კარგად ვერ გრძნობს თავის სამშობლოში — შირვანში, სადაც ის შირვანშაჰებს ციხეშიც ჩაუსვამთ, იმედი აქვს, რომ ქართველი მეფეები მიიღებენ და მფარველობას გაუწევენ.

თავის შემოქმედებაში ხაყანი დიდი სიყვარულით საუბრობს საქართველოზე. ერთ-ერთ ლექსში მოგვითხრობს, თუ, როგორ დაბრუნდა თბილისში, აფხაზეთში და რომ ძალიან ბედნიერია ამ ქვეყანაში ყოფნით. საქართველომ მას მშობლიური მხარეც კი გადააეციწა და არ აპირებს აქედან წასვლას, თუნდაც მთელი რეის მხარე აჩუქონ თავისი სამეფო კართა და სიმდიდრით. ლექსი ასე მთავრდება:

خاقان و كنار كر و تغلجس

ججوجن شده آب كرو تغلجس سمرقند

ხაყანი და ხაყანი, მტკვრის ნაპირი და თბილისი, მტკვრის წყალი გვიჰუნად მექცა და თბილისი სამარყანდად.

ამავე ყასიდაში ჩანს, რომ ხაყანი საქართველოში შირვანის შაჰთან ერთად იმყოფებოდა. სახელი ხაყანი ლექსში ორჯერაა ნახსენები: “ხაყანი და ხაყანი” — ე.ი. თავად პოეტი და შირვანშაჰი, რომლისადმი პატივისცემისა და მაღლიერების გამო აირჩია პოეტმა აღნიშნული ფსევდონიმი.

ხაყანის შემოქმედებაში მსგავსი ფაქტები კიდევ მრავლად დაიძებნება. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლა საინტერესოა ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით, რადგან ხაყანი, როგორც შედარებით ადრინდელი მოვლენა მეტად მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს. მისი შემოქმედება, ისევე, როგორც აზერბაიჯანული სკოლის სხვა წარმომადგენელთა ლიტერატურული მემკვიდრეობა (ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ნიზამი განჯელის პოემები: “ალექსანდრე მაკედონელის წიგნი“, “ზოსროვი და შირინი“, “ლეილი და მაჯნუნი“.) მეტად მნიშვნელოვანია, არა მარტო ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების, არამედ, მთელი ამიერკავკასიის ლიტერატურის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით.

ლიტერატურა

- ა. გვახარია, 2001 - ა. გვახარია, ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, II , თბილისი , 2001.
- მ. თავდიშვილი, 2011 - მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთაველი, თბ., 2011.
- მ. თოდუა, 2002 - მ. თოდუა, ისა-ნამე, ტ., I ქუთაისი, 2002.
- მ. თოდუა, 1992 - მ. თოდუა, შირაზული ვარდები, ქუთაისი, 1992.
- კ. კეკელიძე, 1971 - კ. კეკელიძე, რუსთველოლოგიური ნარკვევები, თბ., 1971.
- დ. კობიძე, 1975 - დ. კობიძე, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1975.

დ.კობიძე, 1983 - დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობები, ტ., III, თბილისი, 1983.

Д. Алиева, 1989 — Д. Алиева, Низами и грузинская литература, ваку, 1989.

М. Н. Османов, 1986 — М. Н. Османов, вступ. статья, Хакани ветер в руке, Москва, 1986.

acge خاقانچ شروانچ ، دجوان ، تهران ،
منتخبات فارسج ، جلد اول ، تبجلجس eifa

NATIA SVINTRADZE

KHAKAN AND GEORGIA

Georgian-Persian literature relationship counts number of centuries. Cultural contacts between Georgia and Persia particularly adopted profound meaning in the period of Davit Agmashenebeli (David the Builder), when Shirvan was under the rules of Georgia. By that time in Shirvan as well as in Georgia Literature reaches the summit of development. In the residence of Shirvan Shahs' strong literature school was found, which is known as the Shirvan's school of literature. The representatives of this school gave us remarkable literature inheritance e.g. the fictional works of Khakan, Nizam, Falek, etc. The facts representing Georgia and Georgian environment often takes place in their works. In scientific literature number of materials is being gathered gradually, which confirms the fact of competition between Georgian and Persian Poets. The probability of rejecting the competition by the famous poets of both kingdoms sounds impossible, which might have been consisted Khakan and Rustaveli.

The discussion about the origin of Khakan is in progress during half a century. Persians consider him as their country man, as he wrote in Persian. Azers believe that he is from Azerbaijan, as he was born in shirvan and lived there on the territory of Azerbaijan. His mother was initially Christian but then become Muslim, her origin isn't found out. Some scientists think that she was Georgian.

After studying Khakan's works one can see that he was perfectly aware of the ideas of Muslim and Christian religions as well. Poet often mentions Christ, St. Virgin and Christians in his works with great respect and appreciation. Khakan is the author of "praises" which are dedicated to the kings and nobles from Shirvan, Georgia and Iran. The influence of Georgian culture on his creative works is noticeable. Poet often visited Georgia. He knew Georgian as well and often inserted Georgian words and expressions in his creations. Kkakan mentions Abkhazia with great affection (according to XI-XII century oriental resources whole Georgia was known as Abkhazia). In one of his verses poet speaks about Georgian Kings _ Bagrations, mentions their residences, Natcharnagevi and Mukhrani, and says that "the palace of Bagration's is his home and shelter."

The Studies of the creative works of Khakan has significant meaning not only from the views of researching Georgian-Persian relations, but for the history of whole Trans Caucasus as well.

რუსულან ფიფია

X საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის თეოლოგიური და მხატვრული ღირებულებები

ჰიმნოგრაფიული პოეზია ნებისმიერ ეპოქაში ითავსებდა ორ უძირითადეს კომპონენტს: ის ძირითადად თეოლოგიური დანიშნულებით იქმნებოდა, მაგრამ გამოირჩეოდა მაღალი მხატვრული ღირებულებებით. როცა ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებს განვიხილავთ, წინასწარ უნდა ვიყოთ შემზადებული იმისათვის, რომ ვკითხულობთ არა მხოლოდ პიროვნების შეცოდებათა აღმნუსხველ საგალობლებს, არამედ ჰიმნს ადამიანზე, „...რომელიც სამყაროს საფეხურთა დამავალი და აღმავალი სვლით შინაგან განწმენდასა და სრულქმნას აღწევს“ (ლ. გრიგოლაშვილი, 1971, გვ.113). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, შუა საუკუნეების რელიგიური, ფილოსოფიური, ეტიკური და ესთეტიკური კატეგორიები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან, ისინი ლიტერატურაში გაუთიშავია. ამიტომ ჰიმნოგრაფიის სახისმეტყველების, მისი თავისებურებების კვლევისას ამოსავალია თეოლოგიური და რიტორიკული პრინციპები, რომელთაც იგი ემყარებოდა. სახისმეტყველება ავლენს ნაწარმოების ზოგად, ინდივიდუალურ და ეროვნულ არსს. თვით ჰიმნოგრაფები ჰიმნოგრაფიას “დიდებისმეტყველებას” უწოდებენ. ჰიმნოგრაფია მდიდარი ინფორმაციის მომცველი წყაროა თავისი სახისმეტყველებით, სამეტყველო ენით, სემანტიკური ველით, ბიბლიური მინიშვნებით. იგი არ იფარგლება დროსა და სივრცეში, დაფარულის ვაცხადებისა და საიდუმლო ცოდნის “მოსიბრძენის” საუკეთესო ნიმუშია (ნ. სულავე, 2006, გვ. 115).

მეათე საუკუნე სამართლიანადაა მიჩნეული ქართული სასულიერო პოეზიის განვითარების კლასიკურ ეპოქად. “არსებითი შინაარსისა და მნიშვნელობის ნაწარმოებთა გაგებისათვის ყოველი დრო შეიძლება გარკვეულ სააზროვნო კონტექსტს”, პრობლემათა გარკვეულ წრეს. ასეთი სააზროვნო კონტექსტი” პიროვნულიცაა, მაგრამ არის ეროვნულიცა და ეპოქალურიც. ის არის კულტურის დონის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი პიროვნებისა და მთელი ერისთვისაც” (რ. სირაძე, 1992, გვ. 14). “სააზროვნო კონტექსტი” ამ პერიოდის სასულიერო პოეზიისა გახლავთ ადამიანის სწრაფვა სრულყოფისკენ, ღვთის მსგავსად და ხატად შექმნილი კაცის მუდმივი ლტოლვა პირველსახისაკენ.

შუა საუკუნეთა თეოლოგიური შეხედულებების პოეტურ პრიზმაში მოქცევა და გადააზრება ჰიმნოგრაფთა საზრუნავს შეადგენდა და ეს მცდელობა ძალიან ხშირად კლასიკური შედეგების შექმნით მთავრდებოდა. იოანე მინჩხის უნივერსალობით აღბეჭდილი შემოქმედება, მისი უდიდესი მნიშვნელობა ქართული სასულიერო პოეზიის განვითარებაში, მისი საგალობლების მიჩნევა დიდ მოვლენად, გვაძლავს მრავალი თაობა მიუბრუნდეს და გამოწვლილვით იკვლიოს სულიერების ეს უდიდესი საგანძური.

ადამიანის პიროვნული ცოდვის სიმრავლეზე ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში მრავალჯერაა მითითებული. მარტო დავით აღმაშენებელს თავის "გალობანი სინანულისანი" ასზე მეტი ცოდვა ჩამოუთვლია. ასევე გოდებს უცნობი ჰიმნოგრაფი: "შქან მე ვითარცა უძღებსა ცოდვანი ჩემნი მრავალნი, არამედ ვლადებ ვითარცა მეზუერე იგი: შეგკოდე, ღმერთო, შემწყალე მე. დამდაბლებული ცოდვათა ჩემთაგან ურიცხთა აღმომიყვანე მე, ქრისტე, მეუფეო საუკუნეო, მიჰსენ მე, უფალო და მაცხოვრე მე" (ტილ-ეტრატის იადგარი, 1979, გვ. 69).

ტრადიციისამებრ, იოანე მინჩხის პოეზიაშიც მრავალჯერ გვხვდება საკუთარ ცოდვათა სიმრავლეზე მითითება და რადგანაც, "ცოდვა კაცებრივი არის კაცის თავისუფალი ნებით გამოწვეული ამიტომ ან დასასჯელი ან შესანდობელი" (ე. ნოზაძე, 1963, გვ. 251), პოეტი მეოთხე ხუთშაბათისთვის განკუთვნილ ახლადგამოვლენილ სტიქარონის დასაწყის ტროპარში გვეუბნება:

"სიმრგულედ მიმართ ცისად

ვერ ვიკადრებ მე თუალთა ახილვად

ცოდვათა ჩემთა სიმრავლისაგან,

ამისთვისცა დავრდომილი

ქუეყანასა თავდადებით

შეგივრდები მრავალმოწყალე" (იოანე მინჩხის პოეზია, 1986. გვ. 242).

ეს ტროპარი გამოირჩევა მხატვრული დახვეწილობითა და "აუმღვრეველი ძველი ქართულით" (იოანე მინჩხის პოეზია, 1986. გვ. 92). თავმდაბლობით გამსჭვალული იოანე მინჩხი თვალდახრილი ევედრება უფალს. ეს სტიქარონი საინტერესოა იმიტომაც, რომ პოეტი არა მარტო თავის ცოდვილობაზე გოდებს, არამედ მოუწოდებს ადამიანებს, განეშორონ საწუთროს წვრილმანებს და ეძიონ ღმერთი: "განვეშორნეთ, ძმანო, ყოველსა ნივთსა საწუთროძასასა და ვეძიებდეთ საუკუნესა. შევეყვნეთ შიშსა ქრისტესსა, განვეშორნეთ ცოდვისაგან და ვიწყეთ საქმედ კეთილისა (იოანე მინჩხის პოეზია, 1986. გვ. 212); უფლის ძიება კი საუკუნო ცხოვრებაა, რადგანაც მისი "...არს სუფევად, ძალი და დიდებად საუკუნეთა მიმართ" (მათე 6,13); "ცხოვრება საუკუნე" (იოანე 12,50) კი მოიპოვება ცოდვისაგან განშორებით და კეთილი საქმის ქმნით, რისკენაც მოუწოდებს პოეტი ადამიანის მოდგმას და მისი პოეზიის ეს ნაწილი დღესაც ღირებული და ფასეულია მორწმუნეთათვის.

დასასრული ტროპარი ამ სტიქარონისა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ცოდვათა აღსახოცად გულწრფელი სინანულის არსს:

"ერთგზის ხოლო ვმა-ყო

აეზაკმან მან, მარჯუნით შენსა

ჭუარცუმულმან, შენდამი, ქრისტე ღმერთო,

ხოლო ჩუენ ყოველსა ჟამსა

გვედრებით კაცთმოყუარე,

შეგწყალენ მონანი შენნი" (იოანე მინჩხის პოეზია, 1986. გვ. 212).

საანალიზო სტიქარონი დიდ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე და სისადავისა და გამომსახველობის დახვეწილ ნიმუშს წარმოადგენს. აქ აღწერილი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტები - ცოდვა აღურაცხელი, სინანული, საწუთროულისგან სამარადეამოსკენ მიდრეკა, ცოდვათა აღხოცად ჭვარცმა, იმ რანგის შოვლენები გახლავთ, რომელთა წარმოჩენითაც იოანე მინჩხის "ლადი და ბუნებრივი ქართული უფრო ახლოს ღვას X საუკუნის სხვა

ქართველ ჰიმნოგრაფთა ენასთან" (ლ. ხაჩიძე, იოანე მინჩხის პოეზია, 1986. გვ. 92). მიუხედავად იმისა, რომ "ქრისტიანული ხელოვნების ცენტრში დგას პიროვნების სულიერი საწყისი და მისი ხსნის იდეა, ღვთის შეცნობის, მისი რწმენის აუცილებლობა. აქ უმთავრესია არა ფორმა, მატერიალური სამოსი, არამედ ის, რაც მიღმიურია, დაფარული, მაგრამ განმსაზღვრავი და არსებითი" (ლ. ჯაფარიძე, 1991, გვ. 23). იოანე მინჩხის პოეზიაში მიღმურ საწყისებთან ერთად უდიდესი ყურადღება ექცევა მის გარეგან სისადავესა და დახვეწილობას, რისი ნიმუშიც ზემოთ განხილული ტრაპარი გახლავთ.

შენიშნულია, რომ "ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია გვთავაზობს სასულიერო მწერლობისათვის კარგად ცნობილსა და დამუშავებულ ზოგად ქრისტიანულ მოტივებს. საგალობელი ეძღვნება ამა თუ იმ ქრისტიანულ დღესასწაულს, ღვთაებას, მაცხოვარს, წმინდანებს... განდიდებულია კოსმიური მნიშვნელობის რელიგიური ფაქტები ქრისტეს შობა, ნათლისღება, აღდგომა...), გამოკვეთილია წუთისოფლის წარმავლობისა და საკუთარ ცოდვათა მონანიების მოტივები" (ლ. გრიგოლაშვილი, 1993, გვ. 92). ცნობილია ის გარემოებაც, რომ სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებში ერთნაირი სიუჟეტი ან მხატვრული სახე გამოიყენება. მათი საფუძველია არქეტიპი ანუ წინასახე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჰიმნოგრაფიულ პოეზიაზე არსებული შეხედულებები ასე შეჯამდა: ჰიმნოგრაფია ბიბლიური, ეგზეგეტიკური, კანონიკური, ჰაგიოგრაფიული მწერლობის ტრადიციებს, სახისმეტყველებას სტატიკური ფორმით იყენებს, რის გამოც იგი საღვთისმეტყველო ლიტერატურის უზოგადეს ქანდაკედ წარმოგვიდგება, ისეთ ქანდაკედ, რომელშიც ღმრთისადმი, გარესამყაროსადმი, წმინდანებისადმი ადამიანის მიმართება და მათდამი დამოკიდებულება საღვთისმეტყველო ლიტერატურის სახისმეტყველების კვალობაზე აისახება. თუ ეს აისახება, მაშინ ცხადია, ამგავრი ნაწარმოები პოეტურობითაა გაშინაარსებული; საგალობლის პარადიგმული აზროვნება პოეზიის მახასიათებელ თვისებათა რიგს განეკუთვნება. (ნ. სულავა, 2006, გვ. 116).

X საუკუნის ჰიმნოგრაფიული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელი იოანე მინჩხი "შამაო ჩვენოს" პოეტურ გარდასახვას ვირტუოზული ნიჭიერებით ახერხებს და პოეტური ტრანსფორმაციის საუკეთესო ნიმუშს ესთეტიკური დახვეწილობით წარმოგვიდგენს. ჰიმნოგრაფიული პოეზია იქმნებოდა ქრისტიანული ლიტურგიის საჭიროების შესაბამისად და მასში ზვერი რამ იყო დაკანონებული გარკვეული ფორმითა და შინაარსით. როგორც მიუთითებენ, "შუასაუკუნეობრივი ნაწარმოების ძირითადი დანიშნულება სარწმუნოებრივია, მაგრამ ამიტომ არ უნდა გამოვრიცხოთ მისდამი ესთეტიკური ასპექტით მიდგომის შესაძლებლობა. ყოველი განსაზღვრება ესთეტიკურ ასპექტს შეიცავს. სულ სხვაა ღვთაებასთან უშუალო, შინაგანი მიმართება. ეს არცაა მეცნიერების საგანი, ესაა სფერო ღვთისმეტყველებისა" (რ. სირაძე, 1992, გვ.15). ამ პერიოდში ქართული ჰიმნოგრაფია ეზიარა უმადლეს მწვერვალს სიტყვის ხელოვნებისას. ჩვენს სასულიერო მწერალთა ნაღვაწზე გაშალა მძლავრი ფრთები დიდმა ქართულმა პოეზიამ და ჩვენი საუკუნის მიწურულის პოეტური შედევრებიც კი საუკუნეთა წინ შექმნილი ამ უკვდავი შემოქმედების მხატვრული სახეებით საზრდოობენ.

ლიტერატურა

- ლ. გრიგოლაშვილი, 1971 - ლ. გრიგოლაშვილი, დროისა და სივრცის პოეტიკისათვის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, თბ., 1971.
 იოანე მინჩხის, 1986 - იოანე მინჩხის პოეზია, თბ., 1986.
 ვ. ნოზაძე, 1963 - ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, თბ., 1963.
 რ. სირაძე, 1992 - რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მცერლობა, თბ., 1992.
 ნ. სულავა, 2006 - ნ. სულავა, არსენ ბულმასისიმისძის იამბიკური სვინაქსარი, თბ., 2006.
 ჭილ-ეტრატის იადგარი, თბ., 1979.

RUSUDAN PIPIA

THEOLOGICAL AND ARTISTIC VALUES OF THE GEORGIAN
 HYMNOGRAPHICAL
 WORKS OF THE 10TH CENTURY

Hymnographical poetry has always included two main components. It was created for theological purpose and was always distinguished with its high literary values. The same plot and characters were used in different-literary works. Arceotype is their base.

Theological and ritorial principles are the main factors while analyzing and searching for peculiarities of understanding hymnography which it is based on. Its meaning reveals the general, individual and national characters of the work.

Hymnographs themselves call hymnography as “didebismetkveleba” that means “Glory, praise of God”. Understanding the theological views of the middle centuries and analyzing them from the point of their poetical side was the main aim of hymnographs and very often this was ended with creating classical masterpieces.

ტარიელ ფუტკარაძე

1790 წლის "ივერიელთა ერთობის ტრაქტატის"

ტიქსტის სემანტიკური ანალიზი

(ყოველნი ივერიელნი; ზემო და ქვემო ივერიის
ქვეყანანი; ერთისა ენისა მქონებელნი; მავასხებლობითი/
მავასხელობითი სიყვარული)

თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო და საინფორმაციო სივრცეში, არაიშვიათად, არასწორადაა წარმოდგენილი საქართველოს ენობრივ-ეთნიკური ისტორია. ბოლო პერიოდში კი განსაკუთრებით გაზვირდა **ქართველთა ერთი ნაწილის** (მეგრელების, ლაზების, სვანების, მესხების...) **არაქართველბად გამოცხადება**. სამწუხაროდ, ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ისტორიას არასწორად წარმოადგენს ზოგი ქართველი მეცნიერი¹.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო ცნობილი ქართველი ისტორიული მოღვაწეების სამეცნიერო პოზიციების გაყალბება; მაგ., 1997 წელს გამოქვეყნდა **პეტრე ჭარაიას** მიერ 1910 წელს შექმნილი **მეგრული სალექსიკონო მასალა**; ქართველმა რედაქტორმა და გამომცემელმა დიდი შრომა გასწიეს, მაგრამ, რატომღაც, არ გაითვალისწინეს გარდაცვლილი ავტორის პრინციპები და დიდი მოღვაწის ნაშრომს დაარქვეს **მეგრულ-ქართული ლექსიკონი**; **არადა**, პ. ჭარაია თვლიდა, რომ მეგრული ქართულის დიალექტია.

ანალოგიური "შეცდომა" იქნა დაშვებული 2007 წელს გამოცემულ **ბესარიონ ნიჟარაძის** ლექსიკონშიც: ბესარიონ ნიჟარაძემ 1888 წელს შექმნა ორენოვანი ქართულ-რუსული ლექსიკონი, სადაც ქართულ ფორმებს მიწერილი აქვს ბალსზემოური კილოს სალექსიკონო მასალაც. ბ. ნიჟარაძე სამართლიანად თვლიდა, რომ **სვანების დედაენა ქართულია**, მაგრამ გამომცემლებმა ეს არ გაითვალისწინეს და ლექსიკონს უწოდეს: **სამენოვანი ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი...**

ამ ფონზე არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტურად წარმოჩენას და ქართველთა აკადემიური ენობრივ-ეთნიკური ისტორიის გავრცელებას საზღვარგარეთაც.

ქართველთა ენობრივ-ეთნიკური სიტუაციის ისტორიული დინამიკის წარმოსაჩენად სტატიაში გაანალიზებულია 1790 წელს შექმნილი ივერიელთა ერთობის ტრაქტატის "ტიქსტის რამდენიმე მონაკვეთის ანალიზი.

ტრაქტატის სრული დასახელება ასეთია:

"ტრახტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართან დამტკიცებული, საზოგადოასათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეუფოისა ქალაქსა ტფილისს 1790 წელსა".

¹ მაგ., ნოდარ ლადარიას მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში: "სოციოლინგვისტიკა" (თბ., 2002 წ.) ვკითხულობთ (გვ. 22-23): მეგრულმა კითხვარის გრაფაში - "დედაენა" უნდა ჩაწეროს მეგრული ენა და არა - ქართული ენა.

ტრაქტატი მოიცავს შესავალ ზოგად ნაწილსა და ოთხი ქართული სამეფო-სამთავროს პირველი პირების მიერ შექმნილ 4 დოკუმენტს; კერძოდ, შესავალ ნაწილში ვკითხულობთ:

“ვინაიდან (ვინათგან) ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნება (ერთმორწმუნეობა), არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიცა (მავასხებლობითიცა) სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა (ზემოხსენებულად) ქვეყანათა ივერიისათა (ივერიისა) მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღმრთისათა, აღუესთქვამთ (აღესთქვამთ) მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თითოეულად შემდგომთა ჰაზრთა ცხად იქმნების“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 501-507).

ამ შესავალ ნაწილს მოჰყვება “ტრაქტატი პირველი“, რომელსაც ხელს აწერს **ერეკლე** - მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ასევე: დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა **დარეჯანი**, საქართველოს **კათოლიკოსი ანტონი** და ვიცე-კანცლერი **სოლომონ ლიონიძე**.

მოვიყვანთ ერთ ამონარიდს ერეკლე მეორის ტექსტიდანაც:

“აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა (თანავალდებულებით - ტ.ფ.) თვით ძეთა ჩემთა, თავადთა **საქართველოსათა**, კეთილშობილთა და საზოგადოთა ერთა, სჯულუღმბ საუკუნოდ **ერთგვამად შეერთებასა** ამას **ქვემოისა ივერიისა თანა** და ვამცნებ ყოველთავე, ვითარცა სჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ!“

ერეკლე მეორის ტრაქტატის მონაცვლე დანარჩენი სამი “ტრაქტატი“ ეკუთვნის იმერეთის მეფე სოლომონს, ოდიშისა და სხვა სამთავროთა **მთავარს გრიგოლ დადიანს** და გურიის **მთავარს სიმეონს**. თავის მხრივ, ისინიც აცხადებენ, რომ **ერთ სხეულად ერთიანდებიან ზემო ივერიის ქართველებთან**.

წარმოდგენილ ციტირებებში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ცნებაზე:

- ყოველნი ივერიელნი;
- ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი;
- ერთისა ენისა მქონებელნი;
- მავასხებლობითი/მავასხელობითი სიყვარული;
- ერთგვამად შეერთება.

ყოველნი ივერიელნი.

“ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ოდითგანვე ტერმინი **“ქართველი“** აღნიშნავდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახეთი, თუ შ-მშავ-ხევსურეთი, ხევი, ჰერეთი), ასევე, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი, ოდიში ანუ სამეგრელო, იმერეთი, გურია) და სამხრეთ საქართველოს - ლაზეთისა და ისტორიული მესხეთის (საბერძნისპირი, აჭარა, ლაზეთი, ლივანა, შავშეთი, ტაია, ერუშეთი, სამცხე, ჭავჭავთი) ისტორიულ, ავტონომიურ მოსახლეობას.

1555 წელს ამასიის ზავით ოსმალეთისა და ირანის მიერ საქართველოს გაყოფის შემდეგ ვიდრე 1790 წლამდე, ტერმინი „საქართველო“ დაკნინდა ოდენ აღმოსავლეთ საქართველოს, ზოგჯერ კი საკუთრივ ქართლის პროვინციის აღსანიშნავად. სამაგალითოდ მოვიყვანთ ერთ ფრაგმენტს თავად ერეკლე მეორის „განწესებიდან“:

„განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისდამი სამეფოისათვის საქართველოსა“: *“ის განწესებები, რომელნიც კვეით დაიწერება ჩემის სახელისა და საქართველოს დიდთა და მცირეთათვისა, ისინი სრულებით უნდა მიიღოთ და ჩემმა შვილებმაც და შვილიშვილებმაც და საქართველობა და კახეთისა ერთა...”* (ქართული სამართლის ძეგლები, 1965, გვ. 509).

პარალელურად, ერეკლეს დროს „ქართველი“ დამცრობილი იყო მხოლოდ ქართლელის აღმნიშვნელად. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ერეკლე მეორის ტექსტებში გამოყენებული სიტყვა „საქართველო“ ხან ქართლის სამეფოს, ხან კი ერეკლეს სამფლობელოს - ქართლ-კახეთს აღნიშნავს.

სოლომონ ლიონიძის ინიციატივით შექმნილი ტრაქტატის ხელმოწერებმა კარგად იცოდნენ, რომ ერთი ისტორიის, ერთი ენისა და ერთი სისხლის მქონენი იყვნენ. ამიტომ ბუნდოვნებისგან თავის დასაღწევად გაააქტიურეს უცხოურ წყაროებში საქართველოსა და ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები: **ივერია** და **ივერიელი**.

ქართველები თითქმის მსგავს სიტუაციაში ვართ დღესაც, ვინაიდან საერთაშორისო ველშიც და ქართულ სამეცნიერო თუ საინფორმაციო წრეებში ერთმანეთისგან იმიჯნება „ლაზი“ და „ქართველი“.

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერმინების: „ივერიელი“ და „ივერია“ გააქტიურებამ მომდევნო საუკუნეში თავისი ისტორიული მნიშვნელობა და არსი დაუბრუნა ტერმინებსაც: **“საქართველო”** და **“ქართველი”**.

ზემო და ქვემო ივერიის ქვეყანანი.

1790 წლის ტრაქტატის ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ივერია (=საქართველო) იყოფა ორ ნაწილად: ზემო ივერია და ქვემო ივერია. **ზემო ივერია** აღმოსავლეთ საქართველო - ქართლ-კახეთი და ერეკლეს სხვა სამფლობელოები. **ქვემო ივერია** არის იმერეთის სამეფო, ოდიში (დღევანდელი სამეგრელო) და დადიანის მმართველობას დაქვემდებარებული სხვა სამთავროები (იგულისხმება აფხაზეთის ნაწილი, სვანეთი, ლეჩხუმი) და გურია.

ცალკე მსჯელობის საგანია ტერმინი „ქვეყანა“. მსგავს კონტექსტში „ქვეყანა“ გვახსოვს ცნობილი ფორმულიდან: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების...“. გამოთქმა „ფრიადი ქვეყანა“ აქ ნიშნავს მრავალ ქვეყანას, მრავალ მხარეს, მრავალ სამეფო-სამთავროს, რომელსაც აერთიანებს ერთი ენა, ერთი საერთო წარსული და ერთი სახელმწიფოებრივი ისტორია. ასეა ტრაქტატის შემთხვევაშიც ფრაზაში: **“ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისა მეფენი და მთავარი”** **ქვეყანანი ივერიისა** ნიშნავს ერთი სახელმწიფოს - ივერიის - შემადგენელ ნაწილებს, ივერიის მხარეებს; კერძოდ: ქართლს, კახეთსა და ერეკლეს სხვა სამფლობელოებს; ასევე, იმერეთის სამეფოს, ოდიშს და დადიანს დაქვემდებარებულ სხვა მხარეებს (იგულისხმება აფხაზეთის ნაწილი, სვანეთის ნაწილი, ლეჩხუმი) და გურიას.

აქვე აღვნიშნავ, რომ ტერმინი "ივერია", აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სარწმუნო მტკიცებით, წარმოიშვა ერთი ქართული პროვინციის სახელისგან - "სპერისგან". 1790 წლის ტრაქტატზე ხელმოწერის დროს ეს ქართული პროვინცია უკვე ოსმალეთის მფლობელობაშია საქართველოს ისტორიულ ნაწილებთან - ლაზეთსა და ისტორიულ მესხეთთან (სამცხე-ჯავახეთსა და ტაო-კლარჯეთთან) ერთად. ამჟამად საქართველოს დაბრუნებული აქვს ისტორიული მესხეთისა და ლაზეთის მხოლოდ მცირე ნაწილი, ხოლო მაჭახლის ნაწილი, ლივანა, შავშეთ-კლარჯეთი, ამიერ და იმიერ ტაო, ერუშეთი, სპერი და ლაზეთის დიდი ნაწილი ამჟამინდელი თურქეთის შემადგენლობაშია.

ერთისა ენისა მქონებელნი.

მე-18 საუკუნის დასასრულის ქართველ ხელისუფალთა ტექსტებში ჩვენთვის მთავარი ფრაზაა: **"ერთისა ენისა მქონებელნი"**. გასაკვირია: ის მკვლევარნი თუ დაინტერესებულნი პირნი, ვინც დღეს ქართველთა რამდენიმე ენას ასახელებენ და მეგრულ-სვანთა დედაენად ქართულს არ თვლიან, რატომ უწყვეტ იგნორირებას ამ დოკუმენტში დაფიქსირებულ საყოველთაო პოზიციას? არ მგონია, რომელიმე თანამედროვე პირმა თუ მკვლევარმა უფრო კომპეტენტურად განუსაზღვროს დედაენის სტატუსი 220 წლის წინ ტრაქტატის ხელმომწერი გრიგოლ დადიანსა თუ მეფე სოლომონს.

მავასხებლობითი/მავასხელობითი სიყვარული.

220 წლის წინანდელი ტრაქტატის ხელმომწერი **"ერთისა ენისა მქონებელნი"** ზემო და ქვემო ივერიის მეფენი და მთავარნი აღბათ მაშინდელი თუ გვიანდელი "სეპტიკოსებისთვისაც" საუბრობენ ივერიელთა ერთიანობის სხვა არსებით საფუძველზეც; კეძოდ, ისინი წერენ: **გვაქვს "მავასხებლობითიცა (მავასხელობითიცა) სიყვარული, ვითარცა ხისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთა შორის"**.

აქ საკვანძო სიტყვაა: **მავასხებლობითი**, რომელსაც ხელნაწერებში უდასტურდება მეორე ვარიანტიც: **მავასხელობითი**.

ამოსავალი ფუძეა **"ვასხება"**, რომელიც ძველ ქართულში **"სესხებას"** ნიშნავს; საეკლესიო მწერლობიდან დავიმოწმებ ორ წინადადებას:

"ავასხებდე შენ ნათესავთა მრავალთა, ხოლო შენ არ ივასხებდე";

"ივასხის ცოდვილმან და არა მიაგის"...

სიტყვები: მიმღობები: **მა-ვასხ-ელ-ობ-ით-ი** და **მა-ვასხებ-ლ-ობ-ით-ი** ეყრდნობა **ვასხ-** ზმნური ფუძის თემისნიშნის და უთემისნოშნო ვარიანტებს და არსებითად ერთი და იმავე შინაარსისანი არიან. **"ტრაქტატის"** მოცემულ კონტექსტში ორივე ფორმა ღრმაშინაარსიანი მეტაფორაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს "სისხლისმიერი ნათესაობის" გამო სამუდამო "სესხით" ანუ სამუდამო ვალდებულებით **ერთმანეთთან მარადიულად დაკავშირებულ საზოგადოებას - ერთგვამად, ანუ ერთ სხეულად შეკრულ საზოგადოებას**; მაშასადამე, მავასხელობითი სიყვარული - ურთიერთვალდებულებითი სიყვარული.

აქვე შევიხები **ჯვამ-** სიტყვის ისტორიასაც:

არქაულ ქართულში “გვამი” ნიშნავდა ქარქაშს, სხეულს, ორგანიზმს. XVII- XVIII საუკუნეებში “გვამს” ორგვარი სემანტიკის მქონედ წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანი:

გვამი - ბირი, ხატი;

გვამი - “სულისგან შეზავებული ხორცი” ანუ ადამიანი.

თავად ერეკლე მეორე იყენებს ტერმინს: **სამგვამოვანი ღმერთი: კერძოდ, 1791 წელს ერეკლეს მეორის მიერ განახლებულ და ხელმოწერილ დოკუმენტში: “განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისთადმი სამეფოისათვის საქართველოსა” ვკითხულობთ: “სახელითა ერთ-არსისა და სამგვამოვანისა ღმერთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა ესწერ მე, მეორე ირაკლი ბაგრატიონი...” (ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 507).**

ამრიგად, 220 წლის წინანდელ დოკუმენტში ქართველი მეფე-მთავრები აცხადებენ, რომ ისინი, ენით, სისხლით, ისტორიით ერთნი და ერთი ეკლესიის შვილები, ისევე ერთიანდებიან ერთი სულის მქონე ერთ სხეულად. ვფიქრობ, საინტერესოა პარალელის გავლება, ერთი მხრივ, ქართველთა ერთიანობის ისტორიულ ძეგლში - 1790 წლის ტრაქტატში - წარმოდგენილ ივერიელთა ერთობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებსა და, მეორე მხრივ, ერის ტრადიციულ და ეთნოსის თანამედროვე დეფინიციებს შორის.

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, გარეშე ძალები ისევე გააქტიურდნენ საქართველოს დასანაწევრებლად და ქართველი ერის დასაშლელად. სწორედ ამიტომ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ინება, შექმნილიყო ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი, რომელის სათაურიც ასე უდერს: **“ღვთისმშობლის წილხვედრი სრულიად საქართველოს და ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი (2009-2010 წწ.)**.

სასიხარულოა, რომ მას ყველა ქართველი და საქართველოს მოქალაქე დღემდე აწერს ხელს და ასე ადასტურებს თავის ერთგულებას ქვეყნისა და ერისადმი...

TARIEL PUTKARADZE

SEMANTIC ANALYSES OF THE TEXT "THE UNITY OF THE PEOPLE OF IVERIA" 1970

(All the people of Iveria; the countries of highland and lowland of Iveria; the owners of the same language; affection of mutual duties)

In the modern international scientific and informational space, language-ethnic history of Georgia is incorrectly represented and it happens quite often. In the last period the claim as if one part of Georgians (megrrels, lazi, svani and meskhi people) doesn't have Georgian origin became quite casual. Unfortunately the language-ethnic history of Georgians are wrongly represented by some Georgian scientist as well.

It's not accidental that from the 90s of XX century falsification of the scientific positions of historical public men was begun. For example: in 1997 megrels' dictionary materials created in 1910 by Petre Tcharaia was published; Georgian editor and publisher did a lot of work but, didn't take into consideration the principles of died author and the work of the great researcher was given the name –Megrrels-Georgian dictionary, meanwhile Tcharaia, P believed Megrelian as a dialect of Georgian language.

The same kind of "mistake" was made in a dictionary published by Besarion Nijaradze in 2007: Besarion Nijaradze formed bilingual Georgian-Russian dictionary, where the Georgian forms are accompanied by the dictionary materials of svanetian accent. B. Nijaradze considered that the native language of Svani people is Georgian, but publishers didn't take it into consideration and the dictionary was called trilingual Georgian-svani-Russian dictionary...

In this situation giving the objective description of our historical inheritance and spreading Georgians' language-ethnic existence abroad has great importance.

For representing the historical dynamic of Georgians' language-ethnic situation, the report shows the analyses of several parts from "Treaty of unifying the people of Iveria"

The full name of the charter is as followed:

"Trwaty, confirmed by the nobles and the kings of Iveria, on the issue of uniting Kartli, Kakheti, Imereti, Odishi and Guria with Tbilisi, the capital city in 1790".

The charter consists of general part at the beginning, and four documents, made by the officials of four Georgian Kigdom, at the beginning we read:

"As all the people from Iveria who live in the kingdom of Kartli, Kakheti, Imereti, Odishi and Guria have the same religion, are the sons of one church, and the owners of the same language, they have affection of mutual duties as blood relatives, that's why the kings and nobles of the both countries of Iveria, promise the strong unity, on behalf of God, and it will be shown in each opinions expressed in the future. (Records of Georgian Justice II, tb., 1965, pg 501-507).

The beginning part is followed by “treaty one”, which is signed by Erekle – king of Kartli, Kakheti, etc, also the Queen of Kartli, Kakheti, etc – Darejan, the Catholicos Anton and vice-chancellor Soloman Lionidze.

The replaced three charters of Erekle II belong to king of Imereti – Solomon, the governor of Odishi and other territories Grigol Dadiani, and the governor of Guria-Svimeon. They state about their unification with the people of highland Iveria.

The report analyses:

All the people of Iveria

The countries of highland and lowland

The owners of one and the same language

The affection of mutual duties

Unification

ტარიელ ფუტყარაძე,
მიხეილ ლაბაძე

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა
იდეოლოგიის საკითხები¹

გლობალიზაციის პროცესი დიდ ტალღას ჰგავს: სუსტებს საფრთხეს უქმნის, ძლიერებს კი - სერფინგის პირობებს.

წინასიტყვაობა

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ქართველოლოგია-კავკასიოლოგიის, სოციოლინგვისტიკისა თუ კულტუროლოგიისთვის განსაკუთრებით საშურია საქართველოს სახელმწიფოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები ავტოქთონი ქართველებისა თუ ქართული დიასპორების მონაცემთა ბაზის შექმნა და ამ ინფორმაციის ანალიზი; ასევე, საჭიროა, რომ უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა და საქართველოში დაინტერესებული სხვა პირებისათვის შეიქმნას აკადემიური საგანმანათლებლო საინტერნეტო ქსელი, რომელიც გარკვეულწილად უზრუნველყოფს ყოველი მსურველის თანაცხოვრებას ქართველურ ეროვნულ კულტურაში.

თურქეთის რესპუბლიკაში ავტოქთონი ქართველები ცხოვრობენ ტრაპიზონისა და ართვინის მხარეებში: ისტორიული ლაზეთი, ლივანა/ზორჩხისა და მურღულის ილჩე/, მაჭახელი, იმერხევ-შავშეთი, ტაო (იუსუფელის ილჩე)...; მუშაჯირი ქართველების შთამომავალთა მრავალრიცხოვანი კომპაქტური დასახლებები კი გვაქვს ადაფაზარის, ბურსა-ინეგოლის, გონენ-კაისერის, ორდუფაცას, ამასიის რეგიონებსა და სხვა მხარეებში. თურქეთის დიდ ქალაქებში არსებობს ქართველთა მრავალრიცხოვანი დიასპორები. ბოლო პერიოდში თურქეთშიც მკვიდრდებიან 1944 წელს საქართველოდან (მესხეთიდან) შუა აზიაში დეპორტირებული მესხების შთამომავალთა ცალკეული ოჯახები² და საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც ეძებენ უკეთესი პირობების საძებნად.

შესავალი

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ავტოქთონი ქართველები - ძველი ეგრისის ანუ უცხოური წყაროების **ლაზეთის** მკვიდრნი - მეგრელები/ლაზები და ბორჩხაში, ართვინში, შავშეთსა და იუსუფელში მცხოვრები გურჯები. თურქეთში ასევე ცხოვრობენ საუკუნენახევრის წინ თურქეთში გასახლებული მუშაჯირების შთამომავლები; კერძოდ, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მუსლიმან ქართველთა დიდ ნაწილს რუსეთის იმპერიამ დაატოვებინა მშობლიური ადგილები აქარაში,

¹სტატიის ცალკეული ნაწილები წაკითხულია სხვადასხვა კონფერენციებზე /იხ., დამოუკიდებელი ლიტერატურის სია/; მკირე ნაწილი დაბეჭდილია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში: "ენა და კულტურა": ინტერდისციპლინარული და ინტერპარადიგმული პერსპექტივები, თბილისი, 26-27 ივნისი, 2008. ---
²ზურცლად იბ., მ. ბერიძე, "მამამაიან მესხთა ფესვები და დღევანდლობა", თბ., 2009

მაკახელსა თუ ისტორიულ ნიგალში. საქართველოდან ქართველები გაასახლეს იმიტომ. რომ რუსეთის სჭირდებოდა ქართული მიწა ქართველების გარეშე, ოსმალეთს კი - იაფი მეომარი და მიწის მეურნე-მუშახელი.

შუა თურქეთამდე ტანჯვა-წამებით მიღწეულმა მუსლიმანმა ქართველებმა საუკუნის მანძილზე თითქმის უცვლელად შეინახეს თავიანთი დედაენა და ქართველური ცნობიერება. მათმა შთამომავლებმა - თურქეთის მოქალაქე რჩეულმა ქართველებმა - მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, გააცნობიერეს რა ეთნიკური ასიმილაციის საფრთხე, შეეცადნენ ქართველური ფესვების გაძლიერებას. შექმნეს "ქართული დედაენა" და ჟურნალი "ჩვენებურები"; ინტენსიურად დაიწყეს ლაპარაკი თავიანთი ქართველობის შესახებ და ა.შ. ამ მოძრაობის ლიდერმა, ახმედ მელაშვილმა-ოზქანმა - თავის შვილებს სახელებად დაარქვა **იბერია და თამარია**; იგი აქტიურად ეძიებდა კონტაქტებს დედისამშობლოსთან და ქართველებთან.

მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორც წესი, დადიოდა საქართველოს ის მოქალაქე, რომელიც სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა³; საბჭოთა კავშირიდან თურქეთში ჩასულთა შორის ბ-ნი ახმედი პატრიოტ ქართველებს ეძებდა; იგი დაუახლოვდა თურქეთში მივიღინებით მყოფ ქართველებს: პროფ. ოთარ გიგინეიშვილს, ამირან ცამციშვილს, გურამ გლოგრესა და სხვებს, რომლებიც, ბუნებრივია, თურქეთის გარკვეული წრეებისთვის მხოლოდ საბჭოთა კავშირის (რუსეთის იმპერიის) სპეცსამსახურების წარმომადგენლები იყვნენ⁴.

1980 წელს დღემდე "უცნობი ძალის" (მემარჯვენე-რადიკალების? ბნელი ძალების? რუსეთის იმპერიის სპეცსამსახურების?) მიერ დაქირავებულმა პირებმა მოკლეს ახმედ მელაშვილი-ოზქანი და სასიკვდილოდ გაიმეტეს მისი ერთადერთი ვაჟი - იბერია მელაშვილი-ოზქანი. ამგვარმა მოწამობრივმა სიკვდილმა უფრო გააძლიერა ახმედ მელაშვილი: დიდი ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ეროვნული იდეებისთვის მოკლული ახმედ მელაშვილი დღეს უცდომელი ორიენტირია არა მხოლოდ თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის.

ბოლო პერიოდში სწრაფად გაძლიერდა თურქეთში მცხოვრები მუშაჯირი ქართველების შთამომავლების დიასპორები სტამბოლში, იზმითში, ხენდეკში, დუზჯეში. ამასიამი, ადაფზარში... სტამბოლში გამოიციემა ორენოვანი (ქართულ-თურქული) რამდენიმე აკადემიური ჟურნალი თუ ბიულეტენი; არის რამდენიმე საინტერნეტო ქართული რადიო და ა.შ. პარალელურად, მუსლიმანური რწმენის მქონე თურქეთის მოქალაქე რამდენიმე ქართველი ცდილობს, საქართველოსა და თურქეთში გააერცლოს ქართულენოვანი მუსლიმანური ლიტერატურა; ისინი ფიქრობენ, რომ რადგანაც ქართულენოვანი მართლმადიდებლური კულტურის გვერდით არსებობს ქართულენოვანი კათოლიკური ლიტერატურა, შეიძლება იარსებოს ქართულენოვანმა მუსლიმანურმა ლიტერატურამაც; ამ

³ იშვიათად, ათასში ერთხელ, დელეგაციებში ცნობილ მწერლებსა და დიდ მენეჯერებსაც ჩართავდნენ ხოლმე.

⁴ ნიშანდობლივი ფაქტი: 2009 წლის 17 ივლისს ბურსაში, ახმედ მელაშვილის ოჯახში სტუმრობისას, მისმა მეუღლემ, ქალბატონმა **იუქსელმა** მითხრა, რომ ოთარ გიგინეიშვილი მათი დიდი მეგობარი იყო. მავრამ არასოდეს მისულა მათ სახლში: ჩვენს ქმარს ბატონი ოთარი ხვდავან ზედმეოდა ხვებდისვან მალულად" (A.შ.).

გზით თურქეთის ქართველობის ქართული ენა და, შესაბამისად, ქართული მეობაც უფრო გადარჩებაო...

ყველას აქვს უფლება, თავისებურად იმსჯელოს ქართველობის გადარჩენის პერსპექტივაზე, თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ ეროვნულ თუ ეთნიკურ მეობას დედანის მიხედვით შექმნილი ტრადიციული მხატვრული ლიტერატურა (მაგ., რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი", ილიას "აჩრდილი", აკაკის "გამზრდელი", ვაჟას "სტუმარ-მასპინძელი", ყაზბეგის "ელგუჯა", გალაკტიონის "ქარი ქრის..." და სხვ.) უფრო აყალიბებს, ვიდრე რელიგიური ნორმების შესახებ თარგმანები (რომლებიც თავისთავად საინტერესოა).

დედაენა და ეთნიკური მეობა

ამ სტატიის ერთ-ერთი ავტორი თურქეთში მცხოვრები ქართველების მეტყველებას დიალექტოლოგიური კუთხით სწავლობს 1983 წლიდან⁵: პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით I კურსის ასპირანტს სადისერტაციო თემად სწორედ მაშინ დაუბრუნებდა "სახელის ფორმალური თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში"; **ნაშრომის** მიზანი იყო სახელის ფორმალური თავისებურებათა გამოვლენა და ანალიზი (ფორმალური ელემენტთა გამოყოფა და მათი აღმოჩენის დადგენა) ქართული ენის სამხრეთ-დასავლური კილოების - აჭარულის, გურულის, მესხურ-ჯავახურისა და იმერხეულის - მონაცემთა მიხედვით; შესაბამისად, ჩვენ საშუალება გვაქვს 20 წლის მანძილზე ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით ვიმსჯელოთ თურქეთში მცხოვრები ავტოქთონი ქართველების იდენტობის შესახებ.

გ. როზენის ცნობებით, ჩვენ ვიცოდით, რომ თურქეთში, საქართველოს ისტორიულ პროვინციებში, იმერხეულის გარდა, გამოიყოფა: ფოცხოვის, არტანუჯისა და შამშახვეის დიალექტები⁶; მისივე ცნობით, დასახელებული დიალექტები ეკვლნება ახალციხის ქართულს, აჭარული - კი გურულს.

1983 წელს შეუძლებელი იყო სამეცნიერო მიზნების მქონე პიროვნების თურქეთში შესვლა, მაგრამ ნიკო მარის მიერ გამოქვეყნებული ტექსტებითა და თბილისში სტუმრად მყოფი რამდენიმე იმერხეველის, თუ ინეგოლევი მუშაჯირის შთამომავლის მეტყველების ჩანაწერებით გარკვეული წარმოდგენა თავიდანვე შეგვექმნა საზღვარს მიღმა დარჩენილი ქართველების ეროვნულ-ეთნიკური მეობის შესახებ. აქვე აღვნიშნავთ, რომ "ჩვენებურების" ცოცხალი მეტყველების მოსმენის საშუალება მოგვცა ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, პროფ. ოთარ გიგინეიშვილმა, რომელიც, როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, განაგებდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობას.

1992 წლიდან ხშირად დავდივართ თურქეთის რესპუბლიკაში; იქაური თურქი და ქართველი მეგობრებიც გვსტუმრობენ; სწორედ მათთან თანამშრომლობით მომზადდა ორი წიგნის: "ქართველებისა" 2005 (<http://>

⁵ აკად. ნიკო მარის, აკად. სერგი ჯიქიასა და სხვთა ნაშრომებით, ასევე, აჭარაში მოსმენილი "მუშური ამბებისაგან" ბავშვობიდანვე გარკვეული წარმოდგენა მქონდა თურქეთში მცხოვრები ავტოქთონი თუ მუშაჯირი ქართველების შესახებ (ტ.ფ.).

⁶ მდრ.: ფოცხოვსა და არტანუჯში ქართული უკვე მცდარია; ამჟამად თურქეთის ფარგლებში მოქცეული ისტორიული ქართულ პროვინციებში, ლაზურის გარდა, პროფ. მუშანა ფუტყარაძე საუსებით არგუმენტირებულად გამოყოფს კიდევ ოთხ ქართველურ კილოს: მაჭხაბულას, ლივანურს (ნიგალურს), იმერხეულსა და ტაოურს.

www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels) და “**იმერხევის მეტყველი მიწა-წყალის**“, 2007 (<http://www.scribd.com/doc/2164693/Imerkhevi-Speaking-Land>) თურქული ვარიანტები. 2007 წელსვე გადავიღეთ დოკუმენტური ფილმი: “**ასე მეტყველებს იმერხევის მიწა-წყალი**“.

ბოლო 26 წლის მანძილზე თურქეთში მცხოვრები ქართველების მეტყველებისა თუ ყოფა-ცხოვრების კვლევა და ქართულ-თურქული კეთილმეზობლური ურთიერთობების აუცილებლობის წარმოჩენა ჩვენს ერთ-ერთ ძირითად საქმიანობად იქცა; შესაბამისად, ხშირად გვიწევს თურქეთის ქართველობის თემით დაინტერესებული პირების კონსულტანტობა. საბედნიეროდ, საქართველოსა და თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესების თანხვედრის ფონზე, ქართულ-თურქული ურთიერთობების გაღრმავების კუთხით მიმართულ საქმიანობას გულწრფელად მიესალმება ორივე ქვეყნის ყველა საზოგადოებრივი წევრი, მცირერიცხოვანი პრორუსი ავანტიურისტების გარდა (ეს პირები ჩვენს წიგნებს პასკვილებით ეხმიანებიან).

თურქეთ-საქართველოს დღეს არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობები მკაფიოდაა ასახული როგორც ბიზნესის, ასევე, კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში; კერძოდ, საქართველოში არსებობს თურქეთის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული “ჩაღლარის საგანმანათლებლო ქსელი“ (<http://www.caglar.edu.ge>), რომელსაც თბილისში, ბათუმში, რუსთავში, ქუთაისსა და მარნეულში 20-მდე საგანმანათლებლო დაწესებულება აქვს (დაწყებითი და საშუალო სკოლები, უნივერსიტეტი...).

საქართველოშიც დიდია ინტერესი თურქეთის მიმართ: საქართველოს მოქალაქე ქართველების მთავარი სურვილია, მოინახულონ დღეს თურქეთის რესპუბლიკაში შემავალი ისტორიული საქართველოს პროვინციების ქართული კულტურის ძეგლები: დოლისყანა, არტანუჯი, შატბერდი, ოპიზა, ხანძთა, ნუკისყადარი, პარებთა, წეფთის ციხე, იშხანი, ოშკი, ხაზული, ბანა, პარხალი, ოთხთა, კლდეკარი, ოლთისი, თორთუმის ციხე⁷... მე-20 საუკუნის 90-იან წლებში სამეცნიერო წრეების ბევრი წარმომადგენელი დაინტერესდა თურქეთის ქართველობის მეტყველებით, ფოლკლორით, ლიტერატურით, თარგმანებით; შეიქმნა მაღალი დონის სამეცნიერო გამოკვლევებიც, მაგ., ბათუმში მომზადდა პროფ. შუშანა ფუტკარაძის ფასდაუდებელი წიგნი “ჩვენებურების ქართული“ (ტექსტები და გამოკვლევა), პროფ. ნუგზარ ცეცხლაძის ნაშრომი “შვეშეთ-იმერხევის ტოპონიმია“, მერაბ ბერიძის “თურქეთში შემორჩენილი ქართული სახელები“ და სხვა მრავალი.

⁷ ჩაღლარის ქსელის დამფუძნებელია ფეოქსულა გულენი, რომელსაც 120 ქვეყანაში აქვს სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, სადაც სავალდებულო საგნებია თურქული და ინგლისური; ბ-ნი გულენის აზრით, მოცემულ ქვეყანაში თუკი თურქულ ენასა და თურქულ კულტურას შეისწავლიან, გაიზრდება თურქეთის მეგობართა რიცხვი. ბუნებრივია, ეს კარგად დაფინანსებული და მთავრობასთან ლოიალური წევრი თურქული ენისა და კულტურის ძლიერ ცენტრებს ქმნის თურქეთის საზღვრებს გარეთ.

ინფორმაციის სინაკლულისა და ქრისტიანული შინაარსის მქონე ქართული კულტურის ეს შედეგები გერჩეობით ვერ გაითავისა თურქეთის მოქალაქე მუსლიმანი ქართველების დიდმა საწილმა.

თანამედროვე თურქეთის ენობრივ-კულტურული მოზაიკაში გამოკვეთილად საინტერესოა ქართული წახნაგი. **თურქეთში მცხოვრებ ჩემს ნაცნობ ქართველთა თითქმის არც ერთ ფრთას არ სურს ქართველობის დაკარგვა** (ეროვნული და ეთნიკური მეობა წაემლება მხოლოდ უსახურ და უსუსურ საზოგადოებას)⁹, არც სხვათა რადიკალურ-ტერორისტული ჯგუფების საქმიანობა მოსწონთ: ყველა ქართველი (ვისთანაც მე მქონია შეხვედრა) ცივილიზებული გზით ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ქართული ეთნიკური იდენტობა (მეობა) და ამავე დროს, დიდად ეამაყება თურქეთის მოქალაქეობა - სახელმწიფოებრივი ღირსების განმსაზღვრელი ფენომენი.

ჩვენი დაკვირვებით, თურქეთში მცხოვრებ **ავტოქტონ ქართველთა** და მუშაჯირების შემკვიდრე **ქართულ დიასპორათა** დედაცნობრივი, ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი იდენტობა თვისობრივად ერთგვარია. თურქეთში მცხოვრები ქართველური წარმომავლობის ადამიანები შვიდ ძირითად ჯგუფად შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. **თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე** ქართველური წარმომავლობის **მოქალაქეები**, რომლებსაც არ ახსოვთ არც ისტორიული დედაენა¹⁰, არც წარმომავლობა და თავს ეთნიკურ თურქებად აღიქვამენ¹¹; მათ თავიანთ დედაენად თურქული მიაჩნიათ. ამ პირთა **ეროვნული თვითაღქმა** ხდება არა მოქალაქეობის, არამედ ეთნიკური (არააშვიათად რელიგიური) ნიშნით.

2. **თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე** ქართველური წარმომავლობის **მოქალაქეები**, რომლებიც ფლობენ **ისტორიულ დედაენას (მის რომელიმე კილოს)¹², მაგრამ** თავს მაინც ეთნიკურ თურქებად თვლიან; მათთვის უცნობია ქართული კულტურა; შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ ბავშვობის ენა (ქართველური წარმომავლობის პირები დედაენად თურქულს მიიჩნევენ და ცდილობენ, **საოჯახო**

⁹ აქვე უნდა ითქვას, რომ მრავალფეროვანია ქართველობის განსასაზღვრი კრიტერიუმი: ზოგისთვის მხოლოდ სისხლია ქართველობის კრიტერიუმი; ზოგისთვის: სისხლი, ცეკვა და სამზარეულო (თუნდაც ღვინის დაღვევის კულტურა); ზოგისთვის: სისხლი, ცეკვა, სამზარეულო და ქართული ენა; ზოგისთვის: სისხლი, ცეკვა, სამზარეულო, ქართული ენა, ისტორიული კულტურა...

¹⁰ **ისტორიული დედაენა - ეთნიკური წინაპრების კულტურის ენა**; ამ შემთხვევაში ვაგრძელებთ გ. რამიშვილის შემდეგ მსჯელობას: დედაენა ხალხის ენა და არა უთუოდ მშობლის ენა; დედაენა ენობრივი სოციალის თვისებაა და არა ინდივიდისა [რამიშვილი, 2000: 70]; შარ.: **დედაცნობრივი კულტურა ეროვნული შემოქმედებაა**; მაგალითად, უმწიფნობრო სინამდვილეში: ქართული სამწიფნობრო ენა შექმნილია **საერთოქართველური ენობრივი შიდადის ბაზაზე**; გარდა ამისა, ქართველური სამწიფნობრო კულტურა თვისობრივად ერთგვარად იქმნებოდა საქართველოს ყველა კუთხეში; შესაბამისად, სხვადასხვა კუთხის ქართველთა (მეგრელთა, ლაზთა, აჭარელები, ძესხთა, სვანთა, ხევსურთა, ტაოელთა, კახელები, ინგილოთა, ფერეიდნელები, თუშთა, იმერელები...) დედაენა ქართულია, უმწიფნობრო საოჯახო გარეგანი კი - დიალექტი. თურქეთულ ქართველთა მისაგებ საინტერესო მასალებისათვის იხ., შ. ფუტყარაძე, ჩვეულებრივების ქართული, ბათუმი, 1993.

¹¹ ამ შემთხვევაში ქართველურ წარმომავლობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვლაპარაკობთ, თუკი დგინდება, რომ პირი ცხოვრობს წინაპრების სოფელში, სადაც მიკროტოპონიმია ქართულია და ისტორიულადაც ეს სოფელი ქართულად ითვლება.

¹² **დედაენის ფლობა - ეროვნული (ეთნიკური წინაპრების) სამწიფნობრო ენის, ან მისი რომელიმე ხეობის სახესიგნაობის (დიალექტის, კილოკავის) ცოდნა.**

ენადაც თურქული დაიმკვიდრონ. მათ არ ხიბლავთ **ეთნიკურ უმცირესობად** ყოფნა.

3. **თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე** ქართველური წარმომავლობის **მოქალაქეები**, რომელთათვის საოჯახო ენა ქართულია (რომელიმე ქართველური კილოა), მაგრამ შვილებისთვის განათლების ენად ირჩევენ, მათი აზრით, უფრო პრესტიჟულ თურქულს (ინგლისურს, გერმანულს)... იციან, რომ წარმოშობით ქართველები არიან, მაგრამ ბევრი არაფერი იციან ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის შესახებ; ძირითადად აღზრდილნი არიან თურქული კულტურის მიხედვით; შესაბამისად, უფრო უიოლდებათ იდენტიფიცირება თურქულ კულტურასთან. ყველა სხვა ქართველური წარმომავლობის ჯგუფის მსგავსად, სახელმწიფოებრივი თვითშეგნება თურქული აქვთ, მაგრამ მათი ეთნიკური თვითაღქმა გაორებულია.¹³ ისინი თურქეთში თავს მაინც **ეთნიკურ უმცირესობად** თვლიან, მაგრამ ცდილობენ, მათი შვილების **ეთნიკური თვითობა** (იდენტობა) მაინც არ იყოს გაორებული.

4. **თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე** ქართველური წარმომავლობის **მოქალაქეები**, რომელთაც შეიძლება დავიწყებული ჰქონდეთ ქართველური ეროვნული კულტურის განმსაზღვრელი ყველა ძირითადი მახასიათებელი (ისტორიული დედაენა, დედარელიგია, წეს-ჩვეულებები...), **მაგრამ თავს მაინც გურჯებად - ქართველებად**¹⁴ აღიქვამენ საკუთარი წარმომავლობისა და წინაპრების კულტურის **ციღნის** გამო. ამ ჯგუფის წევრებიც თურქეთის სახელმწიფოს პატრიოტებიც არიან და ამავდროულად, ცდილობენ დაიბრუნონ წინაპრების ყველა ლინგოკულტურულ-ეთნიკური მახასიათებელი; კერძოდ:

- ცდილობენ, ისწავლონ დედაენა და ქართული სამწიგნობრო კულტურა;
- ესწრაფვიან, აღიდგინონ (შეინარჩუნონ) მამაპაპისეული წეს-ჩვეულებები,

საქართველოში მოიძიონ ნათესავები, დაუნათესავდნენ სხვა ქართველებს, ააგონ ქართული სახლი სოფლად და სხვ.

ასევე აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ამ ჯგუფში გაერთიანებული ქართველური წარმომავლობის პირები ცდილობენ, სხვებთან საუბარში ხაზი გაუსვან მათში წარმოდგენილ რაიმე ანთროპოლოგიურ ან ეთნოკულტურულ ნიშანს: ცხვირის ფორმას, თვალების ფერს, ეროვნული კერძების ტრადიციას, ცეკვის სტილს და სხვ. რაც მთავარია, **თურქეთის ქართველობის** ეს ნაწილი ინტენსიურად ცდილობს, დაბრუნდეს მსოფლადქმის დედაენობრივ ველში და ამ გზით სრულყოს თავისი, როგორც ქართველის, ეთნოკულტურული მეობა.

აქვე ისმის კითხვა:

¹³შდრ., მომდევნო ჯგუფი, რომელის წევრებსაც უფრო ნაკლები ეთნოკულტურული მახასიათებლები აქვთ შემოხაზული, მაგრამ მაინც მკვეთრად გამოხატული ქართული ეთნიკური თვითშეგნება აქვთ.

¹⁴ თურქეთის ქართველობაში ტერმინ გურჯას ორი მნიშვნელობა აქვს: ფართო გაგებით ის ყველა ქართველს მოიცავს, ვიწრო გაგებით კი მხოლოდ მუსლიმან ქართველს; შდრ., ტერმინ ქართველის ორგვარი გაგებაც: ქართველი - ყველა რელიგიის ეთნიკური ქართველი; ქართველი - ქრისტიანი ქართველი (შდრ.: გურჯი - მუსლიმანი ქართველი); [ქართველ-სუბსის შესახებ მსჯელობისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ტ. ფუტყარაძე, 2015: 175-178]

- რა არის ის, რაც განასხვავებს ამ ჯგუფის პირებს წინა ჯგუფისგან? უფრო ზუსტად:

- რა განაპირობებს ამ ჯგუფის ქართველების ამგვარ თვითაღქმას წინა ჯგუფის ადამიანთა თვითაღქმისგან?

თურქეთის ქართველობასთან მრავალწლიანი უშუალო თანაცხოვრების პირობებში მიღებული გამოცდილების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი არის განათლება**; კერძოდ, ვისაც გაცნობიერებული აქვს ქართული კულტურის პრესტიჟულობა, მისთვის თავსებადი და საამაყოა თურქული სახელმწიფოებრივი და ქართული ეთნიკური თვითშეგნება.

მიუხედავად **განათლების** ფაქტორის სიძლიერისა, ზოგ შემთხვევაში უფრო არსებითია სხვა ტიპის მახასიათებელი: **ძლიერი პიროვნული ხასიათი**; კერძოდ, არაიშვიათია ასეთი შემთხვევა:

თურქეთის მაღალმთიან ქართულ სოფელში, ან სტამბოლში გვერდიგვერდ ცხოვრობს ერთნაირი განათლების მქონე ქართული წარმომავლობის **თურქეთის ორი მოქალაქე**; ერთის ეთნიკური თვითშეგნება გაორებულია, ან თურქულია, მეორისა კი - ქართული. ჩემი დაკვირვებით, თვითიდენტიფიკაციის დროს განმსაზღვრელია **ძლიერი პიროვნული ხასიათი**: ყველა ადამიანისთვის რთულია, სხვა ერის ენისა და კულტურის დომინანტობით შექმნილ საზოგადოებაში დაიცვას ეთნიკური მეობა (იდენტობა); კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, ერთი პიროვნება ცდილობს სრულ ინტეგრაციას თურქულ გარემოში, მეორე კი, არის რა თურქეთის სახელმწიფოს პატრიოტი, ამავედროულად ესწრაფვის შეინარჩუნოს (ან აღიდგინოს) წინაპრების ენობრივ-ეთნოკულტურული მახასიათებლები; მას ურჩევნია თურქეთში იყოს ისეთი უმცირესობა, რომელიც ცივილიზებული მეთოდებითა და ფორმებით წარმოაჩენს საკუთარ ეროვნულ მეობასა და ღირსებას.

5. თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე ქართველური წარმომავლობის მოქალაქეები (აჭარელ, ლაზ, შავშელ, ტაოელ... მუჭაჭირთა შთამომავლები), რომლებიც ფლობენ ერთ-ერთ ქართველურ კილოს და რომელთათვისაც ისტორიული დედაენა - ქართული სამწიგნობრო ენა - ეროვნული ენაა¹⁵; შესაბამისად, ასეთი პიროვნებები თავს ნამდვილ ქართველებად აღიქვამენ. უახლოეს წარსულში მათ ნაწილს საქართველოს შესახებ არაერთი წარმოდგენა არ ჰქონდა; მეტიც, მათ გარდა სხვა თუ იყო ქართველი, ესეც კი ვერ წარმოედგინათ.

ჩვენ მიერ ამ ჯგუფში გაერთიანებული ქართველები დღეს ინტენსიურად ცდილობენ შეივსონ დანაკლისი, რომელიც მათ აქვთ წინაპრების წერილობითი კულტურული მემკვიდრეობის ცოდნის თვალსაზრისით. ქმნიან ქართულ კულტურულ ცენტრებს, საინტერნეტო რადიოებსა თუ გაზეთებს და ა.შ.

შეგვიძლია ვთქვათ:

თურქეთის მოქალაქეების ამ ნაწილში დღეს ქართული კულტურული ცხოვრება. ისინი საქართველოს მკვიდრი პატრიოტი ქართველების მსგავსად

¹⁵მათთვის თურქული სახელმწიფო ენაა [ეროვნული და სახელმწიფო ენების გამიჯნისათვის იხ., ტაბიძე, 2005: 131-138].

(თუ მეტად არა!) ქომაგობენ საქართველოს სახელმწიფოს მიმდინარე გეოპოლიტიკურ მომბეზი; ამავედროულად, არიან თურქეთის სახელმწიფოს პატრიოტები. მათ ამგვარ განწყობას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკა და საქართველოს სახელმწიფო თვისობრივად ერთგვარადაა ორიენტირებული დასავლურ გეოპოლიტიკურ ველსა თუ ღირებულებებზე.

6. თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრირებული, თურქეთის მოქალაქეობის მქონე ქართველური წარმომავლობის მოქალაქეები, რომელთაც იციან, რომ თურქები არ არიან, მაგრამ არც ქართველებად თვლიან თავს; აქ ორი ქვეყნული გამოიყოფა:

- ქართველური წარმომავლობის ადამიანები, რომლებიც ფლობენ დედაენის ერთ რომელიმე კილოს (იმერხელს, აქარულს, ტაოურს, ლივანურს...), მეტნაკლებად ინარჩუნებენ ეთნოკულტურულ (ყოფით) მახასიათებლებს და საკუთარ თავს გურჯს უწოდებენ; მიუხედავად ამისა, რელიგიური და ენობრივი სხვაობის გამო, ესენი საკუთარ გურჯობას არ აიგივებენ ქართველობასთან; კერძოდ, მიიჩნევენ, რომ საქართველოს ქართველები სხვა კულტურისა და ენის მფლობელნი არიან; აღიარებენ მათთან ნათესაობას, მაგრამ არა იგივეობას. ესენი აცხადებენ, რომ **მათ არ ესმით საქართველოს ქართველთა ენა** (სიტყვების დიდი ნაწილი უცნობიაო, ლაბარაკიც ისე ჩქარია, რომ ვერ ვიგებთო და მისთ.).

- ქართველური წარმომავლობის ადამიანები, რომლებიც ფლობენ ქართული ენის ლაზურ კილოს, მაგრამ ჰგონიან, რომ ეს მეტყველება სხვა ენაა. გარდა ამისა, ქართული კულტურის ლაზურ ნაირსახეობას დამოუკიდებელ კულტურად აღიქვამენ და ლაზთა ისტორიასაც საქართველოსგან დამოუკიდებლად განიხილავენ.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებიდან თურქეთში, გარეშე ძალთა აშკარა წაქეზებით, ლაზების ე.წ. "თვითგამორკვევის" პროცესი დაიწყო. ლაზი აქტივისტების ერთმა ნაწილმა (რომელიც გამოსცემდა ჟურნალს "ოგნი სქანი ნენა" ["შიგინე შენი ენა"]) მკვეთრად ანტიქართული პოზიცია დაიკავა, რაც გამოწვეული იყო როგორც გარეშე ძალების ზემოქმედებით, ასევე იმითაც. რომ თავად ქართულ საბჭოთა ენათმეცნიერულ სკოლას გააჩნდა მცდარი და, რაც ყველაზე მთავარია - ქართველი ერის ერთიანობის საწინააღმდეგო შეხედულებანი.

ამდენად, საკუთარი ფესვების მოძიებით დაინტერესებულ ლაზებს, გაეცნობოდნენ რა ქართველი საბჭოთა ენათმეცნიერების ფუნდამენტურ ნაშრომებს, საკვებით ლოგიკურად უჩნდებოდათ ეჭვი, რომ არ იყვნენ ქართველები. საერთოქართული ისტორიული მახსოვრობა (რაც ჭერ კიდევ კარგად აქვთ შემონახული ლაზებს) და საბჭოთა ენათმეცნიერული სკოლის შეხედულებანი დიდად ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. ეს კი გაუგებრობას იწვევდა თურქეთის ლაზებს შორის, რომელთა ეთნიკური არათურქობის ძირითად ნიშანს სწორედაც რომ მეტყველება, ანუ ლაზური კილოები წარმოადგენდა.

ყოველ შემთხვევაში, ახალი ინფორმაციების მიღების, თანამედროვე ტურისტული ბუმიით გამოწვეული ურთიერთსაზღვრის, საინტერნეტო აქტიური კავშირებისა და სხვა ფაქტორების გამო, ლაზეთის ქართველებისთვის, ზოგადად,

თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის, იზრდება ეთნიკური მეობის განმსაზღვრელი ფაქტორების რაოდენობა; შედეგად, ლაზეთში მცხოვრებ ავტოქტონ ქართველთა მიერ საკუთარი ეთნიკური იდენტობის გააზრებაში ახალი ეტაპი იწყება, თუმცა, ისტორიული ლაზეთის "თურქულ" ნაწილში ჭერჭერობით მაინც დიდია იმ ლაზთა პროცენტი, რომლებიც ვერ ახდენენ იდენტიფიცირებას ზოგადქართულ ენასთან, კულტურასა და ისტორიასთან.

ვფიქრობთ, საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში უნდა შეიქმნას ობიექტური სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის ველი, რომელიც ყველა ლაზს საშუალებას მისცემს იცოდეს:

- კოლხური (კოლხურ-ყოზანური) არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ცხადყოფს, რომ თავისი არსით დიდი ქართველური (ზოგადქართული ანუ კოლხური) სახელმწიფო ოცდე მეტ ქართველურ თემს, მათ შორის, ლაზების წინაპრებსაც აერთიანებდა; ქუჯ-ფარნავაზის მიერ აღორძინებული და ფაქტობრივად დღემდე მოღწეული ქართული სახელმწიფოც ლაზ-შეგარელების მიერაცაა აშენებული-შენარჩუნებული.

- ქართველური სამწიგნობრო ენა ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ მოდელს და არა ქართლურს, კახურს, ან სხვა რომელიმე ქართველურ კილოს; პირველი ქართული ასომთავრული წარწერები შემორჩენილია იოვანე ლაზის მონასტერში, ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებელია ასევე ლაზიმგერელი იოანე მინჩხი და სხვ.

- საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს იდეოლოგიები და წინამძღოლები მეტწილად იყვნენ ლაზურ-შეგარული წარმოშობის დიდგვაროვნები (ბაგრატიონები, ჭყონდიდლები და სხვა);

- ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხეველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა...) გამორჩეულად პატივსაცემი ადგილი უჭირავს ერთიანი საქართველოს დიდ მეფეს - თამარს; ქართველთა საერთო ისტორიის ამსახველი ეს მასალა ი. ყიფშიძის მიერ ერთი საუკუნის წინაა ჩაწერილი¹⁶.

ლაზეთის შესახებ ინფორმაცია დიდი ხნის განმავლობაში, საქართველოშიც კი ტაბუირებული, გასაიდუმლოებული და მიუწვდომელი იყო; კერძოდ, არათუ ქართულმა საზოგადოებრიობამ, არამედ სპეციალისტებმაც კი არ იცოდნენ, რომ 1908-1920 წლებში ლაზეთში არსებობდა ქართული ეროვნული მიმართულების მქონე დაჯგუფებები, ე.წ. "კომიტეტები", რომლებიც იარაღით

¹⁶ყველა კუთხის ქართველთ ჰგონიათ, რომ თამარ მეფე მათ კუთხეშია დაკრძალული; ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ამჟამინდელ ზოფას მკვიდრთა (ქემალფაშელთა) გადმოცემა. რომლის მიხედვითაც, თამარ მეფე დაკრძალულია მაკრიალის (ქემალფაშას) ტაძარში [ვრცლად იხ., ფუტკარაძე, 2005: 51]; იხ., აგრეთვე, მ. ლაბაძე. ქართველთა ეროვნული ერთიანობის ანარეკლი თურქეთის ლაზთა ფოლკლორში, ქართველური მემკვიდრეობა, IX, ქუთაისი, 2005, გვ. 225: "თურქეთის ლაზთა ფოლკლორში თამარ მეფე მიჩნეულია ლაზ გვირგვინსნად... ლაზეთში თითქმის ყველა ძველ ციხის, ხიდისა თუ სალოცავის აგება თამარ მეფეს / "მაფაწულე თამარას" / მიეწერება... ლაზთა გადმოცემით, მაფაწულე თამარა დასაფლავებულია მათ სოფელში; მაგ., ხოფელ მემედ-ალი ვეზიროღლუს აზრით, თამარ მეფე დასაფლავებულია სოფელ ნორედში; ართაშენელი ჰველიდ კუთუშქოას აზრით კი თამარის დასაფლავებულია ართაშენის ახლოს..."

ხელში იბრძოდნენ საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის (იხ. <http://www.kvirispalitra.ge/history/10000-qansanerobaq-1915-1920.html?add=1>). ამჟამად ამ “კომიტეტების” წევრთა უმეტესობის ვინაობა ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ლაზთა უმრავლესობისთვის ეს ყოველივე უცნობია... ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს საკუთარი ეთნიკური, ენობრივი თუ ეროვნული წარსული. ზემოთ წარმოდგენილი და სხვა ანალოგიური ფაქტების ცოდნა ობიექტურ ველს შექმნის ლაზთა თვითაღქმისათვის.

შენიშვნა: ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს/ერთობას, ბუნებრივია, ლაზებსაც, აქვს უფლება, იცოდეს თავიანთი წარმომავლობა. სამწუხაროდ, დასავლეთ ევროპაში მცხოვრები გარკვეული პირებიც ცდილობენ ეთნიკურ თუ ენობრივ უმცირესობად გამოაცხადონ და ამ გზით დიდ ისტორიულ სამწიგნობრო კულტურას მოსწყვიტონ ქართველთა ერთი ნაწილი. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქეთის მოქალაქე ეთნიკურ ქართველებს ამ უფლებებს ანიჭებს ევროსაბჭოს ისტორიული დოკუმენტები: “ევროპული ქართული რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ” (1992 წლის 5 ნოემბერი, სტრასბურგი) და “ჩარჩო კონვენციას ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ” (1995 წლის 1 თებერვალი). შტრ.: კონვენციისა და ქარტიის მიხედვით, უმცირესობათა უფლებები შთამბეჭდავია: **უმცირესობის ენაზე საქმისწარმოება და სწავლება ბაგა-ბაღში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში...** იხ., მაგ., ქარტიის მე-8 მუხლის 1.ე. პუნქტი:

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა “ხელმისაწვდომი გახადოს საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონულ და უმცირესობათა ენებზე”.

იხ., აგრეთვე: ქარტიის მე-8 მუხლის I.ხ. პუნქტი:

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, “რათა უზრუნველყოფილ იქნეს იმ ისტორიისა და კულტურის სწავლება, რომლის გამორატულეზაც წარმოადგენს რეგიონალური ან უმცირესობის ენა” (ვრცლად იხ., ფუტყარაძე, 2009).

ლაზთა თვითაღქმის შესახებ მსჯელობისთვის იხ., აგრეთვე:
ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005, გვ. 45-53.

7. ამ ჯგუფში გაერთიანდებიან თურქეთში უკვე მუდმივად მცხოვრები ქართველები, რომელთაც ახლახან მიიღეს თურქეთის მოქალაქეობა (ან მალე მიიღებენ). მიუხედავად იმისა, რომ მათი ეროვნული და ეთნიკური თვითშეგნება ჯერჯერობით უგამონაკლისოდ ქართულია¹⁷, ისინი საზოგადოებრივი (ეთნოკულტურული თვალსაზრისით) აქტიურობით არ გამოირჩევიან.

მუშაჯირ ქართველთა მეობის შესახებ ვრცელ საილუსტრაციო მასალას წარმოვადგენთ წიგნებში: “გრძელი გზა” და “თურქეთელი ქართველები”, აქ კი მოვიყვანთ მცირე მონაკვეთს მუშაჯირ ქართველთა ერთ-ერთი წარმომადგენლის, დუზჯეში ბ-ნი ფევეზ ჩელეების ინტერვიუდან, კერძოდ, დუზჯეს ქართველთა სათვისტომოში ოფიციალური შეხვედრის შემდეგ, ტელეკომპანია “რიონისთვის” მიცემულ ინტერვიუში ბ-ნი ფევეზი ამბობს:

¹⁷არაიშვიათია (განსაკუთრებით ევროპაში) ეროვნული თვითშეგნება სახელმწიფოს მოქალაქეობის და არა ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით.

- მე ფევზი ჩელები, ჩელებაძე ვარ; ახლა გელაპარაკებით 200 წლის წინანდელი ქართული ენით; ბებიაჩემმა და პაპაჩემმა **დამადგმევინეს ეს ენა** (სტილი დაცულა - ტ.ფ.). პირველად კითხვა და წერვა დავისწავლე 12-13 წლის ასაკში. იმის შემდეგ რადიო "თავისუფლებას" ვუსმენდი ევროპიდან და ამერიკის ხმას - ამერიკიდან; ასე ვისწავლე დღევანდელი ქართული ენა. ერთხელ მამაჩემმა ახმედ მელაშვილის წიგნი "გურჯისტანი" მოიტანა, საიდანაც ბევრი რამ გავიგე ქართველების შესახებ... საზღვარმა რომ გაიხსნა, იმის შემდეგ ქართული წიგნებიც ვნახე; ქართული ტელევიზია რომ სატელეტიზე გვედა, პირველი ანტიენა აქ მე დავდგი. ახლა ვუყურებ: რუსთავი 2-ს, პირველ არხს, იმედს და რატომღაც რუსულენოვან აჭარის ტელევიზიას (რუსულენოვანი ფილმების გამო აჭარის ტელევიზიის მიმართ საყვედური ხშირად მესმის თურქეთელი ქართველებისგან - ტ. ფ.); აჭარის ტელევიზიას ცოტა ხანს ვუსმენ. **აქაური ქართველების პირველი პრობლემა არის ენა. ენა ერთი კულტურის სისხლია, ერთი კულტურის ხორცია.** თუ ენას დავკარგავთ, ჩვენაც დავიკარგებით. ახალგაზრდები აქ არ სწავლობენ ენას, იმიტომ რომ არ სჭირდებიან (სჭირდებათ); თქვენი წასლა-მოსლა, ასე მგონია, ამ ენას გააცოცხლებს და ჩვენი განათლებული წინაპრების ენით ისევ დავიწყებთ ლაპარაკს. დუზჯეს ქართველთა ასოციაციას 10 წელი შეუსრულდა ახლახან; ჩვენ აქ გვაქვს ქართული ენის კურსები, სადაც ბევრს დავასწავლეთ წერა-კითხვა, ართვინის ფოლკლორი; ასევე გვყავდა თბილისიდან ჩამოსული ორი მუსიკოსი, რომელიც ქართულ ფოლკლორს - სამა-სიმღერას - ასწავლის ახალგაზრდებს. ჩვენი ასოციაცია, ასევე მასპინძლობს ხოლმე 23 აპრილის ცერემონიალისთვის საქართველოდან ჩამოსულ ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლს. ასე ეცხოვრობთ ჯერჯერობით... პირადად მე ვწერ ქართველების ვინაობის შესახებ: თურქეთში ამ მხრივ პრობლემებია, ინფორმაცია არ არის... ჩემს დაწერილებს ერთად თუ მოყვრით, წიგნიც დებიტქდება. ახლა ძირითადად ინტერნეტით ვავრცელებ ჩემს მოსაზრებებს. სამწუხაროა, რომ აქამდე საქართველოში ნამყოფი არ ვარ.

შენიშვნა:

ფევზის ეს "ნაკლი" გამოსწორდა: 2009 წლის 6 ივლისიდან 14 ივლისამდე მას დავათვალეირებინე: ბათუმი, ურეკი, ქუთაისი, ვარძია, მცხეთა, თბილისი, სიღნაღი და აქაური ექსპედიცია დავასრულეთ მცხეთაში; სასიხარულოა, რომ მას თან ახლდნენ მეუღლე - ნაგეჰანი და შვილები: დილა და ომერი (მესამე - მიშა - ჯერ პატარაა სამოგზაუროდ); ბ-ნი ამირან ზედადაგიანის დიდი მონღომებით ფევზის და მის ოჯახს საგანგებოდ უმასპინძლა ქუთაისში (ტ.ფ.).

ავტოქთონ ქართველთა იდენტობის საკითხს 2008-2011 წლებში საგანგებოდ ვსწავლობდი (ტ.ფ.) იუსუფელის ილჩეში - ისტორიულ ტაოში:

¹⁸ტაოს შესახებ ვრცლად იხ., რ.გუჯეჯიანი, ტ. ფუტყარაძე, იუსუფელის (ისტორიული ტაოს) ქართულენოვან სოფელთა ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა - I ხევაი (Bi'ak'vilar), ქართველური მემკვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2009.

ძველი წყაროების მიხედვით, ტაოს ნაწილი - ამჟამინდელი იუსუფელის რაიონი - ქართველ თავადთა - კავკასიძეთა - სამფლობელოდ ითვლებოდა: "კავკასისძე მისითა მამულითა: პარხალი მისითა შესავლითა და აზნაურის შვილებითა საყმო სამწყსოთი..." (დ. ბაქრაძე, 1987, გვ. 75-76)¹⁸.

ცნობილია ისიც, რომ ტაო ეკლესიურად ქართული ეკლესიის საკუთრება იყო, კერძოდ, იშხანის ეპისკოპოსისა: "იშხნელის სამწყსო: გურჯიბოლაზს აქეთ, სულა თორთომი, ტაოს ქვემოთი არტანუჯს თავის საკრულავი ჰქვიან იმას აქეთი, გაღმა ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასიძო, ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდამოღმა" (დ. ბაქრაძე, 1987, გვ. 75-76).

დღეს ისტორიული ტაო შედის თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილში შემავალ რაიონში - იუსუფელის ილჩეში /Yusufeli, Republic of Turkey/. აქვე აღვნიშნავ, რომ, ქართულისგან განსხვავებით, ოფიციალურ თურქულ რუკებზე ამჟამად სრულიად გამქრალია ძველი ქართული ტოპონიმი.

ისტორიულ ტაოში ქართველი მეცნიერები და სტუდენტები ბოლო დრომდე ვერ შევდიოდით. ტაოს სოფლების დათვალიერება და აქ მეცნიერული ექსპედიციები ამჟამინდელი თურქეთის ხელისუფლების მიერ არ იზღუდება.

ტაოს მკვიდრ ავტოქტონ ქართველთაგან დიდი ნაწილს უკვე დავიწყებული აქვს ისტორიული დედაენა და ეთნიკურადაც თურქებად მიიჩნევენ თავს. თუმცა, მათ ქართველობას ცხადყოფს:

- გარეგნობა,

- თურქულენოვან მეტყველებაში დიდი დოზით შემონახული ქართული ენის სუბსტრატული ფენა /ვინემატურ სტრუქტურაში ე.წ. კავკასიური ზმულთა არსებობა, მრავალრიცხოვანი ქართული ლექსიკა.../,

- დასახლებულ პუნქტებში არსებული მიკროტოპონიმების უდიდესი ნაწილის ქართულენოვნობა,

- მრავალმხრივი ეთნოგრაფიული მახასიათებლები,

- გადმოცემები თამარ მეფის შესახებ და სხვ.

მიკროტოპონიმების შესახებ იხ., მაგ., სოფელ ოთხთის /ღორთქილისა/ შესახებ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრ **ნერიმან ალბაიჩის** სადიპლომო ნამუშევარში მოცემული მასალა:

სოფელ ოთხთის მიკროტოპონიმები:

სოლბიათ (სოლბ - ი "მარცვალი" (აბულაძე); სალ (სალ - ი, მაღალი ტინი, კლდე (საბა); იფინთ (იფინ "ხე" (საბა); აბანეთ; გონგირე; პატარა ბოლაზ, პატარა ყელი; ქუაბუნ ბონი (საქვაზე ადგილი); ზათქეთხე; ათქეთხე, აქეთა ხევი; ჭორლა (ტალახიანი ადგილი; შდრ. ჭორ-ოფ-ა; ჭორ-ო-ბ-ი); შავშეთ; ჭვარქეთ; შუარე /შუა ადგილი/; ფართ /დიდი ადგილი/; მურხაჯილ (მუხნარი); ბასილეთ...

მსგავსი ვითარება გვაქვს სოფლებშიც: პარხალი, ზემვანი (<ზემო ვანი), ერმენხევი, დევთისა, სარიგელი, უტავი, კანჭალოში, ახალთი, კერევალი, დუტთერე (ყველა ამ სოფლის სახელიც და მიკროტოპონიმიაც ძირითადად ქართულია, მოსახლეობა თურქულად მეტყველებს, თუმცა მათ თურქულში ქართული ენის სუბსტრატი აშკარად ჩანს).

იუსუფელის რაიონში მცხოვრებ ქართველთაგან ისტორიული დედაენა შემონახული აქვს პარხალისწყლის ხეობის ზოგ სოფელში და პარხალისწყლის

შენაკადის ხევის ხევში არსებულ ყველა თემის/საზოგადოების ყველა სოფელში; კერძოდ: ქობაში, ბალხის საზოგადოების სოფლებში და ხევის შემდეგ სოფლებში /რომლებიც ზოგან უზნებლად იწოდება/:

ივეთი, ობლეკარი, სადრიყანა, ვაჩეკარი, კრავეკარი, ქელადორი, ჰესევიკარი, დოლეკარი, ჰეილენკარი, ქორიეთი დოლენჯაკარი, გოდლეკარი, ბასლეკარი, ქონობანი, ელიასხევი და სხ.

მღრ., ხევის ხევის ნასოფლართა სახელებიც: ველითავეი, ჭირხლაქეთი, ყულედიბი, ცერეკარი, აზლენკარი, შაბლინკარი, ფიშნახევი, კუარეთი, ბოწმინდა...

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ტაოს მკვიდრი ქართველების დიდ ნაწილს აღარც თავისი დედაენა ახსოვს და არც თავისი ქართული ფესვების შესახებ აქვს ინფორმაცია. ისინი თავიანთი ქართული წარმომავლობის შესახებ რომ იგებენ, ბუნებრივია, ითხოვენ არგუმენტებს. ისტორიულ ქართულ წყაროებზე მითითება, ან ამ წყაროების მიწოდება მათთვის დამაჯერებელი არ არის, მაგრამ შთამბეჭდავი ეფექტი იქონია მათივე სოფლების მიკროტოპონიმის ანალიზმა /ისტორიული წყაროები ყველა მხარეს თავისი აქვსო, მეუბნებიან/.

ხევის სოფლებში, სადაც დედაენა ახსოვთ, მსგავსი პრობლემა არ გვხვდება, თუმცა, ეთნიკურ-კულტურული იდენტობის მიხედვით, აქაურ ქართველთა შორის ორი ძირითადი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

1. ადამიანები, რომლებიც, განათლებისა და ინფორმაციის ქონის მიუხედავად, უეჭველად თვლიან, რომ ქართული ეთნოსის განუყოფელი ნაწილნი არიან; მაგ., 2010 წელს ერთმა იქაურმა მეგობარმა - რეჯე იაზიჯმა - მითხრა: საქართველოს, თბილისის უნახავად რომ მოვკვდე, თვალები ღია დამრჩება!

სამწუხაროდ, წელს (2011 წ.) რეჯები გარდაცვლილი დამხვდა... მან თბილისი ვერ ნახა (ტ.ფ).

2. ტაოელ ქართველთა მეორე ნაწილი თვლის, რომ მუსლიმან ქართველთა შთამომავლები არიან და არ წარმოადგენენ იმ ქართველთა შთამომავლებს, ვინც ააგო იუსუფელში არსებული ქართული ეკლესიები; კერძოდ, მათ ჰგონით, რომ ისინი აქ ჩამოსახლდნენ აჭარიდან.

როგორც წესი, ამ ქართველებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ ქართველი ერის ისტორიისა და კულტურის შესახებ; მათ იქაურ სკოლებში არ უსწავლიათ არც ქართველი ერის ისტორია და არც ისტორიული ტაოს რეალური ისტორია. ისინი დააჯერეს, რომ ოშკი, ბარხალი, იშხანი... იმ ქართველებმა ააგეს, რომლებიც ოსმალების შემოსვლისას გამოიქცნენ იმერეთსა თუ ქართლ-კახეთში.

ტაოელ ქართველთა ეს ნაწილი ასე მსჯელობს: **“ქველი გურჯები სადაც იყვნენ, იქ ეკლესიები ააშენეს; ოსმალოები რომ მოვიდნენ, თავიანთი მიწები დატოვეს და წავიდნენ”**.

საკუთრივ ხევის ხეობის სოფლების მკვიდრთა დიდი ნაწილი კი ასე ამბობს:

“ქართველები სადაც იყვნენ, იქ ეკლესიები ააშენეს; ოსმალოები რომ მოვიდნენ, თავიანთი მიწები დატოვეს და წავიდნენ. ხევის ხეობაში ეკლესია არ არის; ე.ი. აქ ქრისტიანი ქართველები საერთოდ არ იყვნენ; აქ მიწები დაუსახლებელი იყო. აჭარა რუსებმა რომ დაიკავეს, ჩვენ აჭარიდან წამოვედით და აქ მოვედით, დაესახლდით და ამ ადგილებს სახელებიც მას შემდეგ დავარქვით”... ციტირებული ფრაზა ეკუთვნის ისმეთ ბათმაზს /40 წლის, სოფელი ხევა; 2011 წლის 21 ივლისი/.

ოშკის, ხაზულის, ბანას, იშხანისა თუ პარხალის დონის ეკლესიები მთიან ხევსა ხევში მართლაც არა გვაქვს, მაგრამ მიკროტოპონომია აქაც მყარად ინახავს ქრისტიანული ძეგლების არსებობის კვალს, მაგ., ქალაქორის ყველაზე ლამაზ, ვაკე ადგილს ჰქვია საყდარი.

ხევეგელთა გადმოცემით, აქ უტხოვრია თამარ მეფეს, მას აქვე შორიდან მოუყვანია წყალი და ა. შ.

ნათელია, რომ ამგვარი გადმოცემები ტაოელებს აქარიდან არ მოუტანიათ. აქაური სხვა ქართველები მსგავს დისკუსიაში არ შედიან, თუმცა, ბევრი თვლის, რომ მუსლიმანი აქარლების შთამომავლები იყვნენ. ისინი, როცა ესმით, რომ სულ სხვაგვარია აქარული კილოს თავისებურებანი, რომ საარქივო მონაცემების მიხედვით მუშაჯირად წასული ყველა აქარელი გადასახლდა შუა თურქეთში, ამასიასა თუ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, ითხოვენ მეტ ინფორმაციას თავიანთი ისტორიის შესახებ / და მათ უფლება აქვთ, იცოდნენ ეს ინფორმაცია/.

აქვე აღვნიშნავ (ტ.ფ.), რომ ისმეთსა და მის მეგობრებს რატომღაც ეგონათ, რომ მათი სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დიდი მთის - მასისის - სახელი სომხური წარმომავლობისა იყო; როცა მათ აუხსენი, რომ მას-ის- სიტყვა-ფორმა ქართულია და ამას ადასტურებს სიტყვის აგებულებაც და ქართული წყაროებიც, მეტად გაიხარეს.

ტაოელი ქართველები, საერთოდ, თურქეთის მოქალაქე ქართველები, კარგად ერკვევიან ოსმალეთისა და თურქეთის ისტორიაში და თურქეთის სახელმწიფოს დიდი პატრიოტებიც არიან; ამავე დროს, მათ სუსტად იციან თავიანთი ეთნიკური ისტორია.

ბოლო დროს, აქაურ ქართველებში უფრო მეტი ინტერესი ჩნდება თავიანთი ეთნიკური ისტორიისა და კულტურის შესახებ. ამავე დროს ისინი, ვარკვეულწილად, დისტანციურად უყურებენ რეალურ ისტორიას, ვინაიდან, ხედებიან, რომ მათი წინაპრების ისტორია გადაჯაჭვულია ქრისტიანობასთან - მათთვის უცხო რელიგიასთან.

ყოველ შემთხვევაში, ახალი ინფორმაციების მიღების, თანამედროვე ტურისტული ბუმიტ გამოწვეული ურთიერთობების, საინტერნეტო აქტიური კავშირებისა და სხვა ფაქტორების გამო, ტაოელი ქართველებისთვის, ზოგადად, თურქეთში მცხოვრები ქართველებისთვის, იზრდება ეთნიკური მეობის განმსაზღვრელი ფაქტორების რაოდენობა; შედეგად, იუსუფელში მცხოვრებ ავტოქტონ ქართველთა მიერ საკუთარი ეთნიკური იდენტობის გააზრებაში ახალი ეტაბი იწყება, თუმცა, ჭერჯერობით მაინც დიდია იმ ქართველთა პროცენტი, რომლებიც ვერ ახდენენ იდენტიფიცირებას ისტორიულ ტაოში არსებულ ქართული კულტურის ძეგლებთან.

ამჟამად, ხევსა ხევშიცა და ავტოქტონი ქართველებით დასახლებულ თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ სხვა სოფლებშიც შედარებით მცირეა იმ ადამიანთა - მუსლიმან ქართველთა - რაოდენობა, რომელსაც სჭერათ, რომ იმ დიდი კულტურის მემკვიდრეები არიან, რომლიც ნაწილიცაა: იშხანი, ოშკი, ხაზული, ბანა, პარხალი, ოთხთა...

ვფიქრობ, ნათელია, რომ ისტორიულ ქართულ კულტურასთან ტაოელ ქართველთა გაუცხოებას ორი მიზეზი აქვს:

- მწირი ობიექტური ინფორმაცია თავიანთი წარსულის შესახებ;
და

- რელიგიური მსოფლალქმა.

ფაქტია, აქაური მუსლიმანი ქართველებისთვის¹⁹ უკვე უცხოა რეგიონში არსებული ქრისტიანული ძეგლები; ეს არცაა გასაკვირი; შდრ., ბოლშევიკების ბატონობის მცირე პერიოდში საქართველოს ცენტრალურ რეგიონებშიც კი: გურიაში, იმერეთში, ქართლში... ხალხი გაუუცხოვდა ქრისტიანულ ეკლესიებს.

რელიგიური თავისუფლების თემა ფაქიზია, ამიტომ არ ვაპირებ ამ მიმართულებით მსჯელობის გაგრძელებას, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ესა თუ ის რელიგია არის არა მხოლოდ მსოფლმდევისა და ცხოვრების წესის საფუძველი, არამედ, ხალხის კულტურისა და ისტორიის ნაწილი, შესაბამისად, ყოველ რელიგიას ამ კუთხითაც უნდა შეეხედოთ.

სხვა კონტექსტი აქვს განათლებისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლებას:

ობიექტური ისტორიული ცნობები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს; კერძოდ, ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს საკუთარი ეთნიკური, ენობრივი თუ ეროვნული წარსული.

მეტად დინამიურ თანამედროვე სამყაროში, დღეს, როგორც არასოდეს, აუცილებელია, რომ ჩვენ, განსაკუთრებით, მეზობელი ქვეყნების ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა... შევძლოთ ერთობლივი არაპოლიტიზებული კვლევების განხორციელება.

საერთაშორისო სამეცნიერო თუ საინფორმაციო ველში შეჭერებულნი ობიექტური კვლევების შედეგების ხელმისაწვდომობა ყველა საზოგადოებას შეუწყობს ხელს, რეალიზება მოუხდინოს თავის უფლებას, იცოდეს საკუთარი ენობრივ-ეთნიკური წარსული.

ამავე დროს, ობიექტური კვლევების შედეგების მისაწვდომობა გაზრდის ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემას და, რაც, ჩვენი აზრით, არანაკლებ არსებითია, ყოველი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი ავტოქტონი ეთნიკური უმცირესობისათვის, შექმნის ობიექტური თვითდაქმნისა და ენობრივ-ეთნიკური მეობის გადარჩენის მყარ საფუძველს.

ვფიქრობთ, საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლობა მომავალში უფრო მეტ ღია და დემოკრატიულ სივრცეს შექმნის, რათა საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეებმა განახორციელონ თავიანთი უფლება: სახელმწიფოებრივ ისტორიასთან ერთად უკეთ იცოდნენ საკუთარი ენობრივი და ეთნიკური ისტორია.

დასკვნის სახით:

1992-2011 წლებში თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქართველების განწყობის შესწავლა და ზემოთ წარმოდგენილი ჩგუფების მიახლოებითი პროცენტული მაჩვენებლების შედარება¹⁹ საშუალებას გვაძლევს, ორბუნქტიანი დასკვნა ჩამოვაყალიბოთ:

- თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქართველები თურქეთის სახელმწიფოს პატრიოტები არიან;

¹⁹ კვლევის ამ ეტაპზე შეუძლებელია ზუსტად ითქვას, თუ რამდენი ეთნიკური ქართველია თურქეთში. მით უმეტეს, რთულია, დავადგინოთ წარმოდგენილ ჩგუფთა ზუსტი პროცენტული მაჩვენებლები. სავარაუდოდ, თურქეთში 5 მილიონამდე ეთნიკური ქართველი ცხოვრობს. ამათგან შესაძლებელია, თუ აღიქვამს თავს ეთნიკურ ქართველად; საკუთარი თავი ეთნიკურ ქართველად თურქეთის ბევრმა მოქალაქემ შეიძლება გაიანზრდოს ავადმჯობელები განათლების ან სხვა მიზეზების გამო.

- თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქართველების დიდ ნაწილში ისტორიული დედაენისა და წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ცოდნის დონე განსაზღვრავს პიროვნების ეთნიკურ და ეროვნულ მეობას. გამონაკლის შემთხვევებში, თუკი საოჯახო, განათლებისა და კომუნიკაციის ენა სხვა (სახელმწიფო, ან უცხო) ენაა, **მხოლოდ შინაგანად ძლიერ პიროვნებაში** აქტიურდება მისწრაფება, დაბრუნდეს დედაენობრივ კულტურაში (ან ემსახუროს მას).

p.s.

მეტნაკლებად ყველა ადამიანს აწუხებს კითხვა - “ვინ ვარ? საიდან მოვდივარ?; ნორმალური განათლების სისტემა საკუთარ სამშობლოში ნათლად სცემს პასუხს ამ კითხვას, ამიტომ თავს **ქართველად** აღიქვამს და გაორებული არ იქნება საქართველოში აღზრდილი და განათლებამიღებული ლაზი, იმერელი თუ კახელი; მიგრირებულ პირს კი დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რომ შეძლოს მიმღებ სახელმწიფოში ინტეგრირებაც და შეინარჩუნოს/აღიდგინოს წინაპრებისგან გადმოცემული ეროვნულ-კულტურული იდენტობაც. ახალ სახელმწიფოში აღაპტაცია შედარებით იოლია წინაპრებთან ენობრივ-ეროვნულ კავშირზე უარის თქმის პირობებში (მაშინ, როცა პიროვნება საზოგადოებრივ თვითიდენტიფიკაციას ახდენს მოქალაქეობის მიხედვით); თუმცა ასეთ შემთხვევაში მიგრირებული ქართველისთვის (თუ მისი მეგვიდრისათვის) გარეგნულად დაფარულ, მაგრამ მოურჩენელ იარად დარჩება კითხვა: “ვისი გორისა ვარ?... პიროვნებაში კულტურული და სოციალური ფაქტორების “ჭიდილი” თურქეთის ქართველებშიც აქტიურად ჩანს; მაგალითად, შვილის განათლების/კულტურის ენის არჩევისას **თანაბარი მატერიალური შესაძლებლობების** მქონე მშობლებში სამგვარი არგუმენტაცია ფიგურირებს:

1. “ჩემმა შვილმა უნდა იცოდეს წინაპრების ენა და კულტურა!”
2. “თურქეთში რაში გამოადგება ჩემს შვილს ქართული განათლება?”
3. “კარგია წინაპრების ენის ცოდნა, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ...”

ლიტერატურა

დ. ბაქრაძე, 2009 - დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), “საბჭოთა აჭარა”. ბათუმი, 1987.

მ. ბერიძე, 2009 - მ. ბერიძე, “მაჰმადიან მესხთა ფესვები და დღევანდლობა“, თბ., 2009.

რ. გუჭეჯიანი, ტ. ფუტყარაძე, 2009 - რ. გუჭეჯიანი, ტ. ფუტყარაძე, იუსუფელის (ისტორიული ტაოს) ქართულენოვან სოფელთა ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა - I ხევაი (Bi(akakiilar), ქართველური მეგვიდრეობა, XIII, ქუთაისი, 2009.

მ. ლაბაძე, 2005 - მ. ლაბაძე, ქართველთა ეროვნული ერთიანობის ანარეკლი თურქეთის ლაზთა ფოლკლორში, ქართველური მეგვიდრეობა, IX, ქუთაისი, 2005.

გ. რამიშვილი, 2000 - გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბ. 2000

მ. ტაბიძე, 2005 - მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.

შ. ფუტყარაძე, 1993 - შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ტ. ფუტყარაძე, 2005 - ტ. ფუტყარაძე, ქართველები, 2005, თბ. 2005,

ტ. ფუტყარაძე, 2009 - ტ. ფუტყარაძე, “ევროპული ქართია რეგიონული ან უმცირესობის ეხების შესახებ“ და საქართველოში ენობრივი პოლიტიკის

დაგეგმვის საკითხი, კავკასიოლოგიური სერია, V, 2009, თბ., <http://www.scribd.com/doc/12621676/T-Putkaradze-European-Charter-for-Regional-or-Minority-Languages-and-An-Issue-of-Plannig-Linguistic-Policy-in-Georgia>.

ტ. ფუტყარაძე, 2004 - ტ. ფუტყარაძე, მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა ეროვნულ-ენობრივი თვითგანსაზღვრისათვის, რესპუბლიკური კონფერენციის (ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა) მასალები, თბილისი, 2004.

T. Putkaradze, N. Putkaradze, Some aspects of the national and linguistic identity of descendants of Georgian Muhajirs, საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: Language, history and cultural identities in the Caucasus (Abstracts; მალმოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, Malmo University, 2005, June 17-19; http://www.mah.se/templates/Page_19020.aspx; <http://www.scribd.com/doc/30161550/Language-History-And-Cultural-Identities-In-The-Caucasusu-June-17-19-2005-Malmo>.

ტ. ფუტყარაძე, 2005 - ტ. ფუტყარაძე, ლაზთა ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმის საკითხისათვის, ლაზეთ-ჭანეთი: ისტორია და თანამედროვეობა, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2005, 25 აგვისტო, საქართველოს პარლამენტი - პირველი რესპუბლიკის დარბაზი; **On the question of Laz linguistic-ethnic self perception**; Scientific Conference, Tbilisi, 25 August, Parliament of Georgia.

ტ. ფუტყარაძე, 2008 - ტ. ფუტყარაძე, დედაენა, სახელმწიფო ენა და თვითაღქმა (მასალები თურქეთის ქართველობის შესახებ); საერთაშორისო კონფერენცია: “ენა და კულტურა”: ინტერდისციპლინარული და ინტერპარადიგმული პერსპექტივები, თბილისი, 26-27 ივნისი, 2008.

ტ. ფუტყარაძე, საქართველო-თურქეთი: გრძელი გზა: ქუთაისი, ფაცა, ამასია, დუზუჯი, ხენდეჯი, იზმითი, სტამბოლი; გებზე, ბურსა, ინეგოლი, სინჯანი, ანკარა, კაბადოკია, ბანა, იზზანი, ქუთაისი (წიგნი იბეჭდება ქართულ და თურქულ ენებზე).

ტ. ფუტყარაძე, 2011 - ტ. ფუტყარაძე, იუსუფელში /თურქეთი/ მცხოვრებ ქართველთა იდენტობის საკითხები, ილია ჭავჭავაძის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 2011 წლის 15-16 ოქტომბერი.

TARIEL PUTKATADZE, MIKHEIL LABADZE

MATERIALS ON TURKISH GEORGIANS

The process of **globalization** looks like a huge wave: it threatens to weak and supports to surfers.

I think that special actions should be taken in terms of creating present-day database of autochthonous Georgians and Georgian diasporas, those who reside outside borders of Georgia; also analyzing information and providing Georgian national-cultural co-existence opportunities for Georgians living in the foreign countries (Internet gives the best possibilities for realizing those ideas) is of high priority.

The autochthonous Georgians mainly live in Trabzon, Artvin and Erzerum territories of Turkish republic (historic places of Lazeti, Livana, Shavsheti, Tao, Erusheti...); We have plentiful compacted residences of Muhajir Georgians in Adafazari, Bursa-Inegoli, Gonen-Kaiseri, Ordu-Patsa and others.

The national-state identity of the autochthonous Georgians and Georgian diasporas residing in Turkey are of identical with its characteristic merits. We can separate 5 main groups of Georgians:

1. Integrated citizens in Turkish republic with Georgian originality who did not remember neither their historic mother tongue nor the originality and perceive themselves as Turkish;
2. Integrated citizens in Turkish republic with Georgian originality, who, in spite of communicating into their mother tongue, yet perceive themselves as Turkish; Georgian speech for them is either childhood (not the vernacular!) or the second language;
3. Integrated Georgians in Turkish republic whose vernacular is the Georgian language, but they prefer Turkish (English, German)... as the education language of their children; those have doubled self-perception;
4. Integrated Georgians in Turkish republic who have totally forgotten historic mother tongue, mother-religious, customs, but yet recognize themselves as Georgians in spite of lacking information on their originality. (in some cases some may have preserved Georgian traditional village, color of eyes, kinds of dishes...). That part of Georgians intensively tries to return to their homeland as Georgians;
5. Integrated Georgians in Turkish republic for whom historic mother tongue represent the first language; accordingly, such individuals really perceive themselves as Georgians ("tsare (hot) gurji", "super gurji")...

Based on the analysis of the materials found out by me in the Turkish republic, we can say that what Turkish Georgians set apart from Kurds and other ethnic group representatives is the level of their integration in the Turkish republic; Those Georgians who recognize Georgian language as their first language (realized as one of it's dialect) define their national-ethnic identity and strive to protect their own dignity by using civilized methods and tools.

According to the Georgians residing in the Turkish republic we can conclude:

As a rule, historic mother tongue, as the culture created by the ancestors defines **the self** of a person. Even in cases when vernacular, education and communication languages are other/foreign languages (the state language for ethnic minorities), only a person with a high moral characters strive to return himself/herself in the maternal culture (or serve it)...

cf.,

People more or less have questions - “who am I?” “where I come from?”; normal education system in its own home country clearly answers these questions. That is why a person perceives himself/herself as Georgian and educated Laz, Imeretian or Kakhetian never be double-minded. A migrated person needs a lot of endeavors to be integrated in the recipient country, also to preserve/restore national-cultural identity of their ancestors. If one denies his/her national-linguistic traditions it is rather easy to be integrated in the new country (in that case a person’s self-identification is based on the citizenship); though migrated Georgians (or their inheritors) still have a question as an incurable injury: “which is my homeland?”...

The “struggle” of cultural and social factors in a person can be viewed in other cases:

Parent with equal financial conditions have three arguments when choosing the language of education/culture of their children:

1. “My child must know the language and culture of the ancestors!”
2. “Will my child use Georgian education in Turkey?”

“It is good to know the language of the ancestors, but I haven’t managed to study it...”

კახაბერ ქებულაძე

ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების დაშვარების ისტორიიდან

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილი საერთაშორისო განლაგება, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის გამარჯვებულ სახელმწიფოთა გეგმები გარკვეულ პერსპექტივებს ქმნიდა სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა არსებობისათვის. თუმცა, მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველ დიდ სახელმწიფოთა დამოკიდებულება ამ რეგიონის მიმართ სხვადასხვაგვარი იყო. ანტანტის წევრი ევროპის ქვეყნების შეთავაზებებმა ოკეანისგაღმედი პარტნიორის აშშ-ისადმი ამ უკანასკნელში გააღვივა ინტერესი მთელი ახლო აღმოსავლეთ და სამხრეთ კავკასია თავის გავლენის სფეროდ ექცია. საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ ევროპელ პოლიტიკოსებს. ისინი სამხრეთ კავკასიის რუსული სივრცის ნაწილად მოიაზრებდნენ და წითელი რეჟიმის დამხობას ელოდნენ. ევროპულ და ამერიკულ დიპლომატიას შორის ინტერესთა კონფლიქტის შედეგი იყო ინგლისის გარიგება საბჭოთა რუსეთთან, მისგან ნედლეულის მიღების სანაცვლოდ დაეთმო სამხრეთ კავკასია. ეს ფაქტორი გადამწყვეტი აღმოჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუსულ ორბიტაში მოსაქცევად. იმაგდროულად, რუსეთმა იზარუნა თურქეთის ნეიტრალიზებაზე, რომელსაც ანტანტის წინააღმდეგ მოკავშირეობის სანაცვლოდ სამხრეთ კავკასიის დათმობა მოსთხოვა.

ყოველმხრივ პოლიტიკურ იზოლაციაში მოქცეული საქართველოს დაპყრობა რუსეთისათვის უკვე ტექნიკის საქმე იყო. საქართველოს დაპყრობისათვის მზადების დროს იგი ეკონომიკურ და სამხედრო მზადყოფნასაც ამოწმებდა, რათა საბოლოო დარტყმის მომენტში წარმატება გარანტირებული ჰქონოდა. ამის ნათელი ილუსტრაციაა მე-11 არმიის სარდალ ა. ჰეკერის მიერ 1920 წლის 18 დეკემბერს კავკასიის ფრონტის რეველიუციური სამხედრო საბჭოსადმი წარდგენილი გეგმა, რომელშიც ყოველი სამხედრო პუნქტი დეტალურად იყო გაწერილი **ნ. ვაშაყმაძე, 2009, გვ. 64**).

საქართველოზე სამხედრო აგრესიის განხორციელების მომენტში, თებერვლის შუა რიცხვებში მე-11 წითელი არმია თავის შეიარაღებაში ითვლიდა: 17.937 ხიშტს, 4.326 ხმალს, 1.075 ტყვიამფრქვევს, 181 მსუბუქ და 15 მძიმე არტილერიას, 7 ჯავშნოსან მატარებელს, 3 ჯავშნიან, 1 სატანკო რაზმს და 50 თვითმფრინავს (**გაზ. "ჩვენი მწერლობა" 2003 :№7(137)**).

11 თებერვალს მოეწყო ინსცენირებული აჯანყება ლორეს რაიონში, რასაც მხარი დაუჭირეს სომხეთში განლაგებულმა წითელი არმიის ნაწილებმა. საქართველოს ტერიტორიაზე ხუთი მხრიდან შემოიჭრენ წითელი არმიის დივიზიები: სამხრეთიდან, აზერბაიჯანიდან, დარიალის ხეობიდან, მამისონის უღელტეხილიდან და შავი ზღვის სანაპიროთი – სოჭიდან.

16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს დროებითი მთავრობა - "რევოლუციური მთავრობა" ფ. მახარაძის (რეველიონის თავმჯდომარე), მ. ორანგელაშვილის, შ. ელიავას, ა. გეგეჭორის, ა. ნაზარეტიანის და სხვათა

შემდგენლობით, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ ხალხის მოღალატედ და კანონგარეშედ გამოაცხადა.

17-24 თებერვალს მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები თბილისის მისადგომებთან, სადაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის სამხედრო იუნკრებმა.

24 თებერვალს ღამით საქართველოს მხედრობამ დატოვა თბილისი, რათა მტრის ალყაში არ მოქცეულიყო და მცხეთისაკენ დაიხია. 25 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები თბილისში უბრძოლველად შემოვიდნენ. ს. ორჯონიკიძემ სანატრელი დეპეშა აფრინა კრემლში: “ლენინს, სტალინს, თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა – გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!”

დედაქალაქის დატოვების შემდეგ ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის წინააღმდეგობა წელში იყო გატეხილი, ხოლო სამხედრო დისციპლინა და სულისკვეთება – მოშლილი და დაცემული. ამიტომ იყო, რომ წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს დაპყრობა წინასწარ დაგეგმილ ვადაზე უფრო ადრე განხორციელეს (რ. გრძელიძე, 1998, გვ. 221).

თბილისის დატოვების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ევაკუირებულ იქნა ქუთაისში, სადაც წინასწარ იყო გადატანილი სამინისტროები და სხვა ცალკეული სამთავრობო დაწესებულებები. ეროვნული მთავრობა, ქუთაისიდან ახორციელებდა მართვა-გამგეობას ქვეყნის იმ ტერიტორიაზე, რაც წითელ არმიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ოკუპირებული.

ქუთაისის სასწავლებლებში სამინისტროები და დაწესებულებები განთავსდნენ. მთავრობის ცენტრალურმა აპარატმა, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, კლასიკური გიმნაზიის შენობა, ხოლო ფინანსთა სამინისტრომ წმ. ნინოს სასწავლებელი დაიკავა. იმავე დღეს, როცა ხელისუფლება ქუთაისში გადავიდა, სამინისტროებმა და უწყებებმა დეპეშები დააგზავნეს მაზრებში, მათ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს აცნობეს თავიანთი ახალი მისამართები.

ქუთაისში სწავლა დროებით შეწყდა. ადგილობრივმა მმართველობის ორგანოებმა მუშაობა შეწყვიტეს. ქალაქი მთავრობის მოხელეებითა და ევაკუირებული ქონებით გაივსო. ადგილობრივი ბოლშევიკები მოსახლეობაში ავრცელებდნენ პანიკას, რომელიც წითელი არმიის მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო იზრდებოდა.

საქართველოს ხელისუფლება ქუთაისში დიდხანს აპირებდა დარჩენას. იგი იმედოვნებდა, რომ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას მანამდე, ვიდრე დასავლეთის სახელმწიფოები არ დაეხმარებოდნენ საბჭოთა რუსეთთან ომში (“ჩემი ქუთაისი”, 2004, №5(55)).

საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს გენერალ გ. კვინიტაძეს, ქუთაისამდე ძალიან მცირერიცხოვანი ჯარი ჩამოჰყვა, რადგან ერთი ნაწილი ტყვედ ჩავარდა, ნაწილი დაიღუპა და დაიჭრა, უმრავლესობა კი სახლებში წავიდა იარაღითურთ. მთავრობა, ამის გამო, ეძებდა ახალ გზებსა და საშუალებებს არმიის შევსებისა და სამხედრო ნაწილების აღდგენისათვის. ქუთაისის გარნიზონის მეთაურად ცნობილი სამხედრო მოღვაწე, იუნკერთა სკოლის უფროსი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი დაინიშნა. ქუთაისის, შორაპნისა და რაჭის მაზრებში დაიწყეს ყველა ჯანმრთელი მამაკაცის მობილიზაცია.

შეიძლება ითქვას, რომ იმ მძიმე დღეებში ქუთაისი ფრონტისპირა ქალაქს წარმოადგენდა და საგანგებო რეჟიმში ცხოვრობდა... ქუთაისი გახდა სამობილიზაციო მუშაობის ცენტრიც. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა გენერალი

ვარდენ წულუკიძე¹. მიმდინარეობდა ცხენების აღკაზმულობის რეკვიზიცია. ქუთაისსა და სამტრედიისში ამ საქმეს უძღვებოდა პოლკოვნიკი დ. ქუჭუაძე. სამწუხაროდ, არც ერთ ამ ღონისძიებას შესაბამისი შედეგი არ მოჰყოლია. თბილისის დატოვებამ არმია მორალურად გატეხა და მოწინააღმდეგის შეჩერება ახალ ტაქტიკურ პოზიციაზე შეუძლებელი გახდა.

ქუთაისში გადასული მთავრობა მაშინვე შეუდგა ეკონომიკური რესურსების მობილიზაციას. ამასთან, მთელი ძალისხმევა მიმართული იყო სურამისა და გოდერძის უღელტეხილებზე მოწყობილი თავდაცვითი ზღუდეების გაძლიერებაზე. ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა ქუთაისელი გიმნაზიელებისა და სტუდენტთა ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, რომლებიც მონახლისედ მიდიოდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის იყვნენ კოტე ბაქრაძე და მესხი. თვითმხილველთა გადმოცემით ისინი ბრძოლის ველზე დაიღუპნენ (გაზ. "ქუთაისი", 1991, №100-101).

ხელისუფლებამ საგრძნობლად გაააქტიურა ბრძოლა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულმა რაზმმა, რომელსაც მელქისედეკ კელია მეთაურობდა, ქუთაისის მახრასში ჩატარებულ სპეცოპერაციის შედეგად ათეულობით ბოლშევიკი დააპატიმრა (გ. მჭედლიძე, 1993, გვ. 392).

სამწუხაროდ, მთავრობა ნაკლებად ზრუნავდა ზურგის თავდაცვაზე. კერძოდ, მამისონის უღელტეხილის გამაგრებაზე. ხელისუფლების წევრები და მხედართმთავრები დაიმედებულნი იყვნენ, რომ კავკასიონის ქედის გადმოლახვას ზამთრის პირობებში წითელი არმია ვერ შეძლებდა. განვითარებულმა მოვლენებმა კი ცხადყო, რომ ქართული მხარე მწარედ ცდებოდა, რადგან ყველაზე დიდი საფრთხე მას სწორედ მამისონის უღელტეხილიდან მოელოდა.

უღელტეხილის გადმოლახვისას გადატანილი სირთულეებისა და ქუთაისში შესვლის შესახებ წერს თავის მოგონებებში წითელარმიელი ვ. გრიდნევი. მისი თქმით, როდესაც მენშევიკების მთავრობამ გაიგო წითელ არმიის გადმოსვლა მამისონზე შეეცადა ხელი შეეშალა მათთვის. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, აღნიშნავდა ვ. გრიდნევი, მან და წითელარმიელთა რაზმმა დახეული ჩექმებით, თითქმის ფეხშიშველებმა მოახერხეს ქართული ბრიგადის დამარცხება და ქუთაისში უბრძოლველად შესვლა (გაზ. "ქუთაისი" 1972 : №49(11593)), მამისონის უღელტეხილიდან წითელი არმიის ნაწილების შემოსვლის შესახებ მოგვითხრობს თავის მოგონებაში კომკავშირულ ა. იოსელიანი, რომელიც წითელ არმიის მე-9 მსროლელი დივიზიის 78-ე პოლკის მზვერავთა ოცეულში ირიცხებოდა. წითელი არმიის ნაწილებმა, - იგონებს ა. იოსელიანი, - ონისა და ამბროლაურის განთავისუფლების შემდეგ, ზარისთვალა - ტყვიანის გავლით სამი მიმართულებით აიღო გეზი. პირველ რაზმს ქუთაისის, მეორეს - ცაგერისა და ცხენისწყლის მიმართულებით დაევალა საბრძოლო ოპერაციების წარმოება, ხოლო მესამე ნაწილი, რომელშიც ა. იოსელიანიც ირიცხებოდა, ალბანიდან რიონის ხეობის მიმართულებით გამოემართა. ოპერაციის მიზანი სამივე მხრიდან ქუთაისში შეჭრა და მენშევიკებზე თავდასხმა იყო (გაზ. "ქუთაისი", 1971 : №49(11333)).

11 მარტის ოპერატიული ცნობით ირკვევა, რომ მამისონის უღელტეხილიდან მომავალმა წითელარმიელებმა სოფელ მექვენასთან მოახერხეს გენერალ მიქაძისა და მისი ქვეითი რაზმის დატყვევება. ამასთანავე, ორივე ზარბაზნის, ორი

¹ გენერალი ვ. წულუკიძე სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად დახვრიტეს 1923 წელს.

ჯავშნიანი ავტომობილისა და ოთხი ტყვიამფრქვევის ხელში ჩაგდება (გაზ. "კომუნისტი", 1921 : №11).

ქუთაისს, როგორც უკვე აღინიშნა, წითელი არმიის ნაწილები ემუქრებოდნენ სამი მიმართულებიდან. ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო XI არმია, რომელიც მოიწვედა ზესტაფონის რკინიგზის ხაზსა და თბილისის შარავზის გამოვლით. მოწინააღმდეგე ქალაქს უახლოვდებოდა რაჭიდან რიონის გაყოლებით, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ ოსეთის სამხედრო გზით. ამათ გარდა XI არმიის ნაწილებს უკვე დაკავებული ჰქონდათ სამურხაყანო და სამეგრელო, სადაც შეავიწროვეს გენერალ ართემლადის ჯარები და უახლოვდებოდნენ სამტრედიას (გ. მჭედლიძე, 1993, გვ. 393).

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ ემიგრაციაში წასვლა გადაწყვიტა. თვითმხილველთა თქმით, მთავრობა აგროვებდა ეკლესია-მონასტრებიდან გასატან ნივთებს და აჰქონდა ბაგრატის ტაძარზე, რასაც სამრეკლოში ინახავდნენ. იქვე ყოფილა შენახული თბილისიდან წამოდებული განძეულობაც. ამასთანავე, სიფრთხილის მიზნით, დაპატიმრებულ ბოლშევიკთა ერთი ნაწილი 7 მარტს ბათუმის ციხეში გადაიყვანეს, ნაწილი კი – წერაკითხვის უკოდინარნი, გაზეთ "პრავდა გრუზიის" ცნობით, გაუთავსუფლებიათ (გაზ. "კომუნისტი", 1921 : №18; გაზ. "ქუთაისი", 1967 : №96(10355)).

წასვლის წინ ხელისუფლებას მიტინგი ჩაუტარებია ქალაქის ცენტრალურ ბულვარში, რასაც უამრავი ადამიანი დასწრებია. მათ შორის ქუთაისში არალეგალურად მყოფი ბოლშევიკებიც – მიშა მეძმარიაშვილი, შალვა ოკუპავა, იოსებ ხარაბაძე, ვერა ხალვაში და სხვები, რომლებიც მიტინგის ორგანიზატორებს აქციის გამართვაში ხელს უშლიდნენ. შეკრებაზე სიტყვით გამოვლელა დემოკრატიული მთავრობის წევრი ილია ლორთქიფანიძე. ორატორი, მოსახლეობას აფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რაც საბჭოთა ოკუპანტებისაგან მომდინარეობდა. მისი თქმით, საქართველოს დასაპყრობად მოდიოდნენ "ველური ურდოები", რომლებიც საშიშროებას შეუქმნიდნენ მათ სიმშვიდესა და მშვიდობიან ცხოვრებას (გაზ. "ქუთაისი", 1991 : №100-101).

1921 წლის 10 მარტს მე-11 არმიის 98-ე ბრიგადის ნაწილები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ კალინოვსკი და კომისარი ზლატინი ჩრდილოეთ ოსეთიდან მამისონის უღელტეხილის გამოვლით ქუთაისში შემოვიდნენ და 17 საათისათვის ქალაქი სრულიად დაიკავეს. იმავე საღამოს წითელრაზმელები 4 ვერსის მანძილზე მიუახლოვდნენ სამტრედიას და შეძლეს მთავრობის ნაწილების განდევნა ყვირიდან, სვირიდან და ფარცხანაყანევიდან.

11 მარტს, თბილისში მყოფი ს. ორჯონიკიძე მოსკოვში ი. ბ. სტალინს აცნობებდა: "ურდუნების მთავრობა განდევნილა ქუთაისიდან. გუშინ დილიდან ქუთაისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა" (გაზ. "სტალინელი" 1967 : №52).

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ფ. მახარაძის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1921 წლის 8 მარტს განიხილა საკითხი ქუთაისის საგუბერნიო რევოლუციური კომიტეტის შექმნის შესახებ. 11 მარტს ჩატარდა პირველი სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის (რევკომის) საგანგებო რწმუნებული ქუთაისის გუბერნიაში ა. გეგეჭკორი. სხდომაზე დაამტკიცეს ქუთაისის რევოლუციური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე დ. ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბახტაძე, წევრები: შ. ლეჟავა, ს. დამსკი, ი. მაჭავარიანი, ავაკოვი და ბენედიქტოვი" (ქცსა, ფ.305, აღწერა 1, საქმე 62, ფ. 1).

ქუთაისიდან ბათუმში წასულმა დემოკრატიულმა მთავრობამ 11 მარტს ქუთაისის მიმართულებით, პოლკოვნიკ გოგუაძის მეთაურობით, ჯავშნიანი მატარებელი გამოუშვა, რაც ბოლშევიკებმა მოიგერიეს (გაზ. „კავკასკაია კომუნა“ 1921 : № 24). 15-16 მარტს ქუთაისში გაიმართა საზავო მოლაპარაკება (ძველი და ახალი ქუთაისი 1973, გვ. 14). მოლაპარაკებაში საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას წარმოადგენდა სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, სამხედრო მრჩეველი ივანე გედევანიშვილი, პოლიტიკური მრჩეველი ალექსანდრე დგებუაძე, დელეგაციის მდივანი დავით შარაშენიძე, ხოლო საქართველოს რევკომს – მამია ორახელაშვილი, საბჭოთა რუსეთს კი აბეღ ენუქიძე და ალექსანდრე სვანიძე (ზარქუა, 1996, გვ.38-40). დაიღო დროებითი ზავი საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. იგი გადაეგზავნა გენერალ მახნიაშვილს, რომელიც მაშინ ლანჩხუთის სადგურში იდგა (გ. მახნიაშვილი, 1990, გვ. 203-210).

საომარი მოქმედებები შეწყდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 17 მარტს ბათუმიდან ემიგრაციაში წავიდა. მას თავი დამარცხებულად არ გამოუცხადებია და თავისი უფლებების აყრაზე არ დათანხმებულა. ამიტომ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არსებობა არ შეუწყვეტია (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 : № 70).

წითელი საოკუპაციო არმიის შემოსვლას ქუთაისში თან დაერთო ოკუპანტთა მხრიდან მარადიურობა და ზოგადად კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება. ქალაქიდან გადიოდა ქონებით დატვირთული ურემები, ჩამოსხნეს და დაიტაცეს ელექტროქსელის მავთულებიც კი (გაზ. „ქუთაისი“, 1967, №96(10355)).

ამას ზედ დაერთო მასობრივ ტერორიც. ქუთაისის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის 16 აპრილის გამოცემული ბრძანება №26, რომელსაც რევკომის სახელით ხელს აწერდნენ დ. ლორთქიფანიძე, ვ. ბახტაძე, შ. ლეჟავა, ს.ადაშვილი, თ. მაჭავარიანი, ავაკოვი და ბენედიქტოვი, „ქუთაისის მუშებს და პატროსან მოქალაქეებს“ აფრთხილებდა, რომ სასტიკი ზომები გატარდებოდა არსებული მოქალაქისა და „სახელოვანი წითელი არმიის“ წინააღმდეგ აუგის მოქმედთა დასჯის მიზნით და მოუწოდებდა ქალაქის მოსახლეობას, რათა დაეკავებინათ და ქუთაისის მილიციის სამმართველოში, ან საგანგებო კომისიაში წარედგინათ „ასეთი ხმების გამავრცელებელი“. მილიციის უფროსს და საგანგებო კომისიას ევალეობოდა პროვოკატორების აღმოჩენა და რევოლუციური ტრიბუნალისადმი გადაცემა. „რევოლუციური კომიტეტი აცხადებს, რომ პროვოკატორები იქნებიან დასჯილი უმადლესი სასჯელით – დახვრეტი“ (ქცსა, ფ. 305, აღწ.1, საქ. 119, ფ. 158).

ქალაქის ქუჩებში შიშმა დაისადგურა. ბევრი გაიხიზნა და სოფელსა და მთებს შეაფარა თავი. ვაჭრები იძულებული გახდნენ გადაემაღათ სურსათ-სანოვაგე, რამაც სასურსათო კრიზისი გამოიწვია. სამ კატეგორად დაყოფილი ქალაქის მოსახლეობა სურსათის დაწესებულ ნორმას საბარათო სისტემის მეშვეობით იღებდა (გაზ. „სტალინელი“, 1967 : №52).

ზემოთ აღნიშნულს ნათლად ადასტურებს, აგრეთვე, ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული ცნობა. დოკუმენტის მიხედვით, რომელსაც აქვს წარწერა „საიდუმლო ოპერატიული“ არმიის პოლიტიკური შტაბის უფროსი კუზნეცოვი ლეგონის ჯგუფის მეთაურს კუბიშვილს აცნობებდა: „მოქმედი ჯარის გენერალურმა

აპარატმა ბრძანა თქვენი პირადი პასუხისმგებლობით მიიღოთ სასწრაფო და გადამწყვეტი ზომები სამხედრო ნაწილების მიერ უზამსობისა და ძარცვა-გლეჯვის შეწყვეტისათვის. სასწრაფოდ გაათავისუფლოთ სამხედრო ნაწილების მიერ დაკავებული ქუთაისის სკოლები და უზამსობაში, ძარცვა-გლეჯვაში და საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის მთავარსარდლის დირექტივების შესრულებლობაში დამნაშავეებს მიუსაჯოთ ყველაზე მკაცრი პასუხისმგებლობა სიომარი დროის კანონების მიხედვით“ (ქცსა, ფ. 305, აღწ. 1, საქმე 62, ფ. 21).

ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რევკომმა იერიში მიიტანა კერძო საკუთრებაზე და “მსხვილ საწარმოთა ნაციონალიზაციის“ ლოზუნგით სახალხო მეურნეობის საბჭოს გადასცა თამბაქოსა და გრებილი ავეჯის ფაბრიკები, აფურისა და ყინვის დამამზადებელი ქარხნები, ლალიძისა და ბევგოვის ელექტროსადგურები, ტყავის ქარხანა, საქსოვი სახელოსნო და კერძო სტამბები. 14 მარტის დადგენილების საფუძველზე, ქალაქში არსებული ბანკები ერთ სახალხო ბანკად გაერთიანდა. საბანკო ოპერაციებზე მეთვალყურეობას რევკომი ახორციელებდა, ბანკში დანიშნული სპეციალური კომისრის მეშვეობით (გაზ. “სტალინელი“ 1967, №52).

ამასთანავე, რევკომის მეთვალყურეობის ქვეშ გადავიდა სახალხო სასამართლოების ფუნქციონირების საქმე, რასაც იუსტიციის განყოფილების საშუალებებით ახორციელებდა. არსებულ მთავრობას იდეოლოგიურად ზურგს უმაგრებდა ქუთაისის საგუბერნიო რევკომისა და პარტიის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო – გაზეთი “მუშა და გლეხი“, რაც 1921 წლის 3 აპრილიდან, გამოდიოდა, პარტიული და საბჭოთა მოღვაწის, ქუთაისის რევკომის თავრის მოადგილის – ვალერიან (ვალთა) სამსონის ძე ბახტაძის რედაქტორობით (გაზ. “სტალინელი“ 1967, №52).

აღნიშნულის გათვალისწინებით ინტერესის საგანი გახდა საოკუპაციო ჯარების შემოსვლის მომენტისათვის ქუთაისის საწყობებში არსებული მდგომარეობა. მე-11 არმიის წარმომადგენლებმა ყველა მალაზია თუ საწყობი, მაგრამ საგუბერნიო რევკომის განკარგულებით, მალევე გაიღო ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე. 23 მარტს შეიქმნა საგუბერნიო რევკომთან აღრიცხვის კომისია სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლის ხომაჭიროვის თავმჯდომარეობით. ბრძანებულებაში აღნიშნული იყო: 1) ყველა დღემდე არსებული აღრიცხვის კომისია უქმდება; 2) გაუქმებული კომისიის წევრები და თანამშრომლები უერთდებიან ქუთაისის გუბერეკომთან არსებულ კომისიას. ყველა სამხედრო და საზოგადო დაწესებულება, რომლის განკარგულებაშიც ირიცხება საწყობები, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს კომისიას ამ საწყობების ცნობები. მილიცია ვალდებულია მიაწოდოს კომისიას ყველა აღმოჩენილი საწყობის შესახებ ცნობები“ (ქცსა, ფ. 305, აღწ. 1, საქმე 4, ფ. 21).

აღნიშნული კომისიის აღრიცხვას დაექვემდებარა საინდენტანტოს, საარტილერიოს, სადგურის, საბაჟოს, რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების და სატყეო საწყობები. ქუთაისის რევკომი საქართველოს რევკომს უღებებდა: “შენშევიკების მიერ დატოვებული ყოველგვარი ქონება სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ აღრიცხული და დაჯგუფებულია ტექნოლოგიური ნიშნით“-ო (ქცსა, ფ. 305, აღწ. 1, საქმე 61, ფ. 21).

ამ პერიოდის სახელმწიფო მოხელეები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ საწყობებში ზუსტი აღრიცხვის წარმოება შეუძლებელი იყო, რადგან სამხედრო ნაწილების მოთხოვნით უკონტროლოდ გააქონდათ სხვადასხვაგვარი მასალები და პროდუქტი. “არ მქონდა ხელთ გაფორმებული

წესით საწყობები, მიხდებოდა გამეცა ჩეკები აგენტების ან აღმრიცხავი კომისიის მეშვეობით, რაც ქმნიდა აღრიცხვისთვის მიუღებელ მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, მოთხოვნილებანი სამხედრო ნაწილებისა, სხვადასხვა დაწესებულებებისა და პირებისა შემოდიოდა შეუჩერებლად, - წერდა სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგების განყოფილების უფროსი პურადოვი (ქცსა, ფ. 305, აღწ. 1, საქმე 34, ფ. 61). მსგავსი სურათი იყო საბაჟოზეც, რის შესახებაც პოლიტკომისარი ვ. სტეპანოვი რევკომის თავმჯდომარეს აცნობებდა: “საბაჟოზე მოვიდა ამხანაგი გაბაევი შეიარაღებულ წითელ არმიელთა თანხლებით და კატეგორიულად მოითხოვა ჩემგან და საბაჟოს უფროსისაგან შემოსული ჯარის შტაბისათვის ყველაფერი.

ჩემი წინააღმდეგობა გაბაევის მიერ უარყოფილ იქნა და იძულებული გავხდი საწყობიდან გამეცა საქონელი. შემდეგ მოიყვანეს სატვირთო მანქანა და ცხენებშებმული ურეგი, წაიღეს ყველაფერი, რაც სურდათ და განუსაზღვრელი რაოდენობით. მსგავსი ვითარება გრძელდებოდა შემდეგი დღეების განმავლობაშიც“ (ქცსა, ფ. 305, აღწ. 1, საქმე 43, ფ. 77).

ხშირი დატაცებებისა და უკონტროლო გაცემის შემდეგ საწყობებში დარჩენილი ქონების შესახებ ქუთაისის რევკომის ფონდის საარქივო დოკუმენტებში საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება. არ არსებობს არავითარი დამადასტურებელი საბუთი სამხედრო საჭურველის არსებობის შესახებ, დაფანტულია ცნობები სურსათის მარაგისა და სხვა სახის მასალებზე. ასე მგაგალითად, სამაზრო სასურსათო კომისარიატი თავის მოხსენებაში აღნიშნავს მუშაობის სირთულეებზე იმის გათვალისწინებით, რომ მენშვეიკური მთავრობიდან საწყობებში ცოტა რამ დარჩა და მოაქვს ციფრობრივი მაჩვენებელი არსებული პროდუქტებისა (ქცსა, ფ. 305, აღწ. 1, საქმე 69, ფ. 44-45). მომარაგების განყოფილების მიერ სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი წარდგენილ ანგარიშში საუბარია ყოფილი მთავრობის მიერ დატოვებულ სატრანსპორტო საშუალებებზე, რაშიც შედიოდა მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, ასევე ჰაბანტრანსპორტი. ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იყო თითქმის გამოუსადეგარი 15 ცხენით და 3 კამეჩით. საწყობებში აღმოჩნდა, ასევე, მენშვეიკების მიერ შესაყარად გადაცემული ასეულობით წყვილი შარვალ-ხალათი და თეთრეული (ქცსა, ფ. 305, აღწ. 1, საქმე 34(ა), ფ. 61). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ქუთაისში დატოვებული ქონების შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია არ გვაძლევს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ საწყობები თითქმის ცარიელი იყო. გარკვეული მარაგის არსებობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქალაქში შემოსული საოკუპაციო ჯარები თუ ახლადშემქმნილი სახელისუფლებო ორგანოები ამ საწყობებიდან საზრდოობდნენ. თუმცა საქართველოს სხვადასხვა მხრიდან შემოსული წითელი ჯარების წინააღმდეგ წარმატებული საომარი ოპერაციების წარმოება სერიოზულ შეიარაღებასა და დიდძალ რესურსებს მოითხოვდა ხელსაყრელ საგარეო პოლიტიკურ კლიმატთან ერთად (ნ. ვაშაყმაძე, 2009, გვ. 64).

ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან რამდენიმე თვეში, გაზეთ “მუშა და გლეხის” (1921 №10) ცნობით, 29 აპრილს ღამით ქუთაისის რევოლუციური კომიტეტის წევრებზე - (ა. გეგეჭკორი, დ. ლორთქიფანიძე, ვ. ბახტაძე, ტ. ლორთქიფანიძე და აკ. დალაქიშვილი) შეიარაღებული თავდასხმა მომხდარა. ბოროტმოქმედებმა ავტომობილს, რომელშიც ისინი ისხნდნენ, ხელყუმბარიდან და იარაღიდან ესროლეს. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა, ყველანი უვნებლად გადაარჩნენ.

აღნიშნულ ამბავს სხვაგვარად გადმოგვცემს ცნობილი სოციალ-დემოკრატი ვლასა მგელაძე. მისი მოგონებების მიხედვით, ჩვენამ ქუთაისში პროვოკაცია მოაწყო. ბომბი ისროლა და ბრალი ქართველ რევოლუციონერებს დასდო. ამის გამო რამდენიმე პიროვნება დააკავეს, მათ შორის პოლკოვნიკი ლეჭვიანძე და რამდენიმე უდანაშაულო ადამიანი დახვრიტეს (ვ. მგელაძე, 1936, გვ. 30).

ისტორიკოს ნ. კირთაძის ცნობით, 1921 წლის 18 მაისს ქუთაისის საზოგადოებას ქალაქის ცენტრალურ ბულვარში საჯარო გასამართლება მოუწყვია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ასამართლებდნენ ვ. ლენინსა და ნ. ყორდანას. თეზისებიც წინასწარ ყოფილა ადგილობრივ რევკომთან დარიგებული და შეთანხმებული. სასამართლოს უამრავი ხალხი დასწრები. განხილვის შემდეგ სასამართლოს და ხალხს ერთი განაჩენი დაუდგენია: ლენინს სიკვდილი და ყორდანას ცაში აფრენა!... გაცოფებულ ა. გეგეჭკორს ამ პროცესის ინიციატორები იქვე შეუპყრია და ციხეში შეუყრია (ნ. კირთაძე, 1996, გვ. 31).

ამრიგად, საბჭოთა რუსეთი ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს საქართველოს 1921 წლის თებერვალში და ძალდატანებით მოახვია თავს საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმი. საბჭოთა რეჟიმმა, პოლიტიკური ბრძოლის სხვადასხვა ხერხების თუ მეთოდების გამოყენებით, შეძლო თავისი მდგომარეობის განმტკიცება. მრავალპარტიული დემოკრატიული სისტემა შეცვალა ერთპარტიულმა დიქტატორულმა ტოტალურმა სისტემამ. დაიწყო კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ბატონობის 70 წლიანი პერიოდი, რაც, ბუნებრივია, ქუთაისსაც შეეხო. ეს ძალმომრეობა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ დიდი ხნის მანძილზე შექდებოდა არაობიექტურად და ტენდენციურად. სინამდვილეში კი ეს იყო საქართველოს აშკარა ოკუპაცია, მისი ძალდატანებითი გასაბჭოება და ფაქტობრივი ანექსია. საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და ეროვნული სუვერენიტეტი, ხოლო ქართველი ხალხი კვლავ, ამჟერად, საბჭოთა იმპერიის კოლონიური უღლის ქვეშ მოექცა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას და ანექსიას შედეგად მოჰყვა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, რაც 1924 წლის აჯანყებით დაგვირგვინდა. ამ ბრძოლის ავანგარდში კი ქუთაისს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს.

ლიტერატურა

- გაზ. "კავკაზსკაია კომუნა", 1921, №14.
 გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1991, №70.
 გაზ. "სტალინელი", 1967, №52.
 გაზ. "ქუთაისი", 1967, №96(10355).
 გაზ. "ქუთაისი", 1971, №49.
 გაზ. "ქუთაისი", 1972, № 49(11593).
 გაზ. "ქუთაისი", 1991, №100-101.
 გაზ. "ჩემი ქუთაისი", 2004, №5(22).
 გაზ. "ჩვენი მწერლობა" (გაზ. "ახალი ეპოქის" დამატება), 2003, №7 (137).
 რ. გრძელიძე, 1998 - რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია, თბ., 1998.

- ნ. ვაშაყმაძე, 2009 - ნ. ვაშაყმაძე, რამდენიმე დოკუმენტი საქართველო-რუსეთის 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შესახებ, ქუთაისი.
- ნ. კირათაძე, 1996 - ნ. კირათაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.
- გ. მაზნიაშვილი, 1990 - გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი.
- ვ. მგელაძე, 1936 - ვ. მგელაძე, რუსეთის მობრუნება საქართველოში, პარიზი.
- გ. მჭედლიძე, 1996 - გ. მჭედლიძე, ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები, ქუთაისი, 1996.
- ეურნ. "პოლიტიკა", 1996, №9-10.
- ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის (შემოკლებით ქცსა), ფ. 305, აღწერა 1, საბუთი 4, 34, 43, 61, 62.
- ძველი და ახალი ქუთაისი, თბილისი.

KAKHABER KEBULADZE

THE HISTORY OF ESTABLISHING SOVIET POWER IN KUTAISI

The Post World War I International disposition for a new re-division of the world, the plans of the victorious countries created some perspectives for the existence of the independent states in South Caucasia. The European countries the members of the Entente tried to evoke an interest in their overseas partner - the USA with the offer to make South Caucasia a sphere of its influence. On the other hand other European politicians envisaged Caucasia as a part of Russian space and awaited the ruin of the Red Regime.

The conflict between the European and American Diplomacy was resulted in England's deal with Soviet Russia to yield South Caucasia for the raw materials from Russia. This factor happened to be decisive for Georgia to appear on the Russian orbit. Meanwhile Russia settled neutralizing Turkey and demanded yielding South Caucasia instead of being its ally against the Entente.

Invading Georgia was just a matter of techniques Russia was checking its own military and economical readiness to be guaranteed for the success. This is illustrated in the plan presented on December 18, 1920 by a commander of the XI army military point in details.

Soviet Russia intruded in Georgia without announcing the war, occupied its territory, established Soviet regime. The occupants changed the multiparty democratic system to the single party dictatorship. A 70 year _ long period of communist dominancy started. It was a typical occupation considered differently through years. It was an annexation of the country after which Georgia lost its sovereign Independence and the Georgians appeared under the colonial governance.

The annexation was followed by a strong wave of national –liberation movement and ended by the riot of 1924. Kutaisi was the in advance – the guard of this struggle.

ლელია ქველიძე,
ვახტანგ თევდორაძე

რავიათა შესახებ შუა საუკუნეების არაბულ ლიტერატურაში

არაბული პოეზია სათავეს ისლამადელი პერიოდიდან იღებს და მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არაბთა ისტორიის ჩამოყალიბებასა და მათი თვითშეგნების ფორმირებაში. არაბული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებს ვხვდებით V საუკუნის დასასრულიდან, განსაკუთრებით პოეტური ძეგლების სახით და მათი გავრცელების არეალი უპირატესად ნეჯდს, ჰიჯაზსა და არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ რეგიონებს მოიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ არაბებს ჰქონდათ დამწერლობა, ისტორიული ამბებისა და ლიტერატურული ძეგლების ჩაწერის ტრადიცია VII საუკუნემდე არ არსებობდა. მხოლოდ VII საუკუნის II ნახევრიდან იწყება მანამდე არსებული თქმულებებისა და ლიტერატურული ძეგლების ფიქსირება. როგორც აღვნიშნეთ, ეს თქმულებები და ლიტერატურული ძეგლები ვრცელდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირი სახით, ე.წ. “რავიების“, ანუ ზეპირი თქმულების მეშვეობით, რომლებიც ცდილობდნენ მოესმინათ და დაეზეპირებინათ პროზაული და პოეტური ქმნილებები. ასე გრძელდებოდა, დაახლოებით, ორასი წლის მანძილზე, მანამ, სანამ დაიწყებოდა ლექსების ფიქსაცია. ზეპირი გადაცემის დროს ისინი, უდავოა, განიცდიდნენ ცვლილებებს, იკარგებოდა მათში არსებული დიალექტური ფორმები. რიგ შემთხვევებში რავია მასზე უფროსი მისი თანამედროვე პოეტის მოსწავლე იყო, დადიოდა მასთან ერთად, როგორც მისი დეკლამატორი. დროთა განმავლობაში კი რავიის პრივილეგიები გაიზარდა. პოეტთა უმეტესობაც თავდაპირველად დეკლამატორი იყო. მაგალითად ცნობილია, რომ იმრუ ლ-კაისი დეკლამირებას უწევდა აბუ დუად ალ-იადის, ზუჰაირი აუსა იბნ ჰაჯარის, ალ-აშა კი ალ-ჰუსაიბა უბნ ალასის (დ. მონროუ, 1978, გვ. 52).

შეიძლება ითქვას, რომ რავიას პროფესია, უმეტეს შემთხვევაში, უზრუნველყოფდა გადმომცემისათვის სამომავლოდ პოეტობასაც. ყურეშიანთა შორის იყო ჭგუფი დეკლამატორებისა, რომლებიც გამოირჩეოდნენ ლექსთა ცოდნითა და მათი გადმოცემით. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: მაჰრამა იბნ ნუფლი, ჰუვაიტ იბნ აბდ ალ-აზზა და სხვა.

ისლამის გავრცელების შემდგომ პერიოდშიც არსებობდა დეკლამატორების ერთი ჭგუფი: ჰამად არ-რავი, ჰალიფ ალ-ჰამარი, აბუ ამრ ისაკ იბნ მირარ აშ-შაიბანი და სხვა. რავიებს თავიანთ მენსიერებაში ჰქონდათ ათასობით ლექსი; ისინი ვალდებული იყვნენ სადღესასწაულო დღეებში (შეკრებებზე) მათი დეკლამირება გაეწიათ მსმენელთა წინაშე. არსებობს გადმოცემები ზოგიერთი რავის მენსიერების შესახებ, მაგალითად: ერთ რავიას ერთ-ერთ შეკრებაზე ერთდროულად ორი ათას ცხრაასი ლექსი უთქვამს ზეპირად (ი. ფილშტინსკი, 1977, გვ. 9), მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ გადმომცემისას ის დაუშვებდა შეცდომებს, ან აურევდა ბეითებს ერთმანეთში, ან ერთი პოეტის ლექსებს მიაწერდა

მეორეს, ან რომელიმე გარდაცვლილი დიდი პოეტის ნებისმიერი ლექსის მიიწერდა. აქედან გამომდინარე, ისლამამდელ პოეზიას შეეკმნა დავიწყების ან მოდერნიზების საფრთხე, რამაც განაპირობა კიდევც შუა საუკუნეებში მათი ფიქსაციის აუცილებლობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არაბულ პოეზიაში არსებობდა რავეების რამდენიმე ტიპი:

რავი — პოეტები, ამ ჯგუფში გაერთიანებულია ორი ქვეტიპი: რავეები დამზებირებლები, რომლებიც სულ თან ახლდნენ პოეტებს, როგორც მოსწავლეები და იზებირებდნენ მათ ლექსებს, ზოგჯერ ათასობით ბეითსაც და მეორე ქვეტიპი: რავი გადმომცემები, რომლებიც გადაცემდნენ სხვადასხვა პოეტთა ქმნილებებს (თანამედროვეთა ან წინამორბედთა), უწევდნენ მათ დეკლამირებას. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ორივე ქვეტიპისაგან რავეები ხდებოდნენ სრულფასოვანი პოეტები. და შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეტიპების რავის საქმიანობა უზრუნველყოფდა სამომავლოდ პოეტობასაც. პირველი ქვეტიპის მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ გამოჩენილი პოეტი ზუჰაირ იბნ აბი სულამა, რომელიც იყო რავი და მოსწავლე ავსისა, შემდეგ ზუჰაირი გახდა მასწავლებელი თავისი შვილის ქა'ბასი.

მოსწავლეების უმრავლესობას მასწავლებელთან აკავშირებდათ არა მარტო ლიტერატურული, არამედ სისხლით ნათესაობაც. ცნობილია, რომ ავსი დაქორწინებული იყო ზუჰაირის დედაზე, ქა'ბი კი იყო ამ უკანასკნელის შვილი. არსებობს სხვა ფაქტებიც, მაგალითად ალ-მურაჰქიშ უფროსი იყო ბიძა ალ-მურაჰქიშ უმცროსისა, რომელიც, თავის მხრივ, იყო ბიძა ტარაფასი. ცნობილი ისლამამდელი პოეტი მუჰალაჰი კი იყო ბიძა იმრუ-კაისის. (ალ-ასადი; 222-224) კულდელინი 6.

ალ-ასადი მეორე ქვეტიპს მიაკუთვნებს რავეებს, რომლებიც VII—VIII საუკუნეების დასაწყისში მოღვაწეობდნენ, გადმოცემდნენ ისლამამდელ პოეზიას და თავადაც სწავლობდნენ პოეტურ ხელოვნებას. გარდა ამისა, ამ ტიპის რავეები აძლევდნენ შეფასებებს ძველ შემოქმედებს, ადარებდნენ ისლამამდელი პოეტების ქმნილებებს ერთმანეთს. VIII-IX საუკუნეების რავეები (რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ) ეყრდნობოდნენ ამ რავეათა გადმოცემებს, განმარტებებს, შედარებებს და მათ დიდ პატივს მიაგებდნენ ისლამამდელი არაბული პოეზიის შენარჩუნებისათვის.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული რავეები წარმოადგენდნენ შემაკავშირებელ ჯაჭვს ისლამამდელ არაბ პოეტებსა და იმ სწავლულებს შორის, რომლებიც სისტემატიურად ავრცელებდნენ ძველი პოეზიის ნიმუშებს. ამ ქვეტიპში აღსანიშნავია რავეები ათ-თირიშმაჰი, რუბა იბნ ალ-აჯაჯი, რომლებმაც შემოგვიანახეს ისლამამდელი პოეტების ბევრი გამოჩენილი რავი-სწავლულის მოღვაწეობის შეფასება-განმარტებები, რაც გამოიყენებოდა შემდეგი ხანის პოეტების ზურაუმის, ჯარირისა და ალ-ფარაზდაკის ისე არაბი ფოლოლოგების მიერ (ი. ფოლშტინსკი, 1977, გვ. 227-229).

შემდეგი ტიპი — ტომის რავი, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და დიდ როლს თამაშობდა ბედუინთა საზოგადოებაში. ისინი დეკლამირებას უწევდნენ საკუთარი ტომის თუ სხვა ტომის პოეტთა ქმნილებებს თავიანთ ტომში. ამიტომ მათ მესხიერებაში იყო უამრავი ლექსი. ამ ტიპის რავეებმა დიდი დანმარება გაუწიეს VIII საუკუნის რავეებს, რომლებიც დადიოდნენ და

აგროვებდნენ ისლამამდელი პოეზიის ნიმუშებს. ასეთი ტიპის რავეები არსებობდნენ, როგორც ისლამამდელ ეპოქაში, ასევე ისლამის გავრცელების შემდგომ პერიოდშიც ვიდრე IX საუკუნემდე.

არსებობდა ტიპი რავისა — პოეტთა რავი. ისინი იდგნენ პოეტების გვერდით (შეიძლება ერთ პოეტს ჰყოლოდა რამდენიმე რავი), დაჰყვებოდნენ ყველგან, იმახსოვრებდნენ მათ ყველა ლექსს და შეკრებებზე სახალხოდ ჰყვებოდნენ, ცდილობდნენ თავიანთი პოეტის ლექსებისათვის რაც შეიძლება კარგი და ყველასათვის მოსაწონი დეკლამირება გაეწეათ. ასეთი რავეები ჰყავდათ ალ-ფარაზდაკს, ჯარირს, ალ-ახვასს, ზუ-რრუმს, ჯამილს. ალ-ასადის აზრით რავეების ასეთი ტიპი ცნობილი და გავრცელებული იყო ისლამამდელ პერიოდშიც, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ წყაროები ამის შესახებ არაფერს გადმოგვცემენ, გამონაკლისია ალ-ა“შა. ისლამის ეპოქაში კი ისინი დიდ სამუშაოს ეწეოდნენ (ი. ფილშტინსკი, 1977, გვ. 237-241).

ასევე ცნობილია რავი “შემსწორებელი, გამსწორებელი”. მათ მოვალეობას შეადგენდა იმ შეცდომების გასწორება, რომელიც თავის დროზე იყო დაშვებული. ძირითადად, ეს იყო ხარვეზები, რომლებიც ჩვეულებრივ, თან სდევდა ლექსების ჩაწერას. ისინი დიდ სამუშაოს ეწეოდნენ თითოეული ბეითის შესასწორებლად და მის გასამართავად. ამ ტიპში ძირითადად არიან ის რავეები, რომლებიც მოღვაწეობდნენ VII ს-ის დასასრულსა და VIII ს-ის დასაწყისში და რომლებმაც შეიტანეს შესწორებები ომაელთა ხანის პოეტთა (ალ-ფარაზდაკი, ალ-ჯარირი, ზუ-რრუმი) ქმნილებებში.

რავი მისტიფიკატორი, ეს არის ტიპი რავეებისა, რომლებიც დაკავებული იყვნენ ძველარაბული პოეზიის გაყალბებით სხვადასხვა მიზნებისათვის. ისინი ლექსებში გადმოცემდნენ შორეულ წარსულს, განადიდებდნენ თავიანთ თავს ან ტომს. ლექსების დეკლამირება ხდებოდა ხალიფების წინაშე. ყვებოდნენ თავანთი ტომის საგმირო საქმეებზე, ომებზე, რომლებიც მათ გადაუტანიათ. თავის თავს კი მიაწერდნენ ისეთ საქმეს, რომელიც არ გაუკეთებიათ. რიგ შემთხვევებში აღნიშნული რავეები ქმნიდნენ ლექსებს, რომლებშიც ამტკიცებდნენ ამა თუ იმ პირის მაღალ წარმომავლობას, განადიდებდნენ მის გვარს და დამსახურებას ტომის წინაშე, ყვებოდნენ მის საგმირო თუ სასიყვარულო თავგადასავლებს და ა.შ. აყალბებდნენ ისტორიულ ფაქტებსაც, რომლებიც განსაზღვრავდნენ ტომისა ან ცალკეული პირის ბედს.

ბოლო ტიპი გახლავთ — რავი სწავლულები. მათი ძირითადი ფუნქცია იყო ძველი პოეზიის კრიტიკულად შერჩევა და ფიქსაცია. ისინი ყველა პოეტის ქმნილებას, ცალკეულ ბეითებს მთელი მონდომებითა და დაკვირვებით კითხულობდნენ, უკეთებდნენ კომენტარებს, არ ერიდებოდნენ მათ კრიტიკასაც. არ არის გამორიცხული, რომ მათ ცალკეულ ბეითებში თავიანთი შესწორებებიც კი შეეტანათ. შუა საუკუნეებში მათ “მეცნიერების ხალხი” უწოდეს. ისინი გამოჩნდნენ VIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან და დაიწყეს ძველი ქმნილებების კორექტირება და ფიქსაცია. ამის გამო კი ისინი შეგვიძლია გარკვეულწილად რავი “შემსწორებელსაც” კი დავუკავშიროთ. მათ შორის იყვნენ აბუ ამრ იბნ ალ-ალა და ჰამად არ-რავი, სწორედ მათგან მიიღეს ზემპირი გადმოცემის ტრადიცია ისეთმა ცნობილმა რავეებმა, როგორებიცაა ჰალაფ ალ-აჰმარი, ალ-მუჟადდალა, ალ-ასმა’ი, აბუ უბაიდა, აბუ ამრ აშ-შაიბანი. ყველა მათგანი

სხვადასხვა(ბასრის, ქუფის, მედინის და ბაღდადის) ფილოლოგიურ სკოლას მიეკუთვნებოდნენ.

რავიათა ტიპების განხილვისას თვალსაჩინოა მათ შორის განსხვავებები ტიპოლოგიური თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ესა თუ ის რავი თავისთავში აერთიანებს რამდენიმე ტიპს, რაც სავარაუდოდ, ასახავს იმ თავისებურებებს, რომელიც დამახასიათებელი იყო ისლამამდელი არაბული პოეზიის გვიანი პერიოდისათვის.

ამრიგად, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში - მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე IX საუკუნემდე - ძველი არაბული პოეზია ძირითადად ზეპირმეტყველების საშუალებით ვრცელდებოდა და ამ პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა რავი. ამ ხნის განმავლობაში რავის ფუნქცია გარკვეულწილად იცვლებოდა.

ლიტერატურა

ნ. ფურცელაძე, 1985 - ფურცელაძე ნ., შესავალი სტატია. მულაკები, არაბულიდან თარგმნა, შესავალი სტატია და კომენტარები დაურთო ნ.ფურცელაძემ, თბ., 1985.

აბულ ფარაჟი, 1980 - Абу — ль — Фарадж Ал — Исфакхани. Книга Песен. Перевод Халидова А.Б. Шидфар Б.Я. Москва. 1980.

ი. კრაჩკოვსკი, 1956 - Крачковский И.Ю., Таха хусейн о доисламской поэзии арабов и его критики. // Избранные сочинения. Т.III. Москва — ленинград, 1956.

ი. კრაჩკოვსკი, 1956 — Крачковский И.Ю. Арабская поэзия. // Избранные сочинения. Т.II. Москва — ленинград, 1956.

დ. მონროუ, 1978 - Монроу Д.Т. Устный характер доисламской поэзии. сб. Арабская средниековая культура и литература. Москва. 1978.

ი. ფილშტინსკი, 1977 - Филштинский И.М. Арабская литература в средние века. Словесное искусство арабов в древности и раннем средневековье. Москва. 1977.

ჰანა ალ ფახური, 1959 - Ханна Аль — фахური. История арабской литературы. Москва. 1959.

ა. გიბი, 1929 - Gibb A. R. Studies in Contemporary Arabic literature, III. BSOS, V, 1929

Margoliouth D. S. The Original of Arabic Poetry. JRAS, 1925, 417-449

طه حسين, في الادب الجاهلي, القاهرة 1927

شوقي ضيف, تاريخ الادب العربي, العصر الجاهلي, القاهرة, 1961

جواد علي, 1993 أشهر رواة الشعر, 277-328. المفصل في تاريخ العرب قبل

الاسلام, الجزء التاسع, بغداد

LEILA QVELIDZE, VAXTANG TEVDORADZE**ABOUT “RÂWIYAS” IN THE MEDIEVAL ARABIC LITERATURE**

The development process of Arabic literature begins from pre-Islam period and it has an important place in forming Arabic history and forming their nationality. The creating process of Arabic literature is a product of Arabs and non Arabs, Muslims and non Muslims, people who made their contribution in its development, belonged to different ethnical groups, who “lost” their language, habits, traditions under the influence of Arab conquerors, and joined the universal Arabic world, which is based on one religion.

The poetry of Pre-Islamic period is considered to be the pure Arabic poetry, in the next periods we see the influence of other conquered nations (Persia, Egypt, etc) and their participation in the development of literature.

The tradition of recording the stories of history and literature existed before VII century. Legends and the stories of literature used to spread on number of generations verbally, by so called “râwiyas” e.g. verbal story tellers, who made the special contribution in bringing the Arabic poetry of medieval period to us. They tried to listened the creations of prose and poetry and study them by heart.

Arabic literature accepts the following classification of râwiyas: râwiyas who studied the verses by heart, râwiyas who told the stories, râwiyas of tribes, râwiyas of poets, râwiyas of mystification makers, and râwiyas scholars. Particularly the râwiyas who studied the tests by heart always accompanied the authors, studied their verses and read them on different meetings. Râwiyas who told the text to public, used to tell the works of contemporary and old poets. Râwiyas of tribes went to different meetings, listened, studied and read them in their tribes. Râwiyas of poets used to be next to poets (single poet might have several râwiyas), followed them everywhere, remembered all the works of them and tell them publicly on different occasions. Râwiya mystification makers were busy falsifying the old Arabic poetry according to different aims. The main function of râwiya scholars was critic and fixation of the old Arabic Poetry.

All kinds of râwiyas had their own positions in the audience of beduins of that time and played enormous role in the development of Arabic literature. They did most important job in the whole Arabic peninsula, remembered each verse and read them. Gradually the privileges of râwiyas enlarged. The most of poets were readers originally as well. It can be said that the profession of râwiyas defined the poetic career of a person in the future. While analyzing the types of râwiyas it’s important to mark the topological differences between them. Most often some râwiyas combines several types, which is supposed to express the features, which were characteristic for the late period of pre-Islamic Arabic literature.

Thus, during the long period from V to IX centuries old Arabic poetry primarily was spread verbally, and râwiyas had the significant role in this process. During that time the function of râwiyas was being changed in some ways.

ლეილა ქველიძე

არაბი მწერალი ქალების ნოველების
ქართულ თარგმანებში

ბოლო ხანებში თანამედროვე არაბული ლიტერატურის რამდენიმე მნიშვნელოვანი პროზაული თუ პოეტური კრებული ითარგმნა ქართულად და გამოიცა. მათ შორის თანამედროვე არაბი მწერალი ქალების ნაწარმოებებიც. ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა სუად ალ-საბაჰის კრებული "პირველად იყო ქალი", ლეილა ოსმანის "ღამით მორაული თვლები" (მთარგმნელები მარინა თხინვალი, ლადა ჯავიში), ლადა სამანისა და სხვა ცნობილი მწერალი ქალების ნოველები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მთარგმნელ იზოლდა გრძელიძის მოღვაწეობა. მან არაბი მწერალი ქალების ნოველების ქართულ თარგმანებს თავი მოუყარა 2009 წელს გამოცემულ თანამედროვე არაბული პროზის მკითხველ ანთოლოგიაში — "ღამით წყლის ბაგეზე". კრებულში სხვა გამოჩენილ არაბ მწერლებთან ერთად წარმოდგენილია ალიფა რიფათის (ეგვიპტე) - "ვინ იქნება ის მამაკაცი", "მინარეთის შორეული ხედი", "ზადრა და მისი ქმარი", "გრძელია ზამთრის ღამე". ლეილა ოსმანის (ქუვეითი) - "შე და მისი დედა", "ერთი ქალის სასაბრლო საქმე", "გულდამწვარი პურის სურნელი". მუნა ალ-შაფაის (ქუვეითი) - "გულში დღემდე მითრთის". ბუსაინი ხადარ მაჟი (სუდანი) - "წეს-ჩვეულებანი". რამზია აბას ალ-ირანი (იემენი) - "მემკვიდრე". ჰანან ად-დარკავი (მაროკო) - "თავანი... კატა... ჩილი..." სულაფ ჰილალ (ჩაიტი) - "ღამით წყლის ბაგეზე".

ჩვენს სამრეწველო თემად სწორედ იზოლდა გრძელიძის მეოცე საუკუნის არაბი მწერალი ქალების მოთხრობების ქართული თარგმანები ავირჩიეთ და შევეცადეთ გაგვეკვლია და წარმოგვედგინა არა მხოლოდ თარგმანის ღირებულება თუ ნაკლი, არამედ ამ ეტაპზე აღნიშნულ ნოველებში წარმოჩენილი უმწვავესი პრობლემები და საინტერესო საკითხები.

აღნიშნული ნოველების ერთი ძირითადი თავისებურება კი ისაა, რომ არაბი მწერალი ქალების შემოქმედებისთვის დამახასიათებელია გენდერული პრობლემატიკის ფართო სპექტრი.

გენდერი, როგორც სოციალური სქესი, ფსიქოლოგიური ფენომენია, რომელშიც მოიაზრება ადამიანებს შორის არსებული სხვაობა მათი სოციალური როლის, საქმიანობის ქცევის, ემოციური მახასიათებლების მიხედვით.

გენდერულ როლის საზოგადოებაში მნიშვნელოვნად განაპირობებს ერის კულტურა და არსებული ტრადიცია. ხელოვნება კი ხშირად ამ ინფორმაციის რეტროსპექტივი სდება.

აღმოსავლურ საზოგადოებაში უდავოდ არსებობს მამაკაცსა და ქალს შორის სქესობრივი განსხვავებულობის გადაქარბებული შეფასება, რის საფუძველზეც გამართლებულია ქალის დაირღუნება, ქალის როლის დაკნინება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მამაკაცსა და ქალს წარმოადგენს სტერეოტიპი არაბულ ლიტერატურაში საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ქალი გაიგივებული იყო ბასიურ საწყისთან. ქალს უკავშირდებოდა მგობრბელობით, ბუნებრივს, ხორციელებს და ცოდვილს. მამაკაცს - რაციონალურს, სულიერს, კულტურულს. ქალი შეიძლება ყოველივე შემოქმედის შთაფრენის წყარო, დედა ან ტრადიციის ობიექტი, რომელსაც არ შეიძლება არაფერი დაეცვა და საერთოდ საკუთარი აზრი გამოეთქვა, გრძობა დაეფექსირებინა.

ამიტომაც ვახდა არაბი მწერალი ქალებისათვის მთავარ თემად ამ საკითხების განხილვა. გენდერული პრობლემების შესახებ დისკუსია ჯერ კიდევ XX ს. -ის დასაწყისიდან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებს და ამ კვლევებში თავიდანვე ერთგვობა არაბი მწერალი ქალები და გამობატავენ თავიანთ დამოკიდებულებას არაბულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპთან მიმართებაში. ისინი გვიჩვენებენ ისლამურ საზოგადოებაში გენდერული ასიმეტრიის პირობებში ქალის დამოკიდებულებას პრობლემისადმი. არაბი მწერალი ქალები სხვა მწერლების მსგავსად, ცდილობენ ცხოვრების უმთავრეს კითხვებს გასცენ პასუხი, როგორცაა, მაგალითად, პიროვნული თავისუფლების საკითხი. მწერალი ქალები მიმართავენ საზოგადოებას და კიდევ ერთხელ შეახსენებენ, რომ ისლამური საზოგადოებისათვის ქალი მეორეხარისხოვანი, კაცების მიერ მართული და მათ მიერ ფუნქციონირებული არსებობს. არაბი მწერალი ქალებისათვის თითქმის არ არსებობს აკრძალული თემა, აქ მათი პიროვნული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა წარმოდგენილი. არაბი მწერალი ქალები არ ერიდებიან ისეთი საკითხების გამოშვებებს, როგორცაა მაგალითად სექსუალური დისკრიმინაცია. მას ლოდ და საჭაროდ განიხილვენ, რაც ერთგვარად შეიძლება მოულოდნელიც კი იყოს ქართველი მკითხველისათვის.

საზოგადოებრივი პრაქტიკა წარმოუდგენელია თუ ქალი სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით არ არის დამოკიდებული. არაბულ ქვეყნებში არსებობს ფსიქოლოგიური ბარიერი, რომლითაც მუსლიმ ქალს საუკუნეების განმავლობაში ეკრძალებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, აგრეთვე, არ შეიძლება უფლება ჰქონოდა თავისუფლებით. ამასთანავე არაბი ქალის ფსიქოლოგია გამოირჩევა ტრადიციისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებით. აქ ქალი, დასავლეთისაგან განსხვავებით, ბარიერს თავად უქცევს საკუთარ თავს. არაბი მწერალი ქალები კი ცდილობენ თავიანთი ცხოვრებით და შემოქმედებით თავისუფლების მაგალითს წარმოადგენდნენ საზოგადოებისათვის და ამავე დროს ეს აქტუალური საკითხები ღია დისკუსიის საგნად აქციონ.

როგორ უფროთხილდება მამაკაცური საზოგადოება ქალის სულსა და სხეულს, რამდენად სცემს პატივს მის შემოქმედებით ნიქს, რამდენად უწყობს ხელს ამ ნიქის გამოცდენას, ქალის პიროვნულ თავდადებას, სამსახურებრივ წარმატებას, დღეს ამა თუ იმ ქვეყნის ღირსების, კულტურისა და მომავლის ასახვით ნიშნად ითვლება. ისიც ცნობილი, რომ დემოკრატია ასად შენდება მზარდი სოციალური უთანასწორობის პირობებში. მვე დროს სოციალური ტრანსფორმაცია შეუძლებელია სამოსლ საზოგადოების ფსიქოლოგიური მზადყოფნის გარეშე. არაბულ ქვეყნებში კი ყველაზე ძნელად გადასალახავი აღმოჩნდა ის ფსიქოლოგიური ბარიერი, რომლითაც არაბ ქალს ეკრძალებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა. ქალებმა უნდა ისწავლონ თავის გათავისუფლება ცარუწმენისა და ტრადიციული დამოკიდებულებების ხუნდებისაგან. მათ უნდა ისწავლონ თავის აღმოჩენა და საკუთარი ტალანტისა და ძალის განვითარება. უნდა ისწავლონ თავიანთი ინიციატივების, უნარებისა და ნიქის გამოყენება (ანი რ. იაგრა, გაეროს ქალთა სტატუსის შემსწავლელი კომისიის თავ-რე 1967წ. თ საბედამშვილი, 37).

ქართველი მკითხველისთვის რამდენადმე მოულოდნელიც კია არაბი მწერალი ქალების გაბედულება ზოგიერთი საკითხის განხილვის გამო, რადგან ეს პრობლემები არასოდეს ქცეულა ქართული საზოგადოების განსაკუთრებული დისკუსიის საგნად. თუმცა უნდა ითქვას, რომ აქტუალურია იგი არა მარტო აღმოსავლური საზოგადოებისათვის, არამედ ასევე ქართველი მკითხველისთვისაც. აღნიშნული მწერლების შემოქმედების აქტუალურობიდან გამომდინარე კი ძალიან მნიშვნელოვანია მათი გაცნობა ქართველი მკითხველისათვის. ამიტომ უდავოდ დასაფასებელია მთარგმნელის დამოკიდებულება, რომლითაც ის იჩინებს სათარგმნ მასალას.

არაბი მწერალი ქალების შემოქმედებას დასავლეთიც კარგად იცნობს.

გასაკვირი არაა, რომ მათ ნოველებში თითქმის ერთი და იმავე პრობლემას ვაწყვიდებით. აღნიშნული ნოველების მთავარი თემაა ქალის შინაგანი სამყარო, პირადი

ცნობრება, მისი პირადი ურთიერთობა მამაკაცთან მიმართებაში. არაბი მწერალი ქალები ექვეყნებ არ აყენებენ ისლამის დოგმებს, მაგრამ აკრიტიკებენ ტრადიციულ არასამართლიან დამოკიდებულებას ქალის მიმართ და თვლიან, რომ ქალს ყოველგვარ საზოგადოებაში აქვს უფლება პირადი გრძობის თავისუფლად გამოხატვისა. მამაკაცებს აკრიტიკებენ იმისთვის, რომ ისინი თავიანთ განსაზღვრულ როლს ვერ ასრულებენ.

ნაშრომის უმუშალო თემას წარმოადგენს არაბი მწერალი ქალების ნოველების ქართული თარგმანები, მათი შესრულების დონე ორიგინალთან მიმართებაში.

უპირველესი ამოცანა, რაც აუცილებელია თარგმანის დასაწყებად, არის სტილისტური გასაღების პოვნა, რაც თავიდანვე სწორ გზაზე აყენებს მთარგმნელს. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ნოველების ქართულ თარგმანებში აშკარად ჩანს მთარგმნელის დიდი პროფესიონალიზმი. მთარგმნელს გათავისებული აქვს თითოეული ნოველის თარგმნის სპეციფიკა, მიუხედავად მათში მოცემული განსხვავებული სტილისა და მსოფლმხედველობისა.

მხატვრული თარგმანის პროცესი მიმდინარეობს სქემით, რომლის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მთარგმნელმა უნდა შეინარჩუნოს დედნის ეროვნული სპეციფიკის არსებითი მხარე და ამასთანავე არ უნდა უღალატოს საკუთარი ენის კანონებს. შესაბამისად დედნის აზრი გადმოიღოს შესატყვისი ინტონაციით რიტმითა და სინტაქსური წყობით ახალ ენაზე. უნდა ითქვას თავიდანვე, რომ მთარგმნელს ყოველივე ეს სწორად აქვს გათავისებული და შესაბამისად თარგმანებიც გვიჩვენებს ყოველივე ამას. მაგალითად, რაც შეეხება ინტონაციას, მის ადგილსა და გამოყენებას ქართულ თარგმანებში, აშკარად ჩანს მთარგმნელის ოსტატობა. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინოა დიალოგებში (დიმილი წყლის ბაგეზე, 2009, გვ. 173-174, 137, 138, 139).

როცა ვსაუბრობთ ინტონაციაზე გასათვალისწინებელია მისი უმუშალო კავშირი სინტაქსთან, რადგან ძირითადი ენობრივი ერთეული, რომლითაც ტექნიკურად იწყება პროზის თარგმნა, არის არა სიტყვა, არამედ სინტაგმა — სიტყვათა აზრობრივი გეფუფი, მათი რიტმულ-სინტაქსური შენაერთი. მოცემულ თარგმანებში გვხვდება სინტაგმები, რომლებიც შეუცვლელადაა გადმოტანილი ქართულ თარგმანში. თუმცა სინტაგმების უმრავლესობა უფრო მეტად მიხედობოთ ქართული და მიმსგავსებულია ქართული ენის სინტაქსურ წყობასთან. ამით მთარგმნელი ინარჩუნებს რა ორიგინალის მხატვრულ სტილს, ამასთანავე თარგმანში შემოაქვს ქართული ელფერი, რასაც უდავოდ დიდი მხატვრული ოსტატობა სჭირდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რიტმის საკითხიც. რიტმის არსებობა პროზაში ადვირებს ინტონაციას და სრულიად უცვლის სახეს ნაწარმოებს, ამასთანავე აუცილებელია ეს ყველაფერი აისახოს თარგმანში.

მხატვრულ თარგმანში სტილის და ინტონაციის ერთიანობის დაცვა და მათი გადმოტანა უცხო ენაზე რთული მოვლენაა, ამასთანავე დავიწყებული არ უნდა იქნას სინტაქსური წყობაც, რომელსაც პროზაულ თარგმანში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მთარგმნელი აუცილებლად უნდა შეეცადოს თარგმანის ენაზე შექმნას დედნის რიტმული შესატყვისი, მაგრამ არა უცხო სინტაქსური წყობის კალკირებით, არამედ ქართული სინტაქსური საშუალებებით. აღსანიშნავია, რომ არაბი მწერალი ქალების ნოველების ქართული თარგმანის ტექსტი ძალზედ დაახლოებულია ქართული ენის სინტაქსურ წყობასთან. განსაკუთრებით ეს გრძელ ფრაზებზე ითქმის.

პროზაულ თარგმანში, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს შემასმენლის ადგილს. როგორც ვიცით, ქართულში შემასმენლის ადგილი წინადადებაში ზუსტად განსაზღვრული და რეგლამენტირებული არ არის. მთარგმნელი იმის მიხედვით განსაზღვრავს შემასმენლის ადგილს წინადადებაში, თუ რამდენად ემოციური დატვირთვა აქვს შინაარსობრივი თვალსაზრისით ამა თუ იმ წინადადებას, თუ გარკვეულ მონაკვეთს ნაწარმოებში. აღსანიშნავია, რომ ქართულში შეიძლება პრელიკატა წინ უძღოდეს აზრობრივ სუბიექტს.

ამ შემთხვევაში ესა თუ ის წევრი გამოიყოფა ლოგიკური მახვილით. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ კითხვით წინადადებებში გვხვდება. ანალოგიური ტიპის წინადადებები მრავალადაა თითქმის ყოველ ნოველაში, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ზმნის ადგილი ორიგინალსა და თარგმანში და მოვხდინოთ მათი შედარება. აღსანიშნავია რომ ამ ტიპის წინადადებებში განსხვავებული მიმართება შეინიშნება ორიგინალის პრედიკატსა და ქართული თარგმანის პრედიკატს შორის, რაც შესაბამისად აისახება თარგმანში. ებოური თხრობის ტიპის წინადადებებში ქართულ თარგმანში პრედიკატს ადგილი ბოლოშია, სრულიად საპირისპიროდ არაბული ორიგინალის, სადაც პრედიკატი თავშია, ხოლო კითხვით წინადადებებში არაბულისა და ქართულის პრედიკატი ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. ამასთანავე, თარგმანში პრედიკატის ადგილი არ ვეძლევს სრულიად განსხვავებული ინტონაციისა და რიტმის მქონე წინადადებას, არ ქმნის სხვა ემოციურ დატვირთვას.

რაც შეეხება სქესის საკითხს, ნოველების ქართულ თარგმანებში მთარგმნელს გამუდმებით უწევს სქესის დაკონკრეტება ტექსტში არსებული თითქმის ყველა მონაკვეთის. მაგალითად: თქვა კაცმა, გაიციან ქალმა, უბასუხა გოგონამ. არაბულ ორიგინალში ეს არ არის საჭირო, რადგან არაბული ენა ამ ყოველივეს ვაღმოსცემს სქესის საშუალებით. რადგან ქართულ ენას არაბულის მსგავსად სქესის გამოხატვა არ შეუძლია, მთარგმნელი იძულებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიუთითოს სქესი. კალკირების თავიდან ასაცილებლად მთარგმნელი იყენებს სინონიმებს, რათა ტექსტს შეუნარჩუნოს მხატვრული სახე.

თარგმანებში ასევე ვლინდება არაადეკვატური, გამოტოვებული და ზედმეტი (ჩამატებული) თარგმანის ნიმუშები. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ემსახურება ერთ მიზანს, მთარგმნელმა უფრო ზუსტად წარმოგიდგინოს, თუ რისი თქმა სურდა მწერალს არაბულ ორიგინალში. მთავარი კი ისაა, რომ ქართული თარგმანი მხატვრული თვალსაზრისით მაღალ დონეზეა შესრულებული. ამასთანავე არაბი მწერალი ქალების ნოველების პრობლემატიკა განაპირობებს თარგმანების პოპულარობას ქართველ მკითხველში.

ლიტერატურა

ი. მახარაძე, 2009 - ი. მახარაძე, თანამედროვე არაბული ლიტერატურის განვითარების ტენდენციები, თბ., 2009.

თ. საბედაშვილი, 2006 - საბედაშვილი ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები, თბ., 2006.

ლიმილი წყლის ბაგეზე, 2009 - ლიმილი წყლის ბაგეზე, თანამედროვე არაბული პროზის მცირე ანთოლოგია, არაბულიდან თარგმან იზოლდა გრძელიძემ, თბ., 2009.

موسوعة المرأة العربية للأبحاث والنشر, 2004, مصر والسودان, المجلد الثاني, مؤسسة

موسوعة الكاتبة العربية 1999-1873, العراق وفلسطين و الأردن والمغرب العربي, المجلد الثالث, مؤسسة المرأة العربية للأبحاث والنشر, 2004

موسوعة الكاتبة العربية 1999-1873, الجزيرة والخليج واليمن والكتابات

باللغات الأجنبية, المجلد الرابع, مؤسسة المرأة العربية للأبحاث والنشر, 2004

LEILA KVELIDZE

GEORGIAN TRANSLATIONS OF THE NOVELS OF ARAB FEMALE WRITERS

The patterns of Arabic literature were seldom translated, and it was primarily defined by the complexity of Arabic language. Intensive translating work begins from 20th century and several important collections of Arabic writings were published. It should be marked that getting to know the essence of Arabic literature is difficult even for specialists. Complexity is caused by the abundance and diversity of Arabic country, from social and development views. These countries are often combined by just literal language. Every literal Arabic of every concrete country represents the reality characteristic to this country, and understanding of which needs great knowledge from translator.

The subject matter of the article is the Georgian translations of the stories by Arab female writers. I try to find out and represent not only virtue and defect, but serious problems and interesting issues described in those novels.

Main peculiarities of the above mentioned novels is that for Arab female writers large range of gender problems is characteristic for their creative works, which we meet in Arab world and is represented as the matter of interest of west world towards oriental culture.

The most problematic issue for Islam society is fast adoption of democratic values, which is prompted from the west. It mainly refers to gender views, but democracy can't be developed in the circumstances of growing social misbalance. In this case social transformation seems impossible without psychological readiness of society. In Arab countries overtaking the psychological barrier due to which prohibited participation of Arab women in social and political life turned out to be the greatest challenge.

Contemporary Arab women writers go on the tradition of their ancestors, remember society that social and gender discrimination of women still exists in Arab countries. In most cases woman is second hand creature, governed by men and her function is defined by men.

Traditional discrimination and its variety is the subject of Alifa Ripaat, Sulap Hilal, Leila Osman, Busaina Khaddar Mak, Ramzia Abas Iriani, Muna Ash-shapai, Hanan Adarkav's stories. Georgian translations of the works of Arab female writers are combined in the small anthology of Arabic prose – "Smile on the water lips" published in 2009. Georgian translations are done by Izolda Grdzeldize.

Arab women writer like other writers try to answer the most important questions of life. For example: the matter of personal freedom, which is actual not only for oriental audiences but for Georgian readers as well.

For Georgian readers brevity of Arab Women writers is somehow unexpected while discussing several issues, as those problems have never been the subject of special discussion of Georgian society. That's why the attitude of translator is evidently rewarding, with which she chooses materials for translation. The introduction of creative works of Arab women writers is important for Georgian readers. Adequate understanding of texts and finding appropriate stylistics in Georgian language is provided by translator.

გიორგი შაყულაშვილი

ერთხელ კიდევ ვახტანგ ორბელიანის სომიალ-
კოლიტიკური მსოფლმხედველობის შესახებ

ვახტანგ ორბელიანის პოეზიამ საკმაოდ ადრე მიიპყრო ქართული სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება და ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილიდან მოყოლებული ("მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაჯურ-ორბელიანისა", ი. ჭავჭავაძე, 1927, გვ. 261, 274) დღემდე არ დაუქარავს ცხოველი ინტერესი.

განსაკუთრებით ინტენსიური გამოდგა XX საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც ღრმად და მრავალმხრივ იქნა შესწავლილი ჩვენი პოეტის ეროვნულ-პატრიოტული, მხატვრულ-ესთეტიკური თუ მსოფლმხედველობითი სამყარო. თუმცა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არაერთი განსხვავებული მოსაზრებაც გამოჩნდა. სამწუხაროდ, ისეთმა შეფასებებმაც იჩინა თავი, რომელიც, ჩემი აზრით, არ დაუმსახურებია ვახტანგ ორბელიანის შთამბეჭდავსა და საოცარი ლირიზმით გაჭერებულ პოეზიას. ეს განსაკუთრებით მის მსოფლმხედველობაზე, ითქმის (ი. ფერაძე, 1912, გვ. 3-5; კ. კაპანელი, 1927; შ. რაღიანი, 1949; აბ. მახარაძე, 1967; ვახ. კოტეტიშვილი, 1959; გრ. კიკნაძე, 1972).

ამ შეფასებებს ასეთი წინასიტორია ჰქონდა.

1880 წელს ჟურნალ "ივერიაში" დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ოპტიმისტური განწყობის ლექსი "ჩემო კარგო ქვეყანავ", რომელშიც წინასწარმეტყველური განჭვრეტით იყო ნათქვამი, რომ პოეტის სამშობლო ქვეყანას კარგი მომავალი ელოდა. ილიას ოპტიმიზმს საფუძვლად ახალი ეპოქის ახალი თაობისადმი რწმენა ედო. ილია ფიქრობდა, რომ მომავალი თაობის უპირველესი საზრუნავი ქვეყანა, მამული, სამშობლო იქნებოდა.

1883 წელს ვახუთი "დროებაში" გამოქვეყნდა ვახტანგ ორბელიანის "სამშობლო ქვეყნის პასუხი". პოეტი არ იზიარებდა ილიას ოპტიმიზმს. არ იზიარებდა იმიტომ, რომ არ სწამდა ახალი თაობისა.

ლექსის მიხედვით ვახტანგ ორბელიანსაც ჰქონდა იმედი ახალი ეპოქისა. ფიქრობდა, რომ მოხდებოდა ბევრი სასიკეთო ძეგრა, ამაღლდებოდა შრომის კულტურა, თავს იჩენდა ეროვნული ერთიანობა, მოსახლეობა დაეწაფებოდა განათლებას, როგორც მამულის ხსნის ერთ-ერთ პირობას და საუკუნეების განმავლობაში ათასგზის ნატანგი ქვეყანა ბოლოს და ბოლოს აღორძინდებოდა.

სამწუხაროდ, მოვლენები სხვაგვარად წარიმართა:

"ამის ნაცვლად რა ვნახე? შრომის წილ ზარმაცობა,

სწავლის წილ – სმა და ძილი, ძმობის წილ დავა-მტრობა" (ვ. ორბელიანი, 1928, გვ. 82).

ახალმა თაობამ აღდო ვერ აუღო ახალ ეპოქას, არც მოისურვა. ხელი მიჰყო დარდიმანდულ ცხოვრებას და კატასტროფის წინაშე დააყენა ქვეყნისა და ერის მომავალი. მფლანგველობასა და უზრუნველ ცხოვრებას დახარბებულნი, ჩიარჩ-

ვაჭრების ვალებში ჩაფლულნი თავს თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონებით იხსნიდნენ. ასე, რომ ქვეყანა ჩარჩ-ვაჭართა ხელთ აღმოჩნდა. ეს ყოველივე ჩვენი პოეტის ფანტაზია არ ყოფილა. ამის დამადასტურებელი მასალა როგორც ისტორიულ, ისე მხატვრულ სიტყვაშიც არსებობს. ეროვნული ტრაგედია მოსახლეობის დაბალ ფენებსაც შეეხო, გლეხობაც ჩარჩ-ვაჭართა ხელთ აღმოჩნდა. ყოველივე ამის მნახველ პოეტს არ ესმის და არ სწამს ილიას ოპტიმიზმისა:

"ტკბილი ლექსებისათვის ჩემს გულს აღარ სცალია" (იქვე, გვ. 83).

ვახტანგ ორბელიანის ლექსი უკიდურესად პესიმისტური სულისკვეთების არის. ამ ლექსის განწყობილება, მისი ავტორის შერყეული რწმენა და ქვეყნის უბედურების მიზეზად ჩარჩ-ვაჭრების დასახელება გახდა მიზეზი იმისა, რომ უმეტეს ქართველ მკვლევართა შორის ასეთი შეხედულება გამოიკვეთა – ვახტანგ ორბელიანი არის ფეოდალური საზოგადოების აპოლოგეტი და საქართველოში ახლადჩასახული კაპიტალისტური ფორმაციის მოწინააღმდეგე (ჩარჩ-ვაჭარი ბურჟუაზიის სიმბოლოდ იქნა მიჩნეული)¹.

ქართველ მკვლევართა ეს პოზიცია, ჩემი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ მათ ცხოვრება და მოღვაწეობა მოუწიათ კომუნისტურ სისტემაში და იძულებულნი იყვნენ კლასობრივი თეორიის პრინციპებით ეხელმძღვანელათ.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში აღნიშნული მოსაზრება ყველაზე გამოკვეთილად გრ. კიკნაძემ ჩამოაყალიბა:

"... იგი გამოდის სახელმწიფო მოხელეთა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრების წინააღმდეგ" (გრ. კიკნაძე, 1972). თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად ვახტანგ ორბელიანი საქართველოში ახალი ეპოქის ინტელიგენციის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფებოდა (ს. ჭილაია, 1941, გვ. 75, 78, 79)¹.

მაშ, საიდან ჩანს, რომ აღნიშნულ თხზულებაში ვახტანგ ორბელიანმა უარყო კაპიტალისტური სისტემა?

პირდაპირი მინიშნება არ არსებობს. ერთადერთი რაც გამოკვეთილია, უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება ჩარჩ-ვაჭრების მიმართ. რადგანაც ჩარჩ-ვაჭარი ალევორიული სახეა ბურჟუაზიისა, მაშასადამე დამოკიდებულებაც ალევორიულია.

მგონია კი, რომ ასეთი განსაზღვრა არ უნდა იყოს სამართლიანი.

ჯერ ერთი, ანალოგიური დამოკიდებულება შეინიშნება ილიასა და აკაკის როგორც პუბლიცისტურ, ისე მხატვრულ თხზულებებში, თუმცა, თუ არ ვცდები, ამისთვის ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში სერიოზულად არავის არ გამოუთქვამს საყვედური. მაგალითები:

ილია ჭავჭავაძე:

"გლეხობას თავი ვერ დაუხსნია წურბელა მელქენების ვალისა და ვანშისაგან" (ი. ჭავჭავაძე, 1928, გვ. 319).

აკაკი წერეთელი:

"ვაჭარო, მაგ შენ აბაზში

¹ საინტერესო ფაქტია, აკაკი წერეთელი საოცარი პატივითა და სითბოთი გულს უყუთებს ვახტანგ ორბელიანს ჩვენი ქვეყნის უკმარესად ადრეგზავ. იხ. მისი ლექსი "საყავს ვახტანგ ორბელიანს", აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თბუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 89-90.

სისხლი და ოფლი ჩენია“ (ა. წერეთელი, 1950, გვ. 108),

ჩარჩ-ვაჭრისა თუ ბურჟუას პრობლემასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ მე-19 საუკუნის მიწურულსაც კი საქართველოში სავაჭრო ფენის წარმომადგენელთა უდიდესი ნაწილი არაქართველი იყო. ეს ხაზგასმულია აკაკის ზემომოყვანილ ლექსშიც. პოეტი ვაჭარს სტუმრად მოიხსენიებს.

ანალოგიურია ვახტანგ ორბელიანთანაც. პოეტი თავის ქვეყანას ასე ალაპარაკებს:

“ამ ძუძუთი გაზრდილნი ნაჭერ-ნაჭერ მყიდიან,

სხვა და სხვა ურიანი ჩემს პატრონად დგებიან?”

რას ნიშნავს – სხვადასხვა ურიანი, ანუ ებრაელი? ებრაელი ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინია და “სხვადასხვა ებრაელი” უაზრო გამოთქმაა. ამ სიტყვათა წყვილს აზრი მიეცემა მაშინ, თუ “ურისა”, “ებრაელს” ჩარჩ-ვაჭრის მნიშვნელობით ვიხსენებთ. მაშასადამე, ვახტანგ ორბელიანის თქმით, სხვადასხვა ეროვნების ჩარჩ-ვაჭრები ნაჭერ-ნაჭერ ყიდულობენ დეგრადირებული მაღალი წოდებისგან საქართველოს...

ვახტანგ ორბელიანმა ეს პრობლემა უფრო მეტად გამოკვეთა პოემა – ზღაპარში – “რა ნახა ლაზარემ საიქიოს”. ჯოჯოხეთში ტანჯულ მრავალ ცოდვილთა შორის ლაზარემ იცნო ჩარჩი გურგენა, კინტო გასპარი, ჩითის ვაჭარი ბადალ, “ფოდრიანიკი” ტერ-არუთინა.

ვახტანგ ორბელიანის გულის ტკივილი გამოწვეულია არა იმის გამო, რომ ვიღაც ყიდულობს მშობელ ქვეყანას, არამედ იმის გამო, რომ ეს ვიღაც უცხო ტომის წარმომადგენელია, აქ ისმის დრტვინვა არა კლასობრივი პრობლემების, არამედ ეთნიკურის გამო, იმის გამო, რომ ის, რასაც საქართველო ჰქვია, უცხო ტომის, უცხო ეროვნებათა საკუთრებად იქცევა. ვიმეორებ, ვახტანგ ორბელიანის ლექსის იდეა არა კლასობრივი, არამედ ეთნიკურია.

მეორე –

აღსანიშნავია ისიც, რომ ვახტანგ ორბელიანის ეს ლექსი სატირაა თავის კლასზე. უარყოფითი განწყობა ავტორისა საკუთარ თანამემამულეთა მიმართ უფრო მკვეთრად იგრძნობა. ეს ფაქტორი ერთგვარად აფერმკრთალებს ქართული სალიტერატურო კრიტიკის ერთგვარ აგრესიულ შეხედულებას ჩვენი პოეტის მსოფლგანცდაზე.

ვახტანგ ორბელიანის ეს ლექსი ილიას ლექსისაგან მკვეთრად განსხვავდება თავისი პესიმისტური განწყობით და არა იმიტომ, რომ ავტორი, მაღალი ფეოდალური კლასის წარმომადგენელი, დაპირისპირებული აღმოჩნდა საქართველოში ახლად ჩასახულ ბურჟუაზიულ კლასთან, როგორც განმარტებულია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. ვახტანგ ორბელიანი წუხს არა კლასობრივი საფრთხის, არამედ მოახლოებული ეროვნული ტრაგედიის გამო. ბურჟუაზიული რევოლუციები სპობდნენ და აუქმებდნენ მის წინ არსებულ მტრულ ფეოდალურ კლასებს და არა ქვეყნებსა და ერებს. ვახტანგ ორბელიანი ამ უკანასკნელის ინტერესებს იცავს.

იმ ფაქტორზეც უნდა იქნას გამახვილებული ყურადღება, მართალია, ჩვენი პოეტი მაღალი ფეოდალური ფენის წარმომადგენელი იყო, მაგრამ მოახერხა გაეზიარებინა ჩვენი “თერგდალეულების” პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურის შესახებ არსებული მსოფლმხედველობა. იგი თუ იმ მსოფლმხედველობის მატარებელია

პიროვნება იქნებოდა, როგორადაც იგი წარმოდგენილია ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში, მაშინ რა უნდა აკავშირებდეს მას განმანათლებლობასთან, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობასთან, ანტიფეოდალურ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამომხატველ მოძრაობასთან?

რა თქმა უნდა, ვახტანგ ორბელიანი მთლიანად თავისუფალი ვერ იქნებოდა და არც ყოფილა თავისი კლასის შეხედულებებისგან, მაგრამ მან, როგორც პიროვნებამ და შემოქმედმა მოახერხა გამხდარიყო ევროპული ღირებულებების, ევროპის ორიენტაციის მომხრე, მოახერხა დამდგარიყო "თერგდალეულთა" პოზიციებზე, რაც ნათლად გამოჩნდა მისეულ შეხედულებებში ხელოვნების დანიშნულებასა და როლზე საზოგადოებრივი ურთიერთობის დროს.

ჩემი აზრით, ვახტანგ ორბელიანის მხატვრული შემოქმედებისა თუ სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის შეფასების დროს ამ პრობლემებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

ლიტერატურა

კ. კაპანელი, 1927 - კ. კაპანელი, ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, ტფ., 1927.

გრ. კიკნაძე, 1972 - გრ. კიკნაძე, ვახტანგ ორბელიანი, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1972.

ვახ. კოტეტიშვილი, 1959 - ვახ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1959.

აბ. მახარაძე, 1967 - აბ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბ., 1967.

ვ. ორბელიანი, 1928 - ვახტანგ ორბელიანი, ლექსები, ტფ., 1928.

შ. რადიანი, 1949 - შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, I, თბ., 1949.

ი. ფერაძე, 1921 - ი. ფერაძე, ვახტანგ ორბელიანი და მისი პოეზია, ჟურნალი "განთიადი", 1912.

აკაკი წერეთელი, 1950 - ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1950.

ი. ჭავჭავაძე, 1927 - ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, ტფ., 1927.

ი. ჭავჭავაძე, 1928 - ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, 1928.

ს. ჭილაია, 1941 - ს. ჭილაია, ვახტ. ორბელიანი, თბ., 1941.

GIORGI SHAKULASHVILI

ONE MORE ATTEMPT TO ASSESS VAKHTANG ORBELIANI'S SOCIAL AND POLITICAL WORLD VIEW

The Georgian literary science assesses the world view of Vakhtang Orbeliani (1812-1890), one of the most important representatives of Georgian romanticism, as that of a protector of the feudal class and the opponent of the newly risen bourgeois stratum in Georgia. This assessment is based on his poem "Homeland's Response," a polemical work written in response to Ilia Chavchavadze's poem "My Dear Country." Chavchavadze's poem is optimistic in its fervour while Orbeliani's view of his homeland's future is pessimistic because merchants are gradually getting hold of it.

Our literary science perceives merchants as bourgeois and symbols of the capitalist system. Hence, the fact that Vakhtang Orbeliani is not loyal to merchants is regarded as his opposition to the bourgeois system.

This view is not correct.

First, almost all merchants in Georgia were non-Georgians even in the late 19th century.

Second, the merchant in Vakhtang Orbeliani's poem is of non-Georgian ethnic origin.

Hence, the fact that Vakhtang Orbeliani was not loyal to those merchants who had got hold of the poet's homeland almost completely due to their activities should be understood not in the context of confrontation between classes but as his concern caused by an ethnic danger.

რევან შეროზია

კვლავ “განდეგილის” შესახებ

1. “განდეგილი” არამარტო ილიასი, არამედ ქართველური მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოები რომ არის, საკამათო არაა. ლიტერატურის კრიტიკოსთა განსაკუთრებულ ყურადღებასა და აზრთა სხვადასხვაობასაც, ძირითადად, პოემის უნიკალურობა განაპირობებდა.

აუცილებელი არ არის, პოემის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებზე ვისაუბროთ. მათგან გასაზიარებელი ჩანს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით მწირი დამარცხებული კი არა არის, არამედ იგი გამარჯვებულია (ტ. ფუტყარაძე, 2007). თუმცა, ეს მართებული დასკვნა ბუნებრივად აღძრავს კითხვას: თუკი “უფლის ნებით” ბედისგან მოვლენილი განსაცდელი მწირმა დასძლია და ღვთისმშობელმაც მიუტევა ეს უნებლიე (ადამიანური) შეცდომა, რაღად კვავს ილია თავის საყვარელ, “... წმინდანს იგი წამებულს, მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვით ზედა ძლევით მოსილსა და განდიდებულს” გმირს?! რა აზრი ღვეს პოემის ასეთ ფინალში?!

კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისი არაა მხოლოდ პოემის ანალიზი. საჭირო ჩანს, ერთი მხრივ, ილიას შემოქმედებისა და, მეორე მხრივ, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიის გათვალისწინება.

უფლის საყვარელი შვილები, - მწერლები, პოეტები, კომპოზიტორები, მხატვრები ... — თავიდანვე მარტოობისთვის არიან გამზადებულ-შეწირულები, - ფიქრის მეგობრები განცდილ-წანახსა და ნააზრევს მხატვრულ-ემოციური სიტყვიერი მასალით ან ბგერა-ფერებით შემოსავენ და პოროვნების, ქვეყნის (ერის) სატკივარს მალამოდ ადებენ. ფიქრისთვის სულიერი და ფიზიკური “განდეგილობა” ერთადერთი მდგომარეობაა და ამ მძიმე ხვედრს ვერცერთი ხელოვანი თავს ვერ აარიდებს.

2. ახლობლები თავიანთ მოგონებებში აღნიშნავენ, რომ ილიას პატარობიდანვე ახასიათებდა მარტოობისკენ სწრაფვა. ეკლესიის წიაღშიც იგი, როგორც ჩანს, სულიერ და ფიზიკურ სიმყუდროვეს ხედავდა, თუმცა, აღრიდანვე ნაგრძნობმა სამშობლოს სატკივარმა უარი ათქმევინა განზრახვაზე. მაგრამ “მრავალგზით ტანჯულსა და ტანჯვით ზედა ძლევით მოსილსა და განდიდებულს” სიცოცხლის ბოლომდე “ბერობის” სამოსელი არ გაუხდია:

ექვთიმე თაყაიშვილი ილიას სიტყვებს იხსენებს, - “ილია მეტად გულჩათხრობილი ადამიანი იყო ... გვითხა: “შე დარდიანი ადამიანი ვარ, მაგრამ ჩვეულებად არა მაქვს, რომ ჩემი დარდები სხვას გავუზიარო, მევე ვიკვავ გულშიო” ... გულითადი მეგობრები არა ჰყოლია მას” (შდრ.: ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანისადმი).

ერთ-ერთ აღრიდებულ ლექსში “გუთნისდღა” პოეტი იტყვის:

მე ჩემი ჭირის, ჩემი წუხნილის,

ჩემი კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან

გრიგოლ ყიფშიძე აღნიშნავდა: “გარეგნობით დამშვიდებულს, დიდხანს დუმილით ყოფნის მტვირთველს, ადვილად ვერაფერს მიუხვდებოდა, რა მწარე გრძნობა სდუღდა მის გულში”. შემდეგ, “განდგვილზე” საუბრისას, იგი საინტერესო და აშკარად მართებულ მოსაზრებას ვთავაზობს პოეტისა (პიროვნების) და მისი შემოქმედების ურთიერთკავშირის თაობაზე: “ძნელია, თუ არ სრულიად შეუძლებელი, განდგვილის ისეთი ხელოვნებით დასურათება, როგორც ეს ილიამ მოახერხა, მარტოოდენ შემოქმედობის საიდუმლოებათა შემწეობით, მარტოოდენ პოეტურის ინტუიციით, უმისოდ, რომ თვითონაც თვისის გულის სიღრმეში არ ეგრძნოს ძლიერი წყურვილი მარტობისა, დიდი ქართველი სულიერ მღვდელთაგანისა, რელიგიურის ექსტაზით გამოწვეული”.

ილიას პიროვნულ თვისებებზე საუბრისას თანამედროვენი მის სიმკაცრეზე, გულჩათხრობილობაზე მიუთითებენ. გიორგი ლასხიშვილი იგონებს: “ბევრისგან გამიგონია, ილია მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვებე ადამიანიაო. ტყულად ზომ არ ამბობდნენ, რომ “ოთარაანთ ქვრივი” თვით ილიაა, მხოლოდ კაბაში გადაცმულიო... ვერ ვიტყვი, რომ ეს სავსებით მართალი იყოს. ილია უფრო გულჩათხრობილი კაცი იყო, მაგარი, გაუტეხავი, ცოტა ჭიუტიც, მაგრამ სასტიკი არა. გულს ძნელად გაუხსნიდა ადამიანს და თუ გაუხსნიდა კიდევც, თავი მაინც ისე შორს ეჭირა, რომ გაკადნიერებას ვერაფერს გაუბედავდა...”

ილია ერთ ადრინდელ ლექსში ამბობს: “... ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა, ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!” (ან: “დაე, თუნდ მოკვდე, არ მეშინიან ...”). მან კარგად იცის, რომ “ზღვის ძღვეას” “... როს კი სურს, გადამკრავს მძღავრს ხელს და ჩამლუპავს მე თვის ცივსა სიღმეს!”. მაგრამ მაინც უშიშრად, მარტო მიცურავს “ცხოვრების ზღვაში”. და მაინც, ეს “შაგარი, გაუტეხავი” ადამიანი “დარდიანი” და “დიდხანს დუმილით ყოფნის მტვირთველი”.

ილიასა და მწირის შინაგან (სულიერ) და გარეგან (ფიზიკურ) სახეებს შორის მსგავსება ძნელი დასანახი არაა:

“არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნევოდა.

... . . .
სახე გამხდარი, კუშტი და მწყარალი,
სიწმინდის მაღლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდელი გადაჰფენოდა”.

მთავარი მაინც შინაგან სახეთა მსგავსებაა. ორივე ტანჯულია, წამებულია; ორივე უფლის ძალასა და სიყვარულს არის მინდობილი; ორივე გამარჯვებულია ხორცთან ბრძოლაში ...

შენიშვნა: სულისა და ხორცის (გვამ-გონების) “ორთაბრძოლის” თემა ქართველურ პოეზიაშიც ცნობილია. შდრ.: მეგრული “შური მძორიშ

მათხილარი” (სული მძორის დარაჯი, მწყემსი) და ხევსურული “რამ დამაბერა” ივანე წიკლაურისა.

ჭაბუკობისდროინდელ ლექსში (“ლოცვა”) ილია სახარებისეულ თემას მიმართავს:

ოდეს დემონი ურწმუნოების,
უკუთქმისა და მაცდუროების
საწამლავით თვის საესეს მაცდურს
წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძღურს, —
ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს,
ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს,
და უკეთუ არს შესაძლებელი,
მე განმარიდენ იგი სასმელი!
მაგრამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,
განჰჭრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი
და იყავნ ნება, უფალო შენი!

შემდეგ “განდეგილში” ამავე თემას გაიმეორებს პოეტი: “... თუ მაცდური ხარ, სჩანს, ღმერთს სწაღიან, მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს. ამოვედ, ვინც ხარ! ... იყავნ ნება ღვთის!”

კითხვას თუ დავსვამთ: გაუძღეს თუ არა ილიამ და მისმა მწირმა გამოცდას (სულისა და გონების (ზორცის) “კამათში”, შერკინებაში რომელმა გაიმარჯვა? პასუხი სხვადასხვაგვარი შეუძლებელია იყოს, — ორივემ, პოეტმაც და მისმა გმირმაც ერთნაირად, ბოლომდე ატარეს ჯვარი და ორივე უფლის სიყვარულის ერთგული დარჩა. ამიტომ, მიუღებელი ჩანს აზრი, — თითქოს “ილია ჭავჭავაძე განდეგილს კიცხავს და სჯის არა მიწიერის, არა ამქვეყნიური ცხოვრების, არამედ სულის, რწმენის დაღატაკების! ...” (თ. ჭილაძე, 1987, გვ. 28).

შენიშვნა: საერთოდ, გოაცებას იწვევს საუბარი ილიას მიერ მწირის გაკიცხვაზე ... ქრისტეს მცნება, ქრისტიანული მორალი, ქრისტიანობა ქართველობამ იმიტომაც მიიღო ძალდაუტანებლად, რომ ეს ყველაფერი მის ბუნებაში უკვე იყო ... ილია კი ერთი უკეთესი ქართველთაგანია. მეორეადა, პოეტის დამოკიდებულება თავისი გმირისადმი ნათელია, ძიება არ სჭირდება:

“შგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევიტ მოსილსა და განდიდებულს“.

3. კითხვა, — თუ რატომ იყო ილია “დარღიანი ადამიანი”, საფიქრებელია, უშუალოდ უკავშირდებოდეს “განდეგილის” ფინალს. ანუ: რატომ გასწირა პოეტმა თავისი გმირი, რა აზრი ღვეს პოემის ასეთ დაბოლოებაში?

არტურ ლაისტი იგონებდა: “... როცა ილია ამ სიმღერას ისმენდა (“სული მიწუხს, გულიც მასთან ღონდება; თვალს ავახელ — ცრემლები არ მშორდება ...”), ან იჭდა ან ჩაფიქრებული იდგა. ამ დროს სახეზე რაღაც იღუმალი მიწუნარება ენატებოდა, მიხვდებოდი, ილია მოხუცებულობას

გულისტყვივლით გრძნობდა. ენანებოდა, რომ საამქვეყნო სიცოცხლე მთელი თავისი მშვენიერებით დასასრულს უახლოვდებოდა.” შეიძლება ეს ასეც იყო, - პირადული ემოციებისგან არავინაა თავისუფალი, მაგრამ იმავე მოგონებებიდან და, განსაკუთრებით, ილიას შემოქმედებიდან ნათლად ჩანს მისი დარდისა და წუხილის მიზეზები.

ილიამ იცოდა, რომ თვითონ არ არის ის გმირი, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლაში წინ უნდა გაუძღვეს ერს“... ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით!” (გალაკტიონი). არამედ იგი ერის გამომღვიძებელი და საბრძოლო გზის მაჩვენებელია მხოლოდ. ამიტომაც თავიდანვე ასეთ მებრძოლ და მამულისთვის თავდადებულ გმირს ეძებდა. იმედი ჰქონდა, რომ თანამაზრებებსაც იბოვიდა. მაგრამ რეალობა უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა: “... შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!” შემდეგ, პოემა “აჩრდილში”, უფრო მკაცრად იტყვის პოეტი: “აგერ ორს-სამს კაცს რაღაც უგრძნიათ, ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან, ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ და ერთმანეთს კი არ ენდობიან...” ასეთ პირობებში გმირის ძიება უშედეგო აღმოჩნდა. ამიტომაც ცრემლითა და ნაღველით გაქდენილი კითხვა აღმოჰხდება: “მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ესტირი? იგი აღარ გყავთ ... მის მოედანი ჭაგით აღვსილია, ვერანად ქმნილა, გმირის დამბადი დიდი საგანი თქვენში სპობილა და წარწყმედილა”.

პოეტი უფრო მუქ ფერებშიც გვიხატავს ამ სურათს:

“და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვით შორის შენდამი რწყენა
და დაუგდინხარ, ვით ტაძარი გაუქმებული”.

და: “ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი, დიდი სამოთხის კუთხე პატარა, ქედმოდრეკილა ნაღვლით საწყალი, რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყყდარა...”

შენიშვნა: რაოდენ ამაღლევებელია (ამავე დროს, კონტრასტულიც...) გაუბედურებულ-გამწარებელი გაბრიელის სიტყვები, სამშობლოს იძულებით დატოვებასთან დაკავშირებული (შეადარეთ “ყვარლის მთებს”). საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსწავლეებთან შეხვედრისას აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ შენიშნა, რომ “გლახის ნაამბობის” ეს ადგილი ყველა ქართველმა ზეპირად უნდა იცოდესო. სამწუხაროდ, არათუ გაბრიელის პირით ნათქვამი ილიას ეს სიტყვები, “სამშობლო” სიტყვის მნიშვნელობაც აღარ ახსოვს გათითოკაცებულ ქართველობის უმეტეს ნაწილს ...

4. შეიძლება გვეთქვა: “აჩრდილი” (XI-XIV თავების გამოკლებით) წინა, “შემამზადებელი” ნაწილია “განდევლისა”, — პოეტის შემოქმედება (განვლილი ცხოვრების გათვალისწინებით) ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ, რატომ მივიდა იგი “განდევლის” შექმნის იდეამდე; რისი თქმა (“რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!”) სურდა პოემით მშობელი ერისათვის.

“განდევლი” ვისაც ცხოვრებისაგან განდგომის ან ასეკეტიზმის კრიტიკად მიიჩნია, მხედველობის მიღმა ტოვებს პოემის ორ მონაკვეთს. ურთია ის სიყვარულით შეზავებული დამოკიდებულება, რითაც პოეტი თავის გმირს

წარმოკვიდგენს და ასევე (მთავარი), სცენა, სადაც სენაკში დაბრუნებული მწირი ღვთისმშობლის ხატს იმედით შესცქერის:

“გულზედ მოეშო ... კვლავ სასოებით

დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,

კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი

მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.

არ შერისხულა, სჩანს, ჭერედ ღვთისგან!..

და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა ...”

ღიახ, “არ შერისხულა, სჩანს, ჭერედ ღვთისგან” ... და ეს არის ნიშანი იმისა, რომ მწირის სულმა, ღვთიურმა ძალამ ისევ დაჭაბნა “მაცდურება”, “ზორცხედ კვლავ ძლევა ისასწაულა!”

მეორე, რაც პოემის აუცილებელი ნაწილია (შეიძლება ითქვას, გასაღებიც), არის ავტორისეული თქმა (“და იქ, სად წმინდანთ უდიდებით ...”). ცხადია, მწირის სიკვდილის გარეშე პოეტი ბეთლემის ასეთ მდგომარეობას (გავიხსენოთ ქრისტე იერუსალიმის ტაძარში) ვერ დაგვიხატავდა; ვერც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ მისი თანადროული საქართველო ასეთ ბეთლემს ჰგავს (“ტაძარი გაუქმებული”) და არა ისეთს, “სად წმინდანთ უდიდებით ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების” ... თუ არა ამის თქმა, პოეტს თავისუფლად შეეძლო პოემა დაემთავრებინა სიტყვებით: “... და იქავ სხივქვეშ უტყევა სული”.

შენიშვნა: წლების მანძილზე ახლგაზრდებს ასწავლიდნენ, თითქოს ნიკოლოზ ბარათაშვილი დადებითად აფასებდა რუსეთის ეკსპანსიას საქართველოში. თუმცა, პოეტი ავტორისეულ თქმაში (“ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო ...”) ნათლად წარმოაჩენდა თავის პოზიციას ...

ილიას ასეთი უიმედო, პესიმისტური სურათის ამარად არ დაუტოვებია ქართველობა. “განდეგილამდე” ბევრად ადრე დაიწერა “ჩემო კარგო ქვეყანავ”. მაგრამ მთავარი მაინც “ბაზალეთის ტბა” არის, — იმედი, რომ “გმირის დამბადი დიდი საგანი” კვლავ აღორძინდება, “ქართველის დედა” აღზრდის ვაჟეკაცს, რომელიც ტბიდან აკვანს ამოიყვანს და გმირი ქართველობას “ტანჯვის ცრემლს მოსწმენდს”. იმ აკვანში კი ყრმა-თავისუფლება წევს, რომელიც ჭერ კიდევ სათუთია და გაზრდა, მოვლა-პატრონობა სჭირდება ... გმირის სულმა კი უნდა გაუძლოს გამოცდას, ისევე უნდა სძლიოს ხორცს, როგორც მწირის სულმა დაამარცხა მაცდური, მაგრამ გმირი ვერ დაიბადება, მწირი თუ არ მოკვდა, - თესლი ქრება, რათა ახალი სოცოცხლე აღმოცენდეს ...

ილიამ ისეთი “კვალი განათლებული” დაგვიტოვა (თავისი შემოქმედებითაც და მათ შორის “განდეგილით”), რომელშიც ქართველური სული, “მაცდურების” დამორგუნავი, აუცილებლად გაიხარებს, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენ თვითონ არ გავანადგურეთ ისევე, როგორც ეს ოცი წლის წინ და იმაზე ადრეც არაერთხელ “მოგვიხერხებია” ...

ლიტერატურა

- ტ. ფუტყარაძე, 2007 - ტ. ფუტყარაძე, უფლისადმი ლოცვა "გლოვის ღელეში" (კიდევ ერთხელ ილია ჭავჭავაძის "განდევლის" დედააზრის შესახებ): ლიტერატურული დიალოგები, III, ქუთაისი, 2007, გვ. 212-218.
- თ. ჭილაძე, 1987 - თ. ჭილაძე, წინასწარმეტყველი, xN., 1987.

REVAZ SHEROZIA

ABAUT 'HERMIT~ AGAIN

The auther presented Georgia's situation of the second half of thr 19 th century in ris poem.

This article presents the idea about this topic according to Ilia chavchavadze's works and biography. The hermit is winnesr of struggle with the temptation of the world. Ilia kills him in order to show us Geotgian's main problems by representing the isolated Bethlehem.

როლუ ცაილერი

ქ. ულმი დ ულმის საქალაქო ბიბლიოთეკა

ნაშრომში განხილულია გერმანიის ქალაქ ულმისა და ამავე ქალაქის ბიბლიოთეკის ისტორია.

გერმანიის სამხრეთ ნაწილში, დუნაის პირას მდებარე ულამაზესი ქალაქის- ულმის სახელწოდება პირველად 854 წელს გვხვდება უძველეს წერილობით წყაროებში. ქალაქი ცნობილია არაჩვეულებრივი გოთიკური სტილის ეკლესიით, ულმის კათედრალური ტაძრით, რომლის სიმაღლე 161,53 მ-ია. ამ ქალაქში დაიბადა მისი საამაყო შვილი ალბერტ აინშტაინი.

ულმს შეძლებულ მდიდარ ქალაქს უწოდებენ. ხოლო მისი უძველესი მოსახლეობა ბეჭით და შრომისმოყვარე ადამიანებად არიან ცნობილი. აქ საოცრად ლამაზად არის ერთმანეთთან შერწყმული ძველი და ახალი, უძველესი და თანამედროვე არქიტექტურული ძეგლები.

35 მ. სიმაღლის ბიბლიოთეკის მინის პირამიდის გვერდით დგას ულმის უძველესი რატუშა, რომელიც 1414 წლით თარიღდება. ორივე შენობა ერთმანეთის გვერდით საოცარ კონტრასტს ქმნის.

ბიბლიოთეკაში შესვლისას თვალში გვხვდება უზარმაზარი მისაღები სივრცე, საიდანაც ხედები სპირალის ფორმის უჯრედში ან მოსრიალე ლიფტით შემდეგ სართულებზე. ბიბლიოთეკის შენობა რ სართულიანია, ყველაზე თანამედროვე საბიბლიოთეკო ავეჯით. მე-6 სართულზე მოთავსებულია მკითხველთა კაფე, საიდანაც ქალაქის ცენტრის ღიბებული პანორამა იშლება.

ბიბლიოთეკა დაარსდა 1516 წელს. ის მოიცავს 500 000-ზე მეტ წიგნსა და ელექტრონულ მონაცემთა ბაზებს. პირველ სართულზე ყველა საინფორმაციო საშუალებაა: დისკები, კასეტები, სცენარები, კომიქსები, ბესტსელერები, შარჟები, ბიბლიოთეკის მალაზია. ბიბლიოთეკას აქვს აგრეთვე მუსიკალური განყოფილება, რომელიც ხმის გაუმტარ სივრცეში თავის მკითხველს, ელექტრონულ პიანინოზე ნოტების გასარჩევად ეპატივება. ყველა მკითხველისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული მომსახურება უფასო ინტერნეტით. აქ ეწყობა ცნობილ ავტორთა ნაწარმოებების განხილვა, მოხსენებები, ექსკურსიები, ახალი წიგნების კითხვა. სემინარები და ბრმათათვის და ბრმათათვის აქვს ბიბლიოთეკას ხელსაწყოები, რომლებიც საშუალებას აძლევს ასეთ მკითხველებს გაეცნონ მათთვის სასურველ ლიტერატურას. ნაშრომის პრეზენტაცია მოხდა Pover Point- ის საშუალებით.

ROLF ZEILLER

Lektor des Deutschen Akademischen Austauschdienstes (DAAD) an der Akaki-Zereteli-Universität Kutaisi

Und Beate Rausch

Übersetzerin russischer Literatur ins Deutsche

Ulm und die Ulmer Stadtbibliothek

Im Jahre 854 n. Chr. erstmals als Hulma erwähnt, liegt Ulm an der Donau im Süden Deutschlands und zählt heute über 120.000 Einwohner. Besiedelt war die Gegend in Ulm, um Ulm und um ulm herum (so ein bekannter deutscher zungenbrecher) schon seit Menschengedenken. Zeugnis davon legt der seit 2011 im Ulmer Museum ausgestellte Löwenmensch ab, eine ca. 35.000 Jahre alte, aus Mammut-Elfenbein geschnitzte Statuette. Die unweit von Ulm in einer Höhle gefundene, etwa 30 cm hohe Figur gilt als das älteste bekannte Kunstwerk der Menschheitsgeschichte. Doch weit über die Grenzen Deutschlands hinaus berühmt ist Ulm in ertsten Linie für seine alles überragende Kirche, das Ulmer Münster. Im Jahre 1377 legte der damalige Bürgermeister den Grundstein und bedeckte ihn zusammen mit anderen Bürgern der Stadt mit Goldgulden. Die Ulmer machten sich daran, ausschließlich von ihnen selbst finanziert, die größte Kirche des Heiligen Römischen Reichs zu errichten. Über 500 Jahre später, im Jahre 1890 wurde der gotische Bau schließlich vollendet. Wer heute nach oben will, um bei klarem Wetter den Ausblick auf die etwa 100 km entfernten Alpen zu genießen, muss exakt 768 Stufen hochsteigen. Wer es vorzieht, unten zu bleiben, muss auf der Münstervorplatz mächtig den Hals verrenken, um den 161,53 m hohen Kirchturm in seiner ganzen Pracht zu bestaunen.

Die Geschichte Ulms verlief äußerst wechselhaft. Von schwierigen Anfängen, über Blütezeiten als bedeutendes Handelszentrum bis hin zu Niedergang, Bankrott und Hungersnot, - die Ulmer haben im Laufe der Jahrhunderte viele Höhen und Tiefen erfahren. Ihre dunkelsten Jahre erlebte die Stadt während der Nazizeit, welche über die Ulmer jedoch keineswegs hereinbrach wie ein Unglück, sondern an der viele von ihnen begeistert und aktiv mitwirkten. Doch nicht alle taten dies. Ein mutiges Beispiel für den Widerstand gegen die Faschisten war die Münchener Studentengruppe „Weiße Rose“ um die Geschwister Scholl, deren Mitglieder das Verteilen von Flugblättern gegen Hitler schließlich mit ihrem Leben bezahlten. Geboren und aufgewachsen waren Sophie und Hans Scholl in Ulm. Ein weiterer berühmter Sohn der Stadt ist kein Geringerer als Albert Einstein. Allerdings war das weltberühmte Genie eher ein relativer Ulmer, verbrachte er doch von seinen 76 Lebensjahren gerade einmal 15 Monate in Ulm- eine eher kurze Zeitspanne also. Sein Verhältnis zu seiner Geburtsstadt war zweispältig: Nachdem er im Jahre 1922 den Nobelpreis erhalten hatte, veranlasste der Ulmer Gemeinderat, ihm zu Ehren eine Straße „Einsteinstraße“ zu benennen. 1933 emigrierte Albert Einstein in die USA, da er in Deutschland als Jude um sein Leben fürchten musste. Die Nationalsozialisten benannten die

Einsteinstraße um in „Fichtestraße“. Nach Kriegsende wurde im Sommer 1945 aus der Fichtestraße wieder die Einsteinstraße, worauf sich Einstein wie folgt äußerte: „Ich glaube, ein neutraler Name, z.B. „Windfahnenstraße“, wäre dem politischen Wesen der Deutschen besser angepasst und benötigte keine Umtaufen im Laufe der Zeiten“.

Am Ende des Zweiten Weltkrieges waren 80% der Ulmer Innenstadt durch Bombenangriffe zerstört – allein das Ulmer Münster blieb wie durch ein Wunder weitgehend verschont. Nun galt es, möglichst rasch die Trümmer zu beseitigen und die Stadt wieder aufzubauen. Dass hierbei Ästhetik und Qualität nur eine untergeordnete Rolle spielen konnten, liegt auf der Hand. Gut 50 Jahre später begriff man, dass beim Wiederaufbau Bausünden begangen worden waren, man spricht von „Nachkriegssünden“. Ulm ist eine wohlhabende Stadt mit fleißigen Menschen (die Arbeitslosenquote beträgt 3,5%), kurzum, man beschloss, noch einmal von vorne zu beginnen. Widerum wurden Gebäude abgerissen, aufs Neue verwandelte sich das Zentrum der Stadt in eine Großbaustelle, ein unterirdisches Parkhaus wurde gebaut, über der Erde bemühten sich die Architekten, der Stadt ein neues, ein modernes Gesicht zu verleihen. Doch nach Ansicht mancher Bürger waren die Baumeister ihrer Epoche allzu weit vorausgeeilt, nicht alle Einwohner und alle Besucher der Stadt empfinden die „Neue Mitte“ Ulms als geglückt. Doch die überwiegende Mehrheit ist hoch zufrieden mit dem Ergebnis und weiß zu schätzen, dass versucht wurde, Altes und Neues miteinander in Einklang zu bringen. Vor allem ist es gelungen, die Innenstadt autofrei zu machen, Fußgänger und Radfahrer teilen sich friedlich den Raum, auf dem Platz vor dem Münster finden Wochenmärkte statt, auf denen Bauern und Händler wie eh und je ihre Waren anbieten. Steht man am Ufer der Donau in Neu-Ulm und schaut auf das Panorama Ulms, so kann man feststellen, dass es sich nicht wesentlich von der auf mittelalterlichen Kupferstichen abgebildeten Stadt unterscheidet. Ulms Silhouette wird durch die neu entstandenen Bauten nicht gestört, die Höhe der alten Bebauung nicht erheblich überschritten.

Eines der vor kurzem im Zuge des Rückbaus der architektonischen Nachkriegssünden entstandenen Gebäude ist die Jahre 2007 eröffnete Kunsthalle Weishaupt für zeitgenössische Kunst. Doch wenden wir uns nun der Ulmer Stadtbibliothek zu. Der Neubau in Pyramidenform wurde im Jahre 2004 eröffnet. Wie schon erwähnt, ist Ulm eine wohlhabende Stadt, deren „Ureinwohner“, die Schwaben, als fleißig gelten, und es verstehen, mit Geld umzugehen. Auch die im Laufe der Jahrzehnte hinzugekommenen Ausländer – man nennt sie nicht mehr „Gastarbeiter“ – fühlen sich in Ulm längst zu Hause und sind mindestens ebenso tüchtig. Dies gilt auch für die aus dem Inland Hinzugezogenen, auf Schritt und Tritt hört man Sächsisch und andere deutsche Dialekte. Mit anderen Worten, die Stadtkasse von Ulm ist gut gefüllt und das prächtige Gebäude spiegelt den Wohlstand seiner Erbauer und Benutzer wieder. Zusammen mit der Kunsthalle zeugt es davon, dass die Ulmer in der Mitte ihrer Stadt nicht nur Konsumtempel und Banken haben, sondern auch der Bildenden Kunst und Literatur, kurzum der Bildung von jung und alt einen Platz geben wollen.

Unmittelbar neben der 35 Meter hohen Glaspyramide der Bibliothek steht das alte Ulmer Rathaus von 1419. Beide Gebäude bilden zusammen einen spannenden

Kontrast. Doch die Pyramide greift auch zahlreiche Merkmale der umliegenden Altstadt Häuser auf. Die Spitze der Pyramide ist den Spitzgiebeln der in der Nachbarschaft erhalten gebliebenen Bauten aus Spätgotik und Renaissance nachempfunden. Gehen wir nun in die Bibliothek hinein. Zunächst treten wir in den großzügig angelegten Empfangsraum. Von hier aus gelangt man über ein spiralförmiges Treppenhaus oder mit einem lautlos gleitenden, transparenten Aufzug in der weiteren Etagen. Die Bibliothek hat sechs Stockwerke, ausgestattet mit modernen, gut zugänglichen Bücherregalen, mit Lesetischen und bequemen Stühlen und Sesseln. Im 5. Stock befindet sich das Lesecafe, das zum Verweilen einlädt. Dort kann man die Tageszeitungen lesen und Zeitschriften blättern oder einfach den großartigen Panoramablick über die Innenstadt genießen.

Die Bibliothek der Stadt Ulm wurde im Jahre 1516 gegründet. Bestand damals: 400 Bände. Heute besitzt die Bibliothek über 500.000 Medieneinheiten, d.h. Bücher und elektronische Datenträger. Im Erdgeschoss gibt es alles, was einem eher unspezifischen Informationsbedürfnis der Benutzer entspricht, was zufällig hereingeschnittene Besucher anspricht und zum Stöbern einlädt: DVDs, CD-ROMs, Hörbücher, Bestseller, Ratgeber, Comics und Cartoons, Saisonbücher, den Bibliotheksshop. Die Bibliothek bietet auch eine Musikabteilung, in der ein schalldichter Raum mit elektronischem Klavier zum Anspielen von Noten einlädt. Überdies gibt es Computerarbeitsplätze mit kostenlosen Internetnutzung. Isoliert ist man in der Bibliothek nirgends. In allen Ecken des Gebäudes sind Sessel zu kommunikativen Sitzgruppen aufgestellt. Auch die Arbeitsplätze liegen nicht abseits in einem separaten Lesesaal, sondern im hellen Randbereich zur Fassade hin- zum Teil mit attraktiven Ausblicken auf die Stadt.

Die Bibliothek ist Online rund um die Uhr erreichbar. Es gibt eine Abteilung für die Kinder und Jugendliche. Häufig werden Veranstaltungen angeboten, wie z.B. Lesungen bekannter Autoren, Vorträge, Führungen usw. Erwähnt sei schließlich, dass es in der Ulmer Stadtbibliothek Geräte gibt, die auch Blinden und Sehbehinderten einen Zugang zur Literatur eröffnen.

Nach dem Unterhaltsamen Schmökern im Büchern oder der intensiven Lektüren in sekundärer Literatur kann man im Lesecafe trinken, ein Eiß essen oder sich ein Glas Württemberger Wein genehmigen und dabei durch die Fenster der Glaspyramide dem Treiben unten zusehen. Ulm ist eine gemütliche Stadt, aber durch aus mit Blick auf die Zukunft. Der Auftritt der Stadt Ulm auf ihrer offiziellen Internetseite beginnt entsprechend: „Ulm- die Wissenschaftsstadt in der Innovationsregion“.

Dazu noch eine abschließende Anmerkung. In den 1960er Jahren begannen die Ulmer auf dem etwa 10 km vor den Toren der Stadt liegenden hügeligen, seit alters hier „Eselsberg“ genannten Gelände mit dem Bau einer Universität. Im Jahre 1967 wurde die „Medizinisch-Naturwissenschaftliche Hochschule Ulm“ eröffnet. Sie ist die jüngste Universität Baden-Württembergs. Ab Mitte 1980er Jahre kamen im Zuge des Ausbaus der „Wissenschaftsstadt“ weitere Gebäude hinzu. Außerdem siedelten namhafte innovative Unternehmer wie Daimler, Nokia und Siemens in unmittelbarer Nähe der Universität ihre Forschungs- und Entwicklungszentren an. Die Straße, die sich durch das Universitätsgelände zieht, heißt – „Alber-Einschtein-Alle“. Zur Zeit sind an der Universität Ulm annähernd 9000 junge Leute, darunter rund 1000 aus dem Ausland, eingeschrieben. Sicher sitzen einige von ihnen gerade eben in der Glaspyramide der schönen Ulmer Stadtbibliothek und lesen.

ROLF CAILER**THE SUBJECT MATTER OF THE ARTICLE IS THE HISTORY
OF ULM AND ITS LIBRARY**

The name of Ulm a picturesque city on the bank of the Nile, in the South of German, is mentioned first in 854 in the ancient written resources. The city is known for its old gothic church, the cathedral church of Ulm, the height of which is 161,53m. It's the city where Albert Ainstain was born.

Ulm is considered to be the wealthy city. And the ancient population of it is known as hardworking people. Here you can see the extremely beautiful panorama of old and new, ancient and modern architectural buildings.

Next to the 35m height glass pyramid of library is the ancient self-governance building which is dated by 1414. Both building make awesome contrast.

When entering the library you see the enormous entrance space, from where you find yourself in the spiral shape cell, or at the next floors with sliding lift. The library building consists of six floors, with most modern library furniture. On the sixth floor there is a café for readers, from where you can enjoy seeing the breathtaking panorama of 5the city centre.

Library was found in 1516. It contains more than 500 000 books and bases of electric data. You can see all kinds of informational facilities: disks, cassettes, scripts, commixes, best sellers, charges, the shop of the library. The library has a music department as well, which invites the readers to use the electric piano, in sound resisted environment. Free computer service with internet access is available for any readers. The reviews of the works of famous writers, reports, excursions, reading of new book are held here. Library has the special equipments for visually impaired and hard of hearing people, which enable such readers to get to know their desirable literature. The presentation of works is made by Power Point.

ანტონ ლორთქიფანიძე

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა დაარსდა 1873 წელს, ანტონ ლორთქიფანიძის მიერ.

ანტონ ლორთქიფანიძის ბიოგრაფიულ მონაცემებსა და მის პიროვნულ თვისებებზე საინტერესო ცნობებს იძლევა მისივე ნეკროლოგი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ "კვალში", 1894 წლის 30 ოქტომბერს (№45). სტატიის ავტორი არის სილოვან (სილოვან ხუნდაძე-რ. წ.).

ნეკროლოგში ნათქვამია, რომ "თ. ანტონ ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 47 წლისა," იქვე აღნიშნულია, "ამ დღეებში უდროით გამოგვესალმა საუკუნოთ კარგად ცნობილი იმერეთში თ. ანტონ ლორთქიფანიძე". რამდენადაც ნეკროლოგი 1894 წლის 30 ოქტომბერს დაიბეჭდა, ე. ი. ანტონი გარდაიცვალა 1894 წლის ოქტომბერში და ამ დროისათვის იყო 47 წლის. შესაბამისად, დაბადებულია 1847 წელს. 1871 ან 1872 წელს (რადგან ავტორი წერს: "თუ არ ვცდებით") მან დაასრულა ოდესის უნივერსიტეტის სრული კურსი და დაბრუნდა სამშობლოში. აქედან მოყოლებული გარდაცვალებამდე ანტონ ლორთქიფანიძე აქტიურად მონაწილეობდა "თავის სამშობლო ქალაქის საქმეებში". ანტონის ინიციატივით ქუთაისში ჩამოყალიბდა სცენის მოყვარეთა საზოგადოება და ხშირად იმართებოდა ქართული წარმოდგენები. ერთ-ერთ სპექტაკლში ("გაყრა") თავადაც მიიღო მონაწილეობა, როგორც მსახიობმა და ყურადღება მიიპყრო ოსტატური თამაშით. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციით: "ცოტა ხანს შემდეგ ის ამოარჩიეს ქალაქის დეპუტატთა და წინააღმდეგა იმდროის გუბერნიის მმართველის თვითმნებელობას. ამ დროს ქალაქის დეპუტატების დაუკითხავათ გაიყიდა რამდენიმე ძვირფასი ნაჭერი მიწა. თ. ანტონ ლორთქიფანიძის მეთაურობით შედგა დეპუტაცია, რომელიც წარუდგა მაშინდელს კავკასიის სამოქალაქო გამგეობის უფროსს ბარონ ნიკოლაის და მოახსენა ქუთაისის საქალაქო საქმეების ცუდი მდგომარეობა. დეპუტაციამ იშუამდგომლა, რომ ქუთაისსაც მინიჭებოდა ახალი საქალაქო თვით-გამგეობა. მთავრობამ კანონიერათ იცნო ეს თხოვნა და თანახმა გახდა".

მცირედი სხვაობით, თითქმის იმავეს ადასტურებს იოსებ იმედაშვილის მიერ შეკრებილი მასალა. იოსებ იმედაშვილი დაზუსტებით გვეუბნება, რომ ანტონ ლორთქიფანიძემ 1872 წელს დაასრულა სწავლა ოდესაში. რაც შეეხება დაბადების თარიღს, სამწლიანი სხვაობა იმედაშვილისა და სილოვანის მონაცემებს შორის. "ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1850 წ. ქუთაისის მაზრაში, ს. გოჩა-ჭიხაიშში. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, 1872 წელს დაასრულა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იღებდა მონაწილეობას იმ დროინდელ სტუდენტთა მოძრაობაში. ქ. ქუთაისის საბჭოს ხმოსანი და ქალაქის თავის მოადგილე. ბოლო ხანებში ეწეოდა კვირილობას. დააარსა ქუთაისში პირველი წიგნთ-საცავ სამკითხველო. დიდი ღვაწლი მიუძღვის

ქუთაისის თეატრის დაარსებაში. ერთ ხანს ტფილისის დასის რეჟისორიც იყო. ამ დარგში მას ეხმარებოდა მისი მეუღლე ელენა, იგივე ლოლა, დიმიტრი ყიფიანის ასული. გარდაიცვალა 1894წ. დაკრძალულია ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიაში" (იოსებ იმედაშვილი).

ინტერნეტში, რუსულ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში არსებობს ცნობები ანტონ და ელენე ლორთქიფანიძეებზე (სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართულ ინტერნეტ-სივრცეში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი ამ პიროვნებების შესახებ): ისინი სახელდებიან, როგორც კავკასიის ხალხოსანთა ორგანიზაციის წევრები, რომლებიც 1876 წელს დაპატიმრებული იყვნენ. ნათქვამია, აგრეთვე, რომ ანტონმა დააარსა ბიბლიოთეკა ქუთაისში. ყოველივე ეს ჩვენთვისაც ცნობილია, ყურადღებას იქცევს ანტონ ლორთქიფანიძის დაბადების თარიღი:

Лордкипанидзе, Антон, князь. Род. ок. 1847 г. Содержал в Кутаисе библиотеку. Принадлежал к революц. кружку, образованному в 1875 г. на Кавказе. Привлечен к дознанию, возникшему в окт. 1876 г., по делу о революц. пропаганде в Тифлисск. и Кутаисск. губ., по обвинению в знании о существовании революцион. кружка и в недонесении. По выс. пов. 26 июля 1878 г. дело о нем разрешено в администр. порядке с заключением в тюрьму в течение месяца.

Справки (Н. Кипиани, В. Лосаберидзе). — Доклады 1878, II, 398—410. — Справ. листок.

მონაცემების წყაროდ მითითებულია - "Деятели революционного движения в России: Библиографический словарь: От предшественников декабристов до падения царизма: [В 5 т.]. - Изд-во Всесоюзного общества политических каторжан и ссыльно-поселенцев, 1927-1934." ინტერნეტში განთავსებულია ლექსიკონის ხუთივე ტომის ელექტრონული ვერსიაც და იქვეა ანოტაცია: ლექსიკონი წარმოადგენს უნიკალურ გამოცემას, უკვე დიდიხანია შეფასებულია, როგორც ბიბლიოგრაფიული იშვიათობა. იგი შედგენილია რუსეთის არქივებში დაცულ მასალებზე დაყრდნობით. ჟანდარმერია უდიდესი პასუხისმგებლობით აწარმოებდა თითოეული პოლიტიკურად არასაიმედო პერსონის პირად საქმეს. შეუძლებელია, მათ დაზუსტებით არ სცოდნოდათ ანტონ ლორთქიფანიძის დაბადების თარიღი. ჟანდარმერიის მიერ შედგენილი ოფიციალური დოკუმენტი გაცილებით საიმედოა, ვიდრე იოსებ იმედაშვილის ცნობა. ამასთან სილოვან ხუნდაძეც ხომ 1847 წელს ასახელებს ანტონ ლორთქიფანიძის დაბადების თარიღად.

ანტონ ლორთქიფანიძე აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადო საჭირობორტო დებატებში. იგი შეუნიღბავად აფიქსირებდა თავის შეხედულებებს და გარედან არ უტკებრდა საზოგადოებრივ პროცესებს.

ანტონ ლორთქიფანიძე შეუძლალავი რებუტაციით გამოირჩეოდა, ამიტომ ბევრი დაჭფუფება თუ პარტია ცდილობდა ესარგებლა მისი ავტორიტეტით. ზოგადად ანტონის პიროვნებას სილოვან ასე ახასიათებს: "ჩვენი ანტონი ძალიან საყვარელი კაცია, გამცოცხლებელი, შემაქცევარი, ერთი სიტყვით ნამდვილი ჩვენებური დარბაისელი თავადიშვილია, კარგი ამხანაგი, კარგი ძმა, კარგი მეგობარი" - გაისმოდა ყოველგან... მისი სიკვდილი ყველას გულს დასწყვეტს, ვინც კი დაახლოვებით იცნობდა მის მანჯილ-გონებინას და მოსწრებულს სიტყვად

პასუხს. ეს კაცი მართლაც დაბადებული იყო საზოგადო მოღვაწეობისათვის და თუ თავის მკვირცხლი ნიჭის შესაფერი შედეგი არ ჰქონდა მის ცხოვრებას, ბრალი საეხსებო ედება იმ ხელ-ფეხ-შემკვერელს გარემოებას, რომლითაც მოცულია ჩვენი ცხოვრება“.

ნეკროლოგის ბოლოს მოთავსებულია ლექსი, რომელიც ეძღვნება ანტონ ლორთქიფანიძის ხსოვნას. ლექსში კარგად არის წარმოჩენილი ანტონის პიროვნული ღირსებები: კეთილშობილება, მამულიშვილობა, ჩაგრულთა გვერდით დგომა:

“ცხოვრებისაგან დაჩაგრულები,
ვართ სევდით, ჭმუნვით გარემოცული:
ო, გვესალბუნე ჩვეულებრივად,
მკვირცხლ-მახვილ სიტყვით დაგვიტკბე სული!

ურთერთის მტრობა, შური ზღვით იქცა,
გულზე გვევლება შხამისა ზვირთი...
ო, გულკეთილო! ტკბილი საუბრით
შეგვიმსუბუქე ეს მძიმე ტვირთი!“.

გაზეთ “კვალის” იმავე ნომერში (1894 წლის 30 ოქტომბერი, №45) გამოქვეყნებულია აგრეთვე ანტონ ლორთქიფანიძის მეუღლის — ელენე ყიფიანის ნეკროლოგი. “აგერ ოთხი წელი სრულდება, რაც გარდაიცვალა ერთი ჩვენი საუკეთესო ქალთაგანი ელენე ლორთქიფანიძისა, ნეტარ-ხსენებული დიმიტრი ყიფიანის ასული და აქამდის ჩვენდა სამწუხაროდ არა თქმულა რა ჩვენს ჟურნალში“. როგორც ირკვევა, ელენე მეუღლეზე ოთხი წლით ადრე — 1890 წელს გარდაცვლილა. რაც შეეხება დაბადების თარიღს, ისევ რუსული ელექტრონული ბაზები უნდა მოვიშველიოთ:

Кипиани, Елена Дмитриевна, дочь действ. статск. советн., двоюродн. сестра Мих. Кипиани. Род. ок. 1855 г. Привлекалась к дознанию, возникшему в окт. 1876 г., по делу о револ. пропаганде в Тифлисск. и Кутаисск. губ., по обвинению в знании и недонесении о существовании кавказск. Пропагандистск. кружка, участницей которого она была. По выс. пов. 26 июля 1878 г. дело о ней разрешено в администр. порядке: приговорена к денежному взысканию в размере 100 рубл., а в случае неуплаты к десятидневному аресту.

Доклады 1878, II, 393–410. — Справ. Листок.

ელენეს დაბადების თარიღში ცოტაოდენი ცდომილება კიდევაც რომ იყოს, როგორც ვხედავთ, იგი სრულიად ახალგაზრდა, დაახლოებით 35 წლისა გარდაცვლილა. საინტერესო მინაწერი აღმოჩნდა ლოლა და მამო ყიფიანების სურათზე, რომელიც ნიკო ნიკოლაძის არქივშია დაცული: “Дочь Дмитрия Кипиани Лола Кипиани вышла замуж за кн. Лордкипанидзе (либерала и хор. оратора), в которого была влюбл. Машико Хелтуплишвили.“ “ელენე ყიფიანი იყო ღირსეული ასული ღირსეულის მამისა. არაფერი კაც საქმე ისე არ დაიწყებოდა, რომ ელენე მისი სული და გული არ გამზღარყო“.

ელენე ყიფიანს არ ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, მაგრამ დაჯილდოებული იყო ბუნებრივი ნიჭიერებით და აღზრდილი გახლდათ საუკეთესო ოჯახში. იგი თბილისში აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა: ელენეს ინიციატივით, 1873 წელს ჩამოყალიბდა თეატრის მოთამაშეთა დასი, მანვე შექმნა ქართველი ქალბატონებისაგან პატარა წრე. მათი მთავარი საქმიანობა მთარგმნელობითი მუშაობა იყო. ასევე ცდილობდნენ, წერა-კითხვა გასწავლებინათ ქართველი საზოგადოებისათვის. როდესაც ელენე ყიფიანი ესთხოვდა და დასახლდა ქუთაისში, აქაც შეკრიბა ქუთაისელი მანდილოსნები და გაავრცელა როგორც მთარგმნელობითი, ისე პედაგოგიური საქმიანობა-“შედიოდა სხვა-და-სხვა ოჯახებში, ყველას ახალისებდა სამუშაოთ და ვისაც მოკითხვის ბარათის მეტი თავის ღღეში არა დაეწერარა, იმათაც კი აღებინებდა კალამს ხელში“. ქალთა წრესთან ერთად იგი გამოსცემდა ყოველთვიურ სალიტერატურო ჟურნალს “ქართული ბიბლიოთეკა“. ელენესა და მისი მეგობრების ასეთი აქტიური ჩართვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში გასაკვირი სულაც არ არის, ამ პერიოდში საზოგადოებას თავმჯდომარეობდა დიმიტრი ყიფიანი. ელენე ასევე ღიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ გალობას და ცდილობდა მათ ჩაწერას. “ის ყოველი სწავლის მსურველისათვის გზის მაჩვენებელი და წამახალისებელი იყო, მისგან ფულის მოგროვება, თეატრის გამართვა ღარიბ მოსწავლეთათვის თითქმის შეუძლებელი მოვლენა იყო. ელენე დიმიტრის ასული სიკვდილამდის იყო თავმჯდომარეთ ქუთაისის სათავად-აზნაურო შკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტისა. გადაჭარბებაში ნუ ჩამოგვართმევთ, თუ ვთქვათ, რომ ბევრი ახალთაობიდან მისი გამოზრდილი არიან ტკბილი სიტყვით, ღარიგებით და ფულის მიწოდებით“. როგორც ვხედავთ, ელენე ყიფიანი ხელმძღვანელობდა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტს. ამ ღიდ საქმეში მის გვერდით იყვნენ მეუღლე-ანტონ ლორთქიფანიძე და ძმა — ნიკოლოზ ყიფიანი. სიმონ ხუნდაძე თავის მონოგრაფიაში “დიმიტრი ყიფიანი” გვაწვდის ძალიან საინტერესო ფაქტს: “1880 წ. 17 ნოემბრის თარიღით მეფის მოადგილის მთავარი სამმართველოს გამგის მოვალეობის აღმასრულებელი პესჩუროვი სრულიად კონფიდენციალურად სწერდა დ. ყიფიანს: “ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სასწავლებლის საბჭოში შედიან ისეთი პირები, რომელნიც ან პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი კავკასიის რევოლუციური წრის საქმის გამო ან მასთან ახლოს იდგნენ. ამ პირთა შორის აღნიშნული არიან: ანტონ ლორთქიფანიძე, მისი ცოლი ელენე და ძმა უკანასკნელის ნიკოლოზ ყიფიანი. ღიდი მთავრის მეფის მოადგილის ძმანების წარმოებული ძიების ცნობებით აღმოჩნდა, რომ 1876 წ. ანტონ ლორთქიფანიძე და მისი ცოლი, ნამდვილად იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი ქუთაისში მანვე პოლიტიკური წრის შედგენის გამო და ნიკოლოზ ყიფიანი კი 1869 წ. უმაღლეს სასწავლებელში მომხდარ არეულობათა გამო გადმოსახლებულ იქმნა სანკტ-პეტერბურგიდან კავკასიაში და იმყოფებოდა პოლიციის თვალყურის ღევნების ქვეშ.

იმ ნათესაობითი ურთიერთობის გამო, რომელიც გაკავშირებს თქვენ აღნიშნულ პირებთან და იმიტომ, რომ არა ჰსურთ, ამ შემთხვევაში, წარმოებული იქნას რაიმე ძალდატანებითი ზომები, მისმა უმაღლესობამ ინება გამოეთქვა სურვილი, რომ მათი მოშორება დაწესებულებიდან მოხდეს მათივე განცხადების თანახმად. ამიტომ ზელმწიფემ, მთავარმარაუხებელსა, იწყება ჩემთვის მოენდო,

რათა გთხოვოთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ამ საქმეში სრულიად კონფიდენციალური მონაწილეობა და დაარწმუნოთ ანტონ ლორთქიფანიძე, მისი ცოლი და ნიკოლოზ ყიფიანი, რომ ნებაყოფლობით განაცხადონ უარი აღნიშნული სკოლის საბჭოს წევრთა სახელწოდებაზე“.

ლიმიტრი ყიფიანის საპასუხო წერილში ნათქვამია, რომ “სანკტ-პეტერბურგიდან მოყოლებული ცნობები ამოკრებილია იქ არა ნათელ წყაროდან... ანტონ ლორთქიფანიძეს ბრალდებოდა, რომ მის ბიბლიოთეკაში ოდესღაც დადიოდნენ არაკეთილსაიმედონი, ნიკოლოზ ყიფიანის დანაშაულობა იყო ის, რომ 11 წლის წინათ მან თავის ამხანაგებთან ერთად სთხოვა უნივერსიტეტის გამგებებს, რათა დაეშვათ მათი სასარგებლო ზოგიერთი შერბილება უნივერსიტეტის გამგებლების შინაგან განწყობების საქმეში, კენინა ლორთქიფანიძეს კი იმაში, რომ ის ისმენდა პეტერბურგიდან ჩამოსული სტუდენტის, თავისი ბიძაშვილის რაღაც ბოძებებს და არ დაასმინა ის. დანახვა ამაში პოლიტიკური არაკეთილსაიმედობისა ნიშნავს — ჩემი აზრით — მოსაჩვენარის სინამდვილედ აღიარებას.

ლორთქიფანიძეები ცოლი და ქმარი და ყიფიანი, როგორც უნდა იყოს მათი მოწაფეობის დროინდელი ცხოვრება, ამქამად სარგებლობენ თავიანთი წრის პატივისცემით, როგორც შეუბღალავი ზნეობის ადამიანები“.

ლიმიტრი ყიფიანის გონივრულმა პასუხმა შედეგი გამოიღო და მოხერხდა ამ ადამიანთა სკოლის კომიტეტში დატოვება. ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა 1880 წლის 3 თებერვალს დაარსდა, პ. პესჩუროვის წერილი იმავე წლის 17 ნოემბრით თარიღდება. ნეკროლოგში აღნიშნულია, რომ ელენე ყიფიანი სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტს გარდაცვალებამდე უძღვევოდაო, ე. ი. ელენე ლორთქიფანიძისა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტს თავმჯდომარეობდა 1880-1890 წლებში. კირილე ლორთქიფანიძის არქივში დაცულია ანტონ ლორთქიფანიძის ხელწერილი: “მივიღეთ კირილე ლორთქიფანიძისაგან სამას ორმოცდა ათი მანეთი სააზნაურო სკოლის სადგომების შესაკეთებლათ. ქ. ქუთაისი, 31 ივლისი, 1888წ“. ხელს აწერენ ანტონ და სიმონ ლორთქიფანიძეები. აღნიშნული დოკუმენტი კიდევ ერთი დადასტურებაა ანტონ ლორთქიფანიძის მოღვაწეობისა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში, რომელიც პირველი ქართული სკოლა იყო. მართალია, ამ პერიოდში ქალაქში მოქმედებდა ვაჟთა კლასიკური გიმნაზია, წმინდა ნინოს სახელობის ქალთა და სასულიერო სასწავლებლები, მაგრამ ისინი რუსული ორიენტაციისა იყო. სათავადაზნაურო ქართული სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სწავლებას ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით წარმართავდა და სასწავლებელშიც ქართული სული ტრიალებდა.

ცნობილი ფაქტია, რომ ლიმიტრი ყიფიანი გაურკვეველ და საეჭვო სიტუაციაში მოკლეს 1887 წელს, სტავროპოლში. მომხდარმა ქართველი საზოგადოების დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ტფილისის გუბერნატორი ყოველნაირად ცდილობდა, ლიმიტრი ყიფიანის დასაფლავების დღეს არ დაეშვა სახალხო პროტესტი, მაგრამ უშედეგოდ. ქვეყნისა და თავისი ოჯახისათვის ამ მძიმე დღეებშიც ანტონ ლორთქიფანიძე ჩვეული ღირსებით ხასიათდება. კონფიდენციალურ მოხსენებაში განათლების მინისტრ, გრაფ დ. ტოლსტოისადმი მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი წერდა: “.მიუხედავად იმისა, რომ ჩემი განკარგულებები შესრულებული იქნა სისწორით, მიცვალებულის ნათესავებმა, მისმა ძმისწულმა ტფილისის ნოტარიუსმა დავით ყიფიანი და სიძემ ოაჯალია

ლორთქიფანიძემ, უარი განაცხადეს პოლიციის მოთხოვნის ასრულებაზე, გენერალ მაიორ იანოვსკის განუცხადეს, რომ გასვენებაზე მთავრობა არ არსებობს, არამედ ყველაფერს განაგებს ყიფიანის ქვრივი, რომ პროცესია უფრო ადრე დაბრუნდება უკან, ვინემ წავილოდეს ნაჩვენები გზით.

ყველა ამის შემდეგ, თუ თქვენი ბრწყინვალემა დაინახავს აუცილებლათ, რომ დაძნალებით მიმართ მივმართო ადმინისტრაციულ ზომებს, მაშინ, ჩემის აზრით, ნოტარიუს ყიფიანსა და თავად ლორთქიფანიძეზე, რომელთაც გამოიჩინეს ამ საქმეში არაკეთილსამიერად აზრები, უნდა დაწესდეს პოლიციის აშკარა მეთვალყურეობა, მათ საცხოვრებელ ადგილზე“.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ პ. პესჩუროვის წერილში ანტონ და ელენე ლორთქიფანიძეები დასახელებული არიან, როგორც პოლიტიკურად არასამიერო პირები, რომლებიც რევოლუციური წრის წევრები იყვნენ ან ახლოს იდგნენ მასთან. საქართველოს რევოლუციის მუზეუმისა და საქართველოს ცენტრალური არქივების ფონდებში დატული მასალები ადასტურებს, რომ ანტონ და ელენე ლორთქიფანიძეები ნამდვილად იყვნენ ქუთაისის ხალხოსანთა ორგანიზაციის წევრები. ამასვე ამტკიცებს რუსულ ინტერნეტ-სივრცეში განთავსებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზებიც, რომლებიც რუსულ საარქივო მასალებს ეყრდნობა, ამის თაობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ტფილისის ყანდარმთა სამმართველოს უფროსის თანამემწე, შტაბს-კაპიტანი ქრისტოფოროვი თავის მოკლე “ზაპისკაში” წერს: “ქუთაისის გუბერნატორისაგან გადმოგზავნილი ცნობებიდან სჩანს, რომ რამდენიმე ახალგაზრდამ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში განიზრახეს საზოგადოების შედგენა, ხალხის მომზადება, აჯანყების მოწყობა და ავრცელებენ ხალხში რევოლუციონური შინაარსის წიგნებს ქართულად გადათარგმნის, კრებენ ხალხში ფულს და გამოიწერეს საზღვარგარეთიდან 1600 ცალი აკრძალული წიგნი და საბეჭდავი მანქანა.

მთავარი ხელმძღვანელი ამ საზოგადოებისა არის ესტატე (ევანტე) იოსელიანი (ტფილისში). აგრეთვე ლებულოზენ მეტად მხურვალე მონაწილეობას- მიხილ ყიფიანი და ისიდორე ქიქოძე, რომელიც იმყოფება ოსმალეთში (როგორც სჩანს, ჩვენი საზღვრების ახლოს). ჯერ-ჯერობით ჩვენ გვაქვს ცნობები ამ საზოგადოების 40 წევრის შესახებ“. ჩამონათვალში დასახელებულია ანტონ ლორთქიფანიძე. ამასვე ადასტურებს კიდევ ერთი საარქივო დოკუმენტი სახელწოდებით "Заметки о лицах привлеченных к дознанию". დოკუმენტში ჩამოთვლილი უამრავი ქართველი და რუსი ახალგაზრდა, რომლებიც კავკასიაში ან რუსეთში მუშაობდნენ და საქართველოში ხალხოსნური იდეების გავრცელების საქმეს ემსახურებოდნენ. აქაც სახელდება ანტონ ლორთქიფანიძე — ქუთაისიდან და ლოლა ყიფიანი — ქუთაისიდან. სადავო აღარაა, რომ ისინი იყვნენ ხალხოსანთა საზოგადოების წევრები. საზოგადოებაში ანტონს ძირითადად აკრძალული ლიტერატურის შენახვა-გავრცელება ევალებოდა. ზემოთხსენებული ყანდარმერიის შტაბს-კაპიტანი ქრისტოფოროვი 1876 წლის სექტემბერში თავის მოხსენებაში წერდა: “..წიგნების საწყობი აქვთ მიხილ ყიფიანის, ანტონ ლორთქიფანიძის, გაბიჩაძის და გიმნაზიის მოწაფის ყიფიანის ბინებზე. წიგნთსაცავს ქუთაისში მოაწყობენ და შეინახავენ ანტონ ლორთქიფანიძე, ისიდორე ქიქოძე, მიხილ ყიფიანი პეტერბურგელი სტუდენტების დახმარებით, საიდანაც დაურიგდება აკრძალული წიგნები პროპაგანდისტებს და ახალგაზრდაობას.

...მთავარი სამოქმედო ბაზა მათი არის ტფილისი, ქუთაისი, გორი, თელავი და ოზურგეთის მაზრა. წიგნების საწყობები განიზრახული აქვთ იქონიონ

ქუთაისში: მიხეილ ყიფიანის, ვარლამ გაბიჩვაძის, გიმნაზიის მოწაფე ყიფიანის, ანტონ ლორთქიფანიძის ბინებზე.

...აკრძალული წიგნები აქვს შემდეგ პირებს, რომლებიც კიდევ მოვლიან უცხოეთიდან ლიტერატურას: ლევან ჩერქეზოვს (ტფილისი), არსენ კალანდაძეს, ანტონ ლორთქიფანიძეს (ქუთაისი), მიხეილ ყიფიანს...“.

ქრისტოფოროვს დავალებული ჰქონდა ხალხოსნების ყოველი ნაბიჯის კვლევა-ძიება და მათ “მავნე მოღვაწეობასთან” ბრძოლა. ჯერ კიდევ 1876 წლის ივლისისათვის ჟანდარმერიამ ქართველი ხალხოსნების შესახებ თითქმის ყველაფერი იცოდა. ამ მხრივ მათ დიდ დახმარებას უწევდა ხალხოსნების ორგანიზაციის წევრი იაგორა იოსელიანი, რომელიც ამავდროულად ჟანდარმერიის აგენტი იყო. იმავე წლის სექტემბრის დამდეგს ხელისუფლებამ დაასრულა კიდევ საიდუმლო ძიება, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო დაპატიმრებების დაწყებას არ ჩქარობდა. ანტონ და კირილე ლორთქიფანიძეებმა ქუთაისში საიდუმლოდ გაიგეს ვუბერნატორის გადაწყვეტილება ორგანიზაციის მთლიანი ლიკვიდაციის შესახებ. ანტონმა ბიბლიოთეკიდან აკრძალული ლიტერატურის გატანა და გადამალვა მოასწრო. 1876 წლის შემოდგომაზე მართლაც დაიწყო ხალხოსანთა დაპატიმრებები. გაჩხრიკეს ანტონის ბიბლიოთეკის ფონდიც, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. 9 დეკემბერს შტაბს-კაპიტანი ქრისტოფოროვი საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს ატყობინებდა, რომ დავალება სისრულეში მოიყვანა და დაპატიმრა ხალხოსანთა ორგანიზაციის წევრები. ჩამონათვალში დასახელებული არიან ანტონ ლორთქიფანიძე და ელენე ყიფიანი. მტკიცებულებების უქონლობის გამო, ხელისუფლებამ მათი მკაცრად დასჯა ვერ მოახერხა. ანტონსა და ელენეს ბრალი დასდეს ტფილისისა და ქუთაისის ვუბერნიებში რევოლუციურ-პროპაგანდისტული ჯგუფების არსებობის ცოდნასა და არგათქმვაში, რისთვისაც შეეფარდათ ადმინისტრაციული სასჯელი: ანტონ ლორთქიფანიძეს მიესაჯა პატიმრობა ერთი თვით, ხოლო ელენე ყიფიანს — ფულადი ჯარიმა 100 მანეთი, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში — პატიმრობა 10 დღით.

როგორც ვხედავთ, ეროვნული მსოფლმხედველობის გამო ანტონ ლორთქიფანიძეს მუდმივად თვალთვალისა და დევნის პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, მან თავისი მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ვალი პირნათლად მოიხსნა.



ანტონ ლორთქიფანიძე მეუღლესთან ერთად

ლიტერატურა

- ლ. გაბუნია, 2006 - ლ. გაბუნია, ქუთაისი - დიდი საგანმანათლებლო ცენტრი, ქუთ., 2006.
 გრ. გიორგაძე, 1929 - გრ. გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლუცია, ტფ., 1929.
 „კვალი“, №45 - გაზ. „კვალი“, 30 ოქტომბერი, №45, 1894.
 სპებ, ნიკო ნიკოლაძის არქივი, NP - 721.
 ქსიემ, ფონდი №2173/786.
 ზ. შველიძე, 1960 - ზ. შველიძე, რევოლუციურ - ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960.
 ს. ხუნდაძე, 1936 - ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, ტფ., 1936.

RITA TSAKADZE

ANTON LORTKIFANIDZE

The subject matter of the article is the biographical information of Anton Lortkifanidze – the founder of Kutaisi Scientific Library and the well-known public figure, the article gives the precise details of his public work, which suffers the lack of publicity.

The significant notes about the life and public work of Anton Lortkifanidze can be found in the obituary, published in the newspaper “Kvali” (the trait) 1894. The materials of the same level are contained in the works collected and published by Ioseb Imedashvili.

After graduating the faculty of law from the University of Odessa, Anton established the book depository – the library, he made a valuable contribution in founding the theatre of Kutaisi as well.

The article gives the information about his wife Elene (Lola), the daughter of Dimitri Kipiani, the worthy companion of his, who was actively involved in public processes. She was the initiator of forming the union of women, and the magazine “The addition of Georgian Library” was started. Elene and her friend women were actively involved in the works of the society spreading reading and writing skills among Georgians.

In the 70-80s of XIX century the populist movement became active in Georgia. Anton and his wife were blamed to have connections with them. Simon Khundadze writes about this fact in his monographic work “Dimitri Kifiani” In 1976 Anton and his wife were arraigned for participating in sabotaging political unions. Elene’s brother Nikoloz was watched by police.

The materials kept in the museum of Georgian revolution and in central archive confirm that Anton and Elene Lortkifanidzes were the genuine members of the populist movement of Kutaisi. The captain of the gendarmery of Kutaisi headquarters Kristoforov names Anton and Elene Lortkifanidze in his report, for whom the store house of literature was banned, along with Gabichvadze and Mikheil Kifiani.

In the autumn of 1976 the library fund of Anton was searched but the banned literature wasn’t found there, Anton and Kirile Lortkifanidzes had got the secret information beforehand, however Anton and Elen Lortkifanidzes were imprisoned for a small period.

Anton Lortkifanidze had to work in terms of constant circumstances of being watched and persecuted for his national approaches and social works, despite of these facts he sincerely made his contribution for his nation.

ემზარ ჭანტურიძე

ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დანული
წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ

წიგნში "ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ III" შეტანილია სამი ბერძენი მწერლის — პოლიბიოსის, დიოდორე სიცილიელისა და დიონისე ჰალიკარნასელის თხზულებები. წინამდებარე წიგნში შესული სამივე ავტორის შრომები გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები, საძიებლები და კომენტარები დაურთო პროფ. თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1977 წ.

1. ძვ.წ. II ს. ძველი ბერძენი ისტორიკოსის პოლიბიოსის ნაშრომათა შორის აღსანიშნავია 40 წიგნისაგან შემდგარი ისტორიული ჯანრის თხზულება "ისტორია". მასში აღწერილია მსოფლიო ისტორიის ძვ. წ. II ს. 70 წლიანი პერიოდი, რომლის თვითმზილველი და მონაწილეც უმეტესად თვითონ იყო. "ისტორიაში" დაცულია საინტერესო და სანდო ცნობები საქართველოს სამხრეთ და დასავლეთ მხარეებში მცხოვრები ქართველური ტომების შესახებ. ავტორი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა შორის. ამდენად, მისი თხზულება წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს საქართველოს ძველი პერიოდის ისტორიის კვლევისას.

2. ძვ. წ. I ს. ბერძენი ისტორიკოსის დიოდორე სიცილიელის შრომებს შორის მთავარი ადგილი უკავია "ისტორიულ ბიბლიოთეკას", რომელიც 40 წიგნისაგან შედგება. თხზულება დაწერილია ძვ.წ. I ს. მეორე ნახევარში. მასში აღმოცემულია მსოფლიო ისტორია (ძირითადად საბერძნეთისა და იტალიის) უძველესი პერიოდიდან გაიუს იულიუს კეისრის მიერ გალიის დაპყრობამდე. მასში, ასევე, დაცულია ცნობები საქართველოსა და ქართველური ტომების (ტაოზები, ფასიანები, ხალდეები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, ტიბარენები) შესახებ.

წინამდებარე ნაშრომის შესავალში პროფ. თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ "ბევრი პირველხარისხოვანი პირველწყარო (ქსენოფონტე, პოლიბიოსი, ტიმოასი, ევროსი, თეოპომპე დიონისიოსი, თუციდიდე კტესიას კნიდელი...) დიოდორე სიცილიელის წყალობით არის მოღწეული ჩვენამდე (თ. ყაუხჩიშვილი, 1977, გვ. 41). "ისტორიული ბიბლიოთეკა" ერთ-ერთი საუკეთესო პირველწყაროა საქართველოს ძველი პერიოდის ისტორიის კვლევისას.

3. დიონისიოს ჰალიკარნასელის (ძვ.წ. I ს.) შრომათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია "რომის სიძველეთმცოდნეობას", რომელშიც გადმოცემულია რომის ისტორია დასაბამიდან პუნიკური ომების დაწყებამდე (ძვ.წ. 264 წ.). დიონისიოსის თხზულების წერისას უსარგებლია ანტიკური პერიოდის ავტორთა (ჰეროდოტე კარდიელი, ტიმოიოს სიცილიელი, ანტიგონოსი, პოლიბიოსი, სილენოსი, ლუციუს ალიმენტუსი, ფაბიუს პიქტორი...) შრომებით. თხზულებაში დაცულია ცნობები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველურ ტომებზე (კოლხები, მაკრონიუსი, მელაქლადნები, მოსინიკები, აქეები, კანები, ჰენიოზები, პეტაკომეტები).

← 4. ძვ.წ. V—IV სს. ცნობილი მკურნალის, მეცნიერული მედიცინის ფუძემდებლის ჰიპოკრატეს მრავალრიცხოვან შრომათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მის თხზულებას “ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ”, რომელშიც მოიპოვება ცნობები საქართველოზე, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველურ ტომებზე (ფასისელები, კოლხები, მაკროკეფალები, მაკრონები - სტრაბონის მიხედვით სანები). აღწერილია ამ ტომების აღნაგობა, საქმიანობა და ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები. საუბარია, ასევე, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, კლიმატზე, სამკურნალო მცენარეებზე. ავტორს უსარგებლია უფრო ადრინდელი ავტორების (ჰიკატაიოს მილეტელი, ჰეროდოტე) შრომებით, მაგრამ თავის თხზულებაში, უმეტესწილად დაფიქსირებული აქვს თავისი შეხედულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, პროფ. თ. ყაუხჩიშვილის აზრით, “ავტორს აქვს პირადი დაკვირვებები ხალხებზე, ტომებსა და მათ საცხოვრისზე. აქ მას ლიტერატურული წყარო არ სჭირდება. კოლხიდის ბუნების ის აღწერილობა, რაც ამ ნაწარმოებში არის, არსად სხვა ავტორთან არ გვხვდება, არც მანამდე და არც მერე. ხოლო სურათი, რომელიც აქ არის დახატული, უდავოდ ზუსტია (თ. ყაუხჩიშვილი, 1965, გვ. 17). ამდენად, ჰიპოკრატეს ნაშრომი სანდო წყაროა ანტიკური პერიოდის საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

წიგნი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო პროფ. თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965 წ.

↗ 5. ახ. წ. VI ს. მოღვაწის ალექსანდრე კვიპრელის (იგივე ალექსანდრე სალამინელი) ქრონიკის “საკითხავი პონენისათვის ცხოველსმყოფელისა პატიონისა ჭურისა და ქებაჲ შესხისისაჲს” ტექსტის ქართული თარგმანი შემონახულია რამდენიმე ქართულ ხელნაწერში, რომელთაგან უფრო სრულია იოანე ზოსიმეს მიერ 986 წელს გადაწერილი ხელნაწერი. ტექსტს აკლია დასაწყისი, დაბოლოება და ცნობა ავტორის შესახებ.

ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკის ქართული თარგმანი შედარებულია თხზულების ბერძნულ რედაქციას, რამაც კიდევ ერთხელ გახადა ცხადი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ თარგმანებს როგორც ბიზანტიელ, ასევე ქართველ ავტორთა თხზულებების შესწავლის საქმეში. ნაშრომი მოიცავს ძირითადად ახ.წ. I-IV სს. მასში დატულია ცნობები ამავე პერიოდის ბიზანტიისა და საქართველოს შესახებ.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1978 წ.

ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V. წიგნში შეტანილია ორი ავტორის: იოსებ ფლავიუსის და არიანეს შრომები. ტექსტი ძველი ბერძნულიდან ქართულად თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1983 წ.

↗ 6. იოსებ ფლავიუსი, ახ.წ. I ს. ებრაელი ისტორიკოსი (ვრცელი ინფორმაცია იხ. “გეორგიის” I ტ., თბ., 1961 წ., გვ. 271-27. ფლავიუსის “მოთხრობანი იუდაებრივისა ძველ სიტყუაობისანი” ტ. I — 1987 წ., ტ. II — 1988 წ., ნაშრომი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. მეღიკიშვილმა; ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული II. ქუთაისი, 2010 წ., გვ. 255)

† 7. ფლავიუს არიანე (კეინტუს ეპიუს ფლავიუს არიანუსი) ახ.წ. II ს. ბერძენი მოღვაწე, რომაელი მოქალაქე (გეოგრაფოსი, ისტორიკოსი, სახელმწიფო მოხელე). მას დარჩა მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო თხზულება “მოგზაურობა შავი ზღვის გასწვრივ” (“პერიპლუსი”). არიანეს ის დაუწერია 130-131 წწ. ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ბერძნული პირის დედანი დამატებითურთ. ლათინური დედანი დღეისათვის დაკარგულად ითვლება. წიგნში აღწერილია არიანეს მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო მარშრუტით – ბიზანტიონი – ტრაპიზონი – დიოსკურია – ბიზანტიონი. ამ თხზულებას ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მასში დასახელებულია ქართველური ტომები (კოლხები, ლაზები ხანციხები, ტაოხები, ფსიანები), აღწერილია მათი საქმიანობა და განსახლების არეალი, დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა. ავტორი ეხება არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის საკითხებს, იზიარებს მოსაზრებას პრომეთეს კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალზე მიჯაჭვის ვერსიას.

არიანეს მოწოდებული ცნობები სანდოა, რადგან ის თვითმხილველია იმისა, რასაც აღწერს. გარდა ამისა მას გამოუყენებია უფრო ძველი წყაროები (ჰეროდოტე, ქსენოფონტე, პოლიბიოსი, დიოდორე სიცილიელი, პტოლემეოსი, არისტობულე...), როგორც სახელმწიფო მოხელეს ხელი მიუწვდებოდა საარქივო დოკუმენტებზე.

ამდენად არიანეს შრომები და მათ შორის “მოგზაურობა შავი ზღვის გასწვრივ” შესანიშნავი პირველწყაროა ანტიკური პერიოდის საქართველოს ისტორიის შესასწავლად (იხ., ასევე, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადი, II, ქუთაისი, 2010, გვ. 266).

აკაკი ურუშაძე, ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში. წიგნი შეტანილია საქართველოს უძველესი ქალაქის – ქუთაისის – ისტორიის ამსახველი წყაროებიდან (ბერძენი და რომაელი ავტორების შრომები) ამოკრებილი მასალა; ტექსტები ბერძნულ-ლათინურიდან თარგმნა, გამოკლევდა, საძიებლები და შენიშვნები დაურთო აკ.ურუშაძემ, თბ., 1993 წ.

† 8. ჰომეროსი ძვ. წ. IX-VIII სს. ბერძენი პოეტი. მის “ილიადასა” და “ოდისეაში” დაცულია პირველი წერილობითი ცნობა კოლხეთსა და მის დედაქალაქ აიაზე. ჰომეროსის პოემებს თან ახლავს ანტიკურ ხანაშივე შედგენილი შენიშვნები – ე.წ. სქოლიონები და XII საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწის ვესტატი თესალონიკელის განმარტებანი “ოდისეასათვის”.

† 9. კილიკური ეპოსი, ანუ “წრიული ეპოსი”; ძვ. წ. VIII-VI სს. შეთხზული პოემები. აღნიშნული თხზულებების მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე შემორჩენილი. არის მოსაზრება, რომ მასში შეტანილი სიუჟეტები აღებულია უძველესი კორინთელი ვერსიიდან.

† 10. ევმელიოს კორინთელი, ძვ. წ. VIII ს. პოეტი “კორინთიაკის” ავტორი მას დაუმუშავებია და პოემის სახით გადმოუტანია არგონავტთა თქმულების კორინთული ვერსია.

† 11. მიმერმე, ძვ. წ. VII-VI სს. პოეტი, რომელსაც თავის ელევგიების კრებულ “ნანოში” შეტანილი აქვს არგონავტების თქმულებებიც.

† 12. პინდარე, ძვ. წ. VI-V სს. პოეტი, საგუნდო ლირიკის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი, რომელსაც, სხვა ავტორებთან შედარებით, უფრო ვრცლად დაუმუშავებია თქმულება არგონავტებზე.

ჟ. 13. ევრიპიდე, ძვ. წ. V ს. დრამატურგი, პოეტი. მისი თქმულებებიდან ჩვენამდე სრულადაა მოღწეული ტრაგედია "მედეა", მასვე ეკუთვნის ტრაგედიები: "ონო", "ფრიქსე", "ჰიფსიპილე", "პელიასის ქალიშვილები", "ეგესი".

ჟ. 14. აესულია არგონელი, ძვ. წ. VI ს. ლოგოგრაფოსი, რომლის თხზულებების უმეტესი "გენეალოგიები" ჩვენამდე ფრაგმენტების სახითაა მოღწეული და, უმეტესწილად, ის დაცულია "არგონავტიკის" სქოლიონებში.

ჟ. 15. ჰეროდოტე, ძვ.წ. V ს. საბერძნეთის ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი (გრეკლი ინფორმაცია იხ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული II, ქუთაისი, 2010, გვ. 255); ჰეროდოტეს "ისტორია" - ტ. I - 1975 წ., ტ. II - 1976 წ. გამოსაცემად მოამზადა, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა.

ჟ. 16. ქსენოფონტი, ძვ. წ. V-IV სს. ცნობილი ათენელი სამხედრო სტრატეგი, ისტორიკოსი. მის "ანაბასისში" დაცულია ცნობები ქართველურ ტომებზე (უფრო ვრცლად იხ. ასევე თ. მიქელაძე, ქსენოფონტეს "ანაბასისი", თბ., 1967, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, ტ. II, 2010, გვ. 255).

ჟ. 17. სკილაქს კარიანდელი, ძვ. წ. VI-V სს. ბერძენი ლოგოგრაფოსი (იხ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, ტ. II, 2010, გვ. 255; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967).

ჟ. 18. ლიკოფრონ ქალკიდელი ძვ.წ. III ს. მოღვაწე. მის პოემა "ალექსანდრაში" დაცულია ცნობები დასავლეთ საქართველოს - კოლხეთის, მისი დედაქალაქის კუტაიას // ქუთაისის და არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის შესახებ. ლიკოფრონის პოემა "ალექსანდრას" XI ს.-ის ხელნაწერს თან ახლავს საყურადღებო ცნობათა შემცველი სქოლიონები შედგენილი ძვ.წ. I ს. მოღვაწის თეონ ალექსანდრიელის მიერ. ასევე "ალექსანდრას" განმარტებები შედგენილი XII საუკუნის მოღვაწეების ისააკ და იოანე ცეცეების მიერ. მასში დაცულია ბევრი საყურადღებო მითოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის), ქუთაისის, აიგტის, მედეას და მათთან დაკავშირებული სიუჟეტების შესახებ.

ჟ. 19. კალიმაქე კვირინელი, ძვ.წ. IV-III სს. ელინისტური ეპოქის მოღვაწე, აპოლონიის როდოსელის მასწავლებელი. მისი მრავალრიცხოვანი თხზულებებიდან ჩვენამდე შედარებით სრულადაა მოღწეული 6 ჰიმინი და 64 ეპიგრამა. დანარჩენი შრომებიდან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. კალიმაქეს თხზულების "მიზუზოთა" მეორე წიგნში აღწერილია არგონავტების კოლხეთიდან დაბრუნების ამბები. ფრაგმენტებში მოხსენიებულია ქუთაისი, აიგტი, მედეა, კოლხეთი, კოლხები, ფასისი.

ჟ. 20. ძვ.წ. III ს. მეცნიერის, პოეტის აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკაში" საყურადღებო ცნობებია დაცული დასავლეთ და სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს // კოლხეთის, აქ მაცხოვრებელი ქართველურ ტომთა და საქართველოს უძველესი ქალაქის — ქუთაისის შესახებ. ავტორს არგონავტიკაზე მუშაობისას შეუსწავლია და გამოუყენებია მრავალი წყარო. პოემის ტექსტს თან ერთვის შემდგომი პერიოდის კომენტატორთა განმარტებანი სქოლიონთა სახით, რომელთა მნიშვნელობა ძალიან დიდია. მასში ხშირად დაამოწმებული და ციტირებული ანტიკური ხანის ისეთი ავტორები, რომელთა სახელები ამ სქოლიონებიდანაც ცნობილი. თხზულებებში და სქოლიონებში

საუბარია კვირბების შესახებ, რაც მაუწყებელია იმ უძველეს ეპოქაში საქართველოში დამწერლობის არსებობაზე. ამდენად, ძალიან ღირსია "არგონავტიკის" მნიშვნელობა საქართველოს უძველესი პერიოდის კვლევის საქმეში.

აღნიშნული თხულება, რომელიც 4 წიგნისაგან შედგება, დღევანდლამდე სრული სახითაა მოღწეული. ბერძნული ტექსტის თარგმანი შესრულებულია აკ. გელოვანის მიერ. ნარკვევი შენიშვნები და საძიებლები ნაშრომს დაურთო პროფ. აკ. ურუშაძემ, თბ., 1975 წ.

№21. ძვ.წ. III ს. ბერძენი პოეტის ეფერიონის თხზულება "დიონისეს" ჩვენამდე არ მოუღწევია. მხოლოდ პატარა ფრაგმენტებია დაცული XII ს. სასულიერო მოღვაწის ვესტათი თესალონიკელის "განმარტებებში", სადაც ნახსენებია ქუთაისი და მდგა.

№22. ძვ. წ. II ს. ალექსანდრიული ხანის ათენელი ბერძენი მითოგრაფოსის, ისტორიკოსისა და ლექსიკოგრაფის აპოლოდორეს მრავალრიცხოვან თხზულებებს შორის გამოირჩევა "ბიბლიოთეკე", რომელიც სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი მითების კომენტარების კრებულშია. მასში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი არგონავტიკის მითს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აპოლოდორეს თხზულებაში, "ღმერთთათვის" საუბარია კვირბების შესახებ (იხ., აგრეთვე, აპოლონიოს როდოსელის "არგონავტიკა"). აპოლოდორეს და აპოლონიოს როდოსელის ცნობები კვირბებთან დაკავშირებით კიდევ უფრო განამტკიცებს მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებას უძველეს პერიოდში ქართული დამწერლობის არსებობის შესახებ.

ამდენად, აპოლოდორეს შრომებში დაცული ცნობები ფასდაუდებელი წყაროა საქართველოს უძველესი პერიოდის ისტორიის კვლევის საქმეში.

№23. ძვ.წ. I ს. ბერძენი ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი (იხ. ზემოთ, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადეული II, ქუთაისი, 2010 წ.).

№24. გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსის და გეოგრაფის სტრაბონის (ძვ. წ. 64-ახ.წ. 19 წწ.) ძირითად ნაშრომს წარმოადგენს "გეოგრაფიკა", სადაც დაცულია ცნობები მთელი კავკასიის და მათ შორის საქართველოს შესახებ. თხზულებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი არგონავტიკის კოლხეთში ლაშქრობისა და პრომეთეს შესახებ არსებულ თქმულებებს. აღწერს დასავლური ქართველური ტომების სამეურნეო საქმიანობას, აღნიშნავს ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრის (ოქროს, ვერცხლის, რკინის საბადოები) შესახებ, საუბარია კოლხეთში ოქროს მოპოვების წესზე. მისი, როგორც თვითმხილველის, ცნობები პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს მთლიანად კავკასიისა და მათ შორის საქართველოს ისტორიის ბიბლიოგრაფიის (ვრცლად იხ. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, 1976, გვ. 135-158).

№25. ორფიკული არგონავტიკის სახელით ჩვენამდე მოღწეული პოემის დაწერის ზუსტი თარიღი და ავტორის ვინაობა დაუდგენელია. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, არგონავტიკა, და სხვა თხზულებები (რომლებიც დროთა განმავლობაში გააერთიანეს ერთ კრებულში) დაწერილია სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროში. პოემის შექმნის თარიღად დღეისათვის მიიჩნევენ ახ.წ. II-III სს. თხზულებაში დაცულია ცნობები ძველი კოლხეთის ისტორიის შესახებ. ტექსტი ძველი ბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნ. მელაშვილმა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბ., 1977 წ.

†26. ახ.წ. VI ს. ბიზანტიური ეპოქის ბერძენი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის შესახებ. სრულად იხ. “გეორგიის” ტ. II, თბ., 1965, გვ. 38-234; ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადეული, ტ. I, 2009, გვ. 312.

‡ 27. პეტრე პატრიკიოსი, ახ.წ. Vს.-ის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, ისტორიკოსი (უფრო ვრცლად იხ. “გეორგიის” ტ. III, 1936, გვ. 190-194, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადეული, ტ. I, 2009, გვ. 313).

† 28. აგათია სქოლასტიკოსი, ახ.წ. Vს. ბერძენი ისტორიკოსი (სრულად იხ. “გეორგია” ტ. III, თბ., 1936, გვ. 23-187, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადეული, ტ. I, 2009, გვ. 313).

†29. სტეფანე ბიზანტიელი, VIIს.-ის. ბერძენი მოღვაწე, გრამატიკოსი, ლექსიკოგრაფი (სრულად იხ. “გეორგია” ტ. III, 1936, გვ. 272-289; ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადეული, ტ. I, 2009, გვ. 314).

† 30. სვიდას ლექსიკონის სახელით ჩვენამდე მოღწეულია X ს. შუა წლებში შედგენილი ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონი (სრულად იხ. “გეორგია” ტ. III, 1952, გვ. 313-324, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადეული ტ. I, 2009, გვ. 315)

‡31. ევდოკია მაკრემბოლიტისე, XIს. ბერძენი მწერალი ქალი, ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე X დუკას მეუღლე, რომლის გარდაცვალების შემდეგ ცოლად გაჰყვა იმპერატორ რომანოზ IV დიოგენეს. 1071 წ. აღიკვეცა მონაზვნად და დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. მას დაუწერია კომპილაციური ხასიათის ნაშრომი “იონია”, რომელშიც გადმოცემულია მითოლოგიური ამბები ძველი კოლხეთის ისტორიის შესახებ.

რომაელი ავტორები

† 32. სექსტუს პროპერციუსი, ძვ.წ. I ს. რომელი პოეტი, მეცენატთან და რომის იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის სასახლის კართან დაახლოებული პირი. მისი თხზულებების კრებულში, რომელიც 4 წიგნისაგან შედგება, შესულია რამდენიმე სიუჟეტი არგონავტთა თქმულებებიდან, რამდენიმე ადგილასაა ნახსენები მდ. ფასისი, ქუთაისი, გრძნეული მედეა.

†33. გაიუს ვალერიუს ფლაკუსი, ახ. წ. I ს. რომელი პოეტი, რომლის მიერ დაწერილი 8 წიგნის შემცველობის ეპიკური პოემა “არგონავტიკა” დაუსრულებელი სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ავტორს პოემის წერისას მრავალი წყარო გამოუყენებია (ჰეროდოტე, პინანდრე, აპოლონიოს როდოსელი, დიოდორე სიცილიელი...) პოემაში აღწერილია არგონავტთა კოლხეთში მოგზაურობის ამსახველი სიუჟეტები. საუბარია შავი ზღვის სამხ.-აღმოს. სანაპიროზე მცხოვრებ ძველ ქართველურ ტომებზე (ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, ბიდერები, კოლხები), მოხსენიებულია კავკასია, კოლხთა მეფე აიეტი, აღწერილია სამეფო სასახლე, ტაძარი, ეთნოგრაფიული და ისტორიული სიუჟეტები. ფლაკუსის “არგონავტიკაში” დაცული ცნობები, სხვა ანტიკურ წყაროებთან ერთად, საუკეთესო წყაროა საქართველოს უძველესი პერიოდის ისტორიის კვლევისათვის.

†34. პომპონიუს მელა. ახ.წ. I ს. რომელი გეოგრაფი. ჩვენამდე სრულადაა მოღწეული მისი 3 წიგნისაგან შემდგარი თხზულება “დედამიწის მდებარეობისათვის” ანუ “ქვეყნის აღწერილობისათვის”. ავტორი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართველურ ტომებზე, კოლხეთის მთავარ ქ. ქუთაისზე.

†35. გაიუს პლინიუს სეკუნდუსი, ახ.წ. I ს. რომელი მრავალმხრივი მეცნიერი, რომელსაც მეტსახელად უფროსი შეარქვეს. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ის, უმეტესწილად, მოიხსენიება პლინიუს უფროსის სახელით. მის მრავალრიცხოვან შრომებს შორის მთავარი ადგილი უკავია 37 წიგნის მოცულობის კაპიტალურ კომპილაციურ თხზულებას “ზუნების ისტორია”, რომელმაც ჩვენამდე თითქმის სრული სახით მოაღწია. მასში დაცულია მდიდარი მასალა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. მალამეცნიერული ღირებულების გამო, ნაშრომმა ძველთაგანვე მოიპოვა დიდი სახელი. “ზუნების ისტორიას” და მის ავტორს საქართველოში იცნობდნენ “პლინი სტოიკის” სახელით.

ნაშრომში დაცული მასალა ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიული ხასიათისაა. საუბარია ძველ ქართველურ ტომებზე (ხალიბები, ტიბარენები, მოსინები, მაკროკეფალები, ბეკირები ბუზერები, სანები, ჰენიოხები, იბერები, ლაზები, კოლხები, სანები, აბსილები, სანიგები), მათ ყოფასა და საქმიანობაზე (უფრო ვრცლად პლინიუს უფროსის შესახებ იხ. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ., 1964 წ.).

წიგნში “XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ” შესულია სამი არაბი ავტორის ალ-‘უმარის (1301-1349 წწ.), ალ-მუჰიბის (გარდ. 1384 წ.) და ალ-კალკაშანდის (1335-1418 წწ.) შრომები. ტექსტი არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლაძის მიერ, 1988 წ.).

†36. არაბ ისტორიკოსის ალ-‘უმარის განათლება მიუღია ეგვიპტეში. სადაც შემდგომ წლებში მაღალი თანამდებობა დაუკავებია სასახლის კარზე – იყო ეგვიპტის სულთნის მდივან-მწიგნობარი. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის ჩვენთვის საინტერესოა ~~“თხზულება საქართველოს შესახებ, 1379. ბი-ლ-მუსტალაჰ აშ-შარიჰი”~~ (“მაღალი ტერმინოლოგიის განმარტება”). ეს თხზულება წარმოადგენს შესანიშნავ წყაროს შესაბამისი პერიოდის მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესწავლის საქმეში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თხზულებაში მოიპოვება ისეთი საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ, რომლებიც ქართულმა წერილობითმა წყაროებმა არ შემოინახა. ალ-‘უმარის თხზულების წყაროს წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტები, უშუალო დაკვირვებები და ანალიზი. მასში მოცემულია საქართველოს ზოგადი გეოგრაფიული მიმოხილვა, დახასიათებულია იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება. ნაშრომში შეტანილია საქართველოს მეფეებთან ეგვიპტის სულთნების მიმოწერა. ალ-‘უმარის თხზულება საუკეთესო წყაროა XIII-XIV სს. საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

†37. XIV ს. არაბმა ისტორიკოსმა ალ-მუჰიბიმ რედაქცია გაუკეთა ალ-‘უმარის თხზულებას. მის ნაშრომში (“მაღალი ტერმინოლოგიის განმარტების სრულყოფა”), სხვა მასალასთან ერთად, შეტანილია მამლუქთა სულთნების მიმოწერა საქართველოს მეფე დავითთან და “სუხუმისა და აბხასის” გამგებელთან.

†38. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოხელე ალ-კალკაშანდი-მ თავისი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომში “განთიადი ცუდად მხედველისა ეპისტოლოგრაფიის ხელოვნებაში” შეიტანა ალ-‘უმარისა და ალ-მუჰიბის თხზულებათა დიდი ნაწილი, მათ შორის ცნობები საქართველოს შესახებ. ალ-კალკაშანდიმ განავრცო თავისი წინამორბედების მიერ გადმოცემული ამბები. მის ნაშრომში დიდი რაოდენობის დოკუმენტური მასალაა შეტანილი.

ალ-კალკაშანდის, როგორც “დივან-ალ-ინშას” გამგებელს (1389 წლიდან) ხელი მიუწვდებოდა ნებისმიერ საარქივო დოკუმენტზე. ნაშრომში განხილულია პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, რელიგიური საკითხები. ამდენად, ნაშრომი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს ისტორიის XII-XIV სს. პერიოდის ისტორიის მკვლევართათვის ღირებულ წყაროს წარმოადგენს.

† 39. აბრაამ ერევანცი XIII ს. სომეხი ისტორიკოსი, რომელსაც თავის ნაშრომში “ომების ისტორია” გადმოცემული აქვს 1720-1736 წლების ირან-ოსმალეთის ომების ისტორია. გარდა ამისა, თხზულებაში შეტანილია საყურადღებო ამბები, როგორც სომხეთის, ასევე, საქართველოს შესახებ. ავტორი თანამედროვეა და, ზოგიერთ შემთხვევაში, თვითმხილველი და მონაწილე იმ ამბებისა, რომელსაც ის აღწერს. ომების ისტორია სანდო პირვეწყაროა XVIII საუკუნის ისტორიის მკვლევართათვის.

ტექსტი ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976 წ.

† 40. XIII ს. ისტორიკოსი ვარდან არველცი სომხური ისტორიოგრაფიული სკოლის ტრადიციების გამგრძელებელია. თხზულებაში აღწერილია მსოფლიო ისტორია, მათ შორის საქართველოს ისტორიაც, დასაბამიდან 1267 წლამდე. ავტორი მსოფლიოს ქვეყნების ისტორიას ცალ-ცალკე არ გამოყოფს. თხრობა მიმდინარეობს საერთო (ყველა ხალხის ისტორიის) ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ნაშრომში უხვად არის წარმოდგენილი წყაროები (ძირითადად სომხური: ასოლიკი (XI ს.), მხითარ ანეცი (XII ს.), ვარდაპეტი ვანაკანი (XIII ს.), ვაჰრაბი (XIII ს.), ქართლის ცხოვრება...), რომლებიც გვაწვდიან საინტერესო ინფორმაციას შესაბამის ეპოქაზე. ნაშრომი გამოირჩევა სანდოობით XIII ს. II-III მეოთხედის ისტორიის შესწავლისას, რადგან ავტორი, იმ პერიოდის თვითმხილველი, უმეტეს შემთხვევაში, აღწერილი ამბების თანამონაწილეც იყო.

წინამდებარე წიგნში გამოქვეყნებული ტექსტი ძველი სომხურიდან ქართულად თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ, თბ., 2002 წ.

† 41. XVI ს. 60-იანი წლების დასაწყისში შექმნილი წყარო “შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შაჰ-თამაზ I-ის “თეზქერეს” სახელწოდებით. წყაროში გადმოცემულია ოსმალეთის ელჩების შეხვედრა და საუბარი სპარსეთის შაჰ-თამაზ I-ს შორის, რომელიც შედგა 1562 წელს. აღნიშნული დოკუმენტი ფაქტობრივად ამ შეხვედრისა და საუბრის ოქმია. ამდენად, ის წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ამიერკავკასიის ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, იმერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები) და მათ შორის XVI ს. საქართველოს ისტორიის კვლევისას. მასში გარკვეულწილად გადმოცემულია ირან-ოსმალეთის XVI ს. ურთიერთობის ამსახველი მასალები. ასახულია ამიერკავკასიის ქვეყნების: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოკიდებულება მეომარ მხარეებთან (თურქეთთან, სპარსეთთან).

წიგნში გამოქვეყნებული თხზულების სპარსული ტექსტი “შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან” გამოსაცემად მოამზადა, ქართულად თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976 წ.

†42. წინამდებარე კრებულში "სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში", წიგნი I, ნაკვეთი IV, შეტანილია XVIII ს. მოღვაწეების ნადირ-შაჰისა და მისი ძმისშვილის იბრაჰიმ შაჰის 24 ფირმანი. ფირმანებში შეტანილი მასალა ასახავს ქართლ-კახეთის მეფეებსა და ნადირ-შაჰს შორის არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობას, საქართველოსა და ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ნადირ-შაჰის პოლიტიკას ჩრდ. კავკასიის ზოგიერთი მმართველის მიმართ, ინდოეთში ლაშქრობას და სხვა პოლიტიკურ საკითხებს. მასში დაცულია ასევე ცნობები თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პოლიტიკაზე ნადირ შაჰის მიმართ. ამდენად, წინამდებარე კრებული შესანიშნავი წყაროა XVIII ს.-ის I ნახევრის მთელი კავკასიისა და საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუფუჩიძემ, წიგნი I, ნაკვეთი IV, თბ., 1977.

†43. ა. ჭეიშვილის ნაშრომი "ერევნის ხანების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები" წარმოადგენს კრებულს, რომელშიც ავტორმა შეიტანა XVIII ს.-ის II ნახევარში ერევნის ხანების მიერ დაწერილი 52 წერილი. წერილების ადრესატები არიან ქართლ-კახეთის მეფეები თეიმურაზ II და ერეკლე II. კრებულის შესავალ ნაწილში მიმოხილულია ქართლ-კახეთის სამეფოსა და ერევნის სახანოს პოლიტიკური ურთიერთობა, მოცემულია ხელნაწერის დახასიათება. კრებულში შეტანილი ეს წერილები შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ მასალას ამიერკავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და მათ შორის საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. ტექსტი სპარსულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ა. ჭეიშვილმა, თბ., 1982.

†44. XVII ს. I ნახევრის საქართველოს ისტორიის (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს) შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება XVII ს. იტალიელი მისიონერის თეათინელი ბერის არქანჯელო ლამბერტის თხზულებას "სამეგრელოს აღწერა". არქანჯელო რომის პაპის დავალებით საქართველოში ჩამოსულა 1631 წ. თავდაპირველად 2 წელიწადი უცხოვრია გორში. შემდეგ ის სამოღვაწეოდ გადმოსულა სამეგრელოში, სადაც დაჰყო 16 წელიწადი. 1649 წ. დაბრუნდა ნეაპოლში, ხოლო 1654 წელს დაასრულა თავისი ნაშრომი "სამეგრელოს აღწერა".

არქანჯელო ლამბერტი თავის თხზულებაში აღწერს კოლხეთის გეოგრაფიულ მდებარეობას, მის საზღვრებს, ენება კოლხების წარმომავლობის საკითხებს. მოგვითხრობს ქ. ქუთაისის, როგორც დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საეკურო ცენტრსა და მის მნიშვნელობაზე. ნაშრომზე მუშაობისას, ავტორს უსარგებლია ადრინდელი საუკუნეების ავტორთა ამიანე მარცელინის, დიოდორე სიცილიელის და სხვათა ნაშრომებით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის იმ ნაწილს, სადაც ის აღწერილი ამბების უშუალოდ თვითმხილველია.

"სამეგრელოს აღწერა" იტალიურიდან 1901 წ. თარგმნა ალ. ჭყონიამ. წინასიტყვაობა, რედაქცია და შენიშვნები გააკეთა ლ. ასათიანმა, თბ., 1938 წ.

45. რ. გულბეგიანი, "ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებობრივი სიკვდილის შესახებ". წიგნის ავტორს, პორტუგალიაში მოღვაწე სომეხ ისტორიკოს რ. გულბეგიანს, ნაშრომის წერისას გამოუყენებია

ევროპის წიგნთსაცავებში დაცული მდიდარი დოკუმენტური მასალა ქეთევან დედოფლის შესახებ, მის მოწამეობრივ აღსასრულზე. მათ შორის აღსანიშნავია XVII ს. I ნახევრის წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერის ამბროზიო დღუ ანჟუშის "ნამდვილი ცნობები". აღნიშნულ თხზულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ მისი ავტორი თვითმხილველი იყო ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილისა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ "ნამდვილი ცნობების" ფრაგმენტები გამოქვეყნებული აქვს პროფ. ი. ტაბალუას წიგნში "საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში". ასევე მრავალრიცხოვანი შრომები აქვთ დაწერილი ქართველ ავტორებს (ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბაგრატიონი, ბერი ეგნატაშვილი, გრიგოლ ხუცეს მონაზონი, "პარიზის ქრონიკა"...)

ამდენად წინამდებარე წიგნში გამოქვეყნებული ამბროზიო დღუ ანჟუშის თხზულება "ნამდვილი ცნობები" პირველხარისხოვანი პირველწყაროა იმ ტრაგიკული მოვლენის შესწავლის საქმეში.

წიგნში დაბეჭდილი ტექსტი ფრანგულიდან თარგმნეს და კომენტარები დაურთეს ი. ტაბალუამ და ც. ბიბილიეშვილმა, თბ., 1987 წ.

საქართველოს ისტორიის წყაროების სერიით (IV – ირანელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ) გამოცემულ წინამდებარე წიგნში შეტანილი თხზულების ტექსტი თარგმანს, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1937 წ.

წიგნში შეტანილია სამი ავტორის თხზულება: ალ-ისთახრის (აბუ ისჰაკ იბრაჰიმ ბენ მოჰამედ ალ-ფარისი ალ-ისთახრი) "გზანი და სამეფონი", ანონიმი ავტორის "ჰოდუდ ალ-ალემი" და ჰამდალაჰ ყაზვინის "გულთა სიამე" და "რჩეული ისტორია".

46. X ს. გეოგრაფს ალ-ისთახრის არაბულად აქვს დაწერილი შრომა "გზანი და სამეფონი" (არაბულ ტექსტში "სამეფოთა გზები"). ეს თხზულება ძველადვე უთარგმნიათ სპარსულად, საიდანაც არის შესრულებული ქართული თარგმანი, რომელიც წინამდებარე წიგნშია შეტანილი. ნაშრომი გეოგრაფიული ხასიათისაა. მასში დაცულია ცნობები ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და დღევანდელი რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ და სამხრეთის ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხების: ბოლგარების, ხაზარების, დასახლებული ქვეყნების ქალაქების, მდინარეების, ტბებისა და აქ მაცხოვრებელი ხალხების საქმიანობის, მათი ადგილ-წყების შესახებ.

47. X ს. ანონიმი ავტორის თხზულება "ჰოდუდ ალ-ალემი" ("წიგნი ქვეყნის საზღვრებისა") ავტორს დაუწერია XI ს. II ნახევარში — 982-983 წწ. გუზგანში (დღევანდელი ავღანეთის შემადგენლობაში). ნაშრომი შეიცავს მაშინდელი მსოფლიოსათვის ცნობილი ქვეყნების დასახლებული ტერიტორიების აღწერას. დასახლებულია ის საგნები, რომელსაც ცალკეულ ქვეყნებში აწარმოებდნენ და შემდგომ გაჰქონდათ საზღვარეულთა ვაჭარებს. ჩამოთვლილია ქართული ქალაქები: ხუნანი, შამქორი, თბილისი, მდინარე მტკვარი; შავი ზღვა მოხსენებულია "ქართველთა ზღვად", თუმცა თხზულებაში არაფერია ნათქვამი ქართველი მოსახლეობის შესახებ.

48. XIII-XIV სს. ირანელი ისტორიკოსის და გეოგრაფის ჰამდალაჰ ყაზვინის შრომები "გულთა სიამე" და "რჩეული ისტორია" გეოგრაფიული

ხასიათის ნაწარმოებებია. მათში დაცულია ზოგადი ცნობები საქართველოს ქალაქების: თბილისის, ხუნანის, ყარსის შესახებ. ასევე ნახსენებია ქ. ანისი საქართველოს შემადგენლობაში, რადგან მონღოლთა ბატონობის ხანაშიც კი სომხეთის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი მოიაზრებოდა საქართველოს შემადგენლობაში.

†49. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. წიგნში შეტანილია XVI-XVIII სს. (1580-1700 წწ.) გაცემული საბუთები, სულ 192. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ორენოვანი საბუთებიდან ყველაზე გვიანია 1757 წელს დაწერილი "გადაწყვეტილების წიგნი, მიცემული მეითარის - შვილის ქაიხოსროს და პაატას მიერ თუშმალ ქაზუმასადმი". აღნიშნული დოკუმენტები დაცულია საქართველოს მუზეუმსა და ცენტრ. საისტორიო არქივში.

ორენოვან საბუთებში წარმოდგენილია ქართველი მეფეების მიერ გაცემული მამულის, ყმის, სახელოს (თანამდებობის) ბოძების, სითარხნის წყალობის წიგნები, ბრძანებები და საკანონმდებლო აქტები, ნასყიდობის წიგნები, ქართლში და კახეთში მჭდომი ხანების ან ბეგლარ-ბეგების ბრძანებულებები, წყალობის, კერძო პირთა დადებული შეთანხმებები, გადაწყვეტილების, სასისხლო წიგნები, გვარიშვილობის დამამტკიცებელი საბუთები.

წიგნში შეტანილი ორენოვანი ქართულ-სპარსული დოკუმენტები აღმოსავლეთ საქართველოდანაა. ამასთან დაკავშირებით წიგნის შესავალ ნაწილში აღნიშნული საბუთების შემკრები პროფ. ვლ. ფუთურიძე აღნიშნავს "დასავლეთ ან სამხრეთ საქართველოდან არც ერთი არ არის. ეს გასაგებიცაა, რადგან ქართულ-სპარსული სიგელები წარმოშობილია ჩვენში ირანის პოლიტიკური ბატონობის დროს, როცა ქართლსა და კახეთში ირანის შაჰის მიერ დანიშნული მეფეები ისხდნენ ტახტზე, ან ქვეყანას მათ მიერვე გამოგზავნილი ხანები მართავდნენ. წიგნში შეტანილი ორენოვანი საბუთები საუკეთესო პირველწყაროა XVI-XVIII სს. საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლისას.

მოცემული ტექსტები დაადგინა, თარგმანი, შენიშვნები, საძიებელი დაურთო პროფ. ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1955 წ.

†50. "სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში", წიგნი I, ნაკვ. 2. წიგნში წარმოდგენილი სპარსული ისტორიული საბუთები, სულ 35 ფირმანი, დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში. საბუთები მოიცავს XVIII. მეორე ნახევარს, გაცემულია შაჰ-აბას II-ის, შაჰ-სულეიმანისა და შაჰ-ჰუსეინის მიერ. აღნიშნული დოკუმენტები ეხება როგორც საქართველოს, ისე სომხეთს, აზერბაიჯანსა და დაღესტანს. საბუთები შეეხება აღნიშნულ ქვეყნებში არსებულ ფეოდალურ ურთიერთობას, სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხს, ქართველი ფეოდალებისათვის შაჰის მიერ სამეკიდრო მამულების დამტკიცებას, შაჰის სამსახურში მათ მიღებასა და სხვა.

ამდენად, აღნიშნული ფირმანები წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს XVII ს. მეორე ნახევრის ირანის, ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს, ისტორიის კვლევისას.

წიგნი გამოსაცემად მოამზადა, სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი შეასრულა, საძიებლები და განმარტებები დაურთო პროფ. ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1962 წ.

51. "სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში", წიგნი I, ნაკვ. 3. წიგნში შეტანილია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული 43 ფირმანი და ბრძანებულება, რომლებიც გაცემულია სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი მეფეების შაჰ-სულთან ჰუსეინისა და შაჰ-თაჰმასპ II-ის მიერ XVIII ს. პირველ მესამედში. საბუთები შეეხება ამიერკავკასიის ქვეყნებს (ქართლ-კახეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და დაღესტანს). ფირმანებში მოცემულია ინფორმაცია შაჰის სამსახურში მიღებასა და ხელფასების დანიშვნაზე, ფეოდალების მიერ მიტაცებული საეკლესიო მამულების უკან დაბრუნებასა და ამის გამო წარმოშობილ წინააღმდეგობაზე, რომელშიც შაჰი კათალიკოსს უჭერდა მხარს, აქვეა ეკონომიკური ხასიათისა და სხვა საბუთები, რომელიც საუკეთესო წყაროს წარმოადგენს XVIII ს. I მესამედის საქართველოს ისტორიის კვლევისას.

წიგნი გამოსაცემად მოამზადა, სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი შეასრულა, წინასიტყვაობა, განმარტებები და საძიებლები დაურთო პროფ. ვ. ფუთურიძემ, თბ., 1965 წელი.

52. ეაკ ფრანსუა გამბა (1763-1833 წწ.) — ფრანგი მეწარმე, სახელმწიფო მოხელე, რომელმაც დატოვა ორი ტომისაგან შემდგარი საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში მოგზაურობათა ჩანაწერები. გამბას "მოგზაურობა ამიერკავკასიაში". გამოირჩევა საქართველოს შესახებ წყაროების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. მასში მოცემულია ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის ამსახველი მასალა. დაცულია ცნობები ხალხის ადამ-წესების, ეთნოგრაფიული ყოფის, ქვეყნის ბუნებრივი სიძლიერის შესახებ. წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური მდგომარეობის აღწერას. ამდენად, გამბას მოგზაურობა უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების XIX საუკუნის I ნახევრის პერიოდის ისტორიის შესასწავლად.

ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1987 წელი.

†-53. "რიჩარდ უილბრაჰამის მოგზაურობა საქართველოში". ნაშრომში წარმოდგენილია ინგლისელი მოგზაურის რ. უილბრაჰამის ცნობები ჩვენი ქვეყნის შესახებ. ავტორი საქართველოში 1837 წელს ჩამოვიდა ირანიდან სომხეთის გავლით. ნაშრომი ფაქტობრივად დღიურს წარმოადგენს, რომელშიც დაცულია ცნობები XIX საუკუნის თბილისის ყოფის შესახებ. აღწერილია საქმიანი შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა წრეებთან და მაღალი თანამდებობის პირებთან. მოცემულია დარიალის ხეობასა და კახეთში მოგზაურობისას ნანახი და გავონილი ამბები, აგრეთვე, გერმანული კოლონიების მდგომარეობა და საქმიანობა.

წინამდებარე წიგნში დაბეჭდილი ტექსტი ინგლისურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. მელაძემ, თბ., 1990 წელი.

†54. "იაკობ რაინეგის მოგზაურობა საქართველოში". გერმანელი მოგზაური, დიპლომატი, ექიმი იაკობ რაინეგის საქართველოში ჩამოვიდა 1778 წელს ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის მოწვევით. რაინეგმა სასახლის კარზე მრავალმხრივი მოღვაწეობა დაიწყო (ხელი შეუწყო სამთამადნო წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებას. ეწეოდა საექიმო მოღვაწეობას. ევროპულ ყაიდაზე

მოაწყო თოფის წამლის წარმოება, გადაახალისა სტამბა, იყო ერეკლე II-ის მრჩეველი სხვადასხვა საკითხებში. საქართველოში მან სამი წელიწადი დაჰყო. 1781 წ. ის რუსეთში გაემგზავრა.

1796-1797 წელს რაინეგეს გამოუცია თავისი ნაშრომი "კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერილობა", რომელშიც განხილულია ქვეყნის გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური და სხვა საკითხები.

წიგნში დაცული ცნობები საინტერესო და სანდოა, რადგან ავტორი უშუალო თვითმხილველი და მონაწილე იყო იმ ამბებისა, რომელიც მას წიგნში აქვს მოთხრობილი. ამდენად, წინამდებარე თხზულება მთლიანად კავკასიისა და საქართველოს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის კვლევისას მნიშვნელოვანი წყარო ხდება. ტექსტი გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002 წელი.

† 55. "ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ". ცნობილმა გერმანულმა მეცნიერმა და მოგზაურმა ედუარდ აიხვალდმა 1825-1826 წლებში იმოგზაურა კავკასიაში; ექსპედიცია ორგანიზებული იყო ყაზანის უნივერსიტეტის მიერ. მოგზაურობისას შევსებული მასალა მან გამოსცა ორ ტომად, რომლის საერთო სათაურია "ედუარდ აიხვალდის მოგზაურობა კასპიის ზღვასა და კავკასიაში." ტომი I. გამოცემა 1834 წ., ტომი II. — 1837 წ.

საქართველოს შესახებ ცნობები ძირითადად შესულია მეორე ტომში, რომლის სათაურია "მოგზაურობა კავკასიაში". აიხვალდმა თითქმის მთელი საქართველო მოიარა და დაწვრილებით აღწერა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობა. ნაშრომში შეტანილია მისი მინერალოგიური, ბოტანიკური გამოკვლევები. მოპოვებული აქვს ეთნოგრაფიული მასალა. აღწერილი აქვს ხალხის წეს-ჩვეულებები, საქართველოს ქალაქები, სოფლები და ეკლესიები, გავრცელებული დაავადებები და მათი მკურნალობის წესები.

თხზულება შეიცავს საინტერესო მასალას მთლიანად კავკასიისა და საქართველოს XIX საუკუნის მეორე მესამედის ისტორიის შესახებ.

გერმანული ტექსტი ქართულად თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005 წელი.

56. "ევსები კესარიელი (იგივე ევსები პაფილი)", აბ.წ. III-IV სს. საეკლესიო მოღვაწეა. მისი თხზულება "საეკლესიო ისტორიის" ბოლო გამოცემის ტექსტი ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ზ. ჯაშმა. (ევსები კესარიელიზე იხ. აგრეთვე "გეორგიკა" ტ. I. 1961, გვ. 21-32; ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, ტ. I, 2009, გვ. 306-307).

57. თეოდორიტე კვირელი, აბ. წ. V ს. საეკლესიო მოღვაწე, ისტორიკოსი. თეოდორიტე კვირელის თხზულების "საეკლესიო ისტორია" უკანასკნელი გამოცემის ტექსტი ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ზ. ჯაშმა, თბ., 2008 წელი. ასევე კესარიელსა და მის შემოქმედებაზე იხ. "გეორგიკა" ტ. I. თბ., 1961. გვ. 208-228; ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, ტ. I, 2009, გვ. 309).

58. რაფიელ დანიბევაშვილი "თვარამეტი წელი აზიის ქვეყნებში. რაფიელ დანიბევაშვილის მოგზაურობა". XVIII საუკუნის მეორე ნახევარი — XIX საუკუნის I ნახევრის ქართველი მოღვაწის, მოგზაურის, დიპლომატის, ვაჭრის

რაფიელ დანიბეგაშვილის წიგნში აღწერილია 18 წლიანი მოგზაურობა (1795-1813 წწ.) აზიის ქვეყნებში (თურქეთში, ომანში, ინდოეთში, ცეილონში, ბირმაში, ჩინეთსა და რუსეთში). წიგნში საყურადღებო ცნობებია დაცული ზემოთ აღნიშნული ქვეყნებისა და იქ მაცხოვრებელი ხალხების ისტორიაზე, მათ საქმიანობაზე, ადათ-წესებზე, რელიგიურ რწმენაზე. ავტორი უშუალოდ საქართველოს ისტორიას არ ეხება, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა საქართველოსა და დასახლებულ ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ამსახველი მასალა, ქართველი და სომეხი მოღვაწეების საქმიანობის შესახებ დასახელებულ ქვეყნებში. ამდენად, რ. დანიბეგაშვილის ნაშრომში დაცული ცნობები მასწავლებს პერიოდის საქართველოს და აღნიშნული ქვეყნების ისტორიის კვლევისას. წიგნს თან ერთვის რუკა, სადაც შეტანილია რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობის მარშრუტი.

წიგნი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, რედაქცია გაუკეთა, შენიშვნები, ბიბლიოგრაფია და ნარკვევი დაურთო ლ. მარუაშვილმა, თბ., 1963.

იხ. ასევე "რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში". ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა, დამატებანი და შენიშვნები დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1950.

59. ილია ტაბაღა. "საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში". წინამდებარე ნაშრომი დაწერილია იტალიის, ვატიკანის, საფრანგეთის, ავსტრიის, ესპანეთის, გერმანიის, ინგლისის, რუსეთის, თურქეთის, რუმინეთის, უნგრეთის, პორტუგალიის, ავსტრიის წიგნთსაცავებში დაცული მასალების საფუძველზე. მოძიებული მასალა დღეისათვის გამოქვეყნებულია 3 ტომად, რომელიც მოიცავს პერიოდს ანტიკური ხანიდან XVII საუკუნის მეორე მესამედის დასაწყისამდე (1633).

გამოქვეყნებული დოკუმენტები პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის შესწავლისას. სამივე წიგნში, თარგმანთან ერთად, გამოქვეყნებულია დოკუმენტების ფოტოპირები, ასევე თან ერთვის საძიებლები და დოკუმენტები. I ტომი მოიცავს ანტიკური პერიოდიდან XVII საუკუნემდე ისტორიის ამსახველ დოკუმენტებს – სულ 27 ერთეულს. გარდა ამისა, გამოქვეყნებულია შინაარსი იმ წყაროსი, რომელთა ფოტოპირის ჩამოტანა საქართველოში ვერ მოხერხდა. თბ., 1984 წელი. II ტომი მოიცავს 1600-1628 წწ. საქართველოს ისტორიის მასალას, რომელშიც გამოქვეყნებულია 26 დოკუმენტი, თბ., 1986 წელი. III ტომში წარმოდგენილია 19 დოკუმენტი 1628-1633 წლების საქართველოს ისტორიის შესახებ.

60. "სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.)". წიგნში ასახულია აღნიშნული პერიოდის ისტორიის მასალები (XV ს. 20-იანი წლებიდან – 1587 წლამდე). ტექსტები იყოფა სამ ნაწილად: I – მოსახსენებლები, II – მცხეთის საბუთები, III – მესხური მატიაზე. აღწერილია სამხრეთ საქართველოს (ყოფილი სამცხე-საათაბაგო) გართულებული საგარეო და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა, რაც XVI ს. 80-იან წლებში საქართველოსათვის ტრაგედიით დამთავრდა. მთელი სამცხე, საათაბაგოს ტერიტორია თურქებმა დაიპყრეს და მას ჯერ ჩილდირის, შემდეგ გურჯისტანის ვილაიეთი უწოდეს. ტექსტებს სათითაოდ აქვს დართული სათანადო გამოკვლევები, რითაც გასწორდა დ. ბაქრაძის თ. ჟორდანიას და სხვათა მიერ გამოქმული ვარაუდები ცალკეულ საკითხებზე

სამხრეთ საქართველოს ისტორიისთან მიმართებაში. ამავე მასალებით საბოლოოდ დადგინდა სამცხის ათაბაგებისა და მათი სახლის წევრების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. წარმოდგენილი მასალა შესანიშნავი წყაროა სამხრეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგო) XV-XVI სს. ისტორიის კვლევისას. წიგნი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და საძიებლები დაურთო ქრ. შარაშიძემ, თბ., 1961.

61. "მატბერდის კრებული" წარმოდგენს X საუკუნის ხელნაწერების კრებულს, რომელშიც შეტანილია 14 თხზულება. მათ შორის აღსანიშნავია უძველესი ქართული ისტორიული ქრონიკა ანონიმი ავტორისა "მოქცევაჲ ქართლისაჲ". იგი მდიდარ მასალას იძლევა ენის, ლიტერატურის, ისტორიის მკვლევართათვის. თხზულებაში აღწერილია წმინდა ნინოს ქართლში მოსვლისა და საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ამბები. მატბერდის კრებული გამოსაცემად მოამზადეს ა. გივინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979 წელი.

62. "ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამეფოების (1443-1773 წწ.)". წინამდებარე კრებულში თავმოყრილია იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროების XV-XVIII სს. დოკუმენტები. მასში მოცემულია ერთიანი საქართველოს სამეფო — სამთავროებად დაშლის შემდგომი ეპოქის ამსახველი მასალა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ამ ურთულესი პერიოდის ისტორიის შესასწავლად.

წიგნში შეტანილია სამ ჯგუფად დაყოფილი 163 დოკუმენტი.

პირველ ჯგუფში მოცემული მასალა ეხება იმერეთის სამეფოს (რომელიც 1489 წ. შეიქმნა, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული) — სულ 146 დოკუმენტი.

მეორე ჯგუფში შეტანილი მასალა ეხება გურიის სამთავროს (10 დოკუმენტი).

მესამე ჯგუფში შედის ოდიშის სამთავროს ამსახველი საბუთები (7 ერთეული).

ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958 წ.

63. სუმბატ დავითის-ძე, "ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატიონანთა". თხზულება საქართველოს სამეფო დინასტიის ბაგრატიონთა საგვარეულო მატთანეს წარმოადგენს. ავტორს თხზულებაზე მუშაობისას გამოუყენებია ადრინდელი პერიოდის წყაროები. ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილის აზრით, სუმბატ დავითის-ძის ძირითადი წყაროებია: "მოქცევაჲ ქართლისაჲ" და "მატიანე ქართლისაჲ" (ივ. ჯავახიშვილი, 1977, გვ. 196; ე. თყაიშვილი, 1890, გვ. IX; ე. თყაიშვილი, 1949, გვ. 13, 15; პ. ინგოროყვა, 1978, გვ. 436; პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 45; ს. ყაუხჩიშვილი, 1955, გვ. 034-039; გ. ალასანია, 1984, გვ. 36-37; კ. გრიგოლია, 1954, გვ. 233; ბადრიძე, 1979, გვ. 51-52; გ. მჭედლიძე, 1963, გვ. 18...) ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საპირისპირო მოსაზრება, რომ სუმბატ დავითის-ძის თხზულება არის "მატიანე ქართლისაჲ" წყარო (გ. გელაშვილი, 1960, გვ. 239-255; მ. ლორთქიფანიძე, 1979, გვ. 19; წულაია, 1982, გვ. 29).

სუმბატ დავითის-ძეს ასევე უსარგებლია ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულო ქრონიკებით და სამეფო კარზე დაცული დოკუმენტებით (დ.

კარიკაშვილი, 1909, გვ. 40; ივ. ჯავახიშვილი, 1977, გვ. 196, პ. ინგოროყვა, 1978, გვ. 430).

თხზულება ქრონოლოგიურად დიდ პერიოდს მოიცავს (VI-XI სს.). ბაგრატიონთა წარმომავლობას ქართლში მოსვლამდე (VI ს.) ავტორი იწყებს ბიბლიური დროიდან - ადამიდან. ნაშრომი პირველხარისხიანი წყაროა საქართველოს VI-XI სს. ისტორიის კვლევისას.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გმოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ, თბ., 1990 წ. ასევე იხ. ქართლის ცხოვრება ტ. I, თბ., 1955 წ.

64. არსენ საფარელის თხზულებაში "განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა" ასახულია საქართველო-სომხეთის საეკლესიო ურთიერთობებისა და პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თხზულება მოიცავს პერიოდს IV ს.-ის მიწურულიდან 726 წლამდე. მასში გარკვეულწილად ასახულია ასევე ბიზანტია-ირანის პოლიტიკური ურთიერთობები. ნაშრომი ანტიმონოფიზიტური ხასიათის ტრაქტატია. არსენ საფარელის აზრით, საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში უცხო ძალის (იგულისხმება ირანი - ე.ჭ.) ზეწოლით მომხდარი პოლიტიკური აქტია და არა შინაგანი კანონზომიერებით განხორციელებული მოვლენა.

არსენ საფარელის მოღვაწეობისა და ნაშრომის დაწერის თარიღის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის (ივ. ჯავახიშვილი, 1977, გვ. 91-92; კ. კეკელიძე, 1960, გვ. 136-140; მელიქსეთ-ბეგი, 1921, გვ. 55). არსენ საფარელს IX საუკუნის მოღვაწედ, პ. ინგოროყვას აზრით — VIII ს. I ნახევრის (პ. ინგოროყვა, 1978, გვ. 474-479), ს. კაკაბაძის მიხედვით — VII ს. მეორე ნახევრის (ს. კაკაბაძე, 1928, გვ. 49), ზოლო თ. ჟორდანიას საფარელის მოღვაწეობას X ს. განსაზღვრავს (თ. ჟორდანიას, 2004, გვ. 309-311).

ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980 წ.

65. "ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა)". წინამდებარე თხზულება წარმოადგენს X^{VIII} ს. I ნახევრის კომპილაციურ ნაშრომს, რომლის ავტორი უცნობია. დადგენილია მხოლოდ მისი წარმომავლობა — ქართველობა. ქრონიკაში აღწერილია XIV-XVII სს. (1373-1683 წწ.) საქართველოში მომხდარი მოვლენები. ავტორს გამოყენებული აქვს როგორც ნარატიული წყაროები, ასევე სხვა დოკუმენტური მასალაც. მკვლევართა მიერ "პარიზის ქრონიკის" ძირითად წყაროებად მიჩნეული იქნა: გელათური ქორონიკონი, ალექსანდრე I-ის 1440 წ. სიგელი, მესხური მატთანე, სააკაძის დღიური, როსტომ მეფის 1648 წ. გუჯარი, გ. დიდორჭელის "ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა" და ფ. გორგიჯანიძის ისტორიის ბოლო მონაკვეთი.

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980 წ.

66. ეფრემ მცირე, XI ს. მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწე, რომლის ორიგინალური თხზულება "უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოქსენების" ისტორიული ხასიათის ნაშრომია. ავტორი, ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით, ცდილობს გაარკვიოს და დაასაბუთოს ზოგიერთი სადავო საკითხი საეკლესიო ისტორიიდან. კერძოდ, ქართველთა

მოქცევისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების შესახებ. თხზულებაში გაშუქებულია ანდრია მოციქულის მოსვლა საქართველოში, წმიდა ნინოს მიერ ქართველთა მოქცევა, მირიან მეფის, ნანა დედოფლისა და აფხაზთა მოქცევა, კონსტანტინე კეისრის მიერ მღვდლების გამოგზავნა. საუბარია როდინან დაიწყო საქართველოში კათალიკოსების ხელდასხმა და მირონის კურთხევა.

ამდენად, ეფრემ მცირის წინამდებარე ნაშრომი ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს წარმოადგენს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქართლის მოქცევის საკითხების შესწავლის საქმეში.

ტექსტი გამოსცა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959 წ.

67. დონ ქრისტოფორო დე კასტელი "ცნობები და აღბოში საქართველოს შესახებ". წიგნი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976 წ.

იტალიელი მისიონერი და აღმოსავლეთმცოდნე დონ ქრისტოფორო დე კასტელი საქართველოში მოღვაწეობდა 1627-1654 წლებში. მან დაგვიტოვა შესანიშნავი ჩანახატები მინაწერებითურთ, რომლებიც ეხება საქართველოს (განსაკუთრებით სამეგრელოს) პოლიტიკურ, სოციალურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას. ავტორი ეხება XVII ს. საქართველოს ისტორიის ნაკლებად ცნობილ ან საერთოდ უცნობ მოვლენებს. იგი გვაძლევს ცალკეულ პირთა დახასიათებას. ავტორის, როგორც თვითმხილველის, მიერ მოწოდებული ინფორმაცია საინტერესოა და სანდოა XVII ს. საუკუნის საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

"ქართლის ცხოვრება" უმნიშვნელოვანესი წყაროა საქართველოს ისტორიისთვის, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა საისტორიო თხზულებათა კრებულს. ტერმინი "ცხოვრება" ადრეული საუკუნეების საქართველოში იხმარებოდა "ისტორიის" ნაცვლად, ხოლო "ქართლი" მთელი საქართველოს შესატყვის ტერმინად გამოიყენებოდა. ამდენად "ქართლის ცხოვრება" ნიშნავდა "საქართველოს ისტორიას". მასში შეტანილი თხზულებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აშუქებს ქართველი ხალხის გმირული წარსულის სახელოვან ისტორიას უძველესი დროიდან XVIII ს.-ის დამდეგამდე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ "ქართლის ცხოვრებაში" ასევე დაცულია საყურადღებო ცნობები საქართველოს შორეული თუ ახლო მეზობლების: სომხების, აზერბაიჯანელების (უფრო ადრე აღბანელების), ოსების, დაღესტნელების, ჩერქეზების, ყაბარდოელების, ბერძენების, რომაელების, ირანელების, არაბების, თურქების, მონღოლებისა და სხვათა შესახებ. ამდენად, წინამდებარე კრებული წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს საქართველოს და ზემოჩამოთვლილი ქვეყნების ისტორიის კვლევისას. დღეისათვის "ქართლის ცხოვრების" კრებულის სამი ტომია გამოქვეყნებული. სამივე ტომში სულ შესულია 14 ძეგლი.

68. ლეონტი მროველი XI ს. საეკლესიო მოღვაწე, ისტორიკოსი. მისი თხზულება "ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა", მოიცავს საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდს: ბიბლიური ხანიდან ახ. წ. V საუკუნემდე — ვახტანგ გორგასლამდე. ტ I, თბ., 1955 წ.

69. ლეონტი მროველი, "ნინოს მიერ ქართლის მოქცევა". მასში აღწერილია მირიანის მეფობის წლებში (IV ს.) მომხდარი ამბები. თხზულებაში ძირითადი

აქცენტი გადატანილია წმინდა ნინოს ქართლში მოსვლაზე, მის აქ მოღვაწეობასა და მის მიერ ქართლის მოქცევაზე. ტ. I, თბ., 1955.

70. ლეონტი მროველი, "წამება წ⁻ისა და დიდებულ მოწამისა არჩილისი". თხზულებაში მოთხრობილია VIII ს.-ის საქართველოს ისტორია. არაბთა შემოსევები, მათი ბატონობის საშინელი სურათები. ქართველი ხალხის ბრძოლა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ. ძირითადი აქცენტი გადატანილია ქართლის ერისმთავრის (ლეონტი მროველის მიხედვით — ქართლის მეფე) არჩილის წამებასა და სიკვდილით დასჯის შესახებ. ტ. I, თბ., 1955.

71. ჭუანშერის, XI ს. ქართველი ისტორიკოსის, ნაშრომი "ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა", მოიცავს V—VII სს.-ის საქართველოს ისტორიას. თხზულებაში ყურადღება გადატანილია ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობაზე, მის ღვაწლზე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ირანელების წინააღმდეგ, ტ. I, 1955.

72. უცნობი (ანონიმი) ავტორის თხზულებაში "მატიანე ქართლისაჲ" ასახულია VIII-XI საუკუნეების (XI ს. 70-იანი წლების დასაწყისამდე) საქართველოს ისტორია. მასში თანმიმდევრულადაა გადმოცემული ამ დროის კახეთ-ჰერეთის შემოერთება ერთიანი საქართველოს საზღვრებში, მოთხრობილია არაბების წინააღმდეგ ბრძოლის, დიდი ფეოდალების თავგასულობის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში თითქმის მთელი XI საუკუნის მანძილზე. ავტორი მოგვიტობს ბიზანტია-საქართველოს და სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებზე. "ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955 წ.

73. უცნობი (ანონიმი) ავტორი "ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", XI ს. მიწურულისა XII ს. პირველი ნახევრის მოღვაწეა. მისი ნაშრომი "მატიანე ქართლისაჲ" უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ის დავით IV ბაგრატიონის მოღვაწეობას მთელი ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ფონზე განიხილავს. თხზულებაში ნათლად ჩანს ავტორის თხოვნისა და წერის მაღალი კულტურა, დიდი ერთდროა და მოვლენათა შეფასების სიღრმე. ავტორი თანმიმდევრულად აღწერს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ყველა ძირითად მხარეს. ის მეფესთან დაახლოებული პირი ყოფილა. ამდენად, მას ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო დოკუმენტებზე. ამიტომ მის თხზულებებში აღწერილი ამბები, თარიღები და სხვა ცნობები სანდოა, რადგან მათი უტყუარობა დადასტურებულია უცხოური წერილობითი წყაროებით, ნუმისმატიკური მასალითა და სხვა მონაცემებით. ამდენად, "ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი" საუკეთესო წერილობითი პირველწყაროა ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში. "ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955.

74. ლაშა-გიორგის (გიორგი IV) დროინდელი მემატიანის (ანონიმი ავტორი XII ს. II ნახევარი — XIII ს. I ნახევარი) თხზულებაში გაშუქებულია დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდგომი პერიოდი გიორგი IV-ის მმართველობის ჩათვლით (დემეტრე I, დავით V, გიორგი III, თამარ მეფე, გიორგი IV-ლაშა). აღნიშნულ ნაშრომში დაცულია საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ცნობები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ის ერთადერთი ავტორია, რომელიც გვაწვდის ცნობებს დავით აღმაშენებლის შვილის დემეტრე I-ისა და ამ უკანასკნელის უფროსი შვილის დავით V-ის შესახებ. "ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955.

75. სუმბატ დავითის-ძის (XI ს. მოღვაწე) ნაშრომი "ცხოვრება და უწყება ზაგრატიონისათა" წარმოადგენს ქართულსა სასეფო დინასტიის — ბაგრატიონთა საგვარეულო მატეიანეს. მასში გადმოცემულია VI-XI სს. (I

მესამედი) საქართველოს, ასევე, მეტ-ნაკლებად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების (სომხეთის, ალბანეთის, ბიზანტიის) ისტორია. თხზულებაში გატარებულია აზრი ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის შესახებ. ავტორმა შეადგინა ამ დინასტიის წარმომავლობის გენიალოგია. თხზულებაში თხრობა იწყება ადამიდან და მთავრდება 1031 წლით.

სუმბატის წყაროებია: ბიბლია, ევსევი კესარიელის "საეკლესიო ისტორია, "მოქცევაჲ ქართლისაჲ", ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულო ქრონიკები და სამეფო კარზე დაცული დოკუმენტები. მას უსარგებლია ასევე ზოგიერთი ისეთი წყაროთი, რომელსაც ჩვენამდე აღარ მოუღწევია. ქართველ მკვლევართა აზრით, სუმბატს გამოყენებული აქვს გიორგი მერჩულის "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაჲ" (პ. ინგოროყვა, თბ., 1955, გვ. 45). ავტორი თხრობისას ცდილობს იყოს მიუყვარძობელი.

ამდენად, წინამდებარე თხზულება მნიშვნელოვანი წყაროა VI-XI სს. საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში. "ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955 წ. (იხ. ასევე, სუმბატ დავითის ძე "ცხოვრება და უწყებაჲ ბაგრატიონთა". ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახშიამ, თბ., 1990 წელი.

ქართლის ცხოვრების II ტომში შეტანილია სულ 5 ნაწარმოები.

76. უცნობი ავტორის "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" XII ს. მეორე ნახევრისა და XIII ს. I მეოთხედის მატიანა. მასში გაშუქებულია გიორგი III-ისა და თამარ მეფის დროინდელი საქართველოს ისტორია. თხზულებაში დიდი ადგილი უკავია გიორგი III-ის მმართველობის ამბებს. ქართველ მკვლევართა შეფასებით, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულება "ისტორიანი აზმანი შარავანდედთანი" თავისი სანდოობითა და მოტანილი ფაქტების სიუხვით, პირუთენელობით, პრინციპისადმი ერთგულებით, განსაზღვრული საკითხისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით ერთ-ერთ საუკეთესო პირველწყაროდ ითვლება ქართულ ისტორიოგრაფიაში. "ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ. 1959.

77. ბასილი ეზოსმოდვარი, ავტორი თხზულებისა "ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" — XII ს. ბოლო მეოთხედისა და XIII ს. პირველი ნახევრის მოღვაწეა. ავტორს, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, მოკლედ აქვს გადმოცემული გიორგი III-ის მოღვაწეობის პერიოდის საქართველოს ისტორია. თხზულებაში თხრობა იწყება გიორგი III-ის გამეფებით და მთავრდება თამარ მეფის გარდაცვალებით. "ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959.

78. XIV ს. ქართველი ისტორიკოსი, რომლის ვინაობა უცნობია, ჟამთააღმწერლის სახელითაა ცნობილი. ასევე უცნობია მისი თხზულების სათაური. ნაშრომში თხრობა იწყება გიორგი IV-ის (ლაშას) ტახტზე ასვლით და მთავრდება გიორგი V-ის მეფობის დასაწყისით (1317 წლით). მატეანის დაწერის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. ქართველი მკვლევრების აზრით, ავტორი გიორგი V-ის თანამედროვე უნდა იყოს. სავარაუდოდ, აღნიშნული ნაშრომის ავტორი სასულიერო პირია. იგი ცდილობს პრობლემების წარმოშობის მიზეზების ძიებას, ობიექტურობისა და პირუთენელობის დაცვას. მატეანეზე მუშაობისას მას უსარგებლია ქართული და უცხოური წყაროებით, მკვარამ, უმეტეს შემთხვევაში, არ ასახელებს მათ. ჟამთააღმწერლის ოხზულება

საყურადღებო წყაროა XIII-XIV სს. დამდგეის საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის მკვლევართათვის. "ქართლის ცხოვრება", ტ. II, თბ., 1959 წელი.

ჟამთაღმწერელსა და მის თხზულებაზე იხ. ასევე: ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტ. VIII, თბ., 1977 წ.; თ. ჟორდანიანი, "ქრონიკები", ტ. III, 1967 წ.; ჟამთაღმწერელი "ასწლოვანი მათიანე", ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა. შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.

79. XVII ს. მიწურულისა და XVIII ს. I ნახევრის მოღვაწის ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით (ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი სწავლულ კაცთა კომისია) დაწერილი "ახალი ქართლის ცხოვრების" პირველი ტექსტი წარმოადგენს ქართლის ცხოვრების გაგრძელებას, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიას ბაგრატ V-ის გამეფებიდან (1360 წ.). ვახტანგ V-მდე (შაჰ-ნავაზი) - 1658-1675 წწ.). ვახტანგ VI-ის ჩანაფიქრით სწავლულ კაცთა კომისიას უნდა მოეძია და შეეცო ის ხარვეზი, რომელშიც აღმოჩნდა ქართული ისტორიოგრაფია. ჟამთაღმწერლის შემდეგ ფარსადან გორგიჯანიძემდე არაბის გაუგრძელება "ქართლის ცხოვრება". სწავლულ კაცთა მიერ დაწერილი მათიანე უსათაუროა. თხზულებას აქვს ნაკლოვანებები, რის გამოც ვახუშტი ბაგრატიონმა გააკრიტიკა იგი.

"ახალი ქართლის ცხოვრების" ტექსტზე მუშაობისას კომისიას უსარგებლია არა მარტო ქართული, არამედ უცხოური წყაროებით (სპარსული, თურქული, სომხური, ბერძნული) და ოფიციალური დოკუმენტებით. კომისიის მუშაობის ერთ-ერთი ნაკლია ის, რომ ის ფაქტობრივად წყაროებს არ ასახელებს. მიუხედავად ნაკლოვანებებისა თხზულებას ლირიული ადგილი უკავია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

80. "ქართლის ცხოვრების" კრებულის მეორე ტომში შეტანილია ანონიმი ავტორის მიერ "ახალი ქართლის ცხოვრების" ორი ვადამუშავებული გაგრძელება, რომლებიც შეიცავენ XIV-XVI სს. ისტორიას. ორივე ტექსტი წარმოადგენს ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შედგენილი ისტორიის ახალ ვადამუშავებულ ტექსტს, სადაც თხრობა 1605 წლამდე არის მოტანილი. ანონიმ ავტორს არა მარტო იმ წყაროებით უსარგებლია, რაც გამოიყენა სწავლულ კაცთა კომისიამ, არამედ სხვა წყაროებითაც. რომელთა ნაწილი დღეისათვის ან უცნობია, ან დაკარგულია, ან კიდევ ფრაგმენტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწავლულ კაცთა კომისიამ თავის ნაშრომში შეიტანა წყაროებიდან და საბუთებიდან ამოკრებილი ცნობები, სადაც დედნის ენა დაცული არ არის. ივ. ჯავახიშვილის აზრით, წყაროები ბევრგან დამახინჯებულია კიდევ (ივ. ჯავახიშვილი, 1977, გვ. 350). რაც შეეხება ანონიმ ავტორს, მას იგივე მასალა გამოუყენებია, რაც სწავლულ კაცთა კომისია, მაგრამ მის ნაშრომში უფრო მეტი ინფორმაციაა შეტანილი, სადაც სტილი დაცულია. ამიტომ მკვლევრები ანონიმი ავტორის თხზულებას მაღალ შეფასებას აძლევენ. ("ქართლის ცხოვრება" ტ. II, თბ., 1959 წ.).

81. "ქართლის ცხოვრების" მეოთხე ტომში შესულია მხოლოდ ერთი, ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1756) "აღწერა სამეფოისა საქართველოსა" თხზულება. დაიწერა მოსკოვში 1742-1745 წწ. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973. ნაშრომი მოიცავს საქართველოს მთლიან ისტორიას დასაბამიდან XVIII ს. შუა წლებამდე. იგი შედგება

ორი ძირითადი ნაწილისაგან. პირველი მოიცავს ისტორიას XIV საუკუნემდე. მეორე — XIV-XVIII სს. 40-იან წლებამდე. თხზულების პირველი ნაწილი, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, კომპილაციას წარმოადგენს, ხოლო მეორე — მთლიანად ორიგინალურია... სრულებით ახლებურადაა წარმოდგენილი ისტორიული გეოგრაფიის მნიშვნელობა ისტორიული ფაქტების დასადგენად (იხ. "ქართლის ცხოვრება", ტ. IV, 1973, გვ. 08).

ვახუშტი ბატონიშვილს გამოყენებული აქვს როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები, ოფიციალური დოკუმენტები, ძველი გარიგების წიგნები, სიგელ-გუჯრები... ამავე დროს, ვახუშტი ასახელებს ყველა წყაროს სათაურით და ავტორის მითითებით.

ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება, მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომაა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ლიტერატურა

გ. აღასანია, 1984 - გ. აღასანია, რიცხვი და მისტიკა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, მაცნე ისტორიის სერია, 1984 წ., № 4.

ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, 1978 - ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო თ. მგალობლიშვილმა, თბ., 1978.

არსენი საფარელი, 1980 - არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980.

შ. ბადრიძე, 1979 - შ. ბადრიძე, Картлис цховреба о грузино-византийских взаимно отношениях первой трети XI века, в кн: Источниковедческие исследования, 1979.

გ. გელაშვილი, 1960 - გ. გელაშვილი, სუმბათ დავითის-ძე და მათიანე ქართლისა, თსუ შრომები 87, თბ., 1960.

ე. გრიგოლია, 1954 - ე. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.

ე. თაყაიშვილი, 1949 - ე. თაყაიშვილი, სუმბათ დავითის-ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 27, თბ., 1949.

ე. თაყაიშვილი, 1890 - ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ზრონიკა. ტფ., 1890.

პ. ინგოროყვა, 1954 - პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

პ. ინგოროყვა, 1978 - პ. ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, ტ. 4. თბ., 1978.

ს. კაკაბაძე 1928 - ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა IV-VII სს. ისტორიის შესახებ — საისტორიო კრებული II, თბ., 1928.

დ. კარიჭაშვილი, 1909 - დ. კარიჭაშვილი, ვინ უნდა იყოს სუმბათის ქრონიკის ავტორი, ძველი საქართველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, I, ტფ., 1909.

კ. კეკელიძე, 1960 - კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1960.

მ. ლორთქიფანიძე, 1979 - М. Лордкипанидхзе, Сумбат Давитис — дзе и его исторические сочинения, в кн: Сумбат Давитис — дзе. История и повествование о Багратионах, Тб., 1979.

მელიქსეთ-ბეგი, 1921 - Меликсед-Беги, Известия Кавказского отделения Московского археологического общества, вып. VI, Тф. 1921

გ. მჭედლიძე, 1963 - Г. Мchedlidze, Хронология в древнегрузинской исторической литературе V—XIV веков. Автореферат кандидатской диссертации, Тб., 1963.

თ. ჟორდანია, 1892 - თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, 1892.

ტ. რუხაძე, 1949 - ტ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი "ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა", "ლიტერატურული ძიებანი", V, თბ., 1949.

აკ. ურუშაძე, 1964 - აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ., 1964.

ვლ. ფუტურიაძე, 1955 - ვლ. ფუტურიაძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება, ტ. 2, თბ., 1959.

ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973.

ქუთაისის სამეცნიერ ბიბლიოთეკის წელიწადიური, ტ. I, ქუთ., 2009, ტ. II, ქუთ., 2010.

თ. ყაუხჩიშვილი, 1977 - თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1977.

თ. ყაუხჩიშვილი, 1965 - თ. ყაუხჩიშვილი, ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

ს. ყაუხჩიშვილი, 1955 - თ. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების ძეგლთა წყაროების საკითხისათვის, წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. 1, 1955.

გ. წულაია, 1982 - Г. Цулаиа, Введение, в кн.: Летопись Картли, Тб., 1982.

ივ. ჯავახიშვილი, 1977 - ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტ. 8, თბ., 1977.

EMZARTCHANTURIDZE**RESOURCES ABOUT THE HISTORY OF GEORGIA HELD
IN KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY**

The subject matter of the article is the continuation of publications of the bibliography of the annotated original works held in Kutaisi scientific library. There is represented the materials which contains 616 documents (chronicles, different documents of clerical and public affairs, blessing deeds, commands given by the Shah of Persia, individual letters which combines the materials describing the periods from IX-VIII to the II half of the IX century B.C.

Represented texts refer to number of fields according to their summary (political, social, economical, juridical, cultural, etc), they are written in different languages by the authors of different nations and beliefs. The part of foreign materials found today is translated into Georgian and is used together with the original.

The bibliography list contains the part of documents of the Persian and bilingual (Persian-Georgian) collections, which are combined in the fund of Kutaisi scientific library. Seven collections consist of 350 documents – merit deeds, charters, and other documents of forgiveness, verdict, acquisition, etc. Bilingual materials refer to the period from 1580 to 1757. From these materials the earliest one is the deed of merit by Svimon I in 1580 and the oldest the deed of merit written in 1757. One bilingual (Georgian-Persian) collection thoroughly contains 192 documents.

The letters sent by the khans of Erevan to the kings of Kartl-kakheti (Teimuraz I, Erekle II) are the matter of remark, which along with other issues highlight political events which describes the situation in the west Trans Caucasus in XVIII, the attitude of The Khans of Erevan towards Georgian Kings.

Materials held in the funds of Kutaisi scientific library are the best original works for the researchers of the history of Georgia.

ალექსანდრე ჭულუხაძე

სიტყვა 'ვეფხის' სემანტიკა და ეტიმოლოგია

"ვეფხის" სემანტიკა და ეტიმოლოგია ამ სიტყვის შოთა რუსთაველის უკვდავ პოემა "ვეფხისტყაოსანში" გამორჩეული იდეურ-მხატვრული დატვირთვის გამო დიდ ინტერესს იწვევს და საკითხის ირგვლივ მეცნიერთა შორის ხანგრძლივი კამათი მიმდინარეობს. მიუხედავად რუსთველოლოგიური ლიტერატურის მრავალფეროვნებისა, ძველი ქართული ლექსიკის ანალიზისა და სპეციალური ლიტერატურის დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული საკითხი მონოგრაფიულად საერთოდ არ არის შესწავლილი და მასთან დაკავშირებული, ხშირ შემთხვევაში მცდარი ან საეჭვო ვარაუდები და მოსაზრებები ავტორთა სხვადასხვა შრომებში ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი.

არსებულ მასალაზე მუშაობისას წამოიჭრა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა შესწავლა აუცილებელი იყო აღნიშნული ტერმინის ნამდვილი მნიშვნელობისა და ეტიმოლოგიის ახსნისათვის. უპირველეს ყოვლისა, საქირო იყო: I. საქართველოსა და ზოგადად კავკასიის რეგიონში კატისებრთა ოჯახის მტაცებელთა პოპულაციის ისტორიული არეალის განსაზღვრა; II. საკითხის შესწავლის ისტორიის, არსებული შრომებისა და ქართულ ლექსიკონებში კატისებრთა ოჯახის მტაცებელთა სახელების ზოგადი მიმოხილვა; III. საქართველოსა და კავკასიის რეგიონთან ოდითგანვე მომიჯნავე სხვადასხვა კულტურათა ენებში სიტყვა 'ვეფხის' აღნიშნული ლექსიკის ეტიმოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი; IV. ძველ ქართულ წყაროებში აღნიშნული სიტყვის გამოყენების ანალიზი და მისი შედარება ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოსთან ყველაზე აქტიურად დაკავშირებულ სხვადასხვა კულტურული ერის ენათა მონაცემებთან; V. სიტყვა 'ვეფხის' ეტიმოლოგიური და სემანტიკური ანალიზი; VI. 'ვეფხის' სიმბოლიკის გავლენის ანალიზი სხვადასხვა კულტურების მითოლოგიასა და ფოლკლორში; VII. 'ვეფხის' სიმბოლიკის ახსნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

I. კატისებრთა ოჯახის მტაცებელთა პოპულაცია კავკასიაში

კატისებრთა ოჯახის დიდი მტაცებელი ცხოველების ისტორიის შესწავლამ გვიჩვენა, რომ უხსოვარ დროში ოთხივე დიდი მტაცებელი: ლომი, 'ტეგრი', 'ლეოპარდი' და 'ჰეპარდი' ბინადრობდა კავკასიის ტერიტორიაზე.

ლომი, ლათ. *Panthera leo*, ისტორიულად მხოლოდ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ რაიონებში, ძირითადად მდინარე მტკვრის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში, დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტეპის დაბლობებზე ბინადრობდა და ადრეულ შუა საუკუნეებში, დაახლოებით IX-X სს.-ში მთლიანად გადაშენდა [70:78]. ეს ცხოველი თავისი ფიზიკური სიდიდის, შეფერილობისა და მაპრი ინდივიდებისათვის დამახასიათებელი ფაფარით ადვილი გასარჩევია სხვა მტაცებლებისაგან. ლომი უხსოვარი დროიდან ითვლებოდა დაუდგრომელი,

აგრესიული და მოუთვინიერებელი ხასიათის ცხოველად. არ არსებობს ისტორიული ცნობა, რომ ეს ცხოველი მსოფლიოს რომელიმე რეგიონში გაეწვრთნათ და სანადიროდ გამოეყენებინათ.

ვეფხვი ანუ 'ტიგრი', ლათ. *Panthera Tigris*, ისტორიულად სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მხოლოდ კასპიის ზღვისპირა დაბლობებზე ბინადრობდა, რომლის პოპულაციაც უკვე ადრეულ შუა საუკუნეებშივე გაქრა. კავკასიაში XIX საუკუნეში ვეფხვი მხოლოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთში, თალიშის რეგიონის მთიან ზონაში და ლენკორანის დაბლობის შამხნარებში მცირე პოპულაციით ბინადრობდა და მაზანდარანული (ჩრდილოეთ ირანული) ვეფხვის სახეობას მიეკუთვნებოდა. დროთა განმავლობაში მისი პოპულაცია შემცირდა და XX საუკუნის პირველ ნახევარში საერთოდ გადაშენდა [70:93-96]. ვეფხვი თავისი ზომით თითქმის ლომის ტოლაა და მუქ ყვითელ ან მოყავისფრო ტანზე შავი ან თეთრ-შავი შეფერილობის დამახასიათებელი ვერტიკალური ზოლები აქვს, რის გამოც მისი სხვა მტაცებლებისაგან გამორჩევა ადვილია. ვეფხვი, ლომის მსგავსად, უხსოვარი დროიდან ითვლებოდა აგრესიული და მოუთვინიერებელი ხასიათის ცხოველად, რომლის არაპროგნოზირებადი ხასიათისა და გახელების შემთხვევაში დაუშორჩილებლობის გამო მას სანადიროდ არ იყენებდნენ.

'ლეოპარდი', ლათ. *Leopardus pardus* ან *Panthera pardus*, გარდა აზერბაიჯანის სტეპებისა, ისტორიულად კავკასიის რეგიონის მთელ ტერიტორიაზე, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ვრცელ არეალში როგორც ტყიან, ასევე კლდოვან მთებში, მთისპირა ზონებსა და დაბლობებში ბინადრობდა და მისი პოპულაციის არეალი მთელ საქართველოს მოიცავდა. კავკასიური 'ლეოპარდი', რომელიც 'ლეოპარდის' იშვიათ სახეობას მიეკუთვნება, ორ ქვესახეობად იყოფა: დღეისათვის მთლიანად გადაშენებული ჩრდილოეთკავკასიური 'ლეოპარდი', ლათ. *Leopardus pardus ciscaucasicus* და სამხრეთკავკასიური 'ლეოპარდი' *Panthera pardus transcaucasica*, რომელიც ჩრდილოეთიდან, ანუ ასტრახადულ 'ლეოპარდზე', ლათ. *Panthera pardus saxicolor*, ოდნავ დიდი ზომისაა და ბეწვის შეფერილობითაც მისგან მცირედ განსხვავდება [70:159-169]. 'ლეოპარდის' სამხრეთკავკასიური სახეობა XX საუკუნის 50-იანი წლებიდან გადაშენებულად ითვლებოდა, მაგრამ მოხდა საოცრება. 2004 წელს კახეთში, ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში მეცნიერთა ჯგუფმა სამხრეთკავკასიურ 'ლეოპარდს' მიაკვლია. საბუნდოვროდ, რამდენიმე ინდივიდი გადარჩა და მათი პოპულაციის აღდგენის პერსპექტივაც გაჩნდა. 'ლეოპარდი' ლომსა და ვეფხვზე, ანუ 'ტიგრზე' შედარებით პატარა ზომისაა და მუქი ყვითელი, ან ღია ყავისფერი შეფერილობის ტანზე გაშლილი ყვავილის მსგავსი ცარიელი შიგთავსის მქონე ლამაზი ლაქებით არის დაფარული, რაც მას კატისებრთა ოჯახის მტაცებელ ცხოველებს შორის ესთეტიური თვალსაზრისით ყველაზე მიმზიდველს ხდის. 'ლეოპარდს' სხვადასხვა რეგიონში და კავკასიაშიც უხსოვარი დროიდან წვრთნიდნენ და სანადიროდ იყენებდნენ.

'ჰეპარდი', ანუ ავაზა, ლათ. *Acinonyx jubatus*, ისტორიულად სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის მხოლოდ დაბლობებსა და დიდი მდინარეების მიმდებარე აუზებში ბინადრობდა და მისი გავრცელების არეალი აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებსაც მოიცავდა. 'ჰეპარდი'

კატისებრთა ოჯახის მტაცებელთა შორის მშვიდი, არააგრესიული ბუნებით გამოირჩევა, ყველაზე ადვილად თვინიერდება და მას ყოველთვის ფართოდ იყენებდნენ სანადიროდ. სწორედ ეს გარემოება გახდა IX-X სს.-ში ამ ცხოველის სამხრეთკავკასიური სახეობის მთლიანად გაქრობის მიზეზი [70:509-510]. 'ჰეპარდი' ზემოთ დასახელებულ სამივე მტაცებელზე პატარა ზომისაა, ყვითელი ფერის ტანი მრგვალი ფორმის შავი ფერის ხალებით აქვს დაფარული და ესთეტიური თვალსაზრისით 'ლეოპარდზე' ნაკლებ მიმზიდველი არის.

ზემოთ დასახელებული ოთხივე მტაცებლიდან, ზოგადად მსოფლიოში და ასევე კავკასიის რეგიონშიც, ყველაზე ფართოდ გავცელების არეალი 'ლეოპარდს' ჰქონდა, რომელიც დღემდე ბინადრობს კავკასიაში. ეს ცხოველი ერთნაირად კარგად ეგუება მთისა და ბარის გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს. საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში ასევე დღემდე ბინადრობს კატისებრთა ოჯახის შედარებით მცირე ზომის მტაცებელი ფოცხვერი, ლათ. *Lynx*, რომელიც არასოდეს ყოფილა ადამიანის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი და შესაბამისად მის შესახებ არ გვექნება საუბარი.

I. კატისებრთა ოჯახის მტაცებელთა სახელები ქართულ ლექსიკონებში კატისებრთა ოჯახის მტაცებელთა სახელები და მათი განმარტებები არეულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში და მკითხველს სპეციალური შესწავლის გარეშე ბუნდოვანი შთაბეჭდილება ექმნება, თუ რომელი ტერმინი რომელ მტაცებელს აღნიშნავს.

ა. სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონა", 1716 წ.:

1. ვეფხი განუმარტავია [17: I, 263], თუმცა ამ ტერმინის უცხო შესატყვისებად ლათინური: 'თიგრო' (< 'ტიგრი, ვეფხვი'), თურქული: 'აფლან' (< 'ლეოპარდი') და სომხური: 'ინწ' (< 'ლეოპარდი') არის მოყვანილი [17: II, 508].

2. ავაზა 'ვეფხს ჰვავს, მცირეა' [17: I, 40]. ასევე ავაზა 'თურქულად ბაარს' (< 'ლეოპარდი') [17: II, 475].

3. ჭიჭი 'ვეფხსა ჰვავს, უდიდეა, რომელსა სპარსნი ბაბრს (< 'ტიგრი, ვეფხვი') უწოდენ; ერთს თემსაც ჰქვიან აფხაზეთს მოსამზღვრეთა' [17: II, 458].

4. ბაბრი (< 'ტიგრი, ვეფხვი') 'სხვათა ენაა, ქართულად ჭიჭი ჰქვიან. სპარსთა ენაა, ქართულად ჭიჭი' [17: I, 87].

5. ვიგრი '...ვიგრის ტყავს ზღვის თევზის ტყავს უქმობენ და ვმელთა ცხოველიც არს, მისი ტყავიცა ეგრევე ძვლით მოლურსმილია. ფარს-სპარსნი ქარგარდანს უქმობენ. კორკოდლოს ტყავი არს. რალაც მჰყვითა, ვეფხთან და ლომთან აქსენებს წერილი' [17: I, 263].

ვიგრი- *vigr*- '1.ტიგრი; 2.ლეოპარდი' [6:110; 16:214; 27:154., 175] VII-XI სს.-ის ქართულ წყაროებში გვხვდება, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონში შეცდომით არის განმარტებული როგორც 'ვეშაპი; მარტორქა; ნიანგი' [17: I, 263; 18: IV, 62]. ეს სიტყვა საშუალო ირანული, სავარაუდოდ პართული **wagr* '1. ტიგრი; 2. ლეოპარდი' ძირიდან ნასესხებად ითვლება [3:87-88: 4: I, 239-241; 38:490; 28: IV, 292] და ფშავ-ხევსურულ დიალექტებში შიგრა-

ფორმით და '1.ლეოპარდი; 2.გახელებული, გამძვინვარებული' მნიშვნელობით დღესაც იხმარება [16:325; 19:362]. ასევე სიტყვა ბაბრიც 'ტიგრის' მნიშვნელობით ახალი სპარსულიდანაა ნასესხები და "შაჰნამეს" ქართული თარგმანების მეშვეობით გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტში.

ბ. დავით ჩუბინაშვილის "ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი", 1841 წ.:

1. ვეფხი 'рысь, тигр, барс; lynx, loup-cervier; tigre; léopard' [23:201].

2. ავაზა 'барс, panthère' [23:6].

3. ჯიქი 'леопард, нонр; leopard, once (quadrupède)' [23:633].

4. ბაბრი 'нонер, нонр; castor' [23:45].

5. ვიგრი / იგრი 'название животного; nom d'animal (tigre?)' [23:202].

გ. დავით ჩუბინაშვილის "ქართულ-რუსული ლექსიკონი", 1887 წ.:

1. ვეფხი 'მდაბიურად ვეფხვი; ოთხ-ფეხი; рысь, тигр, леопард' [24:506].

2. ავაზა 'ბარსი, მომცრო ვეფხვი; ან მეძებარი ძაღლი, ნაგაზი; барс; гончая собака' [24:8].

3. ჯიქი 'ცხოველი; ბაბრი; ვეფხსა ჰგავს; тигр, барс' [24:1772].

4. ბაბრი 'ჯიქი; леопард; нонр' [24:89].

5. ვიგრი 'ვეფხვი; тигр' [24:507].

დ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950-1964 წ.:

1. ვეფხი 'ძვ., იხ. ვეფხვი' [18:IV, 58].

2. ვეფხვი 'დიდი მტაცებელი ცხოველი (კატების ოჯახისა); აქვს ჭრელი, ზოლებიანი (ან ხალებიანი) ტყავი' [18:IV, 58].

3. ავაზა '*Acinonyx jubatus*, ვეფხვის ჯიშის მხეცი, ვეფხვზე პატარა; ადვილად შინაურდება; ძველად იყენებდნენ ნადირობაში (ნადირზე მისატყვევებლად)' [18:I, 144].

4. ჯიქი '1). *Leopardus pardus*, დიდი ნადირი კატისებრთა ოჯახისა; აქვს მოვეითალო, წინწყლებიანი ბეწვი - ბაბრი. 2. ჯიუტი, თავნება' [18:VIII, 1595-1596].

5. ბაბრი '1). იგივეა რაც ჯიქი *Leopardus pardus*. 2. დიდი დათვი' [18:I, 941].

6. ვიგრი 'ძვ. ნიანგი (საბა)' [18:IV, 62].

ე. ილია აბულაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონი", 1973 წ.:

1. ვეფხი 'ვეფხვი, ავაზი; pardus, pardalis, leopardus, panthera' [2:157].

2. ავაზა / ავაზი '*Felis pardus*' [2:2].

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კატისებრთა ოჯახის მტაცებელთა სახელების ზუსტი განმარტებები ქართული ენისა და ლექსიკოლოგიის უდიდეს მოამაგეს სულხან-საბა ორბელიანსაც კი არ აქვს თავის ლექსიკონში მოცემული. მიზეზი შეიძლება იყოს აღნიშნულ ცხოველთა საქართველოს ტერიტორიაზე გვიანი შუა საუკუნეებისათვის სრული ან ნაწილობრივი გადაშენება, რასაც მოსახლეობისათვის მათი გაუცხოება მოჰყვა. სულხან-საბას დიდი გავლენა იგრძნობა XIX ს. ის

დიდი ლექსიკოგრაფის დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონებში, ხოლო XX ს.-ის ლექსიკონებსა და სხვადასხვა შრომებში კი დავით ჩუბინაშვილის გავლენით აღნიშნულ ცხოველთა სახელები და მათი მნიშვნელობები არასწორად არის გადმოცემული. აღნიშნული ლექსიკონებიდან მოყვანილი განმარტებები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

1. ვეფხი / ვეფხვი 'ფოცხვერი; ტიგრი; ლეოპარდი; ჰეპარდი; ჭრელი, ზოლებიანი'.

2. ავაზა 'ვეფხვის მსგავსი მცირე მტაცებელი; ბარსი; ჰეპარდი; ფოცხვერი; ტიგრი; ლეოპარდი'.

3. ჭიჭი 'ვეფხვის მსგავსი დიდი მტაცებელი; ბაბრი; ლეოპარდი; ცხოველი; თახვი; ტიგრი; წინწყლებიანი'.

4. ბაბრი 'ჭიჭი; თახვი; ლეოპარდი; დიდი დათვი'.

5. ვიგრი 'ვეშაბი; მარტორქა; ნიანგი; გაურკვეველი ცხოველი; ტიგრი'.
უნდა იყოს:

1. ვეფხი ძველი მნიშვნელობით ზოგადად '1. ლეოპარდი; 2. ჰეპარდი'.

2. ვეფხვი თანამედროვე მნიშვნელობით ზოგადად 'ტიგრი'.

3. ავაზა ძველი მნიშვნელობით ზოგადად '1. ჰეპარდი; 2. მწვეარი'.

4. ჭიჭი ძველი მნიშვნელობით ზოგადად 'ლეოპარდი'.

5. ბაბრი ძველი მნიშვნელობით ზოგადად '1. ტიგრი; 2. დიდი დათვი'.

6. ვიგრი ძველი მნიშვნელობით ზოგადად '1. ლეოპარდი; 2. ტიგრი

(?)'.

ასევე უაღრესად საინტერესოა დასავლეთ საქართველოს იმერულ და გურულ კილო-კავებში გავრცელებული ტერმინი ტიგურა: '1. შეუპოვარი, მამაცი, გულადი, ვაჟაკი; 2. უშნოდ აჭრელებული ცხოველი; ჭრელი; წითელი ფერის მქონე ზოლებიანი ან ლაქებიანი საქონელი, ცხენი ან ჯორი' [1:56-60], რომელიც, ჩვენი აზრით, სავარაუდოდ, კლასიკური ან ბიზანტიური ბერძნულიდან $\tau\acute{\iota}\gamma\rho\acute{\iota}\varsigma$ $\tau\acute{\iota}\gamma\rho\acute{\iota}\varsigma$ 'ვეფხვი, ტიგრი' უნდა იყოს ნასესხები, რაზეც მეტყველებს ამ სიტყვის მხოლოდ დასავლურქართულ დიალექტებში გავრცელება.

II. 'ვეფხი' სხვადასხვა აღმოსავლურ ენაში

პირველყოფილი საზოგადოების ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ადამიანები, სემანტიკის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ცხოველს, ფრინველს ან მცენარეს მისგან მიღებული ვიზუალური შთაბეჭდილების ან ფიზიკური თვისებების მიხედვით არკმევედნენ სახელს. კატისებრთა ოჯახის დიდ მტაცებელთა სახელების ზოგადი ეტიმოლოგიურ-სემანტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი ძირები ვიზუალური შთაბეჭდილების მიხედვით და, უმრავლეს შემთხვევაში, ცხოველების შეფერილობის აღმნიშვნელი სახელების დერივაციით არის ნაწარმოები.

'ლომი' ფიზიკური სიდიდის, ადვილად გასარჩევი შეფერილობისა და მამრებისათვის დამახასიათებელი ფაფრის გამო კატისებრთა ოჯახის მტაცებელთა შორის განზოგადებულად დგას და მისი აღმნიშვნელი სახელი სხვადასხვა ენაში ცალკემდგომი დერივაციული ფორმით, ხოლო 'ტიგრის', 'ლეოპარდის' და 'ჰეპარდის' აღმნიშვნელი სახელები კი, ამ ცხოველების შეფერილობის სიჭრელისა და ზოგადი ფიზიკური მსგავსების გამო ერთი დერივაციული ფორმის შემდგომი განვითარებით არის მიღებული. სწორედ

ამიტომ სამივე ცხოველი ბევრ ენაში ხშირად ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნება. ენების განვითარების შემდგომ ერთაზე ზოგ შემთხვევაში მოხდა ზემოთ დასახელებული სამი ცხოველის აღმნიშვნელი სახელების სამ დამოუკიდებელ სემანტიკურ დერეკატად გამოყოფა:

1. 'ტიგრი' — 'ლეოპარდი; ჰეპარდი'.
2. 'ტიგრი; ლეოპარდი' — 'ჰეპარდი'.
3. 'ტიგრი' — 'ლეოპარდი' — 'ჰეპარდი'.

ა:) 'ლეოპარდი' *Leopardus pardus* // *Panthera pardus*;

პროტოსემიტური: *namir 'ლეოპარდი' < 'ჰრელი' [56:406];

აქადური: *nimru(m)* // *namru* // *nammar* < *nmr '1. ლეოპარდი; 2.

ჰეპარდი (ავაზა)' [29:253] < პროტოსემიტური: *namir;

შუმერული: *nimur* '1. ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' < აქადური: *nimru(m)* '1. ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' [31:65];

ძვ.ებრაული: נמר *nmr* > *namer* და נמרה *nmr'* > *nimrah* '1. ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' < პროტოსემიტური: *namir [35:380];

არამეული: נמר *nmr* > *nemr* 'ლეოპარდი' < პროტოსემიტური: *namir [35:380];

სირიული: ܢܡܪ // נמר *nmr* > *nemr* // ܢܡܪܝܢ // נמרה *nymr'* > *nemrā* '1. ლეოპარდი; 2. ტიგრი' < პროტოსემიტური: *namir;

მანდეური: ܢܡܪܝܢ // נמר > *namar* 'ლეოპარდი' [41:283].

არაბული: نمر *nmr* > *nimr* '1. ლეოპარდი; 2. ტიგრი', نمر الارقط *nimr ul-arqat* 'ლეოპარდი < 'ხალეზიანი' < პროტოსემიტური: *namir 'ლეოპარდი' < 'ჰრელი';

ეთიოპური (გეზი): *namr* 'ლეოპარდი' > ტიგრე: *nābri* 'ლეოპარდი', ტიგრინია: *nāmri* // *nābri* 'ლეოპარდი', ამჰარული: *nāber* 'ლეოპარდი' [49:398., 709] < პროტოსემიტური: *namir 'ლეოპარდი' < 'ჰრელი';

ხეთური: *paršna-* 'ლეოპარდი' < პროტონინდოევროპული **prs-no-*, შდრ.: ძვ.თურქული *bars* 'ლეოპარდი' [48:644];

კობტური: *dzhikris* // *dzhikres* '1. ტიგრი; 2. ლეოპარდი' < ბერძნული: $\tau\acute{\iota}\gamma\rho\iota\varsigma$ 'ტიგრი' [40:764; 84:742., 748., 794];

კობტური: *babres* '1. ტიგრი; 2. ლეოპარდი' < არაბული: ببر *babr* 'ტიგრი' < სპარსული: ببر *babr* 'ტიგრი' [40:764; 84:742., 748., 794];

ბერძნული: πάρδαλις *párðalis* // πάρδαλεος *parðáleos* '1. ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)', < სანსკრიტული: पृदाकु- '1. ჰეპარდი (ავაზა); 2. ტიგრი; 3. გველი' < სანსკრ. **prda-* 'ჰრელი; ხალეზიანი' [37:857; 50:1331];

ბერძნული: λεόπαρδος *leópardos* 'ლეოპარდი' [50:1038] კომპოზიტი < λέων *léon* 'ლომი + πάρδος *pardos* 'მდელი ჰეპარდი (ავაზა)' < πάρδαλις *párðalis* // πάρδαλεος *parðáleos* '1. ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)'. ძველად მიაჩნდათ, რომ 'ლეოპარდი' ლომისა და მდელი 'ჰეპარდის' შეჯვარების შედეგად წარმოიშვა, რასაც ამ ცხოველის აღმნიშვნელი სახელის სტრუქტურაც ადასტურებს [37:630].

ლათინური: *leopardus* 'ლეოპარდი' < ბერძნული: λεόπαρδος *leópardos* 'ლეოპარდი';

სომხური: յովազ yovaz '1.ლეოპარდი; 2.ტიგრი' < სპარსული: یوز yūz 'ჰეპარდი (ავაზა)';

სპარსული: پالنگ palang 'ლეოპარდი' < სანსკრიტული: pṛdāku- '1. ჰეპარდი (ავაზა); 2.ტიგრი; 3.გველი' < სანსკრიტული: *pṛda- 'ჰრელი; ხალეზიანი'.

ბ:) 'ჰეპარდი (ავაზა)' Acinonyx jubatus

აქადური: nimru(m) // namru // nammar < *nmr '1. ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' [29:253] < პროტოსემიტური: *namir;

ძვ. ასირიული: nimru 'ჰეპარდი (ავაზა)' < აქადური: nimru(m) '1. ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' [60:173., 234; 56:234];

შუმერული: nimur '1. ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' < აქადური: nimru(m) '1. ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' [31:65];

ძვ.ებრაული: נמר nmr > namer და נמר nmr' > nimrah '1.ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' < პროტოსემიტური: *namir [35:380];

სირიული: פהד // פהד phd > pahd // פהד // פהד pahda '1. ჰეპარდი (ავაზა); 2.გარეული კატა' < პროტოსემიტური *phd '1. ჰეპარდი; 2.გარეული კატა';

სირიული: بابر bbr > babr '1. ტიგრი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' < სპარსული: بابر babr 'ტიგრი' [36:31; 53:I, 52; 32:39];

სირიული: פנתר pntwr > pantēr 'ჰეპარდი (ავაზა)' < ბერძნული: πάνθηρ pánthēr 'ჰეპარდი (ავაზა)' [36:278];

სირიული: יוז ywz > yōz 'ჰეპარდი (ავაზა)' < სპარსული: یوز yūz 'ჰეპარდი (ავაზა)' [36:145];

სირიული: پردال prdyn > pardīn 'ჰეპარდი (ავაზა)' < ბერძნული: πάρδαλ párdal '1.ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' [36:285];

ეთიოპური (გვეზი): kamānyo 'ჰეპარდი (ავაზა)' < ქუშიტური: kamānyo 'ჰეპარდი (ავაზა)' < 'სანალირო ცხოველი; მწვეარი' [49:285., 720];

ბერძნული: πάρδαλις párdalis // παρδάλειος pardáleos '1.ლეოპარდი; 2. ჰეპარდი (ავაზა)', < სანსკრიტული: pṛdāku- '1. ჰეპარდი (ავაზა); 2.ტიგრი; 3.გველი' < სანსკრ. *pṛda- 'ჰრელი; ხალეზიანი' [37:857; 50:1331];

ბერძნული: πάνθηρ pánthēr // πανθήρα panthéra 'ჰეპარდი (ავაზა)', < სავარაუდოდ სანსკრიტული: paṇḍarīkam 'ტიგრი' < სანსკრიტული: paṇḍarah 'შოთეთრო-მოყვითალო' [37:855; 50:1298];

ლათინური: panthera 'ჰეპარდი (ავაზა)' < ბერძნული: πανθήρα panthéra 'ჰეპარდი (ავაზა)';

სომხური: պանտեր panter 'ჰეპარდი' < ბერძნული: πάνθηρ pánthēr 'ჰეპარდი';

გ:) 'ტიგრი' Felis tigris

ბერძნული: τίγρις tigris 'ტიგრი' < სავარაუდოდ ირანული: *tigra 'ბასრკებილა' < *tig- 'წვეტიანი; ბასრი' [37:1116; 50:1789];

ლათინური: tigris < ბერძნული: τίγρις tigris 'ტიგრი';

სირიული: ܢܡܪ // נמר nmr > nemr // ܢܡܪܝܢ // נמרין nymr' > nemrā
 '1.ლეოპარდი; 2.ტიგრი' < პროტოსემიტური: *namir;

სირიული: ܢܡܪܝܢ // نمرس tygrys 'ტიგრი' < ბერძნული: τίγρις tigris
 'ტიგრი';

სირიული: ܒܒܪ bbr > babr '1. ტიგრი; 2. ჰეპარდი (ავაზა)' < სპარსული:
 ببر babr 'ტიგრი' [36:31; 53:I, 52; 32:39];

არაბული: نمر nimir '1. ლეოპარდი; 2. ტიგრი', نمر السخط nimir ul-
 muxattaf 'ტიგრი' < 'ზოლებიანი' < პროტოსემიტური: *namir 'ლეოპარდი'
 < *nmr 'ჭრელი';

არაბული: نمر wabr // ببر babr // 'ტიგრი' < სპარსული: ببر babr
 'ტიგრი' [53:I, 52; 32:39., 271; 40:764; 84:742., 748., 794];

სომხური: վագր vagr 'ტიგრი' < საშუალო ირანული *vagr 'ტიგრი';

სომხური: յովազ yovaz '1.ლეოპარდი; 2.ტიგრი' < სპარსული ببر yūz
 'ჰეპარდი (ავაზა)';

სპარსული: ببر babr '1. ტიგრი' 2. ლეოპარდი' < სანსკრიტული: व्याघ्र vyāghrā
 '1. ლეოპარდი; 2. ლომი; 3. ტიგრი' < სავარაუდოდ '1.სუნის ამღები,
 მყნოსავი', ან '2. მუქი ყვითელი; ყავისფერი' [54:1036; 81:175; 75:II, 153;
 33:26-27; 57:280].

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ 'ტიგრის',
 'ლეოპარდისა' და 'ჰეპარდის' აღმნიშვნელი სახელების ამოსავალი
 მნიშვნელობები არის 'ჭრელი' > 'ზალებიანი' და 'ჭრელი' > 'ზოლებიანი'.
 'ტიგრის' და 'ლეოპარდის' აღმნიშვნელი სახელები ბევრ ენაში ერთი და
 იმავე ძირიდან არის ნაწარმოები და 'ზალებიანი' < 'ზოლებიანი', ანუ
 ვიზუალური სემანტიკური დიფერენცირების პრინციპით უპირისპირდებიან
 ერთმანეთს. ზოგადად 'ლეოპარდისა' და 'ჰეპარდის' შორის თვალშისაცემი
 მსგავსება არის და მათი გარჩევა შედარებით რთულია, ვიდრე
 'ლეოპარდისა' და 'ტიგრის'. მოსალოდნელი იყო, რომ 'ლეოპარდის' და
 'ჰეპარდის' აღმნიშვნელ სახელებს უნდა ჰქონოდათ უფრო ფართო საერთო
 დერივაცია, მაგრამ ალბათ გაანალიზებული ენებისა გავრცელების არეალში
 'ტიგრის' პოპულაციის ისტორიულად მცირე მასშტბით გავრცელებისა და
 ფიზიკური სიდიდის გამო იგი უფრო ფართო გავრცელების მქონე
 'ლეოპარდის' მსგავს ცხოველად იქნა აღქმული და უმრავლეს შემთხვევაში
 ორივე ცხოველის აღმნიშვნელი სახელი ერთი ძირიდან იქნა მიღებული.
 სწორედ ამიტომ უფრო ხშირად 'ლეოპარდი ტიგრი' უპირისპირდება
 'ჰეპარდს'. შესაბამისად ვლინდება ზოგადი ეტიმოლოგიურ-სემანტიკური
 კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც კატისებრთა ოჯახის დიდი
 მტაცებლები 'ტიგრი', 'ლეოპარდი' და 'ჰეპარდი' ისტორიულად თითქმის
 ყველა ძველ ენაში ერთი ამოსავალი ძირით გამოიხატებოდა, რომელიც
 აღნიშნულ ცხოველის პოპულაციის გავრცელების შესაბამისად განიცდიდა
 შემდგომ დერივაციას. 'ტიგრისა' და 'ლეოპარდის' აღმნიშვნელი სახელები
 ერთი ძირიდან იქნა ნაწარმოები, ხოლო 'ჰეპარდის' აღმნიშვნელი სახელი
 კი სხვა ძირის დერივაციის შედეგია, მაგრამ ხშირ შემთხვევებში
 'ლეოპარდის' აღმნიშვნელი სახელი პარალელურად 'ჰეპარდისაც' ნიშნავს, ან
 პირიქით. მაგ.: ბერძნულ და ლათინურ წყაროებში πάρδαλις pārdalis //

ძველი ქართული: უკუეთუ ცვალოს ეთიოპელმან ტყავი თსუ და ვეფხმან სიჭრელენი მისნი.

რომელსაც შეესატყვისება:

ძველებრაული: *עָרֵךְ דִּבְלֵ ,אִשְׁרֵךְ דִּבְלֵ* *מִדְּבָר-מִדְּבָר ;וַיִּרְדְּבִדְבֵךְ וַחֲמֵךְ ,וַיִּרְעֵשׂ אֶת-בְּדָלֵךְ*

სებტუაგინტა: *ει ἀλλαξεται Αιθιοψ το δερμα αυτου και **πάρδαλις** τὰ ποικίλατα αυτης*

სირიული: *ܐܪ ܛܘܒܠܥܐ ܪܥܘܐ ܡܘܕܥܐ ܕܥܘܬܐ ܡܘܕܥܐ ܕܥܘܬܐ ܕܥܘܬܐ ܕܥܘܬܐ ܕܥܘܬܐ ܕܥܘܬܐ ܕܥܘܬܐ*

ძველი სომხური: *Եթէ փոխիցէ հնդիկ գնորթ իւր, եւ ինձ գիսայտուցս իւր*

გაშოყენებული ტერმინები:

ძველებრაული: *רָבָּ namer* '1.ლეობარდი; 2.ავაზა';

სებტუაგინტა: *πάρδαλις párdalis* '1.ლეობარდი; 2.ავაზა';

სირიული: *ܪܥܘܐ nemrā* '1.ლეობარდი; 2.ტიგრი';

ძველი ქართული: ვეფხი 'ლეობარდი';

ძველი სომხური: *ինձ inc* 'ლეობარდი'.

სიბრძნე ზირაქისა 28.23

ძველი ქართული: მოვევლინებათ მათ, ვითარცა ლომი და ვითარცა ვეფხი მოაშთობს მათ.

რომელსაც შეესატყვისება:

სებტუაგინტა: *και εν αυτοις εκκαησεται και ου μη σβεσθη επαποσταλησεται αυτοις ὡς λεων και ὡς **πάρδαλις** λυμαίνεται αυτοις*

გაშოყენებული ტერმინები:

სებტუაგინტა: *πάρδαλις párdalis* '1.ლეობარდი; 2.ავაზა';

ძველი ქართული: ვეფხი 'ლეობარდი'.

დანიელი 7.6

ძველი ქართული: და აჰა ესერა მვეცი სხუად ვითარცა ვეფხი.

რომელსაც შეესატყვისება:

ძველებრაული: *וַחֲמֵךְ יִרְדֵּךְ וַיִּרְעֵךְ ,תִּינֵךְ הַיָּד הַזֶּה רַחֲמֵךְ*

სებტუაგინტა: *και μετα ταυτα εμεωρουσθησιν ἄλλο ὡσει **πάρδαλις***

ძველი სომხური: *Եւ գկնի სորա հայէի, եւ ահա այլ գագան իբրև գին*

გაშოყენებული ტერმინები:

ძველებრაული: *רָבָּ namer* '1.ლეობარდი; 2.ავაზა';

სებტუაგინტა: *πάρδαλις párdalis* '1.ლეობარდი; 2.ავაზა';

ძველი ქართული: ვეფხი 'ლეობარდი';

ძველი სომხური: *ინձ inc* 'ლეობარდი'.

ქებაჲ ქებათაჲ 4.8

ძველი ქართული: წარმოჰვლო დასაბამით სარწმუნოებდისათ თხემსა ზედა სანარისა და ერმონისასა საყოფელთაგან ლომთასა და მთათაგან ვეფხთასა.

რომელსაც შეესატყვისება:

ძველებრაული: *וַיִּשְׂא אֶת-מַרְוָה אֶת-מַרְוָה ;וַיִּבְרַח וַיִּבְרַח מִיָּד ,הֲלֵךְ וַיִּבְרַח מִיָּד*

מִיָּד ;וַיִּבְרַח ,תִּיִּרְעֵךְ תִּיִּרְעֵךְ ,וַיִּבְרַח

panθer // πανθήρα panθéra 'შეპარდი (ავაზა)' [50:1298], ლათ. *Acinonyx jubatus*, ტერმინებითაა გადმოთარგმნილი. სირიულ თარგმანებში გამოყენებულია ტერმინი 𐤏𐤍𐤓𐤓 nemrā '1.ლეოპარდი; 2.ტიგრი'; ხოლო სომხურ თარგმანებში გვხვდება ძირითადად სომხური სიტყვა ինծ inc 'ლეოპარდი' ან იშვიათად სპარსულიდან ნასესხები ტერმინი յաւազ yawaz // յովազ yovaz '1.ლეოპარდი; 2.ავაზა'.

ვეფხის სემანტიკის გასარკვევად ასევე უღარესად საინტერესოა ძველ ალთქმაში დადასტურებული იშვიათი ტერმინი აქლემ-ვეფხ-ი aklem-vepx- 'ჟირაფის' მნიშვნელობით [26:II, 429].

მეორისა სჯულისაჲ 14.5

ძველი ქართული: ირემი და ქურციკი და კამბეჩი და ვაცირემი, ხარაბუზი, იამური და აქლემვეფხი.

რომელსაც შეესატყვისება:

ძველებრაული: 𐌆𐌗𐌊𐌆 𐌶𐌆𐌗𐌊, 𐌶𐌆𐌗𐌊 𐌶𐌆𐌗𐌊; 𐌶𐌆𐌗𐌊, 𐌶𐌆𐌗𐌊

სებტუაგინტა: ελαφον και διοκαδα και βουβαλον και τραγελαφον και πγαργον, ορυγα και καμηλοπάρδαλις

სირიული: 𐤏𐤍𐤓𐤓 𐤏𐤍𐤓𐤓 𐤏𐤍𐤓𐤓 𐤏𐤍𐤓𐤓 𐤏𐤍𐤓𐤓 𐤏𐤍𐤓𐤓 𐤏𐤍𐤓𐤓 𐤏𐤍𐤓𐤓

ძველი სომხური: գեղջերու եւ գայბեամս, եւ գգոմնչ եւ գխարբուգ, եւ գայბքաղ, եւ գյամուր, եւ գანსալուք

გამოყენებული ტერმინები:

ძველებრაული: zamr (zmr 𐌆𐌗𐌊) 'ჟირაფი';

სებტუაგინტა: καμηλοπάρδαλις kamelopárdalis 'აქლემვეფხი, ანუ ჟირაფი';

სირიული: 𐤏𐤍 𐤏𐤍 'ირემი';

ძველი ქართული: აქლემვეფხი 'ჟირაფი';

ძველი სომხური: անսալուք analut 'ირემი' < (?) ინდოევროპული *h1(o)-Hn-th2o- ან (?) ინდოევროპული *alan-th- // *anal-th- < (?) სემიტური *nalut- [52:65-69].

ეს კომპოზიტი აქლემ- aklem- და ვეფხ- vepx- 'ლეოპარდი' სიტყვებისაგანაა შედგენილი. მისი პირდაპირი მნიშვნელობაა 'ვეფხის, ანუ ლეოპარდის, მსგავსი ხალეზიანი აქლემი' და იმავე მნიშვნელობის ბერძნული ტერმინის καμηλοπάρδαλις kamelopárdalis ქართული შესატყვისია, რომელიც შედგენილია ორი სიტყვისაგან: καμηλος kamelos 'აქლემი' და πάρδαλις párdalis 'ლეოპარდი'. შდრ.: ბერძნულის გავლენით შედგენილი სირიული gamalonemrā 𐤆𐌆𐌍𐌎𐌌𐌎𐌓 (gmlwnmr) 'აქლემვეფხი ანუ ჟირაფი' < gamal 𐌆𐌆𐌍 (gml) 'აქლემი' + nemrā 𐤏𐤍𐤓𐤓 (nmr) '1.ლეოპარდი; ტიგრი' [36:57] და სირიული 'oštōrgavpalang 𐌶𐌆𐌗𐌊 𐌶𐌆𐌗𐌊 (štwrgwplng) 'აქლემვეფხი ანუ ჟირაფი' < სპარსული 'oštōr 𐌶𐌆𐌗𐌊 (štwr) 'აქლემი' + სპარსული gav 'ძროხა' 𐌆𐌆 (gw) + სპარსული palang 𐌶𐌆𐌗𐌊 (plng) 'ლეოპარდი' [36:57]; კლასიკური სპარსული 𐭪𐭮𐭲𐭮𐭮 šotorpalang 'აქლემვეფხი ანუ ჟირაფი' [79:1, 416; 83:47] < 𐭪𐭮𐭲𐭮 šotor 'აქლემი' + 𐭮𐭲𐭮𐭮 palang 'ლეოპარდი' და შემდგომ სომხურში ნასესხები štrpalang 'ჟირაფი' [34:460].

სემანტიკური შედარებისათვის ასევე საყურადღებოა აშავას ოჯახის მცენარის ქართულში გავრცელებული სახელწოდება ვეფხისტყავა, ლათ. *Sansevieria*, რომლის ფოთლებიც ვეფხის, ანუ 'ლეოპარდის', ტყავის მსგავსად ხალებისა და არა ზოლების მსგავსი ლაქებითაა დაფარული, რაც მას ვიზუალურად მიმზიდველს ხდის.

ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა მაგალითისა და მათში გამოყენებული ტერმინების ანალიზის შედეგად ექვსგარეშეა, რომ სიტყვა ვეფხი ძველ ქართულ წყაროებში ხალებიან ცხოველს 'ლეოპარდს' აღნიშნავს და არა ზოლებიან ცხოველს 'ტიგრს' [25:80; 14:258-263; 20:72-75].

V. 'ვეფხის' ეტიმოლოგიური და სემანტიკური ანალიზი

სიტყვა ვეფხი (vepx-) ქართველურ და სხვა კავკასიურ ენებში შესატყვისი არ აქვს და უცნობი წარმომავლობის ძირად ითვლება. მეგრულსა და სვანურში ქართულიდან ნასესხები ვეფხ და ქანურში ბერძნულიდან ნასესხები ლიპარდჲ ფორმები არის დადასტურებული. ნიკო მარი ქართულ სიტყვა ვეფხი (vepx-) 'ლეოპარდის' მნიშვნელობით, სომხურ *vagr* '1. ტიგრი; 2. ლეოპარდი' და სპარსულ სიტყვას *ببر* *babr* 'ტიგრი' ერთმანეთის შესატყვისი და ჰიპოთეტური იაფეტური *ber-ber ძირის დერევატებად მიიჩნევდა [73:175], რაც არასწორია.

ჩვენი აზრით, ქართული სიტყვა ვეფხი vepx-, სავარაუდოდ, საშუალო ირანული *wephr // *waphr '1.ტიგრი; 2.ლეოპარდი' ძირიდან მომდინარეობს და ზეპირი გზით უნდა გავრცელებულიყო ქართულში. ირანულ თანხმოვანთა კომპლექსი -hr- < ძვ.ირანული *-θr-, რომელიც პართულ და ადრეულ ფალაურ წყაროებში დასტურდება, ქართულში ფონეტიკური ცვლილებების შედეგად -r(rh)- ან -xr- ფორმით გადმოდის [68:18]. შესაბამისად, vepx- < *weprx- < *wephr // *waphr ფონეტიკური გადასვლა ქართული ენის ფონეტიკის კანონებს შეესაბამება და შესაძლებელია.

აღნიშნული ძირი სპარსულსა და ტაჯიკურში ზოგადად *ببر* *babr* ფორმით და 'ტიგრის' [62:I, 188; 44:42; 45:7; 63:115; 42:I, 125; 79:I, 231] მნიშვნელობით, ხოლო ირანის, ტაჯიკეთისა და ავღანეთის სხვადასხვა დიალექტებში 'ლეოპარდისა' და 'შეპარდის' მნიშვნელობითაც იხმარება [76:1100]. ეს სიტყვა არსებულ ფალაურ წყაროებში მხოლოდ *babr* // *bapr* (*bpl*) 'ტიგრი' ფორმით არის დადასტურებული [51:16] და საშუალო სპარსულ დიალექტებში უდავოდ სხვადასხვა *wephr // *waphr // *wapr // *webhr // *wabhr // *wabr ფონეტიკური ვარიანტით იქნებოდა გავრცელებული, რომელთაგანაც ერთ-ერთი, სავარაუდოდ, ქართული ვეფხ-სიტყვის ამოსავალი პირველწყაროც იყო. ქართული ვეფხ- ფორმა ახლოს არის უფრო ძველ ფონეტიკურ ფორმასთან *vighr // *veghr < *vagher < ძველი ირანული *vagr, რომელიც ქართული ვიგრ- vigr- და სომხური *vagr* '1. ლეოპარდი; 2. ტიგრი' სიტყვის ამოსავალი წყაროა [46:14; 47:242; 28: IV, 292; 34:460; 58:450; 78:169].

ძველი ირანული *vagr 'ტიგრი' სანსკრიტული *vyāghrá* ნასესხობად ითვლება [46:14; 47:242; 44:42; 45:7; 81:175], რომელიც "რიგვედაში" 'ლეოპარდის', "ათარვავედაში" 'ტიგრის', ხოლო შემდგომ წყაროებში ზოგადად 'ტიგრის' მნიშვნელობითაა დადასტურებული [54:1036]. უდრ...

სანსკრიტული vyāghra-čarman 'ტიგრის ტყავი' [54:1036]. ტერმინი vyāghrá წინარე ინდო-არიული ძირის *vy-ā-ghrā- სავარაუდოდ 'შყნოსავი, სუნის ამღები, მეძებარი' [81:175] დერივაცია და ინდოსტანის ნახევარკუნძულზე არსებულ ბევრ ენაში მრავალი ფონეტიკური ფორმით და ზოგადად 1) ტიგრის; 2) ლეოპარდის; 3) ლომის' მნიშვნელობითაა გავრცელებული. მაგ.: პრაკრიტული vaggā 'ტიგრი', სინდი vāghu 'ტიგრი', პაპარი brag // brāg // brāgh, კუშაუნი bāg, პალი bāg // bāgh, ასამი bāgh, ბენგალი bāgh // bāg 'ტიგრი'; დარდული ჯგუფის ენებში: bāg-biāg, ფანჯაბი barāgh // bāgh 'ლეოპარდის' მნიშვნელობით; ურდულ ენათა ჯგუფში bāgha, მაილილი bāgha, ჰინდი bāgh, გუჯარათი vāgh, ლარათში vāgh, სინჰალი vāga // vāg 'ტიგრი'; ლომი' [61:706].

აღნიშნული ამოსავალი ინდოირანული ძირის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებიც არსებობს. ვერა რასტორგუევა და ჯოი ედელმანი თვლიან, რომ კლასიკური სპარსული بابر bābr 'ტიგრი; ლეოპარდი' და بابر babar 'თახვი' ლათ. Castor fiber ერთი ინდოირანული ძირიდან *ba-bhru- > *ba-brāu- // *ba-bru- არის მიღებული, რომლისგანაც ინდოევროპულ ენებში ზოგადად იწარმოება 'ყავისფერი ან მოყვითალო' ბეწვის მქონე ცხოველების სახელები [75: II, 153]. ასევე ჰაროლდ ბეილის მიაზნა, რომ სანსკრიტული ძირი vyāghrá 'ტიგრი' ნაწარმოებია vi-āgh- ძირიდან და უკავშირდება ბერძნულ სიტყვას ὀκhrós 'მოყვითალო, ღია ყვითელი' < ინდოევროპული *ogh- // *ogh- [33:26-27; 57: I, 280]. შდრ.: ქართული სიტყვა ოქრო 'ყვითელი ლითონი'.

"ვეფხისტყაოსანში" გვხვდება ტერმინი ჭიქი- ჯიკ- 'უმოწყალო და დაუნდობელი ცხოველის' მნიშვნელობით, რომელიც, სავარაუდოდ 'ტიგრის' უნდა ნიშნავდეს [17: II, 458; 15:387; 7:80]. მაგრამ ჭიქი ჯიკ- ფონეტიკური, სემანტიკური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ანლოს დგას ნახურ-დაღესტნურ ძირთან *čiku- // *čik- '1. ლეოპარდი; 2. ფოცხვერი; 3. ტიგრი (იშვიათად)', რომელიც ჩეჩნურში čok // čok-berg 'ლეოპარდი' და čokak // čoka 'ლეოპარდის ტყავი', ავარული čirk, ახვახური čikko, გოდობრული čirkku, ლაკური činik, დარგული čirk ფორმებით არის დადასტურებული [72:29, 245, 619; 74:39, 524; 67:6; 17: II, 458]. ჩვენი აზრით ქართული ძირი ჯიკ- და ნახურ-დაღესტნური *čiku- // *čik- 'ლეოპარდისა და ფოცხვერის' აღმნიშვნელი ძირძველი კავკასიური ძირებია, რომლებმაც ალბათ შუა საუკუნეებიდან 'ტიგრის' მნიშვნელობაც შეიძინა.

ქართული ჭიქ- ძირის ხმარება დროთა განმავლობაში ირანულიდან ნასესხებმა vepx- ძირმა შეზღუდა. ტერმინმა ჭიქი VII-XII სს-ის ქართულ ლიტერატურაში სავარაუდოდ, მხოლოდ 'ტიგრის, უმოწყალო მტაცებლის' მნიშვნელობა მიიღო და შემდგომ საუკუნეებშიც ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა და სწორედ ამიტომ სულხან-საბას "სიტყვის კონაში" სპარსული ტერმინის ბაბრის بابر 'ტიგრის' შესატყვისადაა მოყვანილი [17: II, 458], მაგრამ სიტყვა ჭიქი საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში დღემდე მხოლოდ 'ლეოპარდის' მნიშვნელობით იხმარება და ასევე

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ 'ტიგრი' არასოდეს ბინადრობდა ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს მთიანეთში, და სწორედ ამიტომ ჭიჭი თავისი უძველესი მნიშვნელობით დღემდე ინმარება მთიანეთში. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭიჭი თავდაპირველად სწორედ 'ლეობარდს' ეწოდებოდა, ხოლო შუა საუკუნეებში იგი სემანტიკურად დაუკავშირდა კავკასიის სხვადასხვა რეგიონში შემოყვანილ 'ტიგრს', რომელსაც ადგილობრივ მეფეთა და დიდებულთა კარზე აფასებდნენ, როგორც დეკორატიულ ცხოველს.

სიტყვა ვეფხის ვერ- ქართულში სესხების ზუსტი პერიოდი გაურკვეველია, მაგრამ მისი გამოყენება VII-XIV სს-ის ქართულ სალიტერატურო წყაროებში გვიჩვენებს, რომ იგი ზალებიან ცხოველს, ანუ 'ლეობარდს', აღნიშნავდა და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავდა ზოლებიან ცხოველს, ანუ 'ტიგრს'. სიტყვის ფონეტიკური ანალიზის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვეფხი ადრეული ფალაურტიდან III-IV სს-ში იქნა ნასესხები.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ძველ ქართულ ფერწერაშიც ვეფხი ყველგან ზალებიან ცხოველად არის დახატული. მაგ.: სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთი შიდა კედლის ცნობილ მონატიულობაზე, აპოკალიფსურ სცენებს შორის იოანეს გამოცხადებაში ნახსენები ვეფხის მსგავსი შვიდთავიანი ურჩხული ზალებიანი 'ლეობარდის' სახით არის გამოსახული. "ვეფხისტყაოსნის" XVI-XVII სს-ის ხელნაწერებში არსებულ მინიატურებზეც ტარიელი ზალებიანი 'ლეობარდის' ტყავით არის შემოსილი. თინათინის მეფედ დასმის სცენაში კი მას ზალებიანი 'ლეობარდის' ტყავის მსგავსი სამეფო მოსასხამი აქვს მოსხმული და სხვ.

ტერმინმა ვეფხი მოგვიანებით, სიტყვა ჭიჭის მსგავსად, განიცადა სემანტიკური ცვლილება და თავდაპირველად როგორც ნასესხობა, საგარეოდ, ორივე ცხოველს — 'ლეობარდს' და 'ტიგრს' აღნიშნავდა; ადრეულ და შუა საუკუნეებში 'ლეობარდს', ხოლო გვიანი შუა საუკუნეებიდან დღემდე კი 'ტიგრს' აღნიშნავს.

VI. 'ვეფხის' სიმბოლიკა მითოლოგიასა და ფოლკლორში

'ლეობარდი' და იშვიათად 'ჰეპარდი' თავიანთი ბეწვისა და შეფერილობის განსაკუთრებული სილამაზის გამო ყველა რეგიონში, სადაც კი ბინადრობდნენ, ნეოლითის პერიოდიდან ადამიანის განსაკუთრებული ყურადღებისა და თავყვანისცემის ობიექტები იყვნენ, რაზეც მეტყველებს ძლიერი არქეოლოგიური მასალა და კლდეზე დატოვებული ჩანახატები. აღნიშნული ცხოველების კულტის განვითარება, რისი კვალიც მოგვიანებით მითოლოგიასა და ფოლკლორშიც აისახა, ძირითადად მედიტერანულ და ზოგადად წინააზიურ ცივილიზაციებში მიმდინარეობდა და კავკასიის რეგიონსაც მოიცავდა.

დღეისათვის არსებულ არქეოლოგიურ მასალათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მცირე აზიაში აღმოჩენილი ჩათალ-ჰუიუქის ძვ.წ. VII-VI ათასწლეულების და ჰაჯილარის ძვ.წ. VIII-VII ათასწლეულების კედლის ფერწერა, რომელზეც 'ლეობარდის' ტყავში გამოწყობილი ადამიანები და ნახევრად ადამიანი, ნახევრად ცხოველები არიან გამოსახულნი, რომელნიც შამანიტურ სარიტუალო ცეკვას ასრულებენ [71:48-49].

შემდგომ პერიოდში 'ლეობარდს' და 'ჰეპარდს' ბევრი ძველი ცივილიზაციის მითოლოგიასა და რწმენა-წარმოდგენებში ყოველთვის

განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ. 'ლეოპარდი', როგორც 'ქალური საწყისის, ნაყოფიერებისა და სიუხვის' სიმბოლოა გამოვლინება, სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური მონაპოვარში, როგორცია ტროა, ორი, ხეების ცივილიზაციის ძვ.წ. II ათასწლეულის შერე არის დაფიქსირებული. 'ლეოპარდი' ასევე ხეების მეფეთა ტოტემური ცხოველი იყო. ასევე შდრ.: სიბელა - ფრიგიულ (ანატოლიურ) მითოლოგიაში დედამიწის დედა ქალღმერთი, წინასწარმეტყველი და სიბრძნეთა მცველი, რომელიც ჩვეულებრივ 'ლეოპარდის' სახით ან მისი ტყავით შემოსილი გამოისახებოდა [39:261-262].

შუამდინარეთში ცნობილი იყო 'ლეოპარდის' სხვადასხვა კულტი, რომელიც სხვა კულტურებშიც გავრცელდა. მაგ.: დუსურა - შუამდინარეთიდან მოგვიანებით გავრცელებული ნაბატეური მზის ღმერთი, რომელიც ყოველწლიურად კვდებოდა და გაზაფხულზე 'ლეოპარდის' სახით კვლავ მკვდრეთით აღსდგებოდა [39:310].

მაზლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული კულტი: დუსარა - ნაბატეურ და არაბულ მითოლოგიაში ღვინის ღმერთი, რომლის ტოტემიც იყო 'ლეოპარდი' [39:309].

'ლეოპარდის' და 'ჰეპარდის' ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაშიც განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ და სხვადასხვა ღვთაებების ტოტემური ცხოველები იყვნენ. მაგ.: ოსირისი - უზენაესი ღმერთი, მიცვალებულთა სულების განმგებელი, წყალიდობების, მზის, მცენარეთა და ზოგადად ნაყოფიერების, ბუნების გამცოცხლებისა და აღორძინების ღმერთი, რომელიც ჩვეულებრივ საბელგამომბულ 'ლეოპარდთან' ან 'ჰეპარდთან' ერთად მოსერიხედ გამოისახებოდა, რაც მის სეთზე გამარჯვებას ნიშნავდა [39:791]. სეთი - ქაოსის, მრისხანების, ქვიშის ქარიშხლების, ომისა და სიკვდილის ღმერთი, უზენაესი ღმერთის ოსირისის ანტიპოდი და მეტოქე, რომლის ტოტემიც იყო 'ლეოპარდი'. ძველ ეგვიპტეში ქურუმები სხვადასხვა რელიგიური რიტუალების და განსაკუთრებით დაკრძალვის ცერემონიის შესრულებისას ამ ცხოველის ტყავით იმოსებოდნენ, რაც სიმბოლურად ადამიანების მტრის, ბოროტების ღმერთ სეთის ტოტემი იყო და 'ლეოპარდის' ტყავის ჩაცმა სიმბოლურად სეთის მოკვლას, ბოროტების დამარცხებას და მისი ტყავის ჯადოსნური ძალის გამოყენებით მიცვალებულის ირგვლივ მყოფი ბოროტი სულების განდევნას გამოხატავდა [39:920-921]. მაფდტი - იმპეყენიური სიცოცხლის სასახლის გამგებელი ქალღმერთი, რომელიც მამაკაცს მორიელუნისა და გველეხისაგან იცავს და 'ლეოპარდის' ან 'ფოცხვერის' სახით გამოისახებოდა [39:652]. სეფხეტ-აუბი - წერისა და წიგნთსაცავების მფარველი ქალღმერთი, რომელიც 'ლეოპარდის' ტყავით შემოსილი გამოისახებოდა [39:619].

ბიბლიურ წარმოდგენებში აღსანიშნავია ფლაუროსი - დემონი, სოლომონის ერთ-ერთი 72 მაცდურთაგანი, რომელიც 'ლეოპარდის' სახით ჰყავდათ წარმოდგენილი [39:379].

ბერძნულ მითოლოგიაში ყურადღებას იმსახურებს დიონისე - მცირეაზიური წარმოშობის მიწის ნაყოფიერების, მევენახეობისა და მეღვინეობის ღმერთი, რომელიც 'ლეოპარდზე' ან 'ჰეპარდზე' ამხედრებული გამოისახებოდა [39:293]. ატალანტა - მონადირე ქალი, მელანიონის მეუღლე, რომელსაც თავის ქმართან ერთად შეეძლო ლომად ან 'ლეოპარდად' გადაქცეულიყო [39:105]. ჰომეროსის 'ილიადაში' მშვენიერი ელენის მეუღლეს - სპარტის მყოფი მენელაოსს და ასევე განთქმულ გიბრის ალექსანდრეს ტროასთან ომში 'ლეოპარდის' ტყავი ჯავშნის სახით ტანთ ემოსათ.

ფირდოუსის "შაჰნამეში" ქაიუმარსს პირველ ლეგენდარულ მეფეს, სორუშს — ირანული მითოლოგიის სამყაროსეული წესრიგისა და ფიცის მცველ ღვთაებას და ზოროსტრელთა მფარველ ანგელოზს, როსთამს — ლეგენდარულ დევმირს და აქვან დევს — მის მოწინააღმდეგეს 'ლეოპარდის' ტყავები აცვიათ.

ასევე უაღრესად საყურადღებოა ჰსი ვანგ მუ - ჩინურ მითოლოგიაში სიბრძნის მშობელი ოქროს ქალღმერთი, ზვის დასავლეთის დედა დედოფალი, სამოთხის მცველი დედოფალი, რომელიც სამიხელი იერის 'ტიგრის' ან 'ლეოპარდის' სახით გამოისახებოდა [39:495], და ფუჟინი - იაპონურ მითოლოგიასა და სინტოიზმში ქარების ღმერთი, რომელიც 'ლეოპარდის' ტყავით შემოსილი და ჩანთაში დატყვევებული ქარებით გამოისახებოდა [39:390].

აფრიკის კონტინენტზე მობინადრე ბევრ ტომში 'ლეოპარდს' და 'ჰეპარდს' დღემდე განსაკუთრებულ პატივს სცემენ და მათი ტყავისაგან ტომების ბელადების, შამანების და ზოგიერთ შემთხვევაში კერპების ტანსაცმელსაც ამზადებენ. ამ ცხოველების კულტის გავლენა იგრძნობა ასევე აფრიკულ მითოლოგიასა და პრიმიტიულ რწმენა-წარმოდგენებშიც. მაგ.: მინონა - დაჰომეის მოდგმის ხალხების ქალების მფარველი 'ლეოპარდის' მსგავსი ნახევარქალღმერთი [39:702] და მუსსო-კორონი - ბამბარას მოდგმის ხალხთა ქალღმერთი, ნაყოფიერების სიმბოლო, ყველა ცოცხალი არსებისა და ნივთის დედა, რომელიც 'ლეოპარდის' სახით გამოისახებოდა [39:725].

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე მობინადრე წითელკანიანები 'ლეოპარდის' ტყავს ჯავშნის ნაცვლად იყენებდნენ და აფრიკელი ხალხების მსგავსად მისი ტყავისაგან ტომების ბელადების, შამანების და ზოგიერთ შემთხვევაში კერპების ტანსაცმელსაც ამზადებენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კავკასიაში კატისებრთა ოჯახის მტაცებელთაგან მხოლოდ 'ლეოპარდს' ჰქონდა აბოლუტაციის გავრცელების ყველაზე ფართო არეალი და ამ ოჯახის ერთადერთი სახეობაა, რომელიც დღემდე ბინადრობს რეგიონში. შესაბამისად, კავკასიელი ხალხები სწორედ 'ლეოპარდს' იცნობდნენ ყველაზე კარგად, რომელთა მითოლოგიაში, ლეგენდებსა და ზღაპრებში ეს ცხოველი ნეოლითის ხანის ტოტემიზმისა და შამანიზმის ეპოქიდან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, რისი მკაფიო გამოდახილიც არის განსაკუთრებით საქართველოს მთიან რეგიონებში დადასტურებული "ვეფხისა და მოყმის" ციკლის სხვადასხვა ვერსია და მონადირეთა მიერ 'ვეფხის' დატირების წესი [22:257-259]. 'ტიგრი' კავკასიის მთიანეთში არასოდეს ბინადრობდა და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მთიელები ამ ცხოველს არ იცნობდნენ და მათ ფოლკლორშიც მისი კვალი საერთოდ არ აიხსება, ხოლო ზოგიერთი მოგვიანო სიუჟეტი ირანული და ნაწილობრივ ბერძნული მითოლოგიის გავლენით გავრცელდა [64:1055-1058; 65:441-445; 13:211-213; 69: I, 506-507., II, 500-502; 71:48-49].

VII. 'ვეფხის' სიმბოლიკა შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანში"

სიტყვა ვეფხი- "ვეფხისტყაოსანში" 'ლეოპარდის', ლათ. *Panthera pardus* // *Leopardus pardus* მნიშვნელობით 26-ჯერ არის გამოყენებული: ა. ვეფხი-ზოგადად 'ლეოპარდი'; ბ. ვეფხი- ავაზა 'ჰეპარდი', ლათ. *Acinonyx jubatus*, კომპოზიტის პირველი წევრი; გ. ლომ-ვეფხი- კომპოზიტის მეორე წევრი; დ. ვეფხ-გებრ- ზედსართავი სახელი: '1. ვეფხის მზგავსი, ვეფხის მსგავსად. ვეფხურად; 2.ვაჟაკურად, მამაკურად'; ე. ვეფხისტყაოსანი 'ვეფხის

ტყავით 'შემოსილი', რუსთაველის პოემის სახელწოდება და მთავარი გმირის ტარიელის ეპითეტი.

ტერმინ ვეფხს "ვეხისტყაოსანში" განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს. პოემის მთავარი გმირი ტარიელი ვეფხისა და ლომის ბრძოლას შეესწრო. მან ლომი მოკლა და ვეფხს ცოცხლად შეპყრობა დაუბრუნა. ვეფხის სილამაზემ მას თავისი დაკარგული სატრფო გაახსენა. ტარიელი შეეცადა ვეფხის მკერდში ჩაეკვარა და მოფერებას, მაგრამ ცხოველი ისე გახელდა, რომ ტარიელი კლანჭებით დაეჭრა. იგი იძულებული გახდა გახელებული ვეფხი მოეკლა, ხოლო მისი ტყავით კი სატრფოს მოსაგონრად სიმბოლურად ტანი შეიმოსა.

ზოგიერთ სპეციალურ წარმომში აღნიშნულია, რომ ტარიელის მიერ ვეფხის ტყავის ჩაცმის მოტივი და თვით პოემის სათაურიც კი ბერძნული მითოლოგიისა და სპარსული ლიტერატურის გავლენით, განსაკუთრებით ჰომეროსის "ილიადას", ან აბულყასემ ფირდოუსის "შაჰნამეს", და განსაკუთრებით იქ გამოყენებული ტერმინის بابربايان babrbayân 'ტიგრის ტყავი' გავლენით შეიქმნა [82:73-75], რაც სწორი არ არის. ფირდოუსის "შაჰნამეს" თავისი სტრუქტურის, სიუჟეტური კომპოზიციისა და ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით "ვეფხისტყაოსანზე" არანაირი გავლენა არ მოუხდენია.

ვეფხისა და მოყმის ორთაბრძოლის, ვეფხის ტყავის მოყმის მიერ ჩაცმის, და ვეფხისა და მოყმის დამპობილების სიუჟეტი სხვადასხვა ვერსიის სახით უძველესი დროიდან ფართოდაა გავრცელებული კავკასიელი ხალხების და განსაკუთრებით ქართულ მითოლოგიაში, ზოგადად და ზეპირმეტყველებაში [22:257-259; 21:171-176; 5:51; 9:79084]. ამ საკითხის დრმა შესწავლა გვიჩვენებს, რომ ვეფხი 'ლეოპარდი' კავკასიაში უხსოვარი დროიდან წმიდა ცხოველად ითვლებოდა, რომელსაც დიდ პატივს მიაგებდნენ და განსაკუთრებული ვაჟკაცობის, ჯადოსნური ძალის, გამარჯვებული მოყმის, სილამაზისა და მშვენიერების სიმბოლოდ მოიაზრებოდა, რაც ნეოლითის პერიოდის ტოტემიზმიდან განვითარებული უძველესი ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენებიდან იღებს სათავეს [66:482-484, 492] და მხოლოდ კავკასიის რეგიონისთვის არ არის დამახასიათებელი.

რუსთაველის პოემაში 'ლეოპარდისა' და მისი ტყავის სიმბოლიკის სწორი გაგებისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ "ვეფხისტყაოსანი" არის XII ს-ის ძველი. ეს ეპოქა 'ოქროს ხანის' სახელითაა შესული საქართველოს ისტორიაში, რადგან სწორედ მაშინ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია საერო ლიტერატურამ, მეცნიერებამ, ხელოვნებამ, ფილოსოფიურმა აზროვნებამ. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რუსთაველის პიროვნებას და მისი, როგორც ნეოპლატონური ფილოსოფიის მიმდევარი მართლმადიდებელი ქრისტიანის, მსოფლმხედველობის თავისებურებებს. იგი უდავოდ ბრწყინვალედ იცნობდა თავისი ეპოქის არაბულ და სპარსულ ლიტერატურას, მაგრამ "ვეფხისტყაოსნის" შექმნისას ექსკავრემ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ საღვთო, ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასა და იმ ეპოქის ლიტერატურაში გაბატონებულ სიმბოლიკას ეყრდნობოდა და არავითარ აუცილებლობას ან საჭიროებას არ განიცდიდა 'ლეოპარდთან' დაკავშირებული სიუჟეტი ან სიმბოლიკა, ბერძნულ მითოლოგიაში ფერმკრთალად გამოხატული 'ლეოპარდის' ტყავის, ან ფირდოუსის "შაჰნამეში" დადასტურებული სპარსული ტერმინების بابربايان babrbayân 'ტიგრის ტყავი (?)' და پالانگین palangīn // پالانگینه palangīne // palangīnepūš 𐬨𐬀𐬎𐬎𐬎𐬎 'ლეოპარდის ტყავი' და სხვა რომელიმე სპარსული

ნაწარმოებიდან სესხებით ან წაბაძვით გამოესახა. ასევე სპეციალურად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქართველი მეცნიერის მიერ მითითებული "შაჰნამეში" დადასტურებული ტერმინი بابر 'ტიგრის ტყავს' არ აღნიშნავს. ეს ტერმინი, თავისი სემანტიკური ბუნდოვანების გამო, შუა საუკუნეებში სპარსი ლექსიკოლოგების მიერ არასწორად იქნა წაკითხული და გაგებული, როგორც babrbayân, სავარაუდოდ, 'ტიგრის ტყავის' მნიშვნელობით. სინამდვილეში بابر იკითხება, როგორც babarbîyân 'თახვის ტყავი' < babar(â) bî 'თახვი' + yân დანიშნულების სახელის მაწარმოებელი სუფიქსი, რომელიც "ბუნდაჰეში"-ში დადასტურებული საშუალო სპარსული ტერმინის babarâbîk 'წყლის ძალი, ანუ თახვი', ლათ. Castor fiber, ახალი სპარსული ვარიანტია და 'ტიგრთან' არაფერი აქვს საერთო [81:297-299].

მიუხედავად იმისა, რომ 'ლეობარდი' იოანეს გამოცხადებაში (იხ. ზემოთ) აპოკალიფსურ შვიდთავიან და ათრქიან ურჩხულთან არის შედარებული, ქრისტიანულ ლიტერატურაში პირველივე საუკუნეებიდან წმიდა ცხოველად ითვლებოდა, რაზეც მეტყველებს სხვადასხვა ქრისტიანულ თხზულებაში ამ ცხოველის და მისი ტყავის სიმბოლური დატვირთვა. 'ლეობარდი' ძველი და ახალი აღთქმის სხვადასხვა წიგნებში ალღორიულად '1. მიჯნურობით ტკობას, სიყვარულს; ვნებას, ღტოლვას'; ზოგჯერ '2. საფრთხეს, საშიშროებას, მუქარას' (იხ. ზემოთ) და ზოგადად 'ნაყოფიერებას, განახლებასა და ქალურ საწყისს' გამოხატავს. აღრეულ შუა საუკუნეებში 'ლეობარდი' და 'ჰეპარდი (ავაზა)' სიმბოლურად ქრისტეს ალღორიულ სიყვარულსა და რწმენას გამოხატავდა, რაც ამ ცხოველის მედიტერანულ სამყაროში უზსოვარი დროიდან ფართოდ გავრცელებული ზოგადად ნაყოფიერების, გაზაფხულის, ბუნების, სიცოცხლის განახლებისა და შემდგომ ზოგიერთ კულტურაში განვითარებული ქალური საწყისის ალღორიიდან იღებს სათავეს [39:617].

"გვეხისტყავისაში" 'ლეობარდის' სიმბოლიკის გაგებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს 'მეცთათჳს სახისა სიტყუაჲ', რომელიც ქრისტიანულ სამყაროში აღრიდანვე გავრცელდა და ღრმა გავლენა იქონია სხვადასხვა ხალხების ლიტერატურაზე. შატბერდის კრებული X ს.:

მეცთათჳს სახისა სიტყუაჲ

წიგნთაგან თქუმული

წმიდისა ბასილი ებისკოპოსისა კესარიელისაჲ

წინამსწარმეტყუელი წინამსწარმეტყუელებს: "უფალო, თუ ვიყო ვითარცა ღობი სახლსა იუდაისსა და ვითარცა პანფილი სახლსა ეფრემისსა და ვიყო ვითარცა ავაზნი".

სახის-მეტყუელმან თქუა ეგევითარი სახმ: ყოველთა პირუტყუთა საყუარელ არს მეცი იგი. ხოლო მარტოდ გუელის მოძულე არს და ყოვლად ჭრელ, ვითარცა ყუავილ-განრეული სამოსელი იოსეფისი. შუენიერად შემკულ, ვითარცა დედოფალი ზღუარისაჲ, რომელ-იგი თქუა დავითმან: "დადგეს დედოფალი მარჯუენით შენსა, სამოსლითა ფესუედითა შემკულ არს პირად-პირადად".

ავაზნი მშვდ არს ჯგემა და ყუდრო მჭეცი იგი. რაჟამს ჭამის საჭმელი, განძლის და დაწვის სადგურსა თვსსა. შემდგომად სამისა დლისა აღდგის ძილისაგან.

ეგრე-ცა უფალი ჩუენი მესამესა დღესა აღდგა მკუდრეთით.

და ავაზნი იგი, აღ-რამ-დგის ძილისაგან სადგურით თვსით მესამესა დღესა, ყვრილ-ყვის ჳმითა დაღადებისადათა. და ყვრილსა მას მისსა გამოსცის სული საკუშტველთაჲ პირსა მისსა. და რომელნი-იგი შორს მჭეენი იყვნინან, გინათუ ახლოს, მისდევდიან დაღადებასა მისსა, ვინამ-ცა-იგი სული მოეცეს.

ეგრე-ცა უფალი ჩუენი მაცხოვარი იესუ აღდგა მკუდრეთით და სული სულნელებისაჲ, გუეცა ჩუენ შორიელთა და მახლობელთა; ყო მშვდობაჲ ცასა და ქუეყანასა, ვითარცა პავლეჲმან თქუა, მრავალ-სულნელ და ყუავილ არს სიბრძნე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელ არს ქალწულ[ებდაჲ], და მოწყალებად და თმენად, და სარწმუნოვებაჲ, და სიმენწ, ერთობად და მშვდობად და სულგრძელებად, ვითარცა ავაზნის მჭეცისაჲ.

თქუა სახის-მეტყუელმან, რამეთუ ყოვლად ყუავილოვან არს, რამეთუ არარამ საშუკელი უც პირუტყუთა და მფრინველთა თანა. თქუეს ესე საღმრთოთა წიგნთა [77:24-25.,92-94; 8:239].

ეს ნაწარმოები VIII ს-ის ბოლოს ან IX ს-ის დასაწყისში სომხურიდან ითარგმნა ქართულად. ქართველმა მთარგმნელმა სომხურ ტექსტში არსებული ტერმინი պանտեր panter, რომელიც ბერძნული πάνθηρ πάνθηρ 'ლეოპარდი; ჰეპარდი (ავაზა)' სიტყვის სომხური ფონეტიკური ფორმაა [55:13.,ect.], ქართულად პანფილი ფორმით გადმოსცა, ხოლო სომხური յաւազ yawaz // յովազ yovaz '1.ლეოპარდი; 2.ავაზა ავაზნი ფორმით გადმოიტანა. ამ ძეგლში ავაზნი უდავოდ ნიშნავს 'ლეოპარდს'. ასევე შეადარებთ აღნიშნული ქრისტიანული ტექსტის ეთიოპიური თარგმანი, სადაც გამოყენებულია სემიტური ტერმინი namr 'ლეოპარდი' [43:14-16].

ამ ძეგლის ბერძნულ ორიგინალში არსებული πάνθηρ πάνθηρ სახელით ცნობილი მტაცებელი ცხოველი თავისი ტყავის სილამაზისა და ყვავილების მსგავსი ხალების შეფერილობის გამო ჯერ იოსებ წინასწარმეტყველის ჭრელ და ლამაზ ტანსაცემლს, ხოლო შემდეგ დავით წინასწარმეტყველის მეუღლის ყვავილნაქარგ სამოსელთანაა შედარებული. 'ლეოპარდის' სიმბოლიზმი თავის კულმინაციას აღწევს მისი კეთილმოყვარე ბუნების გამო იესო ქრისტესთან აღეგორიულ შედარებაში [77:24-25.,92-94; 8:239]. საინტერესოა, რომ ამ ნაწარმოების ავტორის შეხედულება იმის შესახებ, რომ πάνθηρ 'ლეოპარდი; ავაზა' პირიდან კეთილსურნელებას აფრქვევს, შუა საუკუნეებში გაგებულ იქნა, როგორც ქრისტესა და ზოგადად ღმერთის სიყვარულის აღეგორიული გამოხატულება, რისი გამოძახილიც არის 'ლეოპარდის' როგორც მიწიერი და საერო სიყვარულის სიმბოლოდ გამოყენება XIII ს-ის ევროპელი მწერლების რიშარ დე ფურნივალის ნაწარმოებში Bestiaire d'Amour და ნიკოლ დე მარტივალის ნაწარმოებში Panthere d'Amours, რომელთაც სიმბოლოკის თვალსაზრისით ბევრი მსგავსება აქვთ "ვეფხისტყაოსანში" 'ლეოპარდის' ტყავის სიმბოლიკისთან [59:79-80].

რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსანში" ვეფხის, ანუ 'ლეოპარდისა' და მისი ტყავის სიმბოლიკა, როგორც 1) ლომისა და 'ლეოპარდის' ბრძოლა, 2) მოყმისა და 'ლეოპარდის' ორთაბრძოლა, 3) 'ლეოპარდის' მოყმის მიერ მოკვლა, 4) მოყმის 'ლეოპარდთან' დამეგობრება, 5) 'ლეოპარდის' განსაკუთრებული სილამაზე და მიმზიდველობა სხვა ცხოველებთან შედარებით, 6) 'ლეოპარდი' სატრფოს სიმბოლო, 7) 'ლეოპარდი' მიჯნურობის სიმბოლო, ადგილობრივი, ქართული და კავკასიური მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენებისა და ამ ცხოველის შესახებ შუა საუკუნეების ქრისტიანობაში გავრცელებული ალეგორიული ვერსიების შეზავებით ჩამოყალიბდა, რომელიც რუსთაველმა თავისი ფილოსოფიურ-ესთეტიური მსოფლმხედველობით და უზაღლო ლიტერატურული ოსტატობით მხოლოდ "ვეფხისტყაოსნისათვის" დამახასიათებელ სიმბოლურ ფორმებში გამოხატა.

ლიტერატურა

აბულაძე, ი., ძველი ქართულის ლექსიკიდან, 1. გოვარ-გუარის, იკე, ტ. IV, თბილისი, 1952, გვ. 363-369.

აბულაძე, ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

ანდრონიკაშვილი, მ., 'ეტიმოლოგიური შენიშვნები', თსუ შრომები, ტ. 91, თბილისი, 1960, გვ. 77-98.

ანდრონიკაშვილი, მზია, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბილისი, 1966.

ბარამიძე, ა., 'ფირდოუსი და რუსთაველი', თსუ შრომები, ტ. VII, თბილისი, 1938, გვ. 51-58.

ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთა, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის "ექუსთა დღეთისა" და გრიგოლ ნოსელის "კაცისა აგებულებისათვის", X-XIII სს.-ის ხელნაწერების მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბილისი, 1964, გვ. 29-135.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი ლექსიკონები, ტექსტი გამოსცა ი. წაქაძემ, თბილისი, 1976.

იმნაიშვილი, ი. ვ., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1986.

კობიძე, დ., 'ვისრამიანის საკითხები', ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობები, ტ. II, თბილისი, 1969, გვ. 7-92.

მამათა სწავლანი, X და XI სს.-ის ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ი. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955.

მეგრელიძე, ი., "ვეფხისტყაოსნის" ლექსიკის საკითხები, IX (ვეფხ-ტიგრ-სიტყვათა ქართული ვარიანტები), ძველი ქართული მწერლობა და რუსთველოლოგიის საკითხები, ტ. V, თბილისი, 1973, გვ. 50-61.

მცხეთური ხელნაწერი, მოამზადა და გამოსცა ე. ი. დოჩანაშვილმა, ტ. IV, ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი, თბილისი, 1985.

ნოზაძე, ვ., ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957.

ნოზაძე, ვ., ვეფხისტყაოსნის მიწნურთმეტყველება, პარიზი, 1975.

რუსთაველი, შოთა, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა.შანიძის მიერ, თბილისი, 1937.

სინური მრავალთავი 864 წლისა, ა.შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი, 1959.

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, ტ. I, 1991, ტ. II, 1993.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით, VIII ტ., თბილისი, ტ. I-1950, ტ. II-1951, ტ. III-1953, ტ. IV-1955, ტ. V-1958, ტ. VI-1960, ტ. VII-1962, ტ. VIII-1964.

ლლონტი, ა., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

ქერქაძე, ი., ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი, 1974.

ჩიქოვანი, მ., 'შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი', შოთა რუსთაველი სკოლაში, თბილისი, 1937, გვ. 153-195.

ჩიქოვანი, მ., ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბილისი, 1971.

ჩუბინაშვილი, დ., ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, პეტერბურგი, 1841.

ჩუბინაშვილი, დ., ქართულ-რუსულ ლექსიკონი, ხელახლა გამოსცა ა.შანიძემ, თბილისი, 1984.

წერეთელი, კ., სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, თბილისი, 2000.

წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. II, ლევიტელთაი, რიცხუთაი, მეორისა სჯულისა, მოამზ. ი.აბულაძემ, ბ.გიგინიევიძემ, ნ.გოგუაძემ და ც.ქურციკიძემ, თბილისი, 1990.

ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, 'ქართლის ცხოვრება', ტ. I, გამომ. სიმონ ყაუხჩიშვილი, თბილისი, 1955, გვ. 139-244.

Acharyan, H., Hayeren Armatakan Bararan, VI Vol., Erevan, 1927-1932.

A Concise Dictionary of Akkadian, Edit. J.Black, A.George, N.Postgate, 2nd Printing, Wiesbaden, 2000.

A Greek-English Lexicon of The New Testament and Other Early Christian Literature, A transl. and adapt. of W.Bauer's Griechisch-Deutsches Wörterbuch zu den Schriften des Neuen Testaments und der übrigen urchristlichen Literatur, by W.F.Arndt and F.W.Gingrich, Chicago – London, 2005.

Alan, J., Sumerian Lexicon, A Dictionary Guide to the Ancient Sumerian Language, London, 1999.

Asbaghi, A., Persische Lehnwörter im Arabischen, Wiesbaden, 1988.

Bailey, H. W., Dictionary of Khotan Saka, Cambridge, 1979.

Bailey, H.W., 'Iranian Loanwords in Armenian', in: Encyclopædia Iranica, Vol. II, London-New York, 1987, pp. 459-465.

Benner, J.A., The Ancient Hebrew Lexicon of the Bible, Washington, 2005.

Brockelmann, C., Lexicon Syriacum, Edinburgh – Berlin, 1893.

Chantraine, P., Dictionnaire étymologique de la langue Grecque, Histoire des mots, T. II, Paris, 1974.

- Chkheidze, T. D., '(Georgian) Linguistic Contacts with Iranian Languages', in: *Encyclopædia Iranica*, Vol. X, New York, 2001, pp. 486-490.
- Coleman, J.A., *The Dictionary of Mythology*, London 2007.
- Crum, W.E., *A Coptic Dictionary*, Oxford, 2000.
- Drower, E.S., & Macuch, R., *A Mandaic Dictionary*, Oxford 1963.
- Farhangi Zabāni Tājikī, Red. M.Sh.Shukurov, V.A.Kapranov, R. Haashim, N.A.Maasumi, II Vol., Moskva, 1969.
- Hommel, F., *Die Aethiopische Uebersetzung des Physiologus*, Leipzig, 1877.
- Horn, P., *Grundriß der neupersischen Etymologie*, Hildesheim-New York 1974, Nachdruck der Ausgabe Straßburg, 1893.
- Horn, P., 'Neupersische Schriftsprache', in: *Grundriss der Iranischen Philologie*, I B., II Abt., Strassburg, 1898-1901, ss. 1-200.
- Hübschmann, H., *Armenische Studien*, I Theil, Grundzüge der armenischen Etymologie, Leipzig, 1883.
- Hübschmann, H., *Armenische Grammatik*, I Theil, *Armenische Etymologie*, I-II abteilung, Leipzig, 1895-1897.
- Kloekhorst, A., *Etymological Dictionary of the Hittite Inherited Lexicon*, Ed. by A. Lubotsky, Leiden - Boston, 2008.
- Leslau, W., *Comparative Dictionari of Ge'ez (Classical Ethiopic)*, Wiesbaden, 1991.
- Liddell, H.G., & Scott, R., *A Greek-English Lexicon*, Oxford, 1996.
- MacKenzie, D.N., *A Concise Pahlavi Dictionary*, Reprint with corections of the edition of 1971, London, 1986.
- Martirosyan, H.K., *Etymological dictionary of the Armenian inherited lexicon*, Leiden, 2009.
- Mashkour, M.J., *A Comparative Dictionary of Arabic, Persian and the Semitic Languages*, II vol., Tehran, 1978.
- Monier-Williams, M. *A Sanskrit-English Dictionary*, Etymologically and Philologically Arranged with Special Reference to Cognate Indo-European Languages, New Edition, Greatly Enlarged and Improved with the Collaboration of Pr E. Leumann and Pr C. Cappeller and Other Scholars, Oxford, 1976.
- Muradyan, G., *Physiologus: The Greek and Armenian Versions with a Study of Translation Technique*, Hebrew University Armenian Studies 6, Leuven, 2005.
- Orel, V.E., & Stolbova, O.V., *Hamito-Semitic Etymological Dictionary, Materials for a Reconstruction*, Leiden - New York - Köln, 1995.
- Pokorny, J., *Indogermanisches Etymologisches Wörterbuch*, Bern-München, I band 1959, II Band, 1969.
- Schmitt, R., 'Iranian Influences in Armenian', in : *Encyclopædia Iranica*, Vol. II, London-New York, 1987, pp. 445-459.
- Stevenson, R.H. 'A Note on Rustaveli's Panther-Symbol', in : *Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie*, Vol. XXVI-XXVII, Paris, 1957, pp. 79-81.
- The Assyrian Dictionary*, Vol.XI, Part 2, Oriental Institute of Chicago, 1980.
- Turner, R.L., *A Comparative Dictionary of the Indo-Aryan Languages*, London, 1966.
- Vullers, I.A., *Lexicon Persico-Latinum Etymologicum*, II vol., Bonnae ad Rhenum, Vol. I 1855, Vol. II 1864.
- Wolff, F., *Glossar zu Firdosis Schahname*, Hildesheim 1965, Reprografischer Nachdruck der Ausgabe Berlin, 1935.

Абаев, В.И., 'Троянский конь', Избранные работы, Т. I, Владикавказ, 1990, сс. 326-368.

Абаев, В.И., 'Шаман сильнее война', Избранные работы, Т. I, Владикавказ 1990, сс. 438-447.

Абаев, В.И., 'О фольклорной основе поэмы Ш.Руставели Витязь в барсовой', Избранные работы, Т. I, Владикавказ, 1990, сс. 467-495.

Алексеев, М.Е., Атаев, Б.М., 'Аварские названия животных общевосточнокавказского происхождения', Дагестанский лингвистический сборник, Т. VII, Москва, 1999, сс. 3-10.

Андроникашвили, М.К., 'О значении данных картвелистики для иранского языкознания', Иранское языкознание, Ежегодник — 1982, Москва, 1987, сс. 16-28.

Гамкрелидзе, Т.В., Иванов, В.В., Индоевропейский язык и индоевропейцы, Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры, II Т., Тбилиси, 1984.

Гептнер, В.Г., Слудский, А.А., Млекопитающие Советского Союза, Т. II/2, Москва, 1972.

Иванов, В.В., 'Леопард', Мифы народов мира, Т. II, Москва, 1980, сс. 48-49.

Карасаев, А.Т., Мациев, А.Г., Русско-чеченский словарь, Москва, 1978.

Марр, Н.Я., 'Карфаген и Рим, *Fas* и *Jus*', Избранные работы, Т. IV, Москва-Ленинград, 1937, сс. 161-193.

Мациев, А.Г., Русско-чеченско-ингушский словарь, Грозный, 1966.

Расторгуева, В.С., Едельман, Дж.И., Етимологический словарь иранских языков, Москва, Т. I 2000, Т. II 2003, Т. III 2007.

Русско-таджикский словарь, Ред. М.С.Асимов, Москва, 1985.

Физиолог, Армяно-грузинский извод, Грузинский и армянский тексты исследовал, издал и перевел Н.Я.Марр, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, Т. VI, Петербург, 1904.

آبوزيان-تريزيان، مازيا، وامواژه‌هاي ايراني ميانه غربي در زبان ارمني، موسسه مطالعات و تحقيقات فرهنگي، ج 1، 1371.

برهان قاطع، تاليف محمد حسين بن خلف تبريزي متخلص به برهان، به اهتمام دكتور محمد معين، ج، انتشارات اميركبير، ج 6، 1376.

پورداود، ابراهيم، يثت‌ها، ج 1، انتشارات اساطير، ج 1، 1377.
حسن‌دوست، محمد، فرهنگ ريشه‌شناختي زبان فارسي، ج 1، انتشارات فرهنگستان زبان و ادب فارسي، ج 1، 1383.

صمد، ولي، فردوسي و شاهنامه در قفقاز، برگردان: پروفيسور رحيم مسلمانيان قبادياني، نشر کارنگ، ج 1، 1378.

فرهنگ زبان گويا و جهان پويا، به كوشش دكتور جيباب‌الله طالبي، نسخه خطي، هند، انتشاراتي پازينه، ج 1، 1381.

قاموس اللغة القبطية، تحرير: معض داود عبد النور، برمودة 2000.

THE SEMANTICS AND ETYMOLOGY OF GEORGIAN *VEPX-*

Semantics and etymology of a Georgian word *vepx-*, due to ideal-artistic influence this word always caused great interest in the poem "The Man in the Panther's Skin" by Shota Rustaveli and was going a long debate among scientists. As a result of lexical analysis of an old Georgian literary monuments and development of a special literary has been revealed that the mentioned issue is not studied monographically and related to it, often false, or dubious assumptions and opinions are represented fragmentary in different works.

From the large predators of felidae, in ancient time all four large predators: The Lion, Lat. *Panthera leo*, Tiger, Lat. *Panthera Tigris*, Leopard, Lat. *Leopardus pardus* or *Panthera pardus* and Cheetah of Guepard, Lat. *Acinonyx jubatus* had been dwelling in the territory of the Caucasus, but the population of Lion, Tiger and Cheetah died out in the mentioned region in the middle ages, and Leopard had the most wide spreading area in wide area of the South and North Caucasus, in forest as rocky mountains, mountainous zones and lowlands, which is still being inhibited in the Caucasus.

The names of large predators of felidae and their definitions are disordered in the explanatory dictionary of the Georgian language and the reason for this can be a partial or complete depopulation of the animals on the territory of Georgia in the late middle ages, what for population followed their alienation.

According to the analysis of names of large predators of felidae spread in West Asia and Europe appears that rising values of Tiger, Leopard and Cheetah are 'Colorful' > 'Spotted' and 'Colorful' > 'Striped'. In many languages, denoting words of the names of Tiger and Leopard are derived from the same root, but in some languages have been loaned from another language. Therefore we can assume that words Tiger, Leopard and Cheetah were denoted by the same term historically in Georgian and Caucasian languages, of which semantic field had been reduced together with reduction or disappearance of animal species.

For the first time, the word *vepx-* in Georgian sources confirmed in Old and New Testament of VII-X centuries and other translated monuments and notes '1. Leopard; 2. Cheetah' so called spotted predator. The term *vepx-* in translated or original Georgian monuments corresponds with:

1. Ancient Hebrew: פִּינֵשׁ namer '1. Leopard; 2. Cheetah, Guepard'.
2. Septuaginta and other Greek texts: ρεδβλίτ // ρεδβλεπτ ραδάλις // ραδáleos '1. Leopard; 2. Cheetah' and ρβνιζ ράνῆρ // ρβνιΟсб ρανῆρα 'Cheetah'.
3. Latin: *Leopardus* and *Panthera*.
4. Syrian: *! nemrā '1. Leopard; 2. Tiger'.
5. Armenian: կւն inc 'Leopard', or occasionally ua,af yawaz // ux~af yovaz '1. Leopard; 2. Cheetah, Guepard'.

In order to find out the semantic value of the word *vepx-*, it is interesting confirmed rare term *aklem-vepx-* with the value of 'Giraffe' in Georgian translation

of The Old Testament, which are composed from words *aklem-* 'Camel' and *vepx-* 'Leopard' and it is Georgian equivalent of the same meaning Greek term $\kappa\omicron\mu\zeta\lambda\pi\rho\beta\epsilon\delta\lambda\iota\tau$ *kamelopárdalis* 'Giraffe'. As a result of analysis of Georgian and parallel foreign-language sources undoubtedly, that *vepx-* in Old Georgian means Spotted animal 'Leopard' and not striped animal 'Tiger'.

The word *vepx-* in Georgian and other Caucasian languages do not have an equivalent and considered as root of unknown origin. In our opinion Georgian word *vepx-* probably comes from Meddle Iranian **wephr* // **waphr* '1.Tiger 2.Leopard' and should be extended through oral route in Georgian. These root in Pahlavi sources is proved by *babr* // *bapr* [bpl] 'Tiger' form only and in the dialects of Middle Persian would be released by various phonetic versions, which was one of the primary source of Georgian word *vepx-*. The Middle Iranian form comes from the Old Iranian **vagr* 'Tiger' < Sanskrit *vyāghrá* '1.Leopard; 2.Tiger < ProtoIndo-Aryan **vy-ā-ghrā-* supposedly 'smeller, tracking dog', or Indo-Iranian **ba-bhru-* 'brown, yellow' < Indo-European **ogh-* // **o''h-* 'yellow, light yellow'. The period when the word *vepx-* was loaned in Georgian is unknown, but its use in the Georgian literary sources of VII-XIV centuries show that it was meant 'Spotted animal', or 'Leopard', and in no way expressed 'striped animal', or 'Tigri'. It is interesting that in Old Georgian wall and even miniature paintings 'Leopard' was drawn everywhere as spotted animal.

In the poem "The Man in the Panther's Skin" mentioned the term *ük-* with the value of 'Ruthless and Merciless animal' (Presumably 'Tiger'), which according to the phonetic, semantic and etymological point of view are very close to the Nakho-Dagestani roots **c?iku-* // **c?ik-* '1.Leopard; 2.Lynx; 3.Tiger (rarely)'. In our opinion mentioned Georgian and Nakho-Dagestani roots are ancient Caucasian words denoting of the 'Leopard and Lynx', which probably was purchased value of 'Tiger' from the Middle Ages.

'Leopard' and rarely 'Cheetah', due to special beauty and color of their hair, in the regions, where they were dwelling from the Neolithic period, were the objects of special attention and worship, which is confirmed by the rich archaeological materials and rock paintings. The development of the mentioned cult of animal, of which traces were later reflected in mythology and folklore, mainly in the Mediterranean and the general Asia Minor civilizations developed and included in the Caucasus Region.

The most wide area from predators of felidae to spread population had the Leopard in Caucasus and it is only species of this family, which is still being inhabited in region. The Caucasian peoples were known leopard the most, where this animal from totemic and shamanistic epoch of the Neolithic Age played an important role in mythology, legends and fairy tales. Tiger has never been dwelling in the Caucasian mountains and this explains the fact that a highlander was not known this animal and its trace in their folklore has not been reflected.

Term *vepx-* in the poem "The Man in the Panther's Skin" has a special symbolic influence. 'Leopard' and its skin is used as lover, or symbol of woman, which was formed on the basis of local Georgian and Caucasian mythological faith-representations and the mixture of spread allegoric versions in early Christianity of an meddle centuries about these animal.

შორენა ხადური

ბიბლიოთეკების ისტორია საფრანგეთში

საფრანგეთში ბიბლიოთეკების ისტორიის პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი დაკავშირებულია შუა საუკუნეებთან. შუა საუკუნეების ადრეულ ხანაში საფრანგეთში საბიბლიოთეკო საქმიანობა მჭიდროდაა შერწყმული საეპისკოპოსოებთან, რომლებშიც დაცულია, უპირველეს ყოვლისა, ბიბლია და ლიტურგიული წიგნები. ამასთანავე, საეპისკოპოსოები ხელს უწყობენ ანტიკური ლიტერატურის ნაწილის გავრცელებას. სამონასტრო ბიბლიოთეკები თავიანთი სკრიპტორიუმებით აგრძელებენ ამ საქმიანობას და ხელს უწყობენ ბიბლიოთეკების ფონდის გამდიდრებას ახალი ნაწარმოებების დამატებით.

სკრიპტორიუმში, ანუ წიგნის გადასაწერ სახელოსნოში, ხდებოდა დასავლეთში უკიდურესად იშვიათი წიგნების გადაწერა. საქმიანობამ გავრცელების საშუალება მისცა ანტიკურ ნაშრომებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დღეისათვის შესაძლებელია გამქრალიყო. სკრიპტორიუმები, ზოგადად, შერწყმული იყო სწორედ ბიბლიოთეკებთან.

შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი ბიბლიოთეკების ისტორიისა უკავშირდება უნივერსიტეტების შექმნას. მე-12 ს.-დან შექმნილი უნივერსიტეტები აღჭურვილია ბიბლიოთეკებით, რომლებშიც თავმოყრილია სხვადასხვა დარგის ნაშრომები. უნივერსიტეტები ასრულებენ მონასტრების საქმიანობას. უნივერსიტეტების გარდა, ხშირ შემთხვევებში, მათ გვერდით შექმნილი კოლეჯებიც ფლობენ საკუთარ ბიბლიოთეკებს.

მიუხედავად მანუსკრიპტთა (ხელნაწერთა) მაღალი ფასისა, საერო პირები, დაწყებული მეფეებითა და უფლისწულებით, ინტერესს იჩენენ წიგნებისადმი ბიბლიოგრაფიული კუთხით და აფუძნებენ ბიბლიოთეკებს, რომლებიც ხშირად ფართო მასშტაბებს იძენს. როგორცაა, მაგალითად, წმინდა ლუის ან შარლ V-ის ბიბლიოთეკა. აღსანიშნავია, რომ სწორედ შარლ V-ის ბიბლიოთეკა დაედო საფუძვლად საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას. დიდი ბიბლიოთეკები, მაგალითად, მეფეების ბიბლიოთეკები, სარგებლობენ საუცხოო რეპუტაციით და ხდებიან საბატო, გამორჩეული მოგზაურებისთვის უცილობელი ვიზიტის ადგილები.

ჰუმანიზმის განვითარება მე-14 ს.-დან და განსაკუთრებით სტამბის გამოგონება მე-15 ს.-ის ბოლოს ხელს უწყობს ზოგადად ბიბლიოთეკების, მათ შორის კერძო ბიბლიოთეკების, განვითარებასაც. ძირითადად კერძო წარმოშობის ბიბლიოთეკები თანდათან ხდება საჯარო მე-16 ს-ის ბოლოდან. ეს პროცესი თავდაპირველად ძალზე მოკრძალებულად მიმდინარეობს. პირველი საჯარო ბიბლიოთეკა გახლავთ მაზარინის ბიბლიოთეკა პარიზში. იგი წარმოიშვა კარდინალ მაზარინის (1602-1661) პირადი ბიბლიოთეკიდან. ცნობილია, რომ მაზარინი გახლდათ მეცენატი და ბიბლიოფილი. ყველაზე დაძაბული პოლიტიკური ვითარების დროსაც კი არ ივიწყებდა თავისი წიგნების კოლექციის და ზრუნავდა მასზე. ეს წიგნები ნამდიდრად წარმოადგენდა დიდ ფასეულობას. კარდინალ მაზარინის

ბრძანებით, იმ დროის ცნობილი ბიბლიოთეკარი გაბრიელ ნოდე დადიოდა მთელს ევროპაში და ავსებდა კოლექციას. მაზარინის ბიბლიოთეკა ფლობდა იშვიათ წიგნებს. რა თქმა უნდა, უმეტესობა რელიგიური ხასიათის იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მაზარინის პარიზიდან გაქცევის შემდეგ მისი ბიბლიოთეკა დაიკარგა, თუმცა როდესაც კარდინალი დაბრუნდა პარიზში, მან თავიდან დაიწყო კოლექციის შეგროვება. მაზარინის ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისათვის 1643 წლიდან. საფრანგეთის რევოლუციის დროს ფონდი შეივსო კონფისკირებული წიგნებით. ამ ბიბლიოთეკის კოლექციაში ინახებოდა ერთ-ერთი ბიბლია გუტენბერგისა, იგი ცნობილია როგორც მაზარინის ბიბლია.

ბიბლიოთეკების საჯაროდ ქცევის მოძრაობა ძლიერდება დიდ ქალაქებში მე-18 ს.-ში. ეს დაწყებულილები, ხშირ შემთხვევებში, ყოფილი კერძო ბიბლიოთეკები, რომლებიც მფლობელებმა ანდერძით დაუტოვეს სახელმწიფოს.

საფრანგეთის რევოლუციამ (1789) საბიბლიოთეკო სამყაროში მნიშვნელოვანი ცვლილება მოახდინა სამღვდლოების, ემიგრირებულ დიდგვაროვანთა და ზოგიერთ სამეცნიერო დაწესებულებათა (უნივერსიტეტები, აკადემიები) ქონების კონფისკაციით. ამ წიგნებმა ხელი შეუწყვეს არსებული ბიბლიოთეკების ფონდის გამდიდრებასა და ქალაქებში მუნიციპალური ბიბლიოთეკების შექმნის გაიოლებას. ბიბლიოთეკების რეალური განვითარება ხდება მე-20 ს.-ში. ეს გამოიხატება, სახელდობრ, კატალოგებისა და კლასიფიკაციის გაუმჯობესებით. მე-20 ს.-ში ბიბლიოთეკებში ნელ-ნელა მიმდინარეობს კოლექციების თავისუფალი ხელმისაწვდომობა სამკითხველო დარბაზებში. თავდაპირველად საბავშვო ბიბლიოთეკებში, შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკების ზრდასრულთა სექტორებში და მოგვიანებით საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში.

1950 წლიდან მუნიციპალური ბიბლიოთეკები თანდათან ამრავალფეროვნებენ თავიანთ საქმიანობებს გამოფენებით, საჯარო კითხვით, კონფერენციებითა და კოლოკიუმებით, აგრეთვე, სხვადასხვა ანიმაციებით. პერსონალის პროფესიონალიზმი ვითარდება სპეციალიზებული განათლების შექმნის წყალობით. 1945 წელს შეიქმნა წიგნების გაცემის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც მიზნად ისახავდა წიგნების ხელმისაწვდომობას პატარა ქალაქებსა და სოფლებში.

საჯარო ბიბლიოთეკების განვითარება ძლიერდება 1970-იან წლებში, რაც დაკავშირებულია უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მსურველთა რაოდენობის ზრდასთან, სახელმწიფოს კულტურულ პოლიტიკასთან, ტერიტორიულ გაერთიანებებთან და ინფორმატიკის მიერ შემოთავაზებულ შესაძლებლობებთან.

დოკუმენტური ინფორმატიკა ვრცელდება 1950-იანი წლებიდან თავდაპირველად საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში, მაგრამ პროცესი ძალზე ნელა ვითარდება და ამიტომ რეალური ინფორმატიზაცია თარიღდება 1980-იანი წლებით.

როდესაც საუბარია საფრანგეთის ბიბლიოთეკებზე, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას. ცნობილია, რომ ეს ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. ლუვრში სამეფო ბიბლიოთეკა არსებობდა შარლ V-ის დროს და ითვლიდა 1200 ხელნაწერს. დროთა განმავლობაში ამ ხელნაწერთაგან არაფერი დარჩა და ლუდოვიკო XI იძულებული გახდა სასახლის წიგნთსაცავი თავიდან შეექმნა. მეფე ფრანცისკ I-მა ბრძანება

გამოსცა, რომ ბიბლიოთეკაში მიეტანათ საფრანგეთში დაბეჭდილი ყოველი წიგნის თითო ეგზემპლარი. 1544 წელს მან ბიბლიოთეკა ლუვერიდან ფონტენბლოში გადაიტანა. მე-17 ს.-ში ბიბლიოთეკა დაბრუნდა პარიზში. 1622 წელს გამოიცა მისი პირველი კატალოგი. სხვადასხვა პერიოდში იგი ატარებდა სხვადასხვა სახელწოდებას: მეფის ბიბლიოთეკა, სამეფო ბიბლიოთეკა, საიმპერატორო და ეროვნული ბიბლიოთეკა. დიდი ხნის განმავლობაში იგი იყო ფრანგი მეფეების პირადი ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკის ერთ-ერთი საგანძური გახლდათ კატალონიური ატლასი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკა ზარალდებოდა იმის გამოც, რომ მეფის ნათესავებს მიჰქონდათ წიგნები და აღარ აბრუნებდნენ უკან. მეფე ფრანცისკ I-მა სამეფო ბიბლიოთეკას შეუერთა თავისი პირადი ბიბლიოთეკა. მან დიდი გულმოდგინებით განაგრძო წიგნების შეგროვება საფრანგეთსა და საზღვარგარეთ, რათა გაემდიდრებინა ბიბლიოთეკა. მის დროს სამეფო ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უმდიდრესი იყო მთელს ევროპაში. თანდათანობით ამ ბიბლიოთეკას აღარ განიხილავდნენ როგორც მხოლოდ მეფის კუთვნილებას, იგი ხელმისაწვდომი გახდა მეცნიერებისათვის. ლუდოვიკო XIV-ის მეფობის დროს სამეფო ბიბლიოთეკამ ძღვნად მიიღო პირველხარისხოვანი მნიშვნელობის უამრავი წიგნი და ხელნაწერი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექცია განსაკუთრებით გამდიდრდა საფრანგეთის რევოლუციის დროს.

ამგვარად, იგი არის სამეფო კოლექციების მემკვიდრე. საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა არის საფრანგეთის ყველაზე მნიშვნელოვანი და მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბიბლიოთეკა. 1988 წლიდან ეროვნული ბიბლიოთეკა შედის მნიშვნელოვანი ცვლილებების ფაზაში. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა მხარი დაუჭირა ბიბლიოთეკის რეფორმირების პროგრამას. მან განაცხადა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და თანამედროვე ბიბლიოთეკა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველასათვის, მან უნდა გამოიყენოს მონაცემთა გადაცემის ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიები, შესაძლებელი იყოს დისტანციურად მისი ფონდით სარგებლობა და იგი უნდა შევიდეს კავშირში ევროპის სხვა ბიბლიოთეკებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული დოკუმენტების გამოჩენისთანავე ბიბლიოთეკებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი კოლექციები განეთავსებინათ ქსელზე. ამგვარად, 90-იან წლებში მრავალმა ბიბლიოთეკამ ძირითადად ეროვნულმა და სპეციალიზებულმა ბიბლიოთეკებმა, დაიწყო თავისი კოლექციების მთლიანად ან ნაწილობრივ გაცეფრება და იგი ხელმისაწვდომი გახდა დისტანციურად. ამგვარად, წარმოიქმნა ვალიკა — საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა. იგი ხელმისაწვდომი გახდა 1997 წლიდან. ეს ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავს ისეთ მასალებს, როგორცაა ბექდურო გამოცემები (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ნაბეჭდი ნოტები), გრაფიკული მასალები (გრაფიკა, რუკები, ფოტოსურათები) და ხმის ჩანაწერები.

ვალიკის საშუალებით შესაძლებელია იშვიათი, უჩვეულო, რთულად ხელმისაწვდომი ან ბექდვიდან ამოღებული წყაროების მოძიება კერძო მოხმარების შემთხვევაში. მასში განთავსებულია 70 000-ზე მეტი გაცეფრებული ტექსტის ნაკრები, 80 000 უძრავი კადრი და 30 საათიანი ხმის ჩანაწერები.

აი, ასეთი საინტერესო ვაზა განვლო ბიბლიოთეკებმა საფრანგეთში მანუსკრიპტიდან ვალიკამდე, ანუ ციფრულ ბიბლიოთეკამდე.

ლიტერატურა

- ა. დომინიკი, 1998 - A.Dominique (1998), Les bibliotheques francaises (1991-1997), Paris.,Editions du cercle de la librairie, 1998.
- ა. ბერტრანდი, 2003 - A.-M.Bertrand (2003), Les bibliotheques, Paris., La Decouverte, 2003.
- ი. დეკრიშარში, 2006 - Y.Descricharch (2006) -Administration et bibliotheques,2006.
- საფრ. ბიბლიის ისტორია - Histoire des bibliotheques francaises, 4 volumes, Paris, Promodis Editions du Cercle de la Librairie, 1988-1990.
- დ. პალიერი, 1997 - D.Pallier, Les bibliotheques,8-ieme ed, Paris., PUF, 1997.
- ბიბლიოთეკის ენციკლოპედია, 2007 - Библиотечная энциклопедия /РГВ. М. :Пашков дом, 2007.
- ს. რიბინა, 1998 - С. Рыбина, Габриэль Нодэ и Кардинал Мазарини/ Библиотека, 1998. N4.

SHORENA KHADURI

THE HISTORY OF LIBRARIES IF FRANCE

The subject matter of the article is the first important stage of the history of libraries in France, which is connected with the medieval times. The library work of this period is combined with episcopathy. The libraries of monks with their scriptoriums provide the enrichment of library funds by adding new works. They used to manage rewriting of rare manuscripts. Scriptoriums were mainly combined with libraries.

The next significant stage is the university libraries formed in 12th century. The role of royal libraries is of great importance as well, which enjoys the most positive publicity.

The development of Humanism in 14th century and the invention of the print house in 15th century provide the development of libraries. In France the public libraries begin to emerge at the end of the 16th century. The first public library is the library of Mazarin in Paris. Cardinal Mazarin was the famous patron of art and bibliophile. His collection of books was really highly valued. He let the scientists use the library. From the year 1643 the library became available for the society as well.

The French Revolution made the important changes in the library work (1789). Public libraries begin to develop widely from 19th century. As for the real development of libraries it begins in 20th century. It is reflected primarily by the improvement of catalogues and classification. Library work becomes various by exhibitions, public reading, conferences and colloquiums. The real computerization of libraries dates from 1980. The article gives the information about the National Library of France as well. It is considered to be the well-known in the Europe. The royal library of Louvre existed in the period of Charles V. The place of library was frequently changed

according to the periods of different kings. The National Library of France used to have different names during the different periods: royal, imperial, national. It was the private library the kings of France during number of years. During the period of the King Francis I It was the richest library in whole Europe. This library was no longer considered as a private, it was available for scientists as well. It became extremely rich during the period of French Revolution. From the year of 1988 it sees the period of great changes. President Mitterrand supported the program of reforms, which considered making the digital format of books. The national library of France begins to use the modern technologies of transferring the data. One of the important point is Gallica which is the digital version of the national library of France consists the number of printed additions, graphic materials and voice records.

მზია ხოსიტაშვილი

ბიბლიოთეკის საგოგალოებასთან ურთიერთობის სამსახურის (PR) როლი არტ-ბიზნესის განვითარებაში

მე-20 საუკუნის დასასრული და 21-ე საუკუნის დასაწყისი მნიშვნელოვანი ცვლილებებით გამოირჩევა. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სირთულეებმა საზოგადოების მოღვაწეობის ყველა სფეროს განვითარების მყისიერი ვარდნა და კრიზისი გამოიწვია. გამონაკლისი არც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებია. გეგმიური ეკონომიკის პირობებში მომუშავე მხატვრები სრულიად განსხვავებული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხატვრული ნაწარმოებები სულ უფრო ხშირად განიხილება არა მხოლოდ სულიერი, არამედ კომერციული ღირებულების მატარებლად, ხდება ხელოვნების აქტიური კომერციალიზაცია, კულტურისა და ბიზნესის ურთიერთქმედება. მხატვრულ ნაწარმოებთა სასაქონლო ბრუნვა არსებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ თანამედროვე ხელოვნებისა და შემოქმედებითი პროცესების, მხატვრის პიროვნების განვითარებაზე, არამედ დიდი წვლილი შეაქვს ეკონომიკის განვითარებაშიც. ეკონომიკურ სივრცეში გაჩნდა “მხატვრული” მეწარმეობა, არტ-ბიზნესი, რომელშიც საქმიანი აქტივობის ძირითად კომპონენტს შეუძაველობა წარმოადგენს. “მხატვრული” მეწარმეობის ძირითად მონაწილეებთან: გალერეებთან, სააუქციონო სახლებთან, ანტიკვარულ მაღაზიებთან, სალონებთან, სხვადასხვა არაკომერციულ დაწესებულებებთან ერთად ცივილიზებული არტ-ბაზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში არც თუ უმნიშვნელო წვლილი შეაქვთ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებს.

არტ-ბაზრის მონაწილე მხატვრებისათვის ხელშეწყობა ერთი შეხედვით თითქოს სცდება პირდაპირი საბიბლიოთეკო მომსახურების საზღვრებს, თუ რა თქმა უნდა, ვიმსჯელებთ გავრცელებული სტერეოტიპული შეხედულებით, რომლის მიხედვითაც ბიბლიოთეკის მომხმარებელი მხოლოდ წიგნის კითხვით შემოიფარგლება. ამგვარი მიდგომა არც არის გასაკვირი. ბიბლიოთეკების წინაშე მდგარი სოციალურ-კულტურული პროცესებისა და პრობლემების ფონზე სპეციალისტების ყურადღებას იპყრობს მკითხველთა ინტერესის კლება საბიბლიოთეკო საქმიანობის თანმდევი ასპექტებისადმი. ხელოვნების, მისი ჟანრებისა და სახეების სწრაფ განვითარებასთან ერთად, იგრძნობა ახალგაზრდობის გარკვეული ფენების ინტერესის დაკარგვა არა მხოლოდ კითხვისადმი, არამედ ზოგადად კულტურული ცხოვრებისადმი.

ბიბლიოთეკებში მკითხველთა მომსახურებაზე მრავალწლიანი დაკვირვებით თუ ვიმსჯელებთ, სასწავლო პრაქტიკაში, ისევე როგორც თვითგანათლების პროცესში, მკითხველი იყენებს შეზღუდულ ლიტერატურასა და წყაროებს (ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მითითებულ ლიტერატურას). ხელოვნების სხვადასხვა დარგში ცოდნის აქტუალიზაციასა და სისრულეს კი უზრუნველყოფს თანამედროვე

მსოფლიო ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების წარმოჩენა, ქართული თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა შემოქმედებისადმი ყურადღების მიქცევა, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი არტ-მოვლენების გაშუქება და ა.შ. ამ პირობებში სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს ის ფორმები და საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ ბიბლიოთეკაში საზოგადოების მოზიდვა. ტრადიციულ საბიბლიოთეკო ღონისძიებებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრების გამოფენებისა და დისკუსიების ორგანიზებას.

ბიბლიოთეკა ამ დროს გადაიქცევა ხელოვნებაში მოვლენის შექმნის ადგილად, სადაც ერთმანეთს ხედებიან მხატვარი და აუდიტორია, მისი ხელოვნების შემფასებლები, ჟურნალისტები, ხელოვნებათმცოდნეები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები და მკითხველები, ტექნიკური და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები. ამ უკანასკნელთა დასწრება გამოფენებზე თავისებურად მომგებიანია მხატვრებისათვის, რადგან, როგორც წესი, სამხატვრო გალერეებსა და სალონებში მოწყობილ გამოფენებს დამთვალიერებელთა ვიწრო წრე სტუმრობს. ბიბლიოთეკა ხდება ერთგვარი შემოქმედებითი და კომერციული იდეების მოზიდვის ლაბორატორია შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ინტელიგენციისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა თავისი მიზნების განხორციელებისას ხელმძღვანელობს IFLA/UNESCO-ს რეკომენდაციით, რომლის საფუძველზეც ბიბლიოთეკა ცალკეული მოქალაქეებისა და ჯგუფებისათვის განათლების, ინფორმაციისა და პიროვნების განვითარების სფეროებში უნდა სთავაზობდეს სხვადასხვა საშუალებებს, მასალებსა და რესურსებს, უზრუნველყოფდეს ცოდნის, ინფორმაციისა და მხატვრული ნაწარმოებების ხელმისაწვდომობას თავისი ყველა საშაბურისა და რესურსის გამოყენებით. იმდენად, რამდენადაც საქართველოში არ არსებობს სპეციალიზებული ხელოვნების ბიბლიოთეკები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა მის ხელთ არსებული რესურსებით უზრუნველყოფს ხელოვნებისა და შემოქმედი ადამიანების პოპულარიზაციას, მკითხველებისა და სტუდენტების, ასევე თანამშრომელთა სულიერ და ესთეტიკურ განვითარებას.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში სახვითი ხელოვნების ნიმუშების ექსპოზიციების მოწყობას თავისი უპირატესობა აქვს:

1. ბიბლიოთეკას ყოველწლიურად სტუმრობს მომხმარებელთა დიდი რაოდენობა, მათ შორის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, განსხვავებული დარგის სპეციალისტები სხვადასხვა რეგიონიდან, სამეცნიერო ფორუმების, კონფერენციების მონაწილეები, ტურისტები და ა.შ.

2. ეროვნულ ბიბლიოთეკაზე საუბრისას არც თუ უმნიშვნელო ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას აქვს მეტად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა – ბიბლიოთეკის შენობა ქალაქის ცენტრშია და მასთან დაკავშირება ტრანსპორტით ყველა რაიონიდან მეტად ხელსაყრელია.

3. ეროვნულ ბიბლიოთეკას აქვს ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურის მდიდარი ფონდი: წიგნები, რეპროდუქციები, კატალოგები, პლაკატები და ესტამპები, ღია ბარათები და ა.შ., რომელთა გამოფენა ფერწერულ

ნამუშევრებთან ერთადაც შეიძლება, რაც დაინტერესებულ ადამიანს, ხელოვნების ამ დარგების უკეთ გაცნობის სურვილის შემთხვევაში, წყაროსაც შესთავაზებს.

გამოფენების მოწყობისას უდიდესი როლი ენიჭება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის (PR) და კულტურული პროგრამების მოღვაწეობას. ამ სამსახურის თანამშრომლები თვითონ მონაწილეობენ მხატვრების გამოფენების გაფორმებასა და გახსნაში, მასმედიაში პრესრელიზებისა და ინფორმაციის გავრცელებაში, სხვადასხვა სახის PR-კამპანიებში.

PR-კამპანიები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან არაკომერციულ და კომერციულ სფეროებში. ისინი ცნობილია **Hard relations - "შიმიე" PR და Soft relations - "მსუბუქი" PR** კამპანიის სახელით.

"შიმიე" PR კამპანია ხასიათდება მოკლევადიანი მიზნებით და მიმართულია აუდიტორიის ინტერესის სტიმულირებასა და მოზიდვაზე, გათვლილია გარეგან ეფექტებზე.

"მსუბუქი" PR კამპანია მიზნად ისახავს კულტურული პროექტის გარშემო შექმნას კეთილსამსურველი გარემო. ამგვარი სტრატეგიები ემოციურ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას და კულტურული პროდუქტით აუდიტორიის დაინტერესების კვალდაკვალ აყალიბებენ მუდმივ მომხმარებელს. PR კამპანიების საშუალებით შესაძლებელია აუდიტორიის ინტერესების შეცვლა. ამგვარი PR კამპანიების გამოყენებას სპეციალისტები რეკომენდაციას უწევენ არა მხოლოდ გალერეებში, არამედ არაკომერციულ დაწესებულებებშიც – მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, კლუბებში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საგამოფენო დარბაზის რეკონსტრუქციის შემდეგ სრული დატვირთვით იყენებს საგამოფენო სივრცეს ფერწერის, გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოსაფენად. ბიბლიოთეკას აქვს ორი დარბაზი კონფერენციებისა და დისკუსიების მოსაწყობად და კინო დარბაზი. თუ განვიხილავთ ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზის რეკონსტრუქციის შემდეგ 2009 წლის ნოემბრიდან დღემდე მოწყობილ გამოფენებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ვებ გვერდის საშუალებით, მეტად შთაბეჭდავ სურათს მივიღებთ:

2009 წლის ნოემბერი - **“ამერიკელი ქართველები“ ეროვნული ბიბლიოთეკაში**. გამოფენა მიეძღვნა ქართველებს, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ აშშ-ში XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, მონაწილეობდნენ სამოქალაქო ომში და განსაკუთრებული კვალი დატოვეს ამ ქვეყნის ისტორიაში. გამოფენის ორგანიზატორი იყო კინორეჟისორი და მკვლევარი ირაკლი მახარაძე. ავტორი ფილმებისა “უაილდ ვესტის მხედრები“, “დიმიტრი შევარდნაძე“, “გურული ფირალები“; ასევე ავტორი წიგნებისა: “გურული მხედრები ამერიკაში“, “გურული ფირალები“, “რუსულ-ქართული ტერორი“.

დეკემბერი — ირანული კულტურის დღეების ფარგლებში მოეწყო **ირანის კულტურისადმი მიძღვნილი გამოფენა**. წარმოდგენილი იყო ირანული ხელოვნების ამსახველი ფოტოები, ირანული ხელნაკეთი ნივთები და ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ ეროვნული ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის ცენტრისათვის სააღჭრად გადაცემული წიგნები.

2010 წლის იანვარი – **ფოტოგამოფენა “ფარდის მიღმა”**, წარმოდგენილი იყო თბილისისა და ბერლინის თეატრების სცენებზე ჩატარებული სპექტაკლების ფრაგმენტები.

თებერვალი – **ირაკლი ცაბაძის ნახატების გამოფენა**. მისი ნამუშევრები შესრულებულია განსაკუთრებული ტექნიკით – ფერადი ავტოკალმებით. მხატვარს ჰქონდა პერსონალური გამოფენები გალერეა “ქარვასლაში” და გალერეა “კოპალაში”.

მარტი – კომპანია “Mixet”-ის დიზაინერის ანა ჩანგიანის **თექის ნამუშევრების გამოფენა**. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თექის დამუშავების ახალი ტექნოლოგიით შექმნილი ქსოვილები და კოსტიუმები. თქვა დამუშავებული იყო ახალი ტექნოლოგიით, რაც ითვალისწინებს მატყლის მინიმალური რაოდენობით გამოყენებას. შედეგად ქსოვილს აბრუნების ეფექტი ეძლევა.

აპრილი – **კონცერტი და გამოფენა** ეროვნულ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი იყო მხატვარ ქეთი თოდაძის ნამუშევრები, კონცერტი ჩაატარეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერული ტილოები (ნატურმორტები, პეიზაჟები, ქალაქის ხედები) და სცენოგრაფია - სცენის დიზაინი, თეატრალური კოსტიუმების ესკიზები. ამ ღონისძიებით დამთვალეირებელს კლასიკური მუსიკის მოსმენის საშუალება მიეცა, მსმენელმა კი საინტერესო გამოფენა დაათვალიერა.

მაისი – **გამოფენა-დეფილე**. კომპანია Mixet-ის მიერ შექმნილ თექის ნამუშევრებს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში უკვე მეორედ უმასპინძლა. ამჯერად გამოფენაზე პანოები და ქალის ტანსაცმლის საგაზაფხულო კოლექცია იყო წარმოდგენილი. ზამთრის საბავშვო კოლექცია ანსამბლ “ერისიონის” პატარა შემსრულებლებს ჰქონდათ მორგებული. აჭარულის მოცეკვავე გოგონები მაყურებლის წინაშე თექის ყაბალახებით წარდგნენ; **პოლიტიკური პლაკატების უნიკალური გამოფენა**. გამოფენა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებიდან (1991 წელი) დღემდე ჩატარებული ყველა საპარტიზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პლაკატები. ყველა მათგანი ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატისა და ესტამპის განყოფილებაში ინახება. წარმოდგენილ ექსპონატთაგან ბევრი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

მინდია მიდელაშვილის ფოტოგამოფენა “ტაი”. ავტორმა წარმოადგინა 80 ფოტო, რომელიც ფოტოგრაფის ტაილანდში მოგზაურობას ასახავს. იგი ფოტოებით ჰყვება იმ ქვეყნის შესახებ, “სადაც სასტუმრო, ინტერნეტი და ტელეფონი ჯერ კიდევ ფუფუნების საგნებია, სადაც საკონტაქტო ენა სიცილია და სადაც ცხოვრება, მართლაც, მშვენიერია”. ფოტოხელოვანის ობიექტივმა საინტერესოდ ასახა მოტივტივე ბაზარი, მოცეკვავე სპილოები, “ქალი ყორაფების”, ანუ გრძელკისერების სოფლები, ბუდისტური ტაძრები, გველებთან “შოთამაშე” ადამიანები. მინდია მიდელაშვილი არის პირველი ქართველი, რომელმაც ვებზელების მონასტერში იცხოვრა და იქ მიღებული შთაბეჭდილებები წარმოდგენილ 40 ფოტოზე ასახა.

ივნისი – **ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა-კონკურსი**. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვარ ანდრო კანდილაკის მიერ შექმნილი ზღაპრების ილუსტრაციები. აქვე წარმოდგენილი

იყო ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში გამართულ საბავშვო ნახატების კონკურსზე გამარჯვებული მოზარდების ნამუშევრების გამოფენა და დაჯილდოება; **ასმათ ყურშავეშვილის გამოფენა**. გამოიფინა გუდიაშვილის, ფიროსმანის, ვან გოგის, პიკასოს, მატისის და სხვა ცნობილი მხატვრების ტილოების ნაქარავი ასლები, რელიგიურ თემაზე შექმნილი ნამუშევრები. ტილოები შესრულებული იყო აბრეშუმის ქსოვილზე მულინისა და აბრეშუმის ძაფებით, საუკუნოვან ქართულ ტრადიციებზე დამყარებული ნატიფი ქსოვის ტექნოლოგიით. მხატვარს გამოფენები ჰქონდა თბილისის, მოსკოვის, პარიზის გალერებში; **ახალგაზრდა შემოქმედის ანუნა ბუკიას ნამუშევრების გამოფენა**. წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი სამკაულები, რომელიც მზადდება ძვირფასი ქვებისგან.

ივლისი — **ფოტოგამოფენა „ოშკი და ხანძთა უწინ და ახლა“** ფოტოექსპედიცია გოგა ჩანადირისა და ნინი არაბულის ხელმძღვანელობით ტაო-კლარჯეთში 2010 წლის მისში შედგა. ექსპედიციის 19 მონაწილის მიზანი იყო ფოტოზე აღებუქდათ ოშკისა და ხანძთის მონასტრების არსებული მდგომარეობა და შეედარებინათ იგი წინა წლებში, მათ შორის 2009 წელს გადაღებულ ფოტოებთან. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 40 ფოტო, რომელზეც ქრანოლოგიურად აისახა, თუ როგორ უარესდება ძეგლების მდგომარეობა ყოველწლიურად; **ამერიკის საელიომ საქართველოში და საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა ამერიკული სახვითი ხელოვნების ცნობილი ნიმუშების რეპროდუქციების გამოფენას „დასურათებული ამერიკა“**. პროექტი საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს. დამთვალეირებელს საშუალება ჰქონდა, გაეცნობოდა ამერიკული მხატვრობის, ფოტოგრაფიისა და არქიტექტურის ნიმუშებს, ინფორმაციას ამერიკული ტრადიციებისა და ისტორიის შესახებ; **გამოფენა-კონცერტი**. მხატვარსა და ფსიქოლოგმა ია მჭედლიშვილმა პირველ პერსონალურ გამოფენაზე წარმოადგინა აკვარელსა და ზეთში შესრულებული ნახატები, აბსტრაქტული ნამუშევრები. მისი ნამუშევრები გერმანიის, ამერიკის, ინგლისისა და იაპონიის კერძო კოლექციებში ინახება. გამოფენის პარალელურად გაიმართა ბარბარე მჭედლიშვილის კონცერტი.

სექტემბერი — **მხატვარ ირინა გაბიანის ვიდეოარტის „ანარეკლების“ ჩვენება** გაიმართა ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში. ი. ი. გაბიანის ნამუშევრების გამოფენები ევროპის სხვადასხვა გალერეასა და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში ეწყობა. ნამუშევრები ინახება სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. ირინა გაბიანმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავისი მხატვრული ნამუშევარი „მიკროსამყარო“; გაიმართა ცნობილი ქართველი მხატვრის, თენგიზ მირზაშვილის („ჩუბჩიკა“), ხსოვნისადმი მიძღვნილი **გამოფენა — „თენგიზ მირზაშვილი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებსა და თანამშრომელთა კოლექციებში“** და წიგნის — „თენგიზ მირზაშვილის ბიობიოგრაფია“ (I და II გამოცემა) — პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ შესრულებული პლაკატები, ბუკლეტები, წიგნის ილუსტრაციები, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, ინტერვიუები, პუბლიკაციები, მისი რედაქტორობით გამოცემული წიგნები, ჟურნალები, ლიტერატურა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. დამთვალეირებელმა პირველად იხილა წიგნის გარეკანზე განთავსებული აკროპორტრეტის ორიგინალი და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა

კოლექციებში დაცული ნამუშევრები. პირველად გამოიფინა 10 წლის თენგიზ მირზაშვილის ნახატი “ზემი სოფელი”, რომელიც ჟურნალ “ოქტომბრულში” (1947, №7) გამოქვეყნდა.

ოქტომბერი — დიზაინერ ხატია სირაძის ახალი კოლექციის — “სამი სიცოცხლე” — ჩვენება. კოლექცია შექმნილი იყო ქართული კინოს სამი ვარსკვლავის ნატო ვაჩანაძის, ვერიკო ანჯაფარაძისა და სოფიკო ჭიაურელის ჩაცმულობის სტილის მიხედვით. დიზაინერმა დამთავლიერებელს შესთავაზა ამ სტილის გათანამედროვებული ვარიანტი ყველა თაობის ადამიანისთვის; **“ტანგოს საღამო” და ნიღბების გამოფენა** ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ტრიო “ბრავო” “ტანგოს საღამო” გამართა. საღამოზე წარმოდგენილი იყო ტრიოს მევიოლინე გალინა ბანდუჩას მიერ შექმნილი ნიღბები; **ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ნანა ბაღდავაძის გამოფენას** უმასპინძლა. ნანა ბაღდავაძემ როგორც “განსაკუთრებული მონაცემების მქონე შემოქმედმა” 1999 წელს აშშ-ში მუდმივი ცხოვრების უფლება მოიპოვა. საერთაშორისო პრაქტიკაში დიდი ხანია არსებობს ორგანიზაციის მიერ ხელოვანისთვის სამუშაო სივრცის დათმობის გამოცდილება, საქართველოში ეს პირველი შემთხვევა ბიბლიოთეკის სივრცეში დაფიქსირდა. მხატვარმა ტილოზე მუშაობა 15 სექტემბერს დაიწყო. ეროვნულ ბიბლიოთეკაში შექმნილი ნამუშევარი მან ბიბლიოთეკას გადასცა საჩუქრად. ხატვის პროცესი აღიბეჭდა ფოტოზე და ნამუშევრის დასრულების შემდეგ გაკეთდა ფილმი, რომელზეც ასახულია მთელი შემოქმედებითი პროცესი.

ნოემბერი — საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის პატრონაჟით გაიმართა შოპენის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა-კონცერტი. კომპოზიტორის ნაწარმოებები შესრულდა გამოფენის ფონზე, სადაც წარმოდგენილი იყო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა მიერ შოპენის მუსიკის მიხედვით შესრულებული ფერწერული ნამუშევრები. ღონისძიება მიზნად ისახავდა როგორც დიდი კომპოზიტორისა და პოლონელი ხალხისადმი პატივისცემის გამოხატვას, ისე მუსიკისა და სახვითი ხელოვნების ურთიერთკავშირის წარმოჩენას; გაიმართა ფოტოხელოვან ვასილ ღემეტრაშვილისა და დიზაინერ მარიამ ღემეტრაშვილის **ხელნაკეთი სამკაულების გამოფენა; გამოფენა „ნიღბები თბილისში“.** გამოფენის ორგანიზატორი იყო თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება “ტფილისის ჰამპქარი”. ღონისძიება მიეძღვნა მუხრანის ხიდის გახსნის 100 წლისთავს. წარმოდგენილი იყო თბილისის ხიდების ამსახველი 30-მდე საარქივო და თანამედროვე ფოტო, შესაბამისი განმარტებითი ბარათებით; **გაიანე ხაჩატურიანის გამოფენა.** ცნობილი მხატვარი თბილისში დაიბადა. მის ფერწერად ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა: სომხურმა არქიტექტურამ და მინიატიურამ, შუა საუკუნეების ქართულმა მონუმენტურმა ფერწერამ, XIX საუკუნის ფერწერის თბილისურმა სკოლამ, იმპრესიონიზმმა, პოსტიმპრესიონიზმმა, ავანგარდულმა მხატვრობამ; მხატვარი არაერთი პოეტის, მწერლის, რეჟისორისა თუ ფოტოხელოვანის მუშად ითვლებოდა; გაიმართა **მხატვარ გიორგი ჩაჩანიძის პერსონალური (რეტროსპექტიული) გამოფენა.** იგი არის ერთი პერსონალური გამოფენის ავტორი და თხუთმეტამდე ჯგუფური გამოფენის მონაწილე. გიორგი ჩაჩანიძის ნახატები დაცულია გერმანიის, რუსეთისა და იტალიის კერძო კოლექციებში.

დეკემბერი — ირაკლი კაკაბაძის ლექსების კრებულ “წერილები და მავთულხლართების” პრეზენტაციის პარალელურად გაიმართა აზერბაიჯანელი **ფოტოხელოვანის ნაილი ვეპილის ფოტოგამოფენა**, რომელიც გამოფენის ავტორის საქართველოში ცხოვრების 3 წელს ასახავს.

2011 წელი

იანვარი — **“თანამედროვე ქართული მინიატიურა”**. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრებისა და კალიგრაფების მიერ ქალაქლზე, ტილოსა და მინანქარზე შესრულებული ნამუშევრები. გამოიფინა ირაკლი ფარჯიანის მიერ გადაწერილი და დასურათებული იოანეშა და მარკოზის სახარებები. ექსპოზიციაზე ასევე წარმოდგენილი იყო ოთარ მეგრელიძის, დათო გაგოშიძის, გოჩა კაკაბაძის, ლევან მარგიანის, ანტონ ბალანჩივაძისა და სხვათა ნამუშევრები; **ბიბლიური სიუჟეტები ვანო აბულაძის შემოქმედებაში**. წარმოდგენილი იყო 12 ბიბლიური სიუჟეტი შობიდან აღდგომამდე და საიდუმლო სერობა. მხატვრის ნამუშევრები დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

თებერვალი — **მხატვარ ზურაბ თოთიბაძის ნამუშევრების გამოფენა**. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ასევე ხატწერის ნიმუშები; მესამედ გაიმართა **ანა ჩანგაიანისა და ირა ბარბაქაძის თეჟის ნამუშევრების გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის გამოფენა-ჩვენება**.

მარტი — გაიხსნა ცნობილი უნგრელი მხატვრის, “ვეფხისტყაოსნის” პირველი უცხოელი ილუსტრატორის **მიხაი ზიჩის ნამუშევრების გამოფენა**. გამოფენაზე მოსულმა დამოუკიდებელმა ნახა, როგორ იქმნებოდა “ვეფხისტყაოსნის” ცნობილი ილუსტრაციები, რომლებიც ზიჩის იმდროინდელმა მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ შეუკვთა. კერძოდ, იდგმებოდა “ვეფხისტყაოსნის” ცოცხალი სურათები, რომლებიც მხატვარს ტილოზე უნდა გადაეტანა (გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მასალები “ვეფხისტყაოსნის” გმირების პროტოტიპების მემკვიდრეების კოლექციებიდან). მხატვრის მიერ დახატული 34 სურათიდან კომისიამ 27 სურათი შეარჩია. თავისი ნამუშევრები ზიჩიმ ქართველ ხალხს უსასყიდლოდ გადასცა. ასამდე ასლთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული ორიგინალური ნამუშევრები და ის ნახატები, რომლებიც ამჟამად მხატვრის ოჯახში ინახება. საგანგებოდ ამ გამოფენისთვის ნამუშევრები თავისი პირადი კოლექციიდან თბილისში მიზაი ზიჩის შვილთაშვილმა, ქალბატონმა ელიზაბეთ მარია ჩიჩერი-რონაი-სმიტმა, პირადად ჩამოიტანა. გამოფენა განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩეოდა; “საქართველოს ქუთთა ახალგაზრდობის კავშირისა” და ქალაქ თბილისის მერიის ორგანიზებით გაიხსნა **ქუთთი მხატვრებისა და ქუთთა კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (ფოტოები, ლიტერატურა, ნაციონალური კოსტიუმები, მუსიკალური საკრავები) გამოფენა**. ღონისძიება უკავშირდებოდა ქუთთების რელიგიურ დღესასწაულს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო მურაზ დაუდის, ანტონ მირზოვეის, ანდო ჩილდარგუშისა და გურამ ომაროვის ნამუშევრები.

აპრილი — **ზაალ ხულაკაურის სამხატვრო სტუდიის მისწავლეთა და პედაგოგთა საგაზაფხულო გამოფენა** მეექვსედ

გაიმართა. ნამუშევრები წარმოადგინეს ხატვის, ძეგლებისა და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფების მოსწავლეებმა. ზაალ სულაკაურმა წარმოადგინა საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ნახატები. გამოფენაში მონაწილე პედაგოგები და მათი მოსწავლეები ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდიისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისგან გამოფენაში მონაწილეობის დამადასტურებელი სიგელებით დაჯილდოვდნენ; 2 აპრილს აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, გაიმართა საქართველოს აუტიზმის საზოგადოების ვებგვერდის პრეზენტაცია, ასევე მოეწყო **აუტიზმის მქონე მოზარდების ნახატების გამოფენა**; გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის NI სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა კონცერტი და **მხატვარ კოტე ამირეჯობის ნამუშევრების გამოფენა**.

მაისი — გაიმართა პროექტის **“ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები” პრეზენტაცია**. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, “საქართველოს ამერიკელი მეგობრები” და ამერიკის საელჩო საქართველოში. საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში მოეწყო ლექციები: “ფრენკ გერი: სანახაობრივი არქიტექტურა — ტრადიციული მეცნიერებიდან ამაღლებულ ხელოვნებამდე”, “შავი გედის თეორია. სტივენ შოლი: იდეა და ფენომენი: განათება, სივრცე და ფილოსოფია არქიტექტურაში”, “არქიტექტურა შენობის მიღმა”; **ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმახსინძლა ევროპაში მოღვაწე ქართველი მხატვრების გამოფენას**: “პოზიციები - ქართველი მხატვრები ევროპიდან”. ეს იყო ნაწილი იმ ღონისძიებებისა, რომელიც “ევროპის კვირა 2011“-ის ფარგლებში ევროპის საზღის ინიციატივით თბილისში 25-30 მაისს გაიმართა. წარმოდგენილი იყო ანრი ბასილიას, შალვა ხაზანაშვილის, კაკო თოფურაძის, ზურა არაბიძის, ირინა გაბიანისა და ლუკა ლასარეიშვილის ნამუშევრები. გამოფენაზე დამთვალეირებული გაეცნო მხატვრულ ფოტოგრაფიას, ფერწერასა და კოლაჟს.

ივნისი — **ხიტა ქუთათელაძის ნამუშევრების გამოფენა**. მისი ნამუშევრები სხვადასხვა დროს გამოფენილი იყო იტალიაში, შვედეთში, გერმანიაში, ბელგიაში, საბერძნეთში, პოლონეთში, ლიტვაში, რუსეთში. მხატვრის ნამუშევრები დაცულია მოსკოვში ა. პუშკინის სახვითი ხელოვნების მუზეუმსა და აღმოსავლეთის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, “ლუდვიგის” მუზეუმში მიუნხენში, გლეიზერის კოლექციაში, როტმილდების კერძო კოლექციაში; გაიხსნა საქართველოს დამსახურებული მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის გრაფიკოსისა და კინოს მხატვრის **დიმა ერისთავის ნამუშევრების გამოფენა**; **მოეწყო ლევან ხარანაულის ნამუშევრების გამოფენა**. ფერმწერი გამოფენებში მონაწილეობს 1983 წლიდან. ილუსტრირებული აქვს მამის, პოეტ ბესიკ ხარანაულის რამდენიმე წიგნი. მისი ნამუშევრები დაცულია იტალიაში სენტ ისაიას გალერეაში, საქართველოს ეროვნულ გალერეაში, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და ლუქსემბურგის კერძო კოლექციებში.

ეროვნული ბიბლიოთეკის მზრიდან ამგვარი გამოფენების მოწყობა ერთგვარი მარკეტინგული სვლაა. და აი, რატომ: ბიბლიოთეკები, როგორც არაკომერციული დაწესებულებები მატერიალურად მსოფლიანად არიან დამოკიდებული სახელმწიფოს მზრიდან დაფინანსებაზე, რაც ერთგვარ ჩიარჩოში აქცევს მათ მოღვაწეობას

და განვითარებას. თანამედროვე საბიბლიოთეკო სივრცეში ინოვაციების დანერგვას სჭირდება წლები, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას – სახსრები. სხვადასხვა ორგანიზაციასთან ერთად მოწყობილი კულტურული ღონისძიებები, გამოფენები და დისკუსიები მათ ახალ მეგობრებს სძენს არასამთავრობო ორგანიზაციების, საელჩოების, მხატვართა კავშირის, მასმედიის, მუზეუმების, ფოტო და არტ-გალერეების სახით, ზრდის იმის ალბათობას, რომ ბიბლიოთეკა მუდმივად იქნება ყურადღების ცენტრში სახელმწიფოს მხრიდან, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამის განვითარებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიოთეკა, როგორც არაკომერციული დაწესებულება, საზოგადოებაში კმნის კულტურულ სივრცეს, სადაც ყალიბდება კულტურული კავშირები და კომუნიკაცია. ეს დამატებით შესაძლებლობას აძლევს როგორც ახალგაზრდა მხატვრებს, სტუდენტებს, ცნობილ და ნაკლებად ცნობილ მხატვრებს მუდმივად იმყოფებოდნენ როგორც ხელოვნების მოყვარულების, ასევე კოლექციონერებისა და არტ-ბიზნესში მონაწილეთა ყურადღების ცენტრში. ეს ყველაფერი კარგად აისახება მხატვრის რეპუტაციაზე და ხელს უწყობს მის შემოქმედებით წინსვლას არტ-ბაზარზე, როგორც ცივილიზებული სამყაროს შემადგენელ ელემენტზე, რომელსაც სპეციალისტები საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-კულტურული პროცესების სარკესაც უწოდებენ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურული პროგრამებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (PR)-ს გარკვეული წვლილი შეაქვს თანამედროვე არტ-ბიზნესის განვითარებაში.

ლიტერატურა:

IFLA/UNESCO სახელმძღვანელო მითითებანი საჯარო ბიბლიოთეკებში მომსახურების განვითარების შესახებ/საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია; თარგმნა მზია ხოსიტაშვილმა; 2009

ტ. აბანკინა, 2001 - Абанкина Т. В., статья "PR некоммерческой организации: Теоретические основы современных PR-технологий и моделей коммуникации», Музей будущего: Информационный менеджмент/Сост. А. В. Лебедев, 2001

ა. გაბოზოვი - Гобозова А. PR на рынке современного изобразительного искусства, Бизнес и финансы, <http://www.pandia.ru>
<http://www.nplg.gov.ge>

MZIA KHOSITASHVILI**THE ROLE OF PR SERVICE OF LIBRARY IN ART-BUSINESS DEVELOPMENT**

In case of global economy the works of art are considered not only as spiritually valuable but commercially valuable things. There is an active commercialization of art and active relationship with culture and business. There is building an art-market, as a consisting element of civilized world. Specialists call it the mirror of running social-cultural processes in society.

Library is a non commercial institution which makes cultural sphere in the society, where the cultural connections and communications are formatting. It makes more opportunities to young artists, students, popular and less popular artists to be constantly in the centre of attention of lovers of art, collectioners, and also participants in art business. Exhibitions and discussions held in the library have good influence on the artist's reputation and help them in future creative ongoing. Cultural programs and PR service of national library does his relevant bit in developing modern art-business.

Realization its aims the National Library of Parliament of Georgia guides with IFLA/UNESCO recommendations and uses all his resources to provide with accessibility to knowledge, information and works of art. It makes popularization of art and creative people, readers and students, cares for its employees esthetic and soul development. Making expositions of fine art samples in the library has its privilege:

1. Great number of users visit library every year. The most important part of them are students from different universities, specialists of different kind from different regions, participants of scientific forums and conferences, tourists and so on.

2. While speaking about National Library it isn't unimportant fact that library is situated very comfortably in the city. The library building is situated in the centre of city and it's very easy to reach it by transport from any region of city.

3. National Library has very rich fund of fiction literature: books, reproductions, catalogues, posters, print-plates, post-cards and so on. They can be displayed together with the pictorial works and in case of willingness it would be an offer of resources to the interested man and it will be available to have better acquaintance of the field.

While making exhibitions working of PR service and cultural programs has great role. Employees in this service are occupied participating in opening exhibitions of artists, spreading information and press releases in press, and making several PR campaigns.

PR campaigns used in the National Library Hard relations – Soft relations – is intended to stimulate interest of audience, draw their attention to emotional part and set themselves as an object to create well disposed area around the cultural project. After developing interest of audience cultural service and PR service constantly rises quantity of permanent users.

სტივენ ჯონსი

ოფისიალური ბამოსკლის ტექსტი

(სიტყვა წარმოთქმული თსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ღონისძიებაზე)

ბატონო სანდრო, ძვირფასო კოლეგებო, სტუმრებო და მეგობრებო! მოგესალმებით!

ულრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩემი მოწვევისა და საპატიო დოქტორის წოდების მონიჭებისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ასეთი აღიარება ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

1978 წლის სექტემბერში მე პირველად შემოვდი ფეხი ამ ღირსშესანიშნავ დაწესებულებაში, როგორც ახალგაზრდა სტუდენტმა დიდი ბრიტანეთიდან. მაშინ მე ჩემს სადოქტორო თემაზე ვმუშაობდი და ამავე დროს ვსწავლობდი ქართულ ენას ჩემი ძვირფასი პედაგოგის – ლეილა გეგუჩაძის ხელმძღვანელობით, რომლის წინაშე დღესაც კი მაკანკალებს, როცა ქართულად ვლაპარაკობ. ამ უნივერსიტეტში გავიცანი საქართველოს საუკეთესო საზოგადოება და შევიძინე მრავალი უძვირფასესი მეგობარი, რომელთა მცირე ნაწილი დღეს ამ დარბაზში იმყოფება.

სამოცდაათიანი წლები საქართველოში სულ სხვა დრო იყო. მაშინ, სახელმწიფოდან გაძევების შიშით, მე არ შემეძლო გამეხმაურებინა ჩემი დისერტაციის მთავარი თემა – საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორია. ჩემი ეს პატარა საიდუმლო უცნაურად ირეკლავდა იმ დღეებში, რომლის წინაშე ყველა დიქტატორული რეჟიმი დგას. განათლება წარმოადგენს როგორც აღმშენებელ ძალას, ასევე მის დამანგრეველ ელემენტებსაც. დიქტატორულ რეჟიმებს ყოველთვის ეშინიათ უნივერსიტეტების და სწორედ მაშინ, ჩემს ჩამოსვლამდე ხუთი თვით ადრე, ამ უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებმაც დემონსტრაცია მოაწყვეს ქართული ენის დასაცავად, აჩვენეს საბჭოურ ხელისუფლებას ამ ძალის რეალურობა და პოტენციალი.

მაგრამ, პარადოქსულად, 1978-79 წლებში, როგორც თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტს, მე შემეძლო თავისუფლად შეკითხვა საბჭოეთის დამანგრეველი ლიტერატურა. ეს ლიტერატურა მე ვიპოვე ჩემთვის ერთ-ერთ უძვირფასეს ეროვნულ დაწესებულებაში – საჯარო ბიბლიოთეკაში. ერთი ავტორი განსაკუთრებულად მეამბოხე სულის პატრონად მომეჩვენა. მისი სახელი იყო ილია ჭავჭავაძე. ჭავჭავაძის ესმოდა, რომ განათლება იყო წყარო ქართველთა ეროვნული ემანსიპაციისა. მის მოკლე ესეში “ისევ განათლების საკითხზე” ილია წერდა – “ჩვენ გვაიწყობება რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა როგორც კაცადმოყოფობისთვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად”. – 1889 წელს, როცა ილია ამ სიტყვებს წერდა, მას უნდოდა საქართველოს საზოგადოება დაერწმუნებინა იმაში, რომ განათლება იყო წყარო პიროვნული, ეროვნული და საერთოდ კაცობრიობის ლიბერაციისა.

ამ აზრების მნიშვნელობა არ შეცვლილა, მხოლოდ მისი განხორციელებისთვის ბევრი დაბრკოლების გადალახვა საჭიროა.

მე გაეზარდე ინგლისში იმ შეგნებით, რომ ყველა ახალგაზრდას, ვისაც სურვილი და უნარი ჰქონდა, შეეძლო უმაღლესი განათლების მიღება. ეს საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის აუცილებელი პირობა იყო. სამწუხაროდ, დღევანდელი სიტუაცია სხვანაირია. ჩემს ახალ სამშობლოში – ამერიკის შეერთებულ შტატებში – განათლება კარგავს ადრე დაკისრებულ ფუნქციას, უფრო სწორედ – იგი აღარ არის ადამიანის განათავისუფლებისა და სოციალური თანასწორობის გაუმჯობესების წყარო. პირიქით, განათლება ხდება მაჩვენებელი უთანასწორობისა და კონფორმისტული აზროვნებისა. ამერიკის შეერთებულ შტატებში საუკეთესო უმაღლესების სტუდენტთა 70% არის შეძლებული ოჯახიდან. ეს ფაქტი მეტყველებს არა მხოლოდ არასამართლიანობასა და ადამიანის პოტენციალის განუხორციელებლობაზე, არამედ, დემოკრატიის როლის დასუსტებაზეც.

მე ვაღიარებ, რომ ვარ იდეალისტი, მაგრამ არა ვარ სულელი-იდეალისტი. ვიცი რომ საქართველო დიდი პრობლემების წინაშე დგას. საქართველოს აქვს გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა და ლიბიტირებული რესურსები. სწორედ ასეთ პირობებში მყოფი ადამიანებისთვის ვარაუდობდა ჭკაჭკაეძე, რომ განათლება იყო მათი გზა სოციალური წინსვლისა და კეთილდღეობისათვის.

მაგრამ, განათლება შეიძლება ორნაირი სახის იყოს. ერთი – უფრო პრაქტიკული, ვთქვათ, რომელიც სახელმწიფოს და ხელისუფლების მიზნებს გაითვალისწინებს (მაგალითად – პროდუქტიულობას და კონკურენციას). მეორე კი ფართო, სივრცული, რომელიც ხელს უწყობს იმას, რასაც ქართველები ეძახიან “ადამიანის სულის აღზრდას.” “სულის აღზრდის” განათლება სტიმულს აძლევს მოქალაქეობრივი მოვალეობის გავლიძებას, კრიტიკულ, სკეპტიკურ აზროვნებას, პოლიტიკურ აქტიურობას და ტოლერანტულობას სხვადასხვა შეხედულებებისა. ასეთი განათლება გზას უკავავს კეთილშობილურ და ეფექტურ დემოკრატიას.

სამწუხაროდ, განათლება საქართველოში, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში, მიუხედავად 2003 წლის შემდგომ ზოგი გაუმჯობესებებისა, უფრო და უფრო ექცევა დასავლეთის მომხმარებლური განათლების მოდელის გავლენის ქვეშ. მენეჯერისა და კომპიუტერის სპეციალისტის აღზრდა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ეს განათლება მათ არ ასწავლის, როგორ გახდნენ ღირსეული მოქალაქეები ან სანდო ხელისუფლების წარმომადგენლები. ამისთვის ჩვენ გვჭირდება ისეთი განათლება, რომელიც მოიცავს მილტონ ფრიდმანს, მაგრამ, აგრეთვე, ლევ ტოლსტოის.

ამას ყველაფერს მე ვამბობ როგორც არასენტიმენტალური პრაგმატიკოსი, რომელსაც საქართველოსთვის სურს, დამოუკიდებლობიდან 20 წლის შემდეგ – კარგი მმართველობა, მოქალაქეობრივი დემოკრატია, მჭიდრო პოლიტიკური ერთიანობა და ეკონომიკური ბარაქა. სწორედ ასეთი მომავლის იმედით ჩამოვდივარ საქართველოში ასე ხშირად და ვმუშაობ ჩემს ძვირფას ქართველ კოლეგებთან ერთად ამ საყვარელ დაწესებულებაში. მრავალი წელი ვსწავლობ ქართულ ისტორიასა და პოლიტიკას და ერთში დავრწმუნდი – ამ უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის შენარჩუნება პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველის ძალების გავლენისაგან წარმოსადგენს ჩანასალი დემოკრატიის არსს საქარაველოში.

PROF. STEPHEN JONES

THANK YOU NOTE

It was in September 1978, as a young PhD student, that I first set foot in this great institution. I studied here for a year under the intense gaze of my Georgian language teacher, Leila Geguchadze, who still makes me tremble when I speak Georgian. In this university, I met the best in Georgian society, and I made lifelong friends, many of who are here today. But it was a very different time. I could not openly reveal that my own field was the Georgian first republic, without fear of expulsion. My own secret reflected the dilemma that all dictatorships face. Education is both a state builder and a state destroyer. Dictatorships always fear universities and in Georgia, just 5 months before my arrival, students from this university, demonstrating in defense of their language, had shown the Soviet authorities why.

But paradoxically, as a TSU student in 1978-79, I could read subversive writings in another of my favorite Georgian institutions, the National Public Library. One writer was particularly seditious. His name was Ilia Chavchavadze. Chavchavadze understood that education was the source of Georgians' liberation, in the broadest sense of this word. In his essay "isev ganatlebis sakitxebze", Chavchavadze writes that "education is an inexhaustible source for a man's humanity, his well being, his material wealth, and his means of survival". In 1889, when he wrote this essay, Chavchavadze wanted to convince Georgians that education was a source of personal, national and human emancipation. The importance of this message has not changed, but the threats to its fulfillment have.

I grew up in the UK with belief that all qualified students had a right to education. It was a public good, a social good, and a community good. This is no longer the case, and in my new country, the USA, education is losing its function as a source human liberation and greater equity. Rather, education is becoming a source of conformity and continuing inequity. In the US, for example, 70% of our students in the top universities and colleges are from higher income groups. This is not just a question of fairness and a loss of human potential. It diminishes the quality and strength of democracy.

I admit to being an idealist but not a stupid one. I know Georgia's problems. It is a poor country, people need jobs, and Georgia has limited revenues. It is precisely in these circumstances, as I think Chavchavadze was suggesting that education can generate improved well-being and social mobility. But education is both thin and sick. This education is used by governments to promote an efficient state, greater productivity, and improved competitiveness. Thick education, by contrast promotes what you call "sulis agzrda"(vosпитание dushi), which stimulates the qualities of citizenship – such as informed skepticism, political participation, and tolerance for multiple opinions – that lead to both a virtuous and sustainable democracy.

I am afraid that education in Georgia, especially in the universities, despite its recovery since 2003, is increasingly shaped by these Western models of educational

consumerism. Teaching our children to be efficient managers and computer literate is important, but on its own, this does not teach them how to be good citizens or good governors. For that we need an education that includes Tolstoy as well as Milton Friedman.

This is not the plea of a 1970s idealist. Not at all. This is the argument of a hard-headed pragmatist who wishes for Georgia – after twenty years of independence – good governance, citizen democracy, a firm political union, and a promise of prosperity. This is why I spend much of my time here, at this great institution, working with my Georgian colleagues. The university's independence from political and economic power is at the heart of health democracy.

კომპიუტერული უზრუნველყოფა - ძეძეშვილი ბატონაძე

გარეკანის დიზაინი - ბელა ლაშაშვილი

ფორმატი - A 4

პირობითი ნაბეჭდი თაბახი - 22

ტირაჟი - 100

"წელიწადი" დაბეჭდა ი. შ. "ნათია ტორაძის" მიერ ქ. ქუთაისი,
ახალგაზრდობის პროსპექტი, 98